თჯუსო
ისტორიული და
ეთნოკულტურული
პრობლემები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი ბაგრატიონი,
გიორგი გაგოშიძე, გიორგი გოგოჭური, ნათია ჯალაბაძე,
ლავრენტი ჯანიაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი**

თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები

**როლანდ თოფჩიშვილის
საერთო რედაქციით**

**თბილისი
2021**

UDC(უაკ) 94(479.221.1)+39(=351.1)+008(479.22)
თ-778

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

*წიგნი გამოცემულია სსიპ **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – **„თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები“** – ფარგლებში (გრანტი: N BRG-1-19-190).*

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა და განხორციელდა ისტორიულ, ეთნოლოგიურ, ხელოვნებათმცოდნეობით და არქეოლოგიურ მეცნიერებათა ბაზაზე. წიგნში შესწავლილია თრუსო – ქართველთა განსახლების უძველესი არეალი და საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორია. ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემები თრუსოს ისტორიის, სახელმწიფოსთან მისი მიმართების, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, ავტოქთონი და მოსული ეთნიკური ჯგუფების ვინაობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების, მატერიალური კულტურის ძეგლების რაობის შესახებ. განხილულია დღეს მიმდინარე სოციოკულტურული, დემოგრაფიული და ეკონომიკური ტრანსფორმაციების, პოლიტიკური გამოწვევების გავლენა რეგიონში არსებულ ვითარებაზე და ინფრასტრუქტურაზე.

რეცენზენტები: **აპოლონ თაბუაშვილი, ბესიკ მაცაბერიძე**

ტექნიკური რედაქტორი: **ანა რუაძე**

გარეკანის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2021
© როლანდ თოფჩიშვილი, 2021
© გიორგი ბაგრატიონი, გიორგი გაგოშიძე, გიორგი გოგოჭური,
ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, 2021

ISBN 978-9941-8-2986-4

სარჩევი

შესავალი 4

გიორგი გოგოჭური
თერგის ხეობის ზემო წელის გეოგრაფიის შესახებ. 7

როლანდ თოფჩიშვილი
თრუსო – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე
(თრუსოელები XVII საუკუნის შუა ხანებამდე და შემდეგ) 10

როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი
XIX საუკუნის რუსული აღწერები თრუსოს, მნის ხეობის
კოგის ქვაბულისა და ღუდის შესახებ 74

გიორგი გოგოჭური
თერგის ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების
ისტორია და დაზვერვები თრუსოში 105

გიორგი გაგოშიძე
ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში 129

გიორგი ბაგრატიონი
თრუსოს არქიტექტურული ძეგლები. 142

ლავრენტი ჯანიაშვილი
თრუსოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფა. 185

ლავრენტი ჯანიაშვილი
თრუსოს მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთში
(XX საუკუნის 40-იანი წლები – XXI საუკუნის დასაწყისი) 197

ნათია ჯალაბაძე
თრუსო რუსული ჰიბრიდული ომის კონტექსტში 214

დასკვნა. 235

შესავალი

წინამდებარე წიგნი „თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები“ დაიწერა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი დამუშავდა საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიე ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შესწავლას არა მარტო სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან ის უკავშირდება სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებს. სასაზღვრო რეგიონებს შორის ერთ-ერთი პრობლემატურია თრუსო – საქართველოს ისტორიული მხარე, რომელიც ადმინისტრაციულად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია. თრუსო თერგის ხეობის ზემო წელს მოიცავს. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მას რუსეთის ფედერაციის სუბიექტი – ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკა ესაზღვრება. სამხრეთ-დასავლეთიდან გარკვეულ მონაკვეთზე თრუსოს საზღვარი აქვს თვითგამოცხადებულ ე. წ. სამხრეთ ოსეთთან.

თერგის ხეობის ზემო წელი მისი სათავიდან მოკიდებული დარიალის გასასვლელამდე ისტორიულადაც და დღესაც საქართველოს განუყოფილი ნაწილი იყო და არის. ადრე შუა საუკუნეების ჩათვლით საქართველოს მთიანეთის ამ მონაკვეთში წანართა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი მკვიდრობდა და შესაბამისად მხარესაც წანარეთი ეწოდებოდა. ქართულ წყაროებში წანარეთი „წანარეთის ხევადაც“ მოიხსენიებოდა. ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესების შედეგად, წანარების ეთნოგრაფიული ჯგუფის დიდი ნაწილი ბარში – კახეთში გადასახლდა და თერგის (ლომეკის, პირიქითა არაგვის) ხეობის სათავე X საუკუნისთვის მოსახლეობისაგან გამეჩხერდა. ადგილზე დარჩენილმა ქართულმა მოსახლეობამ შემდეგდროინდელი ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მოიყარა თავი. შესაბამისად „წანარეთის ხევს“ *ხევის* სახელწოდება შერჩა და ხევში მცხოვრები ქართველი მთიელები მოხეევებად იწოდნენ, რომლებიც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი კარის – *დარიალის* ერთგული მცველები იყვნენ. თერგის ხეობის უკიდურეს ზემო წელში *კასარის/კასრის* გასასვლელის ზემოთ მეზობლად მდებარე სხვა ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – დვალეთის – მკვიდრები გადმოსახლდნენ. ეს მხარე ქართული წერილობით ძეგლებში *თრუსოდ* მოიხსენიება. ხოლო მონაკვეთზე კობიდან მოყოლებული ზემოთ, მდინარის სახელწოდებიდან გამომდინარე, მნის „ქვეყანა“ წარმოიქმნა, რომელიც ეთნიკურად ასევე ქართული იყო.

თერგის ხეობის უკიდურეს სათავეში – თრუსოში – მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება მოხდა XVII საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც აქ ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან, ძირითად ქურთათისა და ალაგირის ხეობებიდან ეთნიკური ოსები დასახლდნენ (ოსთა უფრო ადრე – XVI საუკუნიდან დასახლება მოხდა თრუსოს მეზობელ დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში).

ოსების საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებას გარკვეული მიზეზები გააჩნდა. უფრო მოგვიანებით, XVIII საუკუნის ბოლოდან ოსები ხევისა და თრუსოს სასაზღვრო მხარეში – მნაშიც დასახლდნენ. მნაველი ქართველების ნაწილი საცხოვრებლად ხევში გადმოვიდა, ნაწილი კი გაოსდა.

ქართველი მეცნიერები ამ სასაზღვრო მხარის აღნიშნული თვალსაზრისით კვლევას მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან ყველა ქართული წერილობითი ძეგლით თერგის ხეობის სათავე (ისტორიული წანარეთი, შემდეგ-დროინდელი თრუსო+მნა+ხევი) მუდმივად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და მისი მკვიდრები ეთნიკურად ქართველები იყვნენ. მაგრამ გვიან აქ მოსულმა ოსთა შთამომავლმა „მეცნიერებმა“ და პოლიტიკოსებმა საქართველოს ეს მხრე (თრუსო, მნა, ხევი) ისტორიული „ოსეთის“ განუყოფელ ნაწილად, ე. წ. აღმოსავლეთ ოსეთად გამოაცხადეს, მისი მიმდებარე ტერიტორიების ჩათვლით (არაგვის ხეობის სათავე – ღუდა, გუდაურის სამთო კურორტი). ამ „მეცნიერულ ნაშრომებზე“ დაყრდნობით მეზობელი ეთნოსის წარმომადგენლებს გაუჩნდათ ტერიტორიული პრეტენზიები და ელოდებიან იმ დროს, როდესაც ისტორიული საქართველოს მიწა-წყალს ოსეთს შეუერთებენ. რუსეთი ცდილობს ეს ტერიტორია ოსების ისტორიულ სამშობლოდ წარმოადგინოს, შესაბამისად, მოახერხოს ოსეთისათვის მისი მიერთება და ამგვარად, კონტროლი მოიპოვოს გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალზე. ამ მხრივ ვითარება განსაკუთრებით გაართულა რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებმა, რომ თითქოსდა 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი ერთად შეუერთდა რუსეთს. ამგვარი პროპაგანდის საფუძველი გაყალბებული ისტორია და საზღვრების ახალი დემარკაციის საფუძველია. ამ კონტექსტში ჯდება თრუსოს თემით მანიპულირება. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფო გარკვეული საფრთხის წინაშე დგას, რადგან, ცნობილია, რომ ოსი „სწავლულები“ ჩრდილოეთით მდებარე დიდი სახელმწიფოს მიწრაფებებს ახმოვანებენ.

სასაზღვრო რეგიონთან მიმართებაში ქართველ მეცნიერებს, სამწუხაროდ, თავდაცვით პოზიციაში დგომა უხდებათ. ასეა თრუსოს შემთხვევაშიც. სიმართლის დასადგენად არსებობს უამრავი წერილობითი წყარო და მატერიალური კულტურის ძეგლი. რუსეთში დაბეჭდილი ყალბი ისტორიის საპასუხოდ ქართველი მეცნიერები ქმნიდნენ და ქმნიან სათანადო ნაშრომებს, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომაც საჭირი გახდა საზღვრისპირა ერთ-ერთი რეგიონის – თრუსოს შესახებ კომპლექსური სამეცნიერო პროექტის დამუშავება, რომელიც მხარის ისტორიულ და ეთნო-კულტურულ პრობლემებს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ თრუსოს შესახებ დაიწერა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, საკითხის ინტერდისციპლინარული გამოკვლევა არ მომხდარა. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს წინამდებარე პროექტი, რომლის მიზანიც თრუსოს მრავალმხრივი შესწავლაა. წარმოდგენილი კომლექსური გამოკვლება, რომელიც თრუსოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს ეძღვნება, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით დამუშავდა. წარმოდგენილი წიგნის ავტორები არიან ეთნოლოგები *ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი,* არქეოლოგი *გიორგი გოგოჭური,* ხელოვნებათმცოდნე *გიორგი ბაგრატიონი*, ხელოვნებათ-

მცოდნე და ეპიგრაფიკოსი *გიორგი გაგოშიძე*, აგრეთვე ეთნოლოგი და ისტორიკოსი *როლანდ თოფჩიშვილი*, რომელიც ამ პროექტს ხელმძღვანელობდა. ავტორები დარწმუნებული არიან იმაში, რომ მათ თითქმის ყველა არსებულ წყაროს მოუყარეს თავი, რომელიც თრუსოს შესახებ არსებობს, რითაც დაასაფუძვლეს მხრის საქართველოსადმი კუთვნილება. წერილობით და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი იქნა მატერიალური კულტურის ძეგლები (კოშკები, ციხე-სახლები, საცხოვრებელი ნაგებობები, საფლავის ქვები), ეპიგრაფიკა, დაზვერვითი არქეოლოგიური მონაცემები. ნაშრომის ინგლისური ვარიანტი დაანახვებს უცხოელ მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს, რომ სხვათა პრეტენზიები საქართველოს საზღვრისპირა რეგიონის – თერგის ზემო წელის – მიმართ სრულიად უსაფუძვლოა.

✧ ✧ ✧

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი გარემოების შესახებ. წიგნის ავტორები ერთგვარად უკმაყოფილოები არიან იმ ფაქტით, რომ მათ ვერ მოახერხეს ზოგიერთი საარქივო მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. XIX საუკუნის საეკლესიო საბუთების გამოუყენებლობის მიზეზი ეპიდემიის გამო საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის დაკეტვა იყო. ხოლო XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის საკომლო დავთრებზე უბრალოდ მეცნიერის დაშვება არსებული კანონის თანახმად არ შეიძლება, რადგან, თურმე მასში მოქალაქეების პირადი მონაცემებია დაცული (დაბადების წელი და სხვა). კითხვა ისმის: რომელი მოქალაქეების, რომლებიც დიდი ხანია საქართველოს მოქალაქეები არ არიან და ბევრი მათგანი ცოცხალიც აღარაა? საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა უფრო მნიშვნელოვანია, თუ ოდესღაც თრუსოში მცხოვრები ეთნიკური ოსების წლოვანების ნახვა? არადა, პროექტის ავტორებს მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები აინტერესებდათ, აგრეთვე მიგრაციული პროცესები და ამ პროცესების მიმართულება (ქვეყნის შიგნით და გარეთ), რომელიც აქ მიმდინარეობდა და ამ გადასახლებათა მიზეზები.

თერგის ხეობის ზემო წელის გეოგრაფიის შესახებ

გიორგი გოგოჭური

ქართული საისტორიო ტრადიცია ისტორიის თხრობას უმეტეს შემთხვევაში წინ ქვეყნისა და მისი მხარეების გეოგრაფიულ დახასიათებას წაუმძღვარებდა ხოლმე. ამ თვალსაზრისით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის დასახელებაც საკმარისია. თქმულს შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს, ლანშაფტის მოხილვის გარეშე ხშირად მთელი რიგი საკითხების გააზრება არასრულფასოვანია. ამ შემთხვევაში მხარის ეთნო-ისტორიულ პრობლემებს ვგულისხმობთ.

თერგის ხეობის (მდინარეს ქართული წყაროები მოიხსენიებენ სხვა სახელებითაც, კერძოდ, უწოდებდნენ ლომეკსა და პირიქით არაგვს) ზემო წელი ადმინისტრაციულად საქართველოს სახელმწიფოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს მოიცავს. აქ მიედინება მდინარე თერგი, რომელიც სათავეს იღებს მწვერვალ ზილგახოხის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მყინვარებიდან, ზღვის დონიდან 2.800 მეტრზე. სათავიდან 30 კილომეტრზე (ანუ თრუსოს ტერიტორიაზე) მიედინება კავკასიონის მთავარ და გვერდით ქედებს შორის. ადმინისტრაციული ერთეული გარდა უშუალოდ თერგის ზემო წელისა, მოიცავს მის მარჯვენა შენაკად სნოს წყლისა და მარცხენა შენაკად მნის ხეობის აუზებსაც. თრუსოში თერგს უერთდება შუატისის წყალი (მარცხნიდან) და დესის ხევი (მარჯვნიდან), აგრეთვე: ჯ(გ)იმარისწყალი, წოწოლთისწყალი, ესიქომი. დარიალში თერგს აქვს უზარმაზარი ვარდნა და მისი კალაპოტის აბსოლიტური ნიშნულები კლდეკარის უვიწროეს ნაწილში (მდინარე ხდის შესართავის მიდამოებში) ეცემა 1.350 მეტრამდე, ხოლო საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან – 1.200 მეტრამდე. თერგის ხეობის სათავიდან (თრუსოდან) გადასასვლელია დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ზახას ხეობაში, რომელიც ოფიციალურად თრუსოს უღელტეხილად (ზღვის დონიდან 3.150 მ.) იწოდება, თუმცა მას ადგილობრივი მოსახლეობა „ხელადურას უღელტეხილს“ უწოდებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ძირითადად კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს. ადმინისტრაციულად ყაზბეგის რაიონს არის მიკუთვნებული კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე გარკვეული ტერიტორიაც – თეთრი არაგვის ზემო წელი (ღუდა და მიმდებარე ადგილები).

თერგის ხეობის ზემო წელის ანუ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფართობი 1082 კმ^2-ია. თერგის ხეობის მონაკვეთზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან სოფელ კობამდე გადის საქართველოს სამხედრო გზა.

თერგის ხეობის ზემო წელს – ადმინისტრაციულ ყაზბეგის მუნიციპალიტეტს (ისტორიულ წანარეთს, შემდეგდროინდელ თრუსოს, მნასა და ხევს) აღმოსავლეთით საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ხევსურეთი ესაზღვრება, დასავლეთით დიდი ლიახვის ხეობისა და ქსნის სათევეები, სამხრეთით მთიულეთი და გუდამაყარი. რეგიონის ჩრდილოეთით

სახელმწიფო საზღვარი გადის, კონკრეტულად კი მას ესაზღვრება რუსეთის ფერდერაციაში შემავალი ოსეთი და ინგუშეთი. რაც შეეხება უშუალოდ თრუსოს, დასავლეთით მას საქართველოს ძირძველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე დვალეთი ესაზღვრება, რომელიც 1858 წლიდან რუსეთის შემადგენლობაშია. ჩრდილოეთით კი თრუსოს საზღვარი აქვს ოსეთის ქურთათის ხეობასთან. ისტორიულად თერგის ხეობის ზემო წელი ჯერ სახასო/სახელმწიფო ტერიტორია იყო, შემდეგ გარკვეული ხნით მას ქსნის ერისთავები ფლობდნენ, გვიან შუა საუკუნეებში კი არაგვის ერისთავთა სამფლობელოს წარმოადგენდა. საქართველოს სახელმწიფოს რუსეთის იმპერიაში მოქცევის შენდეგ ის თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის ერთი ნაწილი იყო.

თერგის ხეობის ზემო წელი საქართველოს მთიანეთის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ/ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებთან შედარებით უფრო დაწინაურებული იყო, რასაც უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა მასზე გამავალი გზა, რომლითაც ქვეყანა ჩრდილოეთს დარიალის კლდეკარის საშუალებით უკავშირდებოდა. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სოციალური დაწინაურება ძირითადად მაინც თერგის ხეობის ზემო წელის მხოლოდ ხევის მონაკვეთს ეხება. თრუსო ამ გზიდან მოწყვეტილი და ერთგვარად ჩაკეტილი იყო, რასაც გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებდა; ეს იყო კასარას (კასრის) ძალიან ვიწრო გასასვლელი, რომელიც, ფაქტობრივად, მისი მოსახლეობის მნის ხევსა და განსაკუთრებით ხევთან ინტეგრაციას აბრკოლებდა.

როგორც აღინიშნა, ჩვენს მიერ განსახილველი რეგიონი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო კალთებზე, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ კავკასიონს შორის გარდამავალ ზონაში, მდინარე თერგის სათავეებში. აქ 26 კილომეტრზეა გადაჭიმულია ხოხის ქედი, სადაც განლაგებულია მწვერვალები: სუათისი/შუატისი (4.480 მ), მაილი (4.620 მ), გიმარა/ჯიმარა (4.770 მ) და მყინვარწვერი (5.033 მ). როგორც თრუსოში, ისე ხევში ექვს ათეულამდე მინერალური წყაროა („მჟავე წყლები“). თრუსოში არის ტრავერტინები (კიროვანი ნაფენები), რომელიც მხარეს განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს. ბუნების მრავალფეროვნებისა და სილამაზის გამო თრუსოს „გეოლოგიურ მუზეუმს“ უწოდებენ.

თრუსოში იყო საქართველოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღალა მდებარე სოფელი რესი (2.400 მ), რომელიც ხეობის დასაწყისში მდებარეობდა.

თერგის ხეობის ზემო წელში ოდესღაც მთის ტყე იყო გავრცელებული, მაგრამ ტყის გაჩეხვის გამო, მისი ადგილი მეორად სუბალპურ მდელოებს უჭირავს. თრუსოში ძველად არსებული ტყის ადგილზე ამჟამად მხოლოდ ბუჩქნარებია (არყისა და ცირცელის მონაწილეობით) წარმოდგენილი. ხე-ტყე თრუსოს მოსახლეობას ხარებით ძირითადად დიდი ლიახვის სათავიდან – მაღრან-დვალეთიდან – შემოჰქონდა (მოხევეები კი ძირითადად მთიულეთის ტყეებით სარგებლობდნენ). მთური ლანდშაფტი თავისთავად განაპირობებდა აქაურთა სამეურნეო საქმიანობას. ხევთან შედარებით თრუსოში უფრო მეტი იყო სახნავ-სათესი ადგილები, მაგრამ აქაც ის შეზღუდული რაოდენობით არსებობდა. თრუსოში ბევრი იყო საძოვარი, შესაბამისად ადგილობრივთა სამეურნეო საქმიანობის ძირითად სფეროს მეცხოველეობა წარმოადგენდა. მხარეში გვხვდება ალპური და სუბალპური ფაუნისტური სახეობები: კავკასიური ჯიხვი, არჩვი, ნიამორი; მტაცებლებიდან – მგელი, მელა, მურა დათვი, კვერნა, დედოფალა. ეს კი ად-

გილობრივთა სამონადირეო საქმიანობასაც განაპირობებდა. მდინარეში არის კალმახი და თევზის სხვა სახეობები[1].

თრუსო დღეს გაუკაცრიელებულია. ადგილობრივი ოსური მოსახლეობა ჩრდილოეთ ოსეთისაკენ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის დასაწყისში დაიძრა. ამისაკენ მათ ახლოს მდებარე ორჯონიკიძის საქალაქო ცხორება იზიდავდა (აქეთკენ მიისწრაფოდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობაც), შემდეგ 1944 წელს თრუსოელთა გარკვეული ნაწილი (მესამედი) ინგუშთა განსახლების არეალში (პრიგოროდნი რაიონში) საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაასახლა. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე თრუსოში დარჩენილი ოსები მასობრივად აიყარნენ და გადასახლდნენ ჩრდილოეთ ოსეთში, რომლებმაც გაირეკეს მრავალრიცხოვანი საქონელი, რომელიც კოლექტიურ მეურნეებს ეკუთვნოდა (ოსების ოსეთში მიგრაციის შესახებ დაწვრილებით იხილეთ წიგნის შესაბამისი მონაკვეთი).

1 გეორაფიული მიმოხილვა ეყრდნობა: ა) საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I. თბ., 2000; ნაწილი II, თბ., 2003; ბ) ენციკლოპედია „საქართველო“, ტომო IV. თბ., 2018.

თრუსო – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე

(თრუსოელები XVII საუკუნის შუა ხანებამდე და შემდეგ)

როლანდ თოფჩიშვილი

ოსი ავტორები თრუსოს შესახებ

ქართველი ხალხის განსახლების არეალი ისტორიულად საკმაოდ ვრცელი იყო. საგარეო ფაქტორის გამო, ის თანდათანობით შემცირდა, განსაკუთრებით სამხრეთით. ჩრდილოეთით ქართული ეთნოსის კუთვნილი ტერიტორია ბუნებრივი ზღუდეებით შემოიფარგლებოდა. ამიტომაც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ეს საზღვარი, ფაქტობრივად, ხელშეუხლებელი იყო. მხოლოდ რუსეთის იმპერიამ მოახერხა მისი დარღვევა, როდესაც საქართველოს მისი ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – დვალეთი ჩამოაცილა 1858 წელს და რომელიც 1801 წელს შეიერთა როგორც ქართლ-კახეთის ერთ-ერთი მხარე და რომელიც თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, როგორც ნარას „უჩასტკა“, თერგის ოლქს გადასცა.

რუსეთის იმპერია დღესაც ცდილობს შეკვეცოს საქართველოს ტერიტორიული საზღვრები. ის კი ამას აკეთებს სხვისი – ოსების ხელით. ადრე რამდენიმე ნაშრომში გვქონდა საუბარი მკითხველთან ოს „სწავლულთა“ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, რომლებიც ძირძველ ოსურ მიწაწყლად აცხადენენ არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შექმნილ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას, არამედ მტკვრის მთელ მარცხენა მხარეს და არაგვის მარჯვენა მხარეს. ისინი ამ ტერიტორიების მისაკუთრებაზე ოცნებობენ, ისე რომ, „მომავალ“ სამხრეთ ოსეთში გულისხმობენ ღუდას, მლეთას, გუდაურს, ჭართალს, ხანდოს, დუშეთს, გორს და საქართველოს უძველეს დედაქალაქს მცხეთას. არ დაგვავიწყდეს, მცხეთაში აგებული ქართველთა სიამაყე, თურმე, ოსთა წინაპრების აშენებულია და სვეტიცხოვლის ადრინდელი სახელწოდება „ოსთცხოველი“ ყოფილა. ამ პრეტენზიების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ორი დიდი მაგისტრალი საქართველოს სამხედრო გზა და ავტობანი უკვე ოსთა მომავალი და გაფართოვებული სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა აღმოჩნდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პრეტენზიები რუსულ იმპერიულ-სახელმწიფოებრივ წრეებშია ჩამოყალიბებული. ოსები ამ იდეებს უბრალოდ ახმოვანებენ.

ამ ბოლო დროს ოსმა ავტორებმა მეტად აქტიური გახადეს თრუსოს საკითხი, რომელსაც აღმოსავლეთი ოსეთი უწოდეს. სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში (1960-იან წლებში) მათ თრუსო (კობის ქვაბულიც), დვალეთთან ერთად, ცენტრალურ ოსეთში მოაქციეს. ლოგიკა ასეთი იყო – თუ არსებობს ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი, ე. ი. უნდა გამოიყოს ცენტრალური ოსეთიც[1]. ოსი ავტორების მიერ საქართველოს ტერიტორიების მიმართ პრეტენზიები პოლიტიკითაა ნასაზრდოები. ასეთ „ნაშრომებს“ კი მეცნიერებასთან

1 *Б. А. Калоев*. Осетины. М., 1971, С. 52, 58.

საერთო არაფერი აქვს, ასეთთათვის არავითარი საისტორიო წყარო, დოკუმენტი არ არსებობს და თუ ასეთ წყაროებს მოიხმობენ, მოიხმობენ საკუთარი ინტერპრეტაციით, რაც იმას გულისხმობს, რომ სინამდვილეში ეს წერილობითი ძეგლები ერთს ამბობენ, მკითხველს კი სხვა რამეს აუწყებენ, სთავაზობენ იმას, რომ თურმე ამ ტერიტორიებზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები ოსთა წინაპრების მიერაა შექმნილი; იგივეს წერენ არქეოლოგიური კულტურების შესახებ. ფალსიფიკატორი ავტორები განსჯიან რუსეთის ძველ, საბჭოთა პერიოდისა და თანამედროვე რუს პოლიტიკოსებს, რომ ისინი არაშორსმჭვრეტელნი იყვნენ, რადგან „ძირძველი ოსური მიწები“ საქართველოს შემადგენლობაში მოაქციეს. რაც მთავარია, მკითხელს შეაგონებენ, რომ თერგის ხეობაში ქართველებს არასდროს უცხოვრიათ და რომ უძველესი დროიდან აქ მხოლოდ და მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ და, თურმე, არც ამის დამადასტურებელი რაიმე წყარო არსებობს: «Трусовское ущелье, наряду с Гудским ущельем и Кобинской котловиной, является родиной для представителей 65 осетинских фамилий. Сегодня для выходцев из 33-х осетинских сел, их родина – стала для них недоступным зарубежьем. **Причиной этому были и историческая несправедливость, и недальновидность российских политиков, и коварные перипетии судьбы. Если взглянуть на физическую карту Осетии, можно увидеть, что указанные ущелья расположены между Главным и Боковым хребтами Кавказских гор. Наряду с Мамисонским и Закинским ущельями, Нарской и Зарамгской котловиной Трусовское и Гудское ущелья и Кобинская котловина также относятся к Центральной Осетии. Но, между тем, вопреки логике и справедливости, они входят в состав Грузии. В то время как эта земля никогда грузинской быть не могла (!), так как грузины на ней попросту никогда не жили. Нет ни одного доказательства их пребывания в этих краях даже в прошлом.** Хотя археологические раскопки в этих ущельях никогда и не велись, но даже судя по надземным строениям – башням, замкам, комплексу оборонительных и хозяйственных построек, древним захоронениям, сохранившим в преданиях название «царциаты инганта», – **можно с уверенностью говорить о наличии здесь единственного народа, издревле жившего в этих местах – осетин и их далеких предков»**[1]. დიახ, ოსი ავტორების მეზღაპრეობას საზღვარი არაა აქვს. თურმე, მათი შორეული წინაპარები კავკასიაში ძვ. წ. XVI-XIV საუკუნეებში ცხოვრობდნენ, რომელთა სახელწოდებაც „თ(ტ)ირსი“ ყოფილა, რაც შეესატყვისება თრუსოს ხეობის ოსურ სახელწოდებას – „თირსიგომს“: «А кроме того, историкам, изучающим Древний мир, известны племена, жившие на Кавказе в 16-14 веках до н.э., носящие имя «Тырсы». Что соответствует осетинскому названию Трусовского ущелья – Тырсыгом»[2]. ასეთ ნონსენსზე მეცნიერი კომენტარს არ უნდა აკეთებდეს, მაგრამ რადგან მას მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური საფუძველი უდევს, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი წყარო, თანაც ძვ. წ. XVI-XIV საუკუნეებისა არ არსებობს. ერთადერთი ის შეიძლება ხეთურ წყაროში ყოფილიყო, მაგრამ ფონეტიკურად მიმსგავსებული ეთნონიმიც კი არაა ამ წყაროებში ნახსენები.

ყალბისმქნელობითა და საისტორიო ფაქტებისა და წყაროების დამახინჯე-

1 *А. Туаева.* https://region15.ru/article/trusovskoe-uschel-e-pochemu-ono-za-granicey/

2 *А. Туаева.* https://region15.ru/article/trusovskoe-uschel-e-pochemu-ono-za-granicey/

ბით არც სხვა ავტორები ჩამორჩებიან. თურმე, ქართული წყაროების თანახმად თერგის ხეობის სათავეში (თრუსოში) ოსები ადრე შუა საუკუნეებში, VII საუკუნეში დასახლდნენ: «Судя по многим грузинскиом источникам, осетины заселяли Трусовское ущелье по меншей мере с раннего средневековья (VII в.). Это была юго-восточная окраина Двалети – територии осетин-двалов, которая охватывала многие районы горной Северной и Южной Осетии. Существование осетинского этноса в Трусовском ущелье, во всяком случае, с раннено аланского средневековья, доказывается осетинской топонимикой и множеством памятников их материальной Культуры – башнями раэличных типов, склепами, древними святиличами и т. д.»[1]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ ქართულ წყაროში ადრე შუა საუკუნეებში (VII ს.) არც თრუსოში და არც მიმდებარე მხარეებში ოსების დასახლებაზე ირიბი მითითებაც კი არაა. როდესაც წყაროებზეა საუბარი მეცნიერები ჩვეულებრივ ამ წყაროებს უთითებენ, უკეთეს შემთხვევაში მკითხველს ამ წყაროდან ამონარიდს სთავაზობენ. ოსი ავტორები მარტივ მეცნიერულ ეთიკას უგულვებელყოფენ, რადგან ქართულ წერილობით ძეგლებში მსგავსი რამ არ წერია. მოყვანილი ციტატის ავტორი უფრო შორს მიდის და თრუსოში ადრე შუა საუკუნეებში ოსების მკვიდრობის დამადასტურებელი ყოფილა თურმე ადგილთა სახელები (ტოპონიმები) და მატერიალური კულტურის ძეგლები. სადაა ასეთი ოსური ტოპონიმები, რომელ წყაროში, არც ამის შესახებაა მითითება. მისი არარსებობის გამო, ავტორი ვერც მიუთითებდა. რაც შეეხება მატერიალურ კულტურას (კოშკები, სალოცავები, აკლდამები...), თრუსოში ადრე შუა საუკუნეებისა არც ერთი არაა. კოშკები და ხატ-სალოცავები საკმაოდ გვიანდელი პერიოდისაა (გამონაკლისია მხოლოდ მცირე ზომის ქრისტიანული სალოცავები/ეკლესიები). იგივე ითქმის აკლდამების შესახებ. აქ არაა დადასტურებული მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა აკლდამები. მიწისქვეშა აკლდამები არის და ისინი არა ადრე შუა საუკუნეებში, არამედ გვიან შუა საუკუნეებშია აგებული, იმ დროინდელია, როდესაც აქ ოსები დასახლდნენ (XVII საუკუნის შუა ხანები).

გადმოცემები მიუთითებენ, რომ კავკასიის მთებში, მათ შორის, დვალეთსა და თრუსოში ოსები საკმაოდ გვიანდელი მოსულები არიან. ამ ფაქტს თვით ოსი ავტორები ადასტურებენ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ უფრო ადრე თრუსოში (და დვალეთშიც) ოსები ცხოვრობდნენ. ისინი არად დაგიდევენ იმას, რომ წერილობითი ძეგლები აქ ოსების მკვიდრობის შეასახებ არაფერს გვეუბნებიან. ამ მხრივ გამოირჩევა *ფ. გუტნოვი*, რომელმაც ოსური სოფლებისა და გვარების ისტორიას წიგნი მიუძღვნა, რომელშიც ერთი მონაკვეთი თროსოს შესახებაა. ავტორმა შეისწავლა თრუსოში მცხოვრები ყველა გვარის ისტორია, გაარკვია, რომ ისინი ძირითადად დვალეთიდან და ჩრდილოეთ ოსეთის სხვადასხვა ხეობიდან (ძირითადად ქურთაულიდან/ქურთათიდან) არიან მოსული. ოსების თრუსოში დასახლებას ფ. გუტნოვი XVI-XVIII საუკუნეებით განსაზღვრავს, მაგრამ ამ მოსახლეობამდეც აქ ოსები ცხოვრობდნენო, რომელთა პირველი ტალღაც VI საუკუნეში მოსულა. შემდეგაც, თურმე ოსების მიგრაცია სამხრეთ კავკასიაში არ შეწყვეტილა. ყველაზე ძლიერი ტალღა კი თრუსოში ოქროს ურდოს პერიოდში მიგრირებულა. უფრო მეტი, XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში თრუსო ალანი არიტოკრატების – მეფის შვილების ფარეჯანისა და ბაღათარის, გავლენის სფეროში ყოფილა. მხოლოდ გვიან მიუქცევია თრუსოს ქართველთა, კერძოდ კი, ქსნის ერისთავების ყურადღება, რომლის წინააღმედეგაც, თურმე დიდი ხნის განმავლობაში

1 *С. Цаллагов*. Трусовкое ущелье. Журнал «Дарьял», №4, 2019.

იბრძოდნენ და XIV საუკუნის ბოლოს თრუსოელები ქართველ ფეოდალს დამორჩილებიან [Возвращаясь к рассказу о Четрисе, ответим, что здесь бытовало очень много интересных преданий. В Четрисе так же, как и в других местах, утверждают, что Тырсыгом трижды заселялся и трижды население вымерло. А последнее заселение, будто бы, связано с человеком по имени Чето. Какая-то доля истины в этом утверждения есть. Большинство современного населения – потомки переселеннцев XVI-XVIII вв. из разных ущелии Осетии. А вед до этого зденсь кто-то жил. Об этом говорят остатки безымянных башен, заброшенных аланских поселений, Трусовская надпись 1326 года на осетинском (аланском) языке и т. д. Утверждение фольклорной традиций о том, что население Тырсынгома трижды вымирало, также имеет реальное основание. Эпидемии резко сокращали численность населения всех регионов мира. Разумеется, беды и лишения влияли на демографическю ситуацию в Тырсингоме. В какие-то моменты отдельные поселения ущелья вполне могли опустеть. Если речь вести о нашей эре, то первая волна ираноязычых пришелцев в Тырсыгом бесспорно доказывается материалами VI века (это не означает, что аланы, сармати или скифы не могли осесть здесь раньше). По предположению Р.Г. Дзатиаты, аланы,обосновавшиеся в Едыс, в Южною Осетию пришли из Тырсыгома. В дальнешем миграция алан в Закавказье не прекращалось. Самая мощная волна происходится на золотоординский период, Территория Тырсыгома в конце XIII – начале XIV веков входила в сферу вляния аланских аристократов, в частности – царевичей Фареджана и Багатара. Рассматриваемая территория привлекла внимание и ксанского эристава, происходившего из ветви Сидамонта аланских феодалов. Однако, как подчеркивают грузинские источники, свободолюбивые и воинственные трусовцы долгое время успешно отражали нападения эристава. В конце XIV века ксанской эристава Виршел совершил поход в Трусовское и Кобинское ущелья. Решающее сражение произошло у селения Мна. … Тогда был убиты от большого числа стрел главы и богатыри их: Сунгу, Фареджан, Амсаджан, Багатар и многие другие»[1].] ასე რომ, ოსი ავტორი სასურველს ჭეშმარიტებად აცხადებს, რომ თრუსოში ოსების მესამე მიგრაციული ტალღა განხორცეილდა და რომ აქ ალანების (სარმატების, სკვითების) მიგრაცია ხდებოდა; პირველი ტალღა კი VI საუკუნეში მოსულა, რასაც თურმე ის მოწმობს, რომ დიდი ლიახვის სათავეში, სოფელ ედისში ეთნიკური ოსები VI საუკუნეში თრუსოდან გადმოსახლებულან. მეცნიერი ხომ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს. მას წერილობითი ძეგლი არ სჭირდება – რ. ძათიათის ვარაუდიც საკამრისია. თურმე თრუსო XII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ალანური არისტოკრატიის გავლენის სფეროში შედიოდა, კერძოდ, მეფის შვილების – ფარეჯანისა და ბაღათარისა. დიდხანს უბრძოლიათ თრუსოელებს მათი მეთაურობით ქსნელი ერისთავების წინააღმდეგ. სხვათა შორის, თრუსო ქსნის ერისთავებს საქართველოს მეფისაგან ჰქონდა ნაბოძები. ეს ცნობა კი ფ. გუტნოვის მიერ მოხმობილ „ძეგლი ერისთავთაშია“ დაცული: „მაშინ წარვიდა ყოველი სპაჲ სპარსთაჲ. მაშინ მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდა, გაგასძენი, მლეთე...“[2]. ოს ავტორს მკითხველი შეცდომაში შეყავს, როდესაც წერს, რომ თრუსოელები დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით იგერიებდნენ ერისთავის თავდასხმებს. პირიქით, წერილობითი

1 *Ф. Х. Гутнов*. Века и люди (из истории осетинских сел и фамилии), Владикавказ, 2001, с. 181-182.

2 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965, გვ. 106.

ძეგლი გვაუწყებს, რომ თრუსოელებმა ერისთავს მორჩილება გამოუცხადეს: „მაშინ ჩავიდა თ რ უ ს უ ს და მოეგებნეს თრუსოელნი მრავლითა ძღუენითა და ერთგულობისა ჩუენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას“[1]. თრუსოელები მნელებთან დაპირისპირებული იყვნენ, რომლებიც თრუსოელებივით არ ეახლნენ ვირშელ ერისთავს. თრუსოელებად გამოცხადებული სუნღუ, ფარეჯან, ამსაჯან და ბაღათარ კი სინამდვილეში მნაველები იყვნენ. ქსნის ერისთავს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მნაველების დასამორჩილებლად: „მაშინ შესტეხეს კარები და შეიპყრეს ყოველი მბრძოლნი და მოიყვანეს წინაშე ერისთავისა და დაწუნეს და დაარღჳვნეს ციხენი და სოფელნი იმათნი“[2].

ქართული წყაროები თრუსოს შესახებ

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ოსი ავტორები ებღაუჭებიან იმ ტერიტორიებს, რომელზედაც ოსები მოგვიანებით დასახლდნენ. *ბორის კალოევი* მკითხველს ატყუილებს, რომ მონღოლთა შემოსევამდე დიდი ხნით ადრე, თურმე, საქართველოს ჩრდილოეთი მონაკვეთი ალან-ოსებით იყო დასახლებული. ამის „დამამტკიცებელი“ ყოფილა მატერიალური კულტურა (ცარციათების ნაქალაქარი), და, რაც მთავარია, ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობა, რომელთაგანაც განსაკუთრებული მნიშვნელობისა ყოფილა „ქსნის ერისთავების ქრონიკა“ და 1957 წელს მის მიერ ნაპოვნი საფლავის ქვა, რომელზედაც სირიულ-ნესტორიანული ანბანით ოსური ტექსტია დაწერილი (კონკრეტულად რა წერია ამ ტექსტსში, არც ბ. კალოევი და არც სხვები, არაფერს გვაუწყებენ) და, რომელიც *გ. ტურჩანინოვმა* 1326 წლით დაათარიღა (!!!)[3]. დასახელებული ავტორი არც იმას აუწყებს მკითხველს, რა წერია ოსების მკვიდრობის შესახებ თრუსოში „ქსნის ერისთავთა ქრონიკაში“, რომლის მიხედვითაც თრუსო, ხევთან ერთად, XIV საუკუნეში ქსნის საერისთავოში შედიოდა. და რომ ის ქსნის ერისთავებს მეფეთაგან ჰქონდათ ნაბოძები: „მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდა (ეს ის ღუდაა/თეთრი ანუ მთიულეთის არაგვის სათავე, რომელზედაც ასევე პრეტენზია გააჩნიათ ოსებს და რომელსაც თრუსოსთან ერთად ცენტრალურ ოსეთად აცხადებენ – რ. თ.), გაგასძენი...“[4]. აღნიშნულ დროს თრუსოელები რომ ქსნელი ფეოდალების ერთგულნი იყვნენ, ამის შესახებ იგივე მემატიანე გვაუწყებს: „მაშინ ჩავიდა (ვირშელ ერისთავი – რ. თ.) თრუსოს და მოეგებნეს თრუსოელნი მრავლითა ძღუენითა და ერთგულობისა ჩუენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას“[5]. ამრიგად, მნა ცალკე ხევი (ხეობა, ტერიტორიული თემი) იყო და არა თრუსოს ერთი სოფელი, როგორც დასახელებულ ავტორს წარმოუდგენია.

მართლა ოსებისაა თრუსო? ქართველებს იქ არ უცხოვრიათ? – პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ოსები ძირძველი კავკასიელები არ არიან. კავკასიის მთებში მოსვლამდე შუა აზიიდან წამოსულებმა დიდი და ხანგრძლივი გზა გაიარეს[6]. კავკასიის მთებში მათ მხოლოდ მონღოლთა შემოსევების

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965, გვ. 113.

2 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965, გვ. 113.

3 *Б. А. Калоев*. Осетины. М., 1971, С. 58.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1963, გვ. 106.

5 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965, გვ. 113.

6 *რ. თოფჩიშვილი.* ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008.

დროს შემოაღწიეს. ოსების ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შემოსვლა ერთჯერადი ფაქტი არ ყოფილა – ის თემურლ-ლენგის შემოსევების დროს დასრულდა. თანდათან მათ ქართველთა განსახლების არეალშიც შემოაღწიეს, ჯერ დვალეთი დაიკავეს XVI საუკუნეში, ხოლო XVII საუკუნის შუა ხანებიდან შიდა ქართლის მთიანეთი[1] – ჩვენ მიერ ნახსენები თრუსოც შიდა ქართლის მთიანეთში შედის. თრუსოსთან (თერგის ხეობის სათავე) ერთად იმ დროს ისინი მაღრან-დვალეთშიც (დიდი ლიახვის სათავე) სახლდებიან. მაღრან-დვალეთი სულ ცხრა „მთური სოფლისაგან“ შედგებოდა (*ბრუტაული, ზემო კაბუეთი, ქვემო კაბუეთი, კელიათკარი, ხოჯა, ედისი, ზემო ერმანი, შუა ერმანი, ქვემო ერმანი*). ბარემ აქვე ვიტყვით, მაღრან-დვალეთი ძველქართულად ტყიან დვალეთს ნიშნავს.

ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილოეთით ქართველთა განსახლების არეალი ბუნებრივი ზღუდეებით იყო შემოსაზღვრული. ხშირად შეცდომით წერენ, რომ ეს ბუნებრივი ზღუდე კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გადის. გადის, მაგრამ არა ყველგან. აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მონაკვეთში ზოგან კავკასიონის წყალგამყოფი ქედი პარალელურად მდებარე ჩრდილოეთ ქედზე დაბალია და მასზე გადასვლა უფრო მოხერხებულია. ეს უკანასკნელი ქედი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი „პირიქითელ“ ქედს უწოდებდა, მაღალი და გაუვალია. იქ, სადაც მთავარი წყალგამყოფი ქედი დაბალია, მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები ოდითგანვე ქართველთა განსახლების არეალი იყო. ეს ტერიტორიებია: დვალეთი[2], თუშეთი, პირიქითა ხევსურეთი, ხევი. ხევი დღევანდელ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შედის, რომელშიც ქართველი მთიელი – მოხევეები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესაა მდინარე თერგის სათავე (მდინარე თერგს ქართული წერილობითი ძეგლები „ლომეკსა“ და „არაგვსაც“ უწოდებენ. „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი მას „იქით არაგვს“ უწოდებს[3]). აქ მდებარეობს თრუსოც, რომელიც აღნიშნული მდინარის უკუდურეს ზემო წელს მოიცავს. *ვახუშტი ბაგრატიონი* თრუსოს შესახებ გვაუწყებს: „ამა ჩასავალს ზეით არს თ რ უ ს ო სამ ჴევად. აღმოსავლეთით აქვს ჴევი, დასავლით ზახა და მაღრან-დვალეთი, სამხრით მთიულეთი, ჩრდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასიით, თვინიერ ხევიდამ. მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“[4]. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მეცნიერი პირდაპირ ხაზს უსვამს, რომ მის დროს თრუსოში უკვე ნარევი მოსახლეობა იყო, სადაც ადგილობრივი დვალები (ქართველი მთიელები) მიგრირებულ ოსებთან ერთად

---

1 *რ. თოფჩიშვილი.* საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

2 დვალეთი რომ უძველესი დროიდან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო და დვალები – ქართველი მთიელები, ქართვულ მეცნიერებაში არასდროს ეჭვს ქვეშ არ დაყენებულა. მხოლოდ ოსმა „მკვლევარებმა“ აქციეს დვალების ქართველობა საკამათოდ და ისინი ცენტრალურ კავკასიაში მოსახლე უძველეს ირანულენოვან ერთობად გამოაცხადეს. დვალების ქართველობის დამადასტურებელი სამეცნიერო ნაშრომებიდან იხ.: В. Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961; რ. თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალები: საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი, თბ., 2016; Р. Топчишвили. Об Этнической принадлежности двалов. – Осетины в Гузии, Тб., 2015, 163-205. .

3 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1963, გვ. 106.

4 ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 357.

თანაცხოვრობდნენ. ვახუშტი იმასაც გვაუწყებს, რომ თრუსოს დასავლეთიდან დვალეთის ზახას ხეობა ესაზღვრებოდა: „ხოლო ზახის აღმოსავლეთის მთის იქით არს თ რ უ ს ო, რომელსა აქუს აღმოსავლით მთა, ხოხიდამ და ჴევის ყელიდამ ჩამოსულნი მთანი შთასავალამდე, და მთანი ესენი განჰყოფენ ჴევსა და თრუსოსა; სამჴრით კავკასი, მთიულეთისა, მაღრან-დუალეთსა და თრუსოს შორისი; ჩრდილოთ მყინვარი და ხოხის კავკასნი; დასავლით თრუსოსა და ზახას შუათი მთა. და არს თრუსო სამ ჴეობად. გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მაღრან-დუალეთის კავკასსა და მესამე ხოხის კავკასსა. ამ ჴეობაზედ, ხოხისკენ, არს ეკლესია ყოვლად წმიდისა მცირე. და არიან ამ ჴევთა დაბნები ჲ (აშიაზე: ეკლესია და დაბნები რვანი)“[1]. **ვახუშტი თრუსოს მოსახლეობასაც დვალებს უწოდებს, ისევე როგორც შიდა ქართლის მთიანეთში მოსახლეებს: „მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დუალეთიდამ გარდმოსულნი“.** აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ *ვახუშტი ბაგრატიონი* მკვეთრად მიჯნავდა დვალებს ოსებისაგან – დვალეთიდან ჩრდილოეთით გასასვლელი კასრის კარის შესახებ ის წერს: **„და არს კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი“**[2]. [შევნიშნავთ, რომ თრუსოს სამ ხევზე როდესაც საუბრობს ვახუშტი, ამ სამ ხევში იგილისხმება თერგის სათავე, დესის წყალი და შუატისის წყალი].

ასე რომ, თრუსოს ესაზღვრება ისტორიული დვალეთის ზახას ხეობა, რომელიც დღეს რუსეთის ფედერაციაში შედის. თრუსოს საზღვარი აქვს მაღრან-დვალეთთანაც (მდინარე დიდი ლიახვის სათავე), საიდანაც გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით – ეს ხდება ზღუბირი-ედისი-ხოჯიდან; „თრუსოს ხეობაზე თუ წახვალ, მარცხენა მხარეზე გადახვალ მაღრან-დვალეთში. ზაქაგორის პირდაპირ თერგის მარცხენა მხარეზე სოფელ დესს აივლი და გადახვალ მაღრან-დვალეთში“; „როკიდან თრუსოში გადასვლა შეიძლება სბის მთით. რაც შეეხება ვახუშტის მიერ თრუსოს სამხრეთით მთიულეთის მოხსენიებას, რა თქმა უნდა, ესეც სრული ჭეშმარიტებაა. თრუსოს ეს სამხრეთი საზღვარი უშუალოდ გააჩნდა მთიულეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ღუდას თემთან (თეთრი ანუ მთიულეთის არაგვის სათავესთან). თრუსოში ღუდადან შესულა 1808 წელს გერმანელი იულიუს კლაპროტი.

სწორედ აქ, თერგის ხეობაში, იყო და არის გამაგრებული სასაზღვრო პუნქტი „დარიალი“, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ადრე ქრისტეს შობამდე ქართველმა მეფეებმა ააშენეს. კ. განი წერდა, რომ დარიალს ქართველები „ხევის კარს“ უწოდებდნენ, სადაც ქართველ მეფეებს მუდმივად გარნიზონი ეყენათ, რათა თავი დაეცვათ მთიელებისა და კავკასიისპირეთის მომთაბარეებისაგან[3].

---

1 ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 647.

2 ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 645.

3 «В грузинском просторечии Дариальская теснина называется обикновенно Хевис-кари, т. е. ворота ущелья (хеви по-груз. значит вообще ущелье и, в частности, ущелье Терека, выше Дариала). ... Для защиты от опустошительных набегов со стороны горцев и кочевников прикавказских степей через Дариальскую теснину в пределы Закавказья, цари Грузии держали всегда гарнизон при входе в теснину и искусственным сооружениями преграждали путь по ущелью». – Опит объяснения Кавказских географических названий. Составиль К. Ган, Тифлис, 1909, С.49

მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა წერდა: „ამას ქვეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით, კიდესა ზედა, გ მეფის მირვანის მიერ – შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდენ“[1]. მისი ძველი სახელწოდება „არაგვის კარი“ იყო. ამ სასაზღვრო ჭიშკრის გამაგრებით ძველი ცივილიზებული სამყაროც იყო დაინტერესებული, რათა ბარბაროსული და ნომადური სამყაროს შემოსევები აეცდინათ თავიდან. ჩრდილოეთით გასასვლელი ამ კარის სახელწოდებაც ცივილიზებულ მახლობელ აღმოსავლეთში გაჩნდა, კერძოდ, ირანში – ირანელებმა მას „დარი-ალან“, ალანთა კარი ანუ ალანთა განსახლების არეალში გასასვლელი უწოდეს. რატომ იმსახურებდა თერგის ხეობაში არსებული გასასვლელი მათ ინტერესს? პასუხი მარტივია – ევრაზიის ნომადური სამყაროდან საშიშროება ბერძნულ-რომაული სამყაროსა და მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზებულ ხალხებს სწორედ აქედან ელოდათ. ასეთი ერთ-ერთი მომთაბარე ხალხი კი მათთვის ალანები – დღევანდელ ოსთა წინაპრები – იყვნენ. მახლობელ აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური გაერთიანებების, აგრეთვე ანტიკური სამყაროს ინტერესებში შედიოდა საქართველოში ძლიერი სახელმწიფოს არსებობაც, რომელიც შეძლებდა მუდმივად და სათანადოდ გაეკონტროლებინა „არაგვის კარი“/დარიალი (და, რა თქმა უნდა, სხვა გადასასვლელებიც). რომაელთა შემოსვლის დროს, მათ დარიალი იბერიის (ქართლის) სამეფოს ხელში დახვდათ. I საუკუნის რომაელი ავტორის აღნიშვნით, „კავკასიის კარი უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით. მდინარის გამოღმა აგებულია სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“.

თრუსოს არაგვის საერისთაოს შემადგენობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის შესახებ 1827 წელს მიუთითებდა ი. ჭილაშვილი: „ძველ დროს საქართველო იყოფოდა სხვადასვა საერისთავოებად და მხარეებად. ამ დაყოფის მიხედვით დარიალი ეკუთვნოდა არაგვის საერითავოს, რომელიც ვრცელდებოდა ამ ადგილიდან თერგის აღმა თრუსოს უკანასკნელ სოფელ სივერადთამდე და არაგვის დინების მიმართულებით მდინარე ნარეკვავამდე, სადაც დაწესებულია ღართისკარის საგუშაგო და მოიცავდა ხევს, თრუსოს, ზახას...“[2].

ასე რომ, თერგის ხეობის ზემო წელში, გარდა ხევისა, ქართული წყაროებით, თრუსოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეც არსებობდა და არსებობს, რომელშიც დროთა განმავლოაში, მოსახლეობა შეიცვალა, სადაც X საუკუნისათვის, წანართა ეთნოგრაფიული ჯგუფის კახეთში გადასახლების შემდეგ, ჯერ ქართველთა სხვა ჯგუფი – დვალები დასახლდნენ, საბოლოოდ კი XVII საუკუნის შუა ხანებიდან ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულ ოსთა განსახლების არეალად იქცა. დვალების თრუსოში მკვიდრობა (დაახლოებით XI-XII საუკუნეებიდან) სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თრუსოც დვალეთი იყო, კერძოდ, ამას წერს ვ. ითონიშვილი: „თერგისა და სნოს ხეობებთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებშია მოქცეული თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეები და თრუსოს ხეობა – ისტორიული დვალეთის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც დასახლებული იყო დვალებით, ქართველების მონათესავე ტომით,

1 ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 358.

2 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том VII с. 347-348.

გვიანფეოდალურ ხანაში ამ ხეობაში ოსები დასახლდნენ, რის შედეგად მოხდა დვალების ასიმილასცია. დვალთა ასიმილაციის პროცესი აქ XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული“[1]. განვმარტავთ, რომ თრუსო ადრე შუა საუკუნებში წანარეთის ერთი ნაწილი იყო (შემდეგდროინდელ ხევთან ერთად). წანართა შთამომავლები შემდეგ მხოლოდ ხევში დარჩნენ, თრუსო კი დვალებმა დაიკავეს, რომელთა დვალეთიდან თერგის ზემო წელში (თრუსოში) გადმოსვლამ სრულიადაც არ განაპირობა ის, რომ ეს უკანასკნელი რეგიონიც დვალეთად ქცეულიყო. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ფორმირებას გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებდა. იგივე მიზეზი უშლიდა ხელს თრუსოს დვალეთთან შერწყმას (სხვა ხეობა და თითქმის გაუვალი ძალზედ მაღალი მთები უშლიდა ხელს. თრუსოს უფრო მეტი საერთო ხევთან ჰქონდა, თუმცა მათ შერწყმასაც, ერთ ეთნოგრაფრიულ მხარედ ჩამოყალიბებასაც გეოგრაფიული ფაქტორი უშლიდა ხელს; ეს იყო კასარას ვიწროები. კიდევ ერთი – დვალები იყვნენ არა ქართველების მონათესავენი, არამედ ქართველები, ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი. სხვათა შორის, დვალები დვალეთის ჩრდილოეთით, კასრის კარის იქითაც მოსახლეობდნენ (მაგალითად, ნიკოლოზ დვალი დვალეთს გარეთ, კასრის კარის ჩრდილოეთით სოფელ ცეიში იყო დაბადებული), თუმცა ეს ფაქტი იმავე ვახუშტი ბაგრატიონისათვის არ გახდა იმის საფუძველი, რომ ის ტერიტორიაც დვალეთად გამოეცხადებინა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ თრუსო-ხევის მთავარი სამდინარე არტერია მისი სათავიდან ვიდრე დარიალამდე (საქართველო-რუსეთის საზღვრამდე) მხოლოდ 50 კილომეტრია. 2013 წელს ვლადიკავკაზში დაბეჭდილ „ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ თრუსოს შესახებ ვკითხულობთ, რომ ის ახლა საქართველოს შემადგენლობაშია. თითქოს როდესმე ოსეთის რაიმე პოლიტიკური წარმონაქმნი არსებობდა და თრუსო მისი შემადგენელი ნაწილი იყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თრუსო (თერგის ხეობის სათავე არც არასოდეს არ ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ) გვიან შუა საუკუნეებში (ისევე როგორც ხევი) არაგვის ერისთავების საგამგეოში შედიოდა. უფრო ადრე კი საუკუნეთა განმავლობაში თრუსო ხევთან ერთად სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში კი XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან აღმოჩნდა. **1732 წლის საბუთში თრუსოელები, ღუდელებთან ერთად, „არაგვის ერისთავის მთის კაცებად“ არიან მოხსენიებული[2].** 1733 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავი სიგელს აძლევს გერგეტის საყდრის ყმებს იმის გამო, რომ „თათარნი ჴევს გვართმევდნენ, სულ მოხვედით და თავი დასდევით. ... ჩვენც სხვაგან ლაშქრობა ამოგიკვეთეთ, საყდარი უნდა შეინახოთ ერთი, ასე რომ ჴევს თუ მტერი მოუხდეს, **ჴევსა და თრუსოს**, უნდა ილაშქრევდეთ“[3]. მოყვანილი ამონაწერი პირდაპირ მიუთითებს იმ შესახებ, რომ თერგის ხეობის მკვიდრი „მთის კაცები“ საქართველოს სხვა მხარეებში შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლისაგან განთავისუფლდნენ და მათ ამჯერად მხოლოდ ხევისა და თრუსოს დაცვა ევალებოდათ გარეშე მტრებისაგან. მხოლოდ გაურკვე-

1 ვ. ითონიშვილი. ხევი. გზამკვლევი, თბ., 1984, გვ. 4.

2 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, *ნ. ბერძენიშვილის* რედაქციით, თბ., 1940, გვ. 233.

3 ქრონიკები, *თ. ჟორდანიას* გამოცემა, 1967, გვ. 141.

ველია, კონკრეტულად ვინ იყვნენ თათარნი, რომელნიც „ხევს გვართმევდნენ“, ან საიდან იყვნენ ეს „თათარნი“ შემოსული? შესაძლებელია, ეს „თათარნი“ ისევ ოსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც დვალეთიდან და ქურთათის ხეობიდან იყვნენ გადმოსული ტერიტორიების ათვისების მიზნით. ასეთი „შემოსევა“ ხომ თერგის ხეობის სათავემ XVIII საუკუნის ბოლოს მაინც განიცადა მაღრან-დვალეთელი ოსების მიერ, რის უშუალო მიზეზი გამრავლება და მთურ გარემოში მიწის სიმწირე და სიმცირე იყო. დასაშვებია, რომ ხევის (აგრეთვე თრუსოს) წამრთმევნი ოსმალები იყვნენ, რომლებიც ბართან ერთად მთაში გაბატონებასაც ცდილობდნენ, მითუმეტეს, აღნიშნული რეგიონის ხელში ჩაგდებით ისინი დარიალის გასასვლელსაც გააკონტროლებდნენ. საქართველოს ხელისუფალნი მთიელებს და, მათ შორის ოსებს, ყოველთვის გარკვეულ შეღავათებს აძლევდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ მეფე ერეკლე II 1773 წელს მორიგე ლაშქარში მსახურება წელიწადში ერთი თვით დაუწესა ქართველებს, სომხებსა და თათრებს. ამ ვალდებულებისაგან კი გაანთავისუფლა მთის მოსახლეობა როგორც ქართველი მთიელები, ისე ეთნიკური ოსები (დვალეთში, შიდა ქართლის მთიანეში და თრუსოში მცხოვრებნი), რადგან ისინი ისედაც იცავდნენ საქართველოს საზღვრებს ლეკთა თარეშისაგან[1].

1770 წლის ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერით, თრუსო, ანუ როგორც ახლა ოსი „მკვლევარები“ უწოდებენ, „აღმოსავლეთი ოსეთი“, ისევე როგორც ხევი და მნა, არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. თერგის ხეობის ზემო წელი (ხევი და თრუსო) რომ ქართლ-კახეთის სამეფოს არაგვის ერისთავთა სათავადოში (საერისთაოში) შედიოდა ამას 1769 წლის რუსი ჩინოვნიკის ჩანაწერიც მოწმობს არაგვისა და ქსნის საერისთაოების შესახებ: «В Грузии два Эристовых вдадения, одно называется Арагвского Эристово, а другое – Ксан-Эристово и сия наименования начало свое взяли от рек, по которым оные владения лежат, а именно: 1-е. Река Арагви, выходя из снежных Кавказских гор, при самом почти начале разделяется на две части, одна, протекая сквозь Хевы, то есть горские ущелья, соединяется с рекою Тереком, а другая, простираясь внутрь Грузии, впадает в реку Мткуари подле славнего грузинского монастыря, Мцхета называемого…»[2]. უფრო მეტი, ამავე სათავადოს ეკუთვნოდა თრუსოს მოსაზღვრე დვალეთის ზახას ხეობაც[3]. 1791 წლის ერთ-ერთი საბუთი თრუსოს მოურავად „ჴელმწიფის ძე ვახტანგს“ იხსენიებს[4]. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთებით კარგად ჩანს, რომ განდგომის ზოგიერთ მცდელობასთან ერთად, „არაგველი ოსები“ ქართლს ძარცვავდნენ. კონკრეტულად შეიძლება 1774 წლის ერეკლე მეფის მიერ გაცემული ერთი საბუთის ნაწყვეტი მოვიყვანოთ: „ქ. ჩვენი ბძანება არის, **რომელნიც არაგვის დადებულნი ოსნი ხართ**, ყველამ გაიგონეთ,

1 История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т.1, Цхинвали, 1962, с. 308-309, док. №232.

2 А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, 1768-1774, С.-Петербург, 1891, с. 37; История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т. 1, Цхинвали, 1962, с. 273-274, док. № 194.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965, გვ. 420.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1985, გვ. 122.

თქვენი სიავკაცე ქართლში დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ“[1]. ჩვენამდე მოღწეული XVIII საუკუნის დოკუმენტები, რითაც თრუსოს ოსურ მოსახლეობას გარკვეული გადასახადი („საკომლო“) ჰქონდა დაკისრებული ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების მიერ[2], აგრეთვე ის, რომ ხელისუფლებას აქ თავისი წარმომადგენლები (მოურავები და ნაცვლები) ჰყავდა დანიშნული, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ოდითგანვე თერგის ხეობის სათავე საქართველოს განუყოფილი ნაწილი იყო. ისიც საყურადღებოა, რომ როგორც სხვა მხარეებში, თრუსოშიც ჰქონდათ ადგილობრივთა გარკვეულ რაოდენობას თარხნობა ბოძებული, ე. ი. განთავისუფლებული იყვნენ გადასახადისაგან. 1782 წელს ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით ირკვევა, რომ თრუსოელთათვის მის მიერ სპეციალური მისიით გაგზავნილ მოურავს და თავად ბატონიშვილს თრუსოელთა წარმომადგენლები – გვართა უფროსები – ხევში უნდა ხლებოდნენ[3]. გაგვაჩნია ვახტანგ ბატონიშვილის თრუსოელებისა და ზახელებისადმი 1798 წლის ბრძანებაც, რომელშიც ვკითხულობთ: „ბატონის შვილი ვახტანგ გიბრძანებ ზახელებო და თრუსოელნო, ჩვენი ძმის წული ბატონის შვილი დავით ქურთაულზედ მობძანდება. როგორც თქვენს ერთგულობასა და ნამსახურობას შეეფერებოდეს, ისე თავდადებით გაისარჯეთ და კარგად ემსახურენით, რაც თქვენი სამსახური დასჭირდეს. ხომ იცით, არც იმის სიმაღლეს ჩვენს ძმის (გიორგი XII – რ. თ.) შვილებთან დაგეკარგებათ ეს სამსახური და არც ჩვენთან“[4].

ეთნოგრაფიული მონაცემები

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, *იოანე ბაგრატიონი* თრუსოს ხევის საერთო სათაურის ქვეშ ათავსებს: „ქ. კობი, მოსახლენი ოსნი; ქ. ალმასიანი, მოსახლენი; ქ. **თრუსის ხეობა 8 სოფელი მოსახლენი ოსნი**“[5]. ზუსტად 8 სოფელს უთითებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე *ვახუშტი ბაგრატიონიც* **(„თრუსოს ოსის სოფელი 8“).** საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს, ბუნებრივია, ზუსტი მონაცემები გააჩნდათ მთაში არსებული დემოგრაფიული და ეთნიკური ვითარების შესახებ. ასე რომ, **თრუსოში სულ რვა ოსური სოფელი იყო. ზემოთ დასახელებული ენციკლოპედიის ავტორი ცამეტ სოფელს უთითებს. ეს რვა სოფელი ცამეტ სოფლად XIX საუკუნის პირველი სამი ათეული წლის განმავლობაში იქცა**. დროის ამავე მონაკვეთში არიან დასახლებული ოსები თრუსოს გარეთ – მნის ხეობაში და კობის ქვაბულში. საყურადღებოა, რომ *იოანე ბაგრატიონი* მნის ხეობაში არც ერთ სოფელს არ უთითებს, რადგან ამ დროს აქედან ქართველები ხევის სხვა რამდენიმე სოფელში იყვნენ საცხოვრებლად გადასული. აქაც ოსთა გადმოსახლება ხდებოდა როგორც თრუსოს სოფლებიდან, ისე დვალეთიდან, მაგალითად შეიძლება შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა მოვიყვანოთ, რომელიც *აგაევების* გვარს ეხება: „პირველად *აგენი* (*აგაევები*) ნარაში ცხოვრობდნენ. ორი

1 სცსსა, ფონდი 1448, რვეული 1, საქმე №1379.

2 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი ᲩD, საბუთი 3906.

3 სცსსა, ფონდი 1448, საქმე №3526; История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т. 1, Цхинвали, 1962, с. 147-148, док. №72.

4 სცსსა, ფონდი 1448, საბუთი №1862.

5 ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 35.

ძმა გაუბარებიათ ბატონთან მოსამსახურედ. ერთ-ერთი მათგანი ბატონს მოუკლავს. მეორე ძმა გამოქცეულა და სისხლის აღება გადაუწყვეტია. გადმოსულა ზაჯაში და თავს თურმე ნადირობით ირჩენდა. ერთ დღეს ტალიანი თოფით ნარაში მისულა, უსროლია იმ დროს, როდესაც ბატონის ოჯახი რაღაც დღეობისათვის ემზადებოდა. სროლის შედეგად მოუკლავს ბატონი და დაუჭრია მისი ცოლი. გამოქცეულა აგაევი და კვლავ ზაჯაში დასახლებულა. ერთხელ ქვემოთაც ჩამოსულა და საცხოვრებლად ნოყაუს ადგილი აურჩევია. ... შემდეგ გადმოსულა თერგ გადმოღმა და დასახლებულა თანამედროვე *აგაღთყაუს* ზემოთ, სოფელ *შევარდენის* მეზობლად"[1]. შა(ე)ვარდენში პირველად *არჯინოვები* და *მამიევები* ცხოვრობდნენ. არჯინოვების წინაპრები დაბლობიდან, სოფელ ჭოპორტიდან მოსულან, რომელთა ადრინდელი გვარი *არჯინაშვილი* ყოფილა. თავდაპირველად *ქვემო ოქროყანაში* უცხოვრიათ, სადაც მათი არჯინეთ ციხის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. რაც შეეხება მამიევებს, ისინი დვალეთის ნარას ხეობიდან არიან მიგრირებული, რომელთა გვარი გაოსებამდე *მამიაური* იყო. შა(ე)ვარდენში მოსახლე მესამე გვარი – *საპიევი* – გვიან მოსულა ქურთათის ხეობიდან. 1831 წელს ამ სოფელში საპიევის გვარის ერთი კომლი ცხოვრობდა, რაც აქ მათი ახალმოსახლეობის დამადასტურებელია.

როგორც არაერთ სხვა ნაშრომში, ისე ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში, ოსები, ალანების სახით, ხეობის უძველეს მკვიდრებად არიან გამოცხადებული, რასაც, თურმე ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლები, მიტოვებული დასახლებები და ეპიგრაფიკული ძეგლები ადასტურებენ (თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ძეგლებიც და ეპიგრაფიკაც მხოლოდ და მხოლოდ აქ ქართველთა ოდითგანვე მკვიდრობას ადასტურებს, მაგალითად, ზურგიანი კოშკები, რომელიც მეზობელი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფებისათვის – შიდა ქართლის მთიანეთისათვის – იყო დამახასიათებელი; შემორჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები, მაგალიათად, X საუკუნის მნის ეკლესიის წარწერა, ქართულია). ეთნიკური თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია თრუსოში არსებული სალოცავებისათვის დამახასიათებელი ერთი შტრიხი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებნი (ქართველები) სალოცავებს/ეკლესიებს სოფელთან არსებულ შემაღლებულ ადგილებზე (მთის წვერებზე) აგებდნენ. ერთი თვალის შევლებიდაც კარგად ჩანს, რომ თრუსოში ქართველ მთიელთა სალოცავები, მთისათვის დამახასიათებელი მცირე ზომის ეკლესიები სწორედ ასეთ შემაღლებულ ადგილებზეა აშენებული, ხოლო XVII საუკუნის შუა ხანებიდან აქ დასახლებული ოსები თავიანთ სალოცავებს სოფელშივე აწყობდნენ. ანალოგიური ფაქტი დასტურდება მნის ხეობის ზედა სოფელ მნაშიც. აქ ოსების მიერაა აგებული სალოცავი (3,7×3,7 მმ), რომლის შუაში სასანთლეა, რომელზედაც რუსულწარწერიანი ჯვარია შემოდგმული. წარწერაზე ის ფაქტიცაა აღნიშნული, რომ ოსთა ეს სალოცავი „ვასტერჯი" 1907 წელს დაუარსებიათ. ამ ფაქტიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ოსები აღნიშნულ მიკროგეოგრაფიულ რეგიონში გვიანდელი მიგრირებულები იყვნენ. ბუნებრივია, ადრე მოსული ეთნიკური ერთობა ასე გვიან არ ააგებდა საკუთარ სალოცავს, როგორსაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატს უწოდებდნენ.

1 ვ. ითონიშვილი. ეთნოგრაფიული მასალები (თრუსოს ხეობაში შეკრებილი 1958 წ.). ხელნაწერი, გვ. 30-31.

აღნიშნულის დამადასტურებელია რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებული კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი. თრუსოს სოფელ *გიმარაში* „მოთავსებულია ერთი სალოცავი ნაგებობა – **უაშტარჯი** – წმიდა გიორგი. მეორე სალოცავი – *უაცილა-ვაცილაი* მდებარეობს მინდორზე, სოფლის მახლობლად, რომელსაც ეწოდებას **фашмушта**. **წმიდა გიორგის ხატში იცოდნენ ათენგენობა**, ერთად იხდის მთელი სოფელი. ლოცვის დროს ხატს რა ფულსაც შესწირავდნენ, იმით ყიდულობდნენ საკლავს და მთელი სოფელი ერთად ზეიმობდა. ათენგენობა მოდის 22 ივლისს. ... ამ სალოცავში მოდიოდნენ სხვა სოფლებიდანაც, რომელთაც მოყავდათ საკლავებიც, თუ შეუთქვამდნენ. თუ შეთქმული არ ყავდათ, მაშინ მოჰქონდათ ნამცხვარი და სასმელი“[1]. მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ათენგენობის დღესასწაული მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისათვის იყო დამახასიათებელი. ჩრდილოეთ კავკასიის ოთხივე ოსური საზოგადოებისათვის (დიგორი, ალაგირი, ქურთაული, თაგაური) ის უცნობი იყო. ათენგენობის დღესასწაული დვალეთის ქართველ მთიელებშიც (დვალებში) იყო გავრცელებული, სადაც ის მიგრირებულმა ოსებმა გაითავისეს, დამხვდურთა სალოცავს ეყმნენ. ანალოგიური ფაქტი თრუსოშიც განმეორდა. თრუსოელმა ოსებმა (არა მხოლოდ სოფელ გიმარას მკვიდრებმა) საკუთარ სალოცავად აქციეს, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო; მიგრანტები დამხვდურთა სალოცავის ყმები ხდებოდნენ, მისგან მფარველობას იღებდნენ. გამოირიცხება თრუსოში ათენგენობის დვალეთიდან მოტანა, რადგან სოფელ გიმარაში მცხოვრები ოსები ქურთათის საზოგადოებიდან იყვნენ მიგრირებული. ათენგენობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებაც უნდა ითქვას – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც ათენგენობის დღესასწაული ივლისის თითქმის იმავე დროს მოდიოდა.

დემოგრაფიული და სტატისტიკური მონაცემები

ადრინდელი ოსი ავტორები ვერ უარყოფენ, რომ თრუსოს ოსური მოსახლეობა გვიან – XVI-XVIII საუკუნეებში – გადმოსახლებულთა შთამომავლებაა. რა წყაროს ეყრდნობიან, როდესაც 1770-იან წლებში თრუსოში 400 კომლის მკვიდრობაზე საუბრობენ, გაუგებარია. რეალურად 1776 წელს თრუსოში 71 კომლი ოსი ცხოვრობდა, 1780 წელს – 73 კომლი[2]. 1802 წლის მონაცემებით თრუსოს 12 სოფელში, რომელიც ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის სამფლობელოს შეადგენდა, 158 კომლი და 991 სული (მამაკაცი – 594, ქალი – 397) იყო აღრიცხული. ამ დროს XVIII საუკუნეში არსებული რვა ოსური სოფელი უკვე თორმეტ სოფლად იყო ქცეული. ეს კი განპირობებული იყო შეუწყვეტელი მიგრაციული პროცესებით და, ბუნებრივია, ბუნებრივი ნამატითაც. გაგვაჩნია თრუსოს 1831-1832 წლების კამერალური აღწერის დავთარი, რომელშიც ზედმიწევნით აღრიცხულია აქ მცხოვრები ოსური მოსახლეობა. ამ დროს თრუსოში უკვე 13 სოფელი იყო (1802 წლის შემდეგ კიდევ ერთი სოფელი დაემატა).

1 ვ. ითონიშვილი. ეთნოგრაფიული მასალები (თრუსოს ხეობაში შეკრებილი 1958 წ.). ხელნაწერი, გვ. 12-13.

2 История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т. 1, Цхинвали, 1962, док. №72.

კომლთა რაოდენობა 1831 წელს 190 შეადგენდა[1] (955 სული. დისონანსი იყო კაცებსა და ქალებს შორის, რომლებსაც ძირითადად მამაკაცები შეადგენდნენ. მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდი იყო 1802 წელსაც; ეს სხვაობა 197 სულს შეადგენდა). დიდად არ განსხვავდება ფრანგი *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს* მონაცემები, რომელიც თრუსოში 1840-იან წლებში იმყოფებოდა – მას აქ ოსების რაოდენობა 207 კომლი და 856 სული დაუფიქსირებია. ამ რაოდენობაში შედის არა მხოლოდ უშუალოდ თრუსოს მოსახლეობა, არამედ მდინარე მნაზე მდებარე 3 სოფლის 16 კომლი და 55 მაცხოვრებელი, აგრეთვე ადოს მინდვრისა და კობის 6 სოფლის 56 კომლი და 190 სული[2] (ამ ამ უკანასკნელ მონაცემებს თუ გამოვაკლებთ თერგის ხეობის ზემო წელის საერთო მონაცემებს, გამოდის, რომ უშუალოდ თრუსოში სულ 135 კომლი და 611 მცხოვრები ეთნიკური ოსი იყო. თრუსოს მოსახლეობის კლება ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი მნის ხეობასა და მის მიმდებარე სოფლებში იყვნენ გადმოსახლებული). ხოლო ცოტა უფრო ადრინდელი 1802 წლის მონაცემებით, თრუსოს მოსახლეობა შეადგენდა 148 კომლსა და 896 სულს[3]. ამრიგად, 1780 წლიდან 1803 წლამდე თრუსოს ოსურმა მოსახლეობამ 75 კომლით მოიმატა, ე. ი. მათი რაოდენობა გაორმაგდა. 1831 წლისათვის ნამატი კიდევ აშკაა იყო – ახლა ისინი 190 კომლს შეადგენდნენ. სულთა რაოდენობა 955 (590+365) (ეს მონაცემები საარქივო დოკუმენტის ბოლოსაა მოცემული. კომლში საშუალოდ გამოდის 5 სული, ზუსტად – 4,92. თრუსოს სოფელში საშუალოდ ცხოვრობდა 14,92 კომლი, 73,46 სული). შესაბამისად, დაახლოებით 30 წლის განმავლობაში ნამატმა 42 კომლი შეადგინა (ხოლო 1780 წელთან შედარებით ნამატი 117 კომლი იყო). **1860 წელს თრუსოში 216 კომლი მკვიდრობდა, სულთა რაოდენობა კი 1.304 იყო. 1873 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად 226 კომლი და 1.393 სული იყო. 1886 წლისათვის აქ ოსების რაოდენობამ 240 კომლს და 1.627 სულს მიაღწია. საშუალება გვაქვს დავიანგარიშოთ თრუსოს მოსახლეობის რაოდენობა 1910 წლისათვის, რადგან ამ წლის** «Кавказский Календарь»-ში ნაჩვენებია თითოეული სოფლის სულთა რაოდენობა. ეს მაჩვენებელი 1.923 სულამდე გაიზარდა. 1831 წლიდან 1910 წლამდე ეთნიკური ოსების რაოდენობა თრუსოში გაორმაგდა – 968 სულით მოიმატა. 1926 წლის პირველი საკავშირო აღწერით, თრუსოს სასოფლო საბჭოში შემავალ 12 სოფელში 232 კომლი და 1485 სული ოსი იყო აღრიცხული[4]. ასე რომ, თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან 1910 წლამდე თრუსოში ეთნიკური ოსების მატება საკმაოდ დიდი იყო. 1910 წლიდან 1926 წლისათვის თუ დავიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ ნამატი კვლავ დიდი იყო – 50 წლის განმავლობაში – მან 50 კომლი შეადგინა, ხოლო 1803 წელთან შედარებით, 80 წლის განმავლობაში, – 94 კომლი. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში – XVIII საუკუნის ბოლოდან მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თრუსოელი ოსები მომიჯნავე მნის ხეო-

1 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე №1245, გვ. 143-183.

2 *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს* სტატისტიკური მონაცემები მოყვანილი გვაქვს წიგნიდან: Н. Г. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII-начале XX века, М., 1974, с. 133.

3 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, ред. *Ад. Берже*, т. II, Тифлис, 1868, С. 81.

4 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930, გვ. 62.

ბისა და კობის ქვაბულის ტერიტორიაზეც გადაინაცვლებდნენ (სოფლები მნა, შავარდენი, ზემო ოქროყანა, ქვემო ოქროყანა, კობი, უხათი, ახალსოფელი/ნოგყაუ, ალმასიანი...). მნის ხეობის სოფლები (*მნა, შავარდენი, ოქროყანა*) თუ ტრადიციული სოფლები იყო, სადაც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნამდე მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, 1802 წელს რუსების მიერ შედგენილ ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელოში შემავალი სოფლების ჩამონათვალში სოფლები მნა და ოქროყანა ხევის ქართული სოფლების («Деревни грузинския») ჩამონათვალშია შეყვანილი, რომლებშიც შესაბამისად 5 კომლი (20 სული) და 15 კომლი (89 სული) ცხოვრობდა[1]. ამ პერიოდისათვის ფაქტობრივად მოსახლეობის გარეშე იყო კობის ქვაბული. აქ პირველი ოსი XVIII საუკუნის ბოლოს დასახლდა ოდესღაც *ბაზალების* გვარის ნასოფლარ *ბაზალიანში* (შემდეგდროინდელ *ალმასიანში*). აქედან ბაზალები კი კარგა ხნის წინ ხევის სოფელ *არშაში* იყვნენ გადასახლებული. კობის ქვაბულის დანარჩენი სოფლები (*ზემო უხათი, ქვემო უხათი, კობი, ახალსოფელი/ნოგყაუ, თოლგოთი*) მხოლოდ და მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან წარმოიქმნა ძირითადად თრუსოს ნამატი მოსახლეობის ხარჯზე. **1831 წელს მნის ხეობასა და კობის ქვაბულში 569 სული ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. ეს მაჩვენებელი 1886 წლისათვის 870 სულამდე გაიზარდა, ხოლო 1910 წლისათვის – 1.172-მდე.** 1926 წელს აქ ოსების რაოდენობა 155 მეკომური იყო, ხოლო სულთა რაოდენობა 1.029-ით განისაზღვრებოდა[2]. თრუსოდან მნის ხეობასა და კობის ქვაბულში მოსახლეობის მიგრაცია ორი ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული – ბუნებრივი მატება ვარგისი მიწის სიმცირეს იწვევდა და სამხედრო გზის სიახლოვით.

მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების შემდეგ გასაოცარია ის ციფრები, რომელიც ოს ავტორებს მოყავთ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (თრუსო, მნის ხევი და კობის ქვაბული) ეთნიკური ოსების მკვიდრობის, შეიძლება ითქვას, ზღაპრული ციფრების შესახებ. საამისოდ შეიძლება ერთ-ერთი საიტი დავიმოწმოთ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ, თურმე, ყაზბეგის რაიონში 1886 წელს 17.000 ოსზე მეტი ცხოვრობდა. ეს ციფრი სულ რაღაც თერთმეტი (11) წლის შემდეგ 14.523 კაცამდე ჩამოსულა. კლება გაგრძელებულა და საბჭოთა პერიოდში 1926 წლისათვის ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ოსების რაოდენობა 8.326 კაცამდე დასულა. საბჭოთა კავშირის ბოლო, 1989 წლის აღწერით ე. წ. აღმოსავლეთ ოსეთში ანუ ყაზბეგის რაიონში ოსთა რაოდენობა 4.969 კაცი ყოფილა: [«В 1886 г. в Казбегском районе жило более 17 тысяч осетин. В 1897 г. – уже 14 тысяч 523. В 1926 г. численность осетин района составила 8326 человек. В 1939 г. – 8000. По данным переписи 1989 г. в Восточной Осетии осталось 4969 осетина. А по данным 2002 г. только в Казбегском районе осталось 189 осетина. Налицо значительное сокращение осетинского населения в Грузии»][3]. აღნიშნული სტრიქონების ავტორისათვის, როგორც ჩანს, მთავარია მკითხველი სიყალბეში დააჯეროს, არად დაგიდევენ იმას, რომ არსებობს რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული აღწერის დავთრები და შესაბამისად მათ მიერ მოცემული სტატისტიკა. 1886 წლის საოჯახო სიების სტატისტიკური მო-

1 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, ред. *Ад. Берже*, т. II, Тифлис, 1868, С. 81.

2 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930, გვ. 62.

3 https://south-ossetia.info/otrezannaya-ot-doma-vostochnaya-osetiya-vernut-nelzya-abyt/

ნაცემები იმავე საუკუნეშია გამოქვეყნებული, რომლის თანახმად თანამედროვე ყაზბეგის რაიონში (მუნიციპალიტეტში) ეთნიკური ოსებით დასახლებული ორი სასოფლო საზოგადოება იყო – აბანოსი (თრუსოსი) და კობისა. პირველ მათგანში 1886 წლის საოჯახო სიებით 239 კომლი და 1.617 სული ეთნიკური ოსი მკვიდრობდა, მეორეში – 133 კომლი და 947 სული[1]. ზემოთ მითითებული გვქონდა 1926 წელს თრუსოში ოსთა კომლობრივი და სულადობრივი რაოდენობა, ის შესაბამისად 232 კომლსა და 1485 სულს შეადგენდა. მნის ხეობასა და კობის ქვაბულში – 155 კომლი და 1029 სული. საერთო ჯამში ხევში 1926 წელს ოსები 2.514 კაცის რაოდენობით მკვიდრობდნენ, ქართველები კი 5.519 იყვნენ. ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს (ყაზბეგის რაიონს სინამდვილეში არც შეეძლო მოსახლეობის მეტი რაოდენობა ყოლოდა, რადგან მთაში ის ყოველთვის ლიმიტირებული იყო).

თუ დავაჯამებთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს დავინახავთ, რომ 1886 წელს ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში (ყაზბეგის რაიონში) ეთნიკური ოსების რაოდენობა მხოლოდ 2.564 სული იყო (და არა 17 ათასი). გამოქვეყნებულია პირველი საკავშირო აღწერის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც 1926 წელს ჩატარდა. იმავე რეგიონში თრუსოს სასოფლო საბჭოში 232 კომლი (თითქმის იმდენი, რაც 1886 წელს) იყო და 1486 სული. კობის სასოფლო საბჭოში 236 კომლი და 1625 ეთნიკური ოსი ცხოვრობდა (ამ რიცხვში შედის მთიულეთის მხარის/თეთრი არაგვის სათავეში ღუდას თემში მცხოვრები ოსური მოსახლეობაც). საერთო ჯამში მთელ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ოსები 3.111 კაცის რაოდენობით იყვნენ (ქართველები 4.135 სულს შეადგენდნენ, ე. ი. 1.024 კაცით ჭარბობდნენ). აქ მხოლოდ ერთი კომენტარით შემოვიფარგლებით: გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, შეუძლებელია მთაში, იქ, სადაც მიწის სიმცირეა (როგორც სახვნელ-სათესის, ისე სათიბის) მოსახლეობის იმ რაოდენობას ეცხოვრა, რომელზედაც ფალსიფიკატორი ავტორები საუბრობენ. საბჭოთა პერიოდში ხდებოდა ეთნიკური ოსების მუდმივი მიგრაცია ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში, უფრო მეტად კი მის დედაქალაქ ორჯონიკიძეში, რაც ეპოქისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენა იყო – ეს განვითარებადი ქალაქი იზიდავდა მთის მოსახლეობას და არა მხოლოდ ოსებს, არამედ ქართველებსაც.

ქურთათიდან თრუსოში ოსების გადმოსახლება გვიანობამდე გრძელდებოდა (ცნობილია, რომ ოსურ საზოგადოებებს შორის ქურთათელები ყველაზე მეტად საჭიროებდნენ ვარგის მიწებს, რის გამოც უფრო მეტად ახასიათებდათ მიგრაციისადმი მიდრეკილება). რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თრუსოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლებულან ოსეთის ქურთათის სოფელ ხიდიკუსიდან და აგრეთვე სხვა სოფლებიდან[2]. საერთოდ ქურთათელი ოსების თრუსოში (აგრეთვე ხევსა და მნის ხეობაში) ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრაცია მთელი XIX საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. საამისო მონაცემები დაცულია XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრებ-

1 Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.

2 *П. А. Кузминов*. Этнодемографическая карта народов Терека: размещение, численность и миграция населения в конце XVIII – первой половине XIX века. – в кн: Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX – начале XX века, Нальчик, 2004, С.684.

ში, მაგალითად, 1873 წლის აღწერაში მითითებულია, რომ *ურთაევების* გვარის ორი კომლი სოფელ ბურმასიგში ვლადიკავკაზის „ოკრუგის“ ორი სხვადასხვა სოფლიდან იყო მიგრირებული[1]. სხვათა შორის, პარალელურად მიმდინარეობდა თრუსოელი ოსების ბარის სოფლებში მიგრაციაც (ამ მხრივ, ოსებით დასახლებული საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებისაგან, თრუსო გამონაკლისი არ იყო). მაგალითად შეიძლება რამდენიმე ამონაწერი მოვიყვანოთ 1830-1831 წლების კამერალური აღწერიდან: სოფელ სამთავისში მცხოვრებ *კაშაშვილის* ოჯახი თრუსოდან იყო გადმოსახლებული: «переселенец из Трусовского ущелья горских народов»[2]; სოფელ ახალშენში ცხოვრობდა გვარად *ალღუზიანი,* რომელიც ასევე თრუსოდან იყო გადმოსახლებული: «Из Трусовского ущелья, горских народов, 15 лет»[3]; ამავე სოფელში 1815 წელს ღუდადან გადმოსახლებული *მედოშვილიც* ცხოვრობდა. სოფელ ზემო ყურში ერთი კომლი ცხოვრობდა და ისიც თრუსოდან იყო მიგრირებული 40 წლის წინ, მაგრამ ამ სოფელში მოსვლამდე თორტიზასა და ხურვალეთში უცხოვრია[4]. იმავე წლის აღწერაში შიდა ქართლის სოფელ ქვემო ჭალაში 1805 წელს გადმოსახლებული გვარად ბაბეური ცხოვრობდა, მეორე კომლი კი, 1827 წელს გადმოსახლებული, ბაბეურიძედ ეწერა. მათ მიწერილი აქვთ, რომ ხევიდან იყვნენ გადმოსახლებული[5]. ბაბეურები კი მნის ხეობის სოფელ ოქროყანის ძველი მკვიდრები იყვნენ. 1830-1831 წელს შიდა ქართლის სოფელი **სნეკვში** 40 წელზე მეტის ხნის გადმოსახლებული იყო თრუსოელი *ვალიშვილების* ორი კომლი[6], რომლებიც ძირად ქართველი დვალიშვილები იყვნენ. 1843 წლის აღწერაში თრუსოს ოსური მოსახლეობის არაგვის ხეობის დაბლობში მიგრაციაცაა დადასტურებული, მაგალითად, სოფელი **ებნისში** გადმოსახლებული იყო *ჯანტიშვილების* ოჯახი, სოფელი **მინდორაულში** *ურთაშვილი* – 10 წლის წინ (ე. ი. 1833 წელს) დასახლებულა თრუსოდან, რომელიც აქ საბოლოოდ არ დამკვიდრებულა და 1850 წელს სოფელ მლაშეში გადასულა საცხოვრებლად[7]. 1821 წელს ანანურის მაზრის სოფელი **უფურეთში** ცხოვრობდა *ჯოჯიშვილის* 2 კომლი, რომლებსაც მინაწერი აქვთ, რომ თრუსოდან გადმოსახლდნენ 10 წლის წინ, ე. ი. 1811 წელს[8]. ასე რომ, თრუსოს ოსური მოსახლეობა როგორც ქვეყნის მკვიდრნი, აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს შიდა მიგრაციულ პროცესებში და ისევე როგორც ქართველი მთიელები, ისინიც გადასახლდებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში. თრუსოდან, მნიდან და ხევიდან ბარში მიგრაციას ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებენ, რომელიც XX საუკუნის შუა ხანებშია ჩაწერილი: „საგულისხმოა შემდეგი გარემოება, რომელიც ოსურ მოსახლეობაში დგინდება. თერგის ხეობის სოფლებში – კობში, აგათყაუში, შევარდენში, ოქროყანაში და მნაში მოსახლენი შედარებით ზედა სოფლების მოსახლეობასთან

1 სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 256.

2 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 72.

3 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 78.

4 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 79.

5 სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 256.

6 სცსსა, 254-1-1243

7 სცსსა, 254-1-2126.

8 სცსსა, 354-1-689/304.

უფრო მეტად არიან დაკავშირებული ნათესაური ურთიერთობებით ქართველებთან და მათი ბიძაშვილების დიდი ნაწილი (სოფლის ნამატი) მოსახლეობენ ხევისა, მთიულეთისა და ქართლის სხვადასხვა სოფლებში. ამ სოფლების საკულტო ადგილებში ადრე წასული მათი ბიძაშვილები უკანასკნელ ხანამდე დაიარებოდნენ და მსხვერპლსა წირავდნენ. მაგ., წ-ა მარიამის დღესასწაულზე ეგრეთწოდებულ „მარიამობაზე“ მოდიოდნენ ჭოპორტიდან, ძალისიდან და რიგ სხვა სოფლებიდან“[1].

[XIX საუკუნის პირველი სამი ათეული წლის განმავლობაში ბევრად მეტი ჩამოსახლებული იყო შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში თრუსოს მოსაზღვრე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან – დვალეთიდან, მაგალითად ფრონეების ხეობის სოფელი ყორნისი მთლიანად დვალეთიდან – ნარას ხეობიდან გადმოსახლებულებით იყო დასახლებული. აქ მცხოვრები ათი კომლიდან ორი 1800 წელს იყო მოსული, ორი – 1815 წელს, დანარჩენი კი – 1825 წელს[2]. იგივე შეიძლება ითქვას იმავე ხეობის სოფელ თორმანეულზე. ამ სოფელში მცხოვრები 6 კომლი 1800 წელს დვალეთის ნარას ხეობიდან იყო გადმოსახლებული[3]. სოფელ წუნარში მცხოვრები ცხრა კომლი ოსი 1824 წელს დვალეთის ზრამაგას და ნარას ხეობებიდან იყო მიგრირებული[4]. სოფელ კულბითში 15 კომლი ცხოვრობდა, რომელთაგან 9 დვალეთიდან, ნარას ხეობიდან იყო გადმოსახლებული, მათ შორის იყვნენ ძირძველი დვალი ბეღელურები (4 კომლი), რომლებიც აქ 40 წლის წინ, ე. ი. 1801 წელს დასახლდნენ. 1823 წელს თბილისის მაზრის აღწერის თანახმად, სოფელ ახალდაბაში დვალეთის სოფელ თიბედან ჩამოსახლებული სამი კომლი ქუქიშვილი ცხოვრობდა[5]. ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ, ისევე როგორც ხევშიც მცხოვრები ქუქიშვილები, როლებიც 1774 წლის აღწერაში ქუქიაურად იყვნენ ჩაწერილი. ქუქიშვილ-ქუქიაურების დვალეთიდან წარმომავლობას არა მხოლოდ ზემოხსენებული 1823 წლის აღწერის დავთარი მოწმობს, არამედ ჩვენს მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიიხედვითაც მათი წინაპარი აზნაური იყო. ისინი გიორგი სააკაძემ ამოწყვიტა. მხოლოდ ერთი ორსული ქალი არ მოუკლავს, რომელსაც ხევში ჰყოლია დედის ძმები. იქიდან ის აქ გადმოსახლებულა, ვაჟი ეყოლა, ვისგანაც წარმომავლობენ მოხევე ქუქიაურ-ქუქიშვილები (ზურაბ ალექსის ძე ქუქიშვილი, 57 წლის. გარბანი, 1990 წელი). სად შეიძლებოდა გიორგი სააკაძეს ქუქიაურები გაეწყვიტა? უდავოდ ეს მოხდა დვალეთში. ის ხომ დვალეთის მოურავიც იყო. ცნობილია, რომ მთიელთა დაუმორჩილებლობის გამო, მან დვალეთში ილაშქრა].

1886 წლის საოჯახო სიებით თრუსოს ოსური სოფლები იყო: ***ქეთრისი*** (24 კომლი), ***აბანო*** (18 კომლი), ***ზაქაგორი*** (1831-1832 წლებში ჟახაგორად აქციეს, 1886 წლისათვის – ჟაკაგორად. XVIII საუკუნის საბუთებში ჯახაგორად არის დაფიქსირებული. 1886 წელს 8 კომლი), ***შუატისი*** (სუატისად/სავატისად გარ-

1 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 225.

2 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 207-208.

3 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 203-204.

4 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 1244, გვ. 203-204.

5 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 803, გვ. 40.

დაქმნილი; 28 კომლი), ***კარატკავი*** (ადრინდელი ქართული სახელწოდება **ხუ-ცუ-რი**) (20 კომლი), ***ბურმასეკი/ბურმასიგი*** (7 კომლი. ამ სოფელში ცხოვრობ-დნენ დვალეთიდან გადმოსახლებული თუაევები, რომელთა გვარიც რუსების მოსვლამდე თვაური იყო, უფრო ადრე კი – თავაური. თუაევების ქართული წარმომავლობა ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. ამის შესახებ თა-ვად ამ გვარისანი აღნიშნავდნენ), ***ცოცოლთა/წოწოლთა*** (13 კომლი), ***გიმარა*** (24 კომლი), ***თეფე/თეფი*** (16 კომლი), ***რესი*** (13 კომლი), ***სივრათა*** (5 კომლი), ***ზემო დესი*** (15 კომლი) და ***ქვემო დესი*** (7 კომლი)[1]. აღწერიდან ისიც ირკვევა, რომ თრუსოელ ოსებს შორის იყვნენ გაოსებული ქართველებიც, მაგალითად, *ელო-ევები* (6 ოჯახი) სოფელ შუატისში, რომლებიც მოხევე *ელოშვილებისაგან* წარ-მომავლობენ, *ბაგიევიები* (1 კომლი), რომლებიც ძირად მეზობელი ქართველი მთიელების – დვალი *ბაგაურების* შთამომავლები არიან. ასე რომ, 1886 წელს თრუსოში, ნაცვლად XVIII საუკუნის ბოლოს არსებული რვა სოფლისა, უკვე ცა-მეტი (13) სოფელი არსებობდა. თრუსოს თავდაპირველი სოფლები (8 სოფელი) ეთნოგრაფიული მონაცემებით იყო: **აბანო, ქეთრისი, რესი, დესი, გიმარა, ზაქა-გორი, შუატისი, ყაყიდური, აგრეთვე ხუცური ანუ ყარათყავი/ქართსოფელი**. 1780 წლის თრუსოელი ოსების საკომლო საბუთში ერთით მეტი სოფელია შეტანილი. აღნიშნულ რვა (8) სოფელს თეფე ემატება. ანალოგიური მდგომარეობაა და-ფიქსირებული 1831-1832 და 1873 წლების კამერალური აღწერის დავთრებში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ოსი ავტორები თრუსოდ მი-იჩნევენ თერგის შენაკად მნის ხეობასაც და მიმდებარე სხვა სოფლებს. თრუ-სოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხს ქვემოთ შევეხებით, სადაც ეთნიკური ოსების დასახლება საკმაოდ გვიან მოხდა. საილუსტრაციოდ კი კობთან ახლოს მდებარე სოფელ ალმასიანს შევეხებით.

1792 წლის არზით ირკვევა, რომ სოფელი ალმასიანი (ქართული ტოპონი-მია), *ვახტანგ ბატონიშვილს* შეუქმნია და პირველი ოსი, რომელიც აქ დაუსახ-ლებია *ასა აბაშვილი* ყოფილა. აღნიშნული სოფლის დაარსება და აქ ოსების დასახლება მხოლოდ 1784 წლის შემდეგ იყო შესაძლებელი, რადგან ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი მხოლოდ დასახელებული წლიდან გვევლინება არაგ-ვის საერისთავოს „მპყრონელად“[2]. შემდეგ მას ოსების კიდევ შვიდი კომლი დამატებია[3]. იმ პერიოდში არაგვის საერისთავოში მოურავებს ზემოხსენებული ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი ნიშნავდა. 1791 წლის არზით თრუსოს მოუ-რავი ყოფილა ივანე, რომელსაც ხევის სოფელ სიონში მამული ჰქონია[4]. სხვათა შორის, სოფელ ალმასიანის ადრინდელი, XIX საუკუნეში (მაგალითად, 1873 და 1886 წლების აღწერის დავთრებით) კი მეორე სახელწოდება „ბაზალიანი“[5] იყო,

1 XIX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლის მთაში ოსთა რაოდენობის შესახებ იხ.: *М. Ткавашвили*. Некоторые вопросы миграции осетин на Кавказе и российские официальные документы начала XIX века о демографическом положении живущих в Грузии осетин. – Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010, С. 269-291.

2 *ზ. ხიდურელი*. არაგვის საერისთავო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. – საქართველოს მთია-ნეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 94.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1985, გვ. 180-181.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1985, გვ. 122.

5 სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. № 1790, გვ. 115.

რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავის დროზე ამ სოფელში ცხოვრობდნენ *ბაზალის* გვარისანი, რომლებიც შემდეგ საცხოვრებლად ხევისავე სოფელ არშაში იყვნენ გადასული (გადმოცემით ბაზალების წინაპარი ხევში შიდა ქართლიდან – ბაზალეთიდან მოსულა). სოფლის გვიანდელი სახელი – ალმასიანი – კი პირდაპირ დაკავშირებულია მისი შემქმნელის – ალმასხანის – სახელთან („ალმასხანიანის" ნაცვლად მივიღეთ „ალმასიანი"). ეთნოგრაფიული მასალებითაც, კობელი ოსები ალმასიანს *ბაზილონსაც/ბაჟილონს* უწოდებდნენ.

ოსი მეცნიერები კარგა ხანია სპეკულირებენ და მკითხველს ატყუილებენ თრუსოში ნაპოვნი საფლავის ქვით, რომელიც XIV საუკუნითაა „დათარიღებული". ამ ძეგლის ფოტო დიდი ხნის წინ დაბეჭდა თავის წიგნში ბ. კალოევმა და ის ალანური კულტურის ძეგლად მონათლა. ინტერნეტსაიტები გვაუწყებენ, რომ თურმე წარწერა ოსურ ენაზეა შესრულებული სირიულ-ნესტორიანული დამწერლობით. ილუსტრაცია, მართალია, მცირე მასშტაბისაა, მაგრამ მასზე აშკარად ჩანს ქართული მხედრული დამწერლობა. უფრო კარგად შეიმჩნევა ის ბ. კალოევის წიგნის («Осетины», 1971) 59-ე გვერდზე განთავსებულ ილუსტრაციაზე. მას საერთო არაფერი აქვს ე. წ. სირიულ-ნესტორიანულ დამწერლობასთან. ამ საფლავის ქვის შესახებ არავითარი გამოკვლევა არ არსებობს და, როგორც ირკვევა, ახლა მისი „განსასვენებელი" ადგილია ვლადიკავკაზი. ის საბჭოთა პერიოდშია გატანილი საქართველოდან. სხვათა შორის, საიტზე დადებულ ფოტოზე საერთოდ არავითარი წარწერა არ ჩანს, ენციკლოპედიაში და სხვა გამოცემებში ფოტო მცირე მასშტაბისაა. ამ შემთხვევაშიც აშკარა ქურდობასთან გვაქვს საქმე. *ბ. კალოევის* მითითებით ის თრუსოს სოფელ შუატისიდანაა წაღებული. მისი დათარიღება 1326 წლით საეჭვოა. თუმცა ბოლო ხანებში ამ ძეგლის პრორისიც (კონტურული ნახატი) გამოქვეყნდა, რომელშიც სხვა თარიღიცაა შემოთავაზებული – „1637 (1326) г."[1] და რომელზედაც ქართული ასოების გარჩევა ასევე ძნელი არაა. ქართული გრაფიკა კარგად ჩანს ჩვენს მიერ მოპოვებულ ფოტოებზე. ძეგლი XIX საუკუნისაა და ოსური ტექსტი ქართული ასოებითაა დაწერილი (დაწვრილებით იხილე წიგნის მონაკვეთი: „თრუსოს ხეობის ქართული წარწერები"). თრუსოს სოფლებში ბოლო დრომდე მშვენივრად იყო დაცული საფლავის ქვებზე შემონახული ქართული წარწერები[2]. ეს წარწერები ჩვენმა ექსპედიციამაც არაერთი დაადასტურა. თრუსოს მეზობელ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, სოფელ ქალაქაში მიკვლეულია ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება[3]. ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ დვალეთში ამ დროს, ოსთა მიგრაციისა და დასახლების მიუხედავად, კვლავ მკვიდრობდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა – დვალები. თრუსოს სოფლებში ქეთრისში, აბანოში და სხვაგან დღესაცაა შემორჩენილი ქართულწარწერიანი საფლავის ქვები.

კიდევ ერთი გარემოების შესახებ – სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თრუსოს მხარის საფლავის ქვების საგვარეულო ოსტატები/ხელოსნები მნის ხეობის სოფელ *ოქროყანაში* მცხოვრები ***გუდიევები*** იყვნენ. გუდიევები

1 Осетины (Серия «Культурное наследие народов России»). М., 2005, С. 4.

2 *გ. ჯალაბაძე.* ქსნის ხეობის მოსახლეობა – მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975, გვ. 14-15.

3 *И. З. Теплицкий, Н. Дз. Цагаева*. Памятники материаьнной культуры Северной Осетии. — Ордж., 1963, С. 20-21.

წარმომავლობით ოსები ნამდვილად არ ყოფილან. ისინი ადგილობრივი ქართველი გუდია-ურ-ები იყვნენ, რომელთა ნაწილი გვიან ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსდა. გაგვაჩნია 1774 წლის თრუსოს მნის ხევის აღწერა (რომელშიც სოფელ მნასთან ერთად სოფლები ოქროყანა და შევარდენიც შედიოდა). ამ აღწერაში, სხვა ქართულ გვარებთან ერთად (*ბაბეური, არჯინაური, ბადაძე, ნოქარაული, შუშღიაური, აღსუაიძე, ნასყიდაური, ბადილაური, ვარზოური, თადიაური.* ამ ქართული გვარების უმეტესობას ძველი ქართული მამაკაცის სახელები უდევს საფუძვლად, რომელთაგან ბევრი მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებსა და სამეგრელოში იყო შემორჩენილი: *ბაბე, ბადა, ბადილა/ბადულა, თადა. ნასყიდა კი ბოლო დრომდე პოპულარული სახელი იყო – მას ძირითადად იმ ოჯახში არქმევდნენ, რომელსაც ბავშვი არ რჩებოდა*), *გუდიაურის* გვარიცაა შეტანილი. უპრიანია 1774 წლის აღწერის დავთრიდან სოფლების მნის, ოქროყანისა და შავარდენის მოსახლეობის მთელი შემადგენლობა მოვიყვანოთ. ნიშანდობლივია, რომ ქვემოთ მოხმობილ აღწერას შემდეგი სათაური ახლავს: „**ხევის მნას** არაგვის ერისთავის ყმა ზანდუკელი ოტიას შვილის გოგიას სამოურაო“:

„ბაბეური კურდღელის შვილი ზაბეგ და იასე
ბაბეური დავითის შვილი გელა და შარანბალ
ბაბეური ალდათის შვილი მაი და გივი
ბაბეური ბიასის შვილი იასე, თემურა და გივი
ბაბეური ავთანდილის შვილი იამან
ბაბეური ზურას შვილი ზაალ და ადამ
ბაბეური ზაქის შვილი დაო და ბათი
[ბაბეურები ცხოვრობდნენ ხევის სოფელ სიონშიც]
არჯინაური გიას შვილი დავით
არჯინაური ელალდის შვილი დათი და ბასილა
არჯინაური ხოსროს შვილი ვახტანგ, დავით და ბერი
არჯინაური გიას შვილი დავით
არჯინაური ელალდის შვილი დათი და ბასილა
არჯინაური ხოსროს შვილი ვახტანგ, დავით და ბერი
არჯინაური თამაზას შვილი ბია და იესე
არჯინაური ქოჩორას შვილი ალიხან და გიორგი
ბადაძე კაცოს შვილი კოზმან და გივი
ბადაძე ზაღაგის შვილი ნაცვალი დოლა, შავხალ და იოსებ
გუდიაური ბისას შვილი ქემა და ბასილა
გუდიაური ბისას შვილი რევაზ და სიამ
ნოქარაული ტიღას შვილი გივი
შუშღიაური მირზაბეგის შვილი მარტია და ბატა
ახღსუაიძე გოდერძის შვილი როსტევან და ნასყიდა
ნასყიდაური ედიშერის შვილი ფეხელა და სედან
ბადილაური პაპუას შვილი ბერი
ვარზოური გიბილას შვილი გიორგი და ფირან
თადიაური ოსიტას შვილი პატარკაც და ზაალ
გუდიაური ზარიბეგის შვილი გეთა“[1].

1 მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული *ე. თაყაიშვილის* რედაქტორობით, თბ., 1907, გვ. 526-528.

დიახ, ხევ-თრუსოში საფლავის ქვების კეთების ტრადიცია, რომელ გვარსაც (გუდიაური-გიდიევი) ჰქონდა, ის ეთნიკურად ქართველი იყო. გვარებთან ერთად მათ ქართველობაზე პიროვნული სახელებიც მეტყველებს: *ადამ, ავთანდილ, ბასილა, ბატა, ბერი, ბია, გელა, გივი, გიორგი, დავით, დათი, დოლა, ედიშერი, ვახტანგ, ზაალ, ზურა, თემურ, იამან, იასე, იოსებ, კაცო, კოზმან, კურდღელი, მარტია, ნასყიდა, პაპუა, პატარკაც, რევაზ, როსტევან, საამ, ტიღა, ფეხელი, ქოჩორა...* მნის ხევზე მცხოვრები ზოგიერთი ამ გვარის წარმომადგენელი 1831-1832 წლების აღწერაში უკვე ოსადაა ჩაწერილი. მაგალითად, შევარდენში ქართული გვარებით ჩაწერილები – *უძილა ბაბეშვილი* (ადრინდელი *ბაბეური*) და *ნინია არჯინაშვილი* (ადრინდელი *არჯიანაური*) – ოსებად არიან აღრიცხული (ბაბეურ-ბაბეშვილთა წინაპრები მნის ხეობასა და ხევში დვალეთიდან იყვნენ გადმოსახლებული. მათ დვალეთში ოდესღაც მკვიდრობას სოფელ ნარას აღმოსავლეთით არსებული ტოპონიმიც – «Бабиаты хъугом»[1] – ადასტურებს). XVIII საუკუნის დასაწყისის საბუთით, ბაბეშვილები ხევის სოფელ ხურთისშიც ცხოვრობდნენ („ხურთის ბაბიაშვილის ნაქონი საკვამლე მამული"[2]) იგივე მდგომარეობაა დაფიქსირებული *ახალსოფელში* (*ოქროშვილი, ნეფიშვილი*) და *ოქროყანაში* (*ზაგაშვილი, არჯინაშვილი*). ოქროყანაშივე გუდიაურების გვარის რვა კომლი ოსადაა ჩაწერილი, მაგრამ ისინი კვლავ ქართული პიროვნული სახელების მატარებელნი იყვნენ: *გაბა* (გაბრიელის კნინობითი ფორმა), *გლახა, დედუფალა, დონანა (ქალის), შიო, კაკა, თომა, ბეჟანი, გოგია, კიტრია, მინათა (ქალის), რუხია, შავქალა (ქალის), ხარა (ქალის)*...[3] ქვემო ოქროყანის სასაფლაოზე, სადაც გუდიაურების გვარისანი განისვენებენ და რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ გუდიაევებად ჩაწერა, განისვენებს ივანე **გლახას** ძე გუდიევი (1875-1959). განსვენებულის მამის სახელი – გლახა – გამჭვირვალე ქართული სახელია, რომელიც წინაპართაგან ტრადიციით გადაეცემოდა. იქვე 1880 წელს გარდაცვლილი გუდიევის პიროვნული სახელი **ახლაუ** ყოფილა, რაც ქართველ მთიელებში გავრცელებული პოპულარული სახელის – **ახალას** – ფონეტიკური ვარიანტია. 1865 წელს გარდაცვლილ (დაბადებული იყო 1815 წელს) ასევე გუდიევს სახელად **დუდა** ერქვა. „დუდაც" უძველესი ქართული სახელია და მეგრულ მეტყველებაში „თავს" აღნიშნავს. გვაქვს ქართული გვარი დუდაურიც (საგულისყუროა, რომ 1831-1832 წლის აღწერით, თრუოელ ოსებს შორის გავრცელებული იყო ისეთი ქართული პიროვნული სახელები როგორიცაა: **რუხია, შავქალა, გლახა, დედუფალა, ხარა** (ქალის), **მინათა** (ქალის), **გაბა** (კაცის) – გაბრიელის კნინობითი ფორმა). საერთოდ, სახელები დიდი მდგრადობით გამოირჩეოდა, რადგან ტრადიცია იყო წინაპრების სახელების რქმევისა. სამწუხაროდ, საქართველოს მთაში, იქ, სადაც ქართველები ოსების ენობრივ-ეთნიკურ გარემოში აღმოჩნდებოდნენ, გაოსების შემთხვევები ერთი და ორი არ იყო. დასახელებული სოფლის სასაფლაოზე ერთ-ერთ გუდიევის საფლავის ქვის წარწერა ქართულ ენაზეა შესრულებული, თუმცა მას ძალადობის კვალი ამჩნევია – გარკვეულ მონაკვეთზე ის ამომტვრეულია (ასეთი ვანდალური ფაქტები სხვაც არაერთი დასტურდება).

1 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 2, Орджоникидзе, 1975, С. 224.

2 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450, რვეული 45 საქმე №66.

3 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 1245, გვ. 127-134.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გუდიაურების ნაწილი გაოსდა და დღეს მათი შთამომავალნი, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობენ, უკვე გუდიაევის გვარს ატარებენ. ქართველნი კი გუდიაშვილად იწერებიან (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ხევსა და მთიულეთში – -ურ და -ძე სუფიქსიანი გვარების ერთ ნაწილს -შვილი სუფიქსი ჩაენაცვლა). ასეთი იყო და არის ეთნიკური ისტორიის დაუწერელი კანონი. თანაცხოვრების და შერეული ქორწინებისას ხდებოდა ეთნიკურობის ცვლა. ამ დროს კი იკითხება მოხსენება და იბეჭდება ამ მოხსენების თეზისები, რომელშიც ორჯერ უადგილო ადგილას ცნობილი ქართველი მხატვარი *ლადო გუდიაშვილი* ოსური წარმომავლობის ქართველ მხატვრადაა სახელდებილი: «Не менее сложная судьба, но блестящее завершение жизненного пути – такова действительность **грузинского художника осетинского происхождения,** графика и живописца, монументалиста, сценографа, педагога, профессора **Владимира Давидовича Гудиашвили**»[1]. იქნებ დაგვიზუსტოს თეზისების ავტორმა, სად წაიკითხა ლადო გუდიაშვილის „აღიარება“, რომ ის ოსური წარმომავლობის ქართველი მხატვარი იყო? გვარის ფუძე ქართულია: „გუდა“ ხომ ოთხში ამოღებული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკია. მთაში გუდას გამოიყენებდნენ ერბოს, ყველის, კალტის შესანახად და საზომადაც: გუდა ყველი, გუდა ერბო და სხვ.: იყო საჭმლის გუდაც. მომცრო გუდა ანუ ტიკჭორა კი არყისთვის იყო განკუთვნილი[2]. *სულხან-საბა* „გუდას“ განმარტავს, როგორც „ტყავის შთასადებელს“. გვაქვს სიტყვები ***გუდალი, გუდალელვი, გუდამშიერი, გუდა-ნაბადი, გუდა-სტვირი, გუდაფშუტა, გუდურა...*** გვარს კი საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი „გუდა“; თუმცა *გუდა/გუდია* ქალის სახელიც იყო[3]. პიროვნული სახელი „გუდა/გუდი“ დადასტურებული გვაქვს XV-XVI და XVIII საუკუნეების სვანურ მოსახსენიებლებში[4]. გვქონდა აგრეთვე სახელები *გუდაჩი, გუდია, გუდუ, გუდული, გუდუნა, გუდაბერი*[5]. *გუდია* (*გუდადი, გუდაჩი, გუდიდი, გუდიე, გუდინიე, გუდნა, გუდუ, გუდუა, გუდულა, გუდუნა*) ბოლო დრომდე ერთობ პოპულარული სახელი იყო სამეგრელოში[6]. გარდა გუდიაურ-გუდიაშვილისა გვაქვს ქართული გვარები: *გუდაბანიძე, გუდაბნელიძე/გუდაბრელიძე, გუდაბაძე, გუდავა, გუდავაძე, გუდაშვილი, გუდაძე* (გუდაძე მოხსენიებულია ქართლში 1523, 1559, 1601, 1699 წლების საბუთებში[7]. დოკუმენტებით ჩანს, რომ გუდაძეები აზნაურები იყვნენ – 1601 წელს სულ-

1 *Б. В. Бесолов*. Два творца из двух разных поколений: Заурбек Авоев (1931-2000) и Ладо Гудиашвили (1896-1980). – მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, თეზისები, 13-15 ოქტომბერი, თბ., 2018, გვ. 20. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ თეზისებს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს, ან რა მიზნით გაერთიანდა ერთ მოხსენებაში ოსი მხატვარი ზაურბეკ აბოევი და ლადო გუდიაშვილი? ვფიქრობ, იმტომ, რომ ქართველებისათვის აქ, თბილისში ეთქვათ: „ლადო გუდიაშვილი ოსი იყო“. ამიტომაც დააწყვილეს ის ოს მხატვართან.

2 *პ. ხუბუტია*. თუშური კილო. ლექსიკა. თბ., 1969, გვ. 33.

3 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 728-729.

4 სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, *ვ. სილოგავას* გამოცემა, თბ., 1986, გვ. 275, 304.

5 *ალ. ღლონტი*. ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 107.

6 ა. ჭანტურია. მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006, გვ. 28.

7 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 729.

ხან გუდაძე და მისი სახლიკაცი მგელია თავად მასტანა შალიკაშვილისაგან მის მკვიდრ ყმას ყიდულობს), *გუდიშვილი.* ჩამოთვლილი გვარებიც ოსური წარმომავლობისანი არიან? 1658-1676 წლებით დათარიღებული წყალობის წიგნის თანახმად ***გუდიაშვილები თავად ციციშვილების აზნაურები იყვნენ***[1], რომლებიც თრუსოდან გადმოსახლებული *გუდიაურების* შთამომავლები იყვნენ. ზუსტად იგივე ვითარებაა დაფიქსირებული *ფარუხაულების* შესახებ, რომლებიც დვალეთიდან საციციანოში გადმოსახლების შემდეგ *ფარუხაშვილებად* იქცნენ. ახლა ტოპონიმები ჩამოვთვალოთ: ***გუდა-ნი*** (ხევსურეთში), ***გუდათ-უბანი*** (ზემო იმერეთში), ***გუდა-ლეთი*** (შიდა ქართლში), ***გუდა-ური*** (მთიულეთში), ***გუდა-უთა*** (აფხაზეთში), ***გუდა-ლისი, გუდა-მაყარი, გუდა-რეხი*** (ფშავში), ***გუდე-ლესი, გუდ-ეთი, გუდა-მეთი*** (არსებობდა არტაანში), ***გუდა-ვა*** (სამურზაყანოში), ***გუდა-სახვევი*** (ზემო აჭარაში), ***გუდა-წვერი*** (შიდა ქართლში), ***გუდიანთ-კარი*** (შიდა ქართლში, მეჯვრისხევთან. გუდიანთკარი ნიშნავს გუდიაშვილების სოფელს), გუდათუბანი (ეს ოიკონიმიც გუდაშვილების სოფელს აღნიშნავს)... ყველა ეს ტოპონიმი საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნის რუსულ გამოცემებშია დადასტურებული[2]. მისივე ფონეტიკური ვარიანტია ***ღუდა.*** ასე რომ, ლექსიკური ერთეული „გუდა“ მხოლოდ და მხოლოდ ქართულია და მას ოსურ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროსთან საერთო არაფერი აქვს – ის პროდუქტიული აღმოჩნდა ქართულ ონომასტიკაში. ყველაზე მთავარი: საკითხავია, ამ ავტორს სკოლაში თუ არა, უმაღლეს სასწავლებელში მაინც არ ასწავლეს, რომ ეთნიკურობას ცნობიერება განსაზღვრავს?

1774 წლის მნის ხეობის აღწერაში მოხსენიებულ გვართა ნაწილი სხვაგან გადასახლებულა, მაგალითად, თადიაურები შემდეგ ფშავის სოფელ მათურაში ცხოვრობდნენ; ნოქარაულები შიდა ქართლში გადასახლებულან და მათი შთამომავლები დღეს ნოქარაშვილის გვარს ატარებენ; იგივე შეიძლება ითქვას ნასყიდაურებზე – ისინიც შიდა ქართლში ცხოვრობენ ნასყიდაშვილის გვარით.

რადგან ანთროპონიმებზე ჩამოვარდა საუბარი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზოგიერთმა მეცნიერმა XIV საუკუნის „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებული მნაველთა მეთაურების პიროვნული სახელებიდან გამომდინარე, მნაველები ახლად დასახლებულ ოსებად მიიჩნია. აი, ეს ამონარიდი: „მაშინ განრისხნა ვირშელი და შეუზახა ლაშქარი თჳსი, დასცეს საყჳრსა და მიეტევნეს ვითარცა მჴეცნი და მოადგეს შუა სამხრის ციხეთა მნისათა. ... მაშინ მოიკლეს სიმრავლითა ისართაჲთა თავნი და გოლიათნი ქუეყანისა მათისანი: *სუნღუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბაღათარ* და სხუანი მრავალნი“[3]. გ. თოგოშვილმა და ვ. ითონიშვილმა მნაველთა ზემოთ აღნიშნული სახელები ოსურ სახელებად მიიჩნიეს[4]. დავსძენთ, რომ არცერთი ეს სახელი ალან-ოსური არაა. ისინი ძირითადად მონღოლური სახელებია, რომლებიც გავრცელდა ყველა იმ ხალხში, სადაც მათ

1 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 729.

2 Кавказский Календарь, 1910, ч. 1; Кавказ: географические названия и объекты. Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края/По книге *Д. Д. Пагирева* (1913). Нальчик, 2007.

3 *შ. მესხია.* ძეგლი ერისთავთა. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954, გვ. 357.

4 *გ. თოგოშვილი* საქართლო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე, თბ., 1958, გვ. 219; *ვ. ითონიშვილი.* აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ. 169.

ფეხი დადგეს. სახელი „ამსაჯან“ ანუ „ავსაჯან“ ბოლო დრომდე ხევში გარცელებული სახელები იყო და ამ ფუძესახელზე გვარიც გვაქვს *ავსაჯანიშვილი* (ძველად *ავსაჯანიური*). ქართველ ხალხში ასევე გავრცელებული იყო სახელი „სანღური“ (იგივე „სონღული“). გვაქვს გვარი *სონღულაშვილი* (უფრო ადრე *სონღულიძე*). ქართულ ენაში „სონღული“ ერთ-ერთი მტაცებელი ფრინველის სახელიცაა. ქართულ ენაში კი არაერთი ფრინველის და ცხოველის საზოგადო სახელი ადამიანის პიროვნულ სახელადაც იქცა. საკუთარი სახელის „ფარეჯანის“ ვარიანტი – „ფარანჯომი“ ისტორიულ საქართველოში გავრცელებული სახელი იყო. საქართველოში ამ სახელით მეფეც კი გვყავდა, მირვან I-ის ძე. ეს სახელები შუა საუკუნეების სვანეთშიც საკმაოდ გავრცელებული იყო[1].

ასე რომ, მნის ხეობა ოდითგანვე ქართველებით იყო დასახლებული და მოსახლეობის ეთნიკური ცვლა მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან დაიწყო. ეს ცვლილება კი მაღრან-დვალეთელი (მაღრან-დვალეთი მოიცავდა დიდი ლიახვის ხეობის სათავის ცხრა სოფელს) და თრუსოელი ოსების შემოჭრის შედეგად მოხდა. ეთნოგრაფიული მასალებით, „როდესაც მაღრან-დვალეთელი ოსები მნის სოფლების დასალაშქრად მოდიოდნენ, თრუსოს სოფელ აბანოს მკვიდრმა ერთ-ერთმა ქალმა მნელებს შეატყობინა, მაგრამ ოსები მეტნი იყვნენ – 17 სოფელს მნაველები რას აუვიდოდნენ (თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაღრან-დვალეთში 9 სოფელი იყო, თრუსოში – 8 (=17), მნის ხეობის მკვიდრთ მართლაც ბრძოლა მოუხდათ ორი მიკრორეგიონის შეერთებულ ლაშქართან – რ. თ.); დანარჩენმა მოხევეებმა ვერ მოასწრეს მოსვლა და ეს ტერიტორია ოსებს დარჩათ. სოფლების მნის, ოქროყანას, შევარდენის მცხოვრები ქართველები ოსების მიერ ძალით გამორეკილები არიან“. 85 წლის (2018 წ.) ინფორმატორის *პლატონ ტატიშვილის* მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გაოსებული გუდიაევები „აღიარებდნენ, რომ ქართველები იყვნენ“. ასე რომ, მაღრან-დვალეთელი ოსების (დიდი ლიახვის სათავე) ცხრა (9) სოფლისა და თრუსოელი ოსების რვა (8) სოფლის ერთობლივმა თავდასხმამ მნის ხეობაზე გამოიწვია ხევის მნის ხეობაში ეთნიკური ვითარების შეცვლა. ამის გამო, აქედან ხევის სხვადასხვა სოფელში გადასულმა ქართველებმა, ბუნებრივია, ეთნიკურობა შეინარჩუნა, ხოლო ადგილზე დარჩენილი ქართველები კი, შემოსულ მოსახლეობასთან შედარებით, აღმოჩნდნენ რა ეთნიკურ უმცირესობაში, თანდათან გაოსდნენ. ამავე დროს მოხდა თრუსოში (თერგის ხეობაში ადგილ კასარადან მდინარის სათავემდე) ეთნიკური ოსების მექანიკური მატებაც და სოფლების რაოდენობის ზრდაც – ხუთი (5) ახალი სოფლის წარმოქმნა. სწორედ ამ დროიდან, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან მნის ხეობაში არსებულ სამ სოფელს იქვე და მნის თერგთან შესართავის ქვემოთ ახალი ოსური სოფლები დაემატა – ახალსოფელი (რომლის თავდაპირველი ქართული სახელი (ასეა ის დაფიქსირებული 1831-1832 წლების რუსული კამერალური აღწერის დავთარში) შემდეგ უკვე თარგმნეს და ნოგყაუ უწოდეს), ალმასიანი (იგივე ბაზალიანი), კობი და უხათი.

ზემოთ, რადგან საფლავის ქვებსა და დაკრძალვის შესახებ ვსაუბრობდით, ამ პრობლემას კიდევ უნდა მივუბრუნდეთ. ცნობილია, რომ მთებში ოსები ძირითადად მიწისზედა (აგრეთვე ნახევრადმიწისზედა და მიწისქვეშა) აკლდამებში იკრძალებოდნენ. მატერიალური კულტურის ეს ძეგლები ეთნიკური ისტორიის

1 დაწვრილებით იხ.: *რ. თოფჩიშვილი*. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 60-62.

საკითხებსაც წყვეტს. თვით ოსი მეცნიერების მიერ მოხმობილი მასალებით, ოსები დვალეთში დასაკრძალავად არ იყენებდნენ მიწისზედა აკლდამებს, რაც პირდაპირ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დვალები ოსები არ იყვნენ. ზუსტად ანალოგიური ვითარება გვქონდა თრუსოში. თრუსოს როგორც XVII საუკუნეში, ისე XIX საუკუნეში მოსული ოსური მოსახლეობა მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა აკლდამებში არ იკრძალებოდა. თრუსოს საფლავების შესწავლა საინტერესო ეთნოკულტურულ ფაქტებს ადასტურებს: მთელ რიგ სოფლებში მიგრირებულ ოსები მიცვალებულების დაკრძალვას მიწისქვეშა საოჯახო აკლდამებში ახდენდნენ, მაგრამ შემდეგ, ქართველთა მიბაძვით მიწაში დაკრძალვა დაიწყეს. მიწაში დაკრძალულებს ჩვეულებრივ ან ბრტყელ ქვებს ადებდნენ ან ვიწრო ქვებს ვერტიკალურად აღმართავდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ზუსტად ისეთ საფლავის ქვებს ადებდნენ, როგორიც ქართველებს გააჩნდათ, საფლავის ქვაზე წარწერები ძირითადად რუსულ ენაზე კეთდებოდა, თუმცა არაერთი წარწერა ქართულ ენაზეა შესრულებული (სამწუხარო ფაქტია, რომ საფლავის ქვების ქართული წარწერები ხშირად ამომტვრეულია, მაგალითად, სოფელ ოქროყანაში). საფლავის შემდეგი ეტაპი იყო რკინის ღობურით შემოღობვა. ასე რომ, თრუსოში (ისევე როგორც დვალეთში) დაკრძალვის მხოლოდ ქართული/ქრისტიანული ტრადიცია არსებობდა და არა ოსური (გამონაკლისია გადმოსახლების შემდგომი ეტაპი). დაკრძალვის ქართულ წესზე გადასვლა, ბუნებრივია, მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებამ და ქართველთა მეზობლობაში ცხოვრებამ განაპირობა. სხვათა შორის, XV საუკუნის შუა ხანების საეკლესიო საბუთით, დვალეთი (თრუსოც) სამთავნელის სამწყსოში შედიოდა და ეკლესიის სასარგებლოდ აქაურ მთიელებს მხოლოდ უმნიშვნელო გადასახადი ჰქონდათ დაკისრებული: „დვალეთს: პური ა, სამარხო კაბიწი ა, საბელი ა“[1].

სხვათა შორის, ოსების თრუსოში მიგრაციის შესახებ მიუთითებდნენ არაქართველი ავტორებიც. *ვოლდემარ პფაფი* და *ნატალია ვოლკოვა* XV-XVI საუკუნეებს ასახელებდნენ. მათი ეთნოგრაფიული მასალებით, ოსები თრუსოში ქურთათის საზოგადოებიდან იყვნენ გადმოსახლებული. თრუსოში ოსებს უფრო გვიან (XVI-XVIII საუკუნეებში) გადმოსახლებულებად მიიჩნევდა *ფელიქს გუტნოვი:* «...Большинство современного населения Трусо – потомки переселенцев конца XVI-XVIII веков из разных ущелий Осетии[2]». იგივე შეიძლება ითქვას მთელ შიდა ქართლზე. ოსი მეცნიერები ფაქტების წინააღმდეგ ვერ მიდიოდნენ, XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ ასკვნიდნენ, რომ თითოეული ოსური გვარი შიდა ქართლის მთიანეთში 10-12 თაობის მოსულიაო, მაგრამ უფრო ადრეც აქ ოსები ცხოვრობდნენო. ამ მხრივ გამოირჩეოდა ზ. ვანეევი, რომელმაც „პრეჟნიე ასეტინის“ ცნებაც შემოიტანა[3].

თრუსოდან ქართული მოსახლეობის აყრა კი თემურ-ლენგის შემოსევების დროს მოხდა. ხოლო გადარჩენილმა ქართულმა მოსახლეობამ მთლიანად ხევში მოიყარა თავი. არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ქართული გვარების თავდაპირველად თრუსოში მკვიდრობა-მოსახლეობის შესახებ. ეს გვა-

1 *ივ. ჯავახიშვილი.* საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს), წიგნი II, თბ., 1974, გვ. 10.

2 Ф. Х. Гутнов. Века и люди (из истории осетинских сел и фамилии), Владикавказ, 2001, с. 181-182.

3 *რ. თოფჩიშვილი.* საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

რებია: *ზაქაიძე- ზაგაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები, ბადაშვილები, კობიაშვილები, ტუჩაშვილები...* ძირად ქართველებად მიაჩნიათ თავი *ქასოევებსა* და *სუხიევებს*, რომლებიც თავიანთ ადრინდელ გვარებად *ქასოშვილსა* და *სუხიშვილს* ასახელებენ[1], ეს გადმოცემები ეთნოლოგ *გიორგი ჯალაბაძეს* 1950-იან წლებში აქვს ჩაწერილი. მეცნიერს მთელმა რიგმა ოსური გვარების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ არდონის ხეობიდან მათი წინაპრების გადმოსახლება სამი-ოთხი თაობის წინ მოხდა. „ჩამოსახლებულთა ბოლო თაობას შემოუნახავს წინაპართა გადმოცემა იმის შესახებ, რომ აქ ჩამოსვლისას მათ დახვედრიათ უცხო მოდგმის ხალხი, ესენი ყაბარდოელები ყოფილან. ასეთი ცნობა ჩვენ მოგვაწოდეს, როგორც თრუსოს ხეობის ზედა ნაწილში, ისე მის ქვედა ნაწილში. ... თრუსოს ხეობაში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ რა ამ ცნობას, შესაძლებლად მივიჩნიეთ, რომ ოსების მიერ ყაბარდოელების ქვეშ დვალური მოსახლეობის ისეთი ფენა უნდა იყოს ნავარაუდევი, რომელიც თრუსოს ხეობის ზედა რაიონებში მოსახლეობდა“[2]. თრუსოში ანალოგიური ეთნოგრაფიული მასალა იმავე დროს სხვაცაა დადასტურებული, კერძოდ, სოფელ *გიმარაში*, ოღონდ ყაბარდოელების ნაცვლად ამ შემთხვევაში „ჩერქეზები“ ფიგურირებენ: „ადრე ამ სოფელში (გიმარაში – რ. თ.) ჩერქეზებსაც უცხოვრიათ. შემდეგ ოსები, რომ მოსულან ბერიოზის (ბარჟ – ოსურად) ჩერქეზები ჯოხებით გადაურეკიათ და მათ მიერ აშენებული ციხეც ოსებს დაუკავებიათ. ახლაც ინახება ერთ-ერთი ჯოხი, რომელიც საშუალო აგებულების კაცის მაჯის სიმსხოა და სიგრძით 2 მეტრამდეა. ზედ ასხმულია ზარები და ზანზალაკები. ინახება ვაცილას ხატში, როგორც წინაპრების მოსაგონარი“[3]. რა თქმა უნდა, თრუსოს ოსებამდელი მოსახლეობა ქართველი მთიელი დვალები იყვნენ. მაგრამ, ბუნებრივია, კითხვა ჩნდება: რატომ უწოდებდნენ აქ მიგრირებულები ადგილობრივ ძველ მკვიდრებს ყაბარდოელებს/ჩერქეზებს? პასუხი მარტივია, ისინი ყველა სხვა ეთნოსს, სხვას, მოწინააღმდეგეს „ყაბარდოელებს“ უწოდებდნენ. აქ მოსვლამდე სხვა ეთნოსთაგან ოსები მხოლოდ ყაბარდოელებს/ჩერქეზებს იცნობდნენ, მათთან ჰქონდათ ურთიერთობა. კავკასიის დაბლობში ოსების განსახლების არეალი მონღოლების შემდეგ ყაბარდოელებმა/ჩერქეზებმა დაიკავეს და მთებში იძულებით შესულ და დასახლებულ ოსებს ბარში გასვლისა და დასახლების ნებას არ აძლევდნენ. ასე რომ, ოსებისათვის ყველა სხვა ეთნიკური ერთობა, რომლებიც მათ წინააღმდეგობას უწევდნენ, ყაბარდოელებად მოიაზრებოდნენ. რაც მთავარია თრუსოში მიგრირებული ოსების გადმოცემაში მათ წინამორბედ მოსახლეებში არსად ოსი არ ფიგურირებს, იცოდნენ, რომ მათი აქ დასახლებამდე თრუსოში ოსები არ ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, ეს ეთნოგრაფიული მასალა ოსი ავტორების მიერ უგულვებელყოფილია.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ დღევანდელი ხევის მომიჯნავე მნის ხეობის სოფლები, გვიან რომ ზოგერთმა მეცნიერმა თრუსოს მიაკუთვნა, XVIII საუკუნეშიც ქართველებით იყო დასახლებული. ამაზე სოფლების სახელწოდებებიც (***შევარ-***

1 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 227.

2 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 227-228.

3 *ვ. ითონიშვილი.* ეთნოგრაფიული მასალები (თრუსოს ხეობაში შეკრებილი 1958 წ.). ხელნაწერი, გვ. 13.

დენი, ოქროყანა) მიუთითებს. „აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის გერგეტის მატიანეში გერგეტის საყდრიშვილობის განმტკიცების საბუთში ჩამოთვლილი სახელებიდან გერგეტისათვის მძევლები რომ უნდა მიეცათ ნახსენებია *არჯიმაგიშვილი გოგოლა.* ეს იგივეა, რაც სოფელ შევარდენში გვიანდლამდე მცხოვრები *არძინოვები,* რომლებიც ადრინდელ გვარად *არჯინაშვილებს* ასახელებენ, ამავე დოკუმენტშია მნაელი *ბადაᲘსძე,* გვიანდელი *ბადაშვილი.* ... XIX საუკუნეში *ბადაშვილები* მოსახლეობენ კობში *ბადაევების* გვარით და ხურთისში – *ბადაშვილებად.* ხურთისელი ბადაშვილები კობიდან არიან გადასულნი“[1]. 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული ქართული გვარები ზემოთ დავასახელეთ. საინტერესოა შევარდენში არსებული სალოცავის/ხატის სახელწოდება – **„მასხარობა“/„მაცხარობა“,** რომლის დღეობაც 22 ივლისს მოდიოდა. ასეთი სახელწოდების სალოცავის შემქმნელნი, რა თქმა უნდა, ოსები ვერ იქნებოდნენ; ის ქართველთა დაარსებულია და შევარდენში დასახლებულმა ოსებმა ეს ქართული სალოცავი გაითავისეს. **„მასხარობა“/„მაცხარობა“, ქართული „მაცხოვრის“ ფონეტიკური ვარიანტია.** საქართველოს მთაში „მაცხოვრის“ სახელზე სალოცავები/ეკლესიები სხვაგანაც იყო, მაგალითად, სვანეთში – იელის, ხალდეს, ჩვაბიანის, ჟაბეშის, ლაღამის მაცხოვრის ეკლესიები. სვანეთის ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშს კი სახელწოდება აქ არსებული მაცხოვრის ეკლესიისაგან აქვს მიღებული.

ზემოთ *ზაგაშვილების* გვარიც ვახსენეთ. ამ გვარის შესახებ ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდეთ. მთიულეთის ხადას ხეობასა და ხევში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, საერთო წარმომავლობა აქვთ მთიულ *ზაქაიძეებსა* და მოხევე *ზაგაშვილებს.* ზაქაიძეებიცა და ზაგაშვილებიც მიუთითებენ, რომ ისინი თრუსოდან წარმომავლობენ და რომ მათი განაყრები არიან სოფელ ოქროყანაში მოსახლე *ზაგაკოვები* (ახლა ოსები). თავის მხრივ, ზაგაკოვებიც თავიანთ ადრინდელ გვარად ზაგაშვილს ასახელებენ და ქართველობდნენ. მათ თავდაპირველად თრუსოს სოფელ აბანოში (უფრო სწორედ, სოფელ ზაქაგორში) უცხოვრიათ. იქიდან სოფელ მნაში გადასახლებულან. მნიდან ერთი ნაწილი ჯერ გველეთში, შემდეგ კი ცდოში დასახლებულა. მნაში დარჩენილი ზაგაშვილები გვიან ოსურ გარემოცვაში გაოსდნენ და ზაგაევებად დაეწერნენ. ზაგაევები სულ ბოლოს ოქროყანაში გადმოსულან. ამ გვარის შესახებ ეთნოგრაფიული მასალა 1958 წელს გიორგი ჯალაბაძესაც ჩაუწერია: „გადმოცემით ქვემო ოქროყანა უფრო ძველია. ამ სოფლის მკვიდრი მოსახლენი ყოფილან ზაკაგოვები, რომლებიც ადრე ქართველობდნენ, ეწერებოდნენ ზაგაშვილებად. ზაგაშვილების წინაპარი ზაქის (დვალეთის ზახის – რ. თ.) ხეობიდან მოსულა. ისინი სამი ძმა ყოფილან. ორი ძმა ხევში დარჩენილა, ერთი ძმა სოფ. აბანოში დასახლებულა. იქიდან სოფელ მნაში გადასახლებულა. მნადან ერთი ნაწილი ზაგაშვილებისა ხევის სოფელ ცდოში დასახლებულა, ხოლო მნაში დარჩენილებს აუშენებიათ „მარიანობის“ სალოვავი. ამ სალოცავში ხშირი მსვლელობა ჰქონიათ ზაგაშვილების განაყრებს, რომლებსაც მამის სახელის კობას და მისი მოდგმის კობაითას მიხედვით კობიაშვილების გვარი მიუღიათ“[2]. აღსანიშნავია, რომ ზაგაშვილების წინაპრები XIV საუკუნეში უკვე

1 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 227.

2 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 226.

თერგის ხეობაში ცხოვრობდნენ – ისინი არიან შთამომავალნი აღნიშნულ ძეგლში მოხსენიებული ინდო ზაქაიძისა. „ზაგაევების გადმოცემით, ისინი ქართველები ყოფილან. მათი წინაპარი თრუსოს ხეობაში თავკაცად ითვლებოდა. მათ წინაპარს პირველი საუფროსო ადგილი ჰქონდა დათმობილი ხატის კარზე გაშლილ სუფრაზე. **მათი წინაპრებისაგან მთიულ-გუდამაყრელნი იღებდნენ ნებას თრუსოს ხეობის საზაფხულო საძოვრების გამოყენებაზე**. ... მატიანეს ცნობით ნაცვალი ინდო ზაქაძე საკმაოდ მოძლიერებული პირია, რომელმაც წმიდა სამებას შესწირა დღენახევრის ყანა, რომელიც მას მეფეთაგან ჰქონდა ნაბოძვარი“[1]. [მოყვანილ მსჯელობაში გვარის წარმომავლობასთან ერთად, კიდევ ორი ფაქტია მნიშვნელოვანი: 1. მეზობელი მთიულები და გუდამაყრელები თრუსოს საზაფხულო საძოვრებს იყენებდნენ; 2. თრუსოში მიწები ზაქაძეებს ქართველ მეფეთაგან ჰქონდათ შეწირული]. ძირად ქართველები იყვნენ ბოლო დროს კობში მოსახლე ბადაევები, რომელთა ადრინდელი გვარია ბადაისძე და რომელიც „გერგეტის მატიანეშია“ მოხსენიებული. გაოსებას გადარჩენილები დღეს ხევში ბადაშვილის გვარს ატარებენ, რომლებიც სოფელ ხურთისში კობიდან არიან გადმოსახლებული, ამ გვარიდან არიან შტონაყარი მოხევე ტუჩაშვილები, რომლებიც სახლიკაცობაში ყოფილან ბადაევებთან.

ამრიგად, ზაგაშვილების განაყრები არიან დღეს ხევის სოფელ ყანობში მოსახლე კობიაშვილები, რომლებიც მამის სახელზე მოდიან და რომლებიც, ზაგაშვილებთან ერთად, მამა-პაპათა საცხოვრისში – სოფელ მნაში დადიოდნენ სალოცავად, სადაც ოსები, როგორც ამ სოფლის პირველმკვიდრთა და ადგილობრივ სალოცავთა ყმათ, დიდი პატივით ხვდებოდნენ. ზაქაიძეების-ზაგაშვილების-ზაგაევების გვარებს საფუძვლად უდევს მამაკაცის ძველი ქართული სახელი „ზაქა“ („ზაქი“). ასეთი სახელი, მაგალითად, ნახსენებია 1774 წლის სოფელ მნის აღწერაში: „ბაბეური **ზაქის** შვილი დაო და ბათი“[2]. სხვათა შორის, XIX საუკუნეში თრუსოს მცხოვრები ზაგაშვილები მთლად არ იყვნენ გაოსებული. 1886 წლის საოჯახო სიებით ისინი ჯერ ოსებად ჩაუწერიათ, მაგრამ შემდეგ აღმწერს ეროვნება „ოსი“ გადაუხაზავს და ზევიდან იმავე ხელით დაუწერია «грузины». ამავე დროს, ისევე როგორც თრუსოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ზაგაშვილები (ზაგაევები) აქ ორენოვანნი იყვნენ. მათ ენის გრაფაში უწერიათ „ქართული“ და „ოსური“. ხოლო ალმასიანში (ბაზალიანში) მცხოვრებ ზაგაშვილებს მხოლოდ ქართული ენა უწერიათ. ანალოგიური მინაწერი აქვთ მნაში მცხოვრებ *გუდიაურებსა* და *არჯინაულებს*. 1886 წლის საოჯახო სიებში – აღმწერს ისინი ჯერ ოსებად ჩაუწერია, შემდეგ გადაუსვამს ხაზი და ზევიდან იმავე ხელით დაუწერია „ქართველი“. ნიშანდობლივია, რომ 1910 წლის «Кавказский Кальендарь»-ში სოფელ ზაქაგორის მოსახლეობა ქართველებად არის აღნუსხული (1908 წლის მონაცემი, 125 სული). სოფლის ეს სახელი კი დვალეთის ზახას/ზაქას ხეობიდან გადმოსახლებულ მოსახლეობას ჰქონოდა გადმოტანილი – ესენი კი იყვნენ ზაქაიძე-ზაგაშვილების წინაპრები, რომლებიც აღნიშნული ხეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. დვალეთის ზახას ხეობიდან იყვნენ გადმოსული თრუსოს სოფელ შუატისში მცხოვრები *ქესაევები,* რომელთა ადრინდელი გვარი იყო *ქესაური.* გა-

1 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 227.

2 მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული *ე. თაყაიშვილის* რედაქტორობით, თბ., 1907, გვ. 427.

ოსებას გადარჩენილი და დვალეთიდან გადმოსახლებული ქესაურები ქართლში, ქსნის ხეობის სოფელ ყანჩავეთში ცხოვრობენ (დვალეთში ქესაურებს მეორე გვარი – *გენცაური/გენცაროვიც* ჰქონდათ შენარჩუნებული). ქესაურები ქართველ თავადებს *ხერხეულიძეებს* ენათესავებოდნენ, რომელთაც, ოსური გადმოცემებით, საერთო წარმომავლობა ჰქონიათ. ხერხა(ე)ულიძეები კი, როგორც ზედაფენის წარმომადგენელი აზნაურები, პირველად 1466-1477 წლების საბუთში არიან მოხსენიებული. 1886 წლის საოჯახო სიებში თრუსოს სოფლების კარატკავის 31 კომლს და ქეთრისის 23 კომლს ორი ენა – ქართული და ოსური – აქვს მიწერილი[1], ე. ი. ისინი ორენოვანი იყვნენ. უფრო მეტი, სოფელ მნის მკვიდრების სალაპარაკო ენა მხოლოდ ქართული იყო[2]. საერთოდ, თრუსოს სოფლების მოსახლეობის უმრავლესობა ორენოვანი იყო. ანალოგიური ენობრივი ვითარება გვქონდა მეზობელი დვალეთის ზახას ხეობაში (თრუსოდან ზახაშია გადასასვლელი, რომელსაც *ხელადურის* გადასასვლელი ჰქვია).

სოფელ *ქეთრისის* ორენოვნების (ქართულ-ოსურის) ახსნის საშუალებას ეთნოგრაფიული მასალა იძლევა, რომელიც აქ დვალეთიდან გადმოსახლებულ *ქესაევებს/კესავებს* შეეხება, რომელთა ადრინდელი ქართული გვარიც, ვიმეორებთ, *ქესაური* იყო: „სოფელ ქეთრისში სულ ოთხი გვარი ცხოვრობს: *კოკაევი, კესაევი, ცალაგოვი* და *კეტოევი*. კესაევები მოსულან ნარადან. აქედან კესაევების ხუთი კომლი წამოსულა, მიზეზი ყოფილა მტრიანობა. თავდაცვის მიზნით თრუსოს ხეობას მოაშურეს, სადაც მაშინ ტყე ყოფილა და თერგის კალაპოტი ისე შემოსილი ბუჩქებით, რომ წყალი ძლივს ჩანდაო“[3]. ცნობილია, რომ დვალეთის ზახას ხეობიდან ქესაურები ქსნის ხეობის სოფელ ყანჩავეთშიც იყვნენ გადმოსახლებული, სადაც, ბუნებრივია, მათ ქართველობა შეინარჩუნეს. ოსი ეთნოლოგების მიერ დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალებით, ზახას ხეობაში მოსულ ოსებს მხოლოდ ამ გვარისანი დახვდნენ, რომლებიც გადმოცემით ქართველები იყვნენ და საერთო წარმომავლობა ჰქონდათ თავად ხერხეულიძეებთან, შესაბამისად იყვნენ ძმების – ქესასა და ხერხას – შთამომავლები[4]. დვალეთის ზახას ხეობაში შემოჭრილ და მოთარეშე ოსებს ქესაევების წინაპარი ქესაურები თრუსოშიც გამოექცნენ. ამავე სოფელში დვალეთიდან მიგრირებული იყვნენ კოკაევევიც (იგივე კოკაურები): „კოკაევიც ნარადან გადმოსახლებულა. სამნი ყოფილან მონადირე ძმები. ტყით შემოსილი ადგილები მოსწონებიათ საცხოვრებლად. სახლში დაბრუნებულან, იქიდან წამოუღიათ ქერის თესლი და საცდელად დაუთესიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ნახეს რომ ქერმა იხარა და დარწმუნდნენ, რომ ადგილი მოსავლიანია. გადაწყვიტეს აქ გადმოსახლება. მათ მაგალითს მიბაძეს მტრიანმა კესაევებმა და ცალაგოვებმაც, რომლებიც აგრეთვე ნარიდან წამოსულან, ე. ი. ქეთრისის პირველი მოსახლენი დასახელებული გვარებიდან არიან კოკაევები, შემდეგ კესაევები და ბოლოს ცალაგოვები“[5]. ასე რომ, დასახელებული სამი

1 სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 1805.

2 სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 1805.

3 ვ. ითონიშვილი. ეთნოგრაფიული მასალები (თრუსოს ხეობაში შეკრებილი 1958 წ.). ხელნაწერი, გვ. 1.

4 Б. А. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды, М., 1999, с. 264.

5 ვ. ითონიშვილი. ეთნოგრაფიული მასალები (თრუსოს ხეობაში შეკრებილი 1958 წ.). ხელნაწერი, გვ. 1.

გვარი დვალეთიდან მიგრირებულთა პირველი წარმომადგენლები არიან. მათი გაოსება თრუსოში მოხდა გვიან, როდესაც აქ უკვე ეთნიკური ოსების მიგრაცია განხორციელდა (XVII საუკუნის შუა ხანებიდან).

ოსების დვალეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხეობიდან თრუსოში მიგრაციის ფაქტები თვით ოს ავტორებს აქვთ დადასტურებული. მაგალითად, სოფელ *ბურმასიგში* მოსახლე თუაევები (1886 წლის საოჯახო სიებით – თვაურები, 7 კომლი) დვალეთის მამისონის (ჟღელეს) ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებული. სხვათა შორის, თვაურების განაყრებად მიიჩნევიან დვალიშვილები (შემდეგდროინდელი ვალიშვილები/ვალიევები). სოფელ გიმარაში/ჯიმარაში მცხოვრები ბეროზოვები და ბოცოევები დარგავის ხეობიდან მოსულან (1873 წელს – შესაბამისად 14 და 7 კომლი). სოფლებში ქვემო დესში და ზემო დესში მცხოვრები ყველა გვარი (1873 წელს: ხამიცოვი – 7 კომლი, ტოტროვი – 2 კომლი, კარგაევი – 2 კომლი, მირიკოვი – 2 კომლი, კაზიევი – 4 კომლი) ასევე მიგრირებული იყო ქურთათის ხეობის სოფელ ცმიტიდან. სოფელ რესის ძირითადი მკვიდრნი კუსაევები იყვნენ (1886 წელს – 9 კომლი), რომელებიც ალაგირის სოფელ დაგომიდან იყვნენ მიგრირებული. მათი გადმოსახლების მიზეზი მიწის უკმარისობა ყოფილა. აქვე კალმანოვები (1886 წელს – 1 კომლი) ქურთათის ხეობიდან მოსულან, კუძიევები (1886 წელს – 3 კომლი) – დარგავის ხეობიდან, ხოლო ზაკაევები (1886 წელს – 2 კომლი) ადგილობრივი და გაოსებული ზაგაშვილების შთამომავლები იყვნენ. წოწოლთაში/ცოცოლთაში ჯანტიევები (1886 წელს – 2 კომლი) დარგავის ხეობიდან გადმოსახლებულან. თ(ტ)ეფეში მცხოვრები კალაგოვების გვარს (1831 წელს – 8 კომლი, 1886 წელს – 17 კომლი) საფუძველი ჩაუყარა მამაკაცმა, რომელსაც კალაგი ერქვა. ისიც ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებულა. სოფელ ქეთრისში მცხოვრები ქეთოევები (1873 წელს – 3 კომლი) ქურთათის ხეობიდან იყვნენ მოსული. სოფელ *შუატისში/სუატისში* 1873 წლის აღწერით ელოევების 6 კომლი მკვიდრობდა[1]. ეთნოგრაფიული მასალებით, მოხევე ელოშვილებისაგან მომდინარეობენ (1860 წლის აღწერაში ისინი ელოშვილადაც იყვნენ აღრიცხული).

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული გვარების მაგალითზე აშკარაა, რომ თრუსო, რომელიც მოგვიანო პერიოდში (XVII საუკუნის შუა ხანებიდან) ოსებით იყო დასახლებული, თავდაპირველად ქართველთა სამოსახლო რეგიონი იყო. თრუსოში ოსური მოსახლეობის გაჩენამდე აქ ძირითადად ქართველი მთიელი – დვალები მკვიდრობდნენ. ამას *ვახუშტი ბაგრატიონის* სიტყვებიც ადასტურებს („მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“). (ქართველები დვალეთში შემოსახლებულ ოსებს ხშირად ერთდროულად ორი ეთნონიმით მოიხსენიებდნენ – „ოსნი დვალნი“). აშკარაა, რომ ქართველი ზაგაშვილები ჯერ დვალეთის ზახას ხეობაში ცხოვრობდნენ, შემდეგ მკვიდრდებიან თერგის ხეობის ზემო წელში, სოფელ ზაქაგორში. ისინი და სხვა ადგილობრივი მკვიდრნიც, თუნდაც მათი განაყოფი კობიაშვილები, თანდათან თერგის დინების მიხედვით დაბლობისაკენ მოიწევენ. ისიც აშკარაა, რომ ქართველების თანდათან თრუსოდან ხევისაკენ გადმონაცვლებას ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ოსების დასახლება მოსდევდა მათ ნასოფლარ-ნასახლარებზე[2]. საამისო მაგალითები სხვაც ბევრია. ოსთა მიგრაციას თავდაპირველად დვალეთში, შემდეგ მაღრან-დვალეთსა და თერგის ხეობის

1 С. Цаллагов. Трусовское ущелье. Журнал «Дарьял», №4, 2019.

2 Н. Г. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII-начале XX века, М., 1974.

სათავეში (თრუსოში) კი ეკონომიკური გაჭირვება განაპირობებდა, რასაც, თავის მხრივ მიწის სიმცირე და სიმწირე იწვევდა და, აგრეთვე ყაბარდოელთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან დაბლობში გასასვლელების ჩაკეტვა.

მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა იმ მხრივაა საყურადღებო, რომ თრუსო, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული პერიოდისათვის ოსებით იყო დასახლებული, თავდაპირველად ქართველთა განსახლების არეალი, სამოსახლო მხარე იყო. თრუსოში ოსური მოსახლეობის გაჩენამდე აქ ძირითადად ქართველური (დვალური) მოსახლეობა მკვიდრობდა. აშკარაა, რომ ქართველი ზაგაშვილები ჯერ თერგის ხეობის ზემო წელში მკვიდრობდნენ, რომლებიც თანდათან თერგის დინების მიხედვით დაბლობისაკენ მოიწევენ (მათ ხომ ზემოდან ქვევით თრუსოში დროთა განმავლობაში რამდენიმე სოფელი გამოიცვალეს). ისიც აშკარაა, რომ ქართველების თანდათან ქვემოთ (ხევისაკენ) გამონაცვლებას ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ოსების დასახლება მოსდევდა მათ ნასახლარ-ნასოფლარებზე. საამისო მაგალითები ამ თვალსაზრისით სხვაც ბევრია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთიულეთის ხადას ხეობაში ზაქათკარს 1774 წ. ზაქაიძეები დიდი რაოდენობით მკვიდრობდნენ და იმას, რომ გერგეტის მატიანეში მოხსენიებულია ნაცვალი *ინდო ზაქაძე*, აშკარაა, რომ ზაქაიძე-ზაგაშვილების თრუსოდან ხევსა და ხადაში მიგრაცია საკმაოდ დიდი ხნის წინ – XV საუკუნენეზე წინარე ხანაში უნდა მომხდარიყო. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, გვიანი შუა საუკუნეების თრუსოში ისეთივე ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა, როგორც დვალეთში – აქედან განდევნილი და სხვაგან წასული მოსახლეობის ადგილზე ეთნიკური ოსები მოვიდნენ. მაგრამ ირანულენოვანი ოსები ქართველთაგან მთლად დაცლილ ტერიტორიებზე არ მოსულან. ეთნიკურმა ოსებმა უმცირესობაში აღმოჩენილი ქართველი მთიელების ასიმილაცია მოახდინეს. აქ შეგნებულად მოვერიდები ჩემი ნაშრომების მითითებას დვალების შესახებ და რუს ავტორს დავესესხები: **«Формирование населения Туалта происходило, в основном, за счет переселявшихся алагирцев»[1].** მხოლოდ იმას დავძენთ, რომ თუალეთში/დვალეთში ის თრუსოსაც გულისხმობდა.

მნის ძველი მკვიდრები იყვნენ დღეს ხურთისში მცხოვრები *ბადაშვილები* (ადრე *ბადაძეები*). მნაში ეს გვარი ჯერ კიდევ „გერგეტის მატიანეშია“ მოხსენიებული. მნიდან იყო გამოსული *ბაბეურ-ბაბაშვილების* გვარიც, რომლებსაც შემდეგ *ტუჩაშვილების* გვარი გამოყოფია. დვალეთიდან ხევში მიგრაციის თრუსოს გზა აქვთ გავლილი ხევის სოფელ ხურთისში მოსახლე *ჩოჩოშვილებსაც,* რომლებიც თავდაპირველად *ჩოჩოურები* იყვნენ. ძველი თრუსოელები იყვნენ *ფაჯიშვილები*[2], რომლებიც 1774 წლის აღწერაში *ფაჯიაურებად* არიან ჩაწერილი. ასევე თრუსოდან არიან გადმოსახლებული ყანობელი *ითონიშვილები* და *ზილინაშვილები.* ეს უკანასკნელნი ძირად დვალი *მამიაურები* არიან (1780 წლის წყალობის სიგელის თანახმად დვალეთში მცხოვრებ „ნარელ აზნაურშვილს მამიაშვილს პეტრეს“ მეფე წლიურად 70 მარჩილს უნიშნავს[3]). ხევის სოფელ ყანობში მოსახლე კობიაშვილები სოფელ მნიდან არიან გადმო-

1 *П. А. Кузминов*. Этнодемографическая карта народов Терека: размещение, численность и миграция населения в конце XVIII – первой половине XIX века. – в кн: Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX – начале XX века, нальчик, 2004, С.688.

2 *რ. თოფჩიშვილი.* მოხეური გვარსახელები, თბ., გვ. 42.

3 სცსსა, ფონდი 1461, რვეული 6, საქმე № 12.

სახლებული, რასაც ის ეთნოგრაფიული ფაქტიც ადასტურებს, რომ ისინი სალოცავად ბოლო დრომდე იქ დადიოდნენ. აქვე იცოდნენ ვაჟის გაყვანაც: „ჩვენი სალოცავი ხატია მნის ღვთისმშობელი. ხატობაზე რომ მივდიოდით, მნაში ღვთისმშობელზე, ოსები ვალდებული იყვნენ სუფრა გაეშალათ, თუნდაც 40-50 კაცი შესულიყო, პატივი უნდა ეცათ. კობიაშვილებს ეკუთვნოდათ მილვანის მთაც“ (გიორგი-ჟორა კობიაშვილი, 59 წლის, სოფელი ყანობი, 1990 წ.). საყურადღებოა სხვა ეთნოგრაფიული მასალაც – მოხევეები თრუსოს საზაფხულო საძოვრებს იყენებდნენ – ზაფხულში ისინი აქ საძოვრებზე ცხვრის ფარებს მიერეკებოდნენ. ასე რომ, მნა, ოქროყანა და შევარდენი 1774 წელს ქართველებით იყო დასახლებული, 1831 წლისათვის კი ამ სოფლებში ეთნიკური ვითარება უკვე შეცვლილი იყო, თუმცა ამ სოფლების მოსახლეობა ორენოვანი – ქართულ-ოსური – იყო.

თრუსოს ლოკალოზაცია და ტოპონიმები

დღევანდელ ტოპონიმ „ადოს მინდვრის“ (პიროვნილი სახელი „ადო“ ბოლო დრომდე სამეგრელოში იყო გავრცელებული[1]. „ადო“ ადამის კნინობითი ფორმაა) ადგილას „გერგეტის სულთა მატიანეში“ მითითებულია სოფელი ადო, რომელშიც *ცისკარიშვილებს* უცხოვრიათ (ცისკარიშვილებისაგან მომდინარეობენ ხევის სოფელ ახალციხეში მცხოვრები *ქოსელების* ერთი ნაწილი. ქოსელების ადრინდელი გვარი – ცისკარიშვილი დაფიქსირებულია 1860 წლის კამერალური აღწერის დავთარში – «Ниниа Григориев Косели он же Цискаришвили»[2]). დღეს თრუსოდ ჩვეულებრივ მიიჩნევენ ტერიტორიას სოფელ კობიდან[3] თერგის აყოლებით. მაგალითად, პარმენ ზაქარაია წერდა: „მგზავრი კობთან ხვდება პირველად თერგის ხეობას. იქვე მარცხნივ იწყება თრუსოს ხეობა“[4]. იგივეს წერდა ვ. ითონიშვილი: „თრუსოს ხეობა მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის რაიონში. ის გადაჭიმულია საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სოფ. კობიდან მდინარე არდონის აუზში გადასასვლელ თრუსოს უღელტეხილამდე. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ეს ხეობა და სოფელი ყაზბეგის რაიონში შედის და ერთიანდება ორ საბჭოში – კობისა და თრუსოს სასოფლო საბჭოებში“[5] (ეს ავტორი სხვა შეცდომებსაც უშვებს, მაგალითად, ოსების აქ ჩამოსახლებას XIV საუკუნით განსაზღვრავს, თუმცა სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ „მათი (გადმოცემების – რ. თ.) უმრავლესობა მოსული ოსური მოსახლეობის სიძველეზე არ მიგვითითებს და ძირითადად ამა თუ გვარის დამკვიდრებიდან დღემდე საშუალოდ 4-7 თაობის ათვლა ხერხდება. 1950-იან წლებში ხუთი თაობის მოსული იყვნენ ქურთათიდან სოფელ შევარდენში მოსახლე *სა-*

1 *ა. ჭანტურია.* მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006, გვ. 13.

2 სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე №235, გვ. 45.

3 «Коби груз. иаков. от iakobi Iакоби=Яков, потому что тут стояла церков имени св. Якова» — Опит объяснения Кавказских географических названий. Составиль *К. Ган*, Тифлис, 1909, С.84.

4 პ. ზაქარაია. არაგვისა და თერგის ხეობა. ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი, თბ., 1972, გვ. 39.

5 *ვ. ითონიშვილი.* საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). – კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბ., გვ. 111.

პიევები, რომლებსაც აქ დახვედრიან *არჯინაშვილები* და დვალეთიდან მოსული *მამიევები/მამიაურები*[1]“). თრუსოს ლოკალიზაციის საკითხში სიცხადე შეიტანა *გულდამ ჩიქოვანმა.* **თრუსო შედარებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა – თერგის სათავიდან ხეობის უვიწროეს ადგილ ყაშარა//კასარამდე (კასარას სიგრძე 3 კილომეტრს აღემატება. კასარა ფაქტობრივად იყო დიდი ბუნებრივი ზღუდე თრუსოსა და ხევ-მნას შორის. ამის გამო იყო, რომ 1850-იან წლებამდე თერგის ხეობის ამ რეგიონებს შორის საურმე გზა არ არსებობდა და ურთიერთობა მხოლოდ საცხენოსნო ბილიკების საშუალებით ხდებოდა. თრუსოელ ოსებს სამიმოსვლო გზა თერგის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლის დესის გავლით დიდი ლიახვის ხეობის სათავესთან – მაღრან-დვალათთან ჰქონდათ. აქედან შემოჰქონებიათ ხეტყეც. ამ ფაქტორის გამოც იყო გართულებული თრუსოში მცხოვრები ოსებისა და ხევ-მნაში მცხოვრები ქართველების ინტეგრაცია).**

კასარა იგივე კასრია. ძველ ქართულში კი „კასრი“ ვიწრო გასავლელ ადგილს ეწოდებოდა, სადაც ციხე-კოშკიც იდგა[2]. როგორც აღვნიშნეთ, თრუსოს ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების საკითხი, ეთნოგრაფიული მონაცემებით, სათანადოდაა შესწავლი ქართულ მეცნიერებაში გულდამ ჩიქოვანის მიერ და ამ პრობლემაზე საუბრისას მას ვეყრდნობით[3]. მეცნიერს თრუსოელმა და ხევის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ეთნიკურმა ოსებმაც მიუთითეს, რომ „თრუსოს ქვემოთა საზღვარია ის ადგილი, სადაც მდინარე თერგის ხეობა ძალიან ვიწროვდება (მისი სიგანე რამდენიმე მეტრია) და სადაც კლდეებში გამომწყვდეული მდინარე ზათქით მიიკვლევს გზას“[4]. ზუსტად ასე შემოფარგლავს თრუსოს გერმანელი მოგზაური და მეცნიერი ი. კლაოპროტი, რომელსაც ეს ინფორმაცია მას 1808 წელს აქ ყოფნისას ბუნებრივია ადგილობრივებმა მიაწოდეს; თერგს ის მოუყვებოდა რა ზემოდან ქვემოთ წერს: „აბანოდან 1 ვერსზე გავიარეთ სოფელი *ქშეტრის კოიატე-კაუ* (საუბარია სოფელ ქეთრისზე – რ. თ.). ესაა თრუსოს მოდგმის ხალხით დასახლებული უკანასკნელი სოფელი. ... თრუსოს ხეობის გამოსასვლელში, კიდევ 5 ვერსზე, ერთმანეთის პირისპირ დგას ქვით ნაგები ორი მაღალი კოშკი, რომელთაც ოქრო-ყანა ეწოდება“[5]. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, **ხევსა და თრუსოს შორის გამოიყოფოდა მნის ტერიტორიული ერთეული, თრუსოელნი და მნაველები დაპირისპირებული იყვნენ ერთმანეთისადმი**: „მაშინ ჩავიდა (ქსნის ერისთავი ვირშელი – რ. თ.) თრუსოს და მოეგებნეს თრუსოელნი მრავლითა ძღუენითა და ერთგულობისა ჩუენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას“[6]. მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეული. ასე რომ, XIV საუკუნეში თერგის ხეობაში სამი „ქვეყანა“/მიკრორეგიონი – **თრუ-**

---

1 *ვ. ითონიშვილი.* საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). – კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბ., გვ. 112, 113.

2 *ი. აბულაძე.* ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 193.

3 *გ. ჩიქოვანი.* თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). – „მაცნე“, ისტორიის... სერია, №2, 1985, გვ. 105-118.

4 *გ. ჩიქოვანი.* თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). – „მაცნე“, ისტორიის... სერია, №2, 1985, გვ. 105-118.

5 გ. გელაშვილი. იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(11), თბ., 2012, გვ. 300.

6 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1963, გვ. 113.

სო, მნა და **ხევი** გამოიყოფა. „გერგეტის მატიანეს“ (1439) მიხედვით აშკარაა, რომ ხევის საერთო სალოცავი – „გერგეტის სამება“ – თავის უფლებამოსილებას, გარდა ხევისა, ავრცელებდა მნასა და თრუსოზეც: „და მნაველთაიცა. მათ მოიკიდესა ჴურთაშვილი ჩიტურა და ბახჩიძე და აბიაური და სედუვათძე“; „თრუსოველთაჲცა ჴურთიელნი ყანობელთა მოიკიდეს. მნით – ბადაისძე“[1]. აქ მოყვანილ ციტატას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ეთნოლოგმა გიორგი ჯალაბაძემ: „XV საუკუნეში, როცა ხევის სოფლების ფეოდალური ურთიერთობის სურათი ყველაზე მკაფიოდ საყდრიშვილობის ინსტიტუტის სახით გამოიხატება, თრუსოს ხეობა „მოკიდებულ“ მდგომარეობაში ყოფილა. ეს გარემოება XV საუკუნის გერგეტის მატიანეშია ასახული. „მოკიდება“ აკად. ბერძენიშვილის აზრით, ფეოდალური მფარველობა-დაქვემდებარების ერთ-ერთი შედარებით თავისუფალი სახეთაგანია. ხევის პირობებში მოკიდებულის და საყდრიშვილობის ინსტიტუტის არსებობა, როგორც ფეოდალური ურთიერთობის შედარებით რბილი ფორმისა უნდა ყოფილიყო გამოწვეული ამ ხეობის მოსახლეობის როლით, რომელთაც ევალებოდათ საერთოდ ხეობის დაცვაზე ზრუნვა“[2]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თრუსოელი ოსების სამასპინძლო გადასახადი იყო ძირითადად ცხვარი და ძროხა. ეს ფაქტი დადასტურებულია 1776 წლის თრუსოდან შემოსულ სამასპინძლოს ნუსხაში: „ქ. რაც თრუსოდამ სამასპინძლოში მოვიდა ქკს უჲდ (=1776) სჲვ (266) ცხვარი, მე (45), იბ (12) ვირი და მუტრუკი, ა (1) კვიცი, ა (1) ცხენი, კე (25) ნაბადი, შალი, ჩოხა, დ (4) შალვარი, ა (1) ტყავი, გ (3) ყისინა, ჲ (8) ხმალი, ზ (7), თოფი, ა (1) ფარი“[3]. 1780 წლის საბუთით კი თროსოელ ოსებზე სამასპინძლოს გადასახადი 1080 ცხვარი შეადგენდა[4], რაც სამი წლის გადასახადი გახლდათ (საქართველოს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, თრუსოს მოსახლეობა მიწის გადასახადისაგან თავისუფალი იყო. ორ წელიწადში ერთხელ თითოეული საკომლო ვალდებული იყო ხუთი (5) ცხვარი გადაეხადა, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, მესამე წელს გადასახდელი ცხვრის რაოდენობა უკვე 12-ით განისაზღვრებოდა. რაც შეეხება თარხნებს, მათ ევალებოდათ გამასპინძლებოდნენ ბატონიშვილთა გაგზავნილ მოხელეებს და სამ წელიწადში ერთხელ მიეცათ სამი ძროხა ან ერთი ცხენი[5]. საქართველოს ხელისუფალთ თრუსოში სულ 81 საკომლო ჰქონდათ დადგენილი. XVIII საუკუნეში ეს ზუსტად ასე იყო, რადგან მთის ამ რეგიონში მეტი საკომლო მიწა არც იყო. XIX საუკუნის 30-იან წლებში აღმოჩნდა, რომ თრუსოში სულ 48 საკომლო და 7 თარხანი არსებობდა. იმდროინდელ სახელმწიფო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საკომლოების შემცირებას თრუსოს მოსახლეობა ახდენდა ხელოვნურად, დადგენილი საკანონმდებლო ნორმების გვერდის ავლით.

თქმული იმასაც ადასტურებს, რომ XV საუკუნეში თერგის ხეობა მთლიანად (თრუსო+მნა+ხევი) ერთ ერთეულს წარმოადგენდა და მათი ცენტრალური სალოცავი გერგეტის სამება იყო (რაც მთავარია, მნელებიცა და თრუსოელე-

---

1 ქართული ისტორიული საბუთები. XIV-XV საუკუნეები, თბ., 2013, გვ. 215.

2 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 224.

3 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი HD, საბუთი 3507.

4 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი HD, საბუთი 12211.

5 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, ред. *Ад. Берже,* т. VII, Тифлис, С. 349.

ბიც ქართველები იყვნენ, რასაც პირდაპირ მიუთითებს ტოპონიმები და ანთროპონიმები). ეს იყო ძველი ტრადიციის გაგრძელება. დვალეთიდან თრუსოში გადმოსული ქართველი მთიელი დვალები ჩვეულებრივ თერგის ხეობის მთავარი სალოცავის – გერგეტის სამების მლოცველნი, ყმები ხდებიან. თერგის ხეობის სამივე გეოგრაფიული ერთეული გერგეტის სამებას ეყმობოდა. საბჭოთა პერიოდში მნის „ქვეყანას“ სამწუხაროდ თრუსოს მიათვლიდნენ, რაც იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მნაში თრუსოელი ოსები დასახლდნენ. მაგრამ 1831-1832 წლის საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიელების კამერალური აღწერის დავთრით კობიც და მის ზემოდან არსებული ოსური სოფლები – ოქროყანა, შევარდენი (სუვერდინად გადააკეთეს), მნა, ახალსოფელი (რომლის სახელწოდებაც მოგვიანებით თარგმნეს და „ნოგყაუ/ნავაკაუ“ დაარქვეს) – სრულიად სამართლიანად ხევში იყო შეყვანილი[1]. 1831-1832 წლების აღწერაში თრუსოს ზემოთ აღნიშნული ცამეტი სოფელი ცალკეა გამოყოფილი, რასაც ასეთი სათაური აქვს: **Камеральное описание По Управлению Горскими Народами по Военно Грузинскои дороге 1831-1832 гг. Камеральное описание по Трусовскому ущелью[2]. ხოლო ის სოფლები, რომლებიც კაშარა/კასარას ქვემოთ მდებარეობს და მნის ხეობა** (*უხათი, კობი, ალმასიანი, ახალსოფელი* (რომლის სახელიც ცოტა მოგვიანებით ოსურად თარგმნეს – *ნოგყაუ*), *შავარდენი, ზემო ოქროყანა, ქვემო ოქროყანა, მნა*) **„ხევის ხეობის“ აღწერაშია შეყვანილი: «Камеральное описание По Управлению Горскими Народами по Военно Грузинскои дороге 1831-1832 гг. Камеральное описание по Хевскому ущелью»[3]**.

აქვე შეიძლება კითხვა გაჩნდეს – თერგის ზემო წელზე, რომლის სიგრძეც საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში 50 კილომეტრია, რამ განაპირობა თავის დროზე ნაცვლად ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულისა, ფაქტობრივად სამი ასეთი ერთეულის წარმოქმნა, მითუმეტეს, რომ ადრე შუა საუკუნეებში აქ ერთი რეგიონი – წანარეთი – არსებობდა? პასუხი ამ კითხვაზე მარტივია – დვალეთიდან თრუსოში მიგრირებულ დვალთა ეთნოგრაფიული ჯგუფმა თავისთავადობა შეინარჩუნა და ისინი არ იქნენ მოხევეებთან ინტეგრირებული გეოგრაფიული ფაქტორის გამო. კასრის/კასარას ვიწრო გასასვლელი ინტეგრაციის საშუალებას ფაქტობრივად არ იძლეოდა.

თვით ოს მეცნიერებს აქვთ დადასტურებული, რომ ე. წ. კობის ქვაბულში ოსთა მიგრაცია საკმაოდ გვიან მოხდა და ისინი აქ ძირითადად თრუსოდან იყვნენ გადმონაცვლებული, თუმცა მათ მიგრაციასაც ჩვეულებრივ აძველებენ და XVII-XVIII საუკუნეებით განსაზღვრავენ. სინამდვილეში კი აქ მათი მიგრაცია XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყო და XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს განხორციელდა.

ისტორიის სიღრმეში თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროებით, თერგის ხეობის მკვიდრებად (მთლიანად დღევანდელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) წანართა ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი ცხოვრობდა, რომლებსაც მოიხსენიებს II საუკუნის

1 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე №1245, გვ. 121-141.

2 სცსსა, 254-1-1245, გვ. 142.

3 სცსსა, 254-1-1245/3.

ძველი ბერძენი მეცნიერი *კლავდიოს პტოლემაიოსი*. „მოქცევაი ქართლისაიში“ VI საუკუნის ამბების თხრობისას ნახსენებია **„ხევი წანარეთისა“.** IX საუკუნეში წანართა მასიური ჩამოსახლება მოხდა კახეთის მთისწინეთსა და ბარში. მათი ჯგუფური გადასახლების შედეგი იყო ის, რომ წანარები, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი, ქრებიან ისტორიის სარბიელიდან. ბუნებრივია, წანარების აყრა-გადასახლება მთლიანად არ მოხდა. მათი გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩა. წანარები რომ ქართველები იყვნენ, ამას, სხვა ფაქტებთან ერად, ტოპონიმებიც ადასტურებს, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ხევის სოფელი თოთი, რომელშიც, სხვათა შორის, XIX საუკუნეში გადმოსახლებული ოსებიც ცხოვრობდნენ. სოფელი თოთი არსებობს სვანეთშიც მდინარე ენგურის ნაპირას (ხაიშის თემი). ამავე სახელწოდებისაა სვანეთში უღელტეხილი, კლდოვანი მწვერვალი და მყინვარი მდინარე მულახის აუზში. დროთა განმავლობაში „წანარეთის ხევიდან“ „წანარეთი“ გაქრა და მივიღეთ „ხევი“. **ხევში მცხოვრებს კი მოხევე ეწოდა**. მოხევეები პირველად საისტორიო წყაროში თამარ მეფის დროს არიან მოხსენიებული. მემატიანის სიტყვებით, როდესაც ფხოველები აჯანყდნენ, „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: ***დვალთა, ცხრაზმელთა, მოჴევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა***, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“[1]. მოყვანილ ციტატაში ქართველ მთიელებს შორის თრუსოელები არ არიან მოხსენიებულნი. მიზეზი ისაა, რომ XII საუკუნეში ისინი ცალკე ეთნოგრაფიული ჯგუფად ჯერ არ იყვნენ ჩამოყალიბებული, რადგან თრუსოში დვალები იყვნენ დასახლებული. წყარო მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის დვალები არიან სახელდებული – ისინი „ყოველთა მთეულთა“-ს შორის პირველნი მოიხსენიებიან. ისიც ნიშანდობლივია, რომ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მემატიანე XV საუკუნის დასაწყისის ამბების თხრობისას მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან დვალებსა და ოსებს: „...და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, **ოვსთა, დუალთა**, სუანთა, აფხაზთა და ყოველივე მუნ მყოფთა“[2]. „ძეგლი ერისთავთაში“ არაერთხელ არიან მოხევეები დასახელებული: „ესმა ***მოხევეთა*** და მოვიდეს ბრძოლად. და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისა, შიშით დაიმალნეს. უკუმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს ***მოხევეთა*** სიმრავლე ძღვენისა და შემდგომად განთენებისასა წამოვიდა“. თანამედროვე ოსი „სწავლულები“ კი გვმოძღვრავენ, რომ „მოხევეები“ არ არსებობდნენ, რომ ისინი სულ ცოტა ხნის წინ ძალადობრივად გაქართველებული ოსები არიან. ე. წ. სამხრეთ ოსეთის სასკოლო სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ, რომ თურმე არა მარტო თრუსო, არამედ ხევიც თავდაპირველად ოსებით ყოფილა დასახლებული და ყოველივე ამას *ვახუშტი ბაგრატიონს* მიაწერენ: «Согласно Вахушти Багратиони, область Хеви (Казбегский район Грузии) также была первоначально населена осетинами»[3]. ბუნებრივია, ამ სტრიქონების ავტორი *ვახუშტი ბაგრატიონის* წიგნიდან შესაბამის ადგილს უნდა უთითებდეს. *ვახუშტი ბაგრატიონს* ასეთი რამ არ უწერია. მითითებული კია ვლადიკავკაზში 2000 წელს *მ. ბლიევისა* და

1 ქართლის ცხოვრება, ტომი II, *ს. ყაუხჩიშვილის* გამოცემა, თბ., გვ. 111.

2 ქართლის ცხოვრება, ტომი II, *ს. ყაუხჩიშვილის* გამოცემა, თბ., გვ. 330.

3 https://ru.wikipedia.org/wiki стория_Южной_Осетии#Заселение_территории_осетинами

რ. ბზაროვის «История Осетии с древнейших времен до конца XIX в.», გვერდის გარეშე. მათ შეიძლება ვურჩიოთ „გერგეტის მატიანეში“ ჩაიხედონ, რომელშიც ვკითხულობთ: „შევიყარენით ჴევი ჴეობით – კობით და გუელეთამდი. მზევლები მოგეცით თქუენ, გერგეტელთა საყდრიშვილთა“[1]. ანალოგიური წყაროები, რომელშიც ხევი და მოხევეები არიან მოხსენიებული ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. თუ მოხევეები არ არსეობდნენ, მაშ რატომღა უწოდებდნენ ოსები მათი განსახლების არეალს «Хиуы ком»-ს (მოხევეების ხეობას)? ალბათ, შორს არაა ის დრო, როდესაც გერგეტის სამებასაც ოსების აგებულად გამოაცხადებენ. ისე, სხვათა შორის, როგორც რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ოსები თერგის ხეობაში საერთოდ არ ცხოვრობდნენ – დარიალის ჩრდილოეთით, თერგის ხეობაში ინგუშების განსახლების არეალი იყო; აქ, თერგის მარცხენა მხარეს პირველი ოსური დასახლება XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში გაჩენილა. კლაპროტის მითითებით, ლარსში, ჩმიში და ბალთაში დასახლებული ოსები ინგუშებს უხდიდნენ გადასახადს: «Переселение представителей Куртатинского и Алагирского общества в Тагаурии происходило в сложной обстановке, поскольку **источники XVII – начала XVIII века отмечают, что в это время по левобережью Терека в районе Ларса обитало вайнахское население.** С. А. Белокуров упоминает Ларсов кабак, владельцем которого был Салтан-мурза. По мнению Н. Г. Вольковой, **одно из первых переселений осетин в этот район произошло в 20-30-е годы XVIII века. Осетины Слоновы за пользование землей, на которой находились селения Ларс, Чми, Балташ, сообщает Клапрот, издавна платили ингушам подати»**[2]. ამრიგად, რუსული მეცნიერების თანახმადაც თერგის ხეობაში ოსები არ ცხოვრობდნენ; ისინი აქ საკმაოდ გვიან არიან დასახლებული.

ასე რომ, **ერთიანი წანარეთი (წანარეთის ხევი) X საუკუნის შემდეგ სამ პატარა „ქვეყანად“ დაიშალა: *თრუსოდ, მნად* და *ხევად*.** მნა თრუსოსა და ხევს შორის მოქცეულ შუა „ქვეყანას“ წარმოადგენდა. მნა რომ ცალკე „ქვეყანა“ იყო, ამას „ძეგლი ერისთავთას“ (XIV საუკუნის მეორე ნახევარი) სათანადო ადგილები მოწმობს: „მაშინ შესტეხეს და შეიპყრეს ყოველი მბრძოლნი და მოიყვანეს წინაშე ერისთავისა და დაწუნეს და დაარღვივნეს ციხენი და სოფელნი იმათნი“[3]. ამ ციტატის მიხედვით, მნა „ქვეყანაა“ (მხარეა), რომელშიც რამდენიმე სოფელი შედის. შემდეგ ის ხევის ნაწილი გახდა. XVIII საუკუნის დასასრულიდან კი მნა თრუსომ გადაფარა, რაც შედეგი იყო ამ პერიოდში თრუსოში მცხოვრები ოსების წინ წამოწევისა, მნაში ქართული მოსახლეობის ოსურით თანდათანობითი შეცვლისა. უფრო ადრე, XVII საუკუნის დასაწყისშიც თრუსოც არაოსური იყო. აქ ქართველი მთიელი დვალები ცხოვრობდნენ, რომლებიც დვალებად არ იწოდებოდნენ და ადგილის სახელის მიხედვით „თრუსოელი“ ეწოდებოდათ და რომლებიც ასევე გაოსდნენ ჩრთილოეთ კავკასიის ქურთათისა და ალაგირის ხეობებიდან ოსების ინფილტრაციის შედეგად. თრუსოს თავდაპირველ ქართულ მოსახლეობას წანარებს, შემდეგ სხვა ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი დვალები რომ ჩაენაცვლნენ, ამას სოფელ ოქროყანის ერთ-ერთი სა-

1 ქართული ისტორიული საბუთები. XIV-XV საუკუნეები, თბ., 2013, გვ. 215.

2 *П. А. Кузминов*. Этнодемографическая карта народов Терека: размещение, численность и миграция населения в конце XVIII – первой половине XIX века. – в кн: Ландшафт, этнографические и исторические процессы на Северном Кавказе в XIX – начале XX века, нальчик, 2004, С.676-677.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965. გვ. 113.

ლოცავის «Нары Уастырджи»[1] ადასტურებს, რაც ნარას წმიდა გიორგის ნიშნავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველებს (განსაკუთრებით კი მთიელებს) ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებისას თან სალოცავის ნიშიც მიჰქონდათ. ასე გადაიტანეს დვალეთის ნარას ხეობიდან/ტერიტორიული თემიდან წანარების ოდინდელი განსახლების არეალში, კონკრეტულად კი სოფელ ოქროყანაში „წმიდა გიორგის“ სალოცავის ნიში.

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ შეცდომით თრუსოს დვალეთის ნაწილად განიხილავენ. თრუსო ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული იყო და დვალთა აქ საცხოვრებლად გადმოსვლა სრულიადაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული დვალეთის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ. **XIV-XV საუკუნეების წერილობითი ძეგლები თრუსოში მცხოვრებ ქართველ მთიელებს თრუსუელებს უწოდებენ. მაგალითად, „ძეგლი ერისთავთაში“ თრუსოში მაცხოვრებელი მოსახლეობა „თრუსუელნი“-ს სახელითაა მოხსენიებული:** „...მაშინ ჩავიდა თრუსუს და მიეგებნეს **თრუსუელნი** მრავლითა ძღუენითა და ერთგულობისა ჩვენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას...“[2]. „თრუსოველნი“ მოიხსენიებიან XV საუკუნის „გერგეტის მატიანეშიც“[3]. თრუსო გვხვდება XV საუკუნის I ნახევრის „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნში“. სამთავისის ღმრთაებისათვის თრუსოს მხარეს უნდა გადაეხადა „პური ვ, სოფლის თავს სამ-სამი დრამა და თვითო ზურგიელი, ქალამანი ვ. საბელი დ“[4]. ამ საეკლესიო საბუთის მიხედვით, თრუსო სამთავისის ეპარქიაში შედიოდა. თუ თრუსუელნი ეთნიკური ოსები იყვნენ, ქართული წერილობით ძეგლების ავტორები რატომ არსად, არცერთხელ არ აღნიშნავენ მათ ეთნიკურობას? თრუსუელნი შუა საუკუნეების საქართველოში ისეთივე ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, როგორც დვალები, ხევსურები, ფშაველები, მოხევეები, მთიულები და გუდამაყრელები, რაც კარგად აქვს შენიშნული გულდამ ჩიქოვანს[5].

გვიანი შუა საუკუნეებიდან თრუსო არაგვის საერისთავოში შედიოდა. ხშირად საბუთებში გვხვდება გამოთქმა „არაგვის ოსნი“, რაც ძირითადად თრუსოსა და დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრებ ოსებს, აგრეთვე თეთრი არაგვის სათავეში – ღუდაში და გუდაურთან ახლოს მდებარე სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრებ ოსებს გულისხმობს. იმდროინდელი ავტორები ნაცვლად „არაგვის საერისთავოს ოსებისა“ უბრალოდ წერდნენ „არაგვის ოსნი“. სხვაგან არაგვის ხეობაში ოსები არსად არ ცხოვრობდნენ. არაგვის საერისთავოს გაუქმებისას (1746 წელი) თრუსოელმა ოსებმა სამეფო კარს მორჩილებაზე უარი უთხრეს. ერეკლემ, ბუნებრივია, თრუსოში გაილაშქრა: „...მიეგებნენ ოსნი და შეიქნა ომი, ვითა ხვდებოდა სიმხნე სიკეთისა მისსა, **ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა,** მიბძანდა ბატონიც, დაერივნენ ჴმალდაჴმალ, გააქცი-

1 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 183.

2 *შ. მესხია*. ძეგლი ერისთავთა. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954, გვ. 348; ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1965. გვ. 113.

3 *ქ. შარაშიძე*. გერგეტის მატიანე. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954, გვ. 246, 272.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, *ი. დოლიძის* გამოცემა, თბ., 1970, გვ. 203.

5 *გ. ჩიქოვანი*. თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). – „მაცნე“, ისტორიის... სერია, №2, 1985, გვ. 107.

ეს ოსნი და მიჰყვნენ, შეჰყარეს კოშკებში და შემოადგნენ კარს. განაძლიერა მეფემ ერეკლემ, აღუთქვა მისაცემელი, უბძანა იერიში, რასაც კოშკს იერიში უყვეს, მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, თრუსო დაატყვევეს და ყოვლის გზით ყათლანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს"[1]. [თრუსო და არაგვის ერისთავი ჯიმშერი მთიულეთში ჩაწერილ ხალხურ პოეზიაშიც იხსენიება: „ჯიმშერ არაგვის პატრონო // შაუბრალებო ყმისაო // ხევში ციხების მტვრეველო // არაგვზე – საყდრებისაო ... // მე რომ მთიულეთს მივიდე // ჩემი შიში ქვას გახეთქსა // ჩამოგირეკთ ხარ-ფურებსა // ტურფებსა და მშვენივრებსა, // ყალან-ბეგარას მოგიკრეფ // **ხევ-ხადას** და **თრუსოს** ბევრსა"]. „რა ეს ამბავი (ბეჟან არაგვის ერისთავისათვის თვალების დათხრა და სათავადო ოჯახის წარმომამადგენელთა კახეთში გადასახლება – რ. თ.) და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთავის ოსთა, მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარა"[2]. რა იყო თრუსოელი ოსების (და ქსნის ერისთავის ოსთა) ჯანყის მიზეზი – მეპატრონის შეცვლა? ამ ფაქტთან ერთად მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი მიგრანტების მოსვლას, რომელთათვისაც ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრების დროს უცნობი იყო ის ფეოდალური ურთიერთობები, ყმა-გლეხური ვალდებულებები, რაც ფეოდალებისა და სახელმწიფოს წინაშე გააჩნდათ.

მთაში, და რა თქმა უნდა, თრუსოში მცხოვრები ოსებიც მნიშვნელოვნად მცირე გადასახადს იხდიდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული საბუთების თანახმად, ისინი მხოლოდ *სამასპინძლოს* იხდიდნენ. 1776 წელს თრუსუელებისათვის სამასპინძლოს შეადგენდა 266 ცხვარი, 45 ძროხა, 12 ვირი და მუტრუკი, 1 კვიცი, 1 ცხენი, 25 ნაბადი, 4 „შალვარი", 1 ტყავი, 3 ყისინა, 8 ხმალი, 7 თოფი და 1 ფარი[3]. სხვა გადასახადებისაგან (სალეკო, სასურსათო...) ოსები, ისევე როგორც ქართველი მთიელები, განთავისუფლებული იყვნენ. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ 1802 წელს შედგენილი «Правила на сбор в Грузии за 1802 год, под названием сурсат...»: «сурсат ... всегда собирались в Грузии на необходимые нужды государственные: то и ныне подать сю на сей же предмет по прежнему положению, по которому взиманию оной подлежат все без изъятия купцы, промышленники, ремесленники, земледельцы и прочие нижние состояния **всех племен обитателей Грузинских, кроме Осетинцев и других в горах живущих, о коих по малоимению земли и по скудности избытков...»**[4]. ამდენად, მოყვანილი საბუთი პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თრუსოელი ოსები ჩართული იყვნენ საერთოქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში.

სამწუხაროდ, ქართველთა თრუსუელების ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომლთა საფუძველსაც დვალთა ეთნოგრაფიული ჯგუფი წარმოადგენდა, ოსთა მიგრაციის შედეგად გაქრა. შემდეგ უკვე თრუსოში მოსულ ოსებს ეწოდათ

1 *პ. ორბელიანი.* ამბავნი ქართლისანი, *ელენე ცაგარეიშვილის* გამოცემა, თბ., 1981, გვ. 113.

2 *პ. ორბელიანი.* ამბავნი ქართლისანი, *ელენე ცაგარეიშვილის* გამოცემა, თბ., 1981, გვ. 114.

3 ხელნაწერთა ცენტრში დაცული დოკუმენტი (ფ. Hd, საბუთი 3507) მითითებულია წიგნიდან: *გ. თოგოშვილი.* საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969, გვ. 211. წიგნის სათაური არამეცნიერულია, რადგან აღნიშნული დროის მონაკვეთში არავითარი „ოსეთი" არ ასებობდა. ოსები საქართველოს მთებში იყვნენ განსახლებული.

4 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, ред. *Ад. Берже*, т. II, Тиф¬лис, 1868, С. 7.

თრუსოელები (ისევე როგორც დვალეთში მოსულ ოსებს ეწოდათ დვალები), რომლის შემადგენლობაში რამდენიმე ძველი ქართული გვარიც აღმოჩნდა. საქართველოს ისტორიაში ანალოგიური ფაქტები, როდესაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები საზღვრებს იცვლიან, ერთი მხარე როდესაც ორ მხარედ იყოფა, ან, პირიქით, როდესაც ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული ერთ მხარედ იქცევა, არაერთია. ბუნებრივია, კითხვა გაჩნდება: – რა ფაქტორებმა განაპირობა ჯერ ქართველთა ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის მეორე ჯგუფით და ბოლოს კი მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება? პასუხი ერთმნიშვნელოვანი და მოკლეა, ამის მიზეზი XIV საუკუნიდან რამდენიმე ეპიდემიური აფეთქება, კერძოდ კი, შავი ჭირი იყო. ოსების თავდაპირველად დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში (XVI საუკუნე) და შემდეგ მდინარე დიდი ლიახვის სათავეში (მაღრან-დვალეთში) და მდ. თერგის ხეობის სათავეში (თრუსოში) შემოღწევას შავმა ჭირმა შეუწყო ხელი.

მთელ რიგ ეთნოგრაფიულ ფაქტებზე დაკვირვებამ მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალება მისცა ეთნოლოგ *გიორგი ჯალაბაძეს*, კერძოდ, თრუსოს მოსახლეობაში მან ორი ფენა დაინახა: „არის მთელი რიგი წეს-ჩვეულებები, რომელიც მოწმობს თრუსოელთა ერთი ფენის განსხვავებულობას მეორე ფენისაგან. ჩვენ ვვარაუდობთ ძველ დვალურ ფენას და ახალ ოსურ ფენას. ეს უკანასკნელი თრუსოს ხეობაში გადმოსულია ზაქის გადასასვლელით ძირითადად არდონის ხეობისათვის აღმოსავლეთის აუზიდან. თრუსოს ხეობის ზედა რაიონში ახალი ფენის თანდათანობით მატება იწვევდა ადგილობრივთა ან შერწყმას ან მის თანდათანობით ქვემოთ თერგის დინების მიმართულებით ან ქართლისაკენ გადანაცვლებას. ამის საუკეთესო საილუსტრაციო მაგალითი ჩვენ ზაგაევების გვარის მოძრაობაში დავინახეთ, რომელნიც ჯერ აბანოში, შემდეგ მნაში, შემდეგ ხანძართაში და ბოლოს ოქროყანაში დასახლებულან, საიდანაც მათი ნაწილი სახლიკაცებისა ხევში სოფ. ცდოში, სიონში და ქართლის სხავადასხვა სოფელში გადასახლებულან“[1].

გვერდს ვერ ავუვლით 1746 წლის წიგნს, რომელიშც მოცემულია ერეკლე II-ის მიერ ბოდბის წმიდა ნინოს ეკლესიისადმი. ამ საბუთში მოხსენიებული არიან ***„ჴევში დვალნი***“: „...გკადრეთ და მოგახსენეთ შენ, ... ყოვლად სამღვდელოს ბოდბელ მოტროპოლიტს *ონოფრეს გიორგი მოურავის ძესა*; – ვინათგან წმიდა ტაძარი თქუენი სულკურთხეულთა ჴელმწიფეთა, ვითა ჯერ იყო, ეგრეთ აღემაღლნეს და ედიდნეს, გარნა სოფელსა თქვენსა ***ჴევში დვალნი*** მეჯინიბენი სახლში ერთი კაცი უნდა ჩვენ გვმსახურებოდა და მეჯინიბენი ყოფილიყვნენ და თქვენს მამულზედ მსახლობელნი იყუნენ, მაშინ ოდეს პაპა ჩვენი სულკურთხეული მეფე ერეკლე (ერეკლე I, ქართლის (1688-1703), კახეთის (1703-1709)) – რ. თ.) რუსეთით მობრძანებულიყო (1662 წელი – რ. თ.), პირველად თაყანისმცემლად საფლავისა შენისა შემოეწირათ ეს *ჴეური მეჯინიბენი* და გუჯარი მოერთმივა, რომ რაც სხვა ბოდბელის ყმასთან ჴემწიფეთ ჴელი არა სდებოდეს, არც მათზედ უნდა სდებოდათ ჴელი, გარნა ჟამთაგან გუჯარი უგულებელსქმნილიყო და დაუმტკიცებელი იყო და მეჯინიბენი ჩვენვე გვემსახურებდნენ, ხოლო ვინათგან ნებითა ღვთისათა, მევე ვიქმენ, აღვიძარ სურვილით შემკობად წმინდისა მოციქულისა ნინოსა და ვიხილე საშინელი გუჯარი, ჩვენს მეორეთ

1 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 226.

შევწირე ***ჩვენი მეჯინიბენი,*** რომ არას დროს ჩვენ *ჭევიდამ მეჯინიბენი* და არც ზინდარი არ ვიმსახუროთ; რა-გვარადაც სხვანი საყდრის ყმანი გემსახურებოდნენ, ამგვარად ბოდბელმან ნებისაებრ თვისისა იმსახუროს"[1]. მოყვანილი ვრცელი ციტატიდან აშკარაა მთისა და ბარის (სამეფო კარის) კავშირურთიერთობა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება თერგის ხეობის მკვიდრთ, კონკრეტულად კი ხევში მცხოვრებ დვალებს (***„ჭევში დვალნი").*** **ისტორიულად თრუსოში მცხოვრები მთიელები ბოდბელის მეჯინიბენი ყოფილან („ჭეური მეჯინიბენი").** ეს ერთადერთი შემთხვევაა თერგის ხეობაში, უფრო სწორედ მის უკიდურეს სათავეში – თრუსოში მცხოვრები მთიელების დვალებად მოხსენიებისა (1746 წელს კასარადან (ყაშარადან) ქვემოთ, რომელიც თერგის ხეობის უვიწროეს ადგილს წარმოადგენდა და თრუსოში შესასვლელი იყო, არსად ოსები არ ცხოვრობდნენ). **ვიმეორებთ, ბუნებრივია, საუბარია თრუსოში მოსახლე მთიელების შესახებ, რომლებიც აქ დვალეთიდან იყვნენ გადმოსული. დროთა განმავლობაში თრუსოში მცხოვრები დვალების ნაწილი ცოტა ქვემოთ ხევში გადაადგილდა. მათ ადგილზე კი ასევე დვალეთიდან გვიან ოსები მოვიდნენ. ამ ორი ფაქტის გამო თრუსოში მცხოვრებნი ხევში მცხოვრებ დვალებად მოიხსენიებიან. აღნიშნულ საბუთში *„ჭევში დვალნი"*** ძველი ტრადიციის გამოძახილი და იმის ასახვა იყო, რომ თრუსოში გვიან შუა საუკუნეებში (XVII საუკუნის შუა ხანები) დვალეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობდა. საბუთი იმასაც გვამცნობს, რომ თრუსოს საქართველოს ხელისუფლება ხევის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა – ისინი დოკუმენტში ხომ **„ჭეური მეჯინიბენ"-ადაც არიან მოხსენიებული.**

სხვათა შორის, ტოპონიმი „თრუსო" მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენით იხსნება და არა ოსურით. ის ძველი ქართული სიტყვაა. *სულხან-საბა ორბელიანის* ლექსიკონში ვკითხულობთ: **„დრუსო არს ზღუდე ქვისა კოშკიანი, დიდი და კეთილად ნაშენი"; „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი".** იგივე განმარტებას აძლევს ამ სიტყვას *დავით ჩუბინაშვილი*: **„დრუსო – ზღუდე ქვისა მაღალი, ნაგები კოშკ-კოშკად".** თრუსო, სხვა მთის მხარეებთან ერთად, ისეთი რეგიონი იყო, სადაც სწორედ ასეთი კოშკოვანი ზღუდეები იგებოდა. რაც შეეხება იმას, რომ რეგიონს სახელად „თრუსო" ჰქვია და ზღუდის სახეობას – „დრუსო", აქ „დ" და „თ" თანხმოვნების მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. იმავე გ. ჩუბინაშვილს თუ მოვიშველიებთ, „გარნა მდაბიურად ნაცვლად „დ" ხმარობენ „თ". **ზოგიერთ ქართულ დიალექტში, მაგალითად, ქიზიყურში „თრუსოს" ცელის პირის ასაწყობ სალეს ქვას უწოდებენ. ასეთ ქვას, რომელიც მოლურჯო იყო, მშრალად და დაუსველებლად ხმარობდნენ. თერგის ხეობაში სწორედ ასეთი სალესავი ქვები მოიპოვებოდა.**

მოხეური დიალექტისათვისაც არ იყო ანალოგიური ლექსიკური ერთეული უცხო. „თრუსუ, თრუსუ" ცხვრის მოსახმობი გამოთქმა იყო მარილზე მისაყვანად, აგრეთვე „თრუშო" ცხენის მოსახმობ და დასაყვავებელ სიტყვას წარმოადგენდა[2].

ტოპონიმები მეცნიერებაში დედამიწის ენად არის მიჩნეული. სწორედ ასეთია „თრუსო". თრუსოს რამდენიმე ტოპონიმი ზემოთ დავასახელეთ. ასეთი სხვაც იყო. მაგალითად შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ სოფელი „გიმარა" (ოსურ

1 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, *ნ. ბერძენიშვილის* რედაქციით, თბ., 1940, გვ. 415-416.

2 *ივ. ქავთარაძე.* ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 246.

ენაში გამოითქმის „ჯიმარა“. შდრ.: პიროვნული სახელი ჯიო<გიო). „გიმ“ სვანურად მიწას ნიშნავს, „სგიმ“ კი მჟავე წყალს, -არ კი ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი სუფიქსია. მეცნიერებს აქ სხვა ბევრი „აუხსნელი“ ტოპონიმებიც აქვთ დადასტურებული, რომლებიც ქართული ენით იხსნება: *ალაზან-ი, ბერი, ბოდო (შდრ.: ბოდავი, ბოდორნა, ბოდბე...), დეკანაურიტა, დე-სი, რე-სი, ზაქაგორ-ი, ლეკუმთა, მილონ-ი (შდრ.: მილიონა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში), ნარუან-ი (ნარუალის ფონეტიკური ვარიანტი. ადგილი, სადაც ოდესღაც რუ გადიოდა), სა-ნეული, საბურთა (ადგილი, სადაც ბურთს თამაშობდნენ), ხელადურ-ი (მთა და გადასასვლელი დვალეთში), ხეუა, ქეთრი-სი,* ***სა-კოხე, სა-პეპლე, სა-ბატკნე...***[1] უკანასკნელი სამი ტოპონიმის შესახებ *ა. ცაგაევა* წერდა: «В Трусовском ушелье записаны три топонима с исходом на -е: Сапъепъле, Сакъохе и Сабаткъне. Два из них Сапъепъле «Где много бабочек» и Сабаткъне «Место баращек» объяснимы из грузинского. В названии же Сакъохе, по-видимому, следует выделить осет. Къох «роша», а в дигорском еще и «рука»[2]. ა. ცაგაევა ცდება იმაში, რომ აღნიშნულ ტოპონიმებში მხოლოდ -ე სუფიქსს გამოყოფს; სამივე ტოპონიმს თავსართიც აქვს (სა-) და ეს პრეფიქსიც ქართულია. „სა-კოხ-ე“ ასევე გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია (ზუსტად ანალოგიური ტოპონიმი „საკოხე“ (მთა) მთიულეთში ხადას ხეობის სოფელ წკერეშიცაა[3]). „კოხი“ ქვის გარკვეული სახეობაა და აღნიშნავდა საკევრე ქვას, რომელსაც კევრის ძირის მოსაჭედად ხმარობდნენ. „კოხი“ ცეცხლგამძლე ქვაცაა. ასე რომ, ქართულ ენაში „საკოხე“ ისეთი ადგილია, სადაც აღნიშნული ხარისხის ქვას მოიპოვებდნენ. ასეთი სამი მიკროტოპონიმი მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფების მიერაა შექმნილი. ეს ფაქტი იმაზედაც მიუთითებს, რომ თრუსოში მიგრირებულ ოსებს ადგილზე ქართული მოსახლეობა დახვდა. სხვა მხრივ წარმოუდგენელია ოსურ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში ქართული ტოპონიმების წარმოქმნა.

უფრო მეტი, ტოპონიმები, რომლებიც ქართველური ენებით იხსნება, ბევრია დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე[4], განსაკუთრებით კი თრუსოს მოსაზღვრე ისტორიული საქართველოს დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში[5]. ისევე როგორც დვალეთში, თრუსოშიც იყო და გვაქვს ტოპონიმი „აბანო“. პირველ მათგანში ის სოფელ ნარას ერთ-ერთი უბნის სახელწოდება გახლდათ, მეორეში – სოფლისა. ამ ფაქტს *ა. ცაგაევაც* ვერ უვლის გვერდს და იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოში „აბანო“ ისეთ ადგილებს ერქვა, სადაც სამკურნალო და ცხელი წყაროები ამოდიოდა. თრუსოს სოფელი *აბანო* (აგრეთვე სოფელი ქეთრ-ის-ი) მდიდარია ჰიდროკარბონატული მინერალური წყლებით. ამ ტოპონიმთან დაკავშირებით შეიძლება *კ. განიც* დავიმოწმოთ: «Абано, абаноси, абана – от груз. აბანო абано=баня, место бань»[6]. საერთოდ,

---

1 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 122.

2 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 64.

3 რ. თოფჩიშვილი. მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის ეთნოგრაფიული მასალები. 1981-1983 წლები, თბ., 2020, გვ. 74.

4 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 125.

5 *Р. Топчишвили*. Об Этнической принадлежности двалов. – Осетины в Гузии, Тб., 2015, 163-205.

6 Опит объяснения Кавказских географических названий. Составиль *К. Ган*, Тифлис, 1909, С.1.

მთელ საქართველოში, აღმოსავლეთში, დასავლეთშიც და სამხრეთშიც, 20 სოფელი არსებობდა, რომელსაც „აბანო“ და „აბანოები“ ერქვა.

თერგის მარჯვენა მხარეს სოფელ ქეთრისთან ხორისარის ლავური ღვარია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ღორღანას“ უწოდებდა[1]. ეს სახელწოდებაც გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია – როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ ენაში „ღორღი“ ერთად დაყრილ დამსხვრეულ ქვას აღნიშნავს. „ღორღი – წვრილი ნალეწი ქვა ან აგური, щебень“[2]. ხევის სოფლებშიც (ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ტყარშეტი, გაიბოტენი, თოთი, გერგეტი, ართხმო, აგრეთვე დარიალთან) „ღორღ“ ძირზე ტოპონიმი არა ერთი და ორია: *ღორღოვანაი, ღორღაი, ღორღიანები, ღორღები, დიდღორღი, ღორღიან ვაკე*[3].

ქართული ოიკონიმია აგრეთვე „ცოცოლთა“. უბრალოდ მას ფონეტიკურადა აქვს სახე შეცვლილი – ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში „წოწოლთა“ „ცოცოლთა“-დ იქცა. „წოწოლას“ ქართულ ენაში ხომ არა მარტო მაღალ და ტანწვრილ ადამიანს უწოდებდნენ, არამედ – მაღალ და წაწვრილებულ მწვერვალსაც. სოფელ ცოცოლთას/წოწოლთას ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო მართლაც ასეთი მთებით გამოირჩევა; სოფლის უკან ატყორცნილია შიშველი და ძალიან მაღალი კლდოვანი მთები. ქართულია არა მხოლოდ აღნიშნული ტოპონიმის ფუძე, არამედ სუფიქსიც. -თა სუფიქსიანი აუარებელი ტოპონიმი დასტურდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: *ვანთა, კომლათა, მელეურთა, ნაქუმლართა, ბინდაურთა*[4]. ცოტა არაა -თა სუფისით დაბოლოვებული სოფლის სახელები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში როგორიცაა თუშეთი: *აგევირ-თა, ბუხურ-თა, გოგრულ-თა, დადიკურ-თა, ნაკიდურ-თა, შტროლ-თა, ცოკლა-თა...* -თა სუფიქსიანი სოფლის სახელები შავშეთსა და კლარჯეთშიც არა ერთი და ორი არსებობდა: *ბერ-თა, ბოსელ-თა, ვან-თა, მოქვ-თა, ფორ-თა, წეფ-თა...* მთიულეთში, ხადას ხეობაში ზაქაიძეების სოფელს ადგილობრივები *ზაქა-თას* უწოდებენ. ბუნებრივია ქართულია თრუსოში არსებული -სი (იგივე -ში) სუფიქსიანი ტოპონიმები: *რე-სი, ქეთრი-სი, დე-სი.* ქართული ოიკონიმების დიდი ნაწილისათვის ხომ -სი სუფიქსია დამახასიათებელი – *თბილისის, ბოლნისის, დმანისის, ლისის, დელისის* დასახელებაც კი საკმარისია. თრუსოს შუა საუკუნეების მოსახლეობა რომ დვალეთიდან იყო გადმოსახლებული, ამას ზემოთ დასახელებული ტოპონიმიც – რესი (და სალოცავი) მოწმობს. დვალეთის ზახას ხეობაში *ბ. კალოევს* დადასტურებული აქვს სალოცავი „რეშიჯვარი“, ე. ი. *რეშის/რესის ჯვარი* (სხვათა შორის, 1780 წლის ერეკლე მეორის გაცემულ საკომლოების სიაში სოფელი რესი რეშადაა დაფიქსირებული). ბ. კალოევი სრულიად სამართლიანად ასეთი სახელწოდებით სალოცავებს დვალეთის ადრინდელი მოსახლეობის (ოსებამდელი – რ. თ.) სალოცავებად მიიჩნევს: «...такие названия, как Решыдзуар (св. Реша), Байдзуар (св. Бая), Хеаыдзуар (св. Хеая) и т. д., незнакомые заккинцам, являются наследием прежних жителей Заккинского ущелья»[5]. *რესის/*

---

1 *კ. ხარაძე.* ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 2015, გვ. 24.

2 *დ. ჩუბინაშვილი.* ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

3 *ვ. ითონიშვილი.* ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 61-62.

4 *ფ. მაკალათია.* ფშავის ტოპონიმიკა. – ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 37-40..

5 *Б. А. Калоев.* Осетинские историко-этнографические этюды, М., 1999. С. 262. იხ. აგრეთვე: რ.

რეშის წმიდა გიორგი ზახას ხეობის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობის სალოცავი ყოფილა. სალოცავი რესის მთის ძირში მდებარეობს, საიდანაც როკის გადასასვლელამდე დიდი მანძილი არაა. რესის მთა დვალეთის ზახას ხეობაში დადასტურებული აქვს ა. ცაგაევასაც: «Ресы хох «(Реси гора»). Гора из водораздельного хребта Центрального Кавказа к юго-востоку от с. Зака[1]». ასე რომ, თრუსოში ტოპონიმი რესი/რეში თავის დროზე დვალეთიდან მოსახლეობის ჯგუფური გადმოსახლების დამადასტურებელია. თრუსოსა და დვალეთში არსებობს საკულტო ადგილი, რომელსაც „ძირი ძუარ“ (ჯვარი) ეწოდება[2]. ეს გამჭვირვალე ქართული ტოპონიმი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ როგორც ერთი, ისე მეორე გეოგრაფიული რეგიონი ქართველთა განსახლების არეალი იყო. დვალეთიდან თერგის ხეობის ზემო წელში მოსახლეობის მიგრაციას ადასტურებს კიდევ ერთი სალოცავის სახელწოდება სოფელ ოქროყანაში – «Нары Уастырджи» (ნარას წმიდა გიორგი)[3]. ჯგუფურად მიგრირებულ ქართველ მთიელებს უმეტეს შემთხვევაში თან სალოცავის ნიში მიჰქონდათ.

თრუსოს სოფელი *ზაქათგორი* ქართული ტოპონიმია. ის ორი შემადგენელი ნაწილისაგან შედგება: *ზაქათ-გორი* ნიშნავს ზაქაძეების/ზაგაშვილების გორას. ანალოგიური ტოპონიმები, რომლის მეორე ნაწილს „გორი“ შეადგენს, საქართველოში არა ერთი და ორია: *სიონთ-გორი, ნიჯ-გორი, ნაცარ-გორა, ქუშანაანთ-გორი, ფსის-გორი, ნახშირ-გორი, თელად-გორი, ახალ-გორი, დვალთ-გორა, ლომთა-გორა, შატათ-გორი, ბალთა-გორი...* მთიულეთის სოფელ გვიდაქეში არის ტოპონიმი *ჯაჯა-გორი*[4]. რა თქმა უნდა, აღარას ვამბობთ ისეთ ოიკონიმებზე როგორიცაა *გორი, გორა, გორათი, გორანა, გორიჯვარი, გოროვანი, გორისა...*

თრუსოში *ა. ცაგაევას* დადასტურებული აქვს ტოპონიმი „საბურთა“, რომელსაც აუხსნელ ტოპონიმებს მიაკუთვნებს[5]. საბურთა სრულიად გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია, რომელშიც სა- თავსართი გამოიყოფა – ბურთის სათამაშო ადგილს ნიშნავს. ასეთი ტოპონიმი საქართველოს სოფლებში ბევრია, მაგალითად, კლარჯეთში „საბურთე“ ერქვა მთას[6], გუდამაყარში – ადგილს, სადაც „საბურთალოს წმიდა გიორგის“ სალოცავია. აქვე ყოფილა „ლეკუიმთა“ – ის ორი ქართული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული: ლეკუი/ლეკვი+მთა. კიდევ შეიძლება დავასახელოთ: *მილიონა, ნარუანი* (იგივე ნარუალი) – „ნაროვანი“ პატარა მდინარე ხევშიცაა, რომელიც კობთან უერთდება მდინარე თერგს, *საკოხე, სანეული...* იმავე ავტორს თრუსოში სოფელ ქეთრისთან ტოპონიმი „ოქრო“-ც დაუდასტურებია: «Мною записаны два топонима в Трусовском ущелье – **Окро** «золото» (название пашни возле с. Четрыс «Кетрис») и **Окрохъана** «Окрокана» (селение), букв. «Золотая пашния», где имеем грузинское название золото «окро»[7].

თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალები, თბ., 2016, გვ. 172-173.

1 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 2, Орджоникидзе, 1975, С. 205.

2 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 18.

3 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 18.

4 *ლ. კაიშაური*. მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 74.

5 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 122.

6 Кавказ: географические названия и объекты: Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края / По книге Д. Д. Пагирев (1913). Налчик, 2007, с. 244.

7 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 198.

მნის „ქვეყნის“ შესახებ *პარმენ ზაქარაია* აღნიშნავდა: „ოქროყანის ზემოთ რამდენიმე სოფელი ყოფილა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთია შემორჩენილი. მდინარის მეორე მხარეს, ოქროყანის პირდაპირ მდებარე ნასოფლარი შევარდენის სახელს ატარებს. სოფლების ასეთი სახელები თავისთავად მოწმობს აქ ქართველი მოსახლეობის არსებობას. ახლა ამ ხეობაში მცხოვრები ოსები ამ ასიოდე წლის წინათ არიან მოსულნი ჩრდილოეთიდან. მიტოვებულ სოფლებში ზურგიანი კოშკებიც მდგარა. ახლა მხოლოდ მათი ნანგრევებია“[1]. თქმულს დავამატებთ შემდეგს – თრუსოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზურგიანი კოშკები სწორედ იმას ადასტურებს, რომ აქ ქართველები მოსახლეობდნენ, რომ ისინი ქართველების აგებულია. ისინი ხომ მხოლოდ შიდა ქართლის მთიელთა მიერ იგებოდა. ოსთა მატერიალური კულტურისათვის კი ასეთი კოშკები უცნობი იყო.

ისტორიული წანარეთი ანუ შემდეგდროინდელი ხევი და თრუსო, როგორც არაერთხელ ითქვა, თერგის ხეობის სათავეში მდგომარეობდა. თერგის ხეობა ოდითგანვე რომ ქართველთა განსახლების არეალი იყო, ამას ჰიდრონიმის სახელწოდებაც ადასტურებს. **მდინარის სახელწოდება „თერგი“ ქართულია**. შიდა ქართლში სოფლებიც არსებობდა – „თერგვანი“ (ფცის ფრონეზე. ამ სოფელში, 1715 წელს, რუისის სამწყსოს დავთრის მიხევით, მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებში აქ ქართველებს მთებიდან ჩამოსული ოსები გაუმეზობლდნენ. 1886 წელს თერეგვანში 23 კომლი ქართველი და 24 კომლი ოსი ცხოვრობდა) და თერგვისი[2]“ (ტირძნისთან ახლოს. 1886 წელს აქ სოფელში 24 კომლი ქართველი ცხოვრობდა). გვაქვს გვარსახელი *თერგიაშვილი,* რასაც მამაკაცის პიროვნული სახელი „თერგი“ უდევს საფუძვლად. **იმერულ და მთიულურ დიალექტებში „თერგი“ სატეხი, რკინის სახვრეტი იარაღია. თუშურსა და ფშავურ დიალექტებში კი დასაწოლად ამოჭრილ ადგილს ნიშნავს, აგრეთვე ცხოველის მუდმივსამყოფელ სადგომს, ბინას, ხოლო აჭარულ დიალექტში თაროს შეესატყვისება[3]. კიდევ ერთი ფრიად საგულისყურო ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებაც უნდა ითქვას – ხევსურეთში შატილთან ახლოს, სოფელ კისტანის თავზე არის ღვთისშვილის „თეთრი მთის ქორი თერგვაულის“ საბრძანებელი კოშკი. სრულიად სამართლიანად *ბერი თერგვაულის* ზედწოდებას („თეთრი მთის ქორი“) მყინვარწვერს უკავშირებენ. უდავოდ ამ ღვთისშვილის თავდაპირველი საბრძანისი თერგის ხეობაში იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთის ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან მეორეში ღვთიშვილების/ჯვარ-ხატების გადასვლის არაერთი გადმოცემა არსებობს. რა თქმა უნდა, ღვთისშვილთა ასეთი გადასვლა-მოგზაურობანი ერთი ეთნიკური ერთეულის (ამ შემთხვევაში, ქართველების) ფარგლებში ხდებოდა.**

კიდევ ერთი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმი უნდა დავასახელოთ. თრუსოდან დვალეთის ზახას ხეობაში გადასასვლელს სამეცნიერო ლიტერატურაში „თრუსოს გადასასვლელს“ უწოდებენ. ასეა რუკებზეც აღნიშნული. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ამ გადასასვლელ მთას „ხელადურას მთას“, „ხელადურას

1 პ. ზაქარაია. არაგვისა და თერგის ხეობა. ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი, თბ., 1972, გვ. 41-42.

2 საქართველოს ისტორია ტოპონიმებში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), ტომი პირველი, თბ., 2010, გვ. 366.

3 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი *ალ. ღლონტი*, თბ., 1984, გვ. 247.

გადასასვლელს“ უწოდებს[1]. ამ ტოპონიმის როგორც ფუძე, ისე სუფიქსი (ხელად-ურ-ი) ქართულია. [დვალეთთან არა მხოლოდ თრუსოს, არამედ ხევსაც რომ ინტენსიური ურთიერთობა გააჩნდა, ამას ეთნოგრფიული მასალებიც ადასტურებს, მაგალითად, სოფელ ყანობში ვარდიშვილების გვარს, რომელიც კურ-კუმულებიდან შტონაყარი გვარია, ჰქონდა სალოცავი „ზახას წმიდა გიორგი“, რომლის დღესასწაული ზამთარში მოდიოდა. აქვე ნარადან მოსულა ჭიალაშ-ვილების წინაპარიც]. 1780 წლის საბუთში თრუსოს სოფლებს შორის დასახელებულია სოფელი **ყაყიდ-ურ-ი** (რუსულ თარგმანში **– კაკიდ-ურ-ი**)[2]. ოიკონიმს საფუძვლად უდევს მამაკაცის პიროვნული სახელი *ყაყიდა/ყაყიტა*, რომელიც გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (გვაქვს ქართული გვარსახელიც – ყაყიდაშვილი). 1778 წლის სამასპინძლოს გადამხდელ თრუსოელ ოსთა სიაში ვხვდებით ასევე -ურ სუფიქსიან ქართულ ტოპონიმს, სოფლის სახელს – **ხუც-ურ-ი**[3]. გაირკვა, რომ ***ხუცური*** **შემდეგდროინდელი კარატკავის ადრინდელი სახელწოდება იყო. 1776 წლის საბუთში ხუცურში მოხსენიებული გვარები შემდეგ კარატკავში არიან დასახელებული. ამ სოფლების იგივეობაზე მიუთითებს ი. კლაპროტიც:** „სივრაუტ-სა და რესი-ში დავრჩი საღამომდე... ერთ ვერსზე გავიარეთ სოფელი კალაგათ-ყაუ და კიდევ ერთ ვერსზე ბურმასიგ-კაუ, ანუ ყვითელი კოშკის სოფელი. აქედან 1,5 ვერსზე, ასევე მდინარის მარცხენა ნაპირზე **სოფელი ხუწური ან კარათ-ყაუ**; ესაა დიდი სოფელი კოშკებით“[4]. (ტოპონიმი „ხუცური“ დვალეთის სოფელ ზემო ზრამაგაშიც იყო; აქ ეს ტოპონიმი ფერდობს ერქვა[5]). სხვათა შორის, -ურ სუფიქსიანი ოიკონიმი დვალეთშიც – ზახას ხეობაშიც არსებიბდა: გენა-ურ-ი, რომელიც *ვახუშტი ბაგრატიონს* აქვს დატანილი თავის „ქარტაზე“.

1776 და 1780 წლის ერეკლე მეფის საბუთებში თრუსოელი ოსების გვარები -შვილი სუფიქსითაა წარმოდგენილი (ქაშიაშვილი, გაბულიშვილი, ჯანიგიშვილი, გუსალიშვილი, ბეროზიშვილი, ბარსაგიშვილი, თავაშვილი, ჯანთიშვილი, ურთაშვილი, კუმალაგიშვილი, ჩალაგიშვილი, ხამიჩიშვილი, სალბიშვილი, საპიშვილი, გიოშვილი, აკოშვილი, თეგაშვილი, ადეშვილი, ბიბიშვილი, ქოქაშვილი...), რაც დამატებით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, თრუსო საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და ისინი ინტეგრირებულნი იყვნენ ქართველებთან.

ოს მეცნიერთა გაყალბებას საზღვარი არა აქვს. გაყალბების ერთ-ერთ ტიპურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოსკოვში 2012 წელს დასტამბულ წიგნში «Осетины» მოთავსებული რუკა, რომლის სათაურია „ოსური საზოგადოებები XV-XVIII ს. დასაწყისში“ (ეს რუკა თავის მხრივ გადმობეჭდილია

---

1 ტოპონიმი „ხელადური“ დადასტურებული აქვს ა. ცაგაევასაც – იხ.: *А. Цагаева.* Топонимия Северной Осетии. Часть 1, Орджоникидзе, 1972, С. 122.

2 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საქმე № 3906; История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т. 1, Цхинвали, 1962, док. №72, с. 143.

3 История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т. 1, Цхинвали, 1962, док. №47.

4 გ. გელაშვილი. იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(11), თბ., 2012, გვ. 300.

5 *А. Цагаева*. Топонимия Северной Осетии. Часть 2, Орджоникидзе, 1975, С. 269.

წიგნიდან: «История Осетии». Владикавказ, 2000, с. 111)[1]. ამ რუკის მიხედვით ოსებს XV-XVIII საუკუნეებში თერთმეტი საზოგადოება ჰქონდათ და ჩრდილოეთ ოსეთში მხოლოდ ოთხი მათგანი იყო (*თაგაური, ქურთაული, ალაგირი* და *დიგორი*), დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე (*თუალეთის* ანუ *დვალეთის, ურს-თუალთის* ანუ *მაღრან-დვალეთის, კუდაროს, ძაუს* ანუ *ჯავის, ქსნის, კუდის* ანუ *ღუდის, თირსინგომის* ანუ *თრუსოსი*). საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ოსური საზოგადოებებია მონიშნული, ქართველები საერთოდ არ ჩანან. რადგან ამჯერად თრუსოზე გვაქვს საუბარი, უნდა აღვნიშნოთ, რომ თერგის ხეობის ზემო წელი – თრუსო და ხევი – მთლიანად, ვიდრე საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე, თურმე თრუსო ყოფილა და ის თრუსოელი ოსებით ყოფილა დასახლებული. სადღა იყო საქართველოს ძირძველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – **ხევი** და ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – **მოხევეების** ადგილი? მათი „ლოგიკით“ მოხევეები ოსყოფილები არიან, სულ ახლახან გაქართველებულნი.

მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთით – საქართველოში ოსთა მიგრაციასა და მის მიზეზებზე – მცირემიწიანობაზე – საუბრობდა XIX საუკუნის რუსი ავტორი *ნიკოლაი დუბროვინი*; ის იმასაც აღნიშნავდა, რომ ოსები ნებაყოფლობით ხდებოდნენ ქართველ ფეოდალთა ყმები: **«Эта малоземельность была причиной, что часть осетин переселилась на южный склон Главного хребта и добровольно отдала себя в кабалу грузинских помещиков.** Заняв ущелья: Кударовское, Большой и Малой Ляхвы, Рехулы, Ксани и ее притоков, осетины стали крепостными князей Эристовых и Мочабеловых. **Эти переселенцы и составляют поселения так называемых южных осетин** и, свою очередь, делятся также на многие мелкие общества, носящие название по именам ущелий, ими обитаемых. Так, они делятся на ксанских, кударских, ляхвских, **гудошаурских,** магладолетских, джамурских и других. **Много осетин поселилось в Мтиулетии и Хевском ущелье»[2]**. თუ ტექსტს გულისყურით წავიკითხავთ, აშკარაა, რომ თერგის/ხევის ხეობაში (თრუსოში, მნის ხევსა და კობის ქვაბულში) *ნიკოლაი დუბროვინი* ოსების მიგრაცია-დასახლებაზე საუბრობს და არა აქ მათ ოდინდელ მკვიდრობაზე. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს *ნიკოლაი დუბროვინის* ერთი დაკვირვების შესახებაც, რომ ოსები გარდა საქართველოს დაბლობში მაცხოვრებლებისა იყვნენ უაღრესად ღარიბები: «За исключением только немногих обществ южного склона и живущих на плоскости, все остальные осетины бедны, почти голы или до последней степени плохо одеты; живут в землянках или разваливавшихся башнях и даже в оставленных укреплениях»[3]. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ამ ფაქტორის გამო იყო მთელი XVIII საუკუნის ქართულ საისტორიო საბუთებში არაერთხელ დაფიქსირებული ფაქტები მთიელი ოსების, და მათ შორის, „არაგველი ოსების“ „სიავკაცობისა“, „აკლებისა“, „თარეშობისა“ და „ორგულობისა“.

თერგის ხეობაში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლებია, როგორიცაა *გარბანის, სიონის, ახალციხის ეკლესიები*, რომლებიც IX-X საუკუნეებშია აგებული და *გერგეტის გუმბათოვანი ტაძარი* (XIV საუკუნე). ეს

1 Осетины, Отвественные редакторы: *З. Б. Цаллагова, Л. А. Чибиров*, М.,2012, С. 71.

2 *Н.Ф. Дубровин.* Кавказ и народы, его населяющие, Книга I, Кавказ. М., 2015, С. 295.

3 *Н.Ф. Дубровин.* Кавказ и народы, его населяющие, Книга I, Кавказ. М., 2015, С. 295.

უკანასკნელი კი მცხეთის საკათალიკოსოს სამკაულთა და წმიდა ნინოს სახიზარ ადგილს წარმოადგენდა: „სტეფანწმიდის დასავლით არს გერგეთი, არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერნაშენი, შვენიერ ადგილას“[1]. კითხვა ისმის, ქართველებს უპირველესი ტაძრის სამკაულისა და განმანათლებლის წმიდა ნინოს ჯვრის სახიზარი სხვათა ქვეყანაში და სხვა ეთნოსის განსახლების არეალში ჰქონდათ? სხვა ეთნოსს ანდობდნენ ქვეყანაში შემოსასვლელ დარიალის კარის დაცვას?, რომელიც სათანადო ადგილას სწორედ სხვათა შემოსვლის აღსაკვეთად იყო აშენებული. გერგეტის სამებაზე ქართულ ასომთავრულ ლაპიდარულ წარწერა „თირსინგომელი“ ოსების ამოკვეთილია?

თრუსოში ზუსტად ისეთი ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობებია როგორც მომიჯნავე ხევსა, მთიულეთსა და დვალეთში. საამისოდ შეიძლება სოფელ დესის მთავარანგელოზის ეკლესია, სამების/სანიბის ეკლესია სოფელ შუატისში/სუატისში, მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია მნაში, წმიდა გიორგის ეკლესია სოფელ ქართსოფელში/კარატკავში, ზაქაგორის მთავარანგელოზის ეკლესია დავასახელოთ, რომლებიც X-XI საუკუნეებშია აგებული. გვიან შუა საუკუნეებშია აშენებული სოფელ შევარდენის მაცხოვრის ეკლესია[2]. ქ(კ)ართსოფლის მთავარანგელოზის ეკლესიის კარის თავზე არცთუ ისე დიდი ხნის წინ ქართული წარწერა ყოფილა. ამავე ეკლესიის აფსიდის კედელსა და დასავლეთის კედელში ორ-ორი ქვევრია ჩაგდებული, რაც მთის სხვა ეკლესიებისათვისაც იყო დამახასიათებელი. ღვინო, ბუნებრივია, ბარიდან შემოჰქონდათ, რასაც საეკლესიო დღეობებში ხარჯავდნენ. ანალოგიური ძეგლები კი ჩრდილოეთ ოსეთში არაა. ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია მოგვითხრობს, რომ **მთავარანგელოზი/თარანჯელოზი ოსურ მითოლოგიაში ნაყოფიერების უძველესი ღვთაებაა** (!!!). მაგრამ იქვე მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ მთავარანგელოზის მთავარი სალოცავი არის თრუსოში და კიდევ დვალეთის მამისონის/ჟღელეს ხეობასა და დიდი ლიახვის ხეობაში. თრუსო რომ ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ აქ არსებულ შუა საუკუნეების ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობების მშენებლობას ადგილობრივი ოსი მოსახლეობა თამარ მეფეს და მისი მმართველობის პერიოდს უკავშირეს. **თამარ მეფის დაარსებულად მიიჩნევენ აგრეთვე სოფელ ქეთრისის მახლობლად გორაზე არსებულ მთავარანგელოზს („თარანჯელოს)“, რომელიც ყველა თრუსოელის საერთო სალოცავი იყო**[3], რაც ბუნებრივია, მათ ადგილობრივი დვალებისაგან ჰქონდათ გადმოცემული, რომლებიც ოსებს თრუსოში დახვდნენ. ქეთრისის მთავარანგელოზობას სალოცავად მოდიოდნენ არა მარტო თრუსოელები, არამედ არაგვის ხეობაში მცხოვრები ქართველებიც. ეს ეთნოგრაფიული მასალა კი იმის შესახებ მიუთითებს, რომ სალოცავად თრუსოში მოსული ქართველები ოდესღაც აქედან იყვნენ დაბლობში მიგრირებული. მთავარანგელოზი რომ თრუსოს ძველი ქართული მოსახლეობის (დვალების ეთნოგრაფიული ჯგუფის) სალოცავი იყო,

1 ქართლის ცხოვრება. ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხიშვილის* მიერ, თბ., 1973, გვ. 357.

2 С. Цаллагов. Трусовкое ущелье. Журнал «Дарьял», №4, 2019.

3 С. Цаллагов. Трусовкое ущелье. Журнал «Дарьял», №4, 2019.

დასტურდება იმითაც, რომ ის სხვა ოსებისათვის უცნობი იყო, მხოლოდ თრუსოელები ლოცულობდნენ მას. რაც მთავარია, გადმოცემა (სალოცავის თამარ მეფის მიერ დაარსება) პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ თრუსოს გეოგრაფიული ერთეული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო.

გარდა საეკლესიო ნაგებობებისა, თრუსოში შემორჩენილია საერო ნაგებობები (ზაქაგორის კომპლექსი და სხვა არაერთი კოშკი, საცხოვრებელი სახლები), რომლებსაც ასევე დიდი მსგავსება აქვთ ხევის ანალოგიურ ნაგებობებთან. საერო ნაგებობების სპეციალისტი *პ. ზაქარაია* მიუთითებს, რომ აბანოს კოშკების კომპლექსი და მნის კოშკური სახლები მთიულური და მოხევური ნაგებობების მსგავსია. გარდა მნისა, კოშკური სახლები თრუსოში ბევრგანაა[1]. ეს ფაქტი კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თრუსოში მოსულმა ოსურა მოსახლეობამ შეითვისა ადგილობრივი ქართველი დვალების მატერიალური კულტურა.

თრუსოელების კავშირ-ურთიერთობების შესახებ

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებს შორის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა. მთის მხარეებს ფაქტობრივად დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლოთ, რადგან ადგილზე მოწეული მიწათმოქმედების პროდუქტები მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჰყოფნიდათ. სამაგიეროდ მეცხოველეობის პროდუქტები მეტი გააჩნდათ. ისევე როგორც სხვა მთიელები, თერგის ხეობის მოსახლეობა ამ მხრივ საქართველოს მთისწინეთთან და ბართან იყო დაკავშირებული. მოხევეები და თრუსოს ძველი (დვალები) და ახალი მოსახლეობა (ოსები) ბარში ყიდდა ან ცვლიდა ყველსა და ერბოს. მეცხოველეობის პროდუქტებს ისინი ან საქართველოს სამხედრო გზაზე ჰყიდდნენ, ან დუშეთსა და თბილისში ჩამოჰქონდათ გასაყიდად[2]. ეთნოგრაფიული მასალებით, „თრუსოელთა მეცხვარეობის პროდუქტების ძირითადი შემსყიდველი პუნქტი ფასანაურში ყოფილა“. მეზობელი მთიულები და გუდამაყრელები ისტორიულასდ თრუსოს საზაფხულო საძოვრებს იყენებდნენ (გ. ჯალაბაძე). ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღი არაგვის ხეობის დაბლობიდან შემოჰქონდათ, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხევსა და თრუსოში პოპულარული იყო „დოლასქედური ნამგალი“: „ხევში არაერთგან ჩვენს მიერ დამოწმებული იქნა, რომ აქ ძირითადად ხმარებაში იყო დოლასქედური ნამგალი. აღნიშნულის შესახებ მიუთითებდნენ აგრეთვე თრუსოს ხეობაში მოსახლე ოსებიც“[3] [ცნობისათვის – დოლასქედი ჭართლის სოფელია]. თრუსოელთა საქართველოს ბართან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების დამადასტურებელია ხეობის შუა წელზე, თერგისა და მისი შენაკადის შუათისის შესაყართან მთავარანგელოზის ეკლესიასთან (X საუკუნე) ჩადგმული ქვევრები. აქვე ადგილობრივ ცნობით, ეკლესიის კარის თავზე ქართული წარწერა ყოფილა[4].

1 *პ. ზაქარაია.* საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973, გვ. 152-153, 161; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,, 2, თბ., 2004, გვ. 456, 462, 466, 487.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი 2, თბ., 2004, გვ. 462. С. Цаллагов. Трусовкое ущелье. Журнал «Дарьял», №4, 2019, с. 88.

3 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 220.

4 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი 2, თბ., 2004, გვ. 462.

ყოველივე ამის ფონზე გასაოცარია ზოგიერთი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თრუსოელი ოსები მხოლოდ ოსებს უნათესავდებოდნენ და რომ არ იყო შემთხვევები ოსებსა და ქართველებს შორის შერეული ქორწინებისა: «Роднилиь трусовцы исключительно с осетинами, жившими в соседних ущельях осетинского высокогорья, Здесь, по нашим наблюдениям, не было случаев заключения брака, в том числе брака между осетинами и грузинами»[1]. რა შეიძლება ითქვას ამ ციტატის შესახებ? საქართველოში ქართველები ყველაზე მეტად ინტეგრირებულნი ოსებთან იყვნენ, მათ შორის ძალიან ხშირი იყო საქორწინო ურთიერთობები. ეთნოგრაფიული მასალებით, იმ დროს, როდესაც მაღრან-დვალეთის ცხრა (9) სოფლისა და თრუსოს რვა (8) სოფლის მოსახლეობა ერთდროულად თავს დაესხა მნის ხეობის ქართულ მოსახლეობას და რაოდენობრივმა ფაქტორმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი და სოფლების მნის, ოქროყანისა და შევარდენის ქართული მოსახლეობა გამოაძევეს, სოფელ აბანოში რძლად ჰყავდათ ქართველი ქალი. მისი მცდელობა მნის ხეობის ქართული მოსახლეობა გადაერჩინა, ამაო გამოდგა. ეს ყველაფერი XVIII საუკუნის ბოლოს მოხდა. ეთნოგრაფიული მასალით, „მოხევეები ხშირად ქორწინდებოდნენ ოსის ქალებზე, რადგან მათ ლამაზი ქალები ჰყავდათ. XX საუკუნის დასაწყისში სოფელ ყანობში ერთ ღამეს ოთხი (4) ოსის პატარძალი მოიყვანეს“ (მთხრობელი პლატონ გიორგის ძე ტატიშვილი, 85 წლის, 25. 08, 2020, სოფელი ყანობი). რაც შეეხება თერგის ხეობის ქართველი ქალების თრუსოში გათხოვების საკითხს, რა თქმა უნდა, ის ხშირად არ ხდებოდა, რის მიზეზიც იყო არა ეთნიკური, არამედ გეოგრაფიული. თრუსო ჩაკეტილი მხარე იყო, არ იყო ხევთან დამაკავშირებელი საურმე გზა (რომელიც მხოლოდ 1850-იან წლებში გაიყვანეს სოფელ აბანომდე). ხევზე კი ოდითგანვე გადიოდა საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც ძალიან გააქტიურდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, რომელსაც საქართველოს სამხედრო გზა ეწოდა (ამ გზის მშენებლობაში ქართველ მთიელებთან ერთად ფართოდ იყვნენ ჩართული თრუსოელი ოსებიც). შემჩნეულია, რომ ქალი უკეთესი გეოგრაფიული გარემოდან უარესში იშვიათად თხოვდება, რაც ფსიქოლოგიური ფაქტორებით იხსნება. ამასთანავე, რელიგიურ ფაქტორსაც ჯვრისწერისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ – საქორწინო პარტნიორი აუცილებლად მონათლული უნდა ყოფილიყო. გეოგრაფიულ ფაქტორს რომ უდავოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კარგად ჩანს მდინარე ქსნის შენაკადის ლარგვისის ხეობის მაგალითზე. მას შემდეგ, რაც ლარგვისის ხეობიდან რამდენიმე ქართული გვარი აიყარა და ბარში გადასახლდა, აქ დარჩენილი ილურიძეები იძულებული იყვნენ მათ ზემოდან მთაში მცხოვრები ოსები შეერთოთ ცოლად, რადგან მათ ქვემოთ უფრო დაბლობისაკენ მცხოვრები ქართველები ზემოთ მთისაკენ არ თხოვდებოდნენ. ასე რომ, ქართველი ილურიძეები ფაქტობრივად ოსის ქალებმა გააოსეს, სალაპარაკოდ ოსურ ენას ანიჭებდნენ უპირატესობას.

სხვათა შორის, არც თრუსოდან მნის ხეობაში და კობის ქვაბულში გადმოსახლებული ოსების ქალები იჩენდნენ თრუსოელ მამაკაცებზე გათხოვების ინტერესს. სწორედ გეოგრაფიული ფაქტორის გამო იყო კობის ქვაბულში მცოვრები ოსების თრუსოელი ოსების მიმართ ისეთი სიტყვებით მოხსენიება როგორიცაა „ყრუ“, „ბნელი“, „ჩამორჩენილი“ (დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები ოსები იმავე თრუსოელებს „უთავოებს“, „უტვინოებს“ ეძახდნენ).

1 С. Цаллагов. Трусовкое ущелье. Журнал «Дарьял», №4, 2019, с. 88.

P. S. 1910 წლის «Кавказский Календарь»-ში (часть 1) დაბეჭდილია კავკასიის დასახლებული პუნქტების სია, რომელშიც თითოეული სოფლის გასწვრივ მოცემულია საინტერესო სტატისტიკური და ეთნიკური მონაცემები. აღნიშნულ სიაში, ბუნებრივია, თრუსოს მხარის სოფლებიცაა შეტანილი. წინასწარ უნდას ითქვას, რომ ქართული ეთნოსი ხშირ შემთხვევაში ეთნოგრაფიული ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი: იმერლები, მეგრელები, ფშავლები, ხევსურები, თუშები, გურულები, მთიულები. საყურადღებოა, რომ თრუსოს ზოგიერთი სოფლის გასწვრივ მიწერილია არა ოსები, არამედ მთიულები. მაგალითად მთიულებად არის წარმოდგენილი შემდეგი სოფლების მოსახლეობა: **აბანო** (184 სული), **ბურმასეკი** (77 სული), **გიმარა** (201 სული), **ზემო დესი** (107 სული) [ქვემო დესის მცხოვრებ 51 სულს ეთნიკურობის გრაფაში „ოსები“ აქვთ მიწერილი], **ჟაკაგორი** (იგივე **ზაქაგორი.** 1780 წლის საბუთში – **ჯახაგორის სოფელი**) (31 სული), **კარატკავი** (იგივე ქართსოფელი) (216 სული), **ქეთრისი** (263 სული). ამრიგად, 1910 წლის ოფიციალური რუსული მონაცემებით თრუსოს 13 სოფლიდან, 7 სოფლის მოსახლეობას მიწერილი აქვს, რომ ისინი ქართველი მთიელები (მთიულები) არიან. რით უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? ვფიქრობთ, რომ ეს უნდა ასახავდეს მოსახლეობის ნარევობას, ადგილობრივი ქართველი მთიელების – დვალების ასიმილაცია აღნიშნული პერიოდისათვის ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. მხედველობაში თუ მივიღებთ ზოგიერთი ოსური გვარის გადმოცემას წარმომავლობის შესახებ, ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას არ შეიძლება სხვა რამენაირი ასხსნა ჰქონდეს.

ღუდა

თრუსო ე. წ. სამხრეთ ოსეთთან ტერიტორიულად დაკავშირებული არაა. მხოლოდ მცირე მონაკვეთზე აქვს მას საზღვარი ლიახვის ხეობის სათავესთან – მაღრან-დვალეთთან. თრუსოსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის ხომ მთიულეთი მდებარეობს, უფრო სწორედ თეთრი არაგვის სათავე. ოსმა „მეცნიერებმა“ გამოსავალს აქაც მიაგნეს და თეთრი არაგვის სათავესაც – ღუდას – ოსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ, რადგან აქ XVIII საუკუნეში მიგრირებული ოსები ცხოვრობდნენ. ღუდაში კი სინამდვილეში თავდაპირველად მთიული *ბუთხუზები* და *სისველაურები* ცხოვრობდნენ, რომელთაგან პირველნი, იქვე მლეთაში იყვნენ გადასახლებული, მეორენი – ჟინვალში. მოხევე გელაძეების თავდაპირველი საცხოვრისიც ღუდა იყო, რასაც შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს: „ღუდაში როცა წავიდოდნენ გელაძეები კურეტით, სანამ გელაძეების კურეტი არ დაიკვლებოდა, სხვა კურეტებს არ დაკლავდნენ“ (თამარ ილას ასული ჩაბაკაური-გელაძე, 74 წლის, სოფელი გარბანი, 1990 წ.). სწორედ ზემოხსენებული ბუთხუზების გვარის წარმომადგენელმა – *ჯაბან ბუთხუზმა* მისცა მაღან-დვალეთიდან (მდინარე დიდი ლიახვის უკიდურესი სათავის სახელწოდება, რომელიც ცხრა მთური სოფლის მომცველი იყო) გადმოსულ ოს რუბაევს დასახლების უფლება. ოსებმა ღუდას, ისევე როგორც სხვა არაერთ ქართულ ტოპონიმს, სახელი შეუცვალეს და „კუდი კომ“ დაარქვეს. სხვათა შორის, ღუდას დვალეთთან („თუალაგომ“) და თრუსოსთან („თირსიგომ“) ერთად, ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში ცენტრალურ ოსეთად მოიხსენიებდნენ. ასეთი სახელწოდება დასახელებული გეოგრაფიული ერთეულებისა არც სადმე დოკუმენტშია დაფიქ-

სირებული და არც ხალხის მეტყველებაში არსებობდა. ასე რომ, ადრე თრუსოს ჯერ ცენტრალურ ოსეთს უწოდებდნენ, ახლა კი აღმოსავლეთ ოსეთის ცნება შემოიტანეს. „ენციკლოპედიაში“ ღუდაში 11 სოფლის შესახებ მიუთითებენ, რომლებიც არაგვის ერისთავების უღელს ქვეშ იმყოფებოდნენ. არაგვის ხეობის სათავეში – ღუდაში რეალურად მხოლოდ ხუთი პატარა/მთური სოფელი არსებობდა, რომლებიც XIX საუკუნის რუსული აღწერის დავთრებსა და სხვა დოკუმენტებშია დაფიქსირებული; ესენი იყო: *განისი* (1831-1832 წლებში – 10 ოჯახი, 1886 წელს – 11 ოჯახი), *მიქეთი* (შესაბამისად 5 და 10 ოჯახი), *ურმის სოფელი (გაღმა სოფელი)* (XIX საუკუნის 30-იან წლებშიც და 1886 წელსაც 10-10 კომლი), *ხატის სოფელი* (ასევე 10-10 კომლი) [აქ იყო მთიულთა საერთო ხატი/სალოცავი ღუდას ღვთისმშობელი, სადაც ყველა მთიულს ბავშვი უნდა გაერია. ამიტომაც ერქვა სოფელს ხატის სოფელი] და *ერეთო* (შესაბამისად 12 და 20 კომლი). XIX საუკუნის სტატისტიკური მონაცემებით, ღუდაში ოსების რაოდენობა 50-დან 60 კომლამდე მერყეობდა (1831-1832 წლებში 52 კომლი ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1886 წელს – 65 კომლი). სულთა რაოდენობა კი ასეთი იყო: 1831-1832 წლებში – 277, 1886 წელს – 432. ღუდას 5 სოფელში ოსებს ნამატი 155 სული ჰქონდათ, რაც ძირითადად ახალი მიგრანტების ხარჯზე ხდებოდა. თრუსოში ოსთა მიგრაციის შედეგად ქართული ოიკონიმების გვერდით, ოსურიც გაჩნდა, ამას ვერ ვიტყვით ღუდაზე, ყველა მათგანი ქართული ენით იხსნება. იმედია, ისეთ გამჭვირვალე ქართული ტოპონიმებზე არ დაგვიწყებენ ოსი „სწავლულები“ დავას, როგორიცაა *ურმის სოფელი (გაღმა სოფელი)* და *ხატის–სოფელი.* ხატის-სოფლის კ. განისეული განმარტება: «Хатис-сопели груз. от ხატი хати=образ и სოფელი сопели=деревния: деревния с образом»[1].

1727 წლის არაგვის ერისთავის ვამიყის მიერ გაცემული წყალობის წიგნით, ღუდის (აგრეთვე კობის ქვაბულის) მოურავი ყოფილა *ჯანუყა ნაზღაიძე*: „... წყალობის წიგნი მოგეცით ... ნაზღაიძეს ჯანუყას... ძველთაგან შენი ყოფილიყო სამოურაოდ *ღუდა, თოლგეთი* და *კობი* და *უხათი,* ახლა ჩვენ წიგნი გაგიახლეთ და გიბოძეთ...“[2].

მიხეილ კედელაძის ეთნოგრაფიული მასალით, პირველი ოსი მიგრანტი ღუდაში დაუკითხავად დასახლებულა, რომელიც მაღრან-დვალეთიდან მესისხლეობის გამო გამოქცეულა. როდესაც ბუთხუზებმა და გაგაძეებმა თავიანთ ტერიტორიაზე დასახლებული ოსი აღმოაჩინეს, ოსმა მთური ტრადიციით ამანათად [ამანათი – კაცი, რომელსაც თავის სოფელში ვიღაც შემოაკვდა და, შურისძიების შიშით, გადაიხვეწა, სხვა სოფელს/თემს/მხარეს შეეკედლა] მიღება ითხოვა. ტრადიციიდან გამომდინარე, ქართველმა მთიელებმა უარი ვერ უთხრეს. ბოლოს კი აქ დასახლებულ ოსებს ღუდის ღვთისმშობლისათვის კულუხის მიტანა შეეწერათ, ე. ი. სალოცავად მისული მთიულებისათვის სუფრა უნდა გაეშალათ და საკლავი დაეკლათ. ღუდის ღვთისმშობელი კი ყველა მთიულის საერთო სალოცავი იყო. მისი ფუნქცია შვილიერება იყო, უშვილო ქალები შვილის მიცემას მას შესთხოვდნენ. ღუდაში ოსთა დასახლების შესახებ გადმოცემა არაერთ მეცნიერს აქვს ჩაწერილი: „ოსები სადაც ცხოვრობენ, ტყე ყოფილა შეუსვლელი. ჩვენი ყოფილა, მლეთისა. ოსს კაცი მოუკლავს და ღუდას დასახლდა. ვიღაცას ბოლი

1 Опит объяснения Кавказских географических названий. Составиль *К. Ган*, Тифлис, 1909, С.145.

2 საქართველოს ისტორია ტოპონიმებში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი). ტომი მეორე, თბ., 2010, გვ. 309.

დაუნახავს და მივიდნენ. ესე მომიხდა, ნუ გამაგდებთო. ... ჩვენ ხალხს კულუხს უხდიდნენ და ბოლოს-ბოლოს ჩვენი მამულებიც იმათ დარჩათ“[1].

რადგან ღუდაზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჩრდილეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი მეორე გზა ღუდასა და თრუსოზეც გადიოდა. გზის ეს მონაკვეთი „მლეთიდან მიუყვებოდა ღუდის ხევს, თეთრი არაგვის მარჯვენა ნაპირზე. მისი პუნქტები იყო: *განისი, მიქეთი, ხატის-სოფელი* (იგივე *ღუდა*), *ერეთო, ნეფის კალო*, შემდეგ თრუსოს ხეობა (სოფლები *აბანო, ოქროყანა, ახალსოფელი/ნოაყაუ*), *კობი*“[2]. სხვათა შორის, გზის ეს მონაკვეთი გაუვლია გულდენშტედტს 1772 წელს. ის ქსნის ხეობის სოფელ ლარგვისიდან, ლომისას გადავლით, მლეთაში ჩასულა, საიდანაც ღუდის ხევის გაყოლებით თრუსოს სოფელ ახალსოფლიდან (ოსურ. ნოვაყაუდან) კობსა და სტეფანწმინდაში მისულა. ამ გზის შესახებ ჯ. გვასალიაც მიუთითებდა: „გზის მეორე ტოტი მლეთიდან მიჰყვებოდა ღუდის ხევს, თეთრი არაგვის მარჯვენა ნაპირზე. მისი პუნქტები იყო: განისი, მიქეთი, ხატის სოფელი (იგივე ღუდა), ერეთო, ნეფის კალო, შემდეგ თრუსოს ხეობა (სოფლები აბანო, ოქროყანა, ნოაყაუ), კობი“[3]. ღუდაში მცხოვრები ოსების შესახებ გერმანელი მეცნიერი და მოგზაური წერდა, რომ ისინი არიან ქართლის მეფის კარგი და წყნარი ქვეშევრდომები, ჰყავთ თავიანთი არჩეული უფროსი და მთლიანად სარგებლობენ ქართველებით დასდახლებული მხარეების უფლებებით. ზოგიერთი მომდევნო ოსური მხარეები ემორჩილებიან არა პირადად მეფეს, არამედ ქართლის თავადებს“[4].

თრუსო რომ ქართველთა უძველესი განსახლების არეალი იყო, ამას კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი მოწმობს: „ხევში და თრუსოს ხეობაში ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით გვიანდლამდე სასოფლო მოხმარებაში ყოფილა *სახატო ყანები*. ყოველ ხატს გააჩნდა ორი დღიურიდან ოთხ დღიურამდე სახნავ-სათესი ყანა“[5]. დავსძენთ, რომ ასეთი სახატო მიწები დამახასიათებელი იყო მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის, ხოლო ოსური ეთნიკური ერთობისათვის ის უცნობი იყო. ფაქტია, რომ თრუსოში მოსულმა ოსებმა ძველი ქართული ტრადიცია გააგრძელეს, ის საკუთრადაც აქციეს. „თრუსოს ხეობა რამდენადმე თავისებურია ამ მხრივ, რომ აქაურებს მეტი ურთიერთობა აქვს ქართველებთან და თავის წინაპრებადაც ქართველებს მიიჩნევენ; ამ ხეობიდან ხევში დასახლებულნი მონაწილეობენ აქ გამართულ რელიგიურ დღეობებში. აქაურები ხევში ჩასახლებულ ბიძაშვილთათვის, როცა საკლავს კლავენ და ლუდს ადუღებენ, მათ წილს უნახავენ. მათ შორის ქალის თხოვა არ შეიძლება. ასეთ სახლიკაცობაში არიან ოქროყანელი ზაგაევები და ცდოელი და სიონელი ზაგაშვილები, კობელი ბადაევები და ხურთისელი ტუჩაშვილები“[6].

---

1 *ლ. კაიშაური*. მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 86.

2 *ჯ. გვასალია*. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბ., 1983, გვ. 32.

3 *ჯ. გვასალია*. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბ., 1983, გვ. 32.

4 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 267.

5 *გ. ჯალაბაძე*. მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 212.

6 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, ред. *Ад. Берже*, т. VII, Тифлис, С. 81.

თრუსოში დადასტურებულია ისეთივე საცხოვრებელი სახლები, როგორც ხევში. საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების მშენებლებად გადმოცემები მიუთითებენ არიჯინაშვილებისა (შემდეგდროინდელი არძინოვები) და სუხიშვილების (შემდეგდროინდელი – სუხიევები) გვარებს. კოშკები ისეთივე ტიპისა იყო, როგორც შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ადგილებში. სხვათა შორის, სუხიშვილის/სუხიევის აშენებულ კოშკზე სოფელ მნაში ხელის მტევანი ყოფლა გამოსახული[1]. აღნიშნული ეთნოგრაფიული ფაქტებიც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თრუსოს მოსახლეობა თავდაპირველად, ვიდრე XVII საუკუნის შუა ხანებამდე ქართული იყო.

დვალეთი და დვალები

ოსი ავტორები საქართველოს უძველეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს დვალეთს და აქ მოსახლე ქართველ მთიელ დვალებს ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ოსეთის ისტორიულ ტერიტორიად და ოსებად განიხილავენ; ამ თემაზე მათთვის არავითარი სამეცნიერო არგუმენტი არ არსებობს – არც ქართული წერილობითი ძეგლები, არც ძალიან ბევრი ქართული ტოპონიმი[2] და არც ის წარწერები, რომლებიც აქ ეკლესიების ნანგრევებზე ჯერ კიდევ არის შემორჩენილი. რაც მთავარია ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალების – ოსობას პოპულარიზაციას უწევენ მოსახლეობის ფართო ფენებში. თავიანთ ცენტრალურ კავკასიაში ოდითგამვე მკვიდრობას ამ გეორაფიული ერთეულის – დვალეთის ოსეთის განუყოფელ ნაწილად გამოცხადებით და „ოსი-დვალების“ ტერმინის დამკვიდრებით ცდილობენ. თერგის ხეობის სათავეს ასევე დვალეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ, რითაც თრუსოსაც ოსთა თავდაპირველი განსახლების არეალად აცხადებენ. დვალეთისა და დვალების შესახებ ქართულ მეცნიერებაში რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა, მათ შორის მათთვის ხელმისაწვდომ რუსულ ენაზეც. საკითხის სიცხადისათვის კი ძალიან მოკლედ გთავაზობთ დვალეთისა და დვალების შესახებ მოკლე დასკვნას[3]:

დვალეთი იყო საქართველოს ისტორიულეთნოგრაფიული მხარე, რომელიც ქართული საისტორიო ტრადიციით ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნისთანავე მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. დვალეთის ჯერ ქართლის, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას არა მხოლოდ ეთნიკური ფაქტორი განაპირობებდა, არამედ გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორები. მთური ლანდშაფტი დვალებს (და ყველა ქართველ მთიელს) აიძულებდა ბართან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირში ყოფილიყვნენ, რაც

1 *გ. ჯალაბაძე.* მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII–B, თბ., 1961, გვ. 220.

2 Р. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов. – Осетины в Грузии. Сборник. Тб., 2015, с. 162-205. რ. თოფჩიშვილი. ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 2011, გვ. 56-79.

3 დაწვრილებით იხ.: *რ. თოფჩიშვილი.* დვალეთი და დვალები: საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი, თბ., 2016; *Р. Топчишвили.* Об Этнической принадлежности двалов. – Осетины в Гузии, Тб., 2015, 163-205.

ერთიან პოლიტიკურ ველში ცხოვრებისაკენ უბიძგებდა. ამავე დროს, დვალეთს, როგორც ცენტრალურ კავკასიაში მდებარე გეოგრაფიულ ერთეულს, ეს კავშირები ჰქონდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან, არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეები, დვალეთიც უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისადმი იყო დაქვემდებარებული. სოციალური თვალსაზრისით თითქმის ისეთივე ვითარება იყო როგორც ხევში. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მხოლოდ დვალეთის ზახას ხეობასა და დიდი ლიახვის ხეობის სათავეში – მაღრან-დვალეთში მოახერხეს ქართველმა ფეოდალებმა გაბატონება (ქსნის ერისთავებმა, არაგვის ერისთავებმა და მაჩაბლებმა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მაჩაბლების მფლობელობაში იყო ზროგოს ხეობაც. XV საუკუნეში ამავე გვარის ფეოდალებს ჟღელეს ხეობაზედაც მიუწვდებოდათ ხელი). დვალეთის მართვა კი სამეფო კარის მიერ დანიშნული მოხელეების – მოურავების – საშუალებით ხდებოდა. თუმცა დვალეთში ეთნიკური ვითარების შეცვლის შემდეგ (XVII საუკუნე), XVIII საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი მეფეები ეთნიკურ ოსთა შორის ადგილობრივთა წრიდან სოციალურად აწინაურებენ რამდენიმე ოჯახს, რომლებსაც აზნაურობას უბოძებენ (ჩანს ერთი თავადური სახლიც) და მათ სამსახურისათვის ხელფასსაც (50-დან 100- მარჩილამდე) უნიშნავენ. თუმცა ამ პოლიტიკურ ღონისძიებას დვალეთში სახელმწიფო მოხელის – მოურავის – ინსტიტუტი არ მოუშლია; ბოლო დრომდე ქართველი მეფეები აქ ამ სახელმწიფო მოხელის თანამდებობაზე ქართველ თავადებს ნიშნავდნენ.

დვალეთი ამჟამად საქართველოს საზღვრებს მიღმაა და შედის რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში. 1858 წელს დვალეთი ცარიზმმა თბილისის გუბერნიას (შედიოდა გორის მაზრაში „ნარას უჩასტკას“ სახელით) ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. დვალეთი, როგორც საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მოსაზღვრე მხარე, დანარჩენ საქართველოსთან ბუნებრივ-გეოგრაფიულად ორგანულად იყო დაკავშირებული 11 გადასასვლელით და მათ შორის მიმოსვლა (შიდა ქართლის, ხევისა და რაჭის გავლით) ხშირად ზამთარშიც კი არ წყდებოდა. შიდა ქართლიდან დვალეთში (დვალთგორაზე) მთავარი გადასასვლელი იყო ზეკარა, ჩრდილოეთ კავკასიას კი დვალეთი უკავშირდებოდა მხოლოდ ორი გადასასვლელით (საცალფეხო ბილიკებით) – კასრის-კარითა და ხილაკის-კარით, რომლებიც მხოლოდ ზაფხულის პერიოდში (სამი-ოთხი თვე) ფუნქციონირებდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან კასრის კარით საქართველოში შემოსასვლელ გზას ქართულ წყაროებში „გზა დვალეთისა“ ეწოდებოდა და ქართველ ხელისუფალთ ადგილობრივ დვალთა ძალისხმევით ის სათანადოდ ჰქონდათ ჩაკეტილი (ვახუშტი: *„და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი“*).

ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) მიხედვით, დვალეთი წარმოადგენდა ექვსი ხევის/თემის/საზოგადოების (კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა) ერთობლიობას. შეცდომით დვალეთს მიათვლიან მდ. თერგის სათავეს – თრუსოს და მდინარე დიდი ლიახვის ხეობის სათავეს – მაღრან-დვალეთს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ამ ორ პროვინციაშიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, ძირითადად XIII საუკუნეში, მოხდა დვალების მიგრაცია. თრუსო ისტორიული წანარეთის ნაწილია. დვალების შიდა ქართლის

მთიანეთში (ლიახვის ხეობაში) დასახლებას დვალეთის ტერიტორიული გაფართოვება არ გამოუწვევია, უფრო მეტი, მაღრან-დვალეთის სახელწოდებაც კი არ გავრცელებულა მის ქვემოთ დასახლებულ ტერიტორიებზე. XIII-XIV საუკუნეებში აქ მიგრირებული დვალები ქვემო დვალებად მოიხსენიებოდნენ (სამხრეთით ქვემო დვალების განსახლება ჯავამდეც კი არ აღწევდა), მაგრამ არცერთ წყაროში „ქვემო დვალეთის" გეოგრაფიული რეგიონი დაფიქსირებული არაა. აგრეთვე დვალებს განსახლების არეალი გაფართოვებული ჰქონდათ კასრის ხევის ჩრდილოეთითაც და არც ეს ტერიტორიები მიიჩნეოდა დვალეთად (ქართულ წყაროში მოხსენიებული დვალთა სოფელი *წეჲ* და ხეობა *წაისხევი* კასრის-კარის ჩრდილოეთით მდებარეობდა). აღმოსავლეთით დვალეთს საზღვარი თერგის ხეობის სათავესთან – თრუსოსთან – ჰქონდა, დასავლეთით მის საზღვარს მთის რაჭა წარმოადგენდა. ვ. გამრეკელს XI-XV საუკუნეებში დვალების განსახლების არეალად მიაჩნდა კუდაროც, თუმცა დროის აღნიშნულ მონკვეთში დვალების კუდაროში მკვიდრობა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. ამ დროს კუდარო დოკუმენტებში საერთოდ არც არის მოხსენიებული. კუდარო რაჭის განუყოფელი ნაწილი იყო და აქ დვალეთელი ოსების მიგრაცია მხოლოდ იმავე დროს მოხდა, როდესაც ისინი შიდა ქართლის მთიანეთში მიგრირდნენ (XVII საუკუნის შუა ხანები).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სახელწოდება „დვალეთი" მხოლოდ წყაროებში დასტურდება (შესაბამისად სამეცნიერო ლიტერატურაში), გასაზიარებელი არაა: ცნებები „დვალეთი" და „დვალები" დღემდე ცოცხალია რაჭაში, ხევსა და მთიულეთში. მთიულეთში დვალეთთან ერთად გადმოცემებში ხშირად „მაღრან-დვალეთიც"/"მაღრან-დოვლეთიც" ფიგურირებს, მაგალითად მიუთითებენ, რომ თეთრი არაგვის სათავეში – ღუდაში – ოსების დასახლება „მაღრან-დოვლეთიდან" მოხდა. მთიულური გადმოცემებითვე დღემდე შემორჩენილია გადმოცემა დვალების მეკობრეობის შესახებ, რომელთა მეთაური იყო *სალბი*. „სალბი" ოსური სახელია და აშკარაა, რომ ეს ლაშქრობა მოხდა იმ დროს, როდესაც დვალეთში მოსახლეობა შეიცვალა და მთიულებმა ქართველ მთიელთა დვალთა სახელწოდება მოსულ ოსებზე გადაიტანეს.

დვალეთში მიგრირებული ოსები დვალეთს „თუალეთ"-ს („თუალთა"), ხოლო აქაურ მკვიდრებებს „თუალებს" („თუალაგ") უწოდებდნენ. მიგვაჩნია, რომ ეს სახელწოდებანი ამ ფონეტიკური ვარიანტით ოსებმა ადგილობრივი ეთნიკური ქართველებისაგან – დვალებისაგან – შეითვისეს. აქ ეს სახელწოდებანი „დვალეთისა" და „დვალების" პარალელურად გამოიყენებდა. „თუალი" პირდაპირ გამოხატავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის გეოგრაფიულ მდებარეობას, რაც ცენტრში, შუაში მდებარე ტერიტორიას აღნიშნავს. ამ ძირზე საქართველოში ტოპონიმები სხვაგანაც გვქონდა (მაგალითად, საგარეჯოს ძველი სახელწოდება – „თვალი").

დვალეთში, ისევე როგორც შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობებში, ქრისტიანობა ადრიდანვე (VI საუკუნიდან) გავრცელდა და ის ნიქოზის ეპარქიაში (სამწყსოში) შედიოდა. ქრისტიანობის მიღებამდე დვალეთის ქართლის შემადგენლობაში ყოფნას თუ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა, VI საუკუნიდან ამ ფაქტორებს შუა საუკუნეებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ფაქტორიც დაერთო. დვალეთი რომ

ერთიანი ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო, ამას გვიანობამდე შემორჩენილი XI საუკუნის დასაწყისში ზროგოსა და ჟღელეს ხეობებში აგებული გეგმითა და მხატვრული გაფორმებით აგებული ქართული ეკლესიებიც ადასტურებს. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ქართველ ხელისუფალთა გავლენა დვალეთზე დროებით შესუსტდა, რითაც ისარგებლეს ჩრდილოეთით მცხოვრებმა ოსებმა, რომელთა განსახლების არეალი დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე იყო. გადამეტსახლებული ოსეთის მკვიდრებმა თავდასხმების, მეკობრეობის/თარეშების და ლაშქრობების შედეგად აიძულეს ადგილობრივი ქართველი მთიელები – დვალები – მიეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი და საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხრეში განსახლებულიყვნენ. ოსთა მიგრაცია და დასახლკარება დვალეთში ძირითადად XVI საუკუნეში განხორციელდა და ამის შესახებ XIX საუკუნის გერმანელი ავტორი გოტფრიდ მერცბახერიც აღნიშნავდა, რომელმაც 1891 წელს აღმოსავლეთ და ცენტრალურ კავკასიასთან ერთად დვალეთიც მოიარა; ის იმასაც აღნიშნავდა, რომ ჩინგისხანისა და თემურლენგის ორდებს გადარჩენილმა ოსებმა თავი კავკასიის მაღალმთიანეთს შეაფარეს. იმასაც აღნიშნავდა, რომ მათ ნაწილს აქ ბინადრობა შესაძლებელია უფრო ადრეც ჰქონდა. რაც შეეხება სამხრეთ კალთებს, ოსებმა აქ მხოლოდ გვიან შემოაღწიეს, საიდანაც გააძევეს ქართველი დვალები [Уже, начиная с исторических времен, мы знаем о губительные и почти уничтоживших живших на северном склоне Кавказа оссов набегах орд Чингисхана и Тамерлана. Остатки оссов спаслись в ущелья высоких гор, где осетины обитают и до настоящего времени. Весма возможно, что часть их уже и тогда имела там оседлость и под покроввительством гор могла сохранить свою индивидуальность. На южный склон, как кажется, осетины проникли только в позднейшее время, после того как были оттеснены вторгшимся чеченцами из своих более к западу лежавщих поселений, откуда они своей стороны прогнали сидевшее там грузинское колено *двалетов*. Название «Дуалта», или «Туалта», под каковым слывут теперь кавказские осетины, может быть поставлено в связь с этим обстоятельством».][1]

ოსთა დვალეთში მიგრაციას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი შავმა ჭირმა გაწყვიტა, რის მიზეზითაც მათ საკმარისი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს მოთარეშეებს. ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილი მიგრანტთა ოსურ ენობრივ-ეთნიკური სამყაროს გავლენით გაოსდა. დვალები როგორც ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი/ლოკალურ-ტერიტორიული ერთეული გაქრნენ.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. დვალეთს, ჩვეულებრივ, როგორც სამეფო ქვეყანას, სამეფო კარის მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ. მაგალითად, XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთის მოურავი იყო გიორგი სააკაძე, რომელიც ამ თანამდებობას თბილისისა და ცხინვალის მოურავობასთან ათავსებდა. XVIII საუკუნეში დვალეთის მოურავებად თავადი ფავლენიშვილები ჩანან. XVII საუკუნის დასაწყისიდან – დვალეთის ზო-

1 Г. Мерцбахер. К этнографии обитателей Кавказских Альп. – Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик, 2011, с. 268.

გიერთი ხევი იმერეთის სამეფოს (რაჭის ერისთავთა) გამგებლობაში გადასულა. XVIII საუკუნის ბოლოს მხოლოდ ზახა, ზროგო, ზარამაგი და ნარა იყო ქართლ-კახეთის მეფეთა გამგებლობაში, მაღლა დვალეთი, ჟღელე (იოანე ბაგრატიონის მიხედვით – „ჯღერე“), ლესრე, თებე, ლეთა, კასარა (/კასრისხევი) და სხვა პატარა სოფლები რაჭის ერისთავებს ეკუთვნოდათ.

დვალეთში დასახლებული ოსები ქართლის სამეფო კარის მორჩილებაზე ხანდახან უარს ამბობდნენ, მაგრამ ქართველი მეფეები მაინც ახერხებდნენ მათ დამორჩილებას. მაგალითად, დვალეთში განსახლებული ოსების წინააღმდეგ ძალა გამოუყენებია მეფე ვახტანგ VI-ეს. მან 1711 წელს ჯართან ერთად შემოიარა ეს კუთხე: „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ხევი და გადმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდან ქართლს გამარჯვებული“ (ვახუშტი). ოს ისტორიკოსებს აქვთ ტენდენცია და სურვილი დვალეთად მიიჩნიონ საბჭოთა პერიოდის ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, დიდი ლიახვის უკიდურეს სათავეში არსებობდა მხოლოდ მაღრანდვალეთის რეგიონი (თემი), რომელიც მთის ცხრა სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა, ისე რომ ჟბის ხევი და როკი მის მიღმა რჩებოდა. იგი შეიქმნა შედარებით გვიან (XI სს. შემდეგ) დვალეთიდან დვალების გადმოსახლების შედეგად. XIV საუკუნიდან დვალები სპორადულად იყვნენ განსახლებული დიდი ლიახვის ხეობის მაღრანდვალეთის მოსაზღვრე რამდენიმე მთის სოფელსა (რომლებიც „ძეგლი ერისთავთაში“ *შავ-დვალებისა* და *ქვემო დვალების* სახელით მოიხსენიებიან) და თერგის ხეობის სათავეში – თრუსოში (ისტორიული წანარეთის ნაწილი).

დვალეთიდან გამოსულ ქართველ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან XI საუკუნის სასულიერო პირნი: *მიქელ დვალი, იოანე დვალი* და *სვიმონ დვალი.* XIX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ ძეგლში „კალმასობა“ ხაზგასმულია, რომ XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოწამე *ნიკოლოზ დვალი* იყო ქართველი.

დვალეთში ქართული მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი იყო, რომელთაგან მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. კასრის კარი იყო „კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი“; ზრამაგაში იყო „ციხე დიდი, ფრიად მაგარი, იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფესაგან, და დაბა კოშკოვანი“ (ვახუშტი). ვახუშტი ზახაში ეკლესიის არსებობაზე მიუთითებდა. აქვე იყო სხვა ქართული ქრისტიანული ეკლესიები. დვალეთში წარსულში, ისევე როგორც საქართველოს მთის სხვა პროვინციებში, კოშკებით იყო დაფარული. დვალები რომ ქართველი მთიელები და, ამავე დროს, ქრისტიანები იყვნენ, ამის დამადასტურებელი ფაქტია ისიც, რომ აქ არ არსებობდა მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობები – აკლდამები. დვალების ქართველმთიელობის დამადასტურებელი ფაქტია, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეების ანალოგიურად, აქ „ათენგენობის“ დღესასწაულის ფართოდ გავრცელებაც. დვალეთში ოსთა მოსვლამდე რომ ქართველები მკვიდრობდნენ, ამას ადასტურებს ის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ეთნოლოგებს დვალეთის ოსურ მოსახლეობაში აქვთ დადასტურებული.

XVIII საუკუნეში ტრადიციით დვალთა ხსენება კვლავ გრძელდება, თუმცა ისინი უკვე ეთნიკურობაშეცვლილი, ახლა უკვე ოსები არიან. XVIII საუკუნის დვალეთის მოსახლეობას უკვე ეთნიკური ოსები წარმოადგენდნენ, რომლებიც ადგილობრივი ქართული (დვალური) და მოსული ოსების შერევის შედეგად იყვნენ

ჩამოყალიბებული, და რომელშიც პოპულაციური თვალსაზრისით მიგრირებული ეთნიკური ოსები ჭარბობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც ნიქოზის ეპარქიის შესახებ საუბრობს, აღნიშნავს, რომ აქ „ზის მწყემსი კავკასიანთა, **დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა“.** ეთნიკური ცვლილება უკვე აშკარაა. ამითაა გამოწვეული მათი ორმაგი ეთნონიმით – „დვალი ოსი“ – მოხსენიება (ვახუშტი ბაგრატიონი). დვალების გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაცია რამდენიმე თაობის განმავლობაში მიმდინარეობდა და ძირითადად XVIII საუკუნის დასაწყისში დასრულდა, თუმცა XVIII საუკნის პირველ მეოთხედში დვალების გარკვეულ ნაწილს თვითმყოფადობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა. უფრო მეტი: XIX საუკუნის ბოლომდე ზახას ხეობის მკვიდრები ორენოვანი იყვნენ – ისინი ოსურსა და ქართულ ენებზე ლაპარაკობდნენ. ზახაში მცხოვრები „დვალი ოსების“ ორენოვნებას, ქართული ენის შენარჩუნებას, განაპირობებდა არა მხოლოდ ადგილობრივი დვალური/ქართული კომპონენტის მნიშვნელოვნად არსებობა, არამედ ის სამეურნეო-ეკონომიკური და იდეოლოგიური კავშირები, რაც ხეობას საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან გააჩნდა. დვალების ქართველობის დამადასტურებელი ფაქტი დაფიქსირებული აქვს გერმანელ მეცნიერს იაკობ რეინეგსს. ის როდესაც მდინარე არდოზე საუბრობს აღნიშნავს, რომ აქ მცხოვრები ოსები არა მხოლოდ საკუთარ ოსურ ენაზე საუბრობენ, არამედ ძველ ქართულ ენაზეც: «**Река Арадон отделяет оссов от другого племени, название которого бадиллы. Этот народ говорит не только на своем собственном осетинском наречии, которым он отличается от оссов, но и на старом грузинском языке;** кроме того, им свойственна добродетель, столь редкая на западном Кавказе, именно – они очень трудолюбивы, миролюбивы и спокойны»[1]. რეინეგსი უდავოდ დვალეთის შესახებ საუბრობს, რომელიც არდონის სათავეში მდებარეობდა, და არა დიგორელ ოსებზე, როგორც ამას მისი გამომცემელი მიუთითებს.

დვალები რომ ოსები არ იყვნენ ეს კარგად ჩანს არაერთი ქართული საბუთიდანაც, მაგალითად, 1714 წლის წყალობის წიგნით: „...ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა ნამსახურსა ალხაზის შვილს მაჩაბელს ლევანს და ძმათა შენსა დავითს. ... მოგვდეგით კარსა და მთის ალაგში თქუენს წილის ნასოფლარებს გვეაჯენით. მოკითხული ვქენით და თქუენ წილად ნარგები ყოფილიყო და ბატონებისაცა (ე. ი. მეფეების – რ. თ.) წყალობა ექნათ, მთის სოფელი **ხაჭაპურეთი** და **კუამისთავი** თქვენთვის გვიბოძებია, ეს ორი ნასოფლარი... რაგვარცა სხვათ მაჩაბლებს თავისი **მთის კაცნი** და **დვალნი** ემსახურებოდნენ, თქვენთა რაცა დაასახლოთ, ისრე გემსახურებოდნენ...“[2]. ვიმეორებთ, მეფე მაჩაბელს ხელახლა უბოძებს მდინარე ლიახვის მთიანეთში ორ ნასოფლარს, რომელზედაც ოსები უნდა დაასახლოს. ახალი მიგრანტებისადმი (ოსებისადმი) დაპირისპირებული არიან მხარის ადრინდელი მკვიდრნი „მთის კაცნი“ და „დვალნი“. საბუთის შემდგენი მათ შორის ზღვარს ავლებს.

დვალების ოსური/ირანული ენობრივი (ეთნიკური) ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ყველანაირი მოსაზრების უსაფუძვლობა, რასაც დღესაც ყოველგვარი არგუმენტების გარეშე იმეორებენ ოსი მეცნიერები, დაასაბუთა ვახტანგ

1 Я. Рейнегс. Общее историко-топографическое описание Кавказа, С.-Петербург, т. 1, 1796. http://drevlit.ru/docs/kavkaz/XVIII/1760-1780/Reineggs/text2.php

2 სცსსა, ფონდი 1450, რვ. 26, საქმე № 205.

გამრეკელმა. მანვე მეცნიერებაში იმ დროს გაბატონებული თეორიის თანახნად დვალები ქართიზებულ ვაინახებად და ქართული ეთნოსის შემადგენელ ნაწილად მიიჩნია. თუმცა, ახალი მონაცემების გამოვლინების შემდეგ, დვალთა თავდაპირველი ვაინახობა უარყო და დვალებში ქართველური (ზანური) პლასტი სამართლიანად დაადასტურა. დვალების ვაინახობას გამორიცხავს დვალეთში მიწისზედა აკლდამების არარსებობაც.

დვალები პირველად მოხსენიებული არიან ანტიკურ საისტორიო წყაროებში ახ. წ. I და II საუკუნეებში (პლიმიუს უფროსი, პტოლემაიოსი) თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. ქართულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება“) დვალებით დასახლებული „ქვეყანა“ – დვალეთი პირველად ნახსენებია III საუკუნის შუა ხანებში მეფე ამაზასპის დროს. მეცნიერებაში დვალების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული. ქართული წყაროების მიხედვით, ისინი ჩვეულებრივი ქართველი მთიელები იყვნენ, ისევე როგორც ფხოველები, თუშები, წანარები, გუდამაყრელები, ხადელები, ცხავატელები, ჭართალელები, ცხრაზმელები... ოღონდ შენარჩუნებული ჰქონდათ მთიანი პროვინციებისათვის დამახასიათებელი სოციალური, რელიგიური თავისთავადობა.

ოსი მეცნიერები (*ვ. აბაევისა და გ. თოგოშვილის* გარდა) დვალებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ირანული წარმომავლობის ტომად. მოსაზრება, რომ დვალები ოსურ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებიან, პირველად მეცნიერმა დ. გვრიტიშვილმა უარყო. ასევე უარყოფდა ამ შეხედულებას რუსი ეთნოლოგი ნ. ვოლკოვა. მან დვალები ერთერთ იბერიულ-კავკასიურ ტომად მიიჩნია. დვალების შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ვ. გამრეკელმა ისინი დაუკავშირა ნახურ (ინგუშურ-ჩაჩნურ) სამყაროს, რომლებიც ადრეფეოდალურ ეპოქამდე გაქართველებული იყვნენ, თუმცა შემდგომი კვლევა-ძიებით მან ეს შეხედულება უარყო და დვალთა მეტყველება ქართველურ (ზანურ) ენას დაუკავშირა. მეცნიერებაში არის შეხედულება დვალების სვანური წარმომავლობის შესახებაც. წინამდებარე გამოკვლევით, რომლებიც ემყარება საისტორიო წყაროების, საბუთების, ტოპონიმების, ანთროპონიმების, ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსურ შესწავლას, ცხადი შეიქმნა, რომ დვალეთი ეთნიკურად ქართულ-ქართველური ქვეყანა იყო, დვალები კი თავდაპირველად – ზანებთან ახლოს მდგომი ტომი, თუმცა ზანების (მეგრელების) სრულ ასლს არ წარმოადგენდნენ. დვალეთი სამივე ქართველურად მეტყველი ერთეულის – ზანების, სვანების და აღმოსავლეთ ქართველთა – თანაცხოვრების ადგილი იყო, რასაც აქ დაფიქსირებული ონომასტიკური მონაცემები ადასტურებს. ბოლოს გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოვიდა, რასაც, პირველ რიგში, მათი გვარსახელების სუფიქსები (-ურ) გვიმოწმებს. დვალთა მეტყველება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დიალექტურ ჯგუფში (ფხოვურში) შედიოდა. და ეს მოხდა არა ქართიზაციის გზით, არამედ ბუნებრივად იმ შინაგანი სამერნეო-ეკონომიკური კავშირურთიერთიბის შედეგად, რომელიც ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ქართლთან ჰქონდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე საქართველოს წიგნიერების, სახელმწიფოსა და საეკლესიო ენის ფუნქციამაც. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალებს ისეთივე წვლილი აქვთ შეტანილი საერთო ქართული კულტურაში, როგორც საქართველოს სხვა პროვინციის წარმომადგენლებს.

ზოგიერთი ოსი ავტორი დვალებს „დვალ-ალანებად“-აც მოიხსენიებს. მათ საპასუხოდ შეიძლება პოლონელი ავტორის *მატვეი მეხოვსკის* (1457-1524) ცი-

ტატა მოვიყვანოთ, რომლის თანახმადაც ალანები მთიელები არ იყვნენ, მხოლოდ მდინარე დონის მიდამოებში, ევრაზიის სტეპებში ცხოვრობდნენ და რომ მათი ქვეყანა დაბლობი იყო: «Аланы – это народ, живший в Алании, области Европейской Сарматии, у реки Танаис и по соседству с ней, Страна их – равнина, без гор, с небольшими возвищеннстями. Вней нет поселенцев и жителей, так как они были изгнаы и расесеяны по чужим областям при нашествии врагов, а там погибли или былы истреблены. … В давние века у реки Танаис жили аланы, а за ними к югу – роксоланы. Эти народы были совершенно уничтожены и погибли…»[1]. თქმულს მხოლოდ ერთს დავამატებთ: პოლონელმა ავტორმა კარგად იცის რა ოსთა წინაპარი ალანების განსახლების არეალი და მომთაბარეთა (მონღოლთა) მიერ მათი გაწყვეტისა და სხვაგან განსახლებაზე, ის არ ფლობს ინფორმაციას ამ ირანულენოვანი ეთნოსის რაღაც ნაწილის ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლისა და დამკვიდრების შესახებ. მ. მეხოვსკის დროს (XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე) ალანთა გარკვეული ნაწილი (ირონელები) ნამდვილად შესული და დამკვიდრებული იყო ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის (დარგავის) ხეობებში. რაც შეეხება დიგორს, აქ დიგორელები ადრე შუა საუკუნეებში (VI საუკუნის შუა ხანებში), კავკასიაში ავარების შემოჭრის დროს იყვნენ დამკვიდრებული.

დვალების რაიმე კავშირი ვაინახებთან არ დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივღებთ აქ მეფე საურმაგის დროს მათი გარკვეული ჯგუფის მიგრაციას (ისევე როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის სხვა მხარეებში), რომლებიც ქართველთაგან მალევე ასიმილირდნენ. დვალეთში დიდი რაოდენობით არსებულ ქართულ-ქართველურ ტოპონიმებთან ერთად საერთოდ არ დასტურდება ვაინახური ტოპონიმები. ამავე დროს, თანამედროვე ოსურ ენაში არც ვაინახური სუბსტრატი დასტურდება, იმ დროს, როდესაც მასში საკმაოდ ფართო შრეა დაფიქსირებული ზანური და სვანური სუბსტრატისა.

დასკვნა

ამრიგად, თერგის ხეობის (რომელსაც ქართული წერილობითი ძეგლები *ლომეკსა* და *პირიქით არაგვსაც* უწოდებენ) ზემო წელი, და რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შედის, ისტორიული საქართველოს ტერიტორია და ქართველთა უძველესი განსახლების არეალი იყო. თერგის ხეობის ზემო წელი ორი გეოგრაფიული ერთეულის – ხევისა და თრუსოს – ერთობლიობას წარმოადგენდა და წარმოადგენს. თავდაპირველად აქ ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, *წანარები,* ცხოვრობდა და ამიტომაც წანარებით დასახლებულ ქვეყანას წანარეთის ხევიც ეწოდებოდა. მთელი რიგი ფაქტორების გამო (პოლიტიკური, დემოგრაფიული და სხვ.), წანარების დიდი ნაწილი ბარში – კახეთში – გადასახლდა და X საუკუნიდან რეგიონში ახალი პროცესები განვითარდა. წანარეთში ანუ თერგის ხეობის სათავეში ადგილზე დარჩენილმა ქართველმა მთიელებმა თავი ძირითადად მოიყარეს თანამედროვე ხევში ანუ როგორც „გერგეტის მატიანეს“ (1439 წელი) ავტორი თავისი ლაკონური განმარტებით იტყოდა, კობიდან გველეთამდე: „შევიყარენით ჴევი ჴეობით – კობით და გუელეთამდი“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართველი მთიელები უფრო ზემოთაც

1 Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010, Вып. III, с. 31.

– მნის „ქვეყანაშიც“ ცხორობდნენ, რომელიც მოიცავდა თერგის ხეობას კობიდამ უვიწროეს ადგილ „კასარამდე“ და მნის ხეობას. კასარის ანუ კასრის კარის ზემოთ კი მოსახლეობის ცვლილება მოხდა. ეს იყო და არის ტერიტორია, რომელსაც ქართული წყაროები და საბუთები თრუსოს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება – თრუსო – კი ბოლომდე შემორჩა, ადგილზე მოსახლენიც თუსოელების სახელით იყვნენ ცნობილი. X-XI საუკუნეებიდან თრუსოს დაუსახლებელ და თავისუფალ ტერიტორიაზე მეზობელი დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან ქართველ მთიელთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები დვალები გადმოდიან და ესახლებიან. ეს მიგრაცია დვალებისა ზახადან თრუსოს ანუ *ხელადურის* გადმოსასვლელით ხდება. თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დვალთა დვალეთიდან გადმოსახლებას თრუსოში ეთნიკური ვითარების ცვლილება არ გამოუწვევია, რადგან დვალებიც ქართველი მთიელები იყვნენ. თრუსოს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ტერიტორიულ ერთეულებს, დემოგრაფიული თვალსაზრისით დიდი ზიანი მიაყენა XIV საუკუნის დასასრულს თემურ-ლენგის შემოსევებმა. XVI საუკუნეში თრუსოს მეზობელ დვალეთში ეთნიკური ცვლილება მოხდა – ქართველ მთიელ დვალებს თანდათან ენაცვლებიან ჩრდილოეთ კავკასიიდან – ქურთათიდან და ალაგირიდან – გადმოსახლებული ოსები. დვალთა ძირითადი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტა, ადგილზე დარჩენილნი კი თანდათან ასიმილირდნენ მოსული ოსების მიერ. თუმცა ქართველი მთიელი დვალების ასიმილაცია თითქმის ბოლო დრომდე გრძელდებოდა, რის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თრუსოს მეზობელი ზახას ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლომდე ორენოვანი (ქართული და ოსური) იყო[1]. XVII საუკუნის შუა ხანებიდან ოსური ეთნიკური ერთეული თანდათან ვრცელდება საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც უფრო ადრე დვალებს ჰქონდათ დაკავებული, კერძოდ ეს ერთეულებია მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) და თრუსო (მდინარე თერგის ხეობის სათავე). თანდათან ხდება ქართული მოსახლეობის ოსურით ჩანაცვლება. ეთნიკური შერევის დამადასტურებელი ფაქტია ვახუშტის სიტყვები, რომ თრუსოში „მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თრუსოში მკვიდრობდნენ გაოსებული დვალები. დვალთა ასიმილაცია საკუთრივ დვალეთს გარდა, ოსებმა თრუსოშიც მოახდინეს. თრუსოში, ისევე როგორც მაღრან-დვალეთში, ოსური ეთნიკური ერთობა შედარებით მცირერიცხოვნებითაც გამოირჩეოდა, რადგან მთის ეს მხარეები მოსახლეობის დიდ რაოდენობას ვერც მიიღებდა. დიდი ხნის განმავლობაში ხევსა და თრუსოს შორის მოქცეული მნის „ქვეყანა“ ქართული რჩებოდა. მნის მხარის ოსური ელემენტით დასახლება და ადგილზე დარჩენილი ქართველების გაოსება მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან დაიწყო, რაც განაპირობა თრუსოდან ეთნიკური ოსების მნის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსვლამ და ქართულ მოსახლეობასთან შერევამ. მნის მხარეს ოსების მიგრაციამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ადრინდელი ქართული მოსახლეობის ხევის სხვადასხვა სოფლებში გაფანტვამ. ჩვენთვის ცნობილია იმ მოხევეთა გვარები, რომლებიც მნიდან ხევის სოფლებში გადმოვიდნენ საცხოვრებლად და ბოლო დრომდე სალოცავადაც წინაპართა საცხოვრისში იქ დადიოდნენ (ქართველები ტრადიციით მამა-პაპათა სალოცავს არ ივიწყებდნენ), ისევე როგორც არაერთი შემთხვეევა იყო

1 *Б. А. Калоев*. Осетинские историко-этнографические этюды, М., 1999. С. 274.

დადასტურებული ქართლის მოსახლეობის დვალეთში სალოცავად სიარულისა. დროთა განმავლობაში, ოსების წინ წამოწევის გამო, თრუსოს ტერიტორიული ერთეულის საზღვრები თანდათან გაიზარდა და ის ადგილი კასარადან (კარიდან) ფაქტობრივად კობამდე იქნა გადმოტანილი – მნაც თრუსომ გადაფარა. თრუსო რომ მნის „ქვეყანას“ არ მოიცავდა, ამას XIX საუკუნის რუსული დოკუმენტებიც ადასტურებენ (მაგალითად, 1831-1832 წლების აღწერა).

აი, ასე, სადაც კი საქართველოში ოსებს ფეხი დაუდგამთ, ყველა ასეთ ტერიტორიას ოსთა განსახლების არეალად, ოსურ ძირძველ ტერიტორიად აცხადებენ ოსი „სწავლულები“. მადა ჭამაში მოდის – ხომ მიითვისეს იმპერიის ხელით საქართველოს კუთვნილი მიწა-წყალი? დაპყრობილი ქართული ტერიტორიების ახლო-მახლოც ხომ ცხოვრობდნენ ოსები? ე. ი. ეს მიწებიც ოსთა სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა შევიდეს. ისინი უბრალოდ იმპერიაში შექმნილ „მეცნიერულ შედევრებს“ ახმოვანებენ. მაგრამ ამ იდეოლოგიის პროპაგანდის შედეგი ის გახლავთ, რომ ოსი ახალგაზრდების უმრავლესობას ამ სიყალბის სჯერა. ოსი „სწავლულები“ და მათი მფარველი რუსი იმპერიალისტები ცდილობენ ისტორიის გაყალბებით საფუძველი შეუქმნაან ახალი და ახალი მიწების მიტაცებას.

ამრიგად, საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში თერგის ხეობის ზემო წელი, როგორც ხევი, ისე თრუსო, მისი განუყოფელი ნაწილი იყო. თავდაპირველად ის სახასო მიწა-წყალს წარმოადგენდა. საქართველოში სათავადოების წარმოქმნის შემდეგ, რეგიონი ქსნის საერისთავოში შედიოდა (XIV ს.)[1], XIV საუკუნის დასაწყისში ვახტანგ II-ს (1302-1308) შალვა ქვენიფნეველისათვის სხვა მამულებთან ერთად თრუსო და ღუდაც უწყალობებია. გვიან შუა საუკუნეებიდან (XVII-XVIII საუკუნეები) კი ის არაგვის ერისთავების გამგებლობაში იყო. 1743 წლიდან თრუსოსა და ხევის გამგებლობა ერეკლე II-ის შვილების დაქვემდებარებაში გადავიდა. მიუხედავად ამისა, შემდეგშიც თრუსოელები „არაგვის ოსებად“ მოიხსენიებოდნენ. ასე არიან ისინი მოხსენიებულნი 1770 წლის საბუთში. არა მხოლოდ თრუსოელი ოსები, მეზობელი დვალეთის ზახას ხეობელი ოსებიც არაგვის ერისთავთა გამგებლობაში იყვნენ (დვალეთის ნარას საზოგადოება და დიდი ლიახვის სბის თემიც სახასო/სახელმწიფო იყო)[2]. ქართული წერილობითი ძეგლებით მხარე – წანარეთის ხევი – ოდითგანვე ქართველებით იყო დასახლებული. შემდეგ წანარების ეთნოგრაფიულ ჯგუფს აქ მიმდინარე სოციალური პროცესების შედეგად მოხევეები ეწოდათ. მოხევეების მეზობლად თერგის უკიდურეს ზემო წელში მეზობელი დვალები იყვნენ დასახლებული, რომლებსაც, როგორც დვალეთში, ისე თრუსოში სხვა ეთნიკური ერთობის წარმომადგენლები – ოსები – ჩაენაცვლნენ, რომელთა მიგრაცია XVII საუკუნის შუა ხანებში განხორციელდა, თუმცა ის ერთჯერადი არ ყოფილა და XVIII-XIX საუკუნეების მიჯნამდე გრძელდებოდა. ასე რომ, XVII საუკუნის შუა ხანებამდე თრუსოელები ქართველი მთიელები იყვნენ. შემდეგ ქართველ მთიელებს აქ ოსები ჩაენაცვლნენ, რომლებიც ასევე თრუსოელებად იწოდნენ.

---

1 *ჯ. გვასალია.* აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბ., 1983, გვ. 26.

2 საქართველოს ისტორია ტოპონიმებში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი). ტომი მეორე, თბ., 2010, გვ. 201.

XIX საუკუნის რუსული აღწერები თრუსოს, მნის ხეობის, კობის ქვაბულისა და ღუდის შესახებ

როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

თრუსოს სოფლები

სოფელი აბანო

1802 წელს აბანოში მკვიდრობდა 20 კომლი, სულთა რაოდენობა კი **166** შეადგენდა (მამაკაცი – 87, ქალი – 59).

1831-1832 წელი (სცსსა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე №1245, გვ. 147-152)

18 კომლი, 75+53=128 სული. ოსები.

სირდიევი – 1 კ.
ბიზიკიევი – 3 კ.
ჩავოლიევი – 8 კ.
კარაევი – 2 კ.
საპიევი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 1-10)

24 კომლი, 90 მამრ.

ცობოლიშვილი 13 კ.
ბოზიკიშვილი/ბიზიკიშვილი – 5 კ.
გუდიევი – 2 კ.
სათიაშვილი – 1კ.
სისიაშვილი – 1 კ.
სონიაშვილი – 1 კ.
კორაშვილი – 1 კ.
ბიჩინაშვილი – 1 კ.

1873 წელი (254-3-226/206-216)

27 კომლი, 94+97=191 სული

ცაბალოვი – 13 კ.
ბიზ(ძ)იკოვი – 6 კ.
გუდიევი – 3 კ.
საპიევი – 3 კ.
კარაევი – 2 კ.

[1873 წლის სხვა აღწერაში №256 აბანოში მითითებულია 26 კომლი და მდედრობითი სქესისანი ნაცვლად 97-ისა 87]

1886 წელი, (254-3-1791/29-45).

27 კომლი, 105+92=197 სული. «свод»-ებით 29 კომლი, 110+95=205 სული.

ცაბალოვი – 15 კ.
გუდიევი – 2 კ.
კარაევი – 3 კ.

ბიზიკოვი – 4 კ.
ბიზიკოვი (ბზიკაშვილი) – 1 კ.
საპიევი – 4 კ.
ცაბოლოვი – 1 კომლი გადასახლდა ვლადიკავკაზში.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით აბანოში **184 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წლის აღწერით აბანოში **121 კაცი** (23 კომლი) მკვიდრობდა[1].

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ აბანოში 20 კომლი ცხოვრობდა (1808 წელს ი. კლაპროტი აბანოში 40 კომლს უთითებს). ფ. გუტნოვის მიერ დასახელებულია ის გვარები, რომლებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში არიან მოხსენიებული. მის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით გუდიევები (რომლებიც XVIII საუკუნეში გუდიაურები იყვნენ) მნის ხეობის სოფელ ოქროყანაში აბანოდან იყვნენ გადასახლებული. აბანოელი ოსები ორ რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავდენ – მარიამობას და ჯიორგობას/გიორგობას. ი. კლაპროტი კი სხვა სალოცავს უთითებს: „აბანო-კაიდან 1 ვერსზე არის წმიდა ტყე, რომელსაც ჰქვია ჯვარე-კად, ანუ ჯვრის-ტყე, სადაც თრუსოელი ოსები მიდიან მოსალოცავად; აქ ისინი წმ. ილას (ელიას) ცხვარს სწირავენ, რომლის ხორცს ჭამენ, ხოლო ტყავს, პატივისცემიოს ნიშნად, ხეებზე ჰკიდებენ“.

1778 წლის საარქივო საბუთით სოფელ აბანოს მკვიდრები ქართულსუფიქსიან გვარებს ატაერბდნენ: ურთაშვილი, ჩაბოლიშვილი (1860 წელს – ცაბოლიშცილი), სირდიშვილი, საპიშვილი, ბატიშვილი). 1780 წლის საბუთით აბანოში ცხოვრობდა „ბიზიეშვილი დათი. თარხანია“, „ქუჯიშვილი ჯათი“. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის გვარებიდან XIX საუკუნეში აბანოში მხოლოდ საპიშვილები/საპიევები ცხოვრობდნენ (1780 წელს – „საპიშვილი ოთარ“). როგორც ჩანს, აბანოს დანარჩენი გვარები თრუსოში შედარებით ახალი მოსული იყვნენ, ან თრუსოს სხვა სოფლებიდან გადმოსახლებულნი, რაც ვფიქრობთ, იმ ფაქტმა განაპირობა, რომ სოფელი აბანო რუსული ხელისუფლების მიერ თრუსოს ადმინისტრაციულ ცენტრად იქნა დადგენელი. საყურადღებოა, რომ არც XVIII საუკუნეში და არც 1830 წელს აბანოში გუდიევები (იგივე გუდიაურები) არ ჩანან. სოფელში ეს გვარი პირველად 1860 წელსაა დაფიქსირებული; აშკარაა, რომ აქ ისინი მნის ხეობის სოფელ ოქროყანიდან იყვნენ გადმოსახლებული.

კავკასიის მხარის ხუთვერსიანი რუკის თანახმად, გარდა თრუსოს სოფელ აბანოსი, საქართველოში ამ სახელწოდების კიდევ სამი სოფელი არსებობდა გორის, რაჭის და თელავის მაზრებში (იხ.: КАВКАЗ: географические названия и объекты: Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края/По книге Д. Д. Пагирева. – Нальчик, 2007, с. 35).

სოფელი ქეთრისი

1802 წელს ქეთრისში მკვიდრობდა 10 კომლი, სულთა რაოდენობა კი **96** შეადგენდა (მამაკაცი – 60, ქალი – 35).

1 1802 წლის დემოგრაფიული მონაცემები იხ.: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, ред. *Ад. Берже*, т. II, Тифлис, 1868, С. 21.

1831-1832 წელი (**254-1-1245** გვ. 143-147)
24 კომლი, 68+42=110 სული. ოსები.
ქოქოევი – 16 კ.
ჩალაგიევი – 4 კ.
კამაევი (თუ კაშაევი) – 2 კ.
1860 წელი (გვ. 222-231).
20 კომლი, 84+50=134 სული
ქოქაშვილი – 12 კ.
ქოქაევი – 1 კ.
ჩალაგაშვილი – 2 კ.
კასაშვილი – 4 კ.
1873 წელი, №256.
25 კომლი, 84+69=153 სული.
კოკოევი – 14 კ.
კეტოევი – 3 კ.
კასაევი – 5 კ.
ცალაგოვი – 2 კ.
1886 წელი (254-3-1808/57/73)
23 კომლი, 108+92 = 200 სული.
კოკოევი
კოსაევი
კეტოევი
ცალაგოვი
ოჯახში სალაპარაკო, საშინაო ენა – ქართული და ოსური
№21 ცალაგოვი – გადასახლდა ვლადიკავკაზში
№16 კოსაევი – გადასახლდა ვლადიკავკაზში.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ქეთრისში **263 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **216 სული** (34 ოჯახი) იყო აღრიცხული.

1778 წლის საარქივო საბუთით, სოფელ ქეთრისის მკვიდნი იყვნენ: ჯივიშვილი, ქოქაშვილი (XIX საუკუნეში ქართული სუფიქსი -შვილი რუსული -ევ სიფიქსით შეუცვალეს. გამონაკლისი მხოლოდ 1860 წლის აღწერა იყო), გუშაშვილი (1780 წელს – „გუშალიშვილი“), ბირთეშვილი, ხამიშაშვილი, თეთრაშვილი ამირან, კარგაშვილი ვახტანგ. XIX საუკუნეში, გარდა ქოქაშვილების/ქ(კ)ოქ(კ) აევებისა, 1778 წლის გვარებიდან აღარავინ აღარ ცხოვრობდა. **ოიკონიმი *ქეთრისი*** (1780 წლის საბუთში – *ქეთერისი*) **მიღებულია ქართული სახელწოდებისაგან – *ქვათეთრისი***. მიგრირებული ოსების მიერ, ისევე როგორც სხვა ტოპონიმები, ფონეტიკურად იქნა შეცვლილი.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ფ. გუტნოვის ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ ქეთრისში (ის ჩეტრისს უწოდებს) 41 კომლი ცხოვრობდა. მის მიერ დასახელებულია ის გვარები, რომლებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში არიან მოხსენიებული. ფ. გუტნოვის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით, „კოკაევები ლამარდონიდან იყვნენ გადასახლებული, კასაევები – დვალეთის ზახას ხეობიდან, ცალაგოვები –

უნალიდან, ჩეტოევები (იგივე კეტოევები), კარაევები და ცალაგოვები – არდონიდან. სოფელ ქეტრისში პირველად ცალაგოვები დასახლებულან[1]. ი. კლაპროტი ქეთრისს „თრუსოს მოდგმის ხალხით დასახლებულ უკანასკნელ სოფელს“ უწოდებს (ხეობაში ის ზემოდან ქვემოთ მიდიოდა).

სოფელი შუატისი/სუატისი

1802 წელს შუატისში მკვიდრობდა 9 კომლი, სულთა რაოდენობა კი **64** შეადგენდა (მამაკაცი – 39, ქალი – 25).

1831-1832 წელი (გვ. 152-154)

28 კომლი, 69+42=111 სული. ოსები.

ბაჩიევი – 3 კ.
ბაგიევი – 1 კ.
სამბეგიევი – 2 კ.
ელოევი – 6 კ.
ტურბეგოვი – 1 კ.
ბოკოევი – 1 კ.
კასაევი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 12-21)

29 კომლი, 92 მამრ.

ელოშვილი – 6 კ.
ქასოშვილი/ქოსაშვილი – 1+8 კ.
ბაციშვილი – 6 კ.
სამბეგაშვილი – 4 კ.
კაზაშვილი – 1 კ.
ტურბეგოვი – 1 კ.

1873 წელი, №257

29 კომლი, 82+72=160 სული

ელოევი – 6 კ.
კასაევი – 12 კ.
ბაციევი – 4 კ.
ტურბეგოვი – 1 კ.
სამბაიოვი – 5 კ. (ესენი გადაშლილები არიან)

1886 წელი, (254-3-1817/120-136)

34 კომლი, 100+77=**177 სული.**

კასაევი – 16 კ.
სალბიევი – 7 კ.
ელოევი – 6 კ.
ბაციევი – 4 კ.
კოსკაევი – 2 კ.
ტურბეგოვი – 2 კ.

საოჯახო ენა – ოსური და ქართული.

1 1910 წლის სტატისტიკური მონაცემები აღებულია პერიოდული გამოცემიდან: Кавказский Кальендарь, 1910, ч. 1.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით შუატისში **256 კაცი** ცხოვრობდა. 1936 წელს სოფელში **170 კაცი** (25 ოჯახი) მკვიდრობდა.

აღნიშნული გვარებიდან 1778 წელს შუატისში ცხოვრობდნედ: ბაჩ(ც)იშვილი (XIX საუკუნეში – ბაციევები), კაშაშვილები (XIX საუკუნეში – კასაევები), კალმიშვილი (1780 წელს – „ქალმიშვილი ვარმიყა“), თანდიშვილი. 1780 წლის საბუთით სოფელ „საოტში“ ცხოვრობდა ერთი კომლი „ელოსშვილი გავდინ“, რომელიც თარხანი იყო და ხევის სოფელ გორისციხიდან გადმოსახლებულის შთამომავალი იყო. აშკარაა, რომ შუატისში XIX საუკუნეში მცხოვრები გვარები ამ დროს შედარებით ახალმოსული იყვნენ: ბაგიევი, სამბეგიევი, ტურბეგოვი, კოსკაევი. მხოლოდ 1886 წლის საოჯახო სიებში გაჩნდნენ პირველად სალბიევები (7 კომლი).

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ შუატისში 50 კომლი ცხოვრობდა. მის მიერ დასახელებულია ის გვარები, რომლებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში არიან მოხსენიებული. XIX საუკუნეში შუატისში არ ცხოვრობდნენ ფ. გუტნოვის მიერ დაფიქსირებული ტხოსტოვები, აგკაციევები, ბეკოევები, ბიზიკოვები, რომლებიც, როგორც ჩანს, საკმაოდ გვიან, XX საუკუნის დასაწყისში იყვნენ შუატისში დასახლებული. სოფელში ჰქონდათ სანიბას სალოცავი. ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი იყო კასაევი, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ ბუნებრივი ნამატით, არამედ სხვადასხვა გვარების მფარველობაში შესვლით. კასაევები სანიბას სალოცავის „ძუარლაგები“ ყოფილან. ბაციევები დვალეთიდან – მამისონიდან ყოფილან გადმოსახლებული. ისინი თრუსოში XVIII საუკუნის შუა ხანებში იყვნენ დასახლებული[1].

სოფელი ზემო დესი

1802 წელს დესში (დენცეში) მკვიდრობდა 12 კომლი, სულთა რაოდენობა კი **86** შეადგენდა (მამაკაცი – 48, ქალი – 38).

1831-1832 წელი (გვ. 159-160)

11 კომლი, 24+13=37 სული, ოსები.

ხამიცაშვილი – 4 კ.

სავდათიევი – 1 კ.

ტატაროვი – 2 კ.

კაზიევი – 3 კ.

1860 წელი (გვ. 162-167)

13 კომლი, 52+44=96 სული

ხამიცაშვილი – 5 კ.

კაზიშვილი – 3 კ.

კარგიშვილი – 1 კ.

თათარიშვილი – 1 კ.

1 1926 წლის სტატისტიკური მონაცემები ამოღებულულია წიგნიდან: საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930, გვ. 62. წიგნი ორენოვანია (ქართულ-რუსული) – Административно-территориальное деленние С.С.Р. Грузии, Тифлис, 1930.

ძიცოშვილი – 1 კ.
1873 წელი (254-3-232/2-8).
13 კომლი, 58+65=121 სული.
ხამიცოვი – 5 კ.
კაზიევი – 4 კ.
კარგიევი – 2 კ.
სავზაცოვი –1 კ.
ტატაროვი – 1 კ.
1 კომლი ხამიცოვი გადასახლდა გორის მაზრის სოფელ კალიათში.
1886 წელი (254-3-1803)
15 კომლი, 65+76=151 სული.
ხამიცოვი
კორგაევი
ტატაროვი
კაზიევი
სავტალოვი

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ზემო დესში **140 კაცი** ცხოვრობდა.

1778 წლის საარქივო დოკუმენტით სოფელს დესი ეწოდებოდა, რადგან ის იყო თავდაპირველი და შემდეგ, მოგვიანებით მას გამოეყო ქვემო დესი (ქვეით დესი) პირველიდან მეორეში მოსახლეობის გადასახლების შემდეგ (1780 წლის საბუთში მოხსენიებულია როგორც *დენცე)*. სოფლის ძირითადი მკვიდრები იყვნენ ხამიცაშვილები, რომლების ერეკლერ II-ის დროინდელ აღნიშნულ საბუთში ხამიჩიშვილებად არიან ჩაწერილი. 1831 წლის კამერალურ აღწერაში დაფიქსირებული სავდათიევები (1 კომლი) 1778 წელს შავდათაშვილებად არიან აღრიცხული. XIX საუკუნის შემდეგ აღწერებში ეს გვარი ამ სოფელში აღარ ფიგურირებს. XVIII საუკუნის ქართულ საბუთში მოხსენიებული ამირან თათარაშვილის შთამომავლები XIX საუკუნეში ტატაროვად არიან ჩაწერილი.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხამიცევები ზემო დესში ურს-თუალეთიდან ანუ მაღრან-დვალეთიდან ყოფილან გადმოსახლებული, კარგიევები და კაზიევები – ქურთათის ხეობიდან. სოფელში იყო სალოცავი უასტერჯი (წმიდა გიორგი), სადაც ათენგენობის დღესასწაულიც აღინიშნებოდა[1].

სოფელი ქვემო დესი (ქვეით დესი)

1802 წელს ქვემო დესში მკვიდრობდა 13 კომლი, სულთა რაოდენობა კი **68** შეადგენდა (მამაკაცი – 87, ქალი – 59).

1831-1832 წელი (გვ. 154-158)
9 კომლი, 27+16=43 სული. ოსები
სალბიევი – 2 კ.
მრიკიევი – 5 კ.
ტატიროვი – 1 კ.
ხამიჩიევი – 1 კ.

1 Ф. Х. Гутнов. Века и люди (из истории осетинских сел и фамилии), Владикавказ, 2001, с. 174.

1860 წელი, (გვ. 216-218).
10 კომლი, 29+21=50 სული.
მირიკიშვილი – 3 კ.
სალბიევი – 2 კ.
სალბიშვილი – 1 კ.
1873 წელი.
7 კომლი, 25+23=48 სული
მირიკოვი – 2 კ.
სალბიევი – კ.
ტატაროვი – 1 კ.
ხამიცოვი – 2 კ.
1886 წელი (254-3-1805)
7 კომლი, 23+19= 41 სული. «свод»-ებით 7 კომლი, 23+20=43 სული.
მირიკოვი
ტატაროვი
სალბიევი
ხამიცოვი
ხამიცევი – 3 კ.
თათარაშვილი – 1 კ.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ქვემო დესში 51 **კაცი** ცხოვრობდა. 1926 წლის საკავშირო აღწერაში ზემო და ქვემო დესი ერთ სოფლადაა გატარებული („დესი ქვემო და ზემო"). სულთა საერთო რაოდენობა ამ დროს აქ 157 იყო (26 ოჯახი).

1778 და 1780 წლების ერეკლე II-ის საბუთებით ქვემო დესში 4 კომლი ცხოვრობდა. სალბიევები მაშინ სალბიშვილად იყვნენ ჩაწერილი, ტატიროვები – ტოტრაშვილად და თათრიშვილად, ხამიცოვები – ხამიჩაშვილად. არ ჩანან მხოლოდ მირიკოვები, რომლებიც გვიან, XIX საუკუნის დასაწყიში არიან მიგრირებული. 1780 წელის დოკუმენტში ერთ-ერთი სალბიშვილი ატარებდა პიროვნულ სახელს – ბერო.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი კარატკავი (კარათ–ყაუ, ადრინდელი ხუცური)

1802 წელს კარათკავში მკვიდრობდა 19 კომლი, სულთა რაოდენობა კი **134** შეადგენდა (მამაკაცი – 90, ქალი – 44).
1831-1832 წელი (254-1-1245, გვ. 160-165)
20 კომლი, 63+34=97 სული. ოსები
აკოევი – 5 კ.
ურთაევი – 5 კ.
ბულაჩიევი – 4 კ.
კუმალაგიევი – 2 კ.
კალოვი – 1 კ.
1860 წელი. კარატკავი (გვ. 193-202).
27 კომლი, 107+64=171 სული.
ურთაევი – 13 კ.

ბულაცოვი – 6 კ.
ბულაჩიშვილი – 2 კ.
კალოშვილი – 1 კ.
კალუევი – 1 კ.
ბეჟაშვილი – 1 კ.
კუმალაგაშვილი – 3 კ.
1886 წელი, კარატკავი (254-3-1805)
31 კომლი, 106+86=192 სული.
ურტაევი
ბუგლაცოვი
ბულაცოვი
კამუევი
კუმალაგოვი
ყველა ოჯახს მიწერილი აქვს: „საშინაო ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ – ქართული და ოსური“
№27 ბეიასევი – გადასახლდა ვლადიკავკაზში
№30 კუმალაგოვი – გადასახლდა ვლადიკავკაზში
№31 ურტაევი – გადასახლდა ვლადიკავკაზში
1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით კარატკავში (იგივე ქართსოფელში) **216 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს **91 სული** (14 კომლი) იყო აღრიცხული.

1780 წლის საბუთში „ოსთა საკომლოები თრუსოში“ ყარათყავში ცხოვრობდნენ: ადეშვილი, კუმალაგაშვილი (შემდეგდროინდელი – კუმალაგოვი), ჯუკოშვილი, ქაულიშვილი (XIX საუკუნის რუსული აღწერების კალუევი, 1860 წელს – კ(ქ)ალოშვილი), ბეჟაშვილი (შემდეგ აღარ ჩანს ეს გვარი), ჩალაგაშვილი (ეს გვარიც ამ სოფელში 1800-იან წლებში აღაა), ურთაშვილები (შემდეგდროინდელი ურთაევები), ბულაჩაშვილები (XIX საუკუნეში – ბულაცოვები/ბულაჩიევები). 1776 წლის თრუსოელი ოსების სამასპინძლოს გადასახდელის სიის თანახმად მხარეში იყო სოფელი, რომელსაც **ხუცური** ერქვა. ამ საბუთის შედარებით 1780 წლის თრუსოს ოსური საკომლოების ნუსხასთან, ირკვევა, რომ სოფელ ხუცურის დასახელებული გვარები კარატკავში არიან მოხსენიებული. იგივეს მტკიცების საფუძველს იძლევა XIX საუკუნის აღწერის დავთრებში სოფელ კარატკავში მოხსენიებული გვარები: 1776 წელს ხუცურში ცხოვრობდნენ: *აკოშვილი* (1831-1832 წელს – *აკოევი* (5 კომლი). შემდეგ აღწერებში ეს გვარი კარატკავში საერთოდ აღარ ჩანს); *ბულაჩაშვილი* (ბულაჩაშვილები/ბულაცოვები 1860 წელს სოფელში რვა (8) კომლის რაოდენობით იყვნენ. 1886 წელს მხოლოდ 2 კომლი იყო დარჩენილი); *კ(ქ)ალუაშვილი* (XIX საუკუნეში კალოვად/კალუევად/კ(ქ)ალოშვილებად ჩაწერილები); *კუმალაგაშვილი* (როგორც 1776, ისე 1780 წლის საბუთებში, კუმალაგაშვილებად არიან ჩაწერილი 1860 წლის კამერალურ აღწერაშიც, შემდეგ – კუმალაგოვად – 1886 წელს მხოლოდ ერთი (1) კომლი); ბეჟაშვილი (1776 წელს ერქვა „ყანბოლი“, 1780 წელს – „ყანბოლად)“. (1860 წელს კარატკავში 1 კომლი ბეჟაშვილი იყო. 1886 წელს ეს გვარი ამ სოფელში აღარ ცხოვრობდა); 1776 წელს ხუცურში და 1780 წელს – კარატკავში აღრიცხული იყო ადეშვილის გვარიც. XIX საუკუნეში სოფელში ეს გვარი აღარ ცხოვრობდა. **ამ სოფლების იგივეობაზე მიუთითებს ი. კლაპროტიც:** „...გავიარეთ

სოფელი კალაგათ-ყაუ და კიდევ ერთ ვერსზე ბურმასიგ-კაუ, ანუ ყვითელი კოშკის სოფელი. აქედან 1,5 ვერსზე, ასევე მდინარის მარცხენა ნაპირზე **სოფელი *ხუცური* ან *კარათ-ყაუ***; ესაა დიდი სოფელი კოშკებით". ამრიგად, **სოფელ კარატკავის ადრინდელი ქართული სახელწოდება იყო ხუცური, რომელიც -ურ ქართული სუფიქსით იყო ნაწარმოები.**

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე, როგორც Карат-кау.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ კარატ-კაუში 30 კომლი ცხოვრობდა. ფ. გუტნოვის მიერ დასახელებულია ის გვარები, რომლებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში არიან მოხსენიებული. ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით ურთაევები, კალუევები და კუმალაგოვები დარგავსიდან იყვნენ გადმოსახლებული, ბულაცევები ციმიტიდან (ქურთათის საზოგადოება) იყვნენ გადასახლებული. სოფელში იყო სალოცავები: უასტირჯი და მადი მარიამი. სოფლის მთაზე მდებარეობს სალოცავი „თარანჯელოზი", რომელიც არა მხოლოდ სოფლის, არამედ მთელი თრუსოს საერთო სალოცავი იყო[1].

სოფელი ბურმასეკი/ბურმასიგი

1802 წელს ბურმასიგში მკვიდრობდა 6 კომლი, სულთა რაოდენობა კი **45** შეადგენდა (მამაკაცი – 28, ქალი – 17).

1831-1832 წელი (გვ. 165-167).

7 კომლი, 26+15=41 სული. ოსები.

თავაევი – 4 კ.

ურთაევი – 3 კ.

1860 წელი, (გვ. 66-69)

8 კომლი, 30 მამრ.

თოვაშვილი – 5 კ.

ურთაშვილი – 2 კ.

ბეროზოვი – 1 კ. გადმოსახლდა სოფელ გიმარადან.

1873 წელი (254-3-227/270-271).

8 კომლი, 34+23=57 სული.

თუაევი – 6 კომლი

ურთაევი – 2 კომლი. ორივე ეს კომლი გადმოსახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ბალთადან (გადმოსახლება მოხდა წინა აღწერის (1860 წლის) შემდეგ).

1886 წელი (254-3-1793/93-98).

7 კომლი, 37+24=61 სული.

თვაური – 7 კ.

1 (№6) კომლი გადასახლდა ვკადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ბალთაში.

1 (№7) კომლი გადასახლდა ვკადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ხუმალაგში.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ბურმასიგში **77 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წლის აღწერით სოფელში **69 კაცი** (13 ოჯახი) იყო აღრიცხული.

1 История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т.1, Цхинвали, 1962, док. №47, с. 128.

სოფელი ბურმასიგი 1780 წლის ერეკლე მეფის ბრძანებით შედგენილ დოკუმენტში არაა შეყვანილი, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს სოფელი იმ დროს ან არ არსებობდა, ან სახელი შეეცვალა მას.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ ბურმასიგში 15 კომლი ცხოვრობდა.[1]

სოფელი წოწოლთა/ცოცოლდა

1802 წელს წოწოლთაში (ჩოჩოლი) მკვიდრობდა 10 კომლი, სულთა რაოდენობა კი **62** შეადგენდა (მამაკაცი – 41, ქალი – 21).

1831-1832 წელი (გვ. 167-170)

13 კომლი, 52+32=84 სული. ოსები.

ჟანტიევი – 7 კ.

გულაჩიევი – 3 კ.

კორკაევი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 423-428)

14 კომლი, 65+39=104 სული.

ქუძიევი – 1 კ.

ბულაცაშვილი – 4 კ.

თოვაშვილი – 1 კ.

ჯარგოევი იგივე ჯანტიევი – 1 კ.

ჯანტიევი – 1 კ.

დაურიშვილი – 4 კ.

მაკაშვილი – 1 კ.

ნაორიევი – 1 კ.

1873 წელი №257.

14 კომლი, 68+56=124 სული.

დავროვი – 1 კ.

დავროვი როსტომ გადასახლდა თეფში

დავროვი აფიკო – გადასახლდა ბაიადარაში

მახოევი – 1 კ.

ბულაცოვი – 6 კ.

მაკაევი – 1 კ.

ტაკაევი – 1 კ. ჯანტიევი – 1 კ.

კოსკოვი ამზორ – გადასახლდა ზემო დესში.

1886 წელი

17 კომლი, 62+55=117 სული.

დავროვი – 3 კ.

ბულაცოვი – 6 კ.

მაკაევი – 3 კ.

ტაკაევი – 1 კ.

1 История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), т.1, Цхинвали, 1962, док. №72, с. 143.

ჯანტიევი – 2 კ.
კორკაევი – 1 კ.
საოჯახო ენა – ქართული და ოსური.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით წოწოლთაში **151 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **83 კაცი** (16 კომლი) მკვიდრობდა.

სოფელი წოწოლთა/ცოცოლდა 1780 წლის ერეკლე მეფის ბრძანებით შედგენილ დოკუმენტში არაა შეყვანილი, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს სოფელი იმ დროს ან არ არსებობდა, ან სახელი შეეცვალა მას. 1776 წლის საბუთში ის *ჩოჩოლის* სახელწოდებითაა წარმოდგენილი („ჩოჩოლი“ გვხვდება 1802 წლის საბუთშიც). წოწოლთას/ცოცოლდას არც ი. კლაპროტი იხსენიებს. სამაგიეროდ გერმანელი მეცნიერი მის ადგილზე ახსენებს სოფელს – *უფცარკაუს*: „...ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დავეშვით ციცაბო კლდოვან ხეობაში, სადაც ხმაურით და ჩანჩქერებით მიექანება მდინარე *უცფარს-დონი*; ესაა თერგის პირველი მარჯვენა შენაკადი. მასზე თერგიდან 1,5 ვერსზე ძევს პატარა სოფელი *იცფარს-კაუ*, რომელიც ეკუთვნის ჯანთიათეს გვარს“. სოფლის თავდაპირველი სახელწოდება იცფარსი უნდა ყოფილიყო. ი. კლაპროტი უფცარსის ძირითად გვარად „ჯანთიათეს“ გვარს ასახელებს. მართლაც ამ გვარისანი სოფელ ცოცოლდაში ყველაზე მეტნი იყვნენ 1830-1831 წლების აღწერით (ჟანტიევი – კომლი, 1776 წელს – ჯანთიშვილი). სოფლის სახელწოდება – წოწოლთა/ცოცოლდა – მომდინარეობს მის უკან მდებარე წოწოლა მთისაგან. ანალოგიური სახელის მთა სამცხეშიც არსებობდა.

ბუსმასიგისა და წოწოლთის გვარებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს ორი (2) სოფელი წარმოიქმნა XVIII საუკუნეში თრუსოში არსებული სოფლის *ყაყიდურის* (-ურ სუფიქსიანი ქართული ოიკონიმია) საფუძველზე. ყაყიდურში ცხოვრობდნენ შემდეგ ბურმასიგში მკვიდრი თავაევები/თუაევები/თოვაშვილები, რომლებიც 1780 წელს თავაშვილად იწერებოდნენ („თავაშვილი ამირან“, „თავაშვილი გელა“), ურთაშვილები (XIX საუკუნეში – ურთაევები, 1860 წელს – ურთაშვილი). წოწოლთაში/ცოცოლდაში XIX საუკუნეში მცხოვრები გვარებიც 1780 წელს ყაყიდურის მკვიდრები იყვნენ: ჯანტიშვილი (XIX საუკუნეში – ჯანტიევი), ბულაჩაშვილი (XIX საუკუნეში – ბულაცოვი, 1860 წელს – ბულაცაშვილი), ქორქაშვილი („ქორქაშვილი ზაზო“) (XIX საუკუნეში – კორკაევი) და სხვა.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ წოწოლთაში 40 კომლი ცხოვრობდა. ფ. გუტნოვის მიერ დასახელებულია ის გვარები, რომლებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში არიან მოხსენიებული. ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით, მაგკაევები ზახას ხეობიდან იყვნენ გადასახლებული, რომელთა წინაპრები XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ელიხანოვის გვარს ატარებდნენ. ერთ-ერთი ელიხანოვი, ზურაბი საქართველოს მეფის კარზე გაზრდილა და ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში წასულა. მაგკაევები თრუსოში XIX საუკუნის დასაწყისში დასახლებულან. ძანტიევები თრუსოდან ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებულან, რომლებსაც თან წაუღიათ თავიანთი სოფლის სახელწოდება – კაკიდური (ყაყიდური). სოფელში იყო სალოცავი წოწოლთის ჯვარი (Цоцолты дзуар)[1].

1 Ф. Х. Гутнов. Века и люди (из истории осетинских сел и фамилии), Владикавказ, 2001, с. 166.

სოფელი გიმარა/ჯიმარა

1802 წელს გიმარაში მკვიდრობდა 22 კომლი, სულთა რაოდენობა კი **130** შეადგენდა (მამაკაცი – 84, ქალი – 46).

1831-1832 წელი (გვ. 171-175). მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, ზემო წელში

24 კომლი, 66+35=101 სული. ოსები.

ცოცოევი – 1 კ.

ბერეზოვი – 12 კ.

ბოცოევი – 7 კ.

1860 წელი (გვ. 110-116)

ბერეზოვი – 12 კ.

ბოჩოშვილი – 11 კ.

ბოცოევი – 1 კ.

1873 წელი (254-3-229/122-130)

25 კომლი, 80+67=147 სული.

ბეროზოვი – 14 კ.

ბაცოევი – 7 კ.

ბოლოევი – 1 კ.

არიან გადასახლებულები:

ბეროზოვი – 1 კომლი ბეროზოვი გადასახლდა ვლადიკავკაზის სოფელ ხუმალაგში;

ბეროზოვი – 1 კომლი ბეროზოვი გადასახლდა კობის საზოგადოების სოფელ ნაოკაუში;

ბოცოევი – 1 კომლი გადასახლდა ვლადიკავკაზში;

ბოცოევი – 1 კომლი გადასახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ბესლანში.

[1873 წლის აღწერის სხვა დავთარში მხოლოდ ორი გვარია მითითებული: ბეროზოვი – 16 კომლი და ბოცოევი – 9 კომლი]

1886 წელი. (254-3-1798/26-41).

29 კომლი, 82+79=162 სული. «свод»-ებით 29 კომლი, 96+81=177 სული.

ბეროზოვი

ურთაევი

ბოცოევი

1 კომლი ბოცოევი იგივე ბიდაროვი.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით გიმარაში **201 კაცი** ცხოვრობდა. [დოკუმენტში სოფლის სახელი ჩაწერილია ქართული ფორმით – გიმარა]. 1926 წლის საკავშირო აღწერით, გიმარაში **186 სული** (19 კომლი) ეთნიკური ოსი მკვიდრობდა.

სოფელი გიმარა მოხსენიებულია 1778 და 1880 წლების მეფე ერეკლე II-ის საბუთებში. 1778 წლის საბუთიდან XIX საუკუნეში სოფელში ცხოვრებას აგრძელებდა მხოლოდ ბეროზაშვილების გვარი, რომლებსაც რუსეთის იმპერიის ხელისუფლება გვასახელის მაწარმოებელი სუფიქსი რუსული -ოვ ფორმანტით შეუცვალა. ბეროზაშვილები გვხვდებიან 1780 წლის საბუთშიც. ამავე წლის საბუთით ბოცოევების წინაპრები ბოჩოშვილებად იყვნენ ჩაწერილი (ბოჩოშვილებად წერიან 1860 წელსაც). აღნიშნილი ქართული საბუთებით, გიმარაში

უცხოვრიათ აგრეთვე ბუასალიშვილს, ხოსთუყოშვილს, რომელსაც ერქვა „ახლობედა“, გუსალაშვილს, ბარსაგიშვილს, კომაშვილს, თორქინაშვილს, ჩაკულიშვილს, ბორიშვილს. ეს გვარები XIX საუკუნეში გიმარაში საერთოდ აღარ ჩანან. სავარაუდოდ სხვაგან მიგრირდნენ, ან შავი ჭირის მსხვერპლი შეიქნენ.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე ორი ფორმით – გიმარა და ჯიმარა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ გიმარაში 45 კომლი ცხოვრობდა. ფ. გუტნოვის მიერ დასახელებულია ის გვარები, რომლებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში არიან მოხსენიებული. სოფლის საფუძველჩამყრელები ყოფილან ბეროზოვები, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსახლებულან.

სოფელი ტეფე/ტეფი

1802 წელს ტეფში მკვიდრობდა 12 კომლი, სულთა რაოდენობა კი **66** შეადგენდა (მამაკაცი – 87, ქალი – 59).

1831-1832 წელი (გვ. 175-179)

16 კომლი, 47+36=83 სული. ოსები.

ხუბიევი – 2 კ.

კალაგიევი – 8 კ.

კალოევი – 1 კ.

ხობეგიევი – 1 კ.

გეგიევი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 375-381).

17 კომლი, 62+63=125 სული.

კალაგიშვილი – 17 კ.

1873 წელი, №257.

20 კომლი, 68+66=**131 სული**

კალაგოვი – 19 კ.

კალოევი – 1 კ.

1886 წელი, ტ(თ)ეფი (აბანოს ს/ს) (254-3-1819/127-138)

19 კომლი, 61+67=128 სული. «свод»-ებით 19 კომლი, 64+63=127 სული.

კალაგოვი – 17 კ.

კალოევი – 2 კ.

საოჯახო ენა – ქართული და ოსური.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ტეფში **159 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **164 სული** და 23 კომლი ეთნიკური ოსი იყო აღრიცხული.

სოფელ ტეფეს ძირითადი გვარი კალაგოვი/კალაგიევი/კალაგიშვილი XIX საუკუნეში იყო დასახლებული. 1780 წლის ქართულ საბუთში ეს გვარსახელი საერთოდ არაა შეტანილი. ჩანს, მოსახლეობა შეიცვალა. XIX საუკუნემდე აქ უცხოვრიათ ხათიშვილს, ჯანიგიშვილს (1780 წლის საბუთით ერქვა *თოლი*), თემურიშვილს, ჯაბაიშვილს, ჯილოშვილს (ოჯახის უფროსს ერქვა *ქაში*).

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ

თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ ტეფეში 45 კომლი ცხოვრობდა. კალოევები ზახას ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებული.

სოფელი რესი/რეში

1802 წელს რესში მკვიდრობდა 20 კომლი, სულთა რაოდენობა კი **66** შეადგენდა (მამაკაცი –31, ქალი – 35).

1831-1832 წელი (გვ. 179-181)

13 კომლი, 30+25=55 სული. ოსები.

კამაევი – 6 კ.
კუდონიევი – 1 კ.
დონალოევი – 2 კ.
კამლანიევი – 3 კ.
გაბულიევი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 290-294).

17 კომლი, 54+66=110 სული.

კუსაშვილი – 8 კ.
გაბულაშვილი – 4 კ.
კორძისაშვილი – 1 კ.
კალიმანაშვილი – 1 კ.
გოგიშვილი – 1 კ.
ჯაკაზაშვილი – 1 კ.

1873 წელი, №257.

18 კომლი, 64+56=**120 სული**

კუსაევი – 9 კ.
კაიმანოვი – 1 კ.
კუზიევი – 2 კ.
ზოზიევი – 1 კ.
გაბულოვი – 3 კ.
ზაკაევი – 2 კ.

1886 წელი, (254-3-1817/63-74)

18 კომლი, 69+56=125 სული.

კუსაევი – 9 კ.
გაბულოვი – 4 კ.
კუზიევი – 3 კ.
ზაკაევი – 2 კ.
კაიმონოვი – 1 კ.
ზაზიევი – 1 კ.

საოჯახო საშინაო ენა – ოსური და ქართული

№12 კუზიევი – გადასახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ არკში.

№14 ზაზიევი – გადასახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ოლონცკში.

ე. ი. 1886 წელს ეს ორი კომლი უკვე აქ აღარ ცხოვრობდა.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით რესში **170 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **166 კაცი** (27 ოჯახი) მკვიდრობდა.

რესში მცხოვრები ეს გვარები, გარდა ერთისა, 1780 წლის საბუთში ფაქტობრივად არცერთი არაა აღრიცხული. ამ წელს აქ ცხოვრობდნენ მხოლოდ: ქაშიაშვილი (ქაშიაშვილები არაგვის ხეიბის დაბლობში, სოფელ იორში ცხოვრობდნენ, რომლებიც ხანდოდან იყვნენ მიგრირებული და რომელთა ძირი-გვარი დავითური იყო), გაბულაშვილი, ჯაკაშვილი (ატარებდა პიროვნულ სახელს – დოდო), კაკოიშვილი, ქალამნიშვილი (ამ გვარისანი 1860 წლის აღწერაში კ(ქ)ალიმანაშვილად არიან აღრიცხული, რომლებიც XIX საუკუნის სხვა დავთრებში კაიმონოვად/კაიმანოვად/კამაევად) არიან შეყვანილი. კალმანიშვილი ჯუბატ 1778 წლის ერეკლე II-ის საბუთშიცაა შეყვანილი, ოღონდ სოფლის მითითების გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას გაბულიშვილების შესახებაც, რომლებიც შემდეგ გაბულიევებად/გაბულოვებად იქცნენ. სოფლის მითითების გარეშე რესელები შეყვანილი არიან 1776 წლის, თრუსუელთა სიაში, რომლებსაც სამასპინძლო გადასახადი ჰქონდათ შეწერილი: კაზილიშვილი, ქალმანიშვილი, გაბულიშვილი... 1780 წლის საბუთში სოფელი რესი დაფიქსირებულია როგორც *რეში.*

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ თრუსოელი ოსების ინგუშების ისტორიულ ტერიტორიაზე – პრიგოროდნი რაიონში გადასახლებამდე, სოფელ რესში 50 კომლი ცხოვრობდა. კუსაევები გადმოსახლებული იყვნენ ციმიტიდან, კუძიევები – უნალიდან, კალამანოვები – ქურთათის ხეობიდან. სოფელში ჰქონდათ ორი სალოცავი – უასტერჯი და უაცილა[1].

სოფელი სივრათა

1802 წლის დოკუმენტში სოფელი სივრათა ნახსენები არაა. როგორც ჩანს, მისი მკვიდრები სოფელ რესზე იყვნენ მიწერილი.

1831-1832 წელი (გვ. 181-182)

5 კომლი, 10+8=18 სული. ოსები.

ქოქოშვილი – 1 კ.

ქოქოევი – 2 კ.

ფლიშვილი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 297-298).

4 კომლი, 12+7=19 სული.

კალაგიშვილი – 3 კ.

ფალიშვილი – 1 კ.

1886 წელი (254-3-1817/12-15)

4 კომლი, 19+11=30 სული.

კალაგოვი – 4 კ.

ყოფილა კიდევ 1 კომლი პლიევი, რომელიც გადასახლებულა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ბალთაში.

საოჯახო ენა – ქართული და ოსური.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით სივრათაში **24 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **18 სული** (5 ოჯახი) იყო აღრიცხული.

1 Ф. Х. Гутнов. Века и люди (из истории осетинских сел и фамилии), Владикавказ,2001, с. 165.

სოფელი სივრათა XVIII საუკუნეში არ არსებობდა. ამ დროს თრუსოში არც კალაგიშვილები/კალაგოვები არიან მოხსენიებული.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე ორი ფორმით – Сивераут და Саврата.

ფ. გუტნოვი „სივირაუტას“ თერგის სათავის პირველ სოფლად ასახელებს. ის რესთან ახლოს მდებარეობდა. ი. კლაპროტი წერდა: „სივერაუტ-სა და რესი-ში დავრჩი საღამომდე... ერთ ვერსზე გავიარეთ სოფელი კალაგატე-კაუ“, რო-მელიც, როგორც ჩანს, კალაგოვების სოფელი იყო. ეთნოგრაფიული მონაცე-მებით კი კალაგოვები სივერაუტში, ი, გაბულოვებთან ერთად, ცხოვრობდნენ. კალაგოვები სივრათას მკვიდრებად პირველად მხოლოდ 1860 წლის აღწერაში მოიხსენიებიან. რაც შეერხება გაბულოვებს, საერთოდ არ ჩანან XIX საუკუნის არც ერთ აღწერაში[1].

სოფელი ზაქაგორი/ᲟᲐᲙᲐᲒᲝᲠᲘ/ᲯᲐᲮᲐᲒᲝᲠᲘ

1802 წელს ზაქაგორში (ამ დროის დოკუმენტში ის „ჩახოდგორის“ სახელწო-დებითაა შეტანილი) მკვიდრობდა 5 კომლი, სულთა რაოდენობა კი **29** შეადგენ-და (მამაკაცი – 16, ქალი – 13).

1831-1832 წელი (გვ. 182-183)

6 კომლი, 16+13=29 სული. ოსები

კეტოევი – 6 კომლი.

1860 წელი (გვ. 179-181).

9 კომლი, 23+15=38 სული.

ქეთიაშვილი – 1 კ.

ქეთაშვილი – 2 კ.

ქეთოშვილი – 4 კ.

კეტოვი– 1 კ.

კეტოევი – 1კ.

1873 წელი (254-3-230/103-105)

9 კომლი, 19+17= 36 სული.

კეტოევი – 2 კ.

ასლანოვი – 2კ.

გადასახლება:

კეტოევი – 1 კომლი გადასახლდა ოჯახით ვლადიკავკაზში;

ასალნოვი – 1 კომლი გადასახლდა ქალაქ ვლადიკავკაზში.

[1873 წლის სხვა აღწერაში მხოლოდ კეტოევის 9 კომლია აღწერილი]

1886 წელი (254-3-1799/9-13)

8 კომლი, 15+15=30 სული.

კეტოევი (ყველა)

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ზაქაგორში **31 კაცი** ცხოვ-რობდა. 1926 წელს სოფელში **45 კაცი** (7 კომლი) იყო აღრიცხული.

1778 წელს ზაქაგორში ცხოვრობდა მხოლოდ ორი (2 კომლი) – „ქეტოშ-ვილი ბიბო“და „ბიბიშვილი შიხა“. ბიბიშვილები XIX საუკუნეში ამ სოფელში აღარ ჩანან. ქეტოშვილები კი კეტოევებად იქცნენ. ზაქაგორში ქეტოშვილების

1 Ф. Х. Гутнов. Века и люди (из истории осетинских сел и фамилии), Владикавказ,2001, с. 163.

დასახლება XVIII საუკუნის შუა ხანებში მოხდა აქედან წასული ზაგაშვილების ნასოფლარზე.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

1831-1832. მთლიანად თრუსოს ხეობაში 13 სოფელია. მათში 194 კომლია, სულთა რაოდენობა 590+365=955 (ეს მონაცემები საარქივო დოკუმენტის ბოლოსაა მოცემული). კომლში საშუალოდ გამოდის 5 სული, ზუსტად – 4,92. თრუსოს სოფელში საშუალოდ ცხოვრობდა 14,92 კომლი, 73,46 სული.

მნის მხარე და კობის ქვაბულის სოფლები

სოფელი ალმასიანი/ბაზალიანი

1802 წლის ალმასიანი „ალმასის“ სახელწოდებითაა დაფიქსირებული. ამ დროს სოფელში სულ 4 კომლი და **25 სული** (14 მამაკაცი და 11 ქალი) ცხოვრობდა.

1831-1832 წელი (გვ. 124-126)

10 კომლი, 32+24=56 სული. ოსები

აბაევი – 1 კ.
კარაევი – კ.
ურთაევი – 1 კ.
ჩილოევი – 1 კ.
ჟიკაევი – 1 კ.
მრიკიევი – 1 კ.
გეგიევი – 1 კ.
ზაკიშვილი – 1 კ.

სარწმუნოება – ქრისტიანები, მეურნეობა – ხვნა-თესვა და მეცხვარეობა.

1860 წელი, (**254-2-235** გვ. 25-29)

14 კომლი, 41 მამრ.

აბაშვილი – 2 კ.
კორაშვილი – 4 კ.
ურთაშვილი – 1 კ.
დოლაშვილი – 1 კ.
ჯახაშვილი – 1 კ.
გულიშვილი – 1 კ.
გოთოშვილი – 1 კ.
კომაშვილი – 1 კ.
ზალიშვილი – 2 კ.
მარანიშვილი – 1 კ.

1873 წელი (254-3-226/222-225)

11 კომლი, 38+41=79 სული

ციცოევი – 1 კ.
აბაევი – 1 კ.
ჯახაშვილი – 1 კ.
კარაევი – 3 კ.

კარაშვილი – 1 კ
ურთაშვილი – 1 კ.
ზაკაშვილი – 3 კ.
[ხუთვერსიან რუკაზე ალმასიანი და ბაზალიანი ცალ-ცალკე სოფლებადაა დატანილი ერთმანეთის გვერდიგვერდ]
1886 წელი (254-3-1790/115-122).
14 კომლი, 49+41=90 სული. «свод»-ებით 19 კომლი, 60+39=99 სული. აღწერის დედანი ყველას ოსს უთითებს, «свод»-ი კი 13 კომლ ოსს (54+39), აგრეთვე სომხებს – 3+3 სული და ქართველს – 3+3 სულს.
აბაევი – 3 კ.
კარაევი – 3 კ.
ურთაშვილი – 1 კ.
ჯახაშვილი
კარაშვილი
ზაგაშვილი – 5 კ.
ზაგაშვილებს ეროვნება ოსი უწერია, დედა-ენა – ქართული.
1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ალმასიანში/ბაზალიანში **122 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს ეს მაჩვენებელი **201 კაცს** (35 კომლი) შეადგენდა.
ალმასიანი და **ბაზალიანი** 5-ვერსიან რუკაზე დატანილია ორ სხვადასხვა სოფლად კობის პირდაპირ. თუმცა დ. პაგირევის საძიებელში ერთი სოფელი ორი სახელწოდებითაა მოცემული – ალმასიანი/ბაზალიანი. 1831-1832 წლების აღწერის დავთრით, სოფელში მცხოვრები გვარები თითო კომლით იყვნენ წარმოდგენილი, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ ისინი ახალი გადმოსახლებული იყვნენ თრუსოდან.

სოფელი მნა

1802 წელს რუსების მიერ შედგენილ ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელოში შემავალი სოფლების ჩამონათვალში სოფელი მნა ხევის ქართული სოფლების («Деревни грузинския») ჩამონათვალშია შეყვანილი, რომლშიც 5 კომლი (20 სული) ცხოვრობდა.
1831-1832 წელი (გვ. 134-141)
13 კომლი, 43+22=65 სული. ოსები.
კამაევი (ან კაშაევი) – 5 კ.
საგიევი – 1 კ.
კაზმანოვი – 1 კ.
ჩალაგიევი – 1 კ.
ლოკაევი – 1 კ.
ჩაბალიევი – 1 კ.
კოკაევი – 2 კ.
ბიზიკიევი – 1 კ.
სარწმუნოება – ქრისტიანები, მეურნრობა – ხვნა-თესვა და მეცხვარეობა.
ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეს სოფელი ეკუთვნოდა **ხევის ხეობას**.
1860 წელი (გვ. 248-252).
12 კომლი, 40+35=75 სული.

კასაშვილი – 5 კ.
ქოქაშვილი – 2 კ.
კანიჩოშვილი – 1 კ.
გუთანიშვილი – 1 კ.
ბადოშვილი – 1 კ. (1774 წელს – ბადაძე)
გაბისოვი – 1 კ.
ქოქაშვილი – 2 კ.
ცობოლიშვილი – 1 კ.
1873 წელი (254-3-236/2-6)
12 კომლი, 46+37=81 სული.
კ(ქ)ასაშვილი – 2 კომლი
კასაევი – 4 კომლი
გუთონოვი – 1 კ.
აბაევი – 1 კ.
კოკაევი – 2 კ.
ცაბალოვი – 1 კ.
სუგიევი – 1 კ.
1886 წელი (254-3-1811/1-8)
[კომლთა და სულთა რაოდენობა არა მაქვს ამოწერილი] **«свод»-ებით 13 კომლი, 47+43=90 სული.**
კასევი
აბაევი
ცაბალოვი
გუტანოვი
კოკაევი
სუგიევი
სალაპარაკო საშინაო ენა – ქართული.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით მნაში **120 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **122 კაცი** (16 კომლი) იყო აღრიცხული.

1774 წელს სოფელი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. ოსები მნაში XIX საუკუნის დასაწყისში იყვნენ დასახლებული, რასაც თითოეული გვარის კომლობრივი რაოდენობაც მიუთითებს.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი უხათი/ზემო უხათი

1802 წლის დოკუმენტში უხათში 13 კომლი და **92** (48 მამრობითი და 44 მდედრობითი) სულია ნაჩვენები.

1831-1832 წელი (გვ. 117-120)
15 კომლი, 51+35=86 სული. ოსები.
ბატიევი – 3 კ.
თავაევი – 2 კ.
საიუმოვი – 1 კ.
ხაბლიევი – 1 კ.
სალბიევი – 1 კ.

კობლიევი – 4 კ.
ჩობალიევი – 1 კ.
1860 ზემო უხათი (გვ. 167-174).
15 კომლი, 45+45=90 სული.
თავაშვილი – 5 კ.
ქობულოვი – 4 კ.
ბათიშვილი – 2 კ.
განიბეკოვი – 1 კ.
კუსაშვილი – 1 კ.
აქ ცხოვრობს 1 კომლი თავად გიორგი ერისთავისა – ბუკლიშვილი, რომელიც გადმოსახლდა ოსეთის უჩასტკის სოფელ ედისიდან (2 მამაკაცი+2 დედაკაცი).
1873 წელი (254-3-232/12-18). **ზემო უხათი**
16 კომლი, 53+46=109 სული.
თუაევი – 4 კ.
ქაბულოვი – 4 კ.
ბატაევი – 5 კ.
კარაევი – 1 კ.
ბუქულოვი გიუნა ხუცის ძე – 1 კ.
სალბიევი – 1 კ.
1886 წელი, ზემო უხათი (კობის ს/ს) (254-3-1803)
21 კომლი, 65+73=138 სული. «свод»-ებით 17 კომლი, 71+63=134 სული.
თუაევები
ბატაევი
კუსაევი
ტუგოევი
კაბულოვი
სალბიევი
ძუკოევი
№16 სალბიევი – გადასახლდა ვლადიკავკაზში
№15 ბატაევი – გადასახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სტანცია ტარსკში.
1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ზემო უხათში **197 კაცი** ცხოვრობდა. სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.
ნ. ვოლკოვას მონაცემებით, კობლოვების გვარი უხათში დვალეთის ნარას საზოგადოებიდან გადმოსახლებულან მესისხლეობის გამო.

სოფელი ქვემო უხათი

სოფელი არ არსებობდა არც 1802 და არც 1830 წლებში.
1860 წელი (გვ. 395-397).
6 კომლი, 22+16=38 სული.
სამიშვილი – 2 კ.
ურთაშვილი – 1 კ.
ურთაევი – 1 კ.
ცობოლიშვილი – 1 კ.

თავაშვილი – 1კ.
1873 წელი, №257.
6 კომლი, 26+10=36 სული
სამოვი – 1 კ.
ცაბოლოცი – 1 კ.
ურთაევი – 2 კ.
თუაევი – 1 კ.
სამიშვილი – 1 კ. (ქართველი)
1886 წელი, (254-3-1814/1-5)
4 კომლი, 21+18=39 სული. «свод»-ებით 5 კომლი, 24+19=43 სული.
სამოვი
ურთაევი – 2 კ.
ცაბალოვი
თუაევი
სამიშვილი – ამოწყდა
საოჯახო ენა – ქართული და ოსური.

1 კომლი ურთაევი 1873 წლის აღწერით ორ ადგილზეა ჩაწერილი, აქ და წეროვანში.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ქვემო უხათში **31 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წლის აღწერაში უხათი ერთ სოფლადაა წარმოდგენილი. ამ დროს სოფელში **171 კაცი** (24 კომლი) მკვიდრობდა.

ზემო უხათსა და ქვემო უხათში ეთნიკური ოსები თრუსოდან იყვნენ გადმოსახლებული, პირველ მათგანში XIX საუკუნის 1800-იან წლების დასაწყისში, მეორეში – 1840-1850-იან წლებში.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი კობი

1802 წელს კობში 10 ოჯახი და 70 სული (41 კაცი, 29 ქალი) ცხოვრობდა.
1831-1832 წელი (გვ. 21-124)
15 კომლი, 46+36=82 სული. ოსები.
თავაევი – 8 კ.
თაკოევი – 1 კ.
მაკიევი – 1 კ.
პალაჩიევი – 1 კ.
ბიჩანოვი – 1 კ.
სალბიევი – 1 კ.
ქრისტიანები, ხვნა-თესვა და მეცხვარეობა.
1860 წელი, (232-241).
31 კომლი, 110+89=199 სული.
თავაშვილი – 9 კ.
თოკაშვილი – 4 კ.
ქოსაშვილი – 3 კ.
ბიგანაშვილი – 2 კ.
კოდიევი – 1 კ.

ქოქოშვილი – 1 კ.
ცოლოგიშვილი – 2 კ.
სალბიშვილი – 1 კ.
აბაშვილი – 1 კ.
მოსოსტოვი – 2 კ.
გადმოსახლებულები:

1. ხოტი მოსტოს ძე ოქროშვილი, 70 წლის – გადმოსახლდა გორის მაზრის ჯავის უჩასტკის სოფელ მაგადან 1848 წელს;

2. დოკე კორიშვილი – გადმოსახლდა ალმასიანიდან 1852 წელს;

3. მ. ხ. ცოლოგიშვილი, 45 წლის – გადმოსახლდა სოფელ მნადან 1848 წელს;

4. ც. გ. აბაშვილი. 35 წლის – გადმოსახლდა გორის მაზრის ოსეთის უჩასტკის სოფელ სილბადან 1845 წელს;

5. ზაქო მისტიას ძე ოქრუაშვილი, 80 წლის – გადმოსახლდა სოფელ უხათიდან 1845 წელს;

6. კუცურა ქუძის ძე ბეროზაშვილი, 40 წლის – გადმოსახლდა გიმარადან 1859 წელს.

1886 წელი, (254-3-1806/42-60).

31 კომლი, 123+104=227 სული. «свод»-ებით 41 კომლი, 152+112=264 სული. 8 მამრობითი რუსი, 32 კომლი (129+110 სულ) ოსი და ქართველი 9 კ. (10+2) სულს

თუაევი
თაკოევი
კაცაევი
კარაევი
სალბიევი
აბაევი
კასაევი
ბიგალოვი
ორხოევი
ცალაგოვი
კოკოევი
მისოსტოვი

ამ სოფლის მკვიდრ ოსებს საოჯახო სალაპარაკო ენად მიწერილი აქვთ – ქართული.

№15 კაციევი – გადასახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ხუმალაგში.

№24 სალბიევი – 12 წელია გადასახლდა ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ხუმალაგში.

№16 ოქროევი – გადასახლდა ვლადიკავკაზში 1886.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით კობში **254 კაცი** ცხოვრობდა. კობში 1926 წელს **205 კაცი** (11 კომლი) მკვიდრობდა.

სოფელ კობში ოსები პირველად XIX საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ. ესენი იყვნენ თრუსოდან გადმოსახლებული თავაევები/თუაევები/თავაშვილები ანუ ადრინდელი თვაურები (თავაურები). შემდეგ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში კობში ხდებოდა ეთნიკური ოსების მიგრაცია, რასაც 1860 წლის აღწერის მინაწერებიც ადასტურებს. ნ. ვოლკოვას მონაცემებით, ქურთათის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებული ბიზიკოვები და ზლიევები, ჟბიდან – აბაე-

ვები და გაძიევები. მათი აქ გადმოსახლების მიზეზი მცირემიწიანობა ყოფილა. სოფელში ოსთა დასახლება ძირითადად განპირობებული იყო მისი სამხედრო გზაზე მდებარეობით და იმით, რომ ის სასოფლო საზოგადოების ცენტრს წარმოადგენდა. ი. კლაპროტი კობის შესახებ წერდა: „კობში მცხოვრებ ოსებს უწოდებენ კობი-აბაითის“ და მეტწილად წარმოადგენენ მთებიდან გამოქცეულებს; მათ იქ ხალხი დახოცეს და აქ გადმოსახლდნენ, რათა სისხლის აღება აეცილებინათ თავიდან“.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი ახალსოფელი/ნავაკავი

1802 წლის დოკუმენტში ეს სოფელი ნახსენები არაა.

1831-1832 წელი (გვ. 127-130)

10 კომლი, 40+34=74 სული. ოსები

აბაევი – 3 კ.

აგაევი – 1 კ.

ოქროშვილი – 1 კ.

ნეფიშვილი – 1 კ.

კალოევი – 1 კ.

ჯატიევი – 1 კ.

1860 წელი (გვ. 255-257)

10 კომლი, 22+15=37 სული

აგაშვილი – 3 კ.

აბიაშვილი – 1კ.

ძილიშვილი – 2 კ.

კაკოევი – 1 კ.

ოსიაშვილი – 1 კ.

აბაშვილი – 1კ.

კალოშვილი – 1 კ.

1873 წელი, № 257.

9 კომლი, 31+27=58 სული

აგაევი – 3 კ.

აბაევი – 1 კ.

ძილიევი – 2 კ.

კალოევი – 2 კ.

სამოვი – 1.

1886 წელი (254-3-1814/29-34)

10 კომლი, 36+26=52 სული. «свод»-ებით 11 კომლი, 38+31=69 სული.

აგაევი – 4 კ.

ძილიევი – 2 კ.

სამოვი – 1 კ.

აბაევი – 1 კ.

კალოევი – 1 კ.

საოჯახო სალაპარაკო ენა – ქართული.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ახალსოფელში (ნავაკავ-

ში) **110 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **205 კაცი** (35 ოჯახი) იყო აღრიცხული.

1831-1832 წლების კამერალური აღწერის დავთარში სოფელი ქართული სახლწოდებითაა დაფიქსირებული – ახალსოფელი. შემდეგ წლების აღწერაში ოიკონიმი უთარგმნიათ და ნავაკავად/ნოგყაუდ ჩაუწერიათ. მისი მკვიდრნი ძირითადად თრუსოდან 1810-1820-იან წლებში იყვნენ გადმოსახლებული.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი ოქროყანა

1802 წელს რუსების მიერ შედგენილ ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელოში შემავალი სოფლების ჩამონათვალში სოფელი ოქროყანა ხევის ქართული სოფლების («Деревни грузинския») ჩამონათვალშია შეყვანილი, რომელშიც 15 კომლი (89 სული) ცხოვრობდა.

1831-1832 წელი (გვ. 132-134)

18 კომლი, 70+47=117 სული. ოსები.

ზაგაშვილი – 1 კ.
არჯინაშვილი – 1 კ.
ქოქაევი – 1 კ.
გუდიევი – 8 კ. (სახელები: შიო, კაკა, თომა, თებო, ბეჟან, გოგია, კიტრია).
ბიბუხიევი – 1 კ.
ბიდუხიევი – 4 კ.

სარწმუნოება – ქრისტიანები, მეურნეობა – ხვნა-თესვა და მეცხვარეობა.

1860 წელი, (გვ. 262-268).

23 კომლი, 63+63=126 სული.

გუდიევი – 11 კ.
ზაგაგიშვილი – 2 კ.
ზაკაკიშვილი – 1 კ.
არჯინაშვილი – 2 კ.
დუდიევი – 1 კ.
ბიდიშვილი – 4 კ.
ქოქოშვილი – 1 კ.
ბიდიშვილი (ბადაშვილი?) – 1 კ.

1873 წელი, №257. ოქროყანა

25 კომლი, 53+68=71 სული

გუდიევი – 14 კ.
ბიდიგოვი – 3 კ.
ზაჩევი – 1.
ძაგაგოვი – 4 კ.
არჯიმოვი – 1 კ.
კაკოევი – 2 კ.

1886 წელი, (254-3-1816/10-22)

23 კომლი, 74+62=136 სული. «свод»-ებით 25 კომლი, 78+66=144 სული.

გუდუევი – 13 კ.
ზაგაგოვი – 5 კ.

ბიბილოვი – 1 კ.
არჯინოვი – 1 კ.
ბიდაგოვი – 1 კ.
კაკაევი – 1 კ.

ამ სოფელში ეროვნება ყველას მიწერილი აქვს „ქართველი“. ეტყობა თავდაპირველად ეწერა ოსური («осет.»). მაგრამ მერე გადაუშლიათ და იმავე ხელით დაუწერიათ „ქართველი“ («грузины»). შინაური ენა – ქართული და ოსური.

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით ოქროყანაში **204 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს სოფელში **175 სული** (23 კომლი) მკვიდრობდა. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია ორი სოფელი – ზემო ოქროყანა და ქვემო ოქროყანა. საქართველოში სიტყვა „ოქრო“ საფუძვლად ედო კიდევ რამდენიმე სოფელს: ოქროაძეები და ოქროპილაური (აჭარაში), ოქრობაგეთი (შავშეთში), ოქროსქედი (გურიაში), ოქროს სოფელი (შიდა ქართლში).

სოფლის ძირითადი მკვიდრნი იყვნენ გუდიურები, რომლებიც რუსული აღწერის დავთრებში გუდიევებად არიან ჩაწერილი. გუდიაურების (გუდიაშვილების) გაოსება და გუდიაევებად ჩაწერა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ისინი ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში აღმოჩნდნენ და აგრეთვე საქორწინო ურთიერთობებმა – უპირატესად ოსის ქალებზე დაქორწინებამ.

სოფელი შე(ა)ვარდენი

1831 წელი (გვ. 130-132)
7 კომლი, 27+17=44 სული. ოსები
ბაბეშვილი – 2 კ. (ერთს ჰქვია უძილა)
არჯინაშვილი – 1 კ. (ოჯახის უფროსს ჰქვია ნინია)
ქოქაევი – 3 კ.
საფიშვილი – 1 კ.
სარწმუნოება – ქრისტიანები, მეურნეობა – ხვნა-თესვა და მეცხვარეობა.
1860 წელი, (გვ. 431-435).
9 კომლი, 39+30=69 სული.
ქოქაშვილი – 4 კ.
შავლოხაშვილი – 1 კ.
ბაბეშვილი – 1 კ.
არჯინაშვილი – 1 კ.
1873 წელი, №257
9 კომლი, 45+44=89 სული.
კოკოევი – 5 კ.
საპიევი – 1 კ.
შავლოხოვი – 1 კ.
არჯინოვი – 1 კ.
ბიბიშვილი – 1 კ.
1886 წელი, (254-3-1829/172-179)
10 კომლი, 51+41= 92 სული.
კაკაევი – 6 კ.
შავლოხოვი – 1 კ.

ბაბიშვილი – 1 კ.
სალაევი –1 კ.
არჯინოვი – 1 კ.
საოჯახო ენა – ქართული და ოსური

1910 წლის «Кавказский Календарь»-ის მიხედვით შავარდენში **134 კაცი** ცხოვრობდა. 1926 წელს შავარდენში **52 სული** (9 კომლი) იყო აღრიცხული.

აღწერის დავთრებში შეყვანილი ბაბეშვილები და არჯინაშვილები შევარდენის თავდაპირველ მკვიდრებს წარმოადგენენ, რომლებიც 1774 წლის აღერის დავთარში ბაბეურად და არჯინაულად არიან ჩაწერილი. ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ორივე გვარის წარმომადგენლები გაოსდნენ, რაშიც დიდი როლი ოს ქალებზე დაქორწინებამ ითამაშა.

სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე – „შავარდენი“.

სოფელი თოლგოთი

1802 წელს თოლგოთში 4 კომლი და 15 სული (6 კაცი და 11 ქალი) ცხოვრობდა.

1831-1832 წელი. (გვ. 117)
2 კომლი, 3+4=7 სული. ყველა ოსი.
ბაჩიევი – 1 კ.
ჯაკიევი – 1 კ.
1860 წელი, (391-393).
4 კომლი, 9+9=18 სული.
თაკაშვილი – 2 კ.
ფიდორიშვილი – 1 კ.
სალბიშვილი – 1 კ.
1873 წელი, №257.
3 კომლი. 7+11=18 სული.
ფიდოროვი – 1 კ.
ტაკაევი – 2 კ.
1886 წელი (254-3-1819)
3 კომლი, 6+10=16 სული. «свод»-ებით 4 კომლი, 8+12=20 სული.
თაკაევი – 2 კ.
ფიდიროვი – 1 კ.
საოჯახო ენა – ქართული.
სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

ღუდა (მთიულეთის/თეთრი არაგვის სათავე) და კაიშაურის ველზე მდებარე სოფელი ქუმლისციხე

ღუდა

1831-1832 წლის ღუდის აღწერას შემდეგი მინაწერი აქვს: ღუდაში სულ 5 სოფელია, კომლი – 52, მცხოვრები – 169+108=277 სული.

სოფელი განისი

1831-1832 წელი (254-1-1245, გვ. 196-199)
10 კომლი, 37+25=62 სული, ოსები.
რუბაევი – 1 კ.
გადიევი – 3 კ.
ჯერტელიევი – 2 კ.
ჯიგაევი – 2 კ.
კოროევი – 1 კ.
საამოვი – 1 კ.
1860 წელი, (254-2-250/86-90)
14 კომლი, 41-+43=84 სული.
რუბაშვილი – 1 კ.
გადიშვილი – 4 კ.
გადიევი – 2 კ.
ზაგოშვილი – 3 კ.
ჟესპოლიშვილი – 1 კ.
ჯესმელაშვილი – 1 კ.
კორაშვილი – 1 კ.
ჩაბოლიშვილი – 1 კ. ამას ჰყავს ძმიშვილი – დუდარი, რომელიც გადმოსახლებულია ხევის უბნის სოფელ აბანოდან.
1873 წელი, (254-3-229/237-242)
9 კომლი, 40+41=81 სული.
რუბაშვილი – 1 კ.
გოდიშვილი – 4 კ.
ჟერთელიშვილი – 1 კ.
გიგოშვილი – 1 კ.
კოროშვილი – 1 კ.
1886 წელი, (254-3-1796/138-140).
10 კომლი, 48+32= 80 სული. «свод»-ებით 11 კომლი, 49+32=81 სული.
გაჯიშვილი – 1 კ.
გიგოშვილი – 1 კ.
კოროშვილი – 1 კ.
ჟერთელაშვილი – 1 კ.
გადიშვილი – 1 კ.
ძიგოშვილი – 1 კ.
სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე. 1926 წლის აღწერაში განისი ორ სოფლადაა წარმოდგენილი – ზემო განისი (5 ოჯახი, ოჯახი, 21 სული) და ქვემო განისი (6 კომლი, 58 კაცი).

სოფელი მიქეთი

1831-1832 წელი, (254-1-1245, გვ. 195-196)
5 კომლი, 25+12=37 სოფელი. ოსები.
რუბაევი – 2 კ.

კოდონურიევი – 3 კ.
1860 წელი. (254-2-227/165-167)
7 კომლი, 26+25=51 სული
რუბაშვილი – 2 კ.
კაზრიშვილი – 3 კ.
კაბანაშვილი – 1 კ.
1873 წელი, №257.
8 კომლი, 34+33= 67 სული.
ხოზსუროვი – 1 კ.
რუბაევი – 3 კ.
კაზბანაშვილი – 1 კ.
კოზუროვი – 3 კ.
[5-ვერსანი რუკით მიქეთი იგივე სოფელი ერხოტია. ეს სახელი მიქეთს ფრჩხილებში აქვს მიწერილი]
1886 წელი, (254-3-1813/47-53).
9 კომლი, 26+26=52 სული. «свод»-ებით 10 კომლი, 27+26=53 სული.
ხოზაუროვი 2 კ.
რუბაევი – 3 კ.
კაზუროვი – 3 კ.
კაზბანაშვილი – 1 კ.
მიქეთში 1926 წელს 7 კომლი და 41 კაცი ცხოვრობდა. სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი ხატისოფელი

1831-1832 წელი, (254-1-1245, გვ. 192-194)
14 კომლი, 39+28=53 სული, ოსები.
საამოვი – 6 კ.
რუბაევი – 6 კ.
ჯავაევი – 1 კ.
ბურჯიევი თუ გურჯიევი – 1 კ.
1860 წელი, (254-2-227/304-306)
10 კომლი, 33+27=60 სული.
სამიშვილი – 3 კ.
რუბაშვილი – 6 კ.
ფორნიში – 1 კ.
1873 წელი, №257.
10 კომლი, 31+37=68 სული.
1886 წელი, ხატის-სოფელი (254-3-1820/103-109).
12 კომლი, 41+44= 85 სული. «свод»-ებით 14 კომლი, 44+44=88 სული.
რუბაევი – 9 კ.
სალიშვილი – 3 კ.
სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე. ამავე სახელწოდების სოფელი იყო ქვემო ქართლშიც. 1926 წლის აღწერაში სოფელი ხატის-სოფელი არ ჩანს.

სოფელი ერეთო

1831-1832 წელი (254-1-1245, გვ. 187-189)
12 კომლი, 34+21=55 სული, ოსები.
ჯანაევი – 4 კ.
რუბაევი – 1 კ.
ტაკაევი – 2 კ.
კილჯიკოვი – 2 კ.
გადიევი – 2 კ.
ჩიგოევი – 1 კ.
შაამოვი – 1 კ.
1860 წელი (254-2-250/292-296)
14 კომლი, 58+50=108 სული
ჯანაშვილი – 3 კ.
რუბაშვილი – 2 კ.
გადიშვილი – 3 კ.
ჩუგოშვილი – 1 კ.
კილჯიკაშვილი – 2 კ. გადმოსახლდნენ დუშეთის მაზრის სოფელ კადუეთიდან
სამიშვილი – 3 კომლი. გადმოსახლდნენ ხატის-სოფელიდან.
1873 წელი, №257.
16 კომლი, 43+57=100 სული
ჟანაშვილი – 7 კ.
რუბაევი – 3 კ.
კელგიკოვი – 1 კ.
გადიშვილი – 3 კ.
სამიშვილი – 1 კ.
ჩაგოშვილი – 1 კ.
1886 წელი (254-3-1830/42-72)
20 კომლი, 74+62=136 სული. «свод»-ებით 20 კომლი, 75+64=139 სული.
ჟანაშვილი – 7 კ.
რუბაევი – 1 კ.
გადიშვილი – 1 კ.
გადიაშვილი – 1 კ.
სალიშვილი – 1 კ.
შაშაშვილი – 1 კ.
ჩაფოშვილი – 1 კ.
1 კომლი გადიშვილი აღწერის შემდეგ გადასახლდა, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ბალთაში.

1926 წლის აღწერით ერეთოში **78 კაცი** (11 კომლი) იყო აღრიცხული. სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე. ერეთი იყო ზემო იმერეთში.

სოფელი გალმასოფელი, იგივე ურმის–სოფელი

1831-1832 წელი (254-1-1245, გვ. 189-191)
10 კომლი, 34+22=56 სული. ოსები.

ისარაევი – 4 კ.
თაკაევი – 6 კ.
1860 წელი, (254-2-227/290-292)
9 კომლი, 29+29=58 სული
ჩაბოლიშვილი – 6 კ.
თავაშვილი – 1 კ.
ცაბოლიშვილი – 1 კ.
თაყაშვილი – 1 კ.
1873 წელი, №257.
6 კომლი, 30+28= 58 სული
თავაშვილი – 1 კ.
ჩაბოლოვი – 2 კ.
თაყაშვილი – 2 კ.
ჩაბადოვი – 1 კ.
1886 წელი.
8 კომლი, 34+36=70 სული. „სვოდის“ მონაცემებით, 10 კომლი, 38+36=74 სული
თაყაშვილი
ჩაბალოვი
1926 წელს ურმის-სოფელში **44 კაცი** (7 კომლი) ცხოვრობდა. სოფელი ორივე სახელწოდებით დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

სოფელი ქუმლისციხე

1802 წელს ქუმლისციხეში 13 კომლი და **80 სული** იყო აღრიცხული.
1831-1832 წელი (254-1-1245, გვ. 201-209)
16 კომლი, 75 სული, ოსები.
ცივიევი – 2 კ.
ბზიკიევი – 2 კ.
ჩაბალიევი (ჩალაგიევი?) – 2 კ.
ჩალაგიევი – 1 კ.
ჯივიევი – 2 კ.
ქისილიევი – 1 კ.
ჯავაევი – 4 კ.
კოკოევი – 1 კ.
1860 წელი (254-2-227/86-90)
17 კომლი, 35+44=79 სული.
ჯავაშვილი – 5 კომლი
ჩალაგაშვილი – 2 კ.
ქოქაშვილი – 4 კ.
რუბაშვილი – 1 კ.
ბზიკიშვილი – 2 კ.
ცივაშვილი – 2 კ.
1873 წელი.
15 კომლი, 36+36=72 სული.
ცივაევი – 1 კ.

ჩალაგოვი – 1 კ.
ქოქაშვილი – 1 კ.
ბიჩიკოვი – 1 კ.
ჩიბაევი – 5 კ .
კაკაევი – 4 კ .
რუბაევი – 1 კ.
რუსაევი – 1 კ.
1886 წელი (254-3-1807)
14 კომლი, 39+31=70 სული
ჩავიევი
ქოქაშვილი
ჩავიევი
ღუბაევი
ჩიგოევი
ბიზიკოვი
კოკიევი
დულაევი
სალაპარაკო ენა (საშინაო ენა) – ოსური და ქართული.

1926 წელს ქუმლისციხეში **129 კაცი** (15 კომლი) მკვიდრობდსა. სოფელი დატანილია ხუთვერსიან რუკაზე.

თერგის ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია და დაზვერვები თრუსოში

გიორგი გოგოჭური

ხევის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია

არაგვისა და თერგის ხეობებზე უძველესი დროიდანვე გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას. ისტორიული წყაროებით და არქეოლოგიური მასალებით კარგად ჩანს ამ მაგისტრალის არა მარტო რეგიონალური არამედ საერთაშორისო მნიშვნელობაც[1]. ზუსტად გზამ და აქ არსებულმა ბუნებრივმა რესურსებმა, განაპირობა საქართველოს ამ რეგიონში ისტორიულ-არქიტექტურულ და არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე. ხევი მუდმივად იყო სამხრეთული და ჩრდილოური კულტურათა საკონტაქტო ზონა, რაც კარგად აისახებოდა ხოლმე მატერიალურ კულტურასა თუ ყოფაში. ამიტომაც არის, რომ არქეოლოგიურ მასალების მიხედვით უწყვეტად ჩანს ურთიერთკავშირები სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ თერგის ხეობის ზემო წელი (თანამედროვე ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) არქეოლოგიურად თანაბრად არ არის შესწავლილი. არქეოლოგიური გათხრები, ძირითადად მოიცავდა, სოფელ კობის ქვემოთ, მდინარე თერგის ორივე მხარეს ლარსამდე. თითქმის შეუსწავლელია სნოს ხეობა, სოფელ მნას შემოგარენი და მის სიახლოვეს არსებული ნასოფლარები. არქეოლოგიურ რუკაზე ასევე თეთრ ლაქად რჩება თრუსო. ეს ორი უკანასკნელი მიკრორაიონი, დღემდე, არქეოლოგიურად არა თუ შესწავლილი, დაზვერილიც კი არ ყოფილა.

ხევში შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა 1852 წელს. სოფელ სტეფანწმინდაში მიწის სამუშაოების დროს წაწყდომიან ნივთებს. იმავე სოფელში 1871 წელს სამლოცველოსთან გზის გაყვანის დროს მუშებს გაუთხრიათ სამარხები, სადაც სამარხეული ინვენტარი უპოვიათ. ხევის სიძველეებმა მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 1974 წლიდან, მას მერე, რაც ამჟამინდელ ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების ბრინჯაოსა და ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები[2].

თერგის აუზის სათავეებში, ბრინჯაოს ხანის ძეგლები გასული საუკუნის ბოლომდე ცნობილი არ ყოფილა. გაჩნდა აზრი თითქოს საქართველოს ეს რეგიონი ბრინჯაოს ხანაში ათვისებული არ ყოფილა. თუმცა, გასული საუკუნის ბოლოს

1 დ. მინდორაშვილი დარიალის გზის ისტორიიდან, ძიებანი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №11, თბ. 2003, გვ. 95.

2 ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1976, გვ. 5-6; Д.Н. Анучин, Доисторическая археология Кавказа, Журнал министерства народного просвещения, январь ССХХXI. М. 1884, с.208-217. П. С. Уварова, Мтериалы по Археологии Кавказа, выпускь VIII. М.1900, стр. 139-155.

ხევში ადგილი ჰქონდა შემთხვევით აღმოჩენებს, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრებრინჯაოს ხანაში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს უნდა ეცხოვრათ. 1991 წელს მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე სოფელ ტყარშეტში, სათბურის საძირკვლის გაჭრის დროს, უპოვნიათ თიხის ორი ჭურჭელი. აღმოჩენილი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურას მიკუთვნება. არქეოლოგი დ. მინდორაშვილი აღნიშნულ ჭურჭელს, მართებულად, მიიჩნევს სამარხეულ ინვენტარად[1]. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარის არსებობა ივარაუდება სნოს ხეობაშიც, სოფ. ჯუთის სიახლოვეს ადგილ ნადარბაზალის მიდამოებში[2].

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატებიდან, ყველაზე ადრეულია ე.წ. ბრინჯაოს კახური ტიპის მთლიანად სხმული სატევარი, რომელიც ძვ.წ. II. ათასწ. დასასრულით, ან ძვ. წ, I ათასწ. დასაწიყსით უნდა დათარიღდეს. მეორე ნივთი კი – ბრინჯაოს აბზინდა ძვ. წ. VII-VI საუკუნეებს განეკუთვნება. ორივე ნივთის წარმომავლობა უცნობია. ისინი, როგორც ჩანს, სამარხეულ ინვენტარს უნდა წარმოადგენდნენ.

სტეფანწმინდის სიძველეებისადმი ინტერესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაჩნდა „ყაზბეგის“ განძის აღმოჩენის შემდეგ. შემთხვევის ადგილზე გათხრები ჩაატარეს რუსმა და უცხოელმა არქეოლოგებმა და საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტებმა. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში დაწყებული საველე კვლევა-ძიება გაგრძელდა XX საუკუნეშიც.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ ყაზბეგის „განძის“ აღმოჩენის ისტორიას და მეცნიერების მოსაზრებებს ამ არქეოლოგიურ კოლექციაზე. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ვერცხლის თასში მოთავსებული ბრინჯაოს სარიტუალო ნივთების ჯგუფმა. გარდა აღნიშნული არტეფაქტებისა, იქვე კულტურულ ფენასა და სამ სამარხში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის ბრინჯაოს სამკაულები, მძივები, რკინის ნივთები.

მოგვიანებით, აღმოჩენის ადგილზე, 1877 წელს, რუსეთის საიმპერატორო კარის არქეოლოგიური კომისიის დავალებით გ. ფილიმონოვმა ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები. მუშაობის პროცესში, მან ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება, ერთ-ერთ საღამოს ობიექტი დატოვა უმეთვალყურეოდ და მეორე დილით ობიექტი გადათხრილი და გაძარცვული დახვდა. მოპარული ნივთები მოგვიანებით კერძო კოლექციონერების ხელში აღმოჩნდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საველე კვლევა-ძიების შედეგად მაინც დიდი რაოდენობით არქეოლოგიური ნივთები იქნა ნაპოვნი (საჭურველი, ცხენის აღკაზმულობა, ჭურჭელი, სარტყლის მოწყობილობა, სამკაული და საკულტო დანიშნულების საგნები – უპირატესად ქანდაკებები და ზარაკები. ნივთები დამზადებულია ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს მასალისგან). არქეოლოგიური კოლექცია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ყაზბეგის განძის“ სახელით. გ. ფილიმონოვი აღნიშნულ მონაპოვარს რკინის გამოჩენის პირველ პერიოდს

1 დ. მინდორაშვილი მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მდ. თერგის ხეობიდან, ძეგლის მეგობარი, №2, თბ. 1993, გვ.33-34.

2 არქეოლოგიური ობიექტს მიაკვლია და თიხის ჭურჭლის ნატეხები შეაგროვა სოფ. ჯუთის მკვიდრმა, ტრაგიკულად დაღუპულმა, ახალგაზრდა პოეტმა გოგიტა არაბულმა. სამწუხაროდ მის სიცოცხლეში ვერ მოესწრო აღმოჩენის ადგილის დაზუსტება, რის გამოც დღემდე უცნობია ამ ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა.

მიაკუთვნებდა[1]. ყაზბეგის მასალები ინახება მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, პეტერბურგში ერმიტაჟის ფონდებში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

„განძის“ აღმოჩენის ადგილი, 1878 წელს, მოინახულა და გათხრებიც ჩაატარა გერმანელმა მეცნიერმა ფრ. ბაიერნმა. მის მიერ გამოვლენილი იქნა ოქროს და ვერცხლის ნაკეთობები, ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული სამკაულები, ბრინჯაოს სამაჯურები, მძივები, რკინის შუბისპირები, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები და სხვ.[2]

ფ. ბაიერნმა მცირე გათხრები ჩაატარა დარიალშიც, თამარის ციხეზე, ასევე სოფელ ართხმოსა და ჯუთის მიდამოებში. ამ სოფლებში მას გაუთხრია შუა საუკუნეების ქვაყუთები, სადაც აღმოჩენილა სხვადასხვა სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული აქსესუარები: ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, სამაჯური, ფარაკიანი ბეჭდები, ღილები, მოჭიქული ავგაროზი, რკინის ისრისპირები და სხვ.[3]

სტეფანწმინდაში 1879 წელს, მცირე გათხრების ჩასატარებლად, საგანგებოდ ჩამოვიდნენ ს. და პ. უვაროვები, ვ. ანტონოვიჩი, კ. ოლშევსკი და სხვა არქეოლოგები. მათ, ფ. ბაიერნის გათხრილი ფართობის სამხრეთით, გაჭრეს სადაზვერო თხრილი, სადაც დაფიქსირდა კულტურული ფენა და გამოვლინდა სამი სამარხი. აღმოჩენილი ნივთიერი მასალა: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, რამდენადმე მოგვიანოა გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილ არტეფაქტებთან შედარებით, თუმცა ისინი აშკარად წარმოაჩენენ ყაზბეგის განძის ნივთების ტექნოლოგიური ტრადიციის გაგრძელებას, რაც მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეზე მიანიშნებს.[4]

1882 წელს სოფელ გველეთთან გათხრები უწარმოებია, მოყვარულ არქეოლოგ გ. ხატისოვს. მის მიერ აღმოჩენილი ნივთები: ზამბარიანი საკინძები, ბრინჯაოს სარკეები, სამაჯურები, მძივები და სხვ. დათარიღებულია გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეებით.[5]

1888 წელს სტეფანწმინდაში გათხრები ჩაატარა არქეოლოგიური კომისის თავჯდომარემ ა. ბობრინსკიმ. გათხრების შედეგად აღმოჩნდა დამუშავებული, გათლილი ქვის ფილა, რომლის ირგვლივ ეყარა სხვადასხვა ნივთები: ორნამენტირებული ოქროს ფირფიტა, ავგუსტუსის ვერცხლის დენარი, ორი ბეჭდის თვალი, 140 ცალი მძივი, ბრინჯაოს სამი მთლიანი და ერთი გატეხილი ბეჭედი, ბრინჯაოს ზარაკი, ბრინჯაოს ჯაჭვი. მოპოვებული ნივთები განეკუთვნება ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებს.[6]

---

1 ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1976, გვ. 6; ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები II (მასალის პუბლიკაცია), თბ. 2004, გვ. 3-4; Г. Д. Филимонов О доисторической культуре в Осетии, Из протоколов заседании комитета по устройству антропологической выставки, сб. Общество любителей естествознании антрополгии и этнографии, М. 1878 с. 26-33.

2 ლ. წითლანაძე, თბ. 2004 გვ. 4; F.Bayern, Untersuchungen über die eltesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, Zeitschrift für ethnologie, supplement. 1885 Berlin, z. 41-45.

3 Коллекции Кавказского музея, Изд. Г.И. Радде, т. V, Археология, сост. П. С. Уварова, Тиф.1902, с. 39; F.Bayern, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-45.

4 В.Б Атонович, Дневник раскопок веденных на кавказе 1879 года, Сборник, V археологический съеззд в Тифлисе. М. 1882, с 253-255.

5 ლ. წითლანაძე, 1976, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

6 Отчет археологической комисии за 1882 год, СПБ 1889, с. 229.

თერგის ხეობაში 1934-1935 წწ. მუშაობდა არაქეოლოგი ა. კრუგლოვი. მან იმუშავა დარიალის ციხეზე. მოპოვებული მასალა დათარიღებულია VIII-X სს. ა. კრუგლოვმა არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა აგრეთვე ლარსში, სადაც შეისწავლა სამაროვანი. ა. კრუგლოვმა დაზვერა „ყაზბეგის განძის“ აღმოჩენის მიდამოები, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს ყაზბეგის ერთ-ერთ ხატთან არსებულ ქვის ყრილში უნახავს ქვისგან გამოთლილი ცხვრის ქანდაკება, რომლის მსგავსიც, ცნობილია სოფ. ცდოდან. ეს ცხვრის ქანდაკება, სოფელში, დღეს სალოცავადაა ქცეული.[1] არქეოლოგიური ნივთის კულტის ობიექტად ქცევა, როგორც ჩანს უცხო არ ყოფილა ხევისთვის[2].

ხევის ტერიტორიაზე ყაზბეგის „განძი“ დღემდე, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საინტერესო არქეოლოგიურ აღმოჩენას. გვიანობამდე, ყაზბეგის ნივთიერი მასალა ითვლებოდა ამ რეგიონის უძველეს მონაპოვრად. ყაზბეგის „განძი“, გარდა გამთხრელებისა, მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა. მკვლევართა შორის, თავიდანვე, არ ყოფილა ერთიანი აზრი ამ არტეფაქტების წარმომავლობის შესახებ, ზოგიერთი მათ მიიჩნევდა განძის კუთვნილებად, ზოგი კი სამარხეულ ინვენტარად.

დ. ანუჩინი თავის ნაშრომში: „კავკსიის ისტორიამდელი არქეოლოგია“, არ იზიარებდა გ. ფილიმონოვის მოსაზრებას ყაზბეგის ნივთების სამარხეულ წარმომავლობაზე და მათ „განძად“ მიიჩნევდა. ასევე უარყოფდა ბაიერნის აზრს იმის შესახებ, რომ მის მიერ ყაზბეგში ნაპოვნი რკინის ნივთები გვიანდელი იყო დანარჩენ ნივთებთან შედარებით. დ. ანუჩინი რკინის ნაწარმსაც განძის თანადროულად თვლიდა.[3]

ყაზბეგის აღმოჩენების პუბლიკაციას და კვლევას დიდი ადგილი დაუთმო პ. უვაროვამ. მან, 1879 წლის, გათხრების შედეგები გამოაქვეყნა თავის მოგზაურობის დღიურში. მკვლევარმა, ასევე, გამოაქვეყნა ყაზბეგში აღმოჩენილი მასალების, შედარებით, სრულყოფილი აღწერილობა. პ. უვაროვას ცალკე გამოყოფილი აქვს გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილი ნივთები და მას „განძს უწოდებს“.[4] ყაზბეგის

1 А. П. Круглов, Археологические работы на Терек. Советская археология, т.3, М-Л. 1937, с. 247-248.

2 გ. ჯალაბაძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში – „მიწათმოქმედება თერგის ხეობაში“ – წერს: დაახლოებით ერთი საუკუნის წინ სოფ. უხათის მკვიდრს სოზარი ტუაევს ხვნის დროს უპოვია ბრინჯაოს პატარა ფიგურა, რომელიც ფორმით ზოომორფულ-ანთროპომორფული ხასიათისა ყოფილა. მიწაში ნაპოვნი არქეოლოგიური არტეფაქტი ხასიათდებოდა კარგად გამოსახული თავით, ცხვირით და თვალებით, ხოლო ტანი დაფანჯრული ანუ ჭვირული ჰქონია. ფიგურა თურმე მთავრდებოდა კვირისთავისებრი დაბოლოებით, რომელიც ტანისგან გამოყოფილი ყოფილა მოკლე ყელით. თავს უკანა მხარეზე ჰქონდა ყულფი. ფიგურის პოვნა ტუაევებს ღვთის მოვლენად ჩაუთვლიათ. მპოვნელს ამულეტისთვის აუგია პატარა ნიში, რომელშიც თარო მოუწყვია და შიგ დაუსვენებია ფიგურა. შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთი და მისთვის აშენებული ნიში იქცა ტუაევების სალოცავად. ახალწელს ამ ნიშთან აღნიშნული გვარის წარმომადგენლებს ქადები მიჰქონდათ და ბარაქასა და ხვავრიელებას შესთხოვდნენ. იხ. გ.ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII–B, გვ. 201-237; რედ.შ. ხანთაძე. თბ.1961, გვ. 224-225.

3 Д.Н. Анучин, Доисторическая археология Кавказа, Журнал министерства народного просвещения , январь CCXXXI. М. 1884, с.208;

4 П. С. Уварова. Путевые заметки, М. 1887; П. С. Уварова, Материалы по Археологии Кавказа, выпускь VIII. М.1900, стр. 139-155, таб. LXVIII-LXXI;

არქეოლოგიურ მასალას იკვლევდნენ: ი. სმირნოვი, ა. მილერი, ა.კალიტინსკი, ჰ. მობიუსი.[1]

ბ. კუფტინი თავის ნაშრომებში მრავალგზის ეხება ყაზბეგის განძსა და სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს. იგი ყაზბეგის განძს აქემენიდურ ხანას მიაკუთვნებდა, ხოლო სამარხებს ოდნავ მოგვიანო ხანით, გვიანაქემენიდურ და ელინისტური ხანით ათარიღებდა[2].

ყაზბეგის განძის დათარიღებას, მის კულტურულ კუთვნილებას და გავრცელების საკითხს შეეხო არაერთი რუსი არქეოლოგი. ყაზბეგის კოლექცია განსაკუთრებით იმ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რომლებიც ყობანური კულტურის ფენომენს იკვლევდნენ და იკვლევენ დღესაც. არქეოლოგი ე. ალექსეევა, განიხილავს რა ჩრდილოეთ კავკასიის ყობანური კულტურის ძეგლების ცენტრალური ვარიანტს და დათარიღების საკითხს, ჩერდება ყაზბეგის განძზე და სამარხეულ მასალებზე. მისი აზრით ყაზბეგის განძი თარიღდება ძვ. წ. VI–IV სს-ით, ხოლო სამარხეული და სხვა მონაპოვარი ძვ. წ. III ს. და ახ. წ. III ს-ით. იგი ყაზბეგურ მასალებს ყობანური კულტურის კუთვნილებად მიიჩნევს, თუმცა ერთი ნაწილის ამიერკავკასიური წარმომავლობასაც არ გამორიცხავს[3]. ვ. კოზენკოვა, რომელიც რუს მეცნიერთა შორის ყობანური კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარად ითვლება, ყაზბეგურ მასალებს, ყველას ერთად აღებულს, ყობანური კულტურის ცენტრალურ კავკასიური ვარიანტის კუთვნილებად აცხადებს.[4]

არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი ყაზბეგის განძში არსებულ ზოგიერთი ნივთების პარალელებს ხედავდა ზემო რაჭაში (ბრილში) გათხრილი სამაროვნის ძვ. წ. VII-VI საუკუნის სამარხეულ ინვენტარში. იგი ხაზს უსვამდა მათ ადგილობრივ წარმოავლობას, მჭიდრო კავშირს კოლხურ კულტურასთან, ხოლო ყობანურთან სიხლოვე ეჭვს იწვევდა. გ. გობეჯიშვილი კოლხურ-ყობანური კულტურის ურთიერთობაზე საუბრისას აშკარად მიანიშნებდა კოლხური კულტურის ჩრდილოეთით გავრცელებაზე. იგი სკვითურსა და სამხრეთ რუსეთის კულტურებშიც ხედავს კოლხური კულტურის ნაკადს[5].

ი. გაგოშიძე თავის ნაშრომში, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ქართული ოქრომჭედლობის ისტორიის შესწავლას ეძღვნება, განიხილავს ყაზბეგის მუზეუმის ეზოში აღმოჩენილ ოქროს სამკაულებს და გამოთქვამს მოსაზრებას მათი წარმოშობისა და თარიღის შესახებ. ის ქართულ ოქრომჭედლობაში გამოყოფს ოთხ პერიოდს. მეორე პერიოდში, რომელიც ემთხვევა იბერიის და კოლხურ სახელმწიფოების წარმოშობას და განვითარებას (ძვ. წ. V-IV სს.), ათავსებს ვანის, ალგეთის, ზემო რაჭის

1 Я.И. Смирнов Восточноесеребро. С-П. 1909; А.А. Миллер, Изображения собаки в Древностях Кавказа, Известия РАИМК,т.2, М. 1929; А.П. Калитинский, Из истории фибулы на Кавказе (Сборник статей посвещенных памяти Кандакова Н.Г.) А рхеолгия, История, Искусство, Византоведения, Прага 1926; Hans Mobius, Kaukasische Glocken an Samos, Marburgen Studien, 1938;

2 Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Трилети, Тб. 1941, с. 32-45.

3 Е. П. Алексеева, Поздне Кобанская Культура центрального Кавказа, ученые записки. Л. 1949, с. 191-257, 214.

4 В.И. Козенкова, Культурно-исторические просесы на северном Кавказе, эпоху поздней бронзы и в ранне железном веке. М. 1996, с. 146.

5 საქართველოს არქეოლოგია, თბ. 1959, გვ. 200-204.

(შრომისუბნის), ითხვისის და ყაზბეგის სამარხების ოქრომჭედლობის ნიმუშებს[1].

მკლევარი ნ. ლორთქიფანიძე თავის ერთ-ერთ მონოგრაფიაში ეხება ყაზბეგის განძში არსებულ ოქროს საყურეებს. სტილისტური ანალიზის შედეგად ის გამოთქვამს მოსაზრებას ამ ნივთების წარმომავლობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ საყურეები ძვ. წ. VI საუკუნეში აქემენიდური და ბერძნული ოქრომჭედლობის ცენტრებში ჩამოყალიბებულ ტენდეციებს ასახავს, მაგრამ თავისებური გადამუშავებით გამოირჩევა[2].

არქეოლოგი ლ. წითლანაძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ხევში, თავის ნაშრომებში, რომელიც თერგის ხეობის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ეძღვნება, ხშირად ეხება ყაზბეგში აღმოჩენილ მასალებს და გამოთქვამს მოსაზრებებს. მის მიერ გამცემულ ორ ნაშრომში გამოქვეყნებულია ყაზბეგის განძისა და სამარხების მასალები[3].

სოფელ ლარსთან, 1958 წელს, მიწის სამუშაოების დროს დაუზიანებიათ სამარხები. მაშინ, მხოლოდ, ერთი სამარხის ინვენტარის შეგროვება მოუხერხებიათ ყაზბეგის მუზეუმის თანამშრომლებს. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, მძივები და სხვ. ინახება ყაზბეგის მუზეუმში[4].

1960 წელს არქეოლოგმა ი. გძელიშვილმა მდინარე თერგის ხეობაში, მის მარჯვენა შენაკად ტერხენას მარცხენა ნაპირზე შეისწავლა ადრე შუასაუკუნეების ნასოფლარი. მან ასევე იმუშავა ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში, მაგრამ ამ გათხრებს რაიმე შედეგი არ ჰქონია[5].

1962 წელს დარიალის ციხეზე და ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიონის სამხრეთი კალთების ბრინჯაოს ხანის ძეგლების შემსწავლელმა არქეოლოგიურმა რაზმმა. სახლმუზეუმის ეზოში გავლებულ თხრილში გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების უინვენტარო სამარხები[6].

დარიალის ციხეზე წარმოებული დაზვერვებისა და გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით (ბრინჯაოს ისრისპირი, ცხოველის სტილიზებული თავებით შემკული საკინძი, აქატის მძივი და სხვ.) მკვლევარები მივიდნენ იმ აზრამდის, რომ დარიალის ციხეზე არსებობდა პირველ საუკუნეზე უფრო ადრეული ფენებიც. ციხის სამხრეთით არსებულ სამაროვანზე რაზმმა შეისწავლა ორი ქვაყუთი. მხოლოდ ერთ მათგანში აღმოჩნდა მინის დაწახნაგებული მძივი.

აღნიშნულმა რაზმმა გადარჩენითი გათხრები ჩაატარა ლარსის მახლობლად, სადაც წყალდიდობის შედეგად გადარეცხილი გზის ქვეშ გამოვლინდა

---

1 ი. გაგოშიძე, მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XXXII-B. თბ. 1976, გვ. 28-29.

2 ნ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული სამკაული, თბ. 2015, გვ. 204, 205.

3 ლ. წითლანაძე, დასახ.ნაშრომები: 1976; 2004; ლ. წითლანაძე: 2017:18-25.

4 ლ. წითლანაძე, დასახ.ნაშრომი: 1976, გვ. 9-10.

5 ლ. წითლანაძე, დასახ.ნაშრომი: 1976, გვ. 10

6 ლ. წითლანაძე, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ექსპედიციის ყაზბეგის რაზმის 1962 წლის ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ. 1963, გვ. 31.

დაზიანებული სამარხები. ლარსის სამარხები დათარიღებულია ადრე შუასაუკუნეებით. მომდევნო, 1964 წელს, ექსპედიციამ იმუშავა დაბა ყაზბეგში და დარიალის ციხეზე. ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოს ჩრდილოეთ მონაკვეთში გაჭრილ თხრილში იპოვა რომბული ფორმის მძივი და სარდიონის მრგვალი მძივი, ისინი მსგავსია ყაზბეგის განძში არსებული მძივებისა[1].

დარიალის ციხეზე, მის სამხრეთ ფერდობის ბოლოზე გაითხარა ოთხკუთხა გეგმის მქონე საცხოვრებლები, რომლებიც შემორჩენილი იყო გეგმის დონეზე. ერთ-ერთ საცხოვრებელში აღმოჩნდა კერა. აქვე დაფიქსირდა ქვით მოკირწყლული ფართობი, რომელიც თავლად იქნა მიჩნეული. არქეოლოგიურ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ნაწარმი. ლითონის ნივთებიდან აღმოჩნდა: რკინის ისრისპირები, დანის ფრაგმენტი, ბრინჯაოს სამაჯურისა და საკინძის ნატეხი. აქვე იქნა ნაპოვნი სარდიონის მძივი და მინის ინკრუსტირებული მძივი. ციხის სამაროვანზე გაითხარა რამდენიმე ქრისტიანული ქვის სამარხი. მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯური და ორი ბეჭედი. სამარხები განეკუთვნება ადრე შუა საუკუნეებს[2]. ექსპედიციამ დაზვერა აგრეთვე სოფლების სიონის, გარბანის და ფხელშეს მიდამოები, სადაც გამოვლენილი იქნა მიწისქვეშა აკლდამები[3].

1966 წელს დარიალის ხეობაში, მდინარე თერგის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ფერდობზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი არკას ან „გიგიას სათიბს“ უწოდებენ, შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხები. ექსპედიციამ, შემთხვევის ადილზე ჩაატარა გათხრები და გამოავლინა 13 ქვის სამარხი. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს მშვილდსაკინძის ნატეხები; მინის, მთის ბროლის და სხვადახვა მასალიგან დამზადებული მძივები; შავი მინის გრეხილი სამაჯურები; ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდები. ერთი ბეჭედის თვალი არაბულ წარწერიან გემმას წარმოადგენდა. სამარხეული მასალიდან ასევე აღსანიშნავია: ვერცხლის ორი არაბული (იემენური) IX ს. მონეტა; მინის სასმისი; ბრინჯაოს კოვზი და სხვ.[4].

„გიგიას სათიბის“ სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილი მასალა, უმთავრესად თიხის ჭურჭელი მსგავსებას პოულობს შიდა ქართლის და სხვა რეგიონის ძეგლებიდან ცნობილ კერამიკულ ნაწარმთან. სამარხებში არსებული სამკაული (მინის გრეხილი სამაჯურები, მინის მძივები, თვალბუდიანი ბეჭდები) კარგად ასახავს იმ ურთიერთობას, რაც ჰქონდა ხევის მოსახლეობას შიდა ქართლთან და ჩრდილოეთ კავკასიის რიგ რაიონებთან (მაგ. კუმბულთა, დარგავი, ჩმი, ლარსი და ა. შ.)[5].

---

1 ლ. წითლანაძე, თბ. 1963, გვ. 33.

2 ლ. წითლანაძე, გ. გობეჯიშვილი, ხევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ. 1964, გვ. 23-25.

3 ლ. წითლანაძე, ხევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, №1, თბ.1977, გვ. 99-103.

4 ლ. წითლანაძე, ა.კახიძე, ზ.შატბერაშვილი 1966 წელს დარიალის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები,სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი. თბ. 1967,გვ. 76-77; ლ. წითლანაძე. ა. კახიძე, ზ. შატბერაშვილი, გიგიას სათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა) ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ.VI, თბ. 1998, გვ. 70-72.

5 ლ. წითლანაძე. ა.კახიძე, ზ. შატბერაშვილი, თბ. 1998, გვ. 72-78.

„გიგიას სათიბის“ სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრები განახლდა 1972 წელს არქეოლოგ გ. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. გაითხარა 38 სამარხი. ფიქალის ფილებისგან შედგენილი სამარხები ორ-სამ იარუსად ყოფილა გამართული. სამარხეული მასალაში წარმოდგენილია: რკინის დანა, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ღილები, ვერცხლის სარკე, მინის ჭურჭლები, სარდიონისა და მინის ინკრუსტირებული მძივები, ნიჟარა „კაური“, შავი მინის ბეჭდები და სხვ. სამარხების ინვენტარიდან ასევე აღსანიშნავია: ოქროს საყურე „მტევნისებური“ საკიდით, ვერცხლის ღილები, თიხის ჭურჭელი, რკინის ცული. სამაროვანი მასალის მიხედვით დათარიღებულია IX-X სს-ით[1].

ამავე ექსპედიციამ დაზვერვები აწარმოა და მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა სოფელ გერგეტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ტერიტორიაზე. ეკლესიის სამხრეთ მინაშენში შესწავლილი იქნა ქვის სამი უინვენტარო სამარხი. ეკლესიის ახლოს გაიწმინდა მიწისქვეშა უინვენტარო აკლდამა, სადაც აღმოჩნდა 14 თავის ქალა. მსგავსი აკლდამები გაითხარა სოფ. გარბანში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, სოფელ სიონის ეკლესიის ზღუდეში. არშის ციხის ტერიტორიაზე, სოფელ ახალციხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ეზოში. აკლდამები ყველა ერთი ტიპისაა: გეგმაში სწორკუთხა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე ოდნავ წაგრძელებული. კედლები ნაშენია მშრალად, მეტ-ნაკლებად დამუშავებული, დიდრონი ქვებით. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ დუღაბიცაა გამოყენებული. გადახურულია ფიქალის ფილებით. კედლიდან გამოშვერილი ქვებით მოწყობილი საფეხურებიანი ჩასასვლელები გამართულია დასავლეთ ნაწილში. აკლდამების ფუნქციონირების ქვედა თარიღია IX–X ს.ს.[2].

მომდევნო წელს ექსპედიცია მუშაობდა სოფ. ტყარშეტში, სადაც შეისწავლა იქ არსებული სამი მცირე ეკლესია და ეკლესიებთან დაკავშირებული სამარხები. ეკლესიები მომცროა და ყველა მათგანი დარბაზული ტიპისაა. ეკლესიები დათარიღებულია IX-დან X–XI სს. მიჯნით[3].

კვირაღვთიშვილის სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთით გაითხრა ფიქალის ფილებით გაწყობილი ორი სამარხი. პირველ სამარხში აღმოჩნდა სამი ჩონჩხი. მიცვალებულები დაუსვენებიათ გულაღმა თავით დასავლეთით. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. მეორე სამარხში მიცვალებული ესვენა თავით დასავლეთით მარცხენა გვერდზე. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. ინვენტარი წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს ხუთი ბეჭედით[4].

მამაწმიდის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთით შესწავლილი იქნა სამი მიწისქვეშა აკლდამა. ისინი გეგმაში ოთხკუთხაა. ნაგებია მშრალად, ფიქალითა და ქვის კვადრებით. გადახურულია განივად გადებული ფიქალის ფილებით. აკლდამებს ჩასავლელი აქვთ სახურავის დასავლეთ ნაწილში. აკლდამების ეს ტიპი დამახასიათებელი ჩანს ხევისათვის. აკლდამებში დადასტურდა მიცვალე-

1 Р. Рамишвили, В.Джорбенадзе, Л.Цитланадзе, К.Церетели, И.Джалагания, Т Арчвадзе, Д.Гвасалиа, З. Каландадзе, Г.Гамбашидзе, Р.Джатиев Результаты работ Жинвальской комплексной археологической экспедиции, сб. Полевые археологические исследования в 1972 г., Тб.1973, с. 75-76.

2 იქვე, გვ. 76.

3 რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. წითლანაძე, კ. წერეთელი, ზ.კალანდაძე, გ. რჩეულიშვილი, მ. მარგველაშვილი, ვ. ჩიხლაძე, ი. წიკლაური, ვლ. ასლანიშვილი, ი. ბაქრაძე, გ. ღამბაშიძე, ჟინვალის ექსპედიცია, არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, თბ.1974, გვ. 71-73.

4 იქვე, გვ. 72.

ბულთა ჩონჩხების მიმოფანტული ნაშთები. აქვე გაითხარა ფიქალის ქვებით შედგენილი ორი ქვის სამარხი. ორივე სამარხი უინვენტაროა[1].

არქეოლოგებისა და არქიტექტორების კვლევის ობიექტი გახდა მყინვარწვერის ფერდობზე არსებული, ძნელად მისადგომი, ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით ადრიდანვე იყო ცნობილი, თუმცა მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. მხოლოდ 1947 წლის ნოემბერში, ადგილობრივ მკვიდრს სპორტის ოსტატს, ცნობილ ალპინისტს ლ. სუჯაშვილს, შეუნიშნავს მყინვარწვერის ციცაბო კლდეზე ჩამოშვებული ჯაჭვი. ამის შემდეგ ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის მოსანახულებლად და მის შესასწავლად 1948 წლის იანვარში მოეწყო ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალპინისტი ალ. ჯაფარიძე. ჯგუფი ავიდა ბეთლემის ძნელად მისასვლელ გამობქვაბულში, სადაც მათ ნახეს ვერცხლის ხატი, ბრინჯაოს შანდლის ძირი, XV-XVIII ს.ს. მონეტები; აგრეთვე რკინით მოჭედილი კარი, ჯაჭვი და სხვ.[2].

ბეთლემის სამონასტრო კომპლექსს, 1978-1980 წლებში იკვლევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ექსპედიცია, რომელმაც ერთ-ერთ სენაკში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები. მოპოვებული მასალა შეიცავდა ლითონის, მინის, თიხის ჭურჭლის, ხის, ძვლის, ქვისა და ვერცხლის ნივთებს. გამთხრელებმა არტეფაქტები დაათარიღეს X–XI საუკუნეებით[3]. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, მოგვიანებით, გამოითქვა აზრი, რომ რიგი ნივთები (მაგ. ჭრაქები, ვერცხლის სამკაულები და სხვ.) აშკარად გვიანდელია და ისინი გვიანი შუა საუკუნეებს მიკუთვნება[4].

იმავე წლებში ექსპედიციის წევრებს კლდის მასივის აღმოსავლეთით უნახავთ წარწერიანი ორი ქვის დაფა, რომელთაგან ერთზე ჯვარიც ყოფილა ამოკვეთილი. ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ხუცურწარწერიანი ქვის შესახებ თავის დროზე ს. მაკალათიაც მიუთითებდა[5]. მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ლოდზე ამოკვეთილი მცირე ზომის ჯვრის ორი გამოსახულება. ექსპედიციამ მოინახულა გამოქვაბული, რომელსიც ახლა მხოლოდ ჯვრის გამოსახულებებით შემკული სტელის ბაზა დევს. ბ. მჭედლიშვილის აზრით, მართალია გათხრებით მოპოვებული მასალები რამდენადმე მოგვიანოა, მაგრამ მონასტრის არსებობა უფრო ადრეულ ხანაშია სავარაუდო. მისი დაარსება საქართველოში მეუდაბნოეობის გავრცელების ხანას – VI-VII სს.-ებს შეიძლება დავუკავშიროთო. თუმცა, როგორც თვითონვე აღნიშნავდა, ამ საკითხის დასაბუთებას სჭირდება შემდგომი კვლევა-ძიება[6].

---

1 იქვე, გვ. 72-73.

2 ვ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია. თბ. 1963, გვ. 56; წიკლაური ლ., ალ. ყაზბეგის სახელობის ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გზამკვლევი, თბ. 1971; გვ. 15-17. ს. ჯაფარიძე. „განდეგილი"-ლეგენდა და სინამდვილე. საქრთველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამართველოს სამეცნიერო შრომების წელინდეული, ტ. I, თბ.1995, გვ. 225-227; Ал. Джафаридзе, Тайник пещеры Бетлеми, Побежденные вершины, М. 1948:228-239.

3 ბ. მჭედლიშვილი, არქეოლოგიური მასალები ბეთლემის ქედიდან, მეცნიერება და ტექნიკა, №1, თბ. 1981, გვ.37-40; ბ. მჭედლიშვილი, ბ.ნიკოლაიშვილი, ბეთლემის მონასტრის არქეოლოგიური მონაპოვარი, ძეგლის მეგობარი, №1, თბ. 1986, 42-50.

4 დ. მინდორაშვილი,არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ. 2005, გვ. 14.

5 ს. მაკალათია. ხევი, თბ. 1934, გვ. 236.

6 ბ. მჭედლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ტრანსკავკასიური გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციის ხევის რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა არქეოლოგი დ. მინდორაშვილი, 1988–1989 წ.წ. საველე კვლევა-ძიებას აწარმოებდა სამშენებლო ზონაში. გათხრები მიმდინარეობდა დარიალის ციხის დასავლეთით მდებარე ფართობზე, აგრეთვე ზედა ციხეზე და ციხის სამხრეთით არსებულ სამაროვანზე. ციხის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის ძირას, V-VI საუკუნეების მიჯნით დათარიღებული გალავნის ქვეშ აღმოჩნდა 6 მ. სისქის მშრალი წყობით ნაგები მასიური კედელი. მეცნიერის აზრით, შესაძლოა მისი აგება უკავშირდებოდეს ქართლის მეფე მირვანის (ძვ. წ. II ს.) სამშენებლო საქმიანობას.[1].

ციხის სამაროვანზე გაითხარა 31 უინვენტარო ქვის სამარხი, რომლებშიც მიცვალებულთა ძვლები ცუდად იყო შემორჩენილი. თუმცა დაკრძალვის ქრისტიანული წესის დადგენა მაინც მოხერხდა[2].

1991 წელს ექსპედიციამ სოფელ გველეთში, ციხის მახლობლად, გათხარა გაზის ტრასის მშენებლების მიერ ნაწილობრივ დაზიანებული, ქვის სამარხები. სამარხის აღნიშნული ტიპი დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ქვის სამარხები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც. სამაროვნის მასალები უაღრესად საინტერესო გამოდგა ადრე და შუა საუკუნეების ხევის მოსახლეობის ისტორიის რიგი პრობლემების გასარკვევად. სამარხეული ინვენტარი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადრე შუა საუკუნეების ხევის კავშირ-ურთიერთობის შესახებ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეებთან, ისე გარე სამყაროსთან. სამაროვანი დათარიღებულია VI ს-ის მიწურულითა და VIII -ის დასაწყისით[3].

არქეოლოგიური დაზვერვები მნასა და თრუსოში

რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში 2020 წლის აგვისტოს თვეში თრუსოსა და მნის შემოგარენში მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია, რომელიც ითვალისწინებდა თერგის ხეობის ამ ორი მიკრორაონის ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების გამოვ-

1 დ. მინდორაშვილი, დარიალის ციხის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ძიებანი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №2, თბ. 1998, გვ. 85.

2 დ. მინდორაშვილი, დაარიალის ციხე (პრეპრინტი), თბ. 1991, გვ.1-6; Р.Рамишвили, В.Джорбенадзе, Г.Чиковани, М. Глонти, Л. Цитланадзе, А. Вучукури, Ц.Робакидзе, М.Маргвелашвили, Г.Рчеулишвили, Ц.Ломидзе, И.Циклаури, Д. Циклаури, Г.Гогочури, М.Миндорашвили, М.Гамехардашвили Археологические исследования в басейнер. Арагви и в верховьях р. Терги ,сб. Полевые археологические исследования в 1988 г., Тб.. 1997, с.105.

3 დ. მინდორაშვილი, ხევი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიიციის დაარსების 25 წლისთავისამდი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ. 1996, გვ. 41-43; დ. მინდორაშვილი, სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი გველეთის სამაროვანზე, ძიებანი №5. თბ. 2000, გვ. 87-94; დ. მინდორაშვილი, გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა I, ძიებანი №6, თბ. 2000 ა, გვ. 78-86; დ. მინდორაშვილი, გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა II, ძიებანი №7, თბ. 2001, გვ. 81-90; დ. მინდორაშვილი, არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ. 2005, გვ. 47, 101.

ლენა-შესწავლას. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ არქეოლოგიურად ეს რეგონი არა მარტო შეუსწავლელია, არამედ დღემდე დაზვერილიც კი არ ყოფილა. ხანმოკლე ექსპედიციის დროს ბუნებრივია შეუძლებელი იყო ყველა არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენა და დაფიქსირება. მითუმეტეს, რომ ექსპედიციის დროს ძირითადად ნასოფლარების დათვალიერაბა მოხდა, რაც საკმარისი არ არის იმსთვის, რომ თრუსოს არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე სრული წარმოდგენა შეგვიქმნას. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამომავლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებისათვის საფუძველი უკვე არსებობს. ხევის არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების რუკა სტატიას დართული აქვს ბოლოში[1].

თრუსოში თერგის ხეობის სათავე ვიწრო და ღრმაა, შემდეგ მანძილზე საკმარისად განივრდება. თრუსოს ქვემო ნაწილში ხორისარის ვულკანიდან ჩამოსული ლავიანი ღვარია, რომელიც მას ავიწროვებს საშინლად და აჩენს კასარას სივიწროვეს. ხოხის ქედის სამხრეთი კალთები დაფარულია ალპური და სუბალპური მცენარეული საფარით. მხოლოდ ცალკეულ ხეობებში (სუათისი, მნა) არის შემორჩენილი არყით, ცირცლით და ტირიფით დაფარული ფერდობები. თრუსოს ფარგლებში თერგის მარცხენა შენაკადებიდან აღსანიშნავია: სევერაუტი, რესი, ტეფი, ჯიმარაი, სუათისი, მნა. მარჯვენა შენაკდებია: წოწოლთა, დესი, ესიქომი[2].

ზოგიერთი ქართველი მკვლევარი თრუსოს საწყისად, შეცდომით, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორიას თვლიდა. როგორც წიგნის პირველ მონაკვეთშია დადასტურებული რეალურად თრუსო მცირე ტერიტორიას მოიცავდა და ის ექცეოდა იმ საზღვრებში, რასაც შემოზღუდავდა მდინარე თერგის უკიდურესი სათავეები თავისი შემდინარე მარცხენა და მარჯვენა შენაკადებით ვიდრე თერგის ვიწრო გასასვლელ ყაშარა/კასარამდე.

დაზვერვების დროს არქეოლოგიური ძეგლები დადასტურდა, როგორც მნის ხეობაში, ასევე საკუთრივ თრუსოშიც. არქეოლოგიური ობიექტი დავაფიქსირეთ ნასოფლარ ახალსოფელში/ნოგყაუში, რომელიც მდინარე თერგის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასაფლაოს სიახლოვეს არის მცირე ზომის ყორღანი. მისი დიამეტრი 10 მ-დეა, ხოლო სიმაღლე – 1,0 მ. ყორღანის ყრილის ცენტრალურ ნაწილში, 3 მ-ის დიამეტრის ჩაღრმავებაა (ტაბ. I, სურ.1). ყორღანული სამარხი შესაძლოა გამართული იყოს გვიან ბრინჯაო-რკინის ხანაში. საქართველოს ტერიტორიაზე უფრო გვიან ყორღანული ტიპის სამარხები აღარ გვხვდება. მისი გათხრა, ცხადია, შესაძლებლობას მოგვცემს ზუსტად დავათარიღოთ სამარხი. მსგავსი სამარხის მთიან რეგიონში არსებობაც თავისთავად საინტერესო ფაქტია.

ნასოფლარ მნის მიდამოებში, მდინარე მნის წყლის მარცხენა მხარეს არის ოვალური ბორცვი, რომლიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა წაგრძელებული. ბორცვის ფუძე განიერია, თხემისკენ კი თანდათანობით შევიწრვებული. თხემსა და სამხრეთ ფერდობებზე გამართულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის საფლავები (ტაბ. I, სურ. 2)[3]. ბორცვის ფორმა ძალიან წააგავს შიდა ქართლის, ლიახვის ხეობაში, არსებულ ბრინჯაოს

1 სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის (ყაზბეგის) რუკა მოგვაწოდა ორგანიზაცია გეოგრაფიკმა რისთვისაც მადლობას ვუხდით. ასევე მადლობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელს გ. კოპალიანს, რომელმაც არქეოლოგიური ობიექტები დაიტანა რუკაზე.

2 ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ. 1964, გვ.197.

3 სტატიაში გამოყენებული ფოტოები გადაღებულია გ. გაგოშიძისა და ავტორის მიერ.

ნამოსახლარების კონფიგურაციას. ბორცვის დასავლეთ ფერდობზე ჩამორეცხილი და გაშიშვლებულია ნახშირ-ნაცროვანი ფენა, რომელიც შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატეხებს (ტაბ. VIII, სურ. 2). აღნიშნული ფაქტი დასტურია იმისა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ნამოსახლარ ბორცვთან. თიხის ჭურჭლის უფორმო ნატეხები იმდენად ფრაგმენტულია, რომ დაბეჯითებით მათ ასაკზე რაიმეს თქმა ჭირს. არ გამოვრიცხავთ, რომ ნამოსახლარი მრავალფენიანი იყოს. თიხის ჭურჭლის ნატეხების მიხედვით, შესაძლოა, კულტურული ფენა რკინის ხანის დროინდელი იყოს. ბორცვის სიმაღლე 15 მ-ია, სიგრძე-60 მ. არქეოლოგიური გათხრები, უსათუოდ, გაარკვევს ძეგლის ხასიათსა და მის თარიღს.

მნის ეკლესიის (IX–X სს.) ჩრდილოეთით, გალავნის გარეთ, არის სამაროვანი, სამარხების კონტურები მიწის ზედაპირზე საკმაოდ კარგად იკითხება (ტაბ. II, სურ.1). ვფიქრობთ, რომ აქ სამაროვანი ეკლესიის ფუნქციონიერების ადრეულ ეტაპზევე უნდა გაჩენილიყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სამაროვანზე არსებული ორიოდე საფლავი, რომლებიც ოსური ტრადიციის მიხედვით ჩანს გამართული. მათ ზემოდან მთელ ფართობზე რამდენიმე რიგად დაწყობილი ქვები ფარავთ. სამარხების გათხრამ და სამარხეულმა მასალამ შესაძლოა უფრო დააკონკრეტოს ან უფრო დააზუსტოს ეკლესიის აშენების თარიღი.

ეკლესიის წინ, ბუნებრივი ბორცვის კიდეზე, შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთები, რომელთა შორის გამოირჩევა დიდი ლოდებით, ნაშენი მეგალითური ზურგიანი კოშკის ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ ქვედა, ყრუ, სართულია შემორჩენილი (ტაბ. II, სურ .2). ამ კოშკის ირგვლივ არსებული ნაგებობათა ნაშთებიც მეგალითურია, უზარმაზარი დაუმუშავებელი ქვებით მშრალი წყობით ნაშენი. ნანგრევებში მივაგენით ქვისგან გამოთლილ, სავარაუდოდ, ტყავის (?) დასამუშავებელ ხელსაწყოს, რომელსაც შუაგული ოვალურად აქვს ამოღებული, ხოლო წინა მხარე მილისებურად დაბოლოვებული (ტაბ. III, სურ. 1). კოშკი და მის ირგვლივ არსებული ნაგებობები, ალბათ, თანადროულია. ამ კომპლექსის უკან არსებული ეკლესია კი, შესაძლოა, რამდენადმე მოგვიანო ხანებში იყოს აშენებული.

მნის ეკლესიასთან, 1924 წელს, აღმოჩენილია მონეტების განძი, რომელიც ბინოლისა და სპილენძის 926 მონეტას შეიცავს. განძი შედგება XV-XVI საუკუნეების მონეტებისაგან და მოჭრილია ქართველი მეფეების ვახტანგ IV-ის (1443-1446 წწ.), გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.), კონსტანტინე II-ის (1479-1505 წწ.), დადავით X-ის (1505-1525წწ.) სახელით. განძის შემადგენლობაში ასევე წარმოდგენილია თურქული ახჩების მინაბაძები.[1]

მართალია, ჩვენთვის, უცნობია ამ განძის აღმოჩენის ზუსტი ადგილმდებარეობა და პირობები, მიუხედავად ამისა, მნაში მონეტების დიდი რაოდენობით არსებობის ფაქტი დასტურია იმისა, თუ როგორი მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ხევს საქართველოს ბართან. ჩანს, ეს კავშირი არ შესუსტებულა მაშინაც კი, როცა ის რამდენიმე სამეფო-სამთავროდ იყო დაშლილ-დაქუცმაცებული.

სოფელი მნა, როგორც ჩანს, რამდენიმე უბნისგან შედგებოდა. ძირითადი დასახლება გაშენებული ყოფილა მნის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, კლდოვან ციცაბო ფერდობზე. დასახლების თავში შემორჩენილია მეგალითური ტიპის ზურგიანი კოშკის პირველი სართულის ნაშთი. კოშკი ნაშენებია დიდრონი,

1 თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი, ნაწილი III. თბ. 2015. გვ. 158-160.

უზარმაზარი ლოდებით მშრალი წყობით. საცხოვრებელი ნაგებობებიც, ციხე-სახლები, მშრალადაა ნაშენი, ოღონდ ჩვეულებრივი ზომის ქვებით. ჩვენის აზრით მნის ამ უბანზე თავდაპირველად უნდა აეშენებინათ ზურგიანი კოშკი, რომელთანაც მოგვიანებით გაჩენილა სოფელი.

მნას ხეობის მარცხენა მხარეს, ნასოფლარ გაგუათეში, ნასოფლარის ბოლოზე დგას მეგალითური ზურგიანი კოშკის ნაშთი და მის ირგვლივ არსებობს გაურკვეველი ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ასევე მეგალითური ქვებითაა ნაშენი. კოშკი და ნაგებობები, ჩვენი აზრით, თანადროული უნდა იყოს. ამ კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები უსათუოდ გაარკვევს, როგორც ზურგიანი კოშკის, ასევე მის გარშემო განლაგებული ნანგრევების დანიშნულებას და მათ თარიღს.

სოფელ ქვემო ოქროყანის ბოლოზე, სასაფლაოსთან, სამანქანო გზის ჭრილში დაფიქსირდა მძლავრი კულტურული ფენა, სადაც ნახშირ-ნაცროვან ზოლში კარგად ჩანს, ცალპირად, ქვით ნაშენი ნაგებობის კედლები (ტაბ. II, სურ. 2-3). ფენა ასევე შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატეხებს და ცხოველის ძვლებს (ტაბ. VIII, სურ. 1). ნასოფლარი გზის გასწვრივ 30-40 მ-ის სიგრძეზეა გაშიშვლებული. აშკარაა, რომ სამანქანო გზის მშენებლობის დროს დაუზიანებიათ ადრეული დასახლების გარკვეული მონაკვეთი. თიხის ჭურჭლის ნატეხების მიხედვით ნამოსახლარი გვიანანტიკური ხანით ან ადრე შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

თრუსოს სიღრმეში არსებულ ერთ-ერთ ბოლო ნასოფლარ რესში ერთმანეთისგან დაშორებულ ორ ადგილას, გაშიშვლებულია დიდი ქვის ფილებით გადახურული ამოშენებულ კედლიანი სამარხები, რომლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთით არიან დამხრობილნი (ტაბ. V). სამარხები გარდიგარდმოდ დაფარებული დიდრონი ფილებით ყოფილა გადახურული. ერთ-ერთი სამარხის ფილა გადაცურებულია კედლიდან. სახურავი შედგება თითქმის თანაბარი ზომის ორი დიდი ფილა ქვისგან. გვერდზე გადაწეული ფილა ქვის ზომებია: 1,80X0,80 მ. სამარხი შევსებულია მიწით. აღნიშნული სამარხები თავისი კონსტრუქციით და დამხრობის მიხედვით, ჩვენი აზრით, ადრე შუასაუკუნების დროინდელი უნდა იყოს.

ზაქაგორის სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფერდობზე გაჭრილია თხრილი, სადაც 20-25 მ-ის სიგრძეზე გაშიშვლებულია ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა (ტაბ. IV, სურ. 1). ჭრილში მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე ჩანს ცხოვილის ძვლების ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ძალიან მცირე ზომის უსახური ნატეხები. ჩვენი აზრით აქ შესაძლოა საქმე გვქონდეს ადრე შუა საუკუნეების ნასოფლართან. სასურველია მომავალში ამ ობიექტის არქეოლოგიურად შესწავლა.

კარათსოფლის აღმოსავლეთი უბნის სამხრეთით, სასაფლაოს სამხრეთ კიდესთან, ტერასაზე ჩანს ქვაყუთები, რომელთა ზემოდან ახალი საფლავებია გამართული, თუმცა არის რამდენიმე ქვაყუთი რომლებიც დაზიანებული არ არიან თანამედროვე სამარხებით (ტაბ. IV, სურ. 2). ქვაყუთების გათხრით აუცილებლად დადგინდება მათი გამართვის ასაკი.

ქვემო დესში არის საინტერესო მეგალითური კომპლექსი, რომლის თავშიც დგას ზურგიანი კოშკის ნაშთი. ის, წინამორბედების მსგავსად, ნაშენია დიდი ლოდებით მშრალად. კოშკს ქვედა მხრიდან მიდგმული ჰქონია ასევე დიდრონი ქვებით ნაგები შენობები. შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული კედლების ნაშთე-

ბი (ტაბ. VI სურ. 1, 2). აშკარაა, რომ ქვემო დესში სანამ სოფელი გაჩნდებოდა აქ არსებობდა ზურგიანი კოშკი და მისი თანადროული ნაგებობები.

თრუსოსა და მნის ქვეყანაში დაზვერვების შედეგად გამოვლენილი პრეისტორიული ხანის და შუასაუკუნეების ნამოსახლარები, სამაროვნები, ზურგიანი კოშკების შემცვლელი კომპლექსები და ეკლესიის ნაშთებიც არქეოლოგიური კვლევის ობიექტებია და მათი კვლევა აუცილებელია. ეკლესიების ნაშთები (ტაბ. VII). ნასოფლარ სუატისში და ტეფში იმდენადაა დანგრეული და მიწით დაფარული, რომ მათი შესწავლა მხოლოდ სტილისტური და არქიტექტურული თვალსაზრისით სრულყოფილი ვერ იქნება.

ერთ-ერთი საინტერესო და ბოლომდე შეუსწავლელია ზურგიანი კოშკების წარმოშობისა და გავრცელების საკითხი. ამ ტიპის თავდაცვის ობიექტებს იკვლევდა პროფ. პ. ზაქარაია. იგი აღნიშნავდა, რომ ზურგიანი სიმაგრეები ძირითადად გავრცელებული იყო არაგვისა და ქსნის ხეობებში. ზურგიანი კოშკები თითო ცალი ყოფილა რეხულას, მეჯუდას და პატარა ლიახვის ხეობებში. მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული მტკვრის მარჯვენა მხარეს მსგავსი ნაგებობის არსებობისა[1]. მეცნიერს ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე, თრუსოს სოფლებში დესში, მნაში, სოფ. გაგუათეში, ასევე გერგეტსა და ხურთისში აღუნუსხავს მხოლოდ ხუთიოდე ზურგიანი კოშკი. პ. ზაქარაია ზურგიანი კოშკების მშენებლობის რამდენიმე ეტაპს გამოყოფს: ადრეულ ხანა, მისი აზრით, V-VI სს-ზე უნდა მოდიოდეს. შესწავლილი ძეგლების უმეტესობა კი – X ს-ზე. მისი აზრით მსგავს სიმაგრეებს აშენებდნენ გვიან შუა საუკუნეებშიც, მაგრამ უფრო იშვიათად.[2]. იგი არ აკონკრეტებს თუ რომელი ზურგიანი კოშკები მიეკუთვნება ადრეულ ეტაპს. ხადაში და დიდ ველზე არსებულ მთელ რიგ ძეგლებს, რომლებიც ჩვენი აზრით ადრეული უნდა იყოს რატომღაც არ ახსენებს.

პ. ზაქარაია წერს, რომ აუცილებელია გაგრძელდეს ზურგიანი კოშკების გამოვლენა ფიქსაცია და რაც მთავარია იმ კომპლექსების გათხრა-გაწმენდა, სადაც ზურგიანი კოშკი დგას. არქეოლოგიური მონაცემები დაგვეხმარება თარიღისა და ფუნქციის გარკვევაში და რაც მთავარია ზუსტი იქნება ანაზომებიც.[3]

ზურგიან კოშკებზე ყურადღებას ამახვილებენ ის მეცნიერებიც, რომლებიც ხადის ხეობის სიძველეებს იკვლევდნენ. მათი აზრით ადრეულია, როსტიანების სიახლოვეს არსებული ე.წ. „თევდორეს ხატის“ კომპლექსი, სადაც გარდა ზურგიანი კოშკისა სხვა ნაგებობების ნაშთებიცაა შემორჩენილი, რომელიც ციკლოპურ ნაგებობას მოგვაგონებს. ასევე ადრეულია უზარმაზარი ლოდებით ნაშენი ზურგიანი კოშკი, სოფ. ზაქათკარის სასაფლაოზე[4].

მეგალითური ტიპის ზურგიანი კოშკების ნაშთები მრავლადაა ხადაში, სადაც ჩვენს მიერ ოთხი ასეთი ობიექტია დაფიქსირებული სოფ. როსტიაანებში, ბეგონსა და ბენიანებში. უფრო დიდი რაოდენობით ისინი წარმოდგენილია დიდ

1 ახალი მონაცემები, ზურგიანი კოშკების ისტორიულ საქართველოში გავრცელების შესახებ, იხილე ამავე წიგნის გვ. 180-ზე

2 პ. ზაქარაია, სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XXIII-B. თბ., 1962, გვ. 63.

3 პ. ზაქარაია, სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XXIII-B. თბ., 1962, გვ. 63.

4 ჯ. გვასალია, გიორგაძე მ., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ხადის ხეობა. თბ. 1983., გვ. 28-29.

ველზე-ზაქათკარში, სუნტნში და კაიშაურების მიდამოებში. თერგის ხეობაში, ცხადია არაგვის ხეობიდანაა გავრცელებული სასიმაგრო ნაგეობების ეს ტიპი. პირველი ეტაპის კოშკები (V-VI სს.), და მათი თანმხლები კომპლესებიც, ორივე რეგიონში ნაშენია, დაუმუშევებელი, მეგალითური ლოდებით. მომდევნო სამშენებლო სტადიაზე (IX-X სს) ზურგიან კოშკებს აშენებდნენ შედარებით საშუალო ქვებით და რაც მთავარია საგანგებოდ ამუშავებდნენ ქვებს და ზოგ შემთხვევაში სუსტ კირხსნარსაც იყენებდნენ.

ადრეული, პირველი ეტაპის, ზურგიანი კოშკების შემცველი კომპლექსები მთიულეთში (ხადა, დიდველი) და თერგის ხეობის სათავეებში (თრუსო, მნის ქვეყანა), ჩვენის აზრით თანადროული უნდა იყოს. ცხადია კითხვა ჩნდება, თუ ვინ და როგორ, და რა ძალებით აშენებდა მეგალითურ ნაგებობებს. მაშინ, როდესაც ცალკეული ლოდი ნახევარ ტონაზე და შესაძლოა უფრო მეტსაც კი იწონის. საინტერესოა რა საშუალებით და როგორ ხდებოდა უზარმაზარი მონოლითების მიტანა ობიექტზე და მათი კედლებზე დალაგება-დაწყობა. მითუმეტეს, რომ თითქმის ყველა კომპლექსი ძნელად მისადგომ ადგილზეა გამართული. მშენებლობა უსათუოდ მოითხოვდა დიდძალ მუშახელსა და ფინანსებს. გვეეჭვება, რომ მსგავსი ნაგებობების მშენებლობის შესაძლებლობა ჰქონოდა ადგილობრივ გვარებს ან თემებს. გვიჩნდება აზრი, რომ ამ ტიპის სასიმაგრო ნაგებობებს, საწყის ეტაპზე, ალბათ, ცენტრალური ხელისუფლება ანუ იბერიის/ქართლის სამეფო კარი აშენებდა.

თუ გვინდა, რომ ამ ტიპის ძეგლებზე უფრო მეტი ინფორმაცია გვქონდეს, აუცილებელია, მათი მიზანმიმართული არქეოლოგიური კვლევა. რის შესახებაც პ. ზაქარაია წერდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში.

თრუსოს ხეობის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა და მათი კვლევა საშური და გადაუდებელი საქმეა. წერილობითი წყაროების ნაკლებობის დროს არქეოლოგიური მონაცემები ამა თუ იმ რეგიონის ისტორიის კვლევაში, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ დასაყრდენ წყაროს წარმოადგენს. თრუსოს სიძველეთა კვლევა, გვჯერა, რომ ახლო მომავალში პრიორიტეტული გახდება.

1. სოფ. ახალსოფელი. ყორღანი



2. სოფ. მნა. ნამოსახლარი ბორცვი

1. ნასოფლარი მნა. ეკლესიასთან არსებული სამაროვანი

2. ნასოფლარი მნა. ზურგიანი კოშკი და ეკლესიის გალავანი

1. ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო. სოფ. მნა

2. სოფ. ოქროყანა. ნასახლარის კულტურული ფენა

3. სოფ. ოქროყანა. ნასახლარის ნახშირ-ნაცროვანი ფენა

1. სოფ. ზაქაგორი. ჭრილში ჩანს კულტურული ფენები

2. კარათსოფელი. თანამედროვე სასაფლაოზე არსებული ადრეული ქვის სამარხები

V

1

2

1-2. სოფ. რესი. ქვის სამარხები

1. სოფ. ქვემო დესი. ზურგიანი კოშკისა და ნაგებობების ნაშთები

2. სოფ. ქვემო დესი. ზურგიანი კოშკის ნანგრევები

1. სოფ. სუატისი. ნაეკლესიარი

1. სოფ. ჯიმარა. ნაეკლესიარი

1. თიხის ჭურჭლის ნატეხები სოფ. ოქროყანიდან

2. სოფ. მნა. თიხის ჭურჭლის ნატეხები ნამოსახლარი ბორცვიდან

1. ტყარშეტი - ადრებრინჯაოს სამაროვანი, შუა საუკუნეების ქვაყუთებუი და აკლდამები.
2. ჯუთა - ნასოფლარი, ეკლესიის ნანგრევი.
3. ჯუთა - ადრე ბრინჯაოს ნასახლარი.
4. სტეფანწმინდა - განძი, ორმოსამარხი.
5. დარიალი - ე.წ. თამარის ციხე, ციხე-გალავანი, სამაროვანი, ქვაყუთები.
6. ართხმო - სამაროვანი, ქვაყუთები
7. ჯუთა - სამაროვანი, ქვაყუთები.
8. გველეთი - სამაროვანი, ქვაყუთები.
9. სიონი - შუასაუკუნეების ნასოფლარი.
10. სიონი - მიწისქვეშა აკლდამა.
11. გარბანი - მიწისქვეშა აკლდამები.
12. ფხელშე - მიწისქვეშა აკლდამები.
13. გარბანი - მიწისქვეშა აკლდამები.
14. გერგეტი - ქვაყუთები, მიწისქვეშა აკლდამები.
15. არშა - მიწისქვეშა აკლდამები.
16. ახალციხე - მიწისქვეშა აკლდამები.
17. კლდეში ნაკვეთი მონასტერი.
18. ნოგყაუ - ყორღანული სამარხი.
19. მნა - ეკლესია, ეკლესიაზე ასომთავრული წარწერა, სამაროვანი, ზურგიანი კოშკი.
20. მნა - ნამოსახლარი ბორცვი.
21. მნა - ზურგიანი კოშკი.
22. მნა - ზურგიანი კოშკი და თანდართული ნაგებობების ნაშთები.
23. ზემო ოქროყანა - ადრე შუასაუკუნეების ნასოფლარი.
24. რესი - ქვაყუთები.
25. ზაქაგორი - ადრე შუასაუკუნეების ნასოფლარი.
26. ყარათყაუ - ქვაყუთები.
27. ქვემო დესი - ზურგიანი კოშკი და თანდართული ნაგებობების ნაშთები.
28. ტეფი - ნაეკლესიარი.
29. სუატისი - ნაეკლესიარი.


ხევის არქეოლოგიური ობიექტების
გავრცელების რუქა
N
W
E
S
440000
450000
460000
470000
480000
4710000
4700000
4690000
4680000
ჯუთა
ახალციხე
ქონელი
ბორბალო
ბაბანა
ცდო
ბურმასიანი
ბოცოლა
ზაქაგორი
ბანინ
ბორბალო
ბოლოთა
ბოლოთა
ბოლოთა

ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში

გიორგი გაგოშიძე

ქართველთა უძველესი საცხოვრისის – თრუსოს ქართული ეპიგრაფიკა აქამდე, სამეცნიერო შესწავლის საგანი არ გამხდარა. ამ ხეობის მთავარი სალოცავის, მდინარეების თერგისა და სუატისის შესართავთან აღმართულ მაღალ მთაზე მდებარე მთავარანგელოზთა ეკლესიის (X ს.) კარის თავზე ამოკვეთილი ძველი ქართული წარწერის შესახებ, ცნობები სოფ. კართსოფლის მაცხოვრებლებში ყოფილა შემონახული – წარწერის ტექსტი თითქოს იტყობინებოდა, რომ ამ ტაძრის აგებისას 330 ფუთი მარილი დახარჯულა.[1] მთავარანგელოზთა ეკლესიის კედლებზე ქართული ლაპიდარული წარწერა არ არის შემორჩენილი, თუმცა კართსოფლის ოსი ეროვნების მოსახლეობის მახსოვრობაში დაცული ეს ლეგენდური ცნობა ამ ხეობის თავდაპირველ, მკვიდრ მცხოვრებთა შესახებ გვიქმნის ნათელ სურათს.

სურ. 1. მნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. სამხრეთი ფასადი

ძველი ქართული ლაპიდარული წარწერა შემორჩენილია მდ. მნის ზედა წელზე მდებარე ღმრთისმშობლის ეკლესიაზე (X-XI სს.).[2] (სურ. 1). ეს წარწერა 2011 წელს შენიშნა არქეოლოგმა გიორგი გოგოჭურმა. 2018 წელს შევძელი წარწერის ასლის გაკეთება; 2020 წლის 14 აგვისტოს ხელმეორედ, დეტალურად შევისწავლე აღნიშნული წარწერა (სურ. 2, 3). ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია მნის ღმრთისმშობლის (წმ. მარიამის) ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის, სამხრეთი კუთხის ქვედა ქვაზე, მიწიდან 52 სმ-ის სიმაღლეზე. ანდეზიტის ქვათლილი უხეშადაა დამუშავებული, ამდენად, ჩაკვეთილ ასონიშანთა კონტურები, ქვის უსწორმასწორო ზედაპირის შუქ-ჩრდილში „იკარგება“. წარწერის ფართობია 107X14 სმ., უდიდესი ასონიშანი – 8 სმ-ია, უმცირესი – 3 სმ. წარწერის სიტყვები ერთმანეთისგან არ არის დაცილებული, განკვეთილობის ნიშნები არ არის ნახმარი, ქარაგმა მოკლე ჰორიზონტალური ხაზია.

---

1 გ. ბაგრატიონი, ბ. მაცაბერიძე. მთავარანგელოზთა ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2, თბილისი, 2004, გვ. 462.

2 გ. ბაგრატიონი, ბ. მაცაბერიძე. წმ. მარიამის ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2, თბილისი, 2004, გვ. 466.

სურ. 2. მნის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი, ასომთავრული წარწერა



სურ. 3. მნის ეკლესიის ასომთავრული წარწერის ასლი

წარწერა ასე იკითხება: ⵜ̃ⵗ ⵖ̃ⵗ ⵖⵅⵗⵓⵀⵗ ⵃⵛⵜⵛⵄⵗⵓⵃ (?)
ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე შვილნი მაქარისმ (?)...

წარწერის ბოლოს ასონიშანი „ⵃ" – „მ" მიგვანიშნებს, რომ წარწერა ან დაუსრულებელია, ან მისი ბოლო დაზიანებულია; შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოსტატს შეეშალა და „ნ"-ს ნაცვლად „მ" დაწერა, მსგავსი შეცდომები ხშირია შუა საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკაში.[1] თუ წარწერის ბოლოს, გრაფემა „ნ"-ს ვიგულისხმებთ, წარწერა ასე წაიკითხება: „ქრისტე შეიწყალე შვილნი მაქარისნ[ი]". წარწერის გრაფემები გაუწაფავი ხელითაა ნაკვეთი, არ არის დაცული სტრიქონის თარაზულობა; გრაფემათა დუქტუსი დაბალია, ზოგიერთი ასო გაკუთხოვნებულია. მნის წარწერის ასონიშნის „ⵅ" – „ლ"-ს „ცხვირი" ისევეა ირიბად შვერილი როგორც ამას ვხვდებით ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერის (914 წ.) – „ლ" და „ე" გრაფემებზე,[2] ჯავახეთში, კაჭიოს ეკლესიის წარწერის (X ს.) – „ე" გრაფემაზე[3] და სხვ. საერთო მახასიათებლებით წარწერა X საუკუნის ფარგლებში ექცევა და ხალხის წრიდან გამოსუ-

1 ბიეთის წარწერაში წერია „ⵇⵛⵃⵃ" – „ბაკძ" უნდა ეწეროს „ბაკ(უ)რ"; იხ.: ა. ბაქრაძე, ს.ბოლქვაძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბილისი, 1953, გვ. 34, 35, ტაბ. VII, სურ. N3.

2 ნ. შოშიაშვილი. ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), თბილისი, 1980, გვ. 171.

3 ვ. სილოგავა, ლ. ახალაძე, მ. ბერიძე, ნ. სულავა, რ. ყავრლაშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. თბილისი, 2012, გვ. 69, N87, სურ. 56.

ლი ხელოსნის ნახელავია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანდეზიტი მკვრივი ქვაა და მასზე წარწერის ამოჭრა ძნელია. ძველად ჩვენში საქტიტორო სამშენებლო წარწერებს, უმეტესად ეკლესიის კარის ან სარკმლის თავზე კვეთდნენ. ამ მონაცემებით მნის წარწერას საქტიტოროდ ვერ ჩავთვლით, როგორც აღვნიშნე, იგი, აღმოსავლეთი ფასადის სამხრეთი, ქვედა კუთხის ქვაზეა ამოკვეთილი. ეკლესია ანდეზიტის და ტრავერტინის (შირიმი) ქვითაა მოპირკეთებული და ამ ეკლესიაზე წარწერის შესასრულებლად გაცილებით უკეთესი ადგილისა და ჯიშის ქვის პოვნაც შეიძლებოდა; ვფიქრობ წარწერიანი ქვა მაქარეს ეკლესიის მშენებლობის პროცესში შეუწირავს და ამის აღსანიშნავად თავისი შვილების შეწყალებაც უთხოვნია უფლისთვის; შუა საუკუნეებში სამშენებლო ქვის მოპოვება, დაკუთხვა, და სამშენებლო მოედანზე მიტანა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ეკლესიის მშენებლობის პროცესი ასახულია, მნიდან არც თუ შორს, ხადას ხეობაში, სოფ. ქოროღოს (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის (X ს-ის მიწურული) დასავლეთი ფასადის კარნიზის რელიეფებზე.[1] მნის ეკლესიის მსგავს, მცირე ზომის, სოფლის ეკლესიებს ხშირად სხვადასხვა პირის შეწირულობით, საფასით, ანდაც უფასო სამსახურით აგებდნენ. ნასოფლარ ფიას (ასპინძის მუნიციპალიტეტი) წმ. თევდორეს ეკლესიის (995 წ.) მშენებლობაში, რომლის მთავარი ქტიტორები ჩქარი და მისი ძმებია, მჭედელ გაბელსაც მიუღია მოაწილეობა, მისი დაფინანსებით, ან თვით მის მიერვე, უნდა იყოს შექმნილი ეკლესიის დასავლეთი სარკმლის ზედანი, რასაც ამავე ქვაზე არსებული მოსახსენებლიდან ვიგებთ.[2] ამავე ნასოფლარის წმ. გიორგის ეკლესიის (X ს.) წარწერებში იხსენიება „ქვის დამსმელი" ვინმე გრძელისძე, სხვაგან – კრავი, ახოან, ომან.[3] დირბის (ქარელის მუნიციპალიტეტი) ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის (957-967 წწ.) მშენებლობაში მონაწილეობა მიუღია ვინმე გურამს.[4] სოფ. ბაჯითის (საჩხერის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის (XI ს.) ორი წარწერა გვაუწყებს, რომ ეკლესიის მშენებლობისას თითო ქვა გიორგის და მიქაელს შეუსყიდიათ.[5] მოკლედ, ამგვარი წარწერები მრავლადაა საქართველოს სხვადასხვა მხარეში შემორჩენილ ეკლესიათა კედლებზე, სავარაუდოდ მნის წარწერაც მსგავს ვითარებას ასახავს.

წარწერაში დამოწმებული სახელი *მაქარე* ალბათ *მაკარის* ვარიანტია, არსებობს გვარი მაქარაშვილი, რაც უდავოდ ამ სახელთანაა დაკაშირებული. არსებობს სოფელი მაქართა მდ. გუდამაყრის ხეობაში. მოძღვარი, მიქელ ყოფილი მაკარე იხსენიება გერგეტის სულთა მატიანეში (XV-XVIII სს.). ამავე ხელნაწერში ფიქსირებულია გვარი მაკრაშვილიც.[6]

---

1 დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი, 2012, გვ. 100-107.

2 ნ. შოშიაშვილი. ლაპიდარული წარწერები..., გვ. 270-271.

3 იქვე, გვ. 271-273.

4 გ. გაგოშიძე, ნ. ჩიხლაძე. დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი. თბილისი, 2006, გვ. 23,24.

5 ვ. სილოგავა. ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, (IX-XIII სს.), თბილისი, 1980, გვ. 71, 72.

6 ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისატვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 282$_{5,\ 283\ 14\text{-}15.}$

მნაველ მაქარეს წარწერა ჩვენთვის ცნობილი უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლია (X ს.) თერგის ხეობის ზემო წელში; მნის ეკლესიაშივე დაცულია სპილენძის თასი, მუცელზე ამოკოდილი მხედრული წარწერით (სურ. 4): „ქ. გიორგი მაყაშვილისა“. აშკარაა, რომ ვინმე გიორგი მაყაშვილს შეუწირავს ეს თასი მნის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის. წარწერა პალეოგრაფიული მონაცემებით XVIII საუკუნეს, ან XIX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება.

სურ. 4. მნის ეკლესიის თასი მხედრული წარწერით

თრუსოს ეპიგრაფიკის უმეტესობა საფლავის ქვისა თუ ნიშათა ქვაჯვარების წარწერებია, რომლებიც XIX საუკუნით თარიღდება, უმრავლესობა არაბული ციფრებით ზუსტადაა დათარიღებული. ამ მხრივ აღსანიშნავია მნის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ კედელთან მიდგმული, სწორკუთხა მკლავებით დასრულებული ქვის ჯვარი, რომელიც ქვისავე ორსაფეხურიან ბაზაშია ჩამყარებული. მსგავსი ნიში-ჯვრები მრავლადაა შემორჩენილი როგორც თრუსოში, ასევე მთიულეთსა თუ ხევში. ჯვრის წინა პირი მარტივი დეკორითაა შემკული, მის შუაგულზე

სურ. 5. მნის ეკლესიის სამხრეთ ფასადთან მდებარე ქვის ჯვარი მხედრული წარწერით



სურ. 6. მნის ეკლესიის ჯვრის მხედრული წარწერის ასლი

ამოღარულია სამყურა ბოლოებით დასრულებული ტრაპეზის ჯვარი. ჯვრის ქვედა მკლავზე, ბაზის სიახლოვეს ორსტრიქონიანი გაკრული ხელით შესრულებული მხედრული წარწერაა, კვეთა არაღრმაა, მღიერებითაა დაფარული და მისი წაკითხვა ჭირს; სავარაუდოდ აქ ოსტატის სახელი უნდა ეწეროს. ჯვრის ზურგზე ამავე ხელით შესრულებული რვასტრიქონიანი მხედრული წარწერაა (სურ. 5, 6):

„1864|წელსა|შევსწირე ესე ჯვ|არი ყველა წმინდა|ხ(ვ)თ(ი)სმშ(ო)|ბელს| ომთოლი|ასშვ(ი)ლმ(ა)“

XIX საუკუნიდან და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან საფლავის ქვების უმეტესობაზე რუსული წარწერები ჩნდება. სამარეს კი ხშირად ვერტიკალურად აღმართული მატურები ადგას, რომლებიც ჯვრით ბოლოვდება. მატურთა წახნაგები რუსული სტილის, ხახვისებრგუმბათიანი ეკლესიების დაბალი რელიეფებითაა გაფორმებული. ამ საფლავის ძეგლების გვერდით თანაარსებობს ქართული ყაიდის, პარალელეპიპედის ფორმის საფლავის ქვები, რომელთაგან ზოგიერთს ქართული – მხედრული წარწერები აქვს. როგორც აღვნიშნე, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსულწარწერიანი საფლავის ქვები გაცილებით მეტია ვიდრე ქართულწარწერიანები. ოსი ეროვნების მოსახლეობა, რომელთა ინფილტრაცია თრუსოს ხეობაში XVII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო,[1] XIX საუკუნეში მთელს ხეობაში სახლობს. საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდგომ ოსები ქართული კულტურის არეალიდან თანდათან გამოდიან და ორიენტირს რუსულზე ამყარებენ, თუმცა ამავე საზოგადოებაში, როგორც ჩანს, მოქართულე ოსებიც დარჩენილან. მნის ხეობა, რომელიც თრუსოსა და ხევს შორისაა მოქცეული XVIII საუკუნის ბოლომდე ჯერ კიდევ ეთნიკურად ქართული იყო, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან კი ოსური ელემენტის დომინაცია დაიწყო და ამავე დროიდან შეინიშნება აქ, ქართველთა გაოსების ტენდენცია.[2] მნის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით ორასიოდე მეტრის მანძილზე მდებარე არქეოლოგიური გორა-ნამოსახლარი, XIX საუკუნის სამაროვნითაა დაფარული, აქ მრავალ რუსულწარწერიან საფლავს შორის ქართულწარწერიანი საფლავის ქვებიც შეინიშნება. სამაროვნის სამხრეთ ბოლოში სწორკუთხა ქვაზე ათსტრიქონიანი მხედრული წარწერაა (სურ.7), საიდანაც ვიგებთ, რომ აქ დაკრძალულია 1865 წლის დეკემბერს, 30 წლის ასაკში გარდაცვლილი ისბალი ქოქიოვი. წარწე-

სურ. 7. მნის საფლავის ქვა

1 რ. თოფჩიშვილი. თრუსო — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. თბილისი, 2019, გვ. 57.

2 იქვე, გვ. 55.

სურ. 8. შევარდენი, საფლავის ქვის „თედოს ქალის“ ეპიტაფია, მთავარი წახნაგი

სურ. 9. შევარდენი, საფლავის ქვის „თედოს ქალის“ ეპიტაფია, გვერდითა წახნაგი

რის ბოლოს მნახველს შენდობას სთხოვენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პირის ასაკი არაბული ციფრით კი არა მხედრული – „ლ“ (30) გრაფემითაა გადმოცემული.

მდინარეების თერგისა და მნის წყლის შესართავს ქვემოთ, თერგის მარცხენა მხარეს მდებარე ნასოფლარი შევარდენის დანგრეული ეკლესიის გარშემო, მოზრდილი სამაროვანია; აქ XIX და XX საუკუნის დასაწყისის საფლავებია გამართული, მათ შორის გამოირჩევა, ეკლესიის დასავლეთით მდებარე ქვის სწორკუთხა აღმართული ძეგლი, რომელიც თავის დროზე ჯვრით იყო დაგვირგვინებული. ეს ქვა დღეს მოცილებულია სამარხს და აშკარად მთის ფერდიდანაა დაგორებული. ამ მატურის ორ წახნაგზე ამოკვეთილია მხედრულით შესრულებული ვრცელი თექვსმეტსტრიქონიანი ეპიტაფია (სურ. 8, 9). გრაფემები არ არის გადაბმული, ძლიერ სტილიზებულია, და თავისი უწესრიგო, ტეხილი ფორმებით გარკვეულწილად „დედაბრულ ხელს“[1] მოგვაგონებს, აღსანიშნავია, რომ ამგვარ ნაწერს, თერგის ზემო წელზეც ვხვდებით. შევარდენის საფლავის ქვის მთავარ წახნაგზე ეპიტაფიის ათი სტრიქონია, გვერდითა წახნაგზე ექვსი (სურ.10). წარწერა ასე იკითხება:

„ჩყოე|ს(ა)ფლ(ავ)ს ში|ნა (მ)დებარე ვ(ა)რ|თედოს ქ(ა)ლი|ალექს(ის) ცო|(ლ) ი. დედ მამ|ა დ(ა)მრჩა თ|ვ(ა)ლცრემლ|იანი, გ(არ)დვი|ცვ(ა)ლე|მ(ა)ისის|ათსა. გთხ|ოვთ თით|ო შ(ა)ნდო|ბა მით|ხ(რ)ათ“.

თარიღი ძველი წესით, ქართული გრაფემებითაა დაწერილი ჩყოე=1876 წ.

1 თ. ხაჟომია. ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე, მიმომხილველი, I, თბილისი, 1949, გვ. 87-97.



სურ. 10. შევარდენი, საფლავის ქვის „თედოს ქალის“ წარწერის ასლი

ამავე სამაროვანზე, ეკლესიის აღმოსავლეთით ერთ-ერთ საფლავზე აღმართული ძეგლი, ქვის მოზრდილი ჯვრითაა დასრულებული. მხედრული წარწერა მატურის აღმოსავლეთი წახნაგიდან იწყება, ეპიტაფიის ტექსტი დასავლეთ წახნაგზე გადმოდის და ისევ აღმოსავლეთ წახნაგზე სრულდება. აღმოსავლეთ წახნაგის შუაში გველეშაპის მლახვრელი ამხედრებული წმ. გიორგია გამოსახული (სურ.11, 12). რელიეფის ზევით, მატური ნახევარწრიულად სრულდება, აქედან იწყება ეპიტაფია:

სურ. 11. შევარდენი, ჯანბოლა აბაევის საფლავი

სურ. 12 შევარდენი, ჯანბოლა აბაევის ეპიტაფია

„ამა|საფლავსა|შინა|მდებარე|ვარ მე|ჯანბოლა|აბაევი|გარდავიც|ვალე 1906|წელსა 7|მაისისა“.

ძეგლის აღმოსავლეთი წახნაგის ქვედა ნაწილში, მხედარი წმ. გიორგის რელიეფის ქვეშ, ორსტრიქონიანი მხედრული წარწერაა: „გათალა ესე|ტუხა თაქევ(მა)“ (სურ.13).

სურ. 13. შევარდენი, ჯანბოლა აბაევის ეპიტაფია, ხელოსნის წარწერა

ამ ეპიტაფიაში დადასტურებულია საფლავის ძეგლების მოქანდაკის, ხალხის წრიდან გამოსული ოსტატის, ტუხა თაქ(ა)ევის სახელი. აშკარაა, რომ ეს პირი, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა, კარგად ფლობდა ქართულს და სავარაუდოდ, საფლავის ძეგლების მოქანდაკეთა, რომელიღაც ქართულ ამქარში დაეუფლა სპეციალობას.

თერგის მარცხენა ნაპირას იქ სადაც მას მნის წყალი უერთდება მდებარეობს სოფელი ოქროყანა, რომელიც ორი უბნისგან შედგება – ზემო და ქვემო ოქროყანა. ქვემო ოქროყანაში სასაფლაოზე უმეტესად XX საუკუნის საფლავებია, მათ შორის ყველაზე გვიანდელები ამ საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება. ზემო ოქროყანის სამაროვანზე მეტია XIX საუკუნის საფლავები. აქაც უმეტესად საფლავთა ძეგლები რუსული წარწერებითაა, მათ შორის მოვიძიეთ მატური ქართული წარწერითაც. სამსტრიქონიანი მხედრული წარწერა სპეციალურადაა დაზიანებული, ისე, რომ ტექსტის დიდი ნაწილი ვეღარ იკითხება. დარჩენილი ფრაგმენტიდან ვიგებთ (სურ.14), რომ აქ დაკრძალულია 1874 წელს გარდაცვლილი პირი ვინმე გუდაევი(?):

„საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ.....ის....ვილი დუდაე|სძე გუდაევი (?) გარდავიცვალე 1874 წელსა.....ა წლისა|.....ჩემის წერამა .....მეგონა ისე“ – შემდეგ წარწერა მატურის აღმოსავლეთ ვიწრო წახნაგზე ასევე სამსტრიქონად (სურ.15) ბოლოვდება:

„...მომკლეს, შავს მი|წასა დავიმარხე|ვინც ესენი განიხი[ლოთ]...“

სურ. 14. ოქროყანა, საფლავის ქვის წარწერა

სურ. 15. ოქროყანა, საფლავის ქვის წარწერა

ამ წარწერაშიც გარდაცვლილის ასაკი მხედრული გრაფემებით იყო დაწერილი.

თრუსოში, კასარას ვიწრობის ზევით, თერგის ზემო წელზე, ოსური ეთნოსის შემოსვლა XVII საუკუნის შუა ხანებიდან ჩანს, აქ თანდათან ქართულ მოსახლეობას ოსური ჩაენაცვლა.[1] სათანადოდ, თითქოს, ქართული წარწერების აქ დადასტურების შანსი ნაკლები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი ექსპედიციის კვლევით აქაც გამოვლინდა ქართული წარწერები. აქაც საფლავის ქვებზე XIX-XX საუკუნეების ეპიტაფიები დასტურდება, რომელთაგან უმეტესობა რუსულია.

სურ. 16. ზემო დესი, საფლავის ქვის მხედრული წარწერა

ზემო დესის სასაფლაოზე რუსულწარწერიან საფლავის ქვებს შორის, ერთ-ერთს აქვს სამსტრიქონიანი ქართული – მხედრული ეპიტაფია. წარწერაში იხსენიება ვინმე სალუმე, იგორ ცაბულოვის მეუღლე, რომელიც 1898 წლის 1 მაისს გარდაცვლილა. სახელი სალუმე (სალომე) ქართველებთან კულტურული იდენტიფიკაციის პირდაპირი საბუთია (სურ.16).

მდ. თერგის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ გიმარას განაპირას გვიანი შუა საუკუნეების გეგმით კვადრატული კოშკი დგას. კოშკი ფიქლის მოზრდილი ქვებითაა ნაგები, ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული. ამ ნაგებობის მახასიათებელი დეტალი – სამხრეთ ფასადის მოზრდილ ქვაზე გამოკვეთილი სამი ჯვარია.[2] კოშკის ჩრდილოეთ ფასადზე, მოზრდილ რიყის ქვაზე ამოტვიფრულია მხედრული წარწერა, რომელიც სტილით გავს ნასოფლარ შევარდენის „თედოს ქალი“-ს საფლავის წარწერას (სურ.17, 18). ერთი შეხედვით აქ მხედრული გრაფემებია, თუმცა მათში გამორეულია ლათინური „z”-ის მაგვარი ასონიშანიც, წარწერა ასე იკითხება: 1886 1850 (?) ბzცzევი“.

წარწერა ძლიერაა დაზიანებული, გაურკვეველია თუ რას ნიშნავს ორი თარიღი, დაბადების და გარდაცვალების წლები? და რა კავშირშია ვიღაცის დაბადება გრადაცვალებასთან კოშკის კედელი? ამ შემთხვევაში საინტერესოა თარიღების მარჯვნივ არსებული სიტყვა, რომელიც იოანე იალღუზიძის (იოანე გაბარაშვილი) (1775-1830 წწ.),[3] ოსი საზოგადო მოღვაწის, პოეტის და პედაგოგის შექმნილი ანბანით იკითხება. იოანე იალღუზიძემ საფუძველი ჩაუყარა ოსურ მწერლობას, მან ქართული ანბანის გრაფიკის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, ოსური ენის ფონეტიკის სრულფასოვნად გამოსახატად, იალღუზიძეს დასჭირდა დამატებითი ასონიშნების შემოტანა: მათ შორისაა „ა“-ს და „ე“-ს

1 რ. თოფჩიშვილი. თრუსო.., გვ. 54, 55.

2 გ. ბაგრატიონი, ბ. მაცაბერიძე. გიმარა, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2, თბილისი, 2004, გვ. 453.

3 ქსე.5, თბილისი, 1980, გვ. 45.



სურ. 17. გიმარა, კოშკზე არსებული წარწერა



სურ. 18. გიმარა, კოშკზე არსებული წარწერა, ასლი

შორის მდებარე ბგერა, რომელისთვისაც ლათინური ასონიშანი „Z" შემოიღო, ასევე „ჲ"-ს გამოსახატად „J" ნიშანი იხმარა.[1] ვფიქრობ გიმარას კოშკზე შესრულებული წარწერა სწორედ იალღუზისძის ოსური ანბანითაა ნაწერი სადაც კარგად ჩანს ქართული – მხედრული გრაფემები და ლათინური „z".

სოფ. სუატისში მდებარე სამების (ქვემო) ეკლესიაში (X-XI სს. მიჯნა),[2] შემორჩენილია ტილოზე, ზეთის საღებავით ნაწერი ხატებით გაფორმებული, ძლიერ დაზიანებული იკონოსტასი (XIX ს-ის მიწურული ან XX ს-ის დასაწყ.). აღსავლის კარის სამხრეთით გამოსახულია მთავარანგელოზი მიქაელი, რომელიც ფეხით ეშმას თრგუნავს. ხატის ზედა ნაწილზე, მუქ ფონზე თეთრი საღებავით ნაწერი ასომთავრული წარწერაა: „ᲐᲛᲘᲩᲘᲗ Ⲁ.....ᲩᲗᲚᲘᲗᲔᲚᲘ" – „მიხაილ მ[თავარა]ნგელოსი" (სურ. 19, 20), ნათელია, რომ სუატისის ეკლესიის იკონოსტასი ქართველ მხატვარს მოუხატავს.

სურ. 19. სუატისი, სამების ქვემო ეკლესია, მიქაელ მთავარანგელოზის იკონოსტასის ხატი

აქ შეიძლებოდა დამესრულებინა ეს მიმოხილვა, მაგრამ შეუძლებელია არ ვახსენო, ე.წ. თრუსოს სტელა – საფლავის ძეგლი, რომელიც 1957 წელს აღმოაჩინეს, მდ. თერგისა და სუატისის შეერთების ადგილას, ძველ სასაფლაოზე. სტელა იმ დროსვე ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ

1 ა. შანიძე. ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა), მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 1, 1964, გვ. 173.

2 გ. ბაგრატიონი, ბ.მაცაბერიძე. სუათისი, სამების (ქვემო) ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2, თბილისი, 2004, გვ. 475.



სურ. 20. სუატისი, მთავარანგელოზის ხატის ასომთავრული წარწერა

ორჯონიკიძეში გადაუტანიათ. დღეს ეს ძეგლი ვლადიკავკაზის მუზეუმშია გამოფენილი. საფლავის სტელა წარმოადგენს ბაზალტის ქვის სწორკუთხა სვეტს, რომელიც მუზარადისებრ ბოლოვდება (სიმაღლე-133 სმ, სიგანე 29-35 სმ, სისქე – 20 სმ). პირზე გამოსახულია ბუნზე „დამყარებული“ ტოლმკლავა ჯვარი (სურ. 21); ბუნი ქვედა ნაწილში განტოტვილია, რაც, ვფიქრობ, სიმბოლურად გოლგოთის გამოსახულება უნდა იყოს. ჯვრის ორსავ მხარეს გამოკვეთილია თოთხმეტ სტრიქონიანი წარწერა. წარწერა შეისწავლა საბჭოთა ლინგვისტმა გიორგი ტურჩანინოვმა (1902-1989 წწ.)[1] და იგი სირიულ-ნესტორიანული ანბანით დაწერილ ოსურ ტექსტად მიიჩნია,[2] მისი აზრით წარწერა მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება, ჯვრის ბუნის ქვეშ – მეცამეტე და მეთოთხმეტე სტრიქონზე ავტორის აზრით, თარიღია მოცემული. თარიღი სელევკიდების წელთაღრიცხვის[3] 1637 წელი, ქ. შ. 1326 წელია. ტურჩანინოვის მტკიცებით თარიღი გრაფემებით ასეა დაწერილი: 1000+400+200+20+10+7, ამ შემთხვევაში 30 დაწერილია 20-ის და 10-ის შესატყვისი გრაფემებით. ამ უცნაურობას მკვლევარი ასე ხსნის – თითქოს ეს ვითარება ანარეკლია კავკასიაში გავრცელებული ოცობითი სისტემისა, რომელსაც მეტყველებაში იყენებენ ქართველები, ოსებიც და ამ შემთხვევაში ქართული გავლენა ჩანსო – ოცდა ათ ჩვიდმეტი = 20+10+7; ოსურად ოცდაჩვიდმეტი გამოითქმის, როგორც 7+10+20 (авддæс æмæ ссæдз).[4] აქ მეცნიერს აშკარად უმტყუნა ლოგიკამ, მართალია, ქართველები მეტყველებაში ოცობით სისტემას იყენებენ, მაგრამ წერისას ათობით სისტემას ხმარობენ,

1 გიორგი ტურჩანინოვი პროტოკავკასიური დამწერლობის ჰიპოთეზის ავტორია, მის დასკვნებს ლინგვისტთა უმეტესობა არ იზიარებს.

2 Турчанинов Г.Ф. Трусовская осетинская сирийско-несторианская надпись первой половины XIV столетия, известия Северо-Осетинского научно-исследовательского института, том. XXII, выпуск I, Орджоникидзе, 1960, стр. 41-86; მითითებები ამ ნაშრომიდანაა – Турчанинов Г.Ф. Трусовская осетинская сирийско-несторианская надпись первой половины XIV столетия. (Опыт чтения и характеристики находки), памятники Алано-Осетинской письменности. составиели: В.А.Кузнецов, Б.Б.Басаев, В.Х.Темираев, Л.А.Чибиров. Владикавказ, 2013, стр. 168-191.

3 სელევკიდების წელთაღრიცხვა ქ.წ. 311 წელს იწყება.

4 Турчанинов Г.Ф. Трусовская осетинская сирийско-несторианская надпись..., გვ. 172, 173.

სურ. 21. თრუსოს სტელა. ასლი გ. ტურჩანინოვის მიხედვით

ქართულ ანბანში ოცდაათის აღმნიშვნელი ასონიშანი „ლ“ არის. გაურკვეველია ასევე, თრუსოელი ოსტატი ექვსას, რატომ წერს ოთხასის და ორასის აღმნიშვნელი ასონიშნებით? ამგვარად, თრუსოს სტელაზე წარმოდგენილ დათარიღებას ქართულ სათვალავ სისტემასთან არავითარი კავშირი არ აქვს. სტელის თარიღთან დაკავშირებული მსჯელობა არადამაჯერებელია, სათანადოდ ჩნდება სხვა ეჭვებიც, კერძოდ ტურჩანინოვის აზრით წარწერაში იხსენიება გარდაცვლილი ვინმე ივანე, ალხასის გვარიდან,[1] აქვე, ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სირიულ ნესტორიანულ გრაფემებში შეინიშნება ქართული ასონოშნებიც: „ა“, „ი“, „მ“, „კ“, რაც იმის დასტურია, რომ ოსტატი ქართულსაც კარგად ფლობდაო.[2] მკვლევარი ამატებს, რომ კავკასიის ამ ნაწილში ნესტორიანების შესახებ არაფერი ვიცოდით, ეს წარწერა აქ ნესტორიანთა არსებობის ჯერ მხოლოდ ერთადერთი დასტურია, და ნესტორიანობა გაძლიერებულ ქართულ ეკლესიასთან დამარცხდა ჭიდილშიო. ბოლოს ავტორი აღიარებს, რომ ნაშრომი წინასწარულია და იტოვებს უფლებას, კვლავ დაუბრუნდეს ამ საკითხის კვლევას.[3] ნაშრომი მართლაც წინასწარულია, ბუნდოვანია, და აბნევს მკითხველს. სრულიად გაუთვითცნობიერებელ ოპონენტსაც გაუჩნდება ლოგიკური კითხვები: ამ წარწერას წამკითხველიც ხომ სჭირდებოდა? თრუსოს ხეობაში ეს ერთადერთი სტელა აღმართეს ამგვარი (სირიულ-ნესტორიანული გრაფიკით შესრულებული ოსური ტექსტი) დამწერლობით? ამავე დროს ავტორი ვერ მალავს ფაქტს, რომ წარწერაში ქართული, მხედრული გრაფემებიც შეინიშნება. სტელის ამ გაურკვეველი დათარიღებით კი გამოდის, რომ თრუსოში თურმე ოსები ჯერ კიდევ XIV საუკუნეში დაფუძნებულან; აღარ ჩავეძიები ამ საკითხს, რადგანაც ოსთა თრუსოში განსახლების ისტორია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია.[4] ძნელია იმსჯელო ძეგლზე, რომელიც არ გინახავს, ხოლო უხარისხო ფოტოებით და ტურჩანინოვის გადმოღებული ასლით შეუძლებელია ზუსტი დასკვნების გამოტანა, ერთი შეხედით კი, სტელაზე დატანილი გრაფემები ქართულ მხედრულ ასონიშნებთან ამჟღავნებს მსგავსებას. ამდენად, სრული კატეგორიულობით ვერ

1 იქვე, გვ. 183.

2 იქვე, გვ. 184.

3 იქვე, გვ. 187.

4 იხ.: Дж.Гвасалиа. Историческая география Восточной Грузии (Шида Картли). Тбилиси. 1991; რ.თოფჩიშვილი.საქართვლოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997 Р.Топчишвили. Осетины в исторической и современной Грузии. Тбилиси. 2019; ე.თოფჩიშვილი. თრუსო — საქართველოს ისტორიულ — ეთნოგრაფიული მხარე, თბილისი, 2019; ლ.ჯანიაშვილი. ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში, თბილისი, 2017 და მრავალი სხვ.

ვამტკიცებ, რომ თრუსოს სტელაზე ქართული – მხედრული გრაფემებია ამოკვეთილი, თუმცა აშკარაა ამ ძეგლზე დატანილი გრაფემების ქართულ ასონიშნებთან დიდი მსგავსება; სტელაზე ჩანს ქართული ხუთივე ხმოვანი; თანხმოვნებიდან: „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“, „თ“, „კ“, „ლ“, „მ“, „ს“, „ყ“. ამათგან: „გ“, „დ“, „თ“, „ლ“, „ს“ გრაფემები ზედმიწევნით გვახსენებს სოფ. შევარდენის „თედოს ქალი“-ს ეპიტაფიის ასონიშნებს. ვფიქრობ თრუსოს სტელა საფუძვლიანად შესასწავლი ობიექტია.

ხევისგან განსხვავებით, სადაც მაღალი დონის ხუროთმოძღვრული ძეგლები და მრავალი ძველი ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშია შემორჩენილი, ცენტრალურ გზას მოწყვეტილი, იზოლირებული თრუსო, ამ მხრივ ნაკლებ ღირსშესანიშნავია. თერგის ხეობის ზემო წელში უძველესი ლაპიდარული წარწერა – მნის ეკლესიის კედელზეა ამოკვეთილი (X ს.), რაც გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში ოდითგანვე ქართველები სახლობდნენ. ეს მხარე ისტორიული წანარეთის ნაწილია და მნის წარწერაში მოხსენიებული ვინმე მაქარე და შვილნი მისნი ქართველთა ამ მხარის წარმომადგენლები იყვნენ. შემორჩენილი ლაპიდარული წარწერების უმეტესობა XIX-XX საუკუნეებისაა და საფლავის ეპიტაფიებითაა წარმოდგენილი; ამ დროს აქ უმეტესად ოსური მოსახლეობა ბინადრობს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეპიტაფიების უმრავლესობა რუსულია, რაც რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს, აქა-იქ შემორჩენილი ქართულწარწერიანი საფლავის ქვები გვამცნობს, რომ თრუსოს ხეობის ოსურ მოსახლეობის ნაწილს XIX საუკუნეში ჯერ კიდევ შერჩენოდა ქართულ ყოფა-ცხოვრებასა და კულტურასთან ერთიანობის განცდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მხარეში დაფიქსირდა იოანე იალღუზიძის მიერ ქართული ანბანის გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ოსური წარწერაც. ვფიქრობ, მომავალი კვლევა-ძიება მეტ ინფორმაციას მოგვცემს თრუსოს ხეობის ადრეული ხანის ისტორიის შესასწავლად.

თრუსოს არქიტექტურული ძეგლები

გიორგი ბაგრატიონი

სოფელ ზემო ოქროყანას დასავლეთით, თერგის ხეობას თუ ავუყვებით, მკვეთრად შევიწროვებულ, კლდოვან გარემოში მოვხვდებით, შემდეგ ხეობა ჯერ სამხრეთისკენ უხვევს, სადაც თერგი შვეულად აზიდულ კლდეებს შორის მოედინება, ხოლო შემდგომ ისევ დასავლეთისკენ, ფართოდ გაშლილ, ტაფობებიან მიდამოში აღმოვჩნდებით. სწორედ აქედან იწყება თრუსო, ხოლო აქამდე არსებული ხეობის კლდოვან ნაწილს „კასარა“ ეწოდება.

თრუსო, რომელიც ზღვის დონიდან საშუალოდ 2200 მეტრზეა, რელიეფის და განსახლების მიხედვით ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ნაწილი მოიცავს კასარადან დაწყებულ ვრცელ, გაშლილ ხეობას. იქ სადაც მთის კალთა გაივაკებს, შიგადაშიგ მინერალური წყლის წყაროებით მრავალფერად შეღებილი გარემო, თვალწარმტაც სანახაობას გვთავაზობს. თრუსოს პირველი სოფელი ქეთრისი თავდაპირველად მდინარის მარცხენა ტაფობზე გაუშენებიათ. მისგან ამჟამად მხოლოდ ერთი კოშკია პირვანდელი სახით შემორჩენილი, დანარჩენი ნაგებობები კი ნანგრევებად ქცეულან. სოფლის მოსახლეობა XIX საუკუნის II ნახევარში გადასახლებულა მდინარის გაღმა. ახალ ქეთრისში წყლის წისქვილების და საცხოვრებელი სახლების ეთნოგრაფიულად მნიშვნელოვანი კუთხეა შემორჩენილი. ქეთრისიდან ორიოდ კილომეტრში, თერგის მარცხენა ნაპირას სოფელი აბანო მდებარეობს. მისი კოშკების სილუეტი შორიდანვე იტაცებს თვალს. ამ სოფლის შემდეგ ხეობა ფართო რიყეს წარმოადგენს და მდინარეების დესისწყლისა და სუატისისწყლის შესართავებთან მთავრდება, სადაც მთის ფერდის მცირე ნაშვერზე, ნასოფლარი ზაქაგორია აღმართული.

თრუსოს II ნაწილი დესისწყლის ხეობაა. იგი ფართოდ შეერთვის თერგს სამხრეთიდან. ხეობა გოგირდოვანი წყლებითაა ცნობილი. მის დასაწყისში სოფელი ქვემო დესია, ხოლო ერთი კილომეტრის მოშორებით ზემო დესი მდებარეობს. ამ ხეობით ხდებოდა გადასვლა – ერთი გზით დიდი ლიახვის სათავეებში, ისტორიულ მაღრან-დვალეთში, ხოლო მეორე გზით, ყელის ტბის გავლით არაგვისა და ქსნის ხეობებში.

თრუსოს III ნაწილი სუატისისწყლის ხევია. მისი სათავე მყინვარწვერის მყინვარებშია. ხეობის შუაში სოფელი სუატისია. აქ X საუკუნის დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია და გვიანფეოდალური სათავდაცვო კოშკია შემორჩენილი. სოფლის მიდამოებში, მთის ფერდის აყოლებით კიდევ ორი პატარა ეკლესიაა, რომელთაგან ერთ-ერთი 3.000 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. სამივე სალოცავს ადგილობრივნი „შანებას“ უწოდებენ. ხეობის სიღრმეში, 2 კმ-ში, კიდევ ერთი, მაღალმთის პირობაზე საკმაოდ მოზრდილი, დარბაზული ეკლესიაა.

თრუსოს IV ნაწილი თერგის სათავეებამდე აღწევს. აქ ხეობა შედარებით ვიწროვდება და აქეთ-იქიდან პატარ-პატარა მდინარეები ერთვის. ამ შენაკადების თერგის შესართავებთან ციხე-კოშკებიანი სოფლებია: კართსოფელი (კა-

რატკაუ), ბურმასიგი, წოწოლთა (ცოცოლთა), გიმარა, თეფი, რესი და ადრე მიტოვებული ნასოფლარი სივრატი (წილისი).

თრუსოს ზემო ნაწილში ჯერ სოფელი კართსოფელი (კარატკაუ) გვხვდება, სადაც ექვსი კოშკი და მცირე საყდარია შემორჩენილი. აქ ერთ-ერთ ყველაზე კარგად გადარჩენილ ბულასოვების კოშკს სამსართულიანი ბანიანი სახლიც ეკვრის. ორიოდე კილომეტრის მოშორებით ბურმასიგის კომპლექსია, სადაც სათავდაცვო კოშკსა და ციხე-სახლს შორის ძველი საცხოვრებლებია ერთმანეთზე მიბჯენით მთაზე შეფენილი. შემდეგ სოფელ გიმარაში „ალარდის“ წმინდა კოშკი და ძველი ნასახლარებია. სოფელ თეფში წმ. გიორგის მცირე დარბაზული ეკლესიაა, ე. წ. „მორთული“ ციხე-სახლი და თავად ძველი განაშენიანებაც ლამაზადაა შეფენილი მთაზე. თრუსოს ხეობის ბოლო სოფელ რესიში წმ. ბასილის პატარა დარბაზული ეკლესია და მრავალი ციხე-სახლია დარჩენილი. ამ ხეობის ბოლოს ხელადურის უღელტეხილზე თუ გადავალთ ისტორიულ დვალეთში, ზახას ხეობაში მოვხვდებით.[1]

როგორც თრუსოს მოკლე აღწერიდან გამოჩნდა, მისი გეოგრაფიული და სივრცობრივი ცენტრი, ამ ოთხი მთავარი ნაწილის შეხების წერტილში მდებარეობს. ამიტომაც შემთხვევით არ არის ამ ადგილას აგებული, როგორც თრუსოს მთავარი სალოცავი „მთავარანგელოზი“, რომელიც ყოველი წერტილიდან აღიქმება, ასევე გამაგრებული ციხე-ქალაქი ზაქაგორი. ამ გალავნით შემოზღუდულ კომპლექსში ჯერ კიდევ შეიძლება აღდგეს ერთმანეთის მიჯრით აგებული ორსართულიანი ბანიანი სახლები, ცენტრალური მოედანი იქვე მდებარე კოშკურა სახლით და ჩრდილოეთით და სამხრეთით არსებული სათავდაცვო კოშკებით. რთულ რელიეფზე, საინტერესოდ მოფიქრებული გეგმარებით ზაქაგორი ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. ამ ტიპის სოფლებს ოსეთშიც კი „გალუანებს“ უწოდებენ, რაც ქართულ „გალავანთან“ უნდა ჰპოვებდეს სიახლოვეს. ასეთი სახით შემორჩენილი გამაგრებული დასახლებები, აღმოსავლეთ საქართველოში შატილისა და მუცოს გარდა ფაქტობრივად აღარ შემოგვრჩა, რაც უნიკალურობას ანიჭებს ზაქაგორას.

1 „გზად ბეთლემისკენ“, „დარბაზი“ №2, 1990 წ.

თრუსო და მნა ასევე მრავალფეროვანია ბუნების ღირსშესანიშნაობებით. სოფელი მნის სიახლოვეს წმ. მარიამის ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მნის ქვედა ჩანჩქერია, რომელის ქვეშაც მშრალად გავლა შეიძლება, ხოლო მის გარშემო არსებული ვერტიკალური ბაზალტის „პილასტრები“ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ხეობის სიღრმეში მდებარეობს ყაზბეგის რაიონის ყველაზე მაღალი ჩანჩქერიც რომლის სიმაღლეც 70 მეტრს არწევს. აქვეა ცნობილი მნის კლდოვანი „ნემსი“, რომლის დალაშქვრაც კლდეზე მცოცავთა ოცნებაა.

თრუსოში შესვლისას ტრავერტინების ველზე აღმოჩნდებით, მისი მინერალიზირებული ფაქტურა თვალისმომჭრელად აირეკლება მზის სხივებში. აქვე, თერგის გაღმა ე.წ. „უძირო ტბაა“ რომლის სიღრმე 42 მეტრს აღწევს, თუმცა ზომით 15 X 10 მეტრზეა. ეს ტბა ერთგვარი ვულკანური წარმოშობის ძაბრია, საიდანაც ძლიერ მინერალიზირებული, გოგირდოვანი აირები ამოდის ბუყბუყით.

განვიხილოთ თრუსოს და მნის არქიტექტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლები ბოლო სოფლიდან ვიდრე კობამდე.

სოფელი რესი

წმ. ბასილის ეკლესია,[1] არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ჩრდილოეთ განაპირას, მთის ფერდობზე. გეგმით სწორკუთხაა (3,6 X 4 მ), სწორკუთხასაკურთხევლიანია. ინტერიერში ვხვდებით სამხრეთის კედლის ცენტრში გაჭრილი მართკუთხა კარიდან. აღმოსავლეთის კედლის ღერძზე და ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში მცირე ზომის ნიშია. ჩრდ. ნიშის ქვემოთ, ორ ლოდზე ფიქლის ბრტყელი ქვა ძევს. სამხრეთის კედელში, კარის აღმოსავლეთით, გაჭრილია ეკლესიის ერთადერთი სწორკუთხა სარკმელი, რომელიც ინტერიერისკენ ოდნავ ფართოვდება. სარკმელში ხის გისოსია ჩადგმული. სამხრეთის ფასადზე, კარის დასავლეთით, მცირე ნიშია. ფასადზე ნალესობის კვალია შემორჩენილი. ეკლესია თავდაპირველად ფიქლის დიდი ფილებით ყოფილა გადახურული, ამჟამად მას თუნუქის ორფერდა სახურავი აქვს.



ძეგლი ნაგებია ნატეხი და ფიქლის ქვის მონაცვლეობით. აგებულია XVIII-XIX სს. მიჯნაზე. ეკლესია პატარა ეზოში დგას, რომელიც ფიქლის ქვით ნაშენი დაბალი გალავანითაა შემოზღუდული. გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ქვის ჩამოსაჯდომია მოწყობილი.



გეგმა , სამხრეთ ფასადი და ჭრილი ჩრდილოეთზე

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 467, II ტომი. თბ. 2008 წ.

სოფელი ზემო ტეფი (თეფი)

ბაფი კალაგოევის ციხე-სახლი[1]. იქ სადაც თერგს მდინარეს თეფიდონი შეერთვის, ამ უკანასკნელის მარჯვენა ნაპირზე სოფელი თეფია გაშლილი. დასახლება ორ უბნად წარმოგვიდგება, ქვედა თეფში მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია, კალაგოევის კოშკიანი სახლი და საცხოვრებლების ნანგრევები. ზედა და ქვედა უბნებს შორის მოთავსებულია სასაფლაო, სადაც მცირე ზომის აკლდამებია შემორჩენილი. ზედა თეფი, ქვემოსთან შედარებით, დაახლოებით 150 მ-ით მაღლა მდებარეობს და ესეც ნახევრად დანგრეული საცხოვრებლების და კოშკების ანსამბლს წარმოადგენს.

ბაფი კალაგოევის სახლი სოფლის განაპირას დგას და მთავარი ფასადით სამხრეთისკენაა მიმართული. ნაგებობაში მშენებლობის ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა. მშენებლობის I ეტაპი მოიცავს ერთ სიგრძივ ღერძზე მოთავსებულ კოშკს და საცხოვრებელ ნაწილს – მის ქვეშ სამეურნეო სათავსოებითურთ. II ეტაპი კი წარმოადგენს საცხოვრებლის და სამეურნეო სათავსოების მიშენებას სამხრეთის მხრიდან.





გეგმა და სამხრეთ ფასადი

შენობის არქიტექტურულ დომინანტს წარმოადგენს სათავდაცვო კოშკი (6 X 5,6 მ), რომელიც სამი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კოშკის სართულშუა გადახურვები ხის მორებს ეყრდნობოდა, რომლებიც ამჟამად ჩამოქცეულია და ნაწილობრივ შეუვსია I სართული. შესასვლელი კოშკს II სართულზე ჰქონია – დასავლეთის მხრიდან. I-II სართულის ინტერიერში კუთხეები დაახლოებით 50 სმ-ის რადიუსითაა მომრგვალებული. I სართული ყრუ კედლებითაა შემოსაზღვრული. II სართულზე შემოსასვლელის გარდა მოთავსებულია 2 სარკმელი – სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან. III სართულზე, ჩრდილოეთ კედელში, მართკუთხა ფორმის ნიშაა დატანებული, ხოლო სამხრეთით სარკმელი და კარი, რომელიც მიშენებული სათავსოს ბანზე გადიოდა.

კოშკი ნაგებია ნატეხი ქვით და სავარაუდოდ XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება.

საცხოვრებლის თავდაპირველი შენობა (12 X 8 მ) ორ სართულს შეიცავს. I სართული სამეურნეო სათავსებისგან შედგება – დასავლეთით საჭირნახულო იყო განლაგებული, ხოლო აღმოსავლეთით საქონლის სადგომი. II სართულზე

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 475, ტომი II. თბ. 2008 წ.

ასასვლელი ქვის კიბე აივანზე ადის, რის შემდეგ კი, ბინაში შეგვიძლია მოხვედრა. ამჟამად საცხოვრებლად გამოყენებული ფართი სამ ნაწილად იყოფა, რომლებიც ერთმანეთისგან ტიხრებითაა გამიჯნული. შემოსასვლელი კარებიდან ვხვდებით წინამოში, მის გვერდით მცირე ზომის ოთახია მოთავსებული, ხოლო სიღრმეში დიდი ზომის საცხოვრებელია. წინამოს სარკმელი დასავლეთით გადის, მცირე ოთახისა – სამხრეთით, ხოლო დიდი ოთახის 2 სარკმელი – დასავლეთით. ამ ოთახის ცენტრში სვეტია აღმართული, რომელიც გადახურვის ხის ძელს იჭერს. I სართულის გადახურვაც ანალოგიურადაა გადაწყვეტილი. შენობას ბრტყელი გადახურვა აქვს.

საცხოვრებლის გვიანი ნაწილი (10 X 5 მ.) სტრუქტურულად თავდაპირველ ნაგებობას იმეორებს. აქაც I სართული სამეურნეო დანიშნულებისაა, ხოლო II სართული საცხოვრებლად იყო გამოყენებული. I სართულზე შესვლა სამხრეთის კარიდან ხდება. აქ ორი სათავსოა. I-ის თავზე II სართულის ბანი მდებარეობს, რომელზეც აივნიდან ვხვდებით. II სათავსოს თავზე საცხოვრებელი ოთახია სამხრეთის ორი სარკმლითა და დასავლეთის კარით. სამხრეთის მხარეს ოთახს აივანი ჰქონდა, რომლის მხოლოდ დამჭერი ძელებიღაა შემორჩენილი.

საცხოვრებელი ნაწილი ფიქლის ქვებითაა ნაგები და XIX საუკუნეშია აგებული.

ზედა ეკლესია. სოფლის ზედა უბნის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა კუთხეში ახლად აღმოჩენილი დარბაზული ეკლესიიდან მიწის ზევით კედლების ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი; თუმცა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მაინც შესაძლოა გარკვეული სურათის აღდგენა.



გეგმა და ჭრილი აღმოსავლეთზე

მცირე ზომის ეკლესიიდან (5 X 3,5 მ-ზე) მკაფიოდ იკითხება ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი და აღმოსავლეთი კედლის ქვედა ქვათა წყობა. ჩრდილოეთ კედელს ძირში საფეხური მიუყვება, რომელიც მხარის გარეშე იწყებს აფსიდის ნახევარწრიულ მოხაზულობაში გადასვლას. ამავე კედელში პატარა ნიშია მოწყობილი. სამხრეთის მხრიდნა რამოდენიმე ქვის მდებარეობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკლესიას სამხრეთ მინაშენიც გააჩნდა.

ეკლესიის ნაშთი

ძეგლი ნაგებია მოზრდილი და საშუალო ზომის ნატეხი ქვებით. შემორჩენილი კედლის სისქე 90 სმ-მდე აღწევს.

როგორც ჩანს ეს ეკლესია ადრევე მიუტოვებიათ და მის შემდეგ სოფლის ქვედა ბოლოში წმ. გიორგის ეკლესია აუგიათ, რომელიც აშკარად გვიანი შუა საუკუნეებისა უნდა იყოს. შესაბამისასდ ზედა ეკლესია მანამდე იქნებოდა აშენებული.

ქვემო ტეფი (თეფი)

წმ. გიორგის ეკლესია.[1] სოფლიდან 60-იოდე მეტრში, სამხრეთით, თეფისწყლის ნაპირას დგას მცირე დარბაზული (4,7 X 4 მ-ზე), სწორკუთხასაკურთხევლიანი წმ. გიორგის ეკლესია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს და არქიტრავულია. ერთადერთი საფეხურებრაფიანი სარკმელი აღმოსავლეთ კედლის ცენტრშია გაჭრილი; მის წინ ტრაპეზის ქვაა აღმართული. სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში თითო-თითო ნიშია მოწყობილი, ხოლო ჩრდილოეთისაში ორი. ორფერდა გადახურვა თავიდან ფიქლის დიდი ქვებით ყოფილა მოწყობილი; ამჟამად კი თუნუქითაა დაბურული.

ეკლესია გვიან შუასაუკუნეებშია აგებული. მას გარშემო, გეგმაში მართკუთხა ფორმის, მშრალი წყობით ნაგები გალავანი შემოუყვება.

კოშკის ორნამენტირებული კარი

კოშკი.[2] არქიტექტურული ძეგლი სოფლის განაპირას, ჩრდილოეთითაა აღმართული. გეგმით მართკუთხა კოშკი (6,5 X 6 მ) ნაგებია მოზრდილი და ნატეხი ქვების მონაცვლეობით. კარი თლილი ქვითაა ამოყვანილი. ფასადებზე, კუთხის და კარის ღიობის ქვები შედარებით დამუშავებულია. სანამ 2019 წელს კოშკის დაშენების და მიშენების სამუშაოები ჩატარდებოდა, მხოლოდ პირველი სართული იყო შემორჩენილი. თაღოვანი, დაბალი და განიერი შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდან, მიწიდან 3 მ სიმაღლეზეა გაჭრილი. კარის თაღი ორი ქვისაგანაა შედგენილი, რომლებსაც შემოვლებული აქვს სქემატურად წარმოდგენილი ორი გრეხილი. თაღის მარჯვნივ ჩანაჭრით გამოსახულია ირემი, მარცხნივ კი ადამიანის ორი, სხვადასხვა სიმაღლის ფიგურა. კარის გარდი-გარდმო ქვებზე ამოკვეთილია ნადირობის სცენები. თარიღდება XVII ს. II ნახევრით ან XVIII ს. დამდეგით.

ციხე-სახლი.[3] სოფელი ქვემო თეფის ცენტრალურ ნაწილში მდ. თეფისწყლის სიახლოვეს ციხე-სახლის ნანგრევებია შემორჩენილი. გეგმით მართკუთხა (7,1 X 6,5 მ-ზე) შენობისგან ორი სართულის კედლებიღაა შემორჩენილი. პირველი და მეორე სართულის თაღოვანი შესასვლელები სამხრეთ-დასავლეთ ფასადის ცენტრშია გაჭრილი.

ციხე-სახლი ნაგებია მოზრდილი და ნატეხი ქვების მონაცვლეობით მშრალ წყობაზე. ფასადებზე, კუთხის და კარის ღიობის ქვები შედარებით მოზრდილი და დამუშავებულია. პირველ სართული საქონლის სადგომად უნდა ყოფილიყო გამიზნული, რომელიც, კოჭის ბუდეების გათვალისწინებით, ხის დიდ მორებზე მოწყობილი გადახურვით სრულდებოდა. მერე სართულის ჩრდილო-დასავლეთ კედელის ცენტრში ერთი სათოფურია შემორჩენილი. ციხე-სახლი ბანით იქნებოდა დასრულებული. ძეგლი გვიან შუა საუკუნეებშია აგებული.

---

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 476, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 475, II ტომი. თბ. 2008 წ.

3 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 476, II ტომი. თბ. 2008 წ.

გუსალთა



ჭრილი, ფასადი და გეგმები

კოშკი[1] დგას ნასოფლარის განაპირა, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ოთხკუთხა კოშკი გეგმით ოდნავ ტრაპეციულია (5,2 X 5 მ), შედარებით მოკლე კედელი ფერდის ზედა მხარესაა განთავსებული. ნაგებია მოზრდილი და ნატეხი ქვების მონაცვლეობით მშრალ წყობაზე. ფასადებზე, კუთხის ღიობების და ქვედა დონის ქვები შედარებით მასიური და დამუშავებულია. ალაგ-ალაგ იკვეთება ცოკოლი. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული (სიმ. 9,4 მ) რომელიც სიმაღლეში მნიშვნელოვნად ვიწროვდება. ხის კოჭებზე მოწყობილი სართულშუა გადახურვები ჩანგრეულია. ერთადერთი თაღოვანი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდანაა, მიწიდან 2,75 მ-ზეა. თაღი ორი ქვისგან შედგენილი ნახევარწრეა. შიგნიდან კარის თავზე მცირე ნიშია მოწყობილი. პირველი სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში ორი სათოფურია, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაში კი თითო-თითო. მეორე სართულის სამხრეთ-დასავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელი და პატარა ნიშია, ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთში კედელში – ორ-ორი სათოფურია, ჩრდილო-დასავლეთისაში და კი თითო. კოშკი გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება.

სოფელი გიმარა

ეს სოფელი ამ საუკუნის დასაწყისში თრუსოს ყველაზე დიდი დასახლება გახლდათ. ამჟამად, სოფლის ისტორიული სახიდან ორი დანგრეული კოშკი და მიტოვებული სახლებისა და სამეურნეო სათავსების ნაზავიღაა შემორჩენილი.

კოშკი[2] დგას სოფლის დასავლეთ განაპირას, გეგმით კვადრატულია (5 X 5 მ) და სიმაღლეში ოდნავ ვიწროვდება. ნაგებია მოზრდილი და ნატეხი ქვების მონაცვლეობით მშრალ წყობაზე. ფასადებზე და კუთხის ღიობების ქვები შედარებით მოზრდილი და დამუშავებულია. შემორჩენილია პირველი და მეორე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლების ნაწილები. სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, გარედან თაღოვანი შესასვლელი შიგნიდან სწორკუთხაა და მეორე სართულზე გავყავართ. პირველი სართული ყრუკედლებიან საცავს წარმოადგენდა. კარის თაღი საგანგებოდ გამოკვეთილი ორი ქვისგანაა შედგენილი. წირთხლებად თითო-თი-



ფასადი, ჭრილი და გეგმა

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 454, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 453, II ტომი. თბ. 2008 წ.

თო მოზრდილი, კარგად დამუშავებული ქვაა გამოყენებული. კარის ძირში ხის კიბის კრონშტეინად გამოსაყენებელი დიდი ქვაა გამოშვერილი. მეორე სართულზე შემორჩენილ კედლებში რამდენიმე სათოფურია განთავსებული. თარიღდება XVII ს-ით.

კოშკი.[1] არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის განაპირას. ჩრდილოეთით, ციცაბო, კლდოვან ბაქანზე. კოშკი გეგმით თითქმის კვადრატულია (6 X 6,4 მ), 8 მეტრამდე სიმაღლისაა შემორჩენილი და ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება. ნაგებია საკმაოდ მოზრდილი ქვებით. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული; პირველი სართული კედლებიდან ჩამოშლილი ქვითაა ამოვსებული. შესასვლელი სამხრეთიდანაა, მეორე სართულის დონეზე, მიწიდან 4,5 მ-ზე. კარის გადახურვა ჩამოშლილია. გვერდები გამოყვანილია არაწესიერი ფორმის მოზრდილი ქვებით. დასავლეთ კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. სამხრეთ ფასადზე, ცოკოლის თავზე, კედლის წყობაში ჩატანებულია გრძელი (სიგრ. 1,3 მ) ქვა, რომელზეც სამი ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი. ასეთივე სამი ჯვარია ამოკვეთილი კოშკის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ერთ-ერთ ქვედა ქვაზეც. დასავლეთის ფასადზეც არის ქვა, რომელზეც ჯვარია ამოკვეთილი. სამხრეთის ფასადზე, მიწიდან 6,5 მ სიმაღლეზე, საგანგებოდ შერჩეული თეთრი ქვებით თარაზული ზოლია გამოყვანილი, რომლის მცირე ნაწილი დასავლეთის ფასადზეც გრძელდება. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით.

წმინდა გიორგის ეკლესია.[2] ძეგლი დგას სოფლის ჩრდილოეთით, ფერდის მცირე დავაკებაზე. ეკლესია დარბაზულია (4,5X4,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი დასავლეთის კედლის სამხრეთ კიდეშია. კარი დაბალი (სიმაღლე 1,3 მ) და სწორკუთხაა. ოკრო-ბოკრო ფორმის აფსიდი უშუალოდ ერთვის ჩრდილოეთ კედელს. სამხრეთ კედლიდან კი მოკლე მხარითაა გამოყოფილი. საკურთხეველში ეკლესიის ერთადერთი სარკმელია. იგი ინტერიერისკენ ფართოვდება და შიგნიდან ტრაპეციის ფორმა აქვს. სარკმლის ქვემოთ დაბალი ტრაპეზი დგას. აფსიდის ჩრდილოეთ და სამხრეთ გვერდებში თითო სწორკუთხა ნიშია. აფსიდს და დარბაზის ჩრდილოეთ კედელს ქვის ფილებით ამოყვანილი საფეხური გასდევს. დარბაზის ჩრდილოეთ კედელში ფიქლის თხელი თაროცაა, მასზე წმ. გიორგის ხატია დასვენებული. იატაკი მიწისაა.

ჭრილი აღმოსავლეთზე, დასავლეთ ფასადი და გეგმა

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 453, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 453, II ტომი. თბ. 2008 წ.

დასავლეთის ფასადის ჩრდ. კიდეში პილასტრისებრი შვერილია, რომელიც კედლის ზედა ნაწილში ფასადის სიბრტყეს ერწყმის. კარის სამხრეთით, ხის თაროა, რომლის ქვეშ პატარა ზარია ჩამოკიდებული. ეკლესიას ბანური გადახურვა აქვს, რომელზედაც მოგვიანებით თუნუქის ორფერდა სახურავი დაუდგამთ. ეკლესიას შემოვლებული აქვს დაბალი სწორკუთხა გალავანი რომელიც ჩრდილოეთით პატარა ჯიბეს ქმნის. გალავანში შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელი გალავანშია ჩართული. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით.

სოფელი ბურმასიგი

სოფელი ბურმასიგი თერგის მარცხენა ნაპირას, ფერდზეა გაშენებული. ტოპონიმის განმარტების თანახმად, ბურმასიგი ოსურ ენაზე ნიშნავს ყვითელ (ბურ) კოშკს (მასიგი), რაც სავსებით შეესაბამება მოყვითალო ფერის ქვით ნაშენ ანსამბლის სახეს.[1]

ძეგლი წარმოადგენს ერთმანეთის მიჯრით, მჭიდროდ განლაგებულ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსს, რომელთა შორის, მაღლივი დომინანტის სახით, კოშკი და ციხე-სახლი გამოიყოფა. აღმოსავლეთით მდგარი ციხე-სახლი ნაწილობრივ დანგრეულია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის კოშკი ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემორჩენილი კოშკია ამ რეგიონში. ციხე-სახლი გეგმაში თითქმის კვადრატულია (5,5 X 5,6 მ) და ოთხი ძირითადი სართულისგან შედგება.

ნაგებობის შიდა სივრცეში II სართულის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი მრუდთაღოვანი კარიდან ვხვდებით. ამ სართულის სამხრეთით, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში ორ-ორი სათოფურია გაწრილი, რომელთაგან დასავლეთის სათოფურები შეწყვილებულ სათოფეებს წარმოადგენენ, ანუ თითო სათოფეს ორი ლულის გასაყრელი აქვს მოწყობილი. II სართულის ქვემოთ მოთავსებულ I სართულში თითო-თითო სათოფურია მოთავსებული სამხრეთ და დასავლეთ კედელში. III სართულის ყოველ კედელში ორ-ორი სათოფურია, ხოლო IV სართულზე, ჩრდილოეთ კედლის გარდა, სადაც ერთი სათოფეა განლაგებული, დანარჩენ სამ კედელშიც ორ-ორი სათოფურია მოწყობილი. ამ სართულიდან ვხვდებით V სართულის დონეზე მოთავსებულ, კედლის პერიმეტრის გაყოლებაზე განლაგებულ, 50 სმ-ის სიგრძის ბაქანზე, რაზედაც თავდაცვითი მოქმედებების დროს მებრძოლნი იდგნენ და ლოდებს და ტყვიას უშენდნენ მტერს.

გარედან ძეგლი მყარ, მტკიცედ ნაგებ ციხე-სახლს წარმოადგენს, რომლის ენტაზისი სიმაღლეში თანდათან ვიწროვდება. მისი სიმაღლე 12,7 მეტრია და ფიქლის ქვის ნაშვერი კარნიზით ბოლოვდება.

სართულშუა გადახურვა ანალოგიურია მთის არქიტექტურაში გავრცელებული წესისა: მოზრდილ ხის კოჭებზე შედარებით თხელი ხისვე მორებია დაწყობილი, რომლებზეც ბრტყელი ქვის ფილებია დალაგებული, რაზედაც თხუთმეტიოდე სმ-ის ფენის ტკეპნილი მიწაა დაფენილი.

ფასადებიდან აღსანიშნავია აღმოსავლეთის ფასადი, სადაც შესასვლელი კარია მოთავსებული. მის მრუდთაღოვან მოხაზულობას ორი არქიტრაული

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 449-440, II ტომი. თბ. 2008 წ.

ლოდი ქმნის, რომელთაგან სამხრეთის ლოდზე მცირე ჯვარია ამოკვეთილი. კოშკის წინ ქვის კედლით შემოსაზღვრული ეზოა მოთავსებული, რომლის სამხრეთით, ფერდის დაყოლებაზე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის ნანგრევებია შემორჩენილი. გეგმაში ზომით 5 X 5,3 მ, ხოლო სიმაღლე 14 მ-მდე აღწევს. კოშკის I სართული მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზეა. შესასვლელი სართულის აღმოსავლეთ კედელშია მოწყობილი. მას წინიდან ქვის კიბე ადგება. სართულის დანარჩენ კედლებში თითო სათოფურია განლაგებული. II სართულზე რვა სათოფურია, III-ზე – ათი, IV-ზე – ექვსი და V-ზე – ოთხი. V სართულის სათოფურები ვერტიკალური სროლისთვის არის გამიზნული და ამიტომ გარედან სალოდეებს მოგვაგონებს. კოშკის სართულშუა გადახურვები ჩამოქცეულია, მიუხედავად ამისა, შეიმჩნევა, რომ კონსტრუქცია ხის მოზრდილი კოჭებისგან იყო შექმნილი. სიმაღლის ზრდასთან ერთად კედლის სისქე მცირდება, რაც კოშკს მდგრადობას უნარჩუნებს. სამშენებლო მასალად სპეციალურად შერჩეული ფიქალის ქვაა გამოყენებული.



გეგმა

ანალოგების მიხედვით კოშკი XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება.

კოშკს სამხრეთით აკრავს საცხოვრებელი სახლი. ის სამსართულიანია. სახლის სამხრეთით მდებარე, მცირე ეზოს შესასვლელში, სარიტუალო სიპი ქვა ძევს. ეზოდან I სართულზე მოთავსებულ ბოსელში და II-III სართულებზე განლაგებულ საცხოვრებელ ოთახებში ხდება შესვლა.

I სართულზე განლაგებული სამეურნეო ნაწილი სამ სათავსოდ იყოფა, რომელთაგან ყველაზე დიდი ბოსელია. ამ სართულის ხუთივე სარკმელი გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება და ფასადზე, ვიწრო ღიობების სახით გადიან.



ჭრილი ჩრდილოეთზე



აღმოსავლეთ ფასადი

II სართულის იატაკი ჩამონგრეულია. აქ ორი ოთახია. მათგან აღმოსავლეთისა მოგრძო ფორმისაა და მცირე ზომის ორი სარკმლით ნათდება. მთავარი ოთახი მოზრდილია (5,8 X 7 მ) და სამხრეთის მხრიდან ორი დიდი სარკმელი აქვს დატანებული. ამ ოთახის კედლებში შვიდი სწორკუთხოვანი ნიშაა.

მესამე სართული ნაწილობრივაა შემორჩენილი, მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა დასავლეთის კედელში ამოშენებული ბუხარი და სამხრეთის მხარეს მოწყობილი ფართო და გრძელი ხის აივანი.

საცხოვრებელი ნაგებობა ამოშენებულია ჭაჭის წყობით. შენობის კედლები გალესილი ყოფილა, ამჟამად ნალესობა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

სოფელი წოწოლთა (ცოცოლთა)

წმ. გიორგის ეკლესია.[1] არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ცენტრში, მოსწორებულ ადგილას. ეკლესია დარბაზულია, სწორკუთხასაკურთხევლიანი (7,2 X 4,7 მ). შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარი არქიტრავული. აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია დაბალი, განიერი და სწორკუთხა სარკმელი. ჩრდილოეთ კედელში სამი მცირე ნიშია. მსგავსი ორი ნიში დასავლეთ კედელშიცაა. ეკლესიის შიდა სივრცე დასრულებულია ხის შეფიცრული, ბრტყელი ჭერით. ჭერს ზემოთ სხვენია, რომელიც ნათდება აღმ. და დას. კედლებში გაჭრილი თითო მცირე თაღოვანი სარკმლით. გარედან ეკლესიის კედლები, ინტერიერის მსგავსად, შელესილი და შეთეთრებულია. თუნუქის სახურავი ორფერდაა. ეკლესიას გარს აკრავს დაბალი, სწორკუთხა მოხაზულობის გალავანი, რომელიც ნატეხი ქვის მშრალი წყობითაა ნაგები. ეკლესია XIX ს-შია აგებული.



ჭრილი სამხრეთზე, აღმოსავლეთ ფასადი და გეგმა

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 488, II ტომი. თბ. 2008 წ.

სოფელი კართსოფელი (კარათკაუ)

ეკლესია[1] დგას სოფლის დასაწყისში, სამხრეთ ნაწილას. ეკლესია დარბაზულია (4,1 X 5,5 მ), წაგრძელებულია ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით. ნაგებია ნატეხი ქვით. ცალმხრივად ნაოთხალიანი არქიტრავული შესასვლელი კედლის დასავლეთ კიდეშია. ეკლესია უაფსიდოა და აღმოსავლეთის ორივე კუთხე მომრგვალებული აქვს, განსაკუთრებით ზედა ნაწილში. ასეთივეა ჩრდილო-დასავლეთის კუთხეც. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში ეკლესიის ერთადერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, რომელიც ინტერიერისკენ ოდნავ ფართოვდება. სარკმლის რაფა საფეხუროვანია. დასავლეთის კედელში ორი მცირე ზომის სწორკუთხა ნიშია. კედლის გასწვრივ, ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან, ქვის დაბალი ჩამოსაჯდომია. ეკლესიას მიწის იატაკი აქვს. სამხრეთის ფასადზე, კარის თავზე, მომცრო ოთხკუთხა ნიშია. ასეთივე ნიში ამავე ფასადის აღმოსავლეთ ნაწილშიცაა. ამის გარდა, აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, მიწიდან სხვადასხვა სიმაღლეზე თითო სწორკუთხა ნიშია მოწყობილი. სახურავი ორფერდაა. გადახურულია ფიქლის მოზრდილი ფილებით. სახურავის კეხი ეკლესიის ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე მდებარეობს, რაც საკმაოდ იშვიათია. ეკლესიას შემოვლებული აქვს ხუთკუთხა მოხაზულობის დაბალი (სიმაღლე 0,7 მ.) გალავანი, რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით.

კოშკები[2] მდებარეობს სოფელში, უსახელო რუს ორივე მხარეს. შემორჩენილი ექვსი კოშკიდან ოთხი – სოფლის აღმოსავლეთ ნაწილშია, ორი კი დასავლეთისაში. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, XX საუკუნის დასაწყისისათვის აქ ათი კოშკი მდგარა. ყველა კოშკი საგვარეულოა და განეკუთვნებიან XVII-XVIII სს. კოშკები გეგმით ოთხკუთხაა, ზემოთკენ შევიწროებული. ნაგებია ნატეხი ქვით. სახურავი და სართულშუა გადახურვა ჩანგრეული აქვთ.

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილო-დასავლეთით მდგარი კოშკი (5,1 X 5 მ) ხუთსართულიანია. შესასვლელი პირველ სართულზე აქვს. კარი აღმოსავლეთის კედელშია გაჭრილი, მიწიდან 2 მ სიმაღლეზე. გადახურულია ნახევარწრიული თაღით, რომელიც ერთმანეთზე მიდგმულ ორ ქვაშია გამოკვეთილი. კარის წინ ქვის კიბეა. პირველი სართულის დანარჩენ კედლებში თითო სათოფურია გაჭრილი. მეორე სართულის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ორ-ორი სათოფურია, ჩრდილოეთით – სამი, სამხრეთით – ერთი. მესამე სართულზე, აღმოსავლეთით, ოთხი სათოფურია, დასავლეთით – ხუთი, სამხრეთით – სამი, ჩრდილოეთით – ორი. მეოთხე სართულზე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ორ-ორი სათოფურია, დასავლეთით და სამხრეთით – სამ-სამი. მეხუთე სართულზე, სათოფურების გარდა, ოთხივე კედლის ღერძზე მაშიკულისებრი თითო შვერილია, რომელთა ძირში პატარა სათოფე ხვრელებია მოწყობილი. სართულის ხეობისკენ მიქცეული სამხრ. კედელი, დანარჩენ კედლებთან შედარებით, დაბალია, რომლის გამოც სახურავის ქვეშ, კედლის მთელ სიგრძეზე, დარჩენილი იყო დაბალი დასაზვერავი ღიობი. ჩრდილოეთ კედელში მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია.

---

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 460, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 460-461, II ტომი. თბ. 2008 წ.

კოშკს სამხრეთიდან აკრავს ნატეხი ქვით ნაგები სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის მცირე ნაწილი. შესასვლელი ეზოდანაა, პირველ სართულზე. ეს სართული სამეურნეო დანიშნულებისაა; იყოფა სამ სათავსად. ყველაზე დიდია ბოსელი. სართულზე ხუთი სარკმელია, ხუთივე გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება. მეორე სართულზე ორი ოთახია, მათგან ერთი (აღმოსავლეთით მდებარე) მოგრძოა და ორი პატარა სარკმელი აქვს. მეორე – მოზრდილია (7 X 5,8 მ). მის სამხრეთ კედელში გაჭრილია ორი დიდი სარკმელი. კედლებში შვიდი სწორკუთხა ნიშია. მესამე სართულის დასავლეთ კედელში ბუხარი ყოფილა, ხოლო სამხრეთით – ხის ფართო და გრძელი აივანი.

აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკიც (5,2 X 4,9 მ) ხუთსართულიანია. შენობის ქვედა ნაწილი ყრუა. შესასვლელი მეორე სართულზეა, დასავლეთით. კარი გადახურულია ერთმანეთზე მიდგმულ ორ ქვაში გამოკვეთილი თაღით. სათოფურები ყველა სართულზეა. მათი რაოდენობა ზედა სართულებზე მატულობს. ყველაზე მეტი სათოფური მესამე და მეოთხე სართულზეა. მეხუთე სართულს ჩრდ.-დას. კოშკის მსგავსად ოთხი მაშიკულისებრი შვერილი აქვს. კოშკის შიდა კედლებს საცხოვრებლის ელემენტები არ ახლავს.



ჭრილი აღმოსავლეთზე

ჩრდ.-აღმ. კოშკისგან, ნაწილობრივ, შემორჩენილია სამი სართული. შესასვლელი პირველ სართულზეა, სათოფურები – სამივე სართულზე.

სამხრეთით მდგარი კოშკისგან კი ყრუ კედლებიღაა (სიმ. 3 მ) დარჩენილი.

სოფლის დასავლეთ ნაწილში არსებული კოშკებიდან ერთი უფრო მაღლა, ჩრდილოეთით დგას, მეორე კი დაბლა, სამხრეთით. ჩრდილოეთით მდგარი კოშკი გეგმით კვადრატულია (5,6 X 5,6 მ), ხუთსართულიანი. შესასვლელი სამხრეთიდანაა, მეორე სართულის დონეზე, მიწიდან 4 მ სიმაღლეზე. კარი თაღოვანია. აქაც თაღი ერთმანეთზე მიდგმულ ორ ქვაშია გამოკვეთილი. პირველი სართული დამხმარე სათავსია, ჩასასვლელი მეორე სართულის იატაკში მოწყობილი ხვრელიდან ჰქონია. პირველ სართულზე სამი სათოფურია. სათოფურები ზედა სართულების





სამხრეთ ფასადი და გეგმები

კედლებშიცაა – ზოგან ორ-ორი, ზოგან სამ-სამი, ერთგან – ოთხიც. თითო სარკმელია გაჭრილი მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულის კედლებში. კოშკის სართულების ფართობი იზრდება ქვემოდან ზემოთკენ, რაც ყოველი მომდევნო სართულის კედლების სისქის შემცირებითაა მიღწეული. სართულების კედლებს შორის სისქეთა სხვაობით, სართულშუა გადახურვის დონეზე შექმნილია პატარა საფეხური, რომელიც გამოყენებული იყო კოჭების თავების ჩამოსადებად. მსგავს საფეხურებზე იყო დაყრდნობილი დანარჩენი კოშკების სართულშუა გადახურვის კოჭებიც.

სამხრეთით მდგარი კოშკიც გეგმით კვადრატულია (5,9 X 5,9 მ), შემორჩენილია ოთხი სართულის სიმაღლეზე. შესასვლელი მეორე სართულზეა, სამხრეთით. კარი თაღოვანია. პირველი სართული დამხმარე სათავსია, რომელსაც ჩასასვლელი მეორე სართულის იატაკიდან ჰქონდა. მეორე და მესამე სართულის კედლებში რამდენიმე სათოფურია. მესამე სართულის სამხრ. კედელში ერთი სარკმელია. სათოფურები მეოთხე სართულის შემორჩენილ კედლებშიცაა.

მთავარანგელოზთა ეკლესია.[1] არქიტექტურული ძეგლი დგას კართსოფელიდან (საიდანაც ბილიკი ადის) აღმოსავლეთით 1,8 კმ-ზე, თრუსოს ხეობის შუა წელზე, მდ. თერგისა და სუათისისწყლის შესაყართან, მთის თხემზე. ზაქაგორიდან კიდევ უფრო ახლოსაა (600 მ.-ში), მაგრამ აქედან უფრო რთული ასასვლელია. ეკლესია ხეობის მთავარი სალოცავია. თარიღდება X ს-ით. ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, ეკლესიის კარის თავზე ქართული წარწერა იყო, რომლის თანახმადაც, შენობის აგებისას 330 ფუთი მარილი დახარჯულა. ეკლესია დარბაზულია (9,5 X 5,7 მ), ნაგებია ფიქლის მოზრდილი ქვით. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარი გარედან გადახურულია ტიმპანით. კარის თაღთან ახლოს, შელესილობაზე, შემორჩენილია ხელის მტევნის ანაბეჭდი. ნახევარწრიულის მსგავსი, უსწორმასწორო ფორმის აფსიდი დასრულებულია უსწორმასწორო უხეშად ამოყვანილი ფორმის კონქით. აფსიდში მცირე ზომის, ბრტყლად გადახურული სარკმელია, მის ქვემოთ კედელზე ტრაპეზის ქვაა მიბჯენილი. სარკმლის მარცხნივ მცირე სწორკუთხა ნიშია. აფსიდის კედელში, კონქის ქუსლის დონეზე, ორი ქვევრია ჩადგმული. ასეთივე ორი ქვევრი დასავლეთის კედელშიცაა. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკიდან ორი საფეხურითაა შემაღლებული. საკურთხევლის წინ დგას მართკუთხა ქვა, რომლის ცენტრში ამოკვეთილია ცილინდრული ფორმის ფოსო (სავარაუდოდ ჯვრის ჩასამაგრებლად). ცილინდრული ფორმის კამაროვანი გადახურვა ეყრდნობა კონქის თაღს, დასავლეთის კედლისა და შუა საბჯენ თაღს. ეს უკანასკნელი გრძივი კედლების თითო ორსაფეხურიან პილასტრზე გადადის. პილასტრების პირველ საფეხურზე კედლის თაღებია გადაყვანილი. სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ თაღში მცირე, სწორკუთხა სარკმელია. მსგავსი სარკმელია დასავლეთის კედელშიც. დარბაზს ქვის საფეხური შემოუყვება. ეკლესიის ფასადები შელესილი და შეთეთრებულია (ზედა ნაწილში შელესილობა ამჟამად ჩამონგრეულია). ფასადზე სამივე სარკმელს ნახევარწრიული, რელიეფური თავსართი აქვს. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ფიქლის დიდი ფილებით. სახურავის კეხზე, აღმოსავლეთით, ქვის ჯვარია აღმართული.

ეკლესიას სამხრეთიდან ორი გვიანდელი მინაშენი ეკვრის. მათგან დასავ-

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 462, II ტომი. თბ. 2008 წ.

ლეთით მდებარე, რომელიც ეკლესიის კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა, ბევრად უფრო ადრინდელია აღმოსავლეთისაზე. ეს მინაშენი გეგმით ოთხკუთხაა (5 X 3 მ). შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარი თარაზულადაა გადახურული. აღმოსავლეთით ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია, დასავლეთით – მცირე სწორკუთხა ნიში. სამხრეთის კედლის ზედა ნაწილში (გვიანდელია) კვადრატული ფორმის სარკმელია. გარედან, სარკმელთან ახლოს, წყობიდან, ფიქლის სამი ქვაა მიჯრით გამოშვერილი, რომლებითაც მათ ქვემოთ დაკიდებული ზარია გადახურული. აღმოსავლეთით მდებარე მინაშენიც (ამჟამად თითქმის დანგრეულია) გეგმით ოთხკუთხაა (4,8 X 2,8 მ). შესასვლელი (შემორჩენილია წირთხლების ნაწილი) სამხრეთიდან ჰქონია. გარედან, სამხრეთის კედლის დასავლეთ კიდესთან, მცირე ზომის სწორკუთხა ნიშია, რომლის გვერდით შელესილობაზე ხელის მტევნის ანაბეჭდია.



ჭრილი სამხრეთზე, სამხრეთ ფასადი და გეგმა

სოფელი ქვემო დესი

საცხოვრებელი კომპლექსი.[1] ანზორ ქალდანისეული აღწერის მიხედვით: „არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდილო-აღმოსავლეთით. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. შედგება საცხოვრებელი სახლის, საბრძოლო კოშკისა და ამ ორი შენობის დამაკავშირებელი ნაგებობისაგან. ნაშენია ნატეხი ქვითა და თიხით. ძეგლი დაზიანებულია: ჩამონგრეულია კოშკისა და სახლის სახურავები, სართულშუა გადახურვები, რომლებიც, შემორჩენილი ბუდეების მიხედვით, ხის კოჭებზე ყოფილა გამართული.

საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია, ორივე სართული გეგმით წაგრძელებული ოთხკუთხედია, თითოეული შედგება სამი არათანაბარი ფართობის სათავსისგან. შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა, პირველ სართულზე. კარი სწორკუთხაა. პირველ სართულზევეა (19 X 15,8 მ) დერეფანი და საქონლის ორი სადგომიც. სადგომებში შესასვლელი დერეფნიდანაა. ჩრდ. სადგომისა და

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 454-455, II ტომი. თბ. 2008 წ.

დერეფნის გამყოფ კედელში გაჭრილია ორი სწორკუთხა სარკმელი, ჭერში დატანებულია მეორე სართულზე ასაძრომი ხვრელი.

მეორე სართული (19 X 17,8 მ) საცხოვრებელია. ოთახები ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული. დას. სათავსი კლდეშია შეჭრილი და პირველი სართულის დას. სათავსზე დიდია. სათავსის სამხრეთ კედელში ორი მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია. მსგავსი ერთი სარკმელი ჩრდ. სათავსის აღმ. კედელშიცაა. სამხრეთ კედელში შესასვლელი და ორი ფართო, მაღალი, სწორკუთხა სარკმელია. სახლი ჩრდ.-აღმ. კუთხით მიბჯენილია კოშკზე.

კოშკი გეგმით კვადრატულია (6,15 X 6,25 მ), ოთხსართულიანი (სიმ. 10,6 მ). პირველი სართული სამალავი იყო, მეორე და მესამე – ოჯახის წევრთა თავშესაფარი საშიშროების დროს, მეოთხე – სათავდაცვო და სათვალთვალო. კოშკში შესასვლელი სამხრეთიდანაა, მეორე სართულზე, მიწიდან 2,8 მ სიმაღლეზე. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით თარაზულადაა გადახურული. აღმ., ჩრდ. და დას კედლებში თითო სათოფური ხვრელია; მესამე სართულის კედლებში – რამდენიმე სათოფური და სარკმელი; მეოთხე სართულის ოთხივე კედელში – თითო სალოდე. სახლს და კოშკს ბრტყელი, მიწურბანიანი სახურავი ჰქონდა.

კოშკსა და სახლს შორის მოქცეული ორსართულიანი ნაგებობისაგან (4,2 X 5,35 მ) შემორჩენილია საძირკვლის ნაშთი. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისა ყოფილა, მეორე – სახლისა და კოშკის დამაკავშირებელი დერეფანი.“



გეგმა



ჭრილი ჩრდილოეთზე

ზურგიანი კოშკი სოფლის დასავლეთ კიდეში, დასახლების ყველაზე მაღალ ადგილასაა აგებული. დღესდღეობით მისგან ძირითადად მხოლოდ ქვედა, მასიური ნაწილია შემორჩენილი, თუმცა ზურგის მხარეს პირველი სართულის კედლის ნაშთიც იკვეთება, რაც გვაძლევს საშუალებას მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ სათავსის შიდა გეგმარება. შუბლის, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს კოშკის სიგანე 6 მეტრს აღწევს. ხოლო შუბლიდან ზურგამდე 6,5 მეტრია, რაც ზურგიანი კოშკებისთვის საკმაოდ დიდ სიდიდეს წარმოადგენს.

კოშკის კედლების სისქე 1.3 მეტრისაა. სამხრეთ-დასავლეთის მხარეს კედლის წყობიდან ჰორიზონტალურად ნაშვერი თაროა.

ზურგიანი კოშკი ნაგებია მოზრდილი ლოდების და ნატეხი ქვების მონაცვლეობით მშრალ წყობაზე, რაც მისი ადრე შუასაუკუნეებში აგების შესახებ მეტყველებს.

სოფელი ზემო დესი

წმინდა გიორგის ეკლესია.[1] ძეგლი დგას სოფლის განაპირას. ეკლესია გეგმით სწორკუთხაა (3,6 X 3 მ), შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. კარი სწორკუთხაა. დასავლეთ კედელში ორი განსხვავებული ფორმის ნიშია. ეკლესიას

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 455, II ტომი. თბ. 2008 წ.



დასავლეთ ფასადი, ჭრილი სამხრეთზე და გეგმა

სარკმლები არა აქვს. ინტერიერი და ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. რელიეფის თავისებურების გამო ყველა ფასადი, გარდა აღმოსავლეთისა, ნაწილობრივ მიწაშია ჩაფლული. აღმოსავლეთის ფასადზე, ფრონტონის წვერში, რუსული ზარი კიდია. სახურავი თუნუქისაა, დაყრდნობილია ხის კოჭებზე.

ეკლესის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვის ჯვარია აღმართული. აგებულია XIX საუკუნეში.

სოფელი სუატისი (შუატისი)

სუატისის ხეობის ეკლესია. არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლიდან 2 კილომეტრში ჩრდილოეთით, სუატისის ხეობის სიღრმეში, ჭალიდან 40 მეტრის სიმაღლეზე (ზ. დ. 2420 მ), მოშიშვლებული ფერდის ოდნავ მოსწორებულ ნაწილზე. მიტოვებული ეკლესია, მძიმე კლიმატური პირობების შედეგად, ძლიერ დაზიანებულია, თუმცა მისი სტრუქტურის და მეტ-ნაკლებად სახის აღდგენა სავსებით შესაძლებელია. თუ ამ არეალის აეროფოტო გადაღებას დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ ფერდის პერპენდიკულარულ, სწორ და მოკლე მონაკვეთებს, რაც აქ არსებულ დასახლების ნაშთებზე უნდა მეტყველებდეს.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა (6.3 X 9.2 მ), რომლის ნახევარწრიულ აფსიდში, აღმოსავლეთით, ღრმა, მრავალსაფეხურიანი (11 საფეხური) რაფით, ვიწრო სარკმელია გაჭრილი. ღიობი ინტერიერისკენ მნიშვნელოვნად ფართოვდება. სარკმლის ქვეშ, აფსიდაზე მიბჯენილი ამოშენებული ტრაპეზის ქვაა მოწყობილი. აფსიდის ცენტრის ორივე მხარეს თითო-თითო ნიშია კედელში შეჭრილი. სამხრეთ კედლის ცენტრში, ასევე მრავალსაფეხურიან



გეგმა



ჭრილი სამხრეთზე

(6 საფეხური) რაფიანი ვიწრო სარკმელია. მისგან დასავლეთით კი, მართკუთხა კარია გაჭრილი, რომელიც სავარაუდოდ სამხრეთის მინაშენში გადიოდა, რომლისგანაც აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლის ნაშთებია დარჩენილი. სავარაუდოდ დარბაზის დასავლეთ კედელის ცენტრშიც იქნებოდა სარკმელი, რომელიც ამჟამად, კედლის ნგრევის გამო აღარაა შემორჩენილი.

აღსანიშნავია ეკლესიის მეტად სქელი კედლები (საშუალოდ 1.6 მ.), რაც სავარაუდოდ მძიმე კლიმატური პირობების გათვალისწინებითაა გამოწვეული. ნაგებია საგანგებოდ შერჩეული დაბალი და ამავდროულად გრძელი ფიქლის ქვებით, რომლებიც საგანგებოდაა ერთმანეთზე მორგებული და ვიზუალურად მკაფიოდ ჰორიზონტალური ვიწრო ზოლების „ხალიჩას“ ჰქმნის.

აღმოსავლეთის ფასადის ძირზე შეიმჩნევა 40 სმ-იანი ცოკოლის ნაშთი. ამავე ფასადზე სარკმლის ქვემოთ და მარცხნივ, შირიმის ქვით, ტოლმკლავა ჯვარია გამოყვანილი. შირიმის ქვის ზოლები ასევე გაუყვება ეკლესიის ფასადებს გარკვეული რიგითობის დაცვით. ეკლესიის სავარაუდო სიმაღლე 7 მეტრს აღწევდა რაც ჭრილის აღდგენით ნახაზზე აშკარად იკვეთება.

ძეგლი სტილისტური ნიშნების მიხედვით განვითარებულ შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

სამების (ზემო) **ეკლესია**.[1] არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლიდან დასავლეთით, მაღალი მთის ფერდობის მცირე დავაკებაზე (ზ. დ. 3000 მ). სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია დარბაზულია (4,2 X 5,2 მ), გეგმით პარალელოგრამის ფორმის, ოდნავ წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. ნაგებია ფიქლის მოზრდილი ქვებით. გადახურვა ჩაქცეულია. დასავლეთიდან არქიტრავული კარია გაჭრილი, რომლის თავზე და მარჯვნივ პატარა ნიშებია განთავსებული. გადახურვიდან ფიქლის მოზრდილი ორიოდე ქვაა შემორჩენილი. აღმოსავლეთ კედელში ერთადერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილია, რომელიც ინტერიერისკენ ოდნავ ფართოვდება და საფეხურებად დამუშავებული რაფა აქვს. კედელს 1 მ სიმაღლეზე ქვის თარო გასდევს. ჩრდ. და დას. კედლებში თითო მცირე ნიშია.

თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.



ჭრილი სამხრეთზე, დასავლეთ ფასადი და გეგმა

სამების (ქვემო) **ეკლესია**[2] დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, მთის ფერდობზე. სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია დარბაზულია (7,6 X 5 მ). ნაგებია ტლანქად დამუშავებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვიშაქვის ირეგულარული წყობით. მოგვიანებით შენობის დანგრეული დასავლეთ ნაწილი ფიქლით ამოუშენებიათ. შესასვლელი სამხრეთიდანაა. გადახურულია

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 475, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 474-475, II ტომი. თბ. 2008 წ.

დიდი სწორკუთხა ქვით. სწორკუთხა საკურთხევლის აღმოსავლეთ კედლის შუაში ვიწრო სარკმელია, ჩრდ. კედელში – მცირე ნიში. ერთიც, საფეხურებიან რაფიანი სარკმელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. გრძივ კედლებზე შერჩენილია ორ-ორი პილასტრის კვალი. პილასტრებს კედლის თაღები ეყრდნობა (შემორჩენილია ფრაგმენტულად). ეკლესიას კამარისებრი გადახურვა ჰქონია. ინტერიერში კედლები ნაწილობრივ შებათქაშებულია. ფასადები სადაა. სამხრეთის ფასადზე კარის ღიობი დასრულებულია არქიტრავზე ამოკვეთილი ნახევარწრიული თაღით, რომლის ზემოთ კიდეებაზნექილი მშვილდისებრი მრუდია გამოყვანილი. აქა-იქ შეიმჩნევა შელესილობის კვალი. მოგვიანებით ეკლესიის გადახურვა შეუცვლიათ და სახურავზე მცირე სამრეკლო დაუშენებიათ. თარიღდება X-XI ს. მიჯნით.



სამხრეთ ფასადი, გეგმა და ჭრილი ჩრდილოეთზე

სამების (შუა) **ეკლესია.**[1] დგას სოფლიდან 0,5 კმ-ზე, მთის ფერდობის კეხზე. ეკლესია სწორკუთხასაკურთხევლიანია (3,3 X 2,6 მ) და ნაგებია ფიქლით დუღაბზე. შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარის არქიტრავად მოზრდილი ქვაა გამოყენებული. სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. შენობის კედლები შიგნით და გარეთ შელესილი და შეთეთრებულია. სახურავი ხისაა, ორფერდა. გადახურულია თუნუქით. დასავლეთით, სახურავის კეხზე, დამაგრებულია თუნუქითვე შეჭედილი თანამედროვე ჯვარი. ეკლესიაში დაცულია ხატები. აგებულია XIX ს. II ნახევარში.

სოფელი ზაქაგორი[2]

ნასოფლარი ზაქაგორი მდებარეობს ხეობის ცენტრალურ ნაწილში. იქ, სადაც თერგს ერთვის სუატისისწყალი, მდინარის მარცხენა ნაპირას, მთის ფერდის მცირე ამონაშვერზე აღმართულია ზექაგორის კომპლექსის ციხე-კოშკები.

ანსამბლი წარმოადგენს ერთიან ქალაქგეგმარებით სისტემას ორგანიზებული ფუნქციონალური გეგმარებით, ზონირების საინტერესო პრინციპით და საკმაოდ რთული ვერტიკალური გეგმარებით.

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 475, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 „ზაქაგორის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“, „ძეგლის მეგობარი“, №1, 1991 წ.


ჭრილი აღმოსავლეთზე


გეგმა

ზონირების მხრივ კომპლექსი ხუთ საცხოვრებელ უბნად შეიძლება დაიყოს. მათ განაპირას, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თავდაცვითი კოშკებია. ერთი კოშკურა სახლიც ცენტრალურ მოედანზე მდებარეობს თვით განაშენიანებაში. ნასოფლარის შემომზღუდველი კედლები მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი და ისიც დაბალია, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება აღდგეს გალავნის წინანდელი მოხაზულობა.

არსებული ხუთი უბნიდან, აღმოსავლეთის I უბანი, ანსამბლის საერთო ბირთვიდან გამოყოფილად დგას. იგი სავარაუდოდ სოციალურ-იერარქიულ საფეხურზე დაწინაურებულ პირს უნდა ეკუთვნოდეს. ამაზე მეტყველებს დანარჩენ საცხოვრებლებთან შედარებით, ნაგებობის მასშტაბურობა, საერთო დასახლებისაგან გამოყოფილად დამკვიდრება, პრესტიჟული მზიანი ფერდის დაპატრონება, საცხოვრებელ ოთახთა რაოდენობა და ფართი; სამეურნეო სათავსთა რაოდენობაც მის მფლობელთა სიმდიდრეზე მიგვანიშნებს. სახლის მშენებელს, აღმოსავლეთ ფერდის დახრილობა გონივრულად გამოუყენებია: I სართულის სამეურნეო სათავსების თავზე განლაგებული ოთახები ფერდის აყოლებაზე გაუგრძელებია, რითაც მნიშვნელოვნად მოუგია საცხოვრებელი ფართი.

კომპლექსის დარჩენილი უბნები იმის მიხედვით იყოფა, თუ საით უწევთ გამოსვლა ინტერიერიდან გარეთ: II უბანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოდის, III უბანი სამხრეთ-დასავლეთით, IV უბანი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო V უბანი ცენტრალურ მოედანზე. ეტყობა საცხოვრებელი სახლები ორსართულიანი ყოფილა, სადაც I სართული ხშირად სამეურნეო დანიშნულებისა იყო, ხოლო II სართულს წმინდა საცხოვრებლად იყენებდნენ. ამის ნიშანია ის, რომ I სართულები შედარებით დაბალია და ნაკლებად განათებული; კარი ვიწრო და მოკლეა, ხოლო სარკმელი პატარა და ექსტერიერისაკენ თანაბრად შევიწროვებული. II სართულზე და თითქმის ყველა სათავსში ორი ან სამი ოთხკუთხა ფანჯარაა. კარიც შედარებით მოზრდილია და ფართო. ბევრგან კარები ამოშენებულია, რაც ოჯახების დაყოფაზე მიუთითებს. ნაგებობის უმრავლესობა მშრალი წყობით არის ნაგები, რომელთა კედლების სისქე 60-80 სმ-ს აღწევს; ალაგ-ალაგ დუღაბიცაა გამოყენებული. II სართულის კედლებზე შებათქაშების კვალიც შეიმჩნევა.

სართულშუა გადახურვა, რომელიც არსად არ არის შემოღჩენილი, როგორც კედლებში დარჩენილი საკოჭეებიდან ჩანს, ხის მოზრდილ მორებს ეყრდნობა. სახურავი ანალოგიურად მთის ამ რეგიონის საცხოვრებლებისა, ბანიანი იქნებოდა. სავარაუდოა, რომ II სართულებს ჭერში ე. წ. „ერდო“ ექნებოდათ მოწყობილი, რადგან მრავალი სახლი განათების მხრივ საკმაოდ „დაჩაგრულ“ მდგომარეობაშია.

კომპლექსის გამოკვეთილი ცენტრი II, III და V უბნებს შორის მოქცეული მოედანია, რომლის დომინანტურ ნაგებობას კოშკურა სახლი წარმოადგენს, ეს ნაწილი წინათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი უნდა ყოფილიყო, რაზეც მისი განლაგება და მასშტაბურობა მიუთითებს. მოედანი რომელსაც აღმოსავლეთით აქვს შესასვლელი, ისეა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე წაგრძელებული, რომ ზღურბლზე მდგარი კაცისათვის მოედნის ღერძის პერსპექტივაში, მოპირდაპირე მთაზე აღმართული, თრუსოს მთავარი სალოცავი „მთავარანგელოზის“ ეკლესია აღმოჩნდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანსამბლის ვერტიკალური გეგმარების გა-

დაწყვეტა. ერთმანეთის მიჯრით, ტერასულად აგებული საცხოვრებელი სახლები ისეა მორგებული რელიეფს, რომ ბანიან სახურავებს შორის არსებული სიმაღლეთა სხვაობა, გადაადგილებისას ადვილად დასაძლევი ყოფილიყო და ამდენად, გარდა კომპლექსის გარშემო არსებული გზისა, მცხოვრებლებს ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ ბანიანი სახურავების სისტემის გამოყენებაც შეეძლოთ.

ზაქაგორის ანსამბლის ვერტიკალურ დომინანტს ორი სათავდაცვო კოშკი და კოშკურა სახლი შეადგენს. განსხვავებით საცხოვრებელი სახლებისა, ისინი შედარებით მოზრდილი ქვებით არის აშენებული. განსაკუთრებით დიდი, გათლილი ქვებია გამოყენებული გარე კუთხეებში და კარების ღიობთა გარშემო.

კოშკური სახლი, რომელიც ცენტრალურ მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია აგებული, ამჟამად წარმოადგენს გეგმით კვადრატული ფორმის (7,5 X 7 მ), ცხრა მეტრის სიმაღლის ნაგებობას. ერთადერთი მრუდთაღოვანი კარი მას დასავლეთით აქვს გაჭრილი. იგი მიწიდან სამიოდე მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული. თუმცა, თავის დროზე, კარიდან – მის წინ მდებარე სათავსის ბანზე ან II სართულზე გამოვიდოდით. კოშკური სახლის I სართულზე სამი სათოფური და ორი ნიშია მოწყობილი. II სართულზე კედლები ნაწილობრივ დანგრეულია. ანალოგების მიხედვით სავარაუდოა III სართულის არსებობაც.

სამხრეთით მდგარი კოშკი ქვის ბუნებრივ ციტადელზეა აღმართული; მასაც ერთადერთი მრუდთაღოვანი კარი დასავლეთით გამოუდის და მიწიდან ორივე გზა დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან სამხრეთის კოშკთან იყრის თავს, ხოლო III და V უბნებს შორის შემავალი შუკა, ცენტრალურ მოედანზე გადის კიბის საშუალებით და შუაზე კვეთს კომპლექსს.

დასავლეთის ქუჩის შემომზღუდველი გალავანი ძლიერ დანგრეულია. მის ცენტრალურ ნაწილში გალავანში ჩართული საპირფარეშოა მოწყობილი. აღმოსავლეთის მხარეს განლაგებული ქუჩის ზღუდეც დაზიანებულია. ამ ქუჩის დასაწყისში გზა ორად იყოფა და ზედა გზა IV უბნის წინ მდებარე მოედანთან მიდის. ამ მოედნის ნაწილობრივ შემოზღუდული სამხრეთი მხარე, რომელიც კოშკურა სახლს ებჯინება, აღმოსავლეთით ტერასის სახით იშლება. აქ არსებული გრძელი ქვის სკამები გვაფიქრებინებს, რომ ეს ადგილი კაცების თავშესაყარს წარმოადგენდა ე. წ. „საფიხნოს“.

საინტერესოა, რომ თავად ზაქაგორში და მის სიახლოვეს საკულტო ნაგებობის კვალი არ შეიმჩნევა. თრუსოს სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, სადაც ე. წ. „ძუარები“ ან ეკლესიები თვით სოფელშია მოთავსებული, ამ შემთხვევაში ყველაზე ახლოს თრუსოს „მთავარანგელოზის“ ეკლესია გვევლინება. შესაძლოა, როგორც ეს ხშირად გვხვდება ხოლმე აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში და განსაკუთრებით არდონის ხეობაში, სალოცავის ფუნქციას რომელიმე კოშკი ასრულებდა, სადაც ნიში იქნებოდა მოწყობილი.

არც სოფლის სასაფლაოა ზაქაგორთან. ყველაზე ახლოს, მდინარის მეორე მხარეს, მისგან 700-800 მეტრში ე. წ. „ყივჩაღთა“ სასაფლაოა. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, მათ მოსვლამდე აქ უცხო ტომები სახლობდნენ, რომელთაც დაკრძალვის განსხვავებული წესი ჰქონდათ. იგი წარმოადგენს ყორღანის ტიპის შემაღლებულ ბორცვს, რომელზედაც ვერტიკალურად 1-1,5 მ სიგრძის გაუთლელი, სიპის ქვებია ჩარჭობილი. ერთი შეხედვით ამგვარი დასაფლავების წესი თითქოს მუსულმანურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს; მაგრამ

ანალოგიური შემთხვევები ხევსურეთშიც არის შემორჩენილი; XX საუკუნის I ნახევარშიც კი (მაგ., მუცოს სასაფლაო).

კომპლექსის დაარსება განვითარებულ შუა საუკუნეების ბოლოს უნდა ვივარაუდოთ. ამ პერიოდში ხშირი იყო, ყოველი მხრიდან, დიდი დამარბეველი ლაშქრობების მოწყობა თრუსოში და ერთიანი სათავდაცვო სისტემის მთავარი რგოლის ჩამოყალიბებაც დროის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. ჩვენს წინაშე არსებული ზაქაგორის ნაგებობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს. ამაზე ყველაზე კარგად მეტყველებს სათავდაცვო კოშკების არქიტექტურული გადაწყვეტა. მათში სათოფურების არსებობა იმას მიგვანიშნებს, რომ აგების თარიღის ქვედა ზღვარი XVII საუკუნე უნდა იყოს.

მართალია საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი XVI საუკუნის პირველ ნახევარშიც გვხვდება, მაგრამ მთაში მისი მეტნაკლებად მასობრივი გამოყენება XVII საუკუნეში დაიწყეს. ჩვენთვის ცნობილი სათოფურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზაქაგორის ტიპის სათოფურები ყველაზე „არქაულია“, თანაც სართულებში მათი არათანაბარი განლაგება და გვიანდელ კოშკებთან შედარებით ნაკლები რაოდენობაც იმაზე მეტყველებს, რომ თავდაცვის ამგვარი სისტემა ჯერ ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თრუსოს სოფლებში არსებულ ყველა კოშკს ბოლო სართულის ყოველ მხარეს „მაშიყულის“ მსგავსი ფუნქციის მატარებელი ძირს სასროლი სხვადასხვა კონსტრუქციის სათოფურები გააჩნიათ; აქ კი, თუ შემორჩენილი ჩრდილოეთის კოშკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ ხმარებაშია მშვილდ-ისარი და ლოდების ტყორცნაც არ არის „დავიწყებული“. ამაზე მიუთითებს ამ კოშკის ღია, V სართულის მცირე სიმაღლე.

ზაქაგორის ტიპის ძეგლი, თავისი იერით, არქიტექტურული გადაწყვეტით და მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია საქართველოში. ამის განმსაზღვრელია, მისი თითქმის პირვანდელი სახით შემორჩენილობა, მეტნაკლებად გეგმაზომიერი მშენებლობა, ფეოდალური თრუსოს მთავარი ციხე-ქალაქის თავდაცვითი სტრუქტურის სრულად წარმოჩინებულობა და უბრალოდ მისი ლამაზი განლაგება კიდევ უფრო მშვენიერ გარემოში. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა კი მეტად შემაშფოთებელია. მიტოვებული კომპლექსი განსაკუთრებით დიდთოვლიანი ზამთრის შემდგომ, წლიდან-წლამდე უარეს დღეში ვარდება. მისი რესტავრაცია (მანამდე აუცილებელი იქნება მისი არქეოლოგიურადაც შესწავლა), რომლის განხორციელებაც დაგეგმილია, ბევრ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს ძეგლის ისტორიის შესწავლის კუთხით.

სოფელი აბანო

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია,[1] არქიტექტურული ძეგლი დგას სოფელში, მთავარი გზის პირას. შესასვლელის თაღის საჭექ ქვაზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, 1889 წელსაა აშენებული. ეკლესია დარბაზულია (12,9 X 6,4 მ), ნაგებია ტლანქად დამუშავებული ნარინჯისფერი ტუფის კვადრებით (გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლები, კედლების ქვედა ნაწილები) და ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. კედლები შიგნით და გარედან შელესილი და შეთეთრებულია. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ეკლესია ბოლშევიკებს აუფეთ-

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 436, II ტომი. თბ. 2008 წ.

ქებიათ. 2014 წლამდე ეკლესია ძლიერ დაზიანებულ დღეში იყო: ჩამოშლილი იყო კონქი და კამარა, დანგრეული გრძივი კედლებისა და აფსიდის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღდგენის შემდეგ აიწია კამარის სიმაღლე რის გამოც ფრონტონის სიმაღლეც და შესაბამისად სახურავის დახრაც გაიზარდა. შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი გადახურულია ნახევარწრიული თაღით. აღმოსავლეთით ნახევარწრიული შვერილი აფსიდაა. იგი გარედან შიდა მოხაზულობას იმეორებს. აფსიდი შიგნით და გარედან უშუალოდ (უმხრებოდ) ერთვოდა დარბაზის გრძივ კედლებს, ამჟამად კი მცირე მხარი გააჩნია. ეკლესიას ოთხივე მხარეს თითო თაღოვანი სარკმელი აქვს. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რომელიც დასავლეთით კუთხის პილასტრებზე გადაყვანილ ნახევარწრიულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. დასავლეთის კედელზე, სარკმლის ორივე მხარეს, გამოსახულია მამაკაცის თითო ცუდად შესრულებული შარავანდიანი ფიგურა.



ჭრილი ჩრდილოეთზე



დასავლეთ ფასადი



ეკლესიის ფასადებიდან დასავლეთის ფასადზე, სარკმლის გადამხურავ ქვაზე ფონის ამოღებით გამოყვანილია მარტივი რელიეფური თავსართი. სარკმლის ზემოთ წყობაში ჩადგმულია ჯვრის ფორმის ქვა, რომელზეც რელიეფური ჯვარია გამოყვანილი.

აფსიდს მარტივი პროფილის (თარო და წრეთარგი) ლავგარდანი აქვს. აღმოსავლეთ სარკმლის ძირის მოგრძო ქვაზე ამოღარულია მშვილდისებრი ფორმის ვიწრო ზოლი, რომლის ორივე ბოლო წრიულად იკვრება. წრეებში (დიამ. 0,1 მ) ჩასმულია თითო ტოლმკლავა ჯვარი. ზოლს ქვემოთ მცირე ზომის რელიეფური ნახევარწრიული თარია. შენობა დგას ტუფის გათლილი კვადრებით ნაგებ ცოკოლზე (სიმ. 0,7 მ).

ეკლესიის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლები გამაგრებულია გეგმით კვადრატული თითო მასიური კონტრფოსით.

კოშკების კომპლექსი.[1] სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ამჟამად დედათა მონასტრის ტერიტორიაზე 3 კოშკის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. მათგან სამხრეთით მდებარე, თითქმის ავთენტური სახითაა შემორჩენილი. ჩრდოლო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკებს კი თავიანთი პირვანდელი სახე დაკარგული აქვთ. განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთისას, რომელზეც სამონასტრო კელიები დაშენდა და მიშენდა. ჩრდოლო-დასავლეთის კოშკზე სალოდეები აივნებად გადაკეთდა, სართული სიმაღლეში აიწია და არატრადიციული, ოთხფერდა კრამიტის სახურავით გადაიხურა. ასევე მიშენდა ორსართულიანი, მანსარდიანი საცხოვრებელი შენობა.

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 436-437, II ტომი. თბ. 2008 წ.

სამხრეთის კოშკი (5,8 X 5,6 მ-ზე) ხუთსართულიანია, ნაგებია მოზრდილი ნატეხი ქვით მშრალ წყობაზე. საკმაოდ მაღალი (20 მ.) ციხე სიმაღლეში მკვეთრად ვიწროვდება. თაღოვანი შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა გაჭრილი. სათოფურები ყველა სართულზე ოთხივე მიმართულებითაა მოწყობილი. ზედა სართულებზე თითო მხარეს სამ-სამი სათოფურიც კია გაჭრილი. სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზე დაწყობილი ფიქლის დიდი ქვებითა და ტკეპნილი მიწითაა შექმნილი. სართულებს შორის გადაადგილება იატაკში დატოვებული ღიობების საშუალებით, მისადგმელი კიბით ხდებოდა.

ჩრდოლო-დასავლეთის კოშკი (7,6 X 8,7 მ.-ზე) ოთხსართულიანია. ყველა სართულზე ყოველ მხარეს სათოფურებია გაჭრილი; ხოლო, ბოლო სართულზე, კედლის ცენტრში, მაშიკულის მსგავსი შვერილი სიბრტყეებია, რომლის ძირში სამ-სამი ხვრელიდან ვერტიკალური სროლის საშუალება იქმნებოდა. კოშკის თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა გაჭრილი. ნაგებია მოზრდილი და მცირე ზომის ნატეხი ქვის მონაცვლეობით მშრალ წყობაზე.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი რომლიდანაც ერთი სართული იყო დარჩენილი ძლიერ სახეცვლილია. შემორჩენილია სათოფურები ოთხივე კედელში.

სამივე კოშკი XVII საუკუნის II ნახევარში ან XVIII საუკუნეში უნდ აიყოს აგებული, მას მერე, რაც მთაში ცეცხლსასროლი იარაღი გავრცელდა.

სოფელი ქეთრისი (კეტრისი)

სოფელ ქეთრისის ძველი ნაწილის ნანგრევები მდ. თერგის მარცხენა ნაპირზეა განლაგებული. შედარებით ახალი XIX საუკუნეში გაშენებული ნაწილი კი მდინარის მარჯვენა ნაპირას, მის მოპირდაპირედ მდებარეობს. „ახალ“ სოფელში წყლის წისქვილთა მთელი კომპლექსია შემორჩენილი. ხოლო „ძველ“ სოფელში ერთადერთი სათავდაცვო კოშკიღა დგას მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახით.[1] იგი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა აგებული და წარმოადგენს კვადრატული გეგმის (5,6 X 5,7 მ), ექვსსართულიან (სიმაღლე 13 მეტრია), მძლავრ ნაგებობას. კოშკის სართულშუა, ხის გადახურვები ნაწილობრივ ჩამოქცეულია.

ნაგებობას შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს. კარი II სართულის დონეზეა მოწყობილი. მისი გადახურვა ორი მოზრდილი ქვითაა შექმნილი; შესასვლელის ქვემოთ სამი ფიქალის ქვაა გამოშვერილი. ისინი თავის დროზე კიბის საყრდენ კონსოლს წარმოადგენენ. I სართული, განსხვავებით დანარჩენი სართულებისა, სადაც მრავალი სათოფურია მოწყობილი, ყრუა და სურსათ-საწოვაგის შესანახად გამოიყენებოდა. VI სართული ბანს წარმოადგენს, რომლის

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 462-463, II ტომი. თბ. 2008 წ.



გეგმები, სამხრეთ ფასადი და ჭრილი დასავლეთზე

შემომზღუდავ კედლებზე ფიქლის ფილებია მოწყობილი ისე, რომ ისინი კედლების როგორც შიდა, ასევე გარე ზედაპირების მიმართ თაროსებრ შვერილებს ქმნიან. კარის თავზე მცირე ოთხკუთხა ნიშია. აღმოსავლეთის კედელში ორი სათოფურია, სამხრეთის და დასავლეთის კედლებში – თითო-თითო. მესამე სართულის სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებში სამ-სამი სათოფურია, აღმოსავლეთისაში – ერთი. მეოთხე სართულზე, სამხრეთის კედელში, სამი სათოფურია, აღმოსავლეთისაში – ორი, ჩრდილოეთის კედელში – ერთი. მეხუთე სართულის ოთხივე კედლის ღერძზე სალოდეებია მოწყობილი. აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის სალოდეების გვერდებზე ორ-ორი სათოფურია. ერთი სათოფური სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კიდეშია.

კოშკი აგებულია დიდი ზომის ფიქლის ქვებით აქა-იქ ტუფის კვადრატების გამოყენებით. თავისი არქიტექტურული ფორმებით და ანალოგების გათვალისწინებით ძეგლი XVII-XVIII საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

კოშკიდან 40-იოდე მეტრში, დასავლეთისკენ, მეორე, ბევრად განიერი კოშკიდან ამჟამად მხოლოდ პირველი სართულის სამხრეთ კედლის ნაწილიღაა დარჩენილი.[1] აი ასე აღწერს პარმენ ზაქარაია 1960 წლების დასაწყისში მის მდგომარეობას:

„...არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის მოპირდაპირე მხარეს, თერგს გაღმა. თარიღდება XVII ს. II ნახევრით. კოშკი გეგმით სწორკუთხაა (8,8 X 8,2 მ), ზემოთკენ შევიწროებული. ნაგებია ნატეხი ქვით. ქვედა სართულებისა და კუთხეების ქვები უკეთაა დამუშავებული. შემორჩენილია კოშკის სამხრეთ ნაწილი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ შენობა ხუთსართულიანი ყოფილა. ოთხი სართული საცხოვრებელი იყო და სათავდაცვოც, მეხუთე – საბრძოლო ბანი. შემორჩენილ კედლებში, პირველ და მეორე სართულზე, სამხრეთით თაღოვანი შესასვლელებია. პირველი სართულის დანარჩენი კედლები ყრუა. მეორე სართულის სამხრეთის კედელში ორი სათოფურია, აღმოსავლეთ და დასავლეთის

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 463-464, II ტომი. თბ. 2008 წ.

კედლებში კი – თითო-თითო. აღმოსავლეთის კედელში ერთი მცირე სარკმელიცაა. მას საფეხურებად დამუშავებული რაფა აქვს. სათოფურების რაოდენობა ზედა სართულებში მატულობს. მესამე სართულზე ხუთი სათოფურია. მ. შ. სამი სამხრეთის კედელშია, თითო-თითო – აღმოსავლეთით და დასავლეთ კედლებში. სამხრეთის კედლის ზედა ნაწილში მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია. მეოთხე სართულის სამხრეთის კედელში ექვსი სათოფურია, ერთი აღმ. კედელში. სამხრეთის კედლის შუაში მოზრდილი ოთხკუთხა ნიშია, ნიშს გარედან სწორკუთხა შვერილი აქვს, რომლის იატაკში მოწყობილია თოფის გასაყოფი წვრილი ხვრელები.“



სამხრეთ ფასადი და ჭრილი სამხრეთზე

სოფელი მნა

ნასოფლარი მნა მდებარეობს მდინარე მნისწყლის მარჯვენა ნაპირზე. აქ შემორჩენილია ე. წ. **„ციხე-სახლის“ ტიპის ნაგებობა**,[1] რომელიც წარმოადგენს ფართო, ოთხკუთხა კოშკს (10.3 X 8,2 მ-ზე), ნაგებს ნატეხი ქვით მშრალ წყობაზე; კუთხეებში და ღიობთა გარშემო შედარებით დიდი და კარგად დამუშავებული ქვებია გამოყენებული. მისი შიდა, ოთხსართულიანი სივრცეები, გარდა წმინდა საცხოვრებელი ფუნქციისა, სათავდაცვო დანიშნულებისაც იყო. ყველა სართულზე ფანჯრებთან ერთად გვხვდება სათოფურები. თაღოვანი კარი სამხრეთ ფასადზეა გაჭრილი, საიდანაც მეორე სართულზე ვხვდებით. კარის თაღი ორი ქვითაა შედგენილი; ასეთივე კომპოზიცია, ოღონდ მცირე მასშტაბით, სარკმელთა ღიობებზეცაა გამოყენებული. სამხრეთ ფასადზე მუქი ფერის ქვის წყობაში თეთრი ქვების ორი ჰორიზონტალური რიგი შეიმჩნევა; ზედა რიგი აღმოსავლეთ ფასადზეც გრძელდება. სიმბოლურად ეს მხატვრული მომენტი ავი სულებისგან დასაცავად გამოიყენებოდა. „ციხე-სახლი“ XVII-XVIII საუკუნეებშია აგებული.

ნასოფლარის ზემოთ (დაახლოებით ხუთასიოდე მეტრის მანძილზე), მდინარის აყოლებით, მის მარცხენა ნაპირზე, **წმ. მარიამის სახელობის ეკლესია**[2] მდებარეობს. ამჟამად მოსახლეობა მას „მარიამ ქვაზას“ უწოდებს.

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 466, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 466, II ტომი. თბ. 2008 წ.

ეკლესია მთის კალთაზე გამოყოფილ მცირე ზომის შემაღლებაზე დგას. მის სიახლოვეს (დასავლეთით) მოზრდილი ზომის ზურგიანი კოშკი მდგარა; ეს უკანასკნელი ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული და მხოლოდ ოთხი მეტრის სიმაღლეზეღაა შემორჩენილი.



ქრილი სამხრეთზე

ეკლესია დარბაზული ტიპისაა (8,5X6 მ.). საკურთხევლის ქვედა ნაწილი (დაახლოებით 1,3 მეტრის სიმაღლეზე) გეგმით სწორკუთხოვანია, ხოლო ზემოთ, კუთხეების თანდათანობითი შევსებით, საკურთხევლის გეგმა, ნალისებურ მოხაზულობას ღებულობს.



ამ ნაწილში, აღმოსავლეთით, ვიწრო სარკმელია გაჭრილი; მის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის სწორკუთხოვანი ნიშაა. ერთი შედარებით მოზრდილი ნიშია დასავლეთის კედელშიც. აღმოსავლეთის სარკმლის გარდა საკურთხევლის არეში (სამხრეთით) მეორე სარკმელიც მდებარეობს. იგი XIX საუკუნეში ჩატარებული რემონტის დროს მოუწყვიათ. დარბაზის დასავლეთის ორივე კუთხეში ორსაფეხურიანი პილასტრებია გამოყოფილი, რომლებსაც, როგორც ჩანს, დასავლეთ კედლის მიმდებარე ორსაფეხურიანი საბჯენი თაღი ეყრდნობოდა. ერთი პილასტრის კვალი საკურთხევლის ჩრდილოეთის კუთხესთანაცაა.



სამხრეთ ფასადი და გეგმა

ეკლესიას სამხრეთის მხრიდან გვიანი მინაშენი ჰქონია. მისგან ამჟამად მხოლოდ დასავლეთის ნაწილიღაა დარჩენილი. ამ ნაწილის სამხრეთის კედელში ფართო, გამჭოლი ღიობია გაკეთებული.

ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

ეკლესიის ფასადები სადაა. საფასადო წყობა ქვიშაქვის უზარმაზარი ქვების ირეგულარული წყობითაა შექმნილი (ზოგიერთის სიგრძე 2 მ-ია).

ეკლესიის სამხრეთის ფასადზე, შესასვლელის არქიტრავის ქვაზე, ვიწრო თაღოვანი თავსართია ამოღარული. ამ ფასადიის სამხრეთ ნაწილის კუთხეში, დაბლა, მოზრდილ ღია შინდისფერ ქვაზე ასომთავრული წარწერაა შემორჩენილი. ძეგლის თავდაპირველი გადახურვა აღარ შემორჩა. ამჟამად მას ხის ნივნივებზე გამართული თუნუქის ორფერდა სახურავი ხურავს.

ეკლესიის სამხრეთ კედლის სიახლოვეს, ორ მოზრდილ ქვაზე, მთლიანი ქვისგან გამოთლილი ორნამენტირებული ჯვარია დადგმული.

სტილისტიკური ნიშნებით ეკლესია X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

ზურგიანი კოშკი წმ. მარიამის ეკლესიასთან

ზურგიანი კოშკი წმ. მარიამის ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით, 6-იოდე მეტრის მოშორებითაა აგებული. დღესდღეობით კოშკის მხოლოდ ქვედა სართულის და ძირის ნაშთებია შემორჩენილი. ნანგრევის სიმაღლე, სამხრეთით, შუბლის მხარეს 4 მეტრამდე აღწევს. ხოლო, ჩრდილოეთიდან, ზურგის მხარეს 2 მ-მდე სიმაღლეა შემორჩენილი. ცენტრში კვადრატული ფორმის სათავსის ქვედა ნაწილია (1.2 X 1.2 მ) შემორჩენილი, რომელიც, როგორც მრავალ ასეთი ტიპის კოშკში გვხვდება, სართულის ქვეშ მოწყობილ, სურსათის შესანახ სათავსს წარმოადგენს.



გეგმა და ჭრილი დასავლეთზე

კოშკი ნაგებია საკმაოდ მოზრდილი ლოდებით მშრალ წყობაზე, რაც მის ადრეშუასაუკუნეებში აგებაზე მეტყველებს.

მემორიალი ქვაჯვარით

ნასოფლარ მნიდან წმ. მარიამის ეკლესიისკენ მიმავალი გზის შუაში, საფლავის ქვებით მოცული პატარა გორაკის გვერდზე, დასავლეთით, მცირე ზომის მემორიალია (3,6 X 3,8 მ-ზე) აგებული ცენტრში ნიშიანი ქვაჯვარით. დაბალი კედლით შემოსაზღვრულ სივრცეში შესასვლელი სამხრეთიდანაა. ცენტრში გეგმაში კვადრატული (0,8 X 0,8 მ-ზე) 2 ნიშიანი ბურჯია აღმართული რომელზეც რელიეფური მსხვილი ჯვარია დაფუძნებული. ჯვარი ერთ მონოლითურ ქვაშია გამოკვეთილი. ქვედა მკლავი მასიური ჰორიზონტალური ბაზისიდან ამოდის; ჯვრის ცენტრში ასევე ჯვრის რელიეფია ამოქანდაკებული. ქვედა მკლავის ძირში ამოჩორკნილი წარწერაა (რომელიც შესაძლოა უფრო გვიანი იყოს) სადაც 1902 წელია მინიშნებული.



გეგმა

მემორიალი ნაგებია მოზრდილი, მართკუთხა ფორმის ლოდებით, მშრალ წყობაზე.

სოფელი გაგუათე (ქვემო მნა)

ზურგიანი კოშკი, ნასოფლარ გაგუათეს ჩრდილოეთ უბნის განაპირასაა აგებული. ამჟამად მისგან მხოლოდ მასიური ქვედა ნაწილია დარჩენილი. შუბლის, დასავლეთ მხარეს კოშკისგან 5,5 მეტრის სიმაღლის კედელია შემორჩენილი; ხოლო აღმოსავლეთის, ზურგის მხარეს, რელიეფის გამო, მხოლოდ 1,3 მეტრის სიმაღლეღაა შემორჩენილი. კოშკი გეგმაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა წაგრძელებული (8 X 5 მ-ზე). მის ზედაპირზე კედლის ნარჩენებიც იკვეთება, რომელიც სისქით 1,1 მ. უნდა ყოფილიყო.

ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



გეგმა და ჭრილი ჩრდილოეთზე

ზურგიანი კოშკი ნაგებია მოზრდილი ლოდებით მშრალ წყობაზე, რაც მის აგების თარიღს ადრე შუა საუკუნეებს უკავშირებს.

სოფელი ქვემო ოქროყანა

კოშკი.[1] სოფლის დასავლეთ განაპირას გეგმით ოთხკუთხა (6,8 X 6,6 მ-ზე) ოთხსართულიანი კოშკია აღმართული. ძეგლი ნაგებია საკმაოდ დიდი ზომის ქვებით მშრალ წყობაზე, რომლებიც ზედა სართულებისკენ ოდნავ მცირე ზომითაა წარმოდგენილი. სართულშუა გადახურვები ხის კოჭებიან კონსტრუქციაზე იყო დაყრდნობილი და ამჟამად ჩამონგრეულია.



გეგმა

სხვა ანალოგიური კოშკებისგან განსხვავებით, შესასვლელი თაღოვანი კარი მესამე სართულზეა გაჭრილი. კარის თაღი აქაც ორი ქვითაა შედგენილი. ამ სართულზე, აღმოსავლეთისკენ, ორი კარი და ერთი სათოფურია მოთავსებული; სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს თითო-თითო, ხოლო დასავლეთისას ორი შეწყვილებული სათოფური აქვთ. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულების იქნებოდა, სადაც სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მრავალწახნაგა ნიშია შეჭრილი. აქვე დასავლეთ კედელში ორი სათოფურია გაჭრილი. მესამე სართულზე საერთო ჯამში შვიდი სათოფურია, ხოლო მეოთხეზე, რომელიც ნაწილობრივ ჩამონგრეულია, რამოდენიმე სათოფური მაინც შეიმჩნევა.

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 483, II ტომი. თბ. 2008 წ.

კოშკი XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

ციხე-სახლი.[1] მნისწყლის მარჯვენა მხარეს, ნაპირიდან 140-იოდე მეტრში, სოფლის სამხრეთ ნაწილში, ოთკუთხა ოთხსართულიანი ციხე-სახლია აგებული (9.5 X 7.9 მ-ზე). სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი, რაზეც მორის გასადები ბუდეები მეტყველებს. დღესდღეობით გადახურვები ჩამონგრეულია.





გეგმები, ჩრდილოეთ ფასადი და ჭრილი დასავლეთზე

ციხე-სახლი ნაგებია მოგრძო ფორმის ნატეხი ქვით მშრალ წყობაზე. პირველ სართულზე საშენ მასალად ბევრად დიდი ლოდებია გამოყენებული. ეს სართული, რომელიც სამეურნეო დანიშნულების იქნებოდა შედარებით ყრუა; აღმოსავლეთ კედელში ერთი, ხოლო სამხრეთისაში სამი სათოფურია გაჭრილი. დანარჩენ სართულებზე, რომლებიც საცხოვრებელს წარმოადგენდა, რამოდენიმე სარკმლის გარდა, საკმაოდ ბევრი სათოფურია; ხოლო მეოთხე სართულის ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში თაღოვანი კარია გაჭრილი რომლიდანაც ხის აივანზე ხდებოდა გასვლა. კარის საპირე ქვებზე ოთხი ჯვარია ამოკვეთილი.

ციხე-სახლი XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

სოფელი ზემო ოქროყანა

ეკლესია[2] დგას ქვის წყობით გამაგრებულ ხელოვნურ ბაქანზე (სიმაღლე 1,8 მ). აგებულია XIX ს-ის დასასრულს. სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია (3,6 X 5 მ-ზე) ნაგებია ნატეხი ქვით კირდუღაბზე. შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ კიდეშია. კარი სწორკუთხაა. აღმოსავლეთ კედელში ერთადერთი სარკმელია გაჭრილი. ფასადზე მას წაგრძელებული ფორმა აქვს და ნახევარწრიული თაღით სრულდება. სარკმლის ჩრდილოეთით მომცრო, სამხრეთით კი მოზრდილი ნიშია. გარედან შენობა მთლიანად შელესილი და შეთეთრებულია. გადახურვა ხის კოჭებს ეყრდნობა. ეკლესიას თუნუქის ორფერდა სახურავი აქვს. აღმოსავლეთით გადახურვის ხის კოჭზე ჩამოკიდებული მომცრო ზარი ამჟამად დაკარგულია.



გეგმა

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 484, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 458, II ტომი. თბ. 2008 წ.

კოშკების კომპლექსი.[1] კოშკები მდებარეობს მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე. ოთხი კოშკიდან სამი თითქმის დანგრეულია. მათგან შედარებით სამხრეთით მდგარი კოშკი სანახევროდაა შემორჩენილი, რომელიც XVII ს-ით თარიღდება. კოშკის აღმოსავლეთი მხარე 2000-იანი წლების დასაწყისში ჩამოინგრა. 1960-იანი წლების პარმენ ზაქარაიასეული აღწერა კი ასეთია: „კოშკი გეგმით კვადრატულია (6,1 X 6,1 მ-ზე) ნაგებია მოწითალო ფერის ნატეხი ქვით. ფასადზე ქვები მოსწორებულია. ნაგებობა დაზიანებულია: შემორჩენილია ოთხი სართული და მეხუთე სართულის მცირე ნაწილი. ჩანგრეულია სართულშუა გადახურვები. კოშკს თაღოვანი შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს, მეორე სართულის დონეზე. პირველი სართული ყრუა. იგი დამხმარე სათავსი იყო. მეორე სართულის სამ კედელში თითო-თითო სათოფურია. მესამე სართულზე ერთი სათოფური დასავლეთის კედელშია, სამი – ჩრდილოეთისაში, ორ-ორი – აღმოსავლეთისა და სამხრეთისაში. სამხრეთის კედელში ერთი მცირე სარკმელიცაა. მეოთხე სართულზე, ოთხივე მხარეს ორ-ორი სათოფურია. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო სარკმელია. შიგნით სათოფურებსა და სარკმლებს კედლის წყობიდან გამოშვერილი ქვებით შექმნილი საფეხუროვანი გადახურვა აქვს, რომელიც შიგნიდან გარეთ საფეხურებად ეშვება. კოშკი ცოკოლზე დგას.“

საცხოვრებელი კომპლექსი[2] დგას სოფლის დასავლეთ კიდეში, თრუსოს სიღრმეში მიმავალი გზის განაპირას. აგებულია XIX ს-ში, თუმცა მიშენებები და დაშენებები XX საუკუნის II ნახევრამდე გრძელდებოდა. კომპლექსი (20 X 26 მ-ზე) შედგება საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო სათავსებისა და ეზოსაგან.

სამსართულიანი სახლი თავდაპირველად ტერასულ-ბანიანი იყო, გვიან კი გეგმიდან გამომდინარე მრავალფერდა თუნუქის სახურავით გადაიხურა. ძირითადად ნაგებია დიდი ზომის ერთმანეთზე მორგებული ღია ღვინისფერი ქვით მშრალი წყობაზე. თუმცა, შედარებით გვიან, მშენებლობებში კირდუღაბი და ზოგან ბეტონიცაა გამოყენებული. პირველი და მეორე სართულის დასავლეთ ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი. პირველ სართულზე სამი იზოლირებული სათავსია. სამხრეთის კედელში გაჭრილია ოთხკუთხა კარი. აღმოსავლეთის კედელში ორი მსგავსი კარია. ერთი ცხვრის სადგომისაა, მეორე – ბოსლის. ბოსლის აღმოსავლეთ კედელში ორი მართკუთხა, ვიწრო სარკმელია, სამხრეთისაში კი ერთი. პირველი სართული მეორეს კლდეში გამოკვეთილი კიბით უკავშირდება. მეორე სართული კაპიტალური კედლებით რამდენიმე სათავსოდაა გატიხრული. შესასვლელი დასავლეთის კედელშია გაჭრილი. მასთან მცირე ფართობის საცხოვ-

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 458-459, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 459, II ტომი. თბ. 2008 წ.



გეგმა

რებელი სათავსია, მის აღმოსავლეთით კი დიდი სათავსი. იგი ადრე ფიცრის ტიხრით ორ ნაწილად იყო გამიჯნული. ერთში საკუჭნაო რძის პროდუქტების წარმოებისთვის ყოფილა გამიზნული, მეორეში კი კერა და არყის სახდელი იყო მოწყობილი. ამავე სართულის ჩრდილოეთ წაგრძელებულ ნაწილში საცხოვრებელი სათავსი და ორი ბოსელია. მათგან აღმოსავლეთით მდებარე ბოსლის აღმოსავლეთ კედელში სამი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მეორე ბოსელი უსარკმლოა, მის დასავლეთ კედელში ორი, ხოლო აღმოსავლეთის კედელში ერთი ნიშია. მეორე სართულს სამხრეთ-დასავლეთით ეკვრის სამეურნეო დანიშნულების ფარდული, რომლის სამხრეთის მხარე შიდა ეზოსკენაა გახსნილი. შუაში კვადრატული ქვის ბოძი დგას. შიდა ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, კედელში, ამოჭრილია მესამე სართულზე ასასვლელი კიბის საფეხურები. მესამე სართულზე შესასვლელი სამხრეთიდანაა, აივნიდან, რომელიც ხის სამ სვეტს ეყრდნობა. აივანზე ხის ტიხრებით გამოყოფილია საკუჭნაო იყო, რომელიც ახლა შუშაბანდშია მოქცეული. სართულზე სამზარეულო, სასტუმრო და საცხოვრებელი სათავსებია. სართულშუა გადახურვები და სახურავი ხის კოჭებზეა მოწყობილი. გადახურვისა და ბანის საყრდენად გამოყენებულია ხისა და ქვის სვეტები. სახურავი მრავალფერდაა და სამხრეთის ქანობზე სამერცხლულია მოწყობილი.

სოფელი შევარდენი

მაცხოვრის ეკლესია[1] დგას სოფლის თავში, მთის ფერდობის ოდნავ მოსწორებულ ადგილას. ეკლესია დარბაზულია (4,3 X 3,9 მ-ზე), ნაგებია ფიქლის მოზრდილი ქვებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთ კედელში ორი ნიშია, ერთ-ერთში მცირე სარკმელია გაჭრილი. ერთი ნიში ჩრდ. კედელშია. შიგნით ეკლესია გადახურულია ფიქლის თხელი ქვებით. გადახურვა ბრტყე-

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 487, II ტომი. თბ. 2008 წ.

ლია. შენობას გარედან თუნუქის ორფერდა სახურავი ადგას.



ეკლესიის დასავლეთით, სამიოდ მეტრზე, ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე, დგას ბაზალტის მოზრდილი ქვებით ნაგები კუბური ფორმის სამრეკლო, რომელსაც სამი შესასვლელი ჰქონია – აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან (ამოშენებულია სანახევროდ) და დასავლეთიდან (ამოქოლილია). ჩრდილოეთ კედელში შიგნით, მოზრდილი ნიშია. სამრეკლოს ცენტრში დგას ხის სვეტი, მასზე გადებულია ზარის ჩამოსაკიდებელი ძელი. კედლებზე ალაგ-ალაგ შემორჩენილია ნალესობის კვალი. სამრეკლო გადახურულია ოთხფერდა სახურავით. სახურავის წვერზე, ქვის ბალიშზე ქვისავე ჯვარია აღმართული, რომელზეც რუსული წარწერის კვალი შეიმჩნევა. ეკლესიის ტერიტორია დაბალი გალავნითაა შემოსაზღვრული. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით.

საცხოვრებელი სახლი[1] ამჟამად თითქმის განადგურებულია, ამიტომ გთავაზობთ ანზორ ქალდანისეულ აღწერას, რომელიც 1970-იან წლებში შესრულდა: „არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის განაპირას, სამხრეთით, თარიღდება XX ს. დასაწყისით. ნაგებია ნატეხი ქვით. კედლები შიგნით შელესილია ნაკელნარევი თიხით. შენობა ორსართულიანია (სიმაღლე 6 მ.). პირველი სართული (ბოსელი) გეგმით წაგრძელებულია (16,8 X 5 მ-ზე). კარი ჩრდ. კედელშია გაჭრილი. კარის წინ ცხენების სადგომია, რომელიც სამი მხრიდან შემოზღუდულია ქვის კედლებით, აღმოსავლეთით კი გახსნილია. პირველი სართული განივი კაპიტალური კედლით გაყოფილია ორ არათანაბარ ნაწილად.



გეგმები და ჭრილი ჩრდილოეთზე

მომცრო ნაწილში ხარების, მოზვრებისა და დეკეულების სადგომია. მოზრდილი ნაწილიც ლასტის ტიხრით გრძივი მიმართულებით ორად არის გაყოფილი. აღმოსავლეთით საძროხეა, დასავლეთით – საცხვრე. აქვეა კარტოფილის შესანახი ორმო. აღმოსავლეთის კედელში ორი სარკმელია. იატაკზე ფიქლის ფილებია მოგებული. ცხენების სადგომი გადახურულია ბანით, რომელიც მეორე სართულის ტერასაა. ტერასაზე ასასვლელი ფიქლის კიბე სადგომის ჩრდ. კედელზე გარედანაა მიშენებული.

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 487, II ტომი. თბ. 2008 წ.

მეორე სართული (16,8 X 8 მ-ზე) ქვის განივი კედლით გაყოფილია ორად. ოთახები ერთმანეთს განივ კედელში მოწყობილი სწორკუთხა კარით უკავშირდება. ჩრდ. სადგომი, თავის მხრივ, ლასტით ორ ნაწილადაა გაყოფილი. დასავლეთ ნაწილში სასტუმრო ოთახია, აღმოსავლეთისაში – საცხოვრებელი. სასტუმროს სამხრეთ კედელში დიდი სწორკუთხა ნიშია, ჩრდილოეთისაში – ორი მცირე სარკმელი. სასტუმროს წინ ტერასაა, რომელზეც საცხოვრებელი ნაწილის სწორკუთხა კარი გამოდის. სამხრ. ოთახი ჩრდ. ოთახს ფართობით თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება. ოთახის აღმოსავლეთ კედელში სამი სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმელი სამხრ. კედლის დასავლეთ ნაწილშიცაა. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ერდოთი.

სართულშუა გადახურვა და სახურავი მოწყობილია ხის კოჭებზე. კოჭები ქვის ბალიშებთან ხის სვეტებს ეყრდნობა. სახურავი ბრტყელია, მიწურბანიანი.“

სოფელი აგატკაუ

ქვედა ეკლესია. არქიტექტურული ძეგლი დგას ნასოფლარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 150 მეტრში, ჭალისკენ ჩამავალი ფერდის ოდნავ მოსწორებულ, მოშიშვლებულ ადგილას. მის გარშემო რამოდენიმე საფლავის ქვაცაა შემორჩენილი.

ეკლესია დარბაზულია, სწორკუთხასაკურთხევლიანი და ამჟამად ძლიერი დაზიანების გამო ჩამოქცეულია გადახურვა და ჩრდილოეთ კედლის დიდი ნაწილი. ინტერიერში ვხვდებით სამხრეთით გაჭრილი ნაოთხალიანი, არქიტრავული კარიდან. ამავე კედელშია გაჭრილი მცირე ზომის სარკმელი და საკურთხევლისკენ მართკუთხა ნიში. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში ორსაფეხურიანი რაფით და არქიტრაული გადახურვით სარკმელია განთავსებული.

მცირე ზომის (5,6 X 4,5 მ.) ეკლესია ნაგებია მოზრდილი ლოდების და ნატეხი ქვის მონაცვლეობით. კუთხეებში და კედლის ქვედა რეგისტრში ცდილობდნენ უფრო დიდი ქვების შერჩევას რა მდგრადობის წინაპირობა უნდა ყოფილიყო.

ძეგლი სტილისტური ნიშნებით გვიანი შუასაუკუნეების ნიმუშია.



ჭრილი სამხრეთზე და გეგმა

სოფელი ახალსოფელი (ნოგკაუ)

ეკლესია.[1] არქიტექტურული ძეგლი დგას შუა სოფელში, გზის პირას. აგებულია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. ეკლესია დარბაზულია (6 X 5 მ-ზე), ნაგებია სხვადასხვა ფერის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვით, ჭარბობს ღვინისფერი. კარ-სარკმლების წირთხლებში და გარეთა კუთხეებში გამოყენებული ქვები უკეთაა დამუშავებული. შენობის გადახურვა ჩანგრეულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარი თაღოვანია. სწორკუთხა საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელში ეკლესიის ერთადერთი ვიწრო და მაღალი სწორკუთხა სარკმელია, რომელიც გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო მცირე ნიშია. სამხრეთ ფასადზე, კარის გადამხურავ სამივე ქვაზე, ამოკვეთილია მარტივი სიმბოლოები. შუა ქვაზე, თაღის პარალელურად, ნახევარრკალია ამოკვეთილი, დასავლეთით მდებარე ქვაზე – ხელის მტევანი, აღმოსავლეთით – ორი ნიშანი: ერთი ურმის თვალს ჩამოჰგავს, მეორე – გაჭრილ ვაშლს. ფასადებზე აქა-იქ შეიმჩნევა ჯვრის გამოსახულებები.



გეგმა და ჭრილი სამხრეთზე და სამხრეთ ფასადი

სოფელი კობი

გიორგიწმინდის კომპლექსი[2] მდებარეობს სოფლის მახლობლად მდებარე კლდოვან ბორცვზე. ზურგიანი კოშკი განვითარებული შუა საუკუნეებისაა; ხოლო, ოთხკუთხა კოშკი და ეკლესია თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. შედგება ორი კოშკის, ეკლესიისა და გალავნისაგან. კომპლექსი წარმოადგენდა მნიშვნელოვან რგოლს ხეობის სასიგნალო კოშკების უწყვეტ ჯაჭვში. მისი მეშვეობით თრუსოს ხეობის სასიგნალო კოშკები ვიზუალურად უკავშირდებოდნენ თერგის ქვედა დინებაზე განლაგებული სოფლების – ხურთისისა და გორისციხის კოშკებს.

სამხრეთით მდგარი კოშკი ზურგიანია (6,5 X 4 მ-ზე), მის საფუძვლად გამოყენებულია ორი გიგანტური ლოდი. ძლიერ დაზიანებულია – შემორჩენილია მხოლოდ სამიოდე მეტრის სიმაღლეზე.

მეორე კოშკი ოთხკუთხაა (5,6 X 5 მ-ზე). დგას ჩრდილოეთით, კონცხის კიდეზე, ქვის წყობით გამაგრებულ კლდეზე. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი ნაწილის ჩრდილოეთ კედელზე სამრეკლოა მოწყობილი.

კომპლექსის ცენტრში დგას ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (8 X 5,5 მ-ზე). ეკლესიას შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. კარი სწორკუთხაა. სწორკუთხაა საკურთხეველიც, რომელიც დარბაზის გრძივი კედლებიდან

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 467, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 464-465, II ტომი. თბ. 2008 წ.

მცირე მხრებითაა გამოყოფილი და იატაკის დონიდან სამი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხევლის ბაქანს წინიდან ორსაფეხურიანი ამბიონი აქვს მოწყობილი. აღმოსავლეთის კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია, რომლის რაფა საფეხურებადაა დამუშავებული. სარკმლის ქვემოთ დაბალი, მართკუთხა ფორმის ტრაპეზის ქვა დგას. საკურთხევლის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში თითო სწორკუთხა, მომცრო ნიშია. მოგვიანებით ერთი სარკმელი დასავლეთის კედელშიც გაუჭრიათ. დარბაზის სამივე კედელს დაბალი საფეხური გასდევს. ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე, მასიური მართკუთხა ქვაა, რომელზეც ქვის ჯვარია აღმართული. ეკლესია მოგვიანებით გადაუხურავთ ხის ცილინდრული კამარით, რომელიც ხისსავე ოთხ ნახევარწრიულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. კამარა დაბეტონებულია. მასზე ამოტვიფრულია თარიღი – 1945 წ. ბოლო წლებში კამარაზე ხის ფანერა აუკრავთ, ხოლო დასავლეთ კედელი XX საუკუნის ბოლოს შესრულებული ვასტერჯის გამოსახულებიანი ფრესკითაა დაფარული. ამავე დროს დაიგო იატაკზეც კერამიკული ფილები.



გეგმა

კობის ეკლესია[1] სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთის განაპირას მდებარეობს. მისი აგება უკავშირდება „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება“-ს (რუს. Общество восстановления православного христианства на Кавказе – ОВПХК) რომელიც 1860-1917 წლებში მოღვაწეობდა.



გეგმა



ჭრილი ჩრდილოეთზე

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 465, II ტომი. თბ. 2008 წ.

ეკლესიის ტიპი ე.წ. „თავისუფალი ჯვარია“ (10.3 X 8,2 მ-ზე). თორმეტწახნაგა გუმბათის ქვეშ, რომელშიც ოთხი სარკმელია გაჭრილი, გუმბათქვეშა კვადრატს აღმოსავლეთიდან აფსიდიანი საკურთხეველი ეკვრის, რომელიც იატაკიდან ერთი დიდი საფეხურითაა ამაღლებული; დანარჩენ მხარეებს სამი გეგმაში ანალოგიური მკლავი განთავსებული; ყოველი მათგანიდან კარიბჭეებში გავდივართ, რომელთაგან დასავლეთის უფრო განიერია და გვერდი-გვერდ თაღოვანი სარკმლებიც აქვს გაჭრილი. ჩრდილოეთის მკლავიდან კიბით დასავლეთ მკლავის მეორე სართულზე განლაგებულ ხის პატრონიკეზე ავდივართ. საკურთხეველში გაჭრილი აღმოსავლეთის სარკმლის გარდი-გარდმო თითოთითო, იატაკიდან დაწყებული, გეგმით ნახევარწრიული და თაღოვანი ნიშია მოწყობილი.

ეკლესიის კედლები ნაგებია სანახევროდ დამუშავებული ქვებით, ხოლო კუთხეებში და ღიობთა საპირეები კარად თლილი, შედარებით დიდი ქვებითაა ამოყვანილი. გარედან, ისევე როგორც ინტერიერში ეკლესია შელესილი და შეთეთრებული იყო.

კობის ჯვარხატი მდინარეების ბაიდარასა და ნარვანს შორის აღმართულ გიორგიწმინდის გორაკის ძირში, ჩრდილოეთ მხარეს, ოდნავ ამაღლებულ ბორცვზე, ტყის პირასაა აგებული. თითქმის კვადრატულ კვარცხლბეკზე ტოლმკლავა მასიური ჯვარია აღმართული. წინა მხრიდან მცირე ნიშია შეჭრილი.

თრუსოს და მნის არქიტექტურის შედარებითი ანალიზი

ზურგიანი კოშკები

ზურგიანი კოშკების ლოკალიზაციის საკითხი, თრუსოში და მნაში, მნიშვნელოვნად გვევლინება, რამეთუ ამ ტიპის სათავდაცვო ნაგებობები მხოლოდ ქართველთა განსახლების არეალისთვისაა დამახასიათებელი.[1]

ზურგიანი კოშკების კონცენტრაცია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცენტრალურ ნაწილზე მოდის. ამ მხრივ გამორჩეულია ისტორიული ხადა,[2] რომელსაც „60 კოშკის ქვეყანასაც“ უწოდებენ, ამის შესახებ ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაშიც“ ვკითხულობთ: „ხოლო ღუდოს ხევის ჩდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ხადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და 60 კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე.“[3]

ხადას მომიჯნავე ისტორიულ მხარეებშიც საკმაოდ მრავლად გვხვდება ამ ტიპის კოშკები. ასეა არაგვის სათავეებიდან მოყოლებული ვიდრე ჟინვალის ჩათვლით თავისი პატარ-პატარა შენაკადების ხეობებით. ქსნისა და ლიახვის ხეობათა ზემო წელში და ჩვენთვის საინტერესო არეალში, მთლიანად ყაზბეგის რაიონის ჩათვლით. საინტერესოა, რომ ამ ტიპის კოშკების ერთეულ შემთხვევებს თითქმის მთელ საქართველოში ვხვდებით. მაგ.: კახეთში, ახმეტის რაიო-

1 ზაქარაია პ. სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე //საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. XXIII-B.-თბ.,1962.-გვ.49-82.

2 გვასალია ჯ., გიორგაძე მ., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ხადის ხეობა, თბ., 1983

3 ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., გვ. 65, 1941 წ,

ნის სოფ. ხევისჭალის მახლობლად – გურჯიგორის კოშკი;[1] მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. კოშკების ზურგიანი კოშკი;[2] თორში, ბორჯომის რაიონის სოფ. წაღვერის მახლობლად – უზნარიანის კოშკი;[3] სამცხეში – ჭობისხევის კოშკი;[4] სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონში – სქურის კოშკი, გურიაში, ოზურგეთის რაიონში – ლიხაურის კოშკი; ასევე, თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ ქართულ მხარე არტაანში, შავშეთის საზღვართან – ჰაშკოის კოშკი.

თრუსოში ზურგიანი კოშკი გვხვდება ქვემო დესში. მნაში – მნის წმ. მარიამის ეკლესიის გვერდზე, ნასოფლარ გაგუათეში და კობის გიორგიწმინდის კომპლექსში.

ყაზბეგის რაიონის სხვა სოფლებში ასეთი ტიპის კოშკები ან მათი ნაშთები შემორჩენილია ხურთისში, გერგეტში, სნოს დარყის წმ. გიორგის კომპლექსში და ორიც სოფელ გაიბოტენში.

გეგმაში მართკუთხა ფორმის კოშკების მრავალი ტიპი საქართველოს გარდა მეტ-ნაკლები დამთხვევით ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ხუროთმოძღვრებაშიც გვხვდება. ზურგიანი კოშკების ანალოგი კი, სხვა მხარეებში არ მოიძებნება.

ამ ტიპის კოშკების ფორმის წარმოშობა მთიან რელიეფზე მათი განთავსებიდან გამომდინარეობს, როდესაც მიხვდნენ, რომ მთიდან დაძრული ზვავი ნაკლებ ზიანს მიაყენებს კოშკს თუ მას მომრგვალებული კედელი „დახვდება“ და დარტყმის ძალა გარკვეულწილად ჩახშობილი იქნება. ამან განსაზღვრა ზურგიანი კოშკების საქართველოს მთაში წარმოშობა და შემდგომ ამ ფორმამ მოსწორებულ ალაგზეც გადაინაცვლა, თუმცა ყველგან „შუბლის“ მხარე ხეობის ქვედა მხრისკენ იმზირება.

ზურგიანი კოშკების აგების პერიოდები სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. ადრე შუა საუკუნეების (IV-IX სს), რომლებიც დიდი ლოდებითაა ნაგები მშრალი წყობით. მათი უმრავლესობა ნანგრევების სახითაა ჩვენამდე მოღწეული.
2. განვითარებული შუა საუკუნეების (X-XV სს), ხშირ შემთხვევაში კირდუღაბსაც იყენებენ, თუმცა მშრალი წყობის შემთხვევებიც გვხვდება, ოღონდ ოფრო მომცრო ნატეხი ქვით აგებულნი.
3. გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVIII სს), კედლები ნატეხი ქვით, კირდუღაბითაა ამოყვანილი და ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის შესაბამისად, სათოფურებიც ჩნდება.

ზურგიანი კოშკები რომლებიც თრუსოში და მნაშია განთავსებული კობის გიორგიწმინდას კომპლექსის ზურგიანი კოშკის გარდა, ადრე შუასაუკუნეებშია აგებული. ქვემო დესის, მნის და გოგუათეს კოშკებისგან მხოლოდ ქვედა დონეებია შემორჩენილი და მათგან მხოლოდ მნის კოშკშია შემორჩენილი შიდა გეგმარების კედლები, კერძოდ პირველი სართულის ქვეშ განლაგებული სამე-

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 164, II ტომი. თბ. 2008 წ.

2 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. გვ. 76, V ტომი. თბ. 1990 წ.

3 https://georgiantravelguide.com/ka/uznarianis-tsikhe

4 დევი ბერძენიშვილის ფოტოკოლექცია, http://www.dspace.nplg.gov.ge/handle/1234/ 260165

ურნეო, კვადრატული ფორმის სათავსი. ასეთი სათავსები ამ ტიპის კოშკების დაახლოებით 2/3 შემთხვევაში გვხვდება, თუმცა ასეთი სივიწროვისა საკმაოდ იშვიათია.

კობის გიორგიწმინდის კომპლექსის სამხრეთის, ზურგიანი კოშკი განვითარებულ შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. მას სათავდაცვო ფუნქციის გარდა სასიგნალოც გააჩნდა, რადგან პირდაპირი ხედვით კავშირი აქვს ხურთისის ზურგიან კოშკთან რომელიც სიონის პირამიდულ კოშკს უმზერდა, საიდანაც არშის და ფხელშეს კოშკის გავლით სიგნალი სნოს ციხეზე და სტეფანწმინდის მიმართულებით ვრცელდებოდა. თავად გიორგიწმინდის კოშკი კი თრუსოს და მნის მისადგომებს აკონტროლებდა.

ცხადია, რომ ზურგიანი კოშკების არსებობა თრუსოში და მნაში აშკარა ნიშანია იმისა, რომ ეს მხარე ქართული სამყაროს ნაწილი გახლდათ.

მართკუთხა კოშკები

თრუსო გეგმაში მართკუთხა კოშკებითაც საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი. ყველაზე მრავლად ის კართსოფელშია შემორჩენილი, სადაც ასეთი 6 კოშკი გვხვდება. თეფში, გიმარაში, ზაქაგორში და ქეთრისში 2 კოშკია შემორჩენილი, გუსალთაში, ცოცოლთაში, ბურმასიგში, ქვემო დესში და სუატისში თითო-თითო, 3 კოშკია ასევე სოფელ აბანოში.

მნაში – ქვემო ოქროყანაში ერთი, ზემო ოქროყანაში 4 და კობის გიორგიწმინდის კომპლექსშიც ერთი მართკუთხა კოშკია.

ორივე ისტორიულ მხარეში არსებულ მართკუთხა ფორმის კოშკებს მრავალი ასპექტით აქვთ საერთო ნიშნები. პირველ სართულზე შესასვლელი კარებები მიწიდან 3-4 მეტრის სიმაღლეზეა განთავსებული; სართულებზე სათოფურებია მოწყობილი, რაც მათ გვიან შუა საუკუნეებში აგებაზე მეტყველებს; ხშირ შემთხვევაში კარის თაღი ორი ქვითაა აწყობილი; სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზე მოწყობილ კონსტრუქციებითაა წარმოდგენილი; ენტაზისი ყველგან ვიწროვდება, განსაკუთრებით აბანოს სამხრეთ კოშკისა, რითაც ის ხევის სიონის ე.წ. პირამიდულ კოშკს ჩამოგავს; ბევრგან, სადაც კოშკი თითქმის ბოლომდეა შემორჩენილი, კედლების ცენტრში, ოთხივე მხარეს მაშიყულის მსგავსი მართკუთხა ნაშვერებია მოწყობილი ზემოდან ვერტიკალურად სასროლად;

ანალოგიურ კოშკებს საქართველოს სხვა მხარეებშიც მრავლად ვხვდებით; თუნდაც ხევში ასეთი ტიპის კოშკებია გველეთში, სტეფანწმინდაში, ფანშეთში, სნოში, ხევის სიონში და სხვ.

საცხოვრისები

თრუსოს და მნის ხალხური ხუროთმოძღვრება, განსხვავებით ხევის ანალოგიური ძეგლებისგან, აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი. სამწუხაროდ, ხევის ძველი საცხოვრებლების უმეტესობა ან განადგურდა, ან იმდენადაა „გათანამედროვებული“ რომ ისტორიული სახის აღდგენა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამათთან შედარებით, თრუსოში და მნაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა; თუმცა, თუ დროზე არ მოხდა ამ ისტორიული რეგიონის ნაკრძალად გამოც-

ხადება და ძეგლების „გადარჩენა“ აქაურობასაც იგივე ბედი ელის, რაც ხევის საცხოვრებლებს დაემართათ.

საფორთიფიკაციო ნაგებობის და საცხოვრისების საინტერესო სიმბიოზს წარმოადგენს ე.წ. ციხე-სახლები (კოშკურ სახლსაც უწოდებენ ხოლმე), რომლებიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ არქიტექტურაში. თავად ის ფაქტიც კი, რომ ოსები ასეთი ტიპის სახლებს „გალუანს“ (პარალელი ქართულ „გალავანთან“) უწოდებენ მათ ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ციხე-სახლებს თრუსოს და მნის თითქმის ყველა სოფელში შევხვდებით. ხშირ შემთხვევაში მათ პირველ სართულზე საქონლის სადგომები ან სამეურნეო სათავსებია მოწყობილი. მეორე და ზედა სართულებზე (მათი არსებობის შემთხვევაში) კი საცხოვრებელი ოთახებია განლაგებული. ამ ტიპის საცხოვრისებს ვიწრო სარკმლები და ხშირად სათოფურებიც გააჩნიათ. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე მოწყობილი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, რომელზეც თიხანარევი ტკეპნილი მიწაა დაგებული. ზედა სართულთა გადახურვაც ბანიანი იყო.

თრუსოში და მნაში ჩვეულებრივი საცხოვრისების გეგმარება და სამშენებლო ტექნიკა იდენტური იყო ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ამავე ტიპის ნაგებობებთან შედარებით. აქ, ისევ უნდა ვახსენოთ, ოსურში ქართულიდან შესული ტერმინები, რაც სახლის მშენებლობას უკავშირდება. ასეთია: „ერდო“ – სახურავში გაჭრილი ღიობი ბოლის გასასვლელად; „კირინ“ – ქვითკირით ნაშენი გამაგრებული სახლი; სახლის მშენებლობისას არასამუშაო დღეს დახმარება – „ბეგარა“ და სხვ.[1]

ეკლესიები

თრუსოს და მნის საკულტო ნაგებობები სამ პერიოდად უნდა დავყოთ:

პირველი პერიოდში განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებული 5 ძეგლი შედის. ესენია: ზემო თეფის ეკლესია, სუატისის ხეობის ეკლესია, სუატისის სამება (ქვედა), მნის წმ. მარიამის ეკლესია და მთავარანგელოზი.

მეორე პერიოდში გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეში ე.წ. ხალხური წესით აგებული 12 ძეგლი შედის. ესენია: რესის წმ. ბასილი, ქვემო თეფის წმ. გიორგი, გიმარას წმ. გიორგი, კართსოფელის ეკლესია, ზემო დესის წმ. გიორგი, სუატისის სამების შუა და ზედა ეკლესიები, ზემო ოქროყანას ეკლესია, შევარდენის მაცხოვრის და ქვედა ეკლესიები, ნოგკაუს და კობის გიორგიწმინდას ეკლესია.

მესამე პერიოდი XIX საუკუნეში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ საქმიანობას უკავშირდება და 3 ძეგლი შედის. ესენია: ცოცოლთას წმ. გიორგის, აბანოს დედათა მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების და კობის გუმბათოვანი ეკლესიები.

პირველი პერიოდის ძეგლების აგების დროს ქართული საეკლესიო მშენებლობა თრუსოს უღელტეხილს გადაღმა, ისტორიულ დვალეთშიც მიმდინარეობდა. ამ ეკლესიებიდან დღემდე შემორჩენილია: „ხოზიტა-მაირამი“, ნუზალეს სამლოცვე-

1 В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия, в I-XV вв. н.э., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961 წ.

ლო, თლის ეკლესია, ნარის წმ. გიორგის სამლოცველოს ნანგრევები – ნარძუარი, ხუცაუ-ძუარი (სოფ. ფალლაგ-ქომსა და რეგახთან აგებული ეკლესიის ნანგრევები – „ღვთაების სამლოცველო“), „ძლესი ძუარი“ (ძლევის ჯვარი) დაბა ქალაქში და სხვ. აღსანიშნავია საკულტო-ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელსაც აშკარად ქართულთან აქვს მსგავსება. ასეთებია: „ძუარი“ – სალოცავი (პარალელი – ქართულ „ჯვართან“); „მარხო“ – მარხვა; „თარანგელოზ“ – მთავარანგელოზი; „კერე“ – კერი; „შანება“ – სამება; „მაცხვარი“ – მაცხოვარი და სხვ.

თრუსოში და მნაში, ამ პერიოდის ძეგლები ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტიპიურ ნიმუშებს წარმოადგენენ. მნის წმ. მარიამის ეკლესიაზე ასომთავრული წარწერაცაა შემონახული. მისი აღმოსავლეთ სარკმლის თავსართიც ტიპიურია აღმოსავლეთ მთიანეთის საკუტო არქიტექტურაში.

სუატისის სამების ქვედა ეკლესიის კარის არქიტრავის კომპოზიცია კი, რომელზეც კიდეებაწეული ნახევარწრიული ჩაკვეთილი წარბია, მსგავსია სეთურების ცეცხლისჯვრის ეკლესიის მორთულობისა. ანალოგები არსებობს ხანდოში, წინამხარის ეკლესიაზე და მინდელაურის არქიტრავის ქვაზეც. ეს კომპოზიცია გარკვეულ მსგავსებას ჰპოვებს მცხეთის ჯვრის, სამწევრისის და გოსტიბეს ეკლესიებს რელიეფურ მორთულობებთან.

სუატისის სამების, გოსტიბეს, ცეცხლისჯვრის ეკლესიათა და მინდელაურების კოშკის რელიეფურ მორთულობები

ხუთივე ეს ეკლესია მრავალ ანალოგს პოვებს ამ პერიოდის ქართული დარბაზული ეკლესიების გეგმარებით-სტრუქტურულ სქემებში.

მეორე პერიოდის, ე.წ. ხალხური წესით აგებული ძეგლები, არქიტექტურული თვალსაზრისით, ერთ გარკვეულ წესს არ ემორჩილებიან. ბევრგან მკაცრი საეკლესიო მშენებლობის კანონებიცაა დარღვეული (მაგ. ზემო დესის წმ. გიორგის ეკლესიაში ერთადერთი კარი აღმოსავლეთითაა გაჭრილი და საკურთხეველი დასავლეთითაა მოწყობილი), თითქმის ყველგან, გარდა გიმარას წმ. გიორგისა, ეკლესიები უაფსიდოა. არსად არაა ნახევარწრიული კამარით გადახურვა. ხშირად მშრალი წყობითაა ნაგები და კედლები ოკრო-ბოკროდაა ამოყ-

ვანილი. გადახურვები მეტწილად ხის კოჭებზეა დაყრდნობილი და თუნუქითაა დაბურული.

ამ ტიპის ძეგლები თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. ხევში ანალოგების მოძიების მხრივ კი მოვიხსენიებთ: სტეფანწმინდის ნათლისმცემლის ეკლესიას, გაიბოტენის კვირაცხოველს, ყანობის არყონის წმ. გიორგი, ხურთისის ციხის ეკლესიას და სხვ.

მესამე პერიოდის ამ სამი ძეგლიდან ცოცოლთას წმ. გიორგის ეკლესია ყველაზე მდარე ხარისხისაა. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებამ მხოლოდ თანხა გამოჰყო მის ასაგებათ და ამოცანას ისახავდნენ მოცულობაში შედარებით დიდი ეკლესიის აგებას რომელიც თერგის ხეობის ზედა წელის სოფლებს (სივრატს, რესს, ზემო და ქვემო თეფს, გიმარას, ბურმასიგს და თავად ცოცოლთას) მართლმადიდებლურად გამართული მღვდელმსახურებით მოემსახურებოდა.

1889 წელს აშენებული აბანოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, როგორც ჩანს თავიდანვე უხარისხოდ აიგო, რადგან სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების გასამაგრებლად მალევე დასჭირდა კონტრფორსების მიდგმა. აფსიდის დარბაზთან უშუალოდ მხარის გარეშე დაკავშირებაც საეკლესიო ტრადიციის უცოდინრობით გამოწვეული არქიტექტურული ნონსენსია (ეს ფაქტი თანამედროვე რესტავრაციის დროს გამოსწორებულია).

XIX საუკუნის II ნახევარში აგებული კობის ეკლესია „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ ერთ-ერთი პროექტი იყო. ბევრგან მათი აგებული ეკლესიები ერთმანეთის ანალოგიურია; კობის ეკლესიის მსგავსია შენაქოს და ილიურთას წმ. გიორგის ეკლესიები თუშეთში, მაღაროსკარის წმ. გიორგის ეკლესია ფშავში, ასევე, ედისას ეკლესია მაღრან დვალეთში, არდოთის ეკლესია ხევსურეთში და სხვ. ამავე საზოგადოების აგებულია ყანობის მთავარანგელოზის ეკლესია ხევში და კაიშაურნის წმ. გიორგისა ხადაში, ოღონდ ისინი ე.წ. „კუპელჰალეს“ ტიპისაა.

ზოგადი დასკვნა

თრუსოს და მნის არქიტექტურა ნათელი ასახვაა იმისა, რომ ეს მხარე ოდითგანვე „ქართული სამყაროს“ ნაწილს წარმოადგენდა. როგორც საერო, ისე საკულტო არქიტექტურაში ამ ისტორიული მხარის ძეგლები მრავალ პარალელებს პოულობენ ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

რა თქმა უნდა, თავად საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურაშიც არსებობს განსხვავებები, რაც მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული (კლიმატური პირობები, ისტორიული კუთვნილება, სამეზობლოს გავლენები, რელიგიური წარმოდგენები და სხვ.) მაგრამ საერთო მნიშვნელის დანახვა ნამდვილად თვალსაჩინოა. ამ მხარეში, გვიან შუა საუკუნეებში, ოსური ელემენტის გამოჩენამ ფაქტიურად მხოლოდ ლინგვისტურ ასპექტში პოვა ცვლილება, ხოლო სამშენებლო ტრადიცია ისევე გრძელდებოდა, როგორც დანარჩენ საქართველოში.

თრუსოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფა

ლავრენტი ჯანიაშვილი

თერგის ზემო წელის ოსური მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესების დინამიკაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა სოციალური და სამეურნეო-ეკონომიკური გარემოს რადიკალურმა ტრანსფორმაციამ XIX საუკუნესა და XX საუკუნის 30-40-იან წლებში. ამ რეგიონის მეურნეობის ძირითად დარგს, ისტორიულად მესაქონლეობა (მოგვიანებით უფრო მეცხვარეობა) და მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მართალია წამყვანი როლი მესაქონლეობას ეჭირა, მაგრამ ზამთარში საქონლის გამოკვების სირთულის გამო, რუსეთის გაბატონებამდე, საკვები ბაზა შეზღუდული იყო და რეგიონში ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცვლეობა არ დასტურდება. ამის მთავარი მიზეზი საზამთრო საძოვრების ძნელადმისაწვდომობა იყო. კახეთის ველებზე კონკურენციას ვერ უწევდნენ კახელებთან მჭიდრო სამეურნეო კონტაქტში მყოფ თუშებს, ხოლო ქართლის ზამთრის საძოვრებზე მთისწინა ზოლის მოსახლეობას[1]. ბაგურ კვებაზე დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა ყოვლად შეუძლებელია, თუ ოჯახს ორ ათეულ სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა უკვე ბართან კავშირზე უნდა ეზრუნა[2]. შეზღუდული სამეურნეო რესურსების პირობებში მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ოდენების გამოკვება შეიძლებოდა, ამიტომ XIX საუკუნემდე თრუსო არც თუ ხალხმრავალი იყო[3].

მიწათმოქმედება და, განსაკუთრებულად, მემინდვრეობა ოსებში შედარებით გვიან, კავკასიის მთიანეთში გადმოსახლების შემდეგ განვითარებულა. ამის თაობაზე გარკვეული გადმოცემებიც არსებობს: „ძველ დროში ხალხი მხოლოდ ხორცს ჭამდა, პური სულ არ იყო. ერთხელ მოხუცებულები ისხდნენ და ქეიფობდნენ, დაინახეს, რომ მათ ახლოს არწივი დაფრინდა. არწივმა მოფუნა რამდენჯერმე, გაქექა მიწა და ნისკარტით რაღაც ჩააგდო. მოხუცები დაინტერესდნენ და შემოღობეს, რომ ადგილი არ დაეკარგათ ან საქონელს არ გაეთელა. ცოტა ხნის შემდეგ ამოვიდა პურის შესანიშნავი თავთავები. მოხუცებმა შეინახეს თესლად და მეორე წელს მიწა დაამუშავეს, რათა ეს თესლი დაეთესათ. მიხვდნენ, რომ არწივმა მათ თესლი მოუტანა და ამიერიდან არწივს დიდ პატივს სცემენ. ყველას აქვს სასტუმრო ოთახში არწივის სურათი“[4].

მთის მწირი ნიადაგისა და მცირემიწიანობის გამო ნიადაგი ყოველწლიურ განოყიერებას მოითხოვდა. ძლიერ დაფერედებული ნიადაგი მის დამუშავებას ართულებდა, ამიტომ შედარებით მცირე ზომისა და პრიმიტიულ სახნისს იყენებდნენ. შემოდგომით თესდნენ მხოლოდ საზამთრო ხორბალს, გაზაფხულზე

1 ვ. ითონიშვილი, მოხვეების ყოფა-ცხოვრება, თბილისი, 2015, გვ. 43-44.

2 ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 224.

3 გ. თოგოშვილი, საქართველო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბილისი, 1969, გვ.196.

4 მ. ქანთარია (არქივი), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, საველე მასალა, ქურთათის ხეობა, სოფ. ბარიზიყაუ.

– საზაფხულო ხორბალს, ქერს და შვრიას [...] მაგრამ ყველაფერს მხოლოდ მცირე რაოდენობით. მართალია სამუშაო იარაღებს მამაკაცები აკეთებდნენ, მაგრამ მიწის სამუშაოები ქალის საქმედ ითვლებოდა[1]. ი. კლაპორტის აღწერის თანახმად სახვნელი იარაღი, რომელსაც ოსები და სხვა კავკასიელები იყენებენ, არის რუსულზე პატარა [...] ეს არის მოღუნული ხე, რომლის ფრთები 1,5 ფუტი სიგრძისაა და მხოლოდ 8 დიუიმითაა ერთმანეთს დაცილებული; ერთ ფრთაზე წამოცმულია თანაბარფერდიანი სამკუთხედის ფორმის რკინის ბრტყელი ფრთე. ის აბრუნებს მიწას. მოღუნული ხის მეორე ფრთაზე დამაგრებულია 6 ფუტი სიგრძის გასაწევი ტარი, რომლის ბოლოში ებმება უღელი ხარი. იქ სადაც ხე იღუნება, არის სახელური, რომლითაც ერთი კაცი მარცხენა ხელით გუთანს მართავს, ხოლო მარჯვენით ხარებს მიერეკება. რადგან მანძილი რკინის ფრთედან გასაწევი ტარის მიბმამდე მხოლოდ 8 დიუიმია, ამიტომ კვალი 6 დიუიმზე ღრმა არ გამოდის. ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე ხის ტანით, რომელსაც ხარი ეწევა, ილეწება ნამკალი; ამასთან ერთი ადამიანი დგას ამ ხეებზე და აწვება.[2]

ი. რეიგენსის ცნობით ოსების მიწათმოქმედება ძირითადად ქერის, ფეტვის, ბოლოკის, ხახვის, თამბაქოს და თალგამის კულტივირებას გულისხმობდა. ამზადებდნენ პურის ღვინოს და უგემურ ლუდს, ასევე აკეთებენ უგემრიელეს თხის ყველს [...]. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ვერძი მცირე ზომისაა, იშვიათად მოზრდილი ვერძის წონა 25 ფუნტსაღემატება[3]. რეიგენსის ამ ცნობას ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილისეული ოსთა აღწერაც „პირუტყვნი არიან: ცხოვარი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა ღორი, არა მრავლად[...] ვინაითგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ."[4] მარცვლეულს მკიდნენ ერთ ფუტამდე სიგრძის და 2 თითის სიგანის, მოკლე და ძალზე მოხრილი ნამგლით, რომელსაც დაკბილული პირი ჰქონდა. თივას თიბავდნენ 2 ფუტი სიგრძის, თითქმის 3 თითი სიგანის და ძალიან მცირედ მოღუნული ცელით, რომელიც წამოცმული იყო ერთი საჟენი სიგრძის ტარზე. მარცვალი ილეწებოდა კალოზე, ხარების საშუალებით; ოსები არ ხმარობდნენ თათრების მიერ სტეპებში სალეწად გამოყენებულ ფიცრებს, რადგან კევრით ლეწვისას ჩალა მთლად იფშვნებოდა ის კი ზამთრის საკვებად სჭირდებოდათ. მარცვლეულის მოსავალს ინახავდნენ სახლში, წვრილი წნელებით (ტოტებით) დაწნულ დიდ ყუთებში.[5] სამკალი იარაღები, ცელი (цаваг) და ნამგალი (ахсырф), ქართულის ანალოგიური იყო. იყო ნამგლის მეორე სახეობაც (ламган), რომელსაც შედარებით გრძელი სახელური ჰქონდა[6].

1 გ. გელაშვილი, იულიუს კლაპორტი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (11), 2012, გვ. 293.

2 გ.გელაშვილი, იულიუს კლაპორტი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (11) 2012, გვ. 284.

3 Рейнеггс Я. Общее Историко-Топографическое Описание Кавказа Осетины С.-Петербург, т.1, 1796. http://drevlit.ru/docs/kavkaz/XVIII/1760-1780/Reineggs/text2.php?fbclid=IwAR3Iij qjssuWpm TXkRwOEq4uOtZfzMwericgP6tdIJVTd4wqK59LkrrbMeI

4 ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, 635-636.

5 გ. გელაშვილი, იულიუს კლაპორტი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (11) 2012, გვ. 293.

6 Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб., 1985 с. 131-132.

თრუსში მცხოვრები ოსები ძირითადად მისდევდნენ საგაზაფხულო პურისა, ქერის და სვილის მოყვანას. ეთნოგრაფიულ ყოფაში გასული საუკუნის 60-იან წლებში დამოწმებულია მარცვლეულის კულტურები, რომლებიც შედარებით კარგად იტანენ მაღალმთიან რეგიონებს, კერძოდ, ყაბარ ხორი“ ბრტყელი ქერი და ჭვავი. ასევე ითესებოდა ქერისა და ჭვავის შერეული თესლიც. მარცვლეულს, თესდნენ ძირითადად მოვაკებულ და დატერასებულ ნაკვეთებზე.

ოსებში გავრცელებული ძირითადი სახვნელი იარაღი, „ძივირი“, ქართული „ჩუთისა” და „კავის” ანალოგიური იყო, იგი კონსტრუქციის უბრალოებით გამოირჩეოდა და მხოლოდ ერთი უღელი ხარი და ერთი მუშა სჭირდებოდა სახვნელის ეს ტიპი ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც გვხვდებოდა. მთისწინეთსა და დაბლობ ადგილებში ხვნა წარმოებდა ძირითადად ხის გუთნით (хъадынгутон). მას 2-3 დან 4 უღელ ხარამდე ესაჭიროებოდა. დაბლობ რაიონში ამასთან ერთად გამოიყენებოდა დიდი ქართული გუთანიც, რომელიც რთული კონსტრუქციით გამოირჩეოდა და მუშახელისა და გამწევი პირუტყვის მეტ ოდენობას მოითხოვდა[1]. სამიწათმოქმედო იარაღები ტექნიკური თვალსაზრისით და ტერმინოლოგიურადაც ქართულთან მსგავსებას ამჟღავნებდა, მაშინ როცა ვ. აბაევის გამოკვლევით, მესაქონლეობის აღმნიშვნელი თითქმის ყველა ოსური სიტყვა უკავშირდება ძველირანულ ენას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში თრუსოს ოსური მოსახლოების ტრადიციულ მეურნეობაზე წარმოდგენის შექმნა შეგვიძლია ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის გამოკვლევის საშუალებით. იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის შესაძლებლობის გაჩენამდე, XIX საუკუნემდე, თერგის ზემო წელის მოსახლეობაში მიწთმოქმედებას შედარებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე მოგვიანებით[2].

მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერებაზე, ამიტომ მიწის ყოველი გოჯი განსაკუთრებული მოვლა-დაცვის ობიექტს წარმოადგენდა. მიწის საზომ ერთულად დღიურს (ერთ დღეში კავის საშუალებით მოხნული მიწის რაოდენობას) მიიჩნევდნენ. ხვნის დროს იცოდნენ შეამხანაგება რომელსაც გუთნის დედა კავის უფროსი „ძევერ ხიცაუ” მეთავეობდა; მცირე მასშტაბით, მაგრამ პრაქტიკაში ყოფილა მიწის ერთწლიანი დასვენება „ზარაშტონ-ყამირი“, მისდევდნენ ნაკვეთების ორგანული სასუქით გაპატივებას[3].

თრუსოს ოსურ მოსახლეობაში სამიწათმოქმედო იარაღები ხევში გავრცელებულის იდენტური იყო, საკმაოდ მრავალფეროვანი, თუმცა შედარებით მარტივი და ადგილობრივ საჭიროებაზე მორგებული. ხვნა-თესვა მკაცრი კლიმატის პირობებში, გაზაფხულსა და ზაფხულში მიმდინარეობდა. შესაბამისად მარცვლეულის მხოლოდ ის ჯიშები ითესებოდა, რომელიც ამ პირობებში შემოსვლას ასწრებდა: ქერი, დიკა, დოლისპური და სვლი (საგაზაფხულო და საშემოდგომო). მაგალითად აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩეკი, მარგილი, სარეკი და წამი რომლებიც სათანადო ნიადაგსა და გარკვეულ მცენარეულ კულტურებზე იყო მორგებული აქ საერთოდ არ

1 Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб., 1985 с. 131-132.

2 გ. ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203; ვ. ითონიშვილი. მოხევეების ყოფა-ცხოვრება გვ. 37.

3 გ. ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203-230; ვ. ითონიშვილი, მოხევეების ყოფა-ცხოვრება, გვ. 31.

დაფიქსირებულა, მაშინ როდესაც ფართოდ გამოიყენებოდა წერაქვი, როგორც მიწის პირველადი დამუშავებისათვის აუცილებელი საშუალება.

თრუსოს ხეობაში დამოწმდა ბარის სახეობა, რომელიც ყიზლარის რაიონიდან ჩანს შემოტანილი მეცხვარე მწყემსების მიერ და გამოყენებული ყოფილა თერგის დინების ქვემო წელზე ბრინჯის პლანტაციების დასამუშავებლად. ბარის ანალოგიური ტიპს გამოიყენებდნენ ზაქათალის რაიონში ბრინჯის პლანტაციის დასამუშავებლად, გ, ჯალაბაძეს ამგვარი ბარი ჩამოუტანია ყვარლის რაიონიდან უდიების სოფ. ოქტომბერიდან (ამჟამად ზინობიანი ლ. ჯ.), სადაც მას ასევე ბრინჯის პლანტაციის დასამუშავებლად ხმარობდნენ. თრუსოელი ოსები ფართოდ იყენებდნენ ხევში გავრცელებულ ხელის სამუშაო იარაღებსაც. აღსანიშნავია მოხევური თოხი თავის ვარიაციებით: მხრებდაშვებული, ფთილისებრი, რომბისებრი, ნისკარტიანი და უყუო. მხრებდაშვებული თოხი იხმარებოდა ნაკელის დასახვეტად, ბელტების დასაფშვნელად, კარტოფილისათვის მიწის შემოსაყრელად, კარტოფილის თესვისას ორმოებში მიწის მისაყრელად. რომბისებრი თოხები ერთი ნაწილი ვიწრო წერაქვისებრი პირით ხასიათდება, ამავე ჯგუფში შედის უფრო ფართოპირიანი თოხები, რომელიც სამუშაოდ საკმაოდ მარჯვეა და ფართოდ გამოიყენებოდა ყანებში ბელტების დასაფშვნელდ. რომბისებრი თოხით ამუშავებდნენ მიწას დაწერაქვების შემდეგ. ფთილისებრი თოხები, მატყლის ფთილის ფორმის, ვიწროპირიანი თოხებია და უპირატესად კარტოფილის აღებისას ბოლქვების მიწიდან ამოსაღებად იხმარებოდა. ქვღორღიან მიწებში ნიადაგის გასაფხვიერებლად სარგებლობდნენ ე.წ. ნისკარტიანი თოხებით.

მოხევური სახვნელი კავის მსგავსი იყო თრუსოს ხეობის ოსურ მოსახლეობაში გავრცელებული სახვნელი ინსტრუმენტი, „ძივირი", რომელიც მხრებგადაბმულ სახვნელთა კატეგორიას მიეკუთვნება. იგი კავკასიელ მთიელთა სამიწათმოქმედო იარაღია. გავრცელებული იყო ძირითადად ჩრდილო კავკასიელ მთიელებში, საქართველოში კი ოსებით დასახლებულ თეთრიწყაროს რაიონში. ძივირის კონსტრუქციული თავისებურება მხვნელს მთის ფერდობის დამუშავებას უადვილებდა[1]. უნდა ითქვას ისიც, რომ მხრებგადაბმული სახვნელი იარაღების მარტივ ტიპებს კავწვერასა და თრიალეთურ ჩუთს, ფართოდ იყენებდნენ საქართველოს რეგიონებში მთისა და ზეგნის მიწათმოქმედებაში.[2].

თერგის ზემო წელი (თრუსო, ხევი) მართალია მთლიანად მაღალმთიან ზონაშია მოქცეული მაგრამ წინათ აქაც პირობითად, გამოყოფდნენ მთისა (ფერდობებზე შეფენილ) და ბარის (თერგისპირა დაბლობის) სახნავ-სათესებს. მე-19 საუკუნემდე მიწათმოქმედებას აქ უფრო აქტიურად მისდევდნენ და სახნავ-სათესებადაც უფრო მეტი ფართობი იყო გამოყენებული ვიდრე გასული საუკუნის შუა ხანებისათვის. მოსავლიანობის თვალსაზრისით საუკეთესოდ მზიანი, მზორე ადგილები, ოსურად „ხუშარი" მიწები ითვლებოდა. ნაკლებმოსავლიანი იყო ჩრდილოეთი ფერდის „ცაგათა" ნაკვეთები[3].

მიუხედავად იმისა, რომ მიწათმოქმედებას მეურნეობაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი ეჭირა, თერგის ზემო წელის მოსახლეობას ხვნა-თესვით მი-

1 გ. ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 230-232.

2 გ. ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134.

3 გ. ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.

ღებული მოსავალი არ ჰყოფნიდა, დანაკლისის შევსებას ახდენდნენ საქართველოს ბარის რეგიონებიდან. ამასთანავე, ზამთრის საძოვრების არარსებობის პირობებში მეცხვარეობის შედარებით მცირე მასშტაბი ჰქონდა და ზაფხულის საძოვრებს სრულად ვერ ითვისებდნენ. ამის გამო მთებს ბარელ მეცხვარეებზე აქირავებდნენ, ყოელივე ეს კი ზრდიდა მათი ინტეგრაციის ხარისხს. ჩრდილო კავკასიასთან ინტენსიური ეკონომიკური კავშირების დამყარების შემდეგ დაიწყეს იქედან სიმინდის და პურის ფქვილის შემოტანა. მჭადი აქაურთა რაციონში მნიშვნელოვან საკვებად იქცა. შემოტანილმა ხორბლის ფქვილით გამომცხვარმა პურმა თანდათანობით ჩაანაცვლა ქერისა და ქერსვილის პური. შედეგად, შემცირება დაიწყო პურეული კულტურების სათესმა ფართობებმა. პირველ რიგში სასვილეებმა, რომელთა დამუშავება განსაკუთრებით მძიმე შრომას მოითხოვდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი რეგიონში პურეულის მოყვანის პრაქტიკა სრულიად მოიშალა[1]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის თრუსოში სამიწათმოქმედო კულტურები საკმაოდ შეზღუდული ჩანს. ხორბალს თესდნენ მხოლოდ სოფ აბანოში, ყველგან იყო ქერი, მცირეოდენი კარტოფილი[2].

სამიწათმოქმედო კულტურების შემცირებამ მძიმე დარტყმა მიაყენა რეგიონის მოსახლეობას გასაბჭოების პირველ ხანებში. საქართველოს ბარის რაიონებთან ძველად არსებული ეკონომიკური კავშირები და კომუნიკაცია შესუსტებული იყო, ჩრდილოეთ კავკასიასთან, საზღვარს კი მკაცრად აკონტროლებდა ხელისუფლება, რომელმაც კოლექტივიზაციის პარალელურად თითქმის მთლიანად აიღო ხელში სასოფლო-სამეურნეო საქონლის რეალიზაცია. გლეხები ვალდებული იყვნენ ჭირნახულის ძირითადი ნაწილი დამამზადებელ ორგანიზაციებში ჩაებარებინათ[3]. რაიაღმასკომმა მიიღო ასეთი დადგენილება: „აეკრძალოს ხევის მოსახლეობას მეზობელ რესპუბლიკაში გაიტანონ ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დამამაზადებელი ორგანიზაციების ნებართვის გარეშე“ (23 აპრილის დადგენილება)[4]. შედეგად, არნახულად გაიზარდა ფასი სიმინდსა და ხორბალზე, მომრავლდა კონტრაბანდული გზით სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადაზიდვისა და კორუფციის ფაქტები, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობა, დაიწყო სოფლი მეურნეობის პროდუქტების მალულად გადმოტანა[5]. საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ – „გლეხობის მეტი ნაწილი უპურობის გამო შიმშილობას განიცდის. აქაური გლეხობა ყოველთვის იყო მომხმარებელი პურისა ჩრდილოეთ კავკასიიდან. წელს კოპერაციამ გადაგვარებულ ხელმძღვანელობის წყალობით ვერ აიღო სწორი ხაზი პატიოსან ჩამბარებელ გლეხების მოსამარაგებლად, შეიკრა ჭირნახულის გამოსატანი გზები ლარსისა და დარიალის ხეობასთან და გლეხობა ჩავარდა აუტანელ მდგომარეობაში. ჩრ. ოსეთის მთავრობას ლარსთან აქვს ორი საყარაულო პუნქტი და ერთი დარიალის ხეობაში. ისინი მეთვალყურეობენ ჭირნახუ-

1 ვ. ითონიშვილი, დასახ. მნაშრომი გვ. 37.

2 სეა, ფ 284, აღ. 1, საქ №46, ფურც. 35.

3 ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები სეა, ფ. 284 საქმე, 1942, ფურც. 14.

4 ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, სეა, ფ. 284 საქმე, 1942 ფურც. 14.

5 ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, სეა, ფ. 284 საქმე, 1942 ფურც. 21.

ლის გადმოტანას"[1]. ბუნებრივია, ამგვარმა მდგომარეობამ თერგის ზემო წელის მოსახლეობაში გააღვივა მისწრაფება ჩრდილო კავკასიისაკენ.

თრუსოს ისევე როგორც თერგის ზემო წელის სხვა სოფლების მიწათმოქმედებაში ამ დროისათვის წამყვანი როლი უკვე კარტოფილს ეჭირა. ტრადიციულმა სამეურნეო სისტემამ XIX საუკუნის მიწურულს კარტოფილის კულტურის გავრცელებით და სხვა სასოფლო კულტურების შემცირებით გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. უკვე XX საუკუნის პირველ მეოთხედში კარტოფილმა აქაური სახნავ-სათესი მიწების ძირითადი ნაწილი დაიჭირა. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხევისა და თრუსოს მესაქონლეობაში მოხდა. ამ დროისათვის დასრულდა კავკასიის ომები და ჩრდილოკავკასიის ზამთრის საძოვრები ხელმისაწვდომი გახდა, რამაც წვრილფეხა მესაქონლეობის (მეცხვარეობის) პერსპექტივა შეუდარებლად გაზარდა. მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ხევისა და თრუსოს მოსახლეობამ ფართოდ აითვისა ჩაჩნეთისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრები სადაც ცხვარს ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე ამყოფებდნენ. ამასთან, კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობით განვითარების გამო, მეცხვარეობა ვიწრო შინამოხმარების ჩარჩოებიდან გამოდიოდა და მისი ხვედრითი წილი ადგილობრივ ეკონომიკაში განუზომლად იზრდებოდა და მთელ სამეურნეო ინტერესებს იქვემდებარებდა[2].

ჩრდილოკავკასიის საძოვრებზე ცხვრის გარეკვა ოსებმაც დაიწყეს. ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გარეკვისას, პირველ წლებში, ისინი მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდნენ. როდესაც ცხვარი ყიზლარში გამოაზამთრეს, აღმოჩნდა რომ ბევრი პირუტყვი დაუავადდათ და დიდი ზარალიც ნახეს. ცხვრის ავადმყოფობის მიზეზად ადგილობრივები თვლიან იმას, რომ უფრო თხელმატყლიანი ოსური ჯიშის ცხვარი სიცივეში, ღია საძოვარზე, უფრო ადვილად ავადდებოდა. ამის შემდეგ თრუსოელ ოსებს თუშური ჯიშის ცხვრის მოშენება დაუწყიათ და ზოგჯერ ერთ ცხვარში ორ ცხვარსაც ცვლიდნენ. ოსების მეცხოველეობის პროდუქტების შემსყიდველი ძირითადი პუნქტი XX საუკუნის 30-იან წლებამდე ფასანაური ყოფილა[3].

საბჭოთა ხელსუფლების დამყარების შემდეგ თრუსოს მცხოვრებთა საარსებო გარემო რადიკალურად შეცვალა XX საუკუნის 30-იან წლებში გატარებულმა სოფლის კოლექტივიზაციამ. კერძო პირებს ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონლი ჩამოართვეს და საკოლმეურნეო ფერმებში გააერთიანეს და მთის ფერდობებზე შეფენილი ტერასები არარენტაბელურად მიიჩნიეს და მთლიანად სათიბებად აქციეს. ამიერიდან ხვნა-თესვა მხოლოდ ქვედა ზოლში განლაგებულ ნაკვეთებში წარმოებდა. ასეთი მიწის ნაკვეთები შედარებით მოსახერხებელი იყო ტრაქტორით დამუშავებისათვის. კოლმეურნეობების საშუალებით ზღუდავდა როგორც ტრადიციული მარტივი შრომის იარაღების გამოყენებას, ისე ინდივიდუალურ მეურნეთა აქტივობას. საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი დაიწყო სხვადასხვა ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების ჩამოყალიბებით,

1 ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, სეა, ფ. 284 საქმე, 1942 ფურც. 20.

2 გ.ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. 22-II, თბილისი, 1961, გვ. 201-202.

3 გ.ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. 22-II, თბილისი, 1961, გვ. 229.

როგორიც იყო: „თერგის ხევის მერძევე-მესაქონლეობის რაიონის კავშირი“, „მატყლის კავშირი“, „ხევის რაიონის აგროპუნქტი“, „მერძევეთა კოლექტივი“[1].

თრუსოს მოსახლეობა შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებოდა საქონლისა და მიწების არტელებში გაერთიანები პროცესს და ამისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებსაც კი იყენებდა. მაგალითად 1931 წლის თრუსოს საბჭოს მიმართავაში ყაზბეგის რაიაღმსკომისადმი ნათქვამია; „მუშა საქონლის განსაზოგადოება არ შეიძლება, ცხვრის ფარა ყიზლარშია და არც ძროხების გაერთიანება შეიძლებაო.“ ასე რომ, საბჭოს აზრით არტელის დაარსება თრუსოს ხეობაში ზედმეტია[2]. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად მოსახლეობის უმეტესობა არტელებში გაართიანეს და ხორცზე, მატყლზე, რძის პროდუქტებზე გეგმები დაუწესეს. ცალკე გამოყვეს შეძლებული მეურნეები, კულაკები, მათ შედარებით მაღალი გამოსაღები დაუწესეს[3], შეუზღუდეს სამოქალაქო უფლებები[4], მოგვიანებით კი ნაწილი დააპატიმრეს.

მთლიანად მოიშალა ტრადიციული სავაჭრო სისტემა, თუ ადრე ოსები, როგორც კერძო პირები, მეცხოველეობის პროდუქტს საქართველოში (ძირითადად ფასანაურში) ასაღებდნენ, ამიერიდან მას სახელმწიფო იბარებდა. ამასთანავე, შემცირდა სამეურნეო კონტაქტები ოსებსა და მოხევეებს შორის. კომპაქტურად დასახლებულ ოსურ სოფლებში საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაბმული რიგითი ადამიანებიც და ხელმძღვანელობაც ადგილობრივი ოსები იყვნენ, მათ აღარ ჰქონდათ მეზობელ ქართველებთან წინანდებურად ხშირი ურთიერთობა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში პრობლემები შეიქმნა ზამთრის საძოვრებზე. ჩრდილოკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ შეეზღუდათ საქართველოდან ზამთრის საძოვრაზე საქონლის გადარეკვის მასშტაბი. „თერგის ხევის“ მეცხვარეთა მიერ დაღესტნის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი მიმოწერაში, დაღესტნის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის თაობაზე, ნათქვამია რომ ბოლო წლებში დაღესტნის ნარკომატის მიერ გატარებული ზოგიერთი ღონისძიება დამღუპველად მოქმედებს მეცხვარეობის მდგომარეობასა და განვითარებაზე. კერძოდ, ქართველ მეცხვარეებს ართმევენ საძოვრებს სადაც მოწყობილი ჰქონდათ თბილი ფარეხები (კუთანი), რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულად ითვლებოდა. ასე მაგ. 1924 წ. ყიზლარში თერგისპირა ნაკვეთები ჩამოართვეს, რომლითაც ისინი ათეულობით წელი სარგებლობდნენ. ამასთან, აღსანიშნავია რომ, თავის დროზე, როდესაც სარგებლობაში აძლევდნენ ადგილობრივი ორგანოები დაპირებას იძლეოდნენ, ეს საძოვრები დიდი ხნით დაგრჩებათო და ურჩევდნენ კუთანები მოეწყოთ. მეცხვარეები ენდნენ მათ დაპირებას, ძვირადღირებული კუთანები გააკეთეს, საგანგებოდ დაიქირავეს პირები, რომელთაც მათთვის ზაფხულობით ყურადღება უნდა მიექციათ.

1 ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 72-83,

2 სეა, ფ. 284, საქმე, 1942, ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, 9/06/1931-3/12/1932, ფურც. 14.

3 სეა, ფ. 284, საქმე, 1942, ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, 9/06/1931-3/12/1932, ფურც. 18-19.

4 სეა, ფ. 284, საქმე, 1942, ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, 9/06/1931-3/12/1932 დააკმაყოფილეს თრუსოს საბჭოში მცხოვრებ სოლომონ კასიევის განცხადება, მისი კულაკებიდან საშუალო ფენაში გადარიცხვისა და საარჩევნო ხმის აღდგენის თხოვნით. ფურც. 41.

თითოეული კუთანის დარაჯობისათვის 8-10 ცხვარს აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ნაკვეთები (თალოვის, ჩერნორიკოვის, და ყარანოღაის ნაწილი) მათ 1926 წელს ჩამოართვეს და გაწეული ხარჯი დაიკარგა. ამასთან, მოკლევადიან სარგებლობაში, ერთწლიანი ვადით, საძოვრის გადაცამა არ უზრუნველყოფს დანახარჯის ანაზღაურებას და და შეიძლება გახდეს მეურნეობის ამ საკმაოდ ღირებული დარგის განვითარების შეფერხების და მასზე გულის აცრუების მიზეზი. მოგვიანებით საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძემ იგივე საკითხზე უშუალოდ დაღესტნის სს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს სამურსკისაც მიმართა[1].

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს მეცხვარეებს შორის წარმოშობილი დავების მოსაგვარებლად საგანგებო მანდატით აღჭურვილი წარმომადგენლები მიევლინა ადგილებზე. ყიზლარში მოლაპარაკების საწარმოებელი მანდატი მისცეს ვ. ბოცვაძეს, ხოლო ჩაჩნეთის გალაჯის ოლქსა და ხევსურებს შორის დავის მოსაგვარებლად გააგზავნეს მ. ბურძენიძე. ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელშიც შედიოდნენ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები. კომისიას უნდა განესაზღვრა ქართველების მიერ გაწეული ხარჯები ყიზლარის საძოვრებზე და აენაზღაურებინა იგი ქართული მხარისათვის[2].

სსრკში საკოლმეურნეო მოძრაობა მეტად მტკივნეულად წაროიმართა. მარქსისტული იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები გულისხმობდა კომუნისტური გადატრიალების შემდეგ მიწის კერძო მესაკუთრე ღარიბი გლეხობა „მიწის მუშა გამხდარიყო“ და კოლექტიურ კოლმეურნეობაში გაწევრიანებულებს საერთო დოვლათის შექმნაში ქალაქის პროლეტარიატის მსგავსად მიეღო მონაწილეობა. სწორედ ამიტომ, ოქტომბრის გადატრიალების პირველ წლებში ლ. ტროცკის ინიციატივით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში იქმნებოდა „შრომითი არმიები“, რათა წარმოება მთლიანად გადასულიყო კოლექტივისტურ საფუძვლებზე და ტოტალური განზოგადება მომხდარიყო. მაგრამ სოფლად მზარდი უკმაყოფილების ტალღამ საბჭოთა ხელისუფლება აიძულა კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზევე წასულიყო კომპრომისზე და კოლმეურნე გლეხებს მცირეოდენი პირუტყვი და საკარმიდამო ნაკვეთები დაუტოვეს. ამგვარი დათმობა გარკვეულ შეღავათს აძლევდა სამხრეთის ნაყოფიერ მიწებზე, მცხოვრებ გლეხებს, მაგრამ ფაქტიურად არაფრის მომტანი იყო იმ რეგიონის მოსახლეობისათვის სადაც მცირე საკარმიდამო ნაკვეთზე მნიშვნელოვანი მოსავლის მოწვევა შეუძლებელი იყო[3]. უფრო რთული მდგომარეობა იყო იქ, სადაც მესაქონლეობა წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს. ყაზბეგის რეგიონში კოლმეურნე გლეხს პირად სარგებლობაში 2500 მ2 საკარმიდამო მიწა დაუტოვეს და ნება მისცე 40 დედა ცხვარი და 5 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი დაეტოვებინა, რამაც დიდი ოჯახების დაშლის პროცესს არნახული ბიძგი

1 საქართველოს მცხოვრებთა მიერ დაღესტნის რესპუბლიკის საძოვრებით სარგებლობის შესახებ 1927 წ. 28/2 დან 17/ 9-მდე. სეა, ფონდი 284, საქმე, 420, ფურც. 17-18.

2 საქართველოს მცხოვრებთა მიერ დაღესტნის რესპუბლიკის საძოვრებით სარგებლობის შესახებ 1927 წ. 28/2 დან 17/ 9-მდე (1926 წ. 27 ნოემბერი). სეა, ფონდი 284, საქმე 420, ფურც. 28-33.

3 ა. დაუშვილი, კოლმეურნეობა საქართველოში, წიგნი I, თბ., 2020, გვ. 298-299.

მისცა.ზედმეტი ნაკვეთის დაუფლებისა და საქონლის შენარჩუნების მიზნით უმრავლესობა ოჯახის გაყრის გზას დაადგა[1].

XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცალა საკოლმეურნეო საქმიანობის ორგანიზება. შემოიღეს მიწის ნაკვეთებისა და საქონლის გაპიროვნების წესი. შედეგად საკმაოდ გაიზარდა საკოლმეურნეო საქონლის ოდენობა. ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში 1970-80-იან წლებში დაახლოებით 130-140 ათასი ცხვარი და თხა ჰყავდათ[2]. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან პირუტყვის რაოდენობა იმ სოფლებში სადაც მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ ერთგავრ წარმოდგენს გვიქმნის იქ მაცხოვრებელთა რიცხვზეც. ცალკეულ მწყემსს ყაზბეგის რეგიონში 1500-2000 ცხვარს უპიროვნებდნენ.[3] მართალია, სოფ. კობის კოლმეურნეობა, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის თრუსოს ხეობის სოფლებიც შედიოდა ცხვრის ფარების სიმრავლით გამოირჩეოდა, რეგიონში ერთ-ერთ ეკონომიურად მძლავრ სასოფლო-სამეურნეო არტელად ითვლებოდა და 30.000 სულამდე ცხვარი და თხა ჰყავდა,[4] მაგრამ თუ გაპიროვნების ზემოხსენებულ წესს გავითვალისწინებთ ამ ოდენობის პირუტყვის მოვლა-პატრონობით სულ 15-20 ოჯახი იყო დასაქმებული.

სოციოპოლიტიკური ტრანსფომაციის კვალობაზე ცვლილებებს განიცდიდა საცხოვრებელი ნაგებობები და დასხლების ტიპიც. მოგზაურთა ცნობების თანახმად ოსების დასახლებები, ძირითადად, კარგი მდებარეობით გამოირჩეოდა, სახლები ნაწილობრივ მიწის, ნაწილობრივ ქვის კედლებით იყო აგებული, შიდა ინტერიერი ბნელი, ცარიელი და უსიამოვნო. წინამძღვრები და კეთილშობილები თავიანთ სახლებს მაღალი ქვის კედელს არტყავდნენ, რომელის თითოეულ კუთხეში პატარა სადარაჯო ნაგებობები იყო აგებული. კედლის ზედა ნაწილზე გრძელ მარგილებზე ცხენის თავები ძვლები იყო დამაგრებული. აქვე ეწყო ქვის ლოდები, რომლებსაც მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად იყენებდნენ, თუმცა ამ ქვებით ხშირად ზიანდებოდა სახლის პატრონი, ჯალაბი და პირუტყვი. ღობის შიგნით 10-12 მტკაველის სიგანის ქვის გროვები, ცხენის და სხვა ცხოველების ძვლები ისე იყო განთავსებული, რომ სახლისაკენ მხოლოდ ვიწრო ბილიკი რჩებოდა, რომელზე გავლა ცხენითაც და ფეხითაც გაჭირვებით შეიძლებოდა[5].

ნასოფლარებზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისი მდებარეობითა და ნაგებობების ესპლოატაციის ხასიათით თრუსოს ხეობის სოფლების შენობები და დასახლების ტიპი შეესაბამებოდა უფრო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ყოფას. ამგვარ დასახლებას თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთ სივრცეში ადამიანების მოზრდილ ჯგუფი, დიდ გაერთიანებებად ცხოვრობდა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით

1 ვ. ითონიშვილი, გვ. 57.

2 გაზ. „დარიალი“, 1989 წ. 19 იანვარი.

3 გაზ. „დარიალი“, 1989, 24 იანვარი; გაზ. „დარიალი“, 1989, 26. იანვარი; გაზ. „დარიალი“, 1989, 2 თებერვალი.

4 გაზ. „დარიალი“, 1973, 22 ნოემბერი.

5 Рейнеггс Я. Общее Историко-Топографическое Описание Кавказа Осетины С.-Петербург, т.1, 796. http://drevlit.ru/docs/kavkaz/XVIII/1760-1780/Reineggs/text2.php?fbclid= IwAR3 IijqjssuWpmTXkRwOEq4uOtZfz MwericgP6tdIJVTd4wqK59LkrrbMeI

კმაყოფილდებოდა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან შეცვლილი სოციოკულტურული მოთხოვნებისათვის ამგვარი დასახლება სრულიად გამოუსადეგარი იყო. ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრება მოითხოვდა გამოცალკევებულ საცხოვრებელ ნაგებობს. რაც სოფლის ახლებურად განვითარებას გულისხმობდა. ხეობაში სოფლების სივრცობრივი ზრდა ლანდშაფტისა და სამეურნეო გარემოს თავისებურებების გამო მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ზვავისაგან მიუწვდომელ ადგილებში მდინარის ხეობის მოშორებით განლაგებული ძველი დასახლებები კარგად იყო დაცული ერთის მხრივ მდინარის ადიდების, მეორე მხრივ კი ზვავსაშიშროებისაგან. ამ მხრივ ისტორიული ხევის სოფლებს განვითარების უკეთესი პერსპექტივა ჰქონდა.

თრუსოდან მიგრაციის მაღალი ტემპის გამო, ხეობას გვერდი აუქცია საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულმა ახალი ტიპის სახლების მასობრივმა მშენებლობებმა. ახალი შენობები მეტი კომფორტულობით, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების მკაფიო სეგმენტაციით და შიდამოწყობილობის განსხვავებული დაგეგმარებით გამოირჩეოდნენ. ამ პროცესს თან სდევდა დასახლების ფორმის გარკვეული ცვლილებაც. ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ, ეკონომიკური პროფილის თავისებურებებმა (მაგ. ანდეზიტის საბადოებმა) და საცხოვრებლის ირგვლივ საკარმიდამო ნაკვეთის გაჩენამ, განაპირობა გორიდან ჩამოვაკების და სოფლის სივრცული განფენილობის ზრდის ტენდენცია. ვ. ითონიშვილი განიხილავს სოფელ სიონის მაგალითს, რომელსაც გასული საუკუნის 60-იან წლებში უკვე ერთი კილომეტრის სიგრძის და ნახევარი კილომეტრის სიგანის ტერიტორია ეჭირა (ამჟამად მას ბევრად დიდი ტერიტორია უკავია), მაშინ როდესაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს სოფელი 0,5 ჰა ბორცვზე იყო დასახლებული[1].

თრუსოს ხეობაში, რომელიც ამჟამად მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან, ჩვენ მიერ დაფიქსირებული საცხოვრებელი, სამეურნეო, თავდაცვითი თუ საკულტო შენობები სრულ იდენტურობას ავლენს აღწერილ ანალოგიურ ტრადიციულ ნაგებობებთან. როგორც ვ. ითონიშვილი აღნიშნავს ახალი და ფასეული მოახალშენე ოსებს არაფერი შეუქმნიათ, აქ არსებული შენობა-ნაგებობები ფაქტიურად წანარულ-დვალური (და ამდენად ქართული) მატერიალური კულტურის ძეგლებია, რომელიც ჩამოსახლებულ ოსებს აქ დახვდათ[2]. ტრადიციული საცხოვრებელი ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, სახლის მშენებლობა კი საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდებოდა, რაც გადასახლების ერთგვარ წინაპირობას ქმნიდა. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ნაკლები პერსპექტივა უბიძგებდა ადამიანებს სამუშაო და საცხოვრებელი ჩრდილოეთ ოსეთში ეძებნათ. მიგრაციის მაღალი ინტენსიურობის გამო, რა თქმა უნდა, თრუსოში სახლის გაყიდვა შედარებით რთული იყო. მას მხოლოდ ადგილობრივი ოსი თუ შეიძენდა. ამიტომ სხვაგან გადასვლა ოჯახს გარკვეულ მატერიალურ ზარალსაც აყენებდა. თრუსოში დღემდეა შემორჩენილი შენობა-ნაგებობები, რომელთაც მხოლოდ მცირეოდენი მოდიფიკაცია განიცადეს (მაგ. გადახურულია თუნუქის სახურავით, აქვს ფანჯრები და ა.შ.). ხევის სოფლებისაგან განსხვავებით არ განხორციელდა თრუსოს გაზიფიკაცია. ეს კი ხე-ტყით ღარიბ ხეობაში კიდევ უფრო

1 ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 66-75.

2 ვ. ითონიშვილი, მოხევეების ყოფა ცხოვრება, თბ., 2015, გვ. 132.

აძლიერებდა სურვილს საყოფაცხოვრებო პირობები გაეუმჯობესებინათ. შეიძლება ითქვას, რომ ორჯონიკიძეში კომფორტულად მოწყობის შესაძლებლობა თრუსოს ხეობის მცხოვრებლებისათვის გადასახლების მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენდა

XX საუკუნის 20-იან წლებში ყაზბეგის რაიონში მწვავედ იდგა განათლების პრობლემა. მთის რთული რელიეფი. მკაცრი ბუნებრივი გარემო, უგზოობა აფერხებდა სკოლების მშენებლობას. 1932 წლისათვის აქ 34 სკოლა ფუნქციონირებდა, თუმცა საკუთარი შენობა აქედან მხოლოდ 5 სკოლას ჰქონდა და ისიც მხოლოდ ორი აკმაყოფილებდა მწეტ-ნაკლებად მოთხოვნებს. თრუსოს ცალკეულ სოფლებში მართალია, სკოლები გახსნეს მაგრამ შენობას, როგორც წესი,. გლეხობისაგან ქირაობდნენ და სრულიად შეუსაბამო იყო სასწავლებლისათვის, როგორც ფართობისა და საკლასო ოთახების მოწყობის, ასევე ჰიგიენური თვალსაზრისითაც. ამ გარემოების გათვალისწინებით გადაწყდა დაჩქრებულად დაესრულებინათ სასწავლებლის მშენებლობა კობში, სადაც ნახევრადდასრულებული მშენებარე ნაგებობა სამი ხეობის ოსური სოფლების, სამი საბჭოს 12 ოთხწლედს ემსახურებოდა. საქ. სახკომ საბჭოს ზემოხსენებულ სკოლისათვის 1932 წელში უნდა მიეცა 123495 მან. რათა შესაძლებელი გამხდარიყო მისი მშენებლობის მომავალი სასწავლო წლისათვის დამთავრება....ასევე, თრუსოს სასოფლო საბჭოში იმ ხანებში სასწავლო დაწესებულებებისათვის მშენებლობა მიმდინარეობდა სოფ აბანოში (ოთხწლედის შენობის გადაკეთება) სოფ რესში და ტეპში (ოთხწლედის შენობის დამთავრება)[1].

სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო გარემოს ცვლილებებს თან სდევდა ეთნოსოციალური ურთიერთობების, დასახლების ფორმების და შენობა-ნაგებობების ტრანსფორმაცია, იცვლებოდა თემის, სოფლის მკვიდრთა და ოჯახის წევრათა ურთირთდამოკიდებულების წესი, სამეურნეო რესურსებზე წვდომა და შემოსავალი, ჩნდებოდა ახალი მოთხოვნილებები ცხოვრების პირობებზე, რაც აისახებოდა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის დინამიკაზეც.

1944 წლიდან ოსთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებისა და თრუსოს დაცარიელების ფონზე უფრო თვალშისაცემი გახდა ხეობის სამეურნეო ტრანსფორმაციის პროცესი. 80-იან წლებში აქ მუდმივად რამდენიმე მოხუცილა ცხოვრობდა და ჩრდილო ოსეთიდან შემოტანილი პროდუქციით საზრდოობდა. სოფლების სანახებში კოლმეურნეობის ფარებს აძოვებდნენ, ზაფხულობით კი მწყემსების გარდა – მოაგარეკე ოსებსაც შეხვდებოდით. ამ დროისათვის ხეობაში მიწათმოქმედების ტრადიციული დარგები თითქმის მთლიანად იყო გამქრალი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღებამ და სასაზღვრო მიმოსვლის გამკაცრებამ შეუძლებელი გახადა ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცვლეობა ორ სახელმწიფოს შორის. იმავდროულად, თერგის ზემო წელი თითქმის მთლიანად დაიცალა ოსი მოსახლეობისაგან, რასაც დაერთო კონფლიქტის პროვოცირება შიდა ქართლში. ამ სიტუაციაში ერთხანს რეგიონში ოსურ-ქართული სამეურნეო ურთიერთობის ახალი შესაძლებლობა გამოიკვეთა. კერძოდ, ყაზბეგის რაიონის სოფლებში მანამდე არნახული მასშტაბი შეიძინა სასათბურე მეურნეობებმა, რადგან ხევის

1 სეა, ფ. 284, საქმე, 1942, ყაზბეგის რაიაღმასკომის სხდომის ოქმები, 9/06/1931-3/12/1932, ფურც. 49-51.

მოსახლეობა ბუნებრივი საწვავის გადასახადს არ იხდიდა. რეგიონიდან წასული ოსები პროდუქციის ძირითად დისტრიბუტორებად იქცნენ, გაჰქონდათ სათბურებში მოწვეული კიტრი და პომიდორი, შემოჰქონდათ პირველადი მოხმარების საქონელი. ამგვარი ვითარება გაგრძელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ბუნებრივ საწვავზე ლიმიტის დაწესებამდე, როდესაც სასათბურე მოურნეობები მოიშალა და რუსეთთან ტვირთბრუნვაზე კონტროლი კი გამკაცრდა.

კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ საკოლმეურნეო ცხვრის ფარები ცალკეულ მესაქონლეთა საკუთრებაში აღმოჩნდა. ამ პირობებში საძოვრებით მდიდარი თრუსო ხევის მეცხვარეებისათვის საკმაოდ მიმზიდველი იყო. პირველ ხანებში ისინი ნაცნობი ოსების საცხოვრებელში, სახლის მეპატრონის თანხმობით ბინავდებოდნენ და ცხვრის ფარებს აძოვებდნენ. მართალია, ხევისა და თრუსოს საძოვრები ზაფხულობით დიდი ოდენობის პირუტყვის გამოკვების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ზამთარში ბევრი საქონლის გამოკვება ძალიან ძნელი იყო, ბაგურ კვებაზე მხოლოდ მცირეოდენი ცხვრის შენახვა იყო შესაძლებელი. მოხევეები იძულებული გახდნენ ზამთრის საძოვრები საქართველოს ბარში ეძებნათ, გამოიკვეთა სამეურნეო კონტაქტების ახალი მიმართულება ყაზბეგის რეგიონსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარს შორის. ჩვენმა ესპედიციამ დააფიქსირა შემთხვევა, როდესაც სნოს ხეობიდან ცხვარი კახეთში აზერბაიჯანლებთან ჰყავდათ გაბარებული. ოსების დაბრუნების პერსპექტივის შემცირებასთან ერთად იზრდებოდა თრუსოს საზაფხულო საძოვრებად გამოყენების მსურველთა რიცხვი. მოხევეებთან ერთად ზაფხულობით ხეობის სამწყემსურად გამოყენება დაიწყეს საქართველოს ბარის მკვიდრმა ქართველმა და აზერბაიჯანელმა მესაქონლეებმა. ისინი ოსების მიტოვებულ სოფლებში შედარებით საღად შემორჩენილ საცხოვრებლებში ბინავდებიან და იქვე აწყობენ პირუტყვის სადგომებს. განსაკუთრებით მრავლად არიან აზერბაიჯანელი მწყემსები. აზერბაიჯანელი მეცხვარეები, ძირითადად იორ-მუღანლოდან, თითქმის თრუსოს ყველა სოფელში გვხვდებიან.

ამრიგად, სოციოპოლიტიკურმა კატაკლიზმებმა თრუსოს სამეურნეო გარემოს რადიკალური ცვლილება გამოიწვია. კოლექტივიზაციის და ხეობის გაუკაცრიელების კვალდაკვალ მიწათმოქმედების ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა, სავარგულების ხარჯზე კი იზრდებოდა საძოვრების ფართობი. თრუსოს ხეობას ამჟამად საძოვრად იყენებენ როგორც მოხევეები, ასევე საქართველოს ბარიდან ამოსული მესაქონლეები.

თრუსოს მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთში

(XX საუკუნის 40-იანი წლები – XXI საუკუნის დასაწყისი)

ლავრენტი ჯანიაშვილი

თერგის ზემო წელიდან (ამჟამინდელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) ჩრდილოეთ ოსეთში მიგრირებული ოსები და მათგან დაცლილი ადგილები უკანასკნელ წლებში ოსური//რუსული საინფორმაციო საშუალებების განხილვის საგნად იქცა. მათ ეს ტერიტორია „ისტორიულ აღმოსავლეთ ოსეთად" გამოაცხადეს და გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დროა იგი „ოსურ სახელმწიფოს" დაუბრუნდეს[1]. საკითხს კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შესძინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივის გაურკვევლობამ, რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის ჩიხურმა მდგომარეობამ, ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე პროვოკაციებმა, სოფ. კობიდან გუდაურისკენ ახალი საბაგირო გზის მშენებლობამ და ა.შ.

რუსულ ანალიტიკურ წრეებში აღარ მალავენ, რომ იგეგმება ოსური სეპარატიზმის გამოყენება სამხრეთ კავკასიაში კრემლის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის[2]. ამ გეგმის თანახმად ახალი გეოპოლიტიკური რეალობა ე.წ. მესამე რუსული შეტევა კავკასიის მიმართულებით საქართველოს დაშლის და მისი ტერიტორიის დიდი ნაწილის (რაჭის, შიდა ქართლის ჩრდილოეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და ე.წ. თრიალეთის ოსეთის) „ერთიან ოსურ სახელმწიფოში" შეყვანით უნდა დასრულდეს. რუსეთი შეძლებს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალით უშუალოდ დაუკავშირდეს სომხეთს და ბათუმის პორტს, ასევე მნიშვნელოვნად გაზარდოს სამხედრო მობილობა სამხრეთის მიმართულებით[3].

---

1 С. Козаев, Отрезанная от дома Восточная Осетия: вернуть нельзя забыть… газета «Южная Осетия», internet versia - 24.08.2017 14:52, http://www.nykhas.ru/340439/ otrezannaya-ot-doma-vostochnaya-osetiya-v/; С.Остаев Восточная Алания. Никто не забыт, ничто не забыто, internet versia _ 11-02-2019, 12:05, https://respublikarso.org/ analytics/2416-vostochnaya-alaniya-nikto-ne-zabyt-nichto-ne-zabyto.html; Восточная Осетия: дискриминация осетин продолжается, газета «Южная Осетия» (Главная), internet versia - 12.09.2018 |19:45 https://ugo-osetia.ru/obshhestvo/vostochnaya-osetiya-diskriminatsiya-osetin-prodolzhaetsya; Медоев прокомментировал проблему Восточной Осетии, которая была «отторгнута большевиками в ходе создания Юго-Осетинской автономии» ЮЖНАЯ ОСЕТИЯ, internet versia 13:08 30.01.2019, https://sputnik-ossetia.ru/ South Ossetia /20190130/7992449/Glava-MID-Yuzhnoy-Osetii-rano-ili-pozdno-my-vernem-zemli-Vostoch noy-Osetii.html, https://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20190130/7992449/Glava-MID-Yuzhnoy-Osetii-rano-ili-pozdno-my-vernem-zemli-Vostochnoy-Osetii.html da a.S

2 Амелина Яна (начальник Сектора кавказских исследований РИСИ), Южная Осетия: через войну и признание — к Евразийскому союзу. wignSi Чернов М. Рождение большой мечты, Центр стратегической конъюнктуры М. 2013. С.5-6.

3 Чернов М. Осетия Рождение большой мечты, Москва Центр стратегической конъюнктуры 2013. с. 9-13.

ხსენებული ანალიტიკოსები ყაზბეგის რეგიონს, სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ცდილობენ ამ ტერიტორიის საქართველოსთვის წაგლეჯა და „ერთიანი ოსური სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანა“, ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მონათლონ[1]. თრუსო, კობი და ღუდა გამოაცხადეს ოსი ეთნოსის ფორმირების ერთ-ერთ კერად, რომელიც თითქოს 1922 წლამდე „სამხრეთ ოსეთის განუყოფელ ტერიტორიას“ წარმოადგენდა. სადაც მათი თქმით მდებარეობს ოსური ტრიპოსტატსის მნიშვნელოვანი სიწმინდე „თარანჯელოსის“ («Таранджелос») /ქართ. მთავარანგელოზის ლ.ჯ./ სალოცავი, მდ. სუატისის მარჯვენა ნაპრზე აღმოჩენილი წარწერა მიიჩნიეს უძველეს (1326 წ.?) ალანურ წარწერად, ოსებს მიაკუთნეს მატერიალური კულტურის ძეგლები, ტოპონიმიკა და ა.შ[2]. მართალია, ოსი ეთნოგრაფი ბ. კალოევი თრუსოში მიმდინარე ეთნიკური პროცესების აღწერისას ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდა და წერდა, რომ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით თანამედროვე ოსების წინაპრები იქ მონგოლებისშემდგომ პერიოდში გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ ოსეთის რაიონებიდან, მაგრამ სწორედ მან დაუდო სათავე თეორიას, რომ ეს რეგიონი ცენტრალური ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილია, სადაც ალან-ოსების წინაპრები მონღოლთა შემოსევამდეც ცხოვრობდნენ, ხოლო თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ მათ სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს[3].

პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენით ზოგმა თანამედროვე ავტორმა თრუსოსა და ღუდას ოსური მოსახლეობისაგან დაცლა უპირობოდ დაუკავშირა ქართული ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც მათ თანახმად, ხანგრძლივად და მიზანმიმართულად ცდილობდა ოსთა გამოძევებას „აღმოსავლეთ ოსეთის ისტორიული მიწებიდან“. ისინი წერენ, რომ ქართულმა ხელისუფლებამ ეს ტერიტორია იძულებით შეუერთა ყაზბეგისა და დუშეთის რაიონებს. ოსური მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთის ალანიის რესპუბლიკაში განდევნის მიზნით კი ანხორციელებდა მათ დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით, საკუთრების უფლების უხეშ დარღვევებსა და ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელოვნურ დამუხრუჭებას. 2018 წელს ცხინვალში გამართული ოსების X სახალხო ყრილობის მიმართვაში ნათქვამია, რომ ქართველები ბარბაროსულად ანადგურებენ ოსურ ისტორულ-არქიტექტურულ ძეგლებს აღმოსავლეთ ოსეთში, იტაცებენ ოსთა საკუთრებას, ანგრევენ ან ისაკუთრებენ საცხოვრებლებს, ბილწავენ საფლავებს. ნეგატიური განწყობის გამძაფრების მიზნით ეს ავტორები არ ერიდებიან ოფიციალური სტატისტიკის გაყალბებასაც. წერენ თითქოს 1989 წლისათვის ყაზბეგის რაიონში 4969 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 2002 წლისათვის მათი ოდენობა 189-მდე შემცირდა[4].

---

1 Остаев С., Восточная Алания. Никто не забыт, ничто не забыто, internet versia – 11-02-2019, 12:05, https://respublikarso.org/analytics/2416-vostochnaya-alaniya-nikto-ne-zabyt-nichto-ne - zabyto.html

2 Грузинские миражи или осетинские реалии, internet versia – 24/07/2015-11:37, http://cominf.org/node/1166505685; Калоев Б., Осетины, М., 1967, с. 53

3 Калоев Б., Осетины, М., 1967, с. 53.

4 Восточная Осетия: дискриминация осетин продолжается, internet versia – 12.09.2018 | 19:45, https://ugo-osetia.ru/obshhestvo/vostochnaya-osetiya-diskriminatsiya-osetin-prodolz ha etsya (შედარებისათვის იხ. Каберты Н. Г. Динамика численности и расселения осетин в грузии между переписями населения 1989 И 2002 годов. Известия СОИГСИ 9 (48) გვ. 96, ყაზბეგის რაიონის ოსი ეროვნების მოსახლეობა 1989 წლის აღწერის მიხედვით შედაგენდა – 445 სულს, 2002 წლისთვის კი 89 ადამიანს).

ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ბ. კალოევი მიიჩნევდა, რომ თერგის ზემო წელზე (დღევანდელი თრუსო) ოსების ცხოვრების ისტორია დაახლოებით 250-300 წელს ითვლის[1]. გვიან შუა საუკუნეებში (XVII საუკუნიდან) თრუსო ქართული მოდგმის დვალებისა და ოსური ჯგუფების ინტენსიური ურთიერთობის ადგილს წარმოადგენდა. ოსების გამოჩენამდე აქ ძირითადად დვალები ცხოვრობდნენ, რომლებმაც თავის დროზე წანარები ჩაანაცვლეს. დვალებმა ოსთა მოწოლის შედეგად თანდათანობით ქვემოთ ჩამოინაცვლეს[2]. ხევში ჩაწერილი გადმოცემით, თერგის სათავეში მცხოვრები ხალხი, შედარებით გვიან მოსულმა ოსებმა „ჯოხებით გადალალეს“[3]. ანალოგიური მასალის ჩაწერა ჩვენც მოვახერხეთ. სოფ. კობში. აქ მცხოვრებ ოსებში კარგადაა შემორჩენილი გადმოცემები მათი წინაპრების რეგიონში დამკვიდრების, ცალკეული გვარების სხვადასხვა სოფლებში განსახლების და მათ ჩამოსხლებამდე აქ სხვა ხალხის ცხოვრების შესახებ. ამ მოვლენების შესახებ საინტერესო მასალას იძლევა, ასევე, ხევის მოსახლეობის გვარსახელების ანალიზი[4].

ოსთა საარსებო სივრცის გაფართოებას წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივი ქართული სოციალური სისტემა ტერიტორიული თემის სახით, ამ წინააღმდეგობის დათრგუნვის მიზნით ოსები რეგიონში გაბატონებისათვის მებრძოლ არაგვის ერისთავთა ფეოდალურ სახლს მიემხრნენ[5]. მოგვიანებით თრუსოელი ოსები სრულფასოვნად ჩაერთნენ რეგიონის ცხოვრებაში და ქართველ მთიელებთან ერთად მონაწილეობდნენ ცალკეული პრობლემების გადაჭრაში. 1732 წელს ოსები, მოხევეები და მთიულები თავდებად დაუდგნენ არაგვის ერისთავ ბარძიმს, რათა თურქებისაგან მომავალი საფრთხე აერიდებინათ[6]. 1743წ. მოსახლეობის აჯანყების შემდეგ არაგვის საერისთავო გაუქმდა და საუფლისწულოდ გამოცხადდა. იგი ჯერ ვახტანგ ერეკლეს ძის საუფლისწულო მამული იყო, შემდეგ – ლევან ბატონიშვილის, ხოლო XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან – ვახტანგ ბატონიშვილის. ბატონიშვილები თარხანთა კატეგორიის შექმნით ქვეშევრმდომების რიცხვის ზრდას ცდილობდნენ და ამ გზაზე არც თაგაურელი ოსების გადმოსახლებას ერიდებოდნენ. მაგალითად 1776 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა თაგაურელ ქუნდუხიშვილ თომას და მის შვილს იოანეს ქაიყუბად კობიაშვილისგან ორნახევარი საკომლო მამულის ნასყიდობა დაუმტკიცა. აღსანიშნავია, რომ თომა ერეკლე მეფის ნათლული ყოფილა, მისი შვილი კი ვახტანგ ბატონიშვილისა[7].

---

1 Калоев Б., Осетины, М., 1967, с. 53.

2 რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ. 50; ითონიშვილი ვახ. დვალები და დვალეთი, ტ. II, თბილისი, 2016, გვ. 86.

3 ვახ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ. 51.

4 რ. თოფჩიშვილი, მოხეური გვარსახელები, თბილისი, 1998; გ. ჯალაბაძე. მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 22-II, თბილისი 1961.

5 Гадиев С., Арагвинский Князь, Рассказы, Азау ,ინტერნეტ ვერსია _ http://biblio.darial-online.ru/text/Seka_Gadiev/stories_rus.shtml; ალ. ყაზბეგი. ხევისბერი გოჩა, თხზულებანი, თბილისი, 1985, გვ. 633-34; ლ. ჯანიაშვილი. ოსთა საკითხი ყაზბეგის რაიონში, თბ. 2017, გვ. 23.

6 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის უერთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 193-194.

7 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის უერთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 195.

საქართველოში რუსთა გაბატონების დროისათვის თერგისა და არაგვის ზემო წელის ოსური მოსახლეობა ქართულ სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზმში საკმაოდ ინტეგრირებული იყო და თავს ქართული პოლიტიკური ორგანიზმის წევრად მიიჩნევდა, რაც მკაფიოდ ჩანს XIX საუკუნის მწერლის. ოსური პროზის ფუძემდებლად სახელდებული სეკა გადიევის ნაწარმოებებში.

რუსეთის საქართველოში შემოსვლის შემდეგ ქვეყანაში დემოგრაფიული სურათი თანდათან მკვეთრად შეიცვალა; თრუსო ამ ნხრივ გამონაკლისი არ იყო. რუსეთის გაბატონობის შემდეგ, XIX საუკუნეში ოსური მოსახლეობა გაათმაგდა, რაც, სხვათა შორის, მეურნეობის რადიკალურ ცვლილებების შედეგად სასიცოცხლო რესურსების ბაზის გაზრდამაც განაპირობა[1].

რუსეთის იმპერიის გაბატონებისა და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში მიგრაციული პროცესები გააქტიურდა. ხშირად ეს ხელისუფლებისაგან დაგეგმილი იძულებითი პროცესი იყო, ზოგჯერ კი მთავრობის მიგრაციული პოლიტიკა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის ინტერესსაც ემთხვეოდა. 1921-1928 წლებში დვალეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში 21 ათასი ადამიანი გადავიდა[2]. 1944 წლიდან ჩრდილოეთისაკენ მასობრივი გადასახლება დაიწყო თრუსოს და ღუდას ოსურმა მოსახლეობამ, ისე რომ XX საუკუნის 80-იან წლებში ყაზბეგის რაიონში მხოლოდ 445 ოსი ცხოვრობდა[3].

ცნობილი ოსი ეთნოგრაფი ბ. კალოევი მიიჩნევს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩრდილო კავკასიის ველზე და სამხრეთ მთისწინეთში მთიელი ოსების ჩასახლებამ ოსთა ეროვნული განვითარებაში განსაკუთრებულად დადებითი როლი ითამაშა. (1921-1928წწ) გადასახლებულებმა სარგებლობაში მიიღეს კაზაკების ზედა ფენისათვის, ოსი და ქართველი ფეოდალებისათვის ჩამორთმეული მიწები მიიღეს.[4] სწორედ ამ პროცესის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა 1940-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა, როდესაც ოსები ჩრდილოეთ კავკასიიდან დეპორტირებული ინგუშების ნასახლარებზე დამკვიდრდნენ.

1944 წლის 7 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გააუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ მისი ტერიტორია გადაანაწილეს მეზობელ რესპუბლიკებს შორის საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს ითუმყალეს რაიონი მთლიანად, შაროის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩოჟის, გალაშკის და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილები, ასევე, ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. შემოერთებული ტერიტორიის ხარჯზე შეიქმნა საქართველოს სსრ-ს ახალხევის რაიონი, რომლის ფართობი დაახლოებით 2.000 კმ^2-ს შეადგენდა. იმავე წელს სა-

1 რ. თოფჩიშვილი, თრუსო – საქრთველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (თრუსოელები XVII საუკუნის შუა ხანებამდე და შემდეგ), თბ., 2019. გვ. 10-11.

2 Калоев Б., Осетины, М., 1967, с. 63.

3 Каберты Н. Г., Динамика численности и расселения осетин в грузии между переписями населения 1989 И 2002 годов. Известия СОИГСИ 9 (48) გვ. 96.

4 Калоев Б., Осетины, М., 1967, с. 63.

ქართველოსთვის გადაცემული ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი გიზელდონის რაიონის სამხრეთაღმოსავლეთი ნაწილი და გალაშკისა და პრიგოროდნის რაიონები დაუქვემდებარეს ყაზბეგის რაიონს. ამ შემთხვევაში მოხდა ის რომ საქართველოს დაუბრუნდა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია – 456.5 კმ² და აღსდგა საქართველოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო უფლებები[1].

სსრკ წლის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის თებერვლის დადგენილებით ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიის სტავროპოლის მხარის, დაღესტნის სსარ, ჩრდილო ოსეთის სსარ-ის და საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შეყვანასთან დაკავშირებით თითოეულ მათგანს დაევალა 1944 წლის 15 აპრილამდე გადაესახლებინა კოლმეურნეები დაცარიელებულ სოფლებში (მათ შორის საქართველოდან 500 კომლი). 1944 წლის 15 მარტამდე კი მათთვის გადაცემული რაიონები უნდა დაეკომპლექტებინათ ხელმძღვანელი კადრებით და უზრუნველეყოთ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება. ამასთანავე, მათვე დაევალათ ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რეპუბლიკის შემდგომი დასახლებისა და ათვისებისათვის შემდგომი ღონისძიებების შემუშავება[2].

საბჭოთა ხელისუფლებამ გადასახლების ხელშეწყობის მიზნით მსურველებს გარკვეული შეღავათებიც დაუწესა. კერძოდ, 1944 წლის 5 თებერვლის №2271 რს სსრკ სახკომსაბჭოს განკარგულების 1 პუნქტის ცვლილებით, დაევალა სსრკ სახკომხორცმრეწვს და სსრკ-ს მიწასახკომს ჩრდ კავკასიაში სპეცგადასახლებულთაგან მიღებული პირუტყვიდან საქართველოსათვის გადაეცა 5000 მსხვილფეხა საქონელი, 5000 ცხვარი და 500 ცხენი. გადაცემული საქონელი ჩაითვალა იმ შესასყიდ პირუტყვად, რომელიც განკუთვნილი იყო გერმანული ოკუპაციიდან განთავისუფლებუული კოლმეურნეობებისათვის სსკ სსრკ-ს 1943 წლის 15 დეკემბრის №1378 დადგენილებით. საქონლის ნაწილი, ცხენები, ხარები, ჯორები და სახედრები გადეცემათ კოლმეურნეობებს დამზადების ფასად 3 წლიანი გადახდის პირობით[3]. გადასახლებულებს გადაეცა სათესლე ხორბალი და კარტოფელი რათა ახალ კოლმეურნეობების საშემოდგომო თესვისათვის. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო ინვეტაარი და სხვა ქონება რომელიც ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ რაიონებში დარჩა ბალანსური ღირებულებით ან დაზღვევის ფასად გადაეცათ მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს. ასევე ამ ნაგებობების ნაწილი მათზე 5 წლიანი სოფსმეურნეო ბანკის ვალდებულებებით მისცეს კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს. 1944/45 წწ-ში ახლადშექმნილი კოლმეურნეობები

1 სსრკ-ს სახალხო კომისრთა საბჭოს 1944 წლის 9 მარტის №225-74 სს დადგენილება. ფ.600 ან 1 საქმე 6942, ფ. 76; ლუკიანოვიჩი ქ. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი, ნაშრომი შესრულებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2015 გვ. 69.

2 სსრკ-ს სახალხო კომისრთა საბჭოს 1944 წლის 9 მარტის №225-74 სს დადგენილება. მოსკოვი კრემლი, სეა ფ. 600 ან 1 საქმე 6942 ფურც. 76; რფსა ფონდი А-327, აღ. 1, საქ. 708, ფურც 61-65, წიგნში Патиев И. Ингуши, депортация возврашения реабилитация 1944-2004, документы материалы коментарий. Изд. “Сердало”, 2004 г. с. 109-110.

3 ფონდი 600, ან 1, საქმე 6942, ფურც 77.

და იქ ჩასახლებული კოლმეურნეები, გაანთავისუფლეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისა და ფულადი გადასახადებისაგან. კოლმეურნეებს უფლება მისცეს ნაკვეთი შეევსოთ კოლმეურნეთა საერთო მიწის ფონდიდან. გადასახლებულებს ჩასახლების ადგილებისაკენ რკინიგზით უფასოდ გადაადგილებულის და პირადი ქონების გადატანის ნება დართეს[1].

ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ახლადშეერთებული ინგუშური დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლის თხოვნით მიმართა რსსფრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. მოითხოვდნენ ინგუშური წარმომავლობის ტოპონიმების ცვლილებას ოსურ ან რუსულ ყაიდაზე.[2]

1944 წელს დაიწყო ყაზბეგის რეგიონის ოსური მოსახლეობის ჩრდილო კავკასიაში გადასახლება. ისინი ვლადიკავკაზის მიდამოებში სტალინური რეჟიმისაგან დეპორტირებული ინგუშების ნასახლარებზე ბინავდებოდნენ. მონათესავე ეთნოსთან უშუალოდ გამეზობლება, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ახლო ნათესაური და მეგობრული კავშირები თრუსოს მოსახლეობში გადასახლების მოტივაციას ზრდიდა. თრუსოს ხეობის მკაცრი გარემო პირობები და გაუმართავი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო აცხოველებდა ამ ადგილების დატოვების სურვილს, ამიტომ ოსთა ნაწილი სამხრეთით, საქართველოს ბარის სოფლებსა და ქალაქებშიც მკვიდრდებოდა.

ხსენებული გარემოებების გამო თრუსოში მცხოვრებმა ოსებმა სტიქიურად აყრა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადსახლება დაიწყეს. როგორც ჩანს, თერგის ზემო წელის ოსური მოსახლეობის ნაწილი უშუალოდ ჩრდილო ოსეთში გადავდა და არა საქართველოსათვის გადმოცემულ ტერიტორიაზე. ამის გამო გართულდა მიგრაციული პროცესის მოწესრიგება და კონტროლი. საჭირო გახდა რაიონიდან ჩრდ. ოსეთში გასახლებული კომლების რაოდენობის დაზუსტება, მათი აღრიცხვიდან მოხსნა, ახალ საცხოვრებელ ადგილზე პირადი ქონების გატანის ორგანიზება, დაშლილი ოჯახების გაყრის ოფიციალურად გაფორმება. რეგიონის მოსახლეობისაგან დაცლა საკმაოდ არასასურველ მოვლენად მიიჩნეოდა და ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, სასტიკად აკრძალულიყო რაიონიდან სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლა[3].

გახშირდა ქონებრივი დავები წასულსა და აქ დარჩენილ მეურნეობებს შორის. მაგ. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის გარეუბნის რაიონში შექმნილ ვატუტინის სახელობის კოლმეურნეობას ზემდგომი ორგანოებისათვის საჩივარით მიუმართავს რათა მათთვის გადაეცათ ყაზბეგის რაიონის კობის მე-3

1 სსრკ-ს სახალხო კომისრთა საბჭოს 1944 წლის 9 მარტის №225-74 სს დადგენილება. ფ.600 ან 1 საქმე 6942, ფურც 76; რფსა რუსეთის ფონდი-5446, აღ 47, საქ. 4355, ფურც. 94. წიგნში Патиев И. Ингуши, депортация возврашения реабилитация 1944-2004, документы материалы коментарий. Изд. "Сердало", 2004 г. с. 116.

2 რფსა ფონდი А-385, აღ. 17, საქ. 329, ფურც.5-6. წიგნში, Патиев И. Ингуши, депортация возврашения реабилитация 1944-2004, документы материалы коментарий. Изд. "Сердало", 2004 г. с.129-132.

3 საპატაკო ჩანაწერები ჩრდ. ოსეთის ცენტრალური კომიტეტის (ბ) საქართველოს კპცკ-ს სახელზე და სხვა მასალები ყაზბეგის რაიონის ჩრდ. ოსეთში გადასახლებული კოლმეურნეების საჩივრები. 10/03/1945-31/07/1945.) შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ფონდი 14, აღ. 19, საქმე 207, ფურც. 3.

ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობიდან ქონების ნაწილი. მდგომარეობა შემდეგშია: ყაზბეგის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სესიას 1944 წლის 4 ივნისის დადგენილებით სოფ. უხათისათვის ნება დაურთავს კობის მე-3 ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობიდან ცალკე კოლმეურნეობად გამოყოფილიყო. უხათი 32 კომლის რაოდენობით გამოეყო კობის კოლმეურნეობას და 1868 სული ცხვარი, 8 სული მსხ. რქ. საქონელი, 6 სული ცხენი და სხვა წვრილი ინვენტარი მიიღო. საქ. კ.პ. /ბ/ ყაზბეგის რაიკომმა კოლმეურნეობის გამოყოფა არასწორად სცნო, ამიტომ 11 ოქტომბერს გამოყოფილი ქონება, ისევე როგორც თავად უხათის კოლმეურნეობა, დაუბრუნა კობს. ამის შემდეგ უხათის მცხოვრებლებმა ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლების სურვილი გამოთქვეს, მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა ხელმძღვანელობამ ამის ნებართვა არ მისცა. უხათელები 2 ნოემბრიდან ჩრდ. ოსეთის ასსრ-ში გადავიდნენ და კობის კოლმეურნეობიდან ქონების წილიც მოითხოვეს.

1945 წლის მარტის მდგომარეობით სოფ. უხათის კოლმეურნეობიდან გამოყოფის მომენტისათვის არსებული 32 კომლიდან ჩრდილო ოსეთში, გარეუბნის რაიონის სოფ. ჩერნორეჩინსკოეში გადასახლებულა 17 კომლი. ამის გარდა, ზოგი ოჯახის წევრები არ იყვენენ გაყოფილი, ნაწილი უხათში ცხოვრობდა, ნაწილი – ჩერნორეჩინსნსკოეში. გადასახლებული 17 კომლიდან ოთხს საოჯახო ქონება და საკუთარი პირუტყვიც . უხათში ჰქონდა დატოვებული[1].

რაც შეეხება კობის კოლმეურნეობას, 1944 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 123 კომლი, აქედან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში გადასახლებულა 28 კომლი, ანუ 22,7%. ჩერნორეჩინსკოეში – 20 კომლი, დანარჩენი 8 კომლი –სხვადსხვა სოფლებში. გადასახლებულთაგან ერთი ოჯახი უკან დაბრუნდა, ხოლო 6 ოჯახიდან ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობდა, ნაწილი კი – კობში. ჩრდილოეთ ოსეთში შექმნილი ვატუტინის სახ. კოლმეურნეობიდან წარმოდგენილ კოლმეურნე წევრების სიით ირკვევა, რომ მათ კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 29 კოლმეურნე კომლი, აქედან 13 – მთლიანად გადმოსახლებულა სოფ. უხათიდან, ოთხიდან – კი ოჯახის წევრები გადასულან, თუმცა პირადი ქონება ჯერ კიდევ უხათში ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ გადასახლებულთაგან 7 ისეთი კომლი იყო, რომელთა ნაწილი ცხოვრობდა უხათში, ნაწილი ვატუტინის კი სახ. კოლმეურნეობაში. 5 კომლი კობიდან ადრე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა სოფლებში გადავიდა, მოგვიანებით კი ისინიც ვატუტინის სახ. კოლმეურნეობაში ჩასახლდნენ.[2]

1 შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ფონდი 14, აღ. 19, საქმე 207, ფურც. 2.

2 შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ფონდი 14, აღ. 19, საქმე 207, ფურც. 3.

კოლმეურნეობა	ცხოვრობდა კომლი	წავიდა	დარჩა	ჩხოვრობდა სული	წავიდა	დარჩა	16 წ. ზემოთ იყო	წავიდა	დარჩა
ქუმლისციხე	30	7	23	193	63	130	130	58	82
განისი	56	25	31	383	190	193	192	99	94
კობი	83	17	66	362	91	194	236	57	179
ოქროყანა	105	30	73	465	209	256	397	127	270
სულ	**272**	**79**	**193**	**1403**	**552**	**773**	**955**	**321**	**625**
გიმარა	157	55	102	1003	390	613	428	177	255
აბანო	155	45	119	966	306	660	404	144	260
სულ თრუსო, კობი	**584**	**179**	**414**	**3372**	**1248**	**2046**	**1787**	**642**	**1140**

თრუსოდან წასული ოსები ცდილობდნენ ახალ ადგილებშიც ერთმანეთის მეზობლად დასახლებულიყვნენ. სოფ კობიდან ოსები გადავიდნენ ჩრდილო კავკასიის შემდეგ სოფლებში: დლინდალინა, ბაზურკინა, კანტიმი, ბალთა, გიზელი. ჩერნორეჩიე; სოფელ ოქროყანიდან – სოფლებში, ბაზურკინა, კანტისი, ალიურტა, ეკანსოვა, არიკიყაუ, კოსტ-ყაუ. ბალთა, ყობანი; სოფელ აბანოდან გარეუბნის სოფლებში: ჩერმეკი, ნარტოვი, თერეკი, ხეთაგუროვის რაიონი[1] სოფ. ნართოვი; სოფ გიმარადან გადასახლდნენ ასევე ძირითადად გარეუბნის რაიონის სოფლებში: ჩერმენი, კოსტა ხეთაგუროვის რ-ნი სოფ. ნართოვი, ჩალუკსკის რაიონი სოფ. კანტისი.[2]

გადასახლებულებს პირადი მოხმარების ნივთების გარდა მიჰყავდათ საკუთარი და კოლმეურნეობის საქონელი[3].

1 ცხრილი, შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ფონდი 14, აღ. 19, საქმე 207, ფურც 61.

2 შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ფონდი 14, აღ. 19, საქმე 207, ფურც 64-68.

3 ცხრილი, შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ფონდი 14, აღ. 19, საქმე 207, ფურც 56-57.

სოფელი	ჯამლები სულ	წავიდა	დარჩა	წაიყ. ძროხა პირადი	წაიყ. ცხვარი პირადი	ძროხა კოლმეურნეობის	ცხვარი კოლმეურნეობის
მნა	30	21	9	31	119	24	ოქროყანის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობა 1228
ქ. ოქროყანა	16	4	12	3	12		
ზ. ოქროყანა	19	6	13	5	26		
შევარდენი	9	2	7				
ნოგკაუ	17	3	14		3		
სულ	91	36	55	39	162		
ალმასიანი	41	9	32	6	162	9	მესამე ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობა 5441
კობი	43	12	31	13	13		
უხათი	39	14	25	30	40		
სულ	123	35	88	59	337		
					395		
რესი	40	18	22	14	48	13	წითელი პარტიზანის სახლობის კოლმეურნეობა 7020
ტეფი	33	10	23	10	44		
გიმარა	33	7	26	4	33		
ბურმასიგი	10	6	4	6	28		
ცოცოლტა	14	3	11	10	98		
კარატკაუ	18	7	11	7	24		
სულ	148	51	97				
დესი	29	11	18	7	41	13	სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 1100
სუატისი	33	20	13	13	11		
ზაკაგორი	13	7	6	6	33		
აბანო	29	10	19	5	26		
კეტრისი	52	8	44	2	36		
სულ	156	56	100	33	209		
სულ საბჭოში	**304**	**113**	**197**	**84**	**485**	**26**	**8120**

ზემომოტანილი ცხრილი საკმაო წარმოდგენას გვიქმნის თრუსოსა და კობის მოსახლეობაში არსებულ ეკონომიკურ სიტაუაციაზე. ოჯახებს კერძო საკუთრებაში ჰყავდათ მხოლოდ 1-2 მსხვილფეხა საქონელი და 2-3 ცხვარი.

კოლმეურნეობა კი ძირითადად მეცხვარეობაზე იყო ორიენტირებული. რეგიონში არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და სამეურნეო პირობები ამგვარი რესურსებით ოჯახების არსებობას თითქმის შეუძლებელს ხდიდა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლება ამ მოსახლეობისათვის ერთგვარ გამოსავალსაც წარმოადგენდა.

1944 წელს ოსთა ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლების შემდეგ თრუსოს დემოგრაფიული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დაიწყო ხეობის სწრაფი დაცარიელება. ამიერიდან, აქაურებისათვის ხეობამ მხოლოდ ზაფხულობით, საზაფხულო საძოვრის ან სააგარაკო ფუნქცია შეიძინა. მოსახლეობის იმ ნაწილს რომელიც ადგილზე დარჩა, ჩრდილო კავკასიაში გაუჩნდა მრავალრიცხოვანი სანათესაო, სადაც ყოველთვის შეეძლო განათლების მისაღებად ახალგაზრდების გაგზავნა, სამსახურის შოვნაში შემწეობის მიღება ან უბრალოდ, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის გადასვლა. უნდა ითქვას, რომ ოსების გასახლებას არ გამოუწვევია ყაზბეგის რეგიონის მესაქონლეობის დაკნინება, პირიქით ამგვარი სიტუაცია ხელსაყრელიც კი იყო მეცხვარეობის გაფართოებისათვის. მეცხვარეობის ხვედრითი წილი ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა.

თრუსოს ოსური ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიშალა. ხშირად ძირითადი შემადგენლობა ჩრდილო ოსეთში ცხოვრობდა, თრუსოში კი მხოლოდ მოხუცები იყვნენ დარჩენილი. კოლემურნეობებში დასაქმებული ოსი მწყემსები საკოლმეურნეო ფერმების და კერძო მეურნეთა საკუთრებაში მყოფ ცხვრის ფარებს ზაფხულში ყაზბეგის რაიონის მთის ფერდობებზე აძოვებდნენ, ზამთარს კი ჩრდილოეთის ველებზე ატარებდნენ. ამ ვითარებაში გამონთავისუფლდა ბევრი შენობა-ნაგებობა და კოლმეურნეობებს საშუალება მიეცა მათთვის უკვე ახალი ფუნქციები დაეკისრებინა. მაგ. გაზეთ „ახალ ხევში“ წავაწყდით ცნობას, რომ 1945 წლის 9 მაისს „სოფელ აბანოში (თრუსოს სასოფლო საბჭო) ამუშავდა ყველ-კარაქის დამამზადებელი ქარხანა. ქარხნის ბინა ზამთრის პერიოდში გამოყენებული იყო საქონლის სადგომად, რამაც შენობის შიგნით და გარეთ უსუფთაობა გამოიწვია, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას”[1].

1957 წლის 9 იანვარს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩეჩენი და ინგუში ხალხების რეაბილიტაცია და მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღდგენა განახორციელა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შემდეგი დადგენილება მიიღო:

„ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის აღდგენასთან დაკავშირებით, დაუბრუნდეს რსფსრ-ს ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ნაწილი, რომელიც შედგება ყოფილი ითუმ-ყალეს რაიონისაგან, აგრეთვე გალანჩეჟის, გალაშკის, შაროის, პრიგოროდისა და გიზელდონის რაიონების ნაწილებისაგან. ამის შესაბამისად, ჩაითვალოს აღდგენილად საქართველოსა და რუსეთის სფსრ-ის საზღვარი, რომელიც 1944 წლის 7 მარტამდე არსებობდა...“[2]. თუმცა, ჩრდილოეთ ოსეთში შესული ტერიტორიების ინგუშებისათვის დაბრუნებაზე ამ დადგენილებაში საუბარი არ ყოფილა და არც ყაზბეგის რაიონიდან ოსების გასახლების პროცესი შენელებულა. პირიქით 1959-1970 წლებში ამ ეს მიგრაცია კიდევ უფრო გაძლიერდა და ოსების რაოდენობა 10 წელიწადში განახევრდა, 2007 ადამიანიდან (1959 წელს) 983 -მდე (1970 წ.) ჩამოვიდა.

1 „ახალი ხევი“, 1945 წ, 25 მაისი.

2 სეა, ფ.1165, აღწ.8, საქმე 1343.

ეს პროცესი სრულიად განსხვავდებოდა დანარჩენ საქართველოში არსებული მდგომარეობისაგან 1979 წლისათვის საბჭოთა კავშირში მცხოვრები ოსების საერთო რაოდენობა 488 ათასს შეადგენდა, აქედან საქართვლოში ცხოვრობდა 160.5 ათასი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში უფრო სწრაფად იზრდებოდა ოსების რაოდენობა ვიდრე ერთად აღებულ სსრ კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში. 1959 წელს საქართველოში ცხოვრობდა სსრკ-ში მცხოვრები ოსების 31%, 1979 წელს კი 33%. ეს მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იმავე პერიოდში თითქმის ერთ დონეზეა, როგორც მთელი მოსახლეობის, ისე საკუთრივ ოსების რაოდენობა. საქმე ისაა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის ბარში გადასვლა[1].

ყაზბეგის რაიონის, სოფ არშის მკვიდრი ხანდაზმული მოხევე ასე იხსენებს 1944-56 წლების პერიპეტიებს: *„ქისტები რომ გადაასახლა სტალინმა, მათ ადგილას აქედან გადასახლდნენ ოსები და მოხევეებიც. ერთი ნაწილი ჩვენ მოგვცეს საქართველოს და ყაზბეგის რაიონს. აი, სანებას ვეძახით, ქლუხორის რაიონი რო გააკეთეს. როცა მოვიდა ეს ხრუშოვი, მოევლინა ბატონ-პატრონად საბჭოთა კავშირსა. სტალინის კულტობაც მაგან გამააცხადა და ეს ხალხიც (ჩეჩნები, ინგუშები და ა.შ. ლ.ჯ.) დააბრუნა თავ-თავის ადგილას. ინგუშეთში გადასული ქართველები დაბრუნდნენ უკან, მაგრამ ოსები დარჩნენ იქ. მაგენთან (ოსებსა და ინგუშებს გულისხმობს ლ.ჯ.) სულ დავა იყო, სულ მკვლელობები მიდიოდა. ჩვენი ხალხი რო წამოვიდა მანდედან ჭკვიანად, წყნარად დაუტოვეს ყველაფერი. ზოგს ხბო, ქათმები, ცხვარი, ღორი, ლოგინები დაუტოვეს, ავეჯი. ხოდა სულ პატივს სცემდნენ ჩვენს ხალხს, ქისტები. ოსები არ გამოდიოდნენ, სულ ჩხუბი და ამბავი იყო და რომ ვერა და ვერ გამაჰყვანდნენ მომენტში შაიძლება მოჰკლავდნენ. იქიდან არის მაგათ შორის ეს მტრობა“.*

ინგუშების ნასოფლარებზე გადასახლების მსურველი შიდა ქართლის ოსურ სოფლებშიც მრავლად აღმოჩნდა. 1946-48 წლებში ატენის ხეობის მთიანი ზონისა და შიდა ქართლის რვა სოფელში (ზემო ახალსოფელი, იკვნევი, ღვედრეთი, ხეწე, წერეთი, ურიული, დიდთავი, ნადარბაზევი) მცხოვრებმა ოსებმა ადგილებრივ ხელისუფლებას განცხადებით მიმართეს, რომ ისინი ჩრდილოკავკასიის მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე გადაესახლებინათ. მართალია, ისინი ამ სურვილს მცირემიწიანობით და ნაკლებშემოსავლიანობით ასაბუთებდნენ, მაგრამ თრუსოს მოსახლეობისაგან განსხვავებით ხსენებული ოსები საკმაოდ შეძლებულად გამოიყურებიან[2].

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გაადვილებული კომუნიკაცია, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ნათესაური და მეგობრული კავშირების ინტენსივობა ზრდიდა არა მარტო ოსების, არამედ მოხევეების ჩრდილოეთისაკენ ლტოლვას. შედეგად ორჯონიკიძეში (დღევანდელი ვლადიკავკაზი) შეიქმნა ქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად ინტეგრირებული დიასპორა, რომელიც დღემდე არსებობს.

„ორჯონიკიძეში ბევრი მთიული და მოხევე ცხოვრობს. ზოგს ორმაგი პასპორტი აქვს, აქეთ ვიზა არ სჭირდებათ ჩვეულებრივად შემოდიან. ვისაც არა

1 ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVII-XX საუკუნეებში, თბილისი 1984, გვ. 225.

2 ი. ალიმბარაშვილი, ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში – მიზეზები და მიზნები, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XV, თბ., 2019 გვ. 333, 338.

აქვს ვიზა სჭირდება. კარგობა იყო ჩვენთანა ჩვენი ხალხი მიდიოდა მოდიოდა. ერთმანეთის პატივისცემა იყო. ეხლაც არის ეგრე. უკეთესი პირობები ჰქონდათ იქა, კარგი ხელფასები და წავიდნენ. აქ რა პირობებია. აქ არ არის არაფერი, ვი-საც აქვს თანხა სასტუმროებს აკეთებენ. თუ ფული გაქვს ფერმებსაც გააკეთებ და ყველაფერსაც, რა პრობლემაა. აქაური, კობის ოსები იმიტომ წავიდნენ, რომ აქ იყო გაუსაძლისი პირობები. ზამთარია მკაცრი, 8 თვე ზამთარია. თავიანთი სამშობლო იქ იყო, იქიდან მოსულები და წავიდნენ" – ამბობს შუა ასაკის სოფ. ყანობის მკვიდრი[1].



მესაქონლეობიდან მიღებული შემოსავალი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1953 წლიდან, როდესაც კოლმეურნეები გადასახადების ნაწილისაგან გაანთავი-სუფლეს, ხოლო მატყლისა და ხორცის სახელმწიფო შესყიდვის ფასები გაზარდეს[2].

სამეცნიერო ლიტერატურასა და საკვლევ რეგიონში მოპოვებულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალაზე ნათელია, რომ თერგის ზემო წელის მაღალმთიანი სოფლების დაცლის განსაზღვრავდა ძირითადად ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნო-კულტურული ფაქტორები. რეგიონის მაღალმთიანი სოფლებიდან დაბ-ლა ჩამოსახლება ზოგადი ტენდენცია იყო, ამიტომ ხევის სოფლებში მცხოვრებ ოსებს სახლების გაყიდვის უფრო მაღალი შანსი ჰქონდათ, ვიდრე თრუსოელებს. მაღალმთიანეთიდან გადმოსვლის მსურველი ქართველები სიამოვნებით ყიდუ-ლობდნენ მათ სახლებს შედარებით ხელსაყრელ ადგილებში მდებარე სოფლებში. მაგ. მდინარე სნოს თერგთან შესართავთან, სოფ აჩხოტში, გასული საუკუნის 60-იან წლებში ოსები მთლიანად ჩაანაცვლეს სნოს ხეობის ზემო სოფლებიდან გადმოსახლებულმა მთიელებმა. ჩვენმა მთხრობლმა (გვარად მარსაგიშვილი) გვიამბო, რომ იგი 1962 წელს გადმოსულა სოფ. კარკუჩიდან. სახლი აქაური

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის აღწერის შედეგები; Население Грузии, ინტერნეტ ვერსია – http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rngeorgia.html

2 ვ. ითონიშვილი. მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბ. 2015, გვ. 58.

ოსისგან შეუძენია, რომელიც ორჯონიკიძეში გადასახლებულა. მისი გადმოცემით ბოლო ოსს 1964 წელს დაუტოვებია ეს სოფელი. საველე მასალით ირკვევა, რომ აჩხოტიდან ოსური მოსახლეობის გადინება დაუჩქარებია მკვლელობას. წისქვილის წყალზე დავისას ოსებს მოუკლავთ სნოდან გადმოსახლებული ვინმე იჭო გოდერძიშვილი და სისხლის აღების შიშით გაცლიან სოფელს[1].

ცალკე უნდა აღინიშნოს განათლების პრობლემა. საველე მასალის მიხედვით, თრუსოს სიღრმეში მდებარე სოფლების ბავშვები სოფ. კობის სკოლა-ინტერნატში სწავლობდნენ. ცხადია, ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასვლა ამ მხრივაც ხელსაყრელი იყო. მით უმეტეს, რომ ქართველებიც კი საშუალო განათლების მისაღებად ხშირად ორჯონიკიძეში მიდიოდნენ.

„უმაღლესში მოწყობა გაადვილებული იყო, რადგან ორჯონიკიძის ქართულ სკოლადამთავრებულებს თბილისში ლიმიტი (შეღავათები) ჰქონდათ და დაბალი ნიშნებით ეწყობოდნენ. ამიტომ ბევრი სკოლას ორჯონიკიძეში ამთავრებდა. მეც იქ ვსწავლობდი. ყაზბეგის მოსახლეობის უმეტეს წილს იქ ჰქონდა დამთავრებული, ორჯონიკიძეში და მერე, ასე რომ აირია დრო, ზოგმა მოასწრო და გადმოიტანა საბუთები, ზოგი დარჩა. ეგრე არის ჩვენი საქმე“. – გვიამბობსშუა ხნის მოხევე.

ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობა სპეციფიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბუნებრივ-გეოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, მათ უფრო უადვილდებოდათ რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირება, ვიდრე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან. ამიტომ, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის მაცხოვრებლებთან შედარებით უფრო იყვნენ მიბმული ჩრდილოეთ ოსეთზე და ფსიქოლოგიურადაც უადვილდებოდათ იქ გადასახლება. საველე მასალის მიხედვით, უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თრუსოს ხეობას ოსები მხოლოდ ზაფხულის საძოვრებად და სააგარაკოდ იყენებდნენ, ხოლო მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ შემცირებული იყო,

90-იან წლებში მესაქონლეობის დაკნინებამ რეგიონის მოსახლეობა აიძულა შემოსავლის ალტერნატიული წყარო ეძებნა. რადგანაც ხევის სოფლებში ბუნებრივი გაზის საფასურს არ იხდიდნენ, განვითარება დაიწყო კერძო სასათბურე მეურნეობებმა, სადაც კიტრი და პომიდორი მოჰყავდათ. ამ საქმიანობით ძირითადად მოხევეები იყვნენ დაკავებული, თუმცა სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოდან წასული ოსები, რომლებიც რუსეთში გასატანი პროდუქციის მთავარ დისრიბუტორებად იქცნენ.

სათბურები ვიდრე გვქონდა ვლადიკავკაზში გადასახლებულ ოსებთან უფრო ინტენსიური და მეგობრული ურთიერთობა იყო. სწორედ ისინი იყვნენ აქედან პროდუქციის გამტანები. ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ოსი სასაფლაოზე გასასვლელად საგანგებოდაც კი ჩამოსულა. ერთმა სახლის გადაცვლაც კი შემოგვთავაზა. ლიახვის ხეობაში მაქვს მიტოვებული სახლი და სნოში თქვენს სახლში გამიცვალეთო.

მართალია, სახელმწიფოს მიერ რეგიონში უფასო გაზზე ლიმიტის დაწესებამ სასათბურე მერნეობებს აზრი დაუკარგა, მაგრამ, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ოსებს მოხევეებთან დღემდე აქვთ შენარჩუნებული საქმიანი და მე-

1 იჭოს მკვლელობის განსხვავებული ვერსია გვიამბო ოსი ეროვნების მთხრობელმა, რომლის თანახმადაც იგი სხვამ მოკლა ქორწილში და სისხლიანი დანა მკვლელობის დაბრალების მიზნით მის ძმადნაფიც ოსს ჩუმად ჩაუდო.

გობრული ურთიერთობები. ისინი თავისუფლად შემოდიან და გადაადგილდებიან საქართველოში. როგორც ჩვენი მთხრობელი ამბობს, „მანქანის შესაკეთებლადაც კი თბილისში დადიან". მისივე თქმით მოხევეების ერთ ნაწილს მიღებული აქვს რუსული მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეა), დასაქმებულია ჩრდილოეთ ოსეთში, ღებულობს იქაურ პენსიას და ა.შ. 90-იან წლებში საქართველოდან გაქცეული ოსები (ვისაც ბინა თბილისში ჰქონდა) ბინებს ვლადიკავკაზში მცხოვრებ მოხევეებს უცვლიდნენ. აღმოჩნდა ისე, რომ თბილისის ზოგიერთ ქუჩებზე, სადაც ოსური მოსახლეობა მრავლად იყო, ამჟამად სულ მოხევეები ცხოვრობენ.

მე თვითონ გავუცვალე ბინა ოსსა. ცხინვალელი იყო. მე მქონდა ორჯონიკიძეში ბინა და იმას ჰქონდა მუხიანში. იმდენად ეშინოდათ თბილისში ჩასვლა, რომ გასაღები მომცეს და შიშით ვერ მიდიოდნენ. ისეთი რაღაცეები აქვსო ჩემს შვილსა გაკეთებული ცხინვალშიო, რომ აქ რომ გაიაროს საბაჟოზე, იმას ცოცხალს არც გაუშვებენო. რას აკეთებდა ეხლა იქ, რომ წვავდნენ და რომ აუბედურებდნენ ერთმანეთსა, და ჩვენთან არ ყოფილა, მადლობა უფალს. ჩვენთან არ ყოფილა ეგეთი, და ღმერთმა არც ქნას! იქ საომარი მდგომარეობა რომ იყო, თვითონ იქაც მეზობელი მყავდა, იქაური იყო, გორიდან წამოსული და ისაც ეგრე ამბობდა, რომ არ ვინდობდით ერთმანეთსო, მტრული დამოკიდებულება გვქოდნაო. და ჩვენთან არა, ჩვენები ორჯონიკიძეშიც რომ ჩავიდნენ, თუ გაიგებდნენ რომ ქართველი იყავ, პატივს გვცემდნენ,

რეგიონის სამეურნეო პროფილის ცვლილება მტკივნეულად შეეხეო მოსახლეობის ყველა ფენას. მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას აღარ შეუძლია აქაური მოსახლეობის ცხოვრების მთლიანად უზრუნველყოფა. ერთადერთ პერსპექტიულ დარგად ტურიზმი რჩება. თუმცა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ოდენობა დიდი არ არის. ასეთ პირობებში ხალხის უმეტესობა მიიჩნევს, რომ თრუსოს ხეობაში ოსების დაბრუნება მოსალოდნლი არ არის. თრუსოს ყოფილი მკვიდრი ოსები კი უკვე ზაფხულობითაც იშვიათად სტუმრობენ ნასახლარებს, სალოცავებსა და მამა-პაპის სასაფლაობს.

კომუნისტური რეჟიმის კრახის შემდეგ, 90-იანი წლების საყოველთაო განუკითხაობამ, რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილმა საზღვარმა და განსაკუთრებით, 2006 წლიდან სავიზო რეჟიმის გამკაცრებამ საქართველოსა და ჩრდილოკავკასიას შორის ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცვლეობა წარმოუდგენელი გახადა. ოსური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გარკვეულ კავშირს ინარჩუნებდა ყაზბეგის რეგიონთან, დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან უარი ეთქვა რუსეთში ცხოვრებაზე და საკმაოდ მწირი ეკონომიკური რესურსების იმედად დარჩენილიყო საქართველოში, ან საბოლოოდ გადასულიყო საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში. ორივე შემთხვევაში მოუწევდათ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სამეურნეო სისტემაზე უარის თქმა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ორი სახელმწიფოს საზღვარზე ცხვრის ფარების მოძრაობა ძალიან დიდ მატერიალურ ხარჯებსა და ბიუროკრატულ ბარიერებთან იქნებოდა დაკავშირებული. მათ რუსეთში ცხოვრება ამჯობინეს და მთლიანად მიატოვეს ყაზბეგის რაიონის დასახლებები (თრუსო, ღუდა, ხევის ოსური სოფლები). ამდენად, ხსენებული მიგრაციული პროცესი თერგის ზემო წელიდან ჩრდილო ოსეთში განაპირობებული იყო სამეურნეო-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნოკულტურული ფაქტორებით.

თავისებური დაღი დაასვა რეგიონს 90-იანი წლების საყოველთაო განუ-

კითხაობამ. გახშირდა ცხვრის ფარების მიტაცებისა და მეცხვარეთა დაყაჩაღების შემთხვევები. აი როგორ აღწერს ამ სიტუაციას ჩვენი ხანდაზმული მთხრობელი, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს სოფ. კობში ბუღალტრად მუშაობდა.

„ბოლო წლებში შემოდგომის მატყლი 12 მანეთი და 80 კაპიკი ღირდა, ერთი ტომარა პირველი ხარისხის თეთრი 50 კილოიანი ფქვილი კი – 13 მანეთი. ბოლოს ისე მიიტანეს საქმე რო ერთი ტონა მატყლი ვეღარ ვაჭრობდა ერთ ტომარა ფქვილსა. ინახა ხალხმა მატყლი, ინახა, გაუჩნდა მატლი და გადაყარა. მემრე თათრები მოვიდნენ, თათრებში გაჰქონდათ. როცა გადასაყრელი იყო კაპიკებად მიჰქონდათ და გაჰქონდათ თურქეთში. კოლმეურნეობა რო დაიშალა აორთქლდა ეს ცხვარი, ოსებშიც გადარეკეს. მოიტაცეს, მოიპარეს. თვითონ ჩვენმა ხალხმავე გააფუჭა საქმე. აღვირახსნილი ბანდიტები დადიოდნენ, მწყემსებს თავის ხელით ჩაატვირთინებდნენ. კარგი ცხორი, კარგი თხა მაიპარიან, არადა ავტომატებით ადგნენ, არაფერი არ განაწილებულა კომლებზე. ერთადერთი მლეთას განაწილდა. იქაც 13–14 სული ერგოთ. ეხლა როგორი მოტივი მოუნახეს – ესენი ხო იტაცებდნენ ან გაყიდდნენ სასწრაფოდ ან თავის სერზე გადასერდნენ და. 2–3 ბრიგადა იყო ვინც მაგრა მოიქცა და შეინახა ცხორი. ჩვენი კოლმეურნეობიდან 2500 სული ცხორი გადაიყვანეს ოსებმა. ღამე დეეცნენ მწყემსებსა და გადარეკეს. მამრე იქიდან ერთი მწყემსი როგორღაც ჩამოვიდა კობში, დაუკავშირდნენ ვერტალიოტით გამაედევნენ, მაასწრეს, ცოტაღა უნდოდათ ერთი 100 მეტრი და შეიმალებოდნენ ტყეში. მაასწრეს ვერტალიოტით. ეს ბანდიტები ჩაყარეს გალიებში და ცხორი დააბრუნეს. ოსები იყვნენ. პულიმიოტი ჰქონდა ერთსა. ეს ერთი ფარა ვერ წაიყვანეს. მემრე მეორე პარტია გადაიყვანეს ჩემი ცხორიც მაჰყვა იმაში. ერთი 40–44 სული მყვანდა. გადარეკეს, წავიდა და წავიდა, ვერ გამოჩნდა. ოსებმა ცხორი სულ სამ პარტიად წაიყვანეს. მერე ერთი პარტია კიდევ წავიდა, ბრიგადირი იყო ოსი, აღარ გადმარეკა უკან და დარჩა იქა. საზაფხულოდ ჰყვანდა გადარეკილი და აღარ დაბრუნდა. ამის საბადლოდა მემრე იმათ რო წაიყვანეს, აქ ჰყავდათ ოსებს ამარეკილი, ე ჩვენი ხალხი დეეცნენ და წაართვეს ეს ცხვარი. დაიტაცეს ზოგმა 20 ზოგმა მეტი გაირეკეს. 2000 სული ეგრე ერთბაშად აორთქლეს. მამრე მაჰყვნენ და დაიწყო ქურდობა. იქ ხვდებოდნენ, აქა, უნდოდათ აენაზღაურებინათ თავისი დანაკლისი და ვეღარა გამოდიოდა რა“.

კომუნისტური რეჟიმის კრახის შემდეგ, რადიკალური პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე, რეგიონისათვის წამყვანი დარგის, მეცხვარეობის მასშტაბი მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრები მიუწვდომელი გახდა. მთლიანად დაიცალა ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად პერსპექტიული თრუსოს ხეობა, ხოლო ჩრდილო ოსეთიდან მასობრივი გადმოსახლება დაიწყეს მოხევეებმა, რომელთაც ავიწროებდნენ აქ ჩასული ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ოსები. მოხევეებისათვის ჩრდილო კავკასიიის ზაფხულის საძოვრების გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი ხანებიდანვე შეუძლებელი გამხდარა. ჩვენი მთხრობელი ასეთ ისტორიას გვიამბობს:

გამსახურდიას დროს ცხვარი გვყავდა ჩრდილო კავკასიის საძოვრებზე და საქართველოს საზღვარს რომ მოვადექით, ოსებმა აქეთ აღარ გადმოგვატარეს, გვითხრეს გამსახურდიამ გაგიშვათო. 100 ათას სულამდე ცხვარი იყო, სად უნდა წავსულიყავით, შიმშილით იხოცებოდა პირუტყვი. ისევ ჩეჩნეთისაკენ

ვიბრუნეთ პირი. მაგრამ ოსები დაგვეწივნენ „კამაზებით“ (სატვირთო ავტომანქანებით ლ.ჯ.) და გვითხრეს ყოველ 10 ცხვარზე ერთი მოგვეცით, საქართველოდან დევნილ ხალხს (ცხინვალის რეგიონიდან გაქცეულებს ლ.ჯ.) ჭამა ხომ უნდაო და ასე გამოგვატარეს. თერგის ნაპირებზე მართლაც ვნახეთ უამრავი გაუბედურებული მშიერი ადამიანი.

რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღებამ და სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრებამ 2006 წლიდან კიდევ უფრო უპერსპექტივო გახადა ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცვლეობა ყაზბეგის რეგიონსა და ჩრდილოკავკასიას შორის. მით უფრო, რომ სამეურნეო კონტაქტების ახალი მიმართულება იკვეთება, რაც ყაზბეგის რეგიონის და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მესაქონლეების მთაბარობას უკავშირდება. თრუსოს ხეობაში ბოლო ხანებში მოხევეებთან ერთად ზაფხულის საძოვრებით სარგებლობენ იორ-მუღანლოს აზერაბაიჯაინელი მწყემსები, ხოლო ყაზბეგის რაიონის ცხვრის ფარების დიდი ნაწილი ზამთრის საძოვრებზე ქვემო ქართლის ველებზე მიჰყავთ.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, საარქივო დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის და საველე-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით დგინდება, რომ ყაზბეგის რაიონიდან ოსების მასობრივი, ნებაყოფილებითი გადასახლება 1944 წელს დაიწყო. ისინი სტალინური რეჟიმის მიერ დეპორტირებული ინგუშების სოფლებში დამკვიდრდნენ. ჩრდილოეთ ოსეთთან გაადვილებული კომუნიკაციის, ეკონომიკური სარგებლის, შედარებით ხელმისაწვდომი განათლების, ნათესაური და მეგობრული კავშირების გამო მიგრაციის ინტენსივობა მაღალი იყო შემდეგ პერიოდშიც. გადასახლების მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენდა, „ორჯონიკიძეში“ კომფორტულად მოწყობის შესაძლებლობა, რადგან დაცარიელებული სოფლების ინფრასტრუქტურის (ელექტროფიკაცია, გაზიფიკაცია, გზები) მოწესრიგებას საბჭოთა ხელისუფლება ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

შეიძლება ითქვას, რომ ოსებში მიგრაციულ განწყობილებებს ხელს უწყობდა ეთნოკულტურული ვექტორის ცვლილებაც, რაც ქართული ორიენტაციის რუსულით ჩანაცვლებას გულისხმობდა. რუსეთის გაბატონებამდე ბუნებრივად ხდებოდა ოსების ქართულ სამყაროში ინტეგრაცია, რაც ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის კომპენენტების თანდათანობით შესისხლხორცება-გათავისებას გულისხმობდა. საქართველოში (ყაზბეგის რეგიონი, ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) დამკვიდრებული ოსების ყოფაში მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მემარცვლეობა უკვე ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. სამიწათმოქმედო იარაღების უმეტესობა ქართულის ანალოგიური იყო და მათი სახელწოდებაც ქართულთან მსგავსებას ამჟღავნებდა[1].

XX საუკუნის დასაწყისში მომხდარმა რადიკალურმა ტრანსფორმაციამ მეურნეობის დარგებში, მათი უნიფიკაცია გამოიწვია (მეკარტოფილეობა, გადარეკვითი მეცხვარეობა), რაც თითქმის მყისიერად აისახება ყაზბეგის რეგიონის ეთნიკურ სიტუაციაზე. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული კოლექტივიზაციის შედეგად შეცვლილმა სამეურნეო გარემომ და ცხვრის ფარების და მსხვილფეხა საქონლის კერძო საკუთრებიდან საკოლმეურნეო ფერმებში გაერთიანებამ, მართალია მეურნეობის ამ დარგის რენტაბელობის

1 Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб., 1985, с. 131-132; Кантария М. Некоторые вопросы земледелческого быта в горной Осетии, Кавказский Этнографический Сборник,V, 1980, с. 100-154436.

გაზრდა განაპირობა[1]. მაგრამ ამასთანავე ხელი შეუწყო ოსური მოსახლეობის განკერძოება-იზოლიაციას. ამასთან, გეგმაზომიერად ხდებოდა მეურნეობის სიმბიოზური ფორმის ტრანსფორმირება, რაც მთის ზონაში მიწათმოქმედების ხვედრითი წილის კიდევ უფრო შემცირებაში და საოჯახო მეურნეობებისათვის სავარგულებისა და სათიბი მიწების შეზღუდვაში მდგომარეობდა. შრომის ორგანიზაციის საბჭოური ფორმების პირობებში დავიწყებას ეძლეოდა ურთიერდახმარების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფორმები. მექანიზაციის ხვედრითი წილის გაზრდის შედეგად, იზღუდებოდა ყოფაში ძველი სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენება. თითქმის მთლიანად ამოვარდა ხმარებიდან ადგილობრივი სახვნელი ტიპები[2].

საბჭოთა სისტემის კრახის და საქართველოს დამოუკიდებელობის გამოცხადებამ კიდევ ერთი რადიკალური სამეურნეო ტრანსფორმაცია გამოიწვია, რამაც საბოლოო წერტილი დაუსვა ყაზბეგის რეგიონში ოსების ცხოვრებას, რადგანაც რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, მათთვის თრუსოს ზაფხულის საძოვრები მიუწვდომელი გახდა. ასევე წარსულს ჩაბარდა გასული 90-იან წლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობები, რომელიც ყაზბეგის რაიონში განვითარებული სასთბურე მოერნეობისაგან მიღებულ პროდუქციის გატანაში საქართველოდან წასული ოსების, როგორც გასატანი პროდუქციის მთავარი დისრიბუტორების მონაწილეობას გულისხმობდა. სამეურნეო პროფილის ცვლილება მტკივნეულად შეეხეო მოსახლეობის ყველა ფენას. დღეისათვის შექმნილ პირობებში ცხადია რომ მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას აღარ შეუძლია რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების მთლიანად უზრუნველყოფა. ერთადერთ პერსპექტიულ დარგად ტურიზმი რჩება. მართალია ტურიზმის სფეროში ოსების მონაწილეობას გარკვეული პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მის განხორციელებას საფუძვლიანად ზღუდავს ოსური ფაქტორის ნეგატიური როლი ამჟამად არსებული გეოპოლიტიურ სიტუაციაში.

სოციალურ ქსელებში და საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მოპოვებული მასალა გვარწმუნებს, რომ ბოლო ხანებში რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში დომინანტი ე.წ. „კავკასიური აბორიგენობის" თეორია ოსურ პოპულაციაში თითქმის უალტერნატივოდ აღიქმება. ყაზბეგის რეგიონის დაცლა ოსებისაგან კი ცხადყოფს, რომ რეგიონის ოსურ ისტორიულ ტერიტორიად გამოცხადება და მისი „სამხრეთ ოსეთთან" შეერთების სურვილი, მხოლოდ პოლიტიკური პრიორიტეტის მოპოვების და ოსებში პატრიოტული გრძნობების გაძლიერებას ემსახურება. ცრუ ეთნოგენეტიკური თეორიები მოსახლეობას ადგილებზე ვერ ამაგრებს. ოსებმა მთლიანად დატოვეს დასახლებები, სადაც მათ არავინ ავიწროვებდა (თრუსოს ხეობა, ხევის სოფლები: კობი, უხათი, აჩხოტი თოთი), მაღალია მიგრაციის ინტენსივობა ცხინვალის რეგიონიდანაც (რომელსაც ე.წ. ოსური მთავრობა აკონტროლებს). აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ოსურ იმიგრაციას ძირითადად განაპირობებდა ეკონომიკური, სოციალური და ეთნოკულტურული ფაქტორები.

---

1 Магометов А., Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 197-200.

2 ლ. ჯანიაშვილი, 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის თავისებურებები ახალგორის რაიონში, წიგნში ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, თბილისი, 2015, გვ. 161.

თრუსო რუსული ჰიბრიდული ომის კონტექსტში

ნათია ჯალაბაძე

შესავალი

თანამედროვე ქართულ სინამდვილეში აშკარად გამოიკვეთა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის განსახორციელებლად ერთ-ერთ სერიოზულ გათვლას კვლავ ოსურ ფაქტორზე აკეთებს. როდესაც 2004 წლის შემდეგ საქართველოს ნატოსკენ ლტოლვამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რუსეთის ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ექსპანსიისა და საზღვრისპირა რეგიონების მიტაცებისათვის.[1] 2008 წლის აგვისტოს ომი და დე ფაქტო *სამხრეთ* ოსეთის ხელში ჩაგდება სწორედ ამ რუსული სცენარის ნაწილი იყო. როგორც აღნიშნულია ს. ნილ მაკფარლეინის (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პროგრამის დირექტორი) ანგარიშში, საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი რუსული აგრესიის განხორციელებაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა[2]. რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აგვისტოს ომის თაობაზე ჟურნალისტებთან ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენ უბრალოდ დავამშვიდეთ ჩვენი მეზობლები და ვაჩვენეთ, რომ ისინი მართებულად უნდა მოიქცნენ რუსეთთან და მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან მიმართებაში. ზოგიერთი ჩვენი პარტნიორისთვის, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, ეს იყო იმის სიგნალი, რომ ალიანსის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მათ ჯერ გეოპოლიტიკურ სტაბილურობაზე უნდა იფიქრონ. ჩემი აზრით, ეს არის 2008 წლის მოვლენების მთავარი გაკვეთილი“.[3]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი კრემლის დღის წესრიგში დადგა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრისპირა რეგიონის – თრუსოს ხეობის (ასევე კობის ქვაბულის), ამ ვითომდა ისტორიული ოსეთის ტერიტორიის, ოსეთისათვის „დაბრუნების“ საკითხი.

2014 წელს ვლადიკავკაზში ჩატარდა სტრატეგიული კვლევების რუსული ინსტიტუტის ევრაზიული ფორუმის გასვლითი სხდომა, რომელიც ჩრდილოეთ

1 მ. არეშიძე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები. კრებულში: საქართველო-2009 ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი თბილისი, 2010 http://www.papava.info /publications/papava-2009-afterwar.pdf

2 ნ. ს. მაკფარლეინი, 2012 საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი და ოქსფორდის უნივერსიტეტი https://www.chathamhouse.org/sites/default/files/field/field_ document/20120801GeorgiaNationalSecurityGeorgian.pdf

3 Br.Whitmore. Medvedev Gets Caught Telling The Truth https://www.rferl. org/a/medvedev _gets_ caught_telling_the_truth/24399004.html

და სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას მიეძღვნა; მოსკოვის, ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო ცენტრების ექსპერტებმა განიხილეს ევრაზიისა და ევროპული ინტეგრაციის ვექტორები ამიერკავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკაში და თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ევრაზიული ინტეგრაცის საკითხი. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემებით, ამ ფაქტს ქართულ მედიაში სათანადო რეზონანსი არ მოჰყოლია, არ გამახვილებულა ყურადღება ოსური ფაქტორის მზარდ როლზე რუსეთის პოლიტიკაში, რის შესახებაც მედიასთან ინტერვიუში ღიად განაცხადა რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული კონიუნქტურის ცენტრის დირექტორის მაშინდელმა მოადგილემ – მიხეილ ჩერნოვმა: *„რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირის და ახლა უკვე ახალი, რუსეთის ევრაზიული კავშირის საზღვრები (მათ შორის, შიდა ადმინისტრაციულიც), რასაკვირველია მუდამ იცვლება. ისტორიულად რუსეთი გათვლას ყოველთვის სხვადასხვა ხალხებზე აკეთებდა. ისტორიის გარკვეულ პერიოდში (და არავისთვის ეს საიდუმლო არ არის) რუსეთის იმპერიამ ფსონი ქართველ ხალხზე დადო, ფაქტობრივად შექმნა საქართველო, შექმნა ეს ქართველი ხალხი მრავალი სხვადასხვა ქართველური ხალხებისგან. გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, გარკვეული ისტორიული მიზეზების გამო, საბჭოთა საქართველომ შეწყვიტა არსებობა და ეს ძირითადად ქვეყნის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის განაცხადის საფუძველზე მოხდა. საქართველოში ადგილი ჰქონდა ოსთა გენოციდის ფაქტს. მოხდა სხვა ხალხების შევიწროვება – სომხების, აზერბაიჯანელების; ამის შესახებ ყველამ კარგად იცის. დღეს დადგა ახალი ობიექტური ეტაპი – რუსეთი, ამ შემთხვევაში, ევრაზიული კავშირის სახით, ბრუნდება სამხრეთ კავკასიაში, ბრუნდება დიდი ხნით და ძალიან დიდი ხნით. გარკვეული მიზეზების გამო, ფსონის დადება ქართველ ხალხზე დღეს შეუძლებელია .... ფსონს დავდებთ სხვა ხალხებზე და ერთ-ერთი ასეთი, უპირობოდ, ოსი ხალხია. ეს პროცესი უკვე დაწყებულია – შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, შეიქმნა აფხაზეთის რესპუბლიკა... თუმცა ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ის, ბუნებრივია, აუცილებლად დასრულდება ამა თუ იმ ფორმით“*[1].

მოკლედ რომ ვთქვათ, ფსონი ოს ხალხზეა დადებული; ხოლო ზემოთ აღნიშნული პროცესის დასრულება რუსეთისთვის რომ საშურია, ამას ნათლად გამოხატავს 2008 წელს ცხინვალისა და ახალგორის ოკუპაციის შემდგომ რუსეთის მიერ დღემდე საქართველოს შუაგულში პერმანენტულად წარმოებული ე.წ. მცოცავი ანექსია და ოსების/რუსების მზარდი პრეტენზიები იმ ისტორიულ ქართულ მიწებზე, სადაც ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა (თრუსოს ხეობა, კობის ქვაბული, ღუდა...).

ჰიბრიდული ომი, როგორც ომის თანამედროვე ფორმა, რომელიც უმთავრესად ფიზიკური დაპირისპირების გარეშე სტრატეგიული ამოცანების განხორციელებაზეა ფოკუსირებული,[2] ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში რუსეთთან ასოცირდება. კრემლი თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სამხედრო ძალის გარდა, იარაღად აქტიურად იყენებს მის ხელთ არსებულ ეკონომიკურ, ფინანსურ, პოლიტიკურ და საინფორმაციო ბერკეტებს, ხოლო უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით ეფექტურად – საინფორმაციო

1 ინტერვიუ მედიასთან (იხ. დოკ, ფილმი: Тыршыгом – Священная Родина Осетин)

2 F.Hoffman, Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Potomac institute for policy studies, (8-28), 2007, გვ. 7. http://eugeorgia.info/ 55

ომსა და პროპაგანდას.[1] იგი გამოავლენს სამიზნე ქვეყნის მოწყვლად ადგილებს, ახდენს მოსახლეობის აქტიურ საინფორმაციო დამუშავებას, ეწევა პროპაგანდასა და ახორციელებს საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ოპერაციებს. 2013 წელს გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის წერილი, რომელსაც შემდგომ „გერასიმოვის დოქტრინა" უწოდეს; მასში საუბარია კრემლის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებებზე; გერასიმოვი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ომში წამყვანი ადგილი საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს უკავია და 21-ე საუკუნეში პოლიტიკური მიზნების მიღწევა არასამხედრო, ინფორმაციული გზით არის შესაძლებელი[2]. ეს ინიციატივა რუსული „ჰიბრიდული" ომის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. ხოლო ევრაზიული კავშირის ერთ-ერთი იდეოლოგთაგანი, იგორ პანარინი, „მეორე მსოფლიო ინფორმაციულ ომში" ისეთი ელემენტების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობს, როგორიცაა: საზოგადოებრივი სტერეოტიპების შექმნა, ხალხით მანევრირება, ინფორმაციით მანიპულაცია და დეზინფორმაცია.[3]

დღეს სპეციალისტებს თრუსოს ხეობა რუსეთის ჰიბრიდული ომის სცენარში მრავალ სამიზნე წერტილთაგან ერთ-ერთად მიაჩნიათ[4].

საინფორმაციო ომი და თრუსო

ჩვენი კვლევის ობიექტი – ყაზბეგის რაიონში საქართველოს სამხედრო გზასთან მდებარე ოსების განსახლების არეალი – თრუსოს ხეობა (ასევე კობის ქვაბული), რომელიც როკის გვირაბიდან მხოლოდ თხუთმეტიოდე კილომეტრით არის დაშორებული, როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვის, სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. თრუსოს ხეობა (კობის ქვაბულთან ერთად) რუს/ოს პოლიტიკოსთა განსაკუთრებული ინტერესის სფეროში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მოექცა; გარკვეულ წანამძღვრებს თუ არ ჩავთვლით, ამ პერიოდიდან გამოიკვეთა და ნელ-ნელა იმძლავრა მათმა პრეტენზიებმა აღნიშნულ ტერიტორიებზე, რასაც თან ერთვოდა ჩრდილოეთ ოსეთისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის გაერთიანების კრემლის ჩანაფიქრი. ექსპერტთა შეფასებით, რუსეთისათვის თრუსოს ხეობის ხელში ჩაგდება საქართველოს სამხედრო გზის იმ მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას იძლევა, რომელიც „სომხეთსა და ირანისაკენ რუსეთის დამაკავშირებელი ერთადერთი მაგისტრალია, საიდანაც ტვირთი ორივე პუნქტამდე ყველაზე მოკლე გზას გადის". ამავე დროს, ლოკაციდან გამომდინარე, თეორიულად, ქართულ მხარეს შეუძლია თრუსოს ხეობიდან იერიშის მიტანა როკის გვირაბის სამხრეთი პორტალიდან

1 ლ. ავალიშვილი, გ. ლომთაძე, ს. ქევხიშვილი, კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა.პოლიტიკის დოკუმენტი 22. გვ. 5 აგვისტო, 2016.

2 S. Meister, Isolation and Propaganda The Roots and Instruments of Russia's Disinformation Campaign, Transatlantic Academy Paper Series April 2016 pg,3

3 გ. ჯულუხიძე, რუსული პროპაგანდა – მიზნები, ნარატივები და აქტორები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018 წ. გვ. 5.

4 ნ. ჯალაბაძე, ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში, თბილისი 2017, გვ. 59

გამომავალ გზასა და უღელტეხილის ფერდობებზე. მათი ჩამოშლის შედეგად კი, დროებით მაინც ჩაიკეტება გზა ჯავისა და ცხინვალის მიმართულებით[1].

2014 წელს „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე განიხილავდა თრუსოს ხეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთისათვის და მას დარიალის ხეობაში მშენებარე გვირაბის საკითხთან აკავშირებდა: *„თრუსოში თუ რუსეთის ჯარი ჩადგა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯვრის უღელტეხილი აღებული ექნებათ. რუსეთიდან საქართველოს სამხედრო გზით რომ მოდიხარ, დაახლოებით 6 კილომეტრის შემდეგ იწყება დარიალის ხეობა, ამ ხეობაში რუსეთთან დაკავშირებული კონკრეტული კომპანია უზარმაზარ გვირაბს აშენებს, რომლის გაცხადებული მიზანი გვირაბის მეშვეობით დარიალჰესის წყლით მომარაგებაა; სინამდვილეში, ეს არის გვირაბი, რომელშიც, შესაძლოა, გამოიაროს ჯავშანტექნიკამ და არმიამ და ამ გზით პირდაპირ შემოვიდეს ყაზბეგში. რაც იმას ნიშნავს, რომ დარიალის ხეობა, როგორც დაცვის ზონა, ხელიდან გვეცლება. არადა, სწორედ, დარიალის ხეობა ინახავდა საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთიდან თავდასხმებისგან. ყაზბეგიდან 3-4 კილომეტრში, თერგის მარცხენა შენაკადთან მდებარეობს თრუსოს ხეობა და მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მტრისთვის. პრეტენზიები თრუსოზე არის რუსების მიერ „შახის“ თქმა საქართველოსთვის და საერთოდ, დასავლეთისთვის.*“

მისივე აზრით, რუსეთის გაცხადებული მიზანია, არ დაუშვას ნატოს წევრი ქვეყანა თავის მეზობლად, სინამდვილეში კი სურს, დასავლეთს გადაუკეტოს ამიერკავკასიის დერეფანი და შეუზღუდოს შუა აზიაში მოძრაობა. [2]

წერილში „ყაზბეგის საკითხი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში «Пульс Осетии» ოსი პოლიტიკოსი არსენ ფაძაევი ღიად აცხადებდა, რომ *„რუსეთმა არ უნდა დაკარგოს ეს ოსური ტერიტორია (გულისხმობს თრუსოს, კობს და ღუდას, ნ.ჯ.), რომელიც უკანონოდ იქნა შეყვანილი საქართველოს შემადგენლობაში და გეოპოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია.”*[3]

ოსეთისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრა გაჟღერდა 2014 წელს ე. კოკოითის გამოსვლაში ვლადიკავკაზში გამართულ ოსი ხალხის ყრილობაზე, სადაც მან რუსეთთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ოს ხალხს რუსეთი ისე უყვარს, რომ ამ სიყვარულს გადამოწმება არ სჭირდება; ხოლო, კავკასიიდან რუსეთის განდევნის და მისი ნატოსა და შეერთებული შტატების ძალებით ჩანაცვლების გეგმა მცირერიცხოვანი ოსი ერისთვის სახიფათოა[4].

ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს ამ მონაკვეთის ხელში ჩაგდება რომ კრემლისთვის ყველანაირი თვალსაზრისით სახარბიელო და საშურია, კარგად ჩანს იმ მცდელობებიდან, რასაც იგი დღემდე ოსეთის რეაქციულ ძალებთან ერთად ინტენსიურად ეწევა და ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტული ბერკე-

---

1 ქ. ლუკიანოვიჩი, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში. გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი, სადოქტორო დისერტაცია, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

2 ე. აბესაძე, ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს, 2014.

3 https://www.apsny.ge/analytics/1258602104.php

4 ე. აბესაძე, ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს, 2014.

ტების მეშვეობით ამკვიდრებს აზრს რომ ეს ე.წ. „აღმოსავლეთ ოსეთი“ ისტორიულად ოსების კუთვნილება და ძირძველი ოსური ტერიტორიაა, რომელიც ბოლშევიკებმა ოსი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ მოგლიჯეს მათ სამშობლოს და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას მიუერთეს.

ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტული მეთოდები მრავალფეროვანია: პროპაგანდა იქმნება სხვადასხვა ფორმატში (ტექსტი, აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალა). მისი გავრცელება ხდება განსხვავებული არხებით – ინტერნეტი, სოციალური მედია, რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია, საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრებით და კომუნიკაციით; პროპაგანდა დაფუძნებულია შეთხზულ ამბებზე, რეალური ფაქტების დამახინჯებაზე; ის იქმნება სწრაფად და უწყვეტად. ხშირ შემთხვევაში, ხდება ძველი დეზინფორმაციის ხელახლა გავრცელება და ტირაჟირება; მთავარი ამოცანა არა მარტო ტყუილის სიმართლედ წარმოჩენა, არამედ ფაქტების დამახინჯებით სამიზნე ობიექტის/ჯგუფის დაბნევაა, რათა მან ვეღარ შეძლოს რეალური სურათის დანახვა[1].

რუსეთის მიერ აღნიშნული რეგიონის ხელში ჩაგდების მოდელი შემდეგ კონცეფციას ეყრდნობა:

თრუსო ოსეთის ისტორიული ტერიტორიაა („აღმოსავლეთ ოსეთი“), ის ყოველთვის ეკუთვნოდა სამხრეთ ოსეთს, ანუ მის შემადგენლობაში იყო და ამიტომ, ის უნდა შეუერთდეს მას; თრუსოში უნდა დაბრუნდეს ოსი მოსახლეობა, რომელიც იქედან ვითომდა ქართველებმა გამოაძევეს და დღეს იქ აღარ უშვებენ. ამის შემდეგ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ ოსეთი ალანია უნდა გაერთიანდეს; ანუ, გაერთიანებული ოსეთი (საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ჩათვლით) რუსეთის იურისდიქციაში უნდა მოექცეს!

როგორც წინა თავებიდან დავინახეთ, ოსური წყაროები საერთოდ არ არსებობს და არც სხვა წყაროებში არ მოიპოვება ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აღნიშნული ტერიტორია ოსების ისტორიულ სამშობლოდ ჩაითვლებოდა. სამაგიეროდ, ამ მიმართულებით გულმოდგინედ მუშაობს ოსეთის ჰუმანიტარული სამეცნიერო უჯრედის ერთი ნაწილი, რომელთა მიზანსაც ოსეთის ისტორიის (ე. წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით) ახლებურად გადაწერა წარმოადგენს (რ. ბზაროვი, მ. ბლიევი, ფ. გუტნოვი...); ამის შესახებ საუბარი იყო წინა თავებში და მასზე აღარ შევჩერდები; თუმცა, ერთს დავამატებ; გარდა იმისა, რომ ოსი/რუსი მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში რეალური ისტორიის გაყალბებით და უსაფუძვლო მტკიცებულებებით სამხრეთ ოსეთსა და ე. წ. აღმოსავლეთ ოსეთს ოსთა ისტორიულ სამშობლოდ წარმოგვიდგენენ, გამოგონილი ისტორიებისა და ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება ინტენსიურად მიმდინარეობს სოციალური ქსელების მეშვეობით. ამ კუთხით, ყურადსაღებია ინტერნეტ პორტალი “drevlit.ru”, სადაც განთავსებულია ძველი რუსული და რუსულად თარგმნილი უცხოური წყაროები, ან ამ უკანასკნელთა ინტერპრეტირებული ვარიანტები. თუ საძიებო სისტემაში „სამხრეთ ოსეთს“ (Южная Осетия) მივუთითებთ, მოძებნილი ხელნაწერების სიაში ვნახავთ XVIII-XIX საუკუნეების (შემდგომი პერიოდისაც) მასალების როგორც ორიგინალებს, ისე უცხოურენოვანი ხელნაწერების რუსულ თარგმანებს. XVIII-XIX საუკუნეების ხელნაწერთა დედანში არსად სამხრეთ ოსეთი არაა ნახსენები; მაგრამ თარგმნილ ან ინტერპრეტირებულ ნაშრომებში[2]

1 http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi

2 საკმარისად წარმოდგენილ ქართულ დოკუმენტებში, სამხრეთ ოსეთი საერთოდ არ განიხილება

„სამხრეთელი ოსები“ ან „საქართველოს ოსები“ „სამხრეთ ოსეთით“ არის ჩანაცვლებული. საყურადღებოა, რომ იმ პერიოდის ხელნაწერებში ოსეთი არ არის დიფერენცირებული ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთად, ხოლო „ოსეთში“ ჩრდილოეთი ოსეთი იგულისხმება[1]. არც თუსო არსად არ არის მოხსენიებული ისტორიულ ოსეთად და სამხრეთ ოსეთის ნაწილად.

1770 წლის 5-აპრილს ერეკლე II სასახლის კარზე შედგენილ და რუსეთის რწმუნებულ ანტონ რომანის ძე მოურავოვისათვის (თარხნიშვილისათვის) გადაცემულ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს მოსახლეობის ნუსხაში (ამ დოკუმენტის რუსული თარგმანი წარმოდგენილია აღნიშნულ საიტზეც) ვკითხულობთ: „*არს სახასო ოსი ნარა, შპა, კუდარო. კომლი: (1400); არს არაგვის ოსი. ზახას თრუსოს ჭვრივს და ხადას და ღუდას. ათას ორასი; არს ქსნის ოსი, კომლი ორი ათასი; არს მაჩაბლის ოსი: რვაას სამოცი*“[2]; ამავე აღწერაში არც გორში და არც ცხინვალში ოსური მოსახლეობა არ ფიქსირდება.

თრუსოს, როგორც ოსების ისტორიული სამშობლოს აპოლოგეტებს ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავთ ოსური ნართული თქმულება „ღმერთის სამი ცრემლი“; ეს გადმოცემა ნართების ეპოსის გმირს, ბათრაძს უკავშირდება და თარანჯელოზის, მიქალგაბირთასა და რექომის სალოცავების დაარსების შესახებ მოგვითხრობს[3]. ნართი ბათრაძის დაღუპვის შემდეგ ღმერთმა ძუარებსა და ანგელოზებს უბრძანა ჭაბუკი დაეკრძალათ სოფიის აკლდამაში, მაგრამ ვერც მათ და ვერც თორმეტმა უღელმა ხარმა ბათრაძის ცხედარი ვერ დაძრეს. მაშინ, ღმერთის რჩევით, ძუარებმა თუთირის დღესასწაულზე დაბადებული ორი მოზვერი შეაბეს უღელში და ბათრაძის ცხედარი აკლდამამდე აიტანეს. მისი შიგ შეტანა რომ გაუჭირდათ, ანგელოზებმა ისევ ღმერთს მიმართეს; ღმერთმა ციდან სამი ცრემლი ჩამოაგდო, რის შემდეგაც ანგელოზებმა ცხედარი აკლდამაში თავისუფლად შეასვენეს და დამარხეს; ხოლო იქ, სადაც ღმერთის სამი ცრემლი დაეცა, სამი სალოცავი აღიმართა: თარანჯელოსი, მიქალგაბირთა და რექომი[4]. სალოცავები აღიმართნენ ოსეთის 3 ხეობაში: რექომი – ვალაგირში, მიქალგაბირთა – თუალში და თარანჯელოსი – თრუსოში.

თრუსოში ღმერთის ცრემლის დაცემის ადგილზე თარანჯელოსის სალოცავის წარმოქმნის თქმულებას პოპულისტურ-პროპაგანდისტული ხასიათის მედია ამ ტერიტორიის ოსების ისტორიულ სამშობლოდ და მათ საკრალურ ადგილად წარმოდგენის „საბუთად“ იყენებს. ეს იდეა მუსირებს ალინა თუაევას (რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის წევრი) საგაზეთო წერილებსა თუ დოკუმენტურ ფილმებში, რომელიც თრუსოსა და კობის თემატიკას ეძღვნება. ფილმში „თირშიგომი, ოსების წმინდა სამშობლო“ (2014) თრუსო ოსების საკრალურ ტერიტორიად, წმინდა ადგილად იხსენიება, სადაც საუკუნეების მანძილზე თანა-

---

და ნახსენებია მხოლოდ სამხრეთელი ოსები, ხოლო აღმოსავლეთ ოსეთზე საუბარი არც კი არის.

1 http://drevlit.ru/drevlit_rs.php?q=%20%D0%AE%D0%B6%D0%BD%D0%B0%D1%8F%20%D0% 9E%D1%81%D0%B5%D1%82%D0%B8%D1%8F

2 ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, 1973, №1, გვ.152-153.

3 Ж. Дюмезиль Осетинский эпос и мифология. Владикавказ 2001. стр.71-73.

4 ნართები, თბილისი 1988, გვ. 272; ხ.მამისიმედიშვილი, ოსური ფოლკლორი, თსუ, თბილისი 2015, გვ. 94-95.

მედროვე ოსების წინაპრები ცხოვრობდნენ და რომელიც, თურმე, ქართველებს მოუწყვეტიათ ისტორიული ოსეთისათვის. ინტერნეტ პორტალ "Ossetia News"-ზე დაიდო ა. თუაევასთან ინტერვიუ, რომელიც ამ ფილმის საჯარო ჩვენების წინ იქნა ჩაწერილი; იგი ამბობს:

„ამ ფილმში ზუსტად მინდოდა მეჩვენებინა, რომ ეს არ არის მხოლოდ ოსეთის ერთიანი ორგანიზმიდან მოწყვეტილი ტერიტორია. ეს არის საკრალური ტერიტორიის ნაწილი, ანუ მთიანი ტერიტორია! ის უბრალოდ დაბლობის ერთი მონაკვეთი კი არ არის, რომელიც შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის, არამედ ეს წმინდა მიწაა! და ამ მიწაზე მდებარეობს ერთერთი მთავარი სალოცავი! ღმერთის სამი ცრემლი ყველამ იცის – რეკომი, თარანჯელოზი და მიკალგაბირთა! და სახელდობრ თრუსოს ხეობაში, თირშიგომში არის თარანჯელოსი, და ამის გარდა კიდევ 64 წმინდა ადგილი! წარმოიდგინეთ, რა წაგვართვეს ქართველებმა!"[1]

სალოცავების სახელწოდებები – მიქალგაბირთა და თარანჯელოსი უპირობოდ ქართული წარმოშობისაა – მთავარანგელოზი და მიქელგაბრიელი. როგორც ქართველი და არაქართველ მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს, მთავარანგელოზთა კულტი ოსეთში საქართველოდან შევიდა, რაც სათანადო ისტორიული წყაროებიდანაც ჩანს. მეფე თამარის დავალებით XII საუკუნეში წალკის ეპისკოპოსს თრუსოსა და ზაყის ხეობების მოსახლეობა გაუქრისტიანებია და იქ მთავარანგელოზთა ეკლესიები აუგია.[2]

ამ საკითხზე წერს მოგვიანებით სარმატ კოზაევი წერილში „სამშობლოსგან მოწყვეტილი აღმოსავლეთ ოსეთი: დავიბრუნოთ, დავიწყება შეუძლებელია": *„იქ არის კერა სადაც ჩაისახა სამი ოსური საზოგადოება და ოსეთის ერთ-ერთი სიწმინდე თარანჯელოსის სალოცავი. მაგრამ ამასაც მოუძებნა ქართულმა მეცნიერებამ „ახსნა". ქართველი მეცნიერები, ოსების ავტოქტონობის ჭეშმარიტი ფაქტის უარყოფის უსუსურ მცდელობაში აბსურდულ შეთანხმებამდე მივიდნენ, რომ თითქოს ეს ძეგლები აშენებული იყო ოსი მეცხვარეების მიერ, რომლებსაც სამხრეთიდან და ჩრდილო ოსეთიდან საქართველოში ცხვარი გადმოჰყავდათ"*[3].

ოპონენტთა დიდი სურვილის მიუხედავად, ფაქტობრივად ოსურ სიწმინდეებად წარმოდგენილი თრუსოში არსებული ეკლესიები ქართული არქიტექტურის ნიმუშებია (იხ. გ.ბაგრატიონის ნაშრომი ამავე წიგნში) ისევე, როგორც ეჭვსაც კი არ იწვევს იმავე დოკუმენტურ ფილმში ნახსენები სხვა „ოსური სალოცავების" – სანიბა (შანიბა) – სამების, ლომიშ – ლომისას, ქართული წარმომავლობა. უდავოა, რომ ქართული ადგილობრივი კულტები და საკულტო ძეგლები თრუსოში (ასევე კობში, ღუდაში) ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული ოსების მიერ იქნა გათავისებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რ. თოფჩიშვილის მიერ დაფიქსირებული გადმოცემა, ღუდის ხეობაში ოსების მოსულობის და მათი იქ დამკვიდრების შესახებ. ავტორის მასალებში ვკითხულობთ, რომ „ოსები სულ არ ყოფილან არაგვისა და ღუდის ხეობაში წინეთ". ღუდაში თავდაპირველად ამანათად მოსულა რუბაევის გვარის კაცი, რომელიც ყარაულად დაუყენებიათ, რათა დანარჩენ ოსებს მათთვის ზიანი არ მიეყენებინათ. მერე ამ ოსს თავისი

1 https://www.youtube.com/watch?v=0yezlpx7XP8

2 ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, უნივერსალი, თბილისი 2017, გვ. 329.

3 С. Козаев, Отрезанная от дома Восточная Осетия: вернуть, нельзя забыть https://southossetia.info/otrezannaya-ot-doma-vostochnaya-osetiya-vernut-nelzya-zabyt/

ნათესავები – სამაევი, გადიევი, ყორიევი და სხვები მოუყვანია. ოსები თანდათან მომრავლებულან, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არაგვის (ღუდა) ხეობაში წინ წამოუწევიათ და სოფლები ქვემო განისი, ზემო განისი და მიქეთი დაუარსებიათ. ეს სოფლები ბუთხუზებისა და გაგაძეების კუთვნილ სათიბ, სახნავ და საძოვარზე დასახლებულა, ხოლო ოსები რომ მომრავლებულან და მომაგრებულან, ეს ადგილები დაუჩემებიათ და ბუთხუზებისა და გაგაძეთათვის დამორჩილებაზე უარი უთქვამთ. გაგაძეთ და ბუთხუზებს რომ საშვილიშვილოდ არ დაეკარგათ თავისი მამა-პაპის მამული, ის ხთიშობლისთვის შეუწირავთ და კულუხი და ბეგარა დაუდვიათ. დროთა განმავლობაში მერე ოსები ღუდაში დეკანოზები გამხდარან და ბუთხუზები ჩაუნაცვლებიათ."[1]

მიგრირებული ეთნიკური ჯგუფის კულტურის მოდიფიკაცია განსხვავებულ კულტურასთან კონტაქტის შედეგად, იგივე აკულტურაცია, ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს პროცესი გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის დამოკიდებულების ან ქცევის ცვლილებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კულტურული ელემენტების შერევა ან შერწყმა. თანამედროვე კვლევებში ტერმინი *აკულტურაცია* გამოიყენება განსხვავებულ კულტურათა ურთიერთმოქმედების პროცესისა და შედეგის აღსანიშნავად, რომლის დროსაც რეციპიენტები – ერთი კულტურის წარმომადგენლები ან მათი ნაწილი, მეორე, დონორი კულტურის ნორმებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს ითვისებენ[2]. ეს არის უცხო კულტურულ გარემოში ხანგრძლივი ცხოვრების შედეგი, რასაც ახასიათებს ინდივიდუალური ან ჯგუფური ცნობიერების შედარებით სტაბილური ცვლილება გარემო მოთხოვნების შესაბამისად.[3] ამერიკელი ანთროპოლოგი ალფრედ კრებერი აკულტურაციაში ერთი კულტურის მიერ მეორეში შეტანილ ცვლილებებს გულისხმობს, რის შედეგადაც იზრდება მსგავსება მათ შორის. ამ ტიპის ცვლილება შეიძლება იყოს ორმხრივი, თუმცა, ძალიან ხშირად, ეს პროცესი ასიმეტრიულია და ერთი კულტურა მეორეს, როგორც წესი, ნაწილობრივ შთანთქავს[4]. ჯონ ბერი, რომელიც ინტერკულტურულ ფსიქოლოგიას შეისწავლის, განასხვავებს აკულტურაციის 4 სტრატეგიას: ასიმილაციას, სეპარაციას, მარგინალიზაციას და ინტეგრაციას[5]. თუ წინამდებარე წიგნის სხვა ავტორების კვლევას და მათ შედეგებს აკულტურაციის კუთხით შევხედავთ, თრუსოელი ოსების შემთხვევაში, ძირითადად ინტეგრაციაზე უნდა ვილაპარაკოთ. დღეს, შესაბამისი წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, ზუსტი სურათის ჩვენება რთულია; თუმცაღა, ამ პროცესის წარმოდგენა შესაძლებელია: ჩრდილოეთიდან თრუსოს ხეობაში მიგრირებულ ოსებს ადგილზე ხვდება დვალური მოსახლეობა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს ჯგუფები თანაცხოვრობენ, დვალთა ნაწილი ტოვებს ხეობას, ნაწილი რჩება; ხდება მიგრანტთა ინტეგრაცია ადგილობრივ ჯგუფთან – ოსები ითვისებენ დამხვდური ჯგუფის კულტურის ელემენტებს (საცხოვრებელი

1 რ. თოფჩიშვილი, „მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ქართლის ეთნოგრაფიული მასალები 1981-1983 წლები", მწიგნობარი, თბილისი, 2020, გვ. 19.

2 А.П. Садохин. Введение в теорию межкультурной коммуникации, Москва, 2005. стр.130-136.

3 Д.У. Берри. Аккультурация и психологическая адаптация,журн. Развитие личности. – 2002. — № 1. ст 291-296.

4 A. L. Kroeber, 1948 Anthropology: Race, Language, Culture, Psychology, Prehistory. New York and Burlingame: Harcourt, Brace & World, Inc.pp.425-428.

5 J.W. Berry 1996 Handbook of Cross-cultural Psychology: Social behavior and applications, vol.3.Boston, pg.296.

თუ სამეურნეო ნაგებობების ტიპები, მშენებლობის ტექნიკა, მეურნეობის სახეები, რელიგიური კულტები და ტრადიციები და სხვ.). დროთა ვითარებაში ოსური ელემენტი მძლავრობს დვალურზე, ის ხდება დომინანტი და ახდენს დარჩენილი დვალური მოსახლეობის ასიმილაციას. რაც შეეხება თარანჯელოსს, რომლის სალოცავიც ზაქაგორის მოპირდაპირე მთაზეა აღმართული, ის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშია – მთავარანგელოზის ეკლესია (იხ. წიგნის სათანადო ნარკვევი – ავტორი გ. ბაგრატიონი), რომელიც აქ მოსულმა ოსებმა გაითავისეს. ეს ფაქტი კი აკულტურაციის პროცესის იმ პერიოდის გამოძახილი უნდა იყოს, როდესაც ამ კუთხეში მთავარანგელოზი ჯერ კიდევ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (დვალების) თაყვანისცემის ობიექტი იყო.

ა. თუაევამ ჯერ კიდევ 2007 წელს რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთ—ალანიის საინფორმაციო პორტალზე გამოაქვეყნა წერილი „Трусовское ущелье. Почему оно за границей?“ (თრუსოს ხეობა. რატომ არის ის საზღვარგარეთ?); იგი აღნიშნავდა, რომ ისტორიული უსამართლობის, რუსი პოლიტიკოსების წინდაუხედაობის და ბედის მზაკვრული პერიპეტიების შედეგად 65 ოსური გვარის სამშობლო (მოგვიანებით ზემოხსენებულ მისსავე ფილმში 65 გვარი 64-მა შეცვალა) – თრუსოს, ღუდას ხეობა და კობის ქვაბული დღეს 33 ოსური სოფლის წარმომადგენლისთვის მიუწვდომელ საზღვარგარეთად იქცა. ავტორი აღნიშნულ ტერიტორიებს ცენტრალურ ოსეთად მოიხსენიებს და დაასკვნის, რომ ეს მიწები, უსამართლოდ, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, ამჟამად საქართველოს შემადგენლობაშია; ისტორიული, ნარატიული თუ სხვა წყაროების მოშველიებით, იგი ცდილობს დაასაბუთოს აღნიშნული ტერიტორიის ოსებისადმი კუთვნილება და გვარწმუნებს, რომ ეს ტერიტორია ქართული არასდროს ყოფილა, რადგან აქ ქართველებს საერთოდ არ უცხოვრიათ და არც მათი ოდესღაც ამ მიწებზე ბინადრობის მტკიცებულება არ არსებობს. ოსების კავკასიაში დამკვიდრების ხანად იგი ჩვ. წ-მდე მე-7 საუკუნეს განიხილავს – მათი წინაპარი სკვითების დარიალის ხეობით კავკასიაში შემოსვლის პერიოდს. წერილში საუბარია თრუსოს 7-ჯერ გაუკაცრიელებაზე, ხოლო თანამედროვე ოსების წინაპრების ხეობაში საბოლოოდ დამკვიდრება მე-15 საუკუნეში უნდა მომხდარიყო. ა. თუაევა იშველიებს ვახუშტის ცნობებს, რომ მე-17 საუკუნეში თრუსოში 8 ოსური დასახლება არსებობდა, ხოლო აქ შემორჩენილ ნაგებობათა უმრავლესობას იმ პერიოდის ძეგლებად ასახელებს. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ „პერესტროიკის“ შემდგომ, ერთ დროს უმდიდრესი კოლმეურმეობების მქონე ოსური სოფლები უმალ გაღარიბდა. დღეს აქ ცივილიზაციის ნასახიც კი არ არის – არ არის მედპუნქტი, არც მაღაზია, არც ფოსტა და ა.შ., ხოლო საქართველოს ხელისუფლებას სულაც არ ანაღვლებს ოსების ბედი. წერილის ძირითადი მიზანია მკითხველი დააჯეროს რომ აღნიშნული ხეობების 33 ოსურ სოფელში ოსების გარდა არასოდეს არავის უცხოვრია და ეს ტერიტორია ოსეთისაა. ავტორს უკვირს, რომ ოსების კუთვნილი მიწების საკითხი ოსეთში მანამდე არ დასმულა და განხილულა, თანამოძმეების ყოფით არავინ არ დაინტერესებულა და ამ რაიონში სსრკ-ის დაშლის შემდეგ ჩრდ. ოსეთიდან ერთი სამთავრობო კომისიაც კი არ გაუგზავნიათ. თუაევა ბოლოს ხაზს უსვამს, რომ, ყაზბეგის ოსურ მოსახლეობას აქვს რუსეთის მოქალქეობა და მათი მთელი ცხოვრება დღემდე დაკავშირებულია მხოლოდ ვლადიკავკაზთან და არა თბილისთან; იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამ ხეობების შესახებ უფრო დეტალურ ანალიზს ისტორიკოსები და პოლიტიკოსები მოახდენენ[1], რაც, მოხდა კიდეც ოსებისთვის და

1 http://iratta.com/2007/01/08/trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicejj.html

კრემლისთვის სასურველი მიმართულებით და ეს გამოწვევა, დაგორებული თოვლის გუნდის პრინციპით ამოქმედდა. პროპაგანდისტული ხასიათის ოსურ პუბლიკაციებსა თუ ფილმებში ქართული მიწების ხელში ჩაგდების თემა ოსური/რუსული გეგმის ერთგვარ ქარგადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ყაზბეგის ოსების და მათთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილ ჩემ ნაშრომში[1] სპეციალური ქვეთავი ეხებოდა სინფორმაციო ომს, სადაც შევეცადეთ გვეჩვენებინა მედიის როლი ამ მიმართულებით. წიგნში განვიხილავდით იმ ქართული და არაქართული (ძირითადად რუსულენოვანი) მედიის მონაცემებს, სადაც იკვეთებოდა ოსური მხარის პრეტენზიები ქართულ ტერიტორიებზე და მათი მითვისების მცდელობები; ეს იყო 2009 წლიდან 2016 წლამდე პერიოდის ბეჭდური მასალებისა თუ სოციალურ ქსელში განთავსებულ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიმოხილვა. ამაზე დაწვრილებით შეჩერებას არ ვაპირებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იმ პერიოდის საინფორმაციო სივრცეში, როგორც ოს /რუს პოლიტიკოსთა, ისე მეცნიერთა და ფართო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ პერმანენტულად ხდებოდა თრუსოს პრობლემის წამოწევა, აქცენტირება იმისა, რომ თრუსოს ხეობა (კობი, ღუდა) ოსური ტერიტორიებია, რომ ის ქართველებმა მიიტაცეს და უნდა დაუბრუნდეს უკან ოს ხალხს. ხდებოდა ათასგვარი სიყალბის და ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება. შესაბამისად, ამ საკითხებს ქართული მხარეც აშუქებდა და ცდილობდა დაემტკიცებინა ოსურ მედიაში არსებული ფაქტებისა და მოვლენების სიყალბე. ქართულ პრესაში აჟიოტაჟი იყო ატეხილი ისეთი პრობლემის გარშემო, როგორიც იყო ლარსის საბაჟოს გახსნა, რაც უპირველესად რუსეთის ინტერესებში შედიოდა. გამშვები პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით იწერებოდა საპროტესტო წერილები. ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ამის წინააღმდეგი იყო, რადგან შიშობდა, რომ ყაზბეგის ოსურ სოფლებში დაბრუნებული ოსები ქართველებს დაუპირისპირდებოდნენ, ქართველები პროვოკაციებს წამოეგებოდნენ, რუსები კი თავიანთი მოქალაქეების დაცვის საბაბით, მათ დასახმარებლად ყაზბეგის რაიონში შევიდოდნენ (ცხინვალის სცენარის მსგავსად) და ასე დაიკავებდნენ სასურველ ტერიტორიას[2]. ლარსის გამშვებ პუნქტთან დაკავშირებულ ვითარებას შეგნებულ აჟიოტაჟს უწოდებდა მოხევეთა სათემო კავშირის ყოფილი წევრი ზ. წიკლაური. მისი შეხედულებით, *„ეს არის პოლიტიკური დაკვეთა რუსული ინტერვენციისთვის, რასაც კარგა ხანია რუსები ამზადებენ... ეს არის რუსული პოლიტიკის ნაწილი ...“*.[3]

მაშინ ვწერდი, რომ ამ ე.წ. საინფორმაციო ომში ქართული მედიის წარმომადგენლებს არც თუ ისე ხშირად მოჰყავდათ მეცნიერულად გამყარებული კონტრარგუმენტები და ისინი ძირითადად ფაქტების კონსტატაციით იფარგლებოდნენ. ასევე აღვნიშნავდი, რომ ქართულ მედიაში ქართულად გაჟღერებული ინფორმაცია ზოგადად არ იყო ხელმისაწვდომი რუსულენოვანი აუდიტორიისთვის. ის იშვიათად ითარგმნებოდა რუსულ ან ინგლისურ ენებზე და არც სამეცნიერო ხასიათის წერილები არ იყო რუსულ ენაზე სათანადოდ წარმოდგენილი, სადავო საკითხებზე მსჯელობა ქართულ მხარეს დიდწილად ქართულ ენაზე უხდებოდა, ოსური მხარე კი, ძირითადად, რუსულად ახდენდა

1 ნ. ჯალაბაძე, ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში, თბილისი, 2017.

2 http://expertclub.ge

3 მ. ოთარაშვილი, რატომ ვერ ბრუნდებიან ყაზბეგელი ოსები თრუსოს ხეობაში?, გაზეთი „რეზონანსი“, 02.03. 2012.

ინფორმაციის გავრცელებას; ხოლო, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ ბევრად დიდი აუდიტორია ჰყავთ რუსულენოვანი მომხმარებლის სახით, საინფორმაციო ომში მათ თავიდანვე მოგებულის პერსპექტივა ჰქონდათ[1].

რაც შეეხება კონკრეტულად თრუსოს თემას, აღსანიშნავია, რომ ქართულ პრესაში 2011-2012 წლებში, წინა წლებთან შედარებით, ის ნაკლებად შუქდება, რაც, სავარაუდოდ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცაღა, ეს საკითხი ოსურ მედიაში კვლავ აქტიური განხილვის საგანია და მუდმივად ფიქსირდება განცხადებები ცხინვალის კონტროლის ქვეშ თრუსოს გადასვლის შესახებ.

ოსების/კრემლის ინტერესი ქართული მიწებისადმი 2016 წლის შემდგომი პერიოდის ოსურ მედიაშიც სათანადოდ დაფიქსირდა: **თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა თრუსოსა და კობის ხეობების მიმართ პრეტენზიებს კვლავაც გამოთქვამს, მას დე ფაქტო რესპუბლიკის „განუყოფელ ნაწილად“ მოიხსენიებს და „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენის აუცილებლობაზე ლაპარაკობს...**[2]

2017 წელს გამოდის ა. თუაევას პროპაგანდისტული ხასიათის კიდევ ერთი დოკუმენტური ფილმი: „უცხოეთად ქცეული სამშობლო, თრუსოს ხეობა და კობი” (Родина ставшая заграницей. Трусовское ущелье и Коби),[3] რომლის მთავარი მიზანიც ისევ თრუსოსა და კობის, ე. წ. აღმოსავლეთ ოსეთის, ოსების ისტორიულ სამშობლოდ წარმოჩენა და ამ სტერეოტიპის გამყარებაა. ფილმის ქარგა თრუსოს თემაზე მისი პუბლიკაციების და წინა ფილმის ქარგას იმეორებს; რეჟისორი კვლავ ხაზს უსვამს ღმერთის სამი ცრემლის ლეგენდას თრუსოში თარანჯელოსის სალოცავის დაარსების შესახებ და ეს სალოცავი თანამედროვე ოსების წინაპრების უძველესი ხანიდან თრუსოში ცხოვრების საბუთად მიაჩნია. ფილმში ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მართალია, თრუსოში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, მაგრამ არქიტექტურული ძეგლები და საკულტო ნაგებობები ცხადყოფს, რომ ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ერთადერთი – ოსი ხალხი ცხოვრობდა და საქართველოს ყაზბეგის რაიონს ის არ ეკუთვნის. ფილმის რეჟისორი და ტექსტის ავტორი კვლავ აქცენტს აკეთებს თრუსოს 13 ოსურ სოფელზე, მაგრამ აქ უნებლიედ ისეთი შეუსაბამობა ეპარება, რაც ოსთა უძველეს ისტორიულ სამშობლოდ თრუსოს წარმოჩენის ისედაც უსუსურ თეორიას თავდაყირა აყენებს. საუბარია 13 სოფელში მცხოვრებ 52 გვარის წარმომადგენლებზე, რომლების არიან, ”выходцы из различных ущелии Северной Осетии” (წარმოშობით ჩრდილოეთ ოსეთის სხვადასხვა ხეობიდან); ანუ, პირდაპირ ახცადებს, რომ თრუსოს მოსახლეობა აქ ჩრდილოეთიდან არის ჩამოსახლებული. ფილმში ერთგვარი მოკლე ისტორიაც არის იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ოსური მიწები საქართველოს იურისდიქციაში: *„ეს უხეში შეცდომა და ისტორიული უსამართლობა ჩაიდინეს საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობისას, როდესაც მეფის მოხელეთა კომფორტისათვის, სტანცია ყაზბეგამდე მდებარე გზისპირა დასახლებები მიაკუთვნეს ვლადიკავკაზს, ყაზბეგის მერე კი ტიფლისის გუბერნიის დუშეთის უეზდს. ასე აღმოჩნდა ოსური სოფლები*

1 ნ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი.

2 ლ. პაპასკირი, „ასეთ განცხადებებს რუსეთთან შეთანხმების გარეშე არ აკეთებენ” – ოსებს თვალი ისევ თრუსოს ხეობაზე უჭირავთ, 2018, https://www.kvirispalitra.ge

3 ამ ეტაპზე აქვს 12.400 ნახვა youtobe-ზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში, მაშინ როდესაც ოსეთი, რომელიც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს, და ასევე თრუსოს, ღუდის და კობის მცხოვრებნიც, ერთგულების ფიცს რუსეთს აძლევდნენ და არა საქართველოს; საქართველომ, გადაწყვიტა რა გამოსვლა რუსეთის შემადგენლობიდან, რატომღაც მიიტაცა ტერიტორიები, რომელიც არასდროს მას არ ეკუთვნოდა".

ბოლო წლებში თრუსოს თემასთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „სამხრეთ ოსეთი დღეს". 2019 წელს დაიბეჭდა ს. კოზაევის წერილი, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ – „სამშობლოსგან მოწყვეტილი აღმოსავლეთ ოსეთი: დავიბრუნოთ, დავიწყება შეუძლებელია"[1]. ავტორს თავისი წერილი პერიოდების მიხედვით აქვს დაყოფილი, მოყოლებული ძველესი ხანიდან, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების ჩათვლით, ბოლო ქვეთავს კი „განგაშის დროა" ეწოდება. ეს არის, სადავო ტერიტორიების ოსების საკუთრებად წარმოჩენის მცდელობა, რაც გაყალბებულ ისტორიას და შეთხზულ ამბებს ემყარება. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ 2009 წლიდან მოყოლებული (და უფრო ადრიდანაც) დღემდე არ იცვლება რიტორიკა, ობიექტები და აქტორები. კვლავ ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ ოსეთის ტერიტორია ერთ-ერთი უძველესია, სადაც ოსების ჩამოყალიბება და განსახლება მოხდა, რომ თრუსოს, დარიალის, კუდის (ღუდას) ხეობები და კობის ქვაბული იყო ოსების აღმოსავლეთი ფორპოსტი. კვლავ ხდება უძველეს ავტორთა, რუსი და უცხოელი მოგზაურებისა და მკვლევრების ნაწერთა ტენდენციურად მოხმობა, გაყალბებულია სტატისტიკური მონაცემები და ა.შ. მაგალითად, თავისი არგუმენტების გასამყარებლად, ავტორი იშველიებს ბორის კალოევის მოსაზრებას: „*ბორის კალოევი წერს, თრუსოს ხეობა ოსებით დასახლებული ყოფილა მონღოლთა შემოსევამდე დიდი ხნით ადრე და ამის დამადასტურებლად მას მოჰყავს შუა საუკუნეების ძეგლები: ალანური სასაფლაოები (села Берозтикау, Абана, Шуатис), მიწისქვეშა აკლდამები (სოფელი რესი) რასაც აღიარებენ ქართული წყაროებიც. ეს არის ასევე სირიულ–ნესტორიანული წარწერა რომელიც 1957 წელს იქნა აღმოჩენილი უძველეს სასაფლაოზე თრუსოს ხეობაში მდინარე შუათიშიდონთან. წარწერა არის შედგენილი ირონულად და თარიღდება 1326 წლით*".

ეს სირიულ-ნესტორიანული წარწერა კი სინამდვილეში ქართული ანბანით შექმნილი ტექსტია, რომლის შესახებაც საუბარია წიგნის სათანადო მონაკვეთში.

აბსურდულია წერილის ავტორის მტკიცება, რომ „*აღმოსავლეთ ოსეთის ყველა ტოპონიმი ოსური წარმოშობისაა: მდინარეების, მთების, ხეობების, სოფლების სახელები ოსურია. დარიალის ხეობასაც კი არვიკომს ეძახდენ. არ არსებობს უძველესი ქართული არქეოლოგიური ძეგლები, არ არსებობს წარსულში ამ ტერიტორიაზე ქართველთა ყოფნის დამამტკიცებელი საბუთი. აღმოსავლეთ ოსეთში ქართველების მასიურად დასახლება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა, რათა გაეთიშათ ოსური მოსახლეობა*".

ქვეთავ „საბჭოთა პერიოდში" ავტორი საუბრობს ოსთა დისკრიმინაციაზე ქართველთა მიერ და სხვა ისტორიების გვერდით საუბრობს ინგუშთა დეპორტაციის შემდგომ პერიოდზე: „*1944 წელს ინგუშების დეპორტაციის შემდეგ, აღმოსავლეთ ოსეთის მოსახლეობის ნაწილი გადასახლდა ინგუშეთის ტერიტო-*

1 С. Козаев, Отрезанная от дома Восточная Осетия: вернуть, нельзя забыть, газ. Южная Осетия Сегодня. 31.08.2019.

რიაზე. ინგუშების რეაბილიტაციის შემდეგ, როდესაც მათ ოსებს უკან გაბრუნება სთხოვეს, საქართველოს სსრ ხელისუფლებამ ოსები აღმოსავლეთ ოსეთში, თავიანთ სამშობლოში არ მიიღო და ისინი ჩრდილოეთ ოსეთში დაასახლეს. მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საქართველო აღმოსავლეთ ოსეთში მცხოვრები ოსების დისკრიმინაციას ახდენდა. ოსური სოფლების მეზობლად მყოფი ყაზბეგის და დუშეთის რაიონების სოფლები აყვავდნენ, ხოლო ოსებისთვის არ იყო შექმნილი მინიმალური ინფრასტრუქტურაც კი".

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინგუშთა რეპატრიაციის შემდეგ, ოსებმა არ დაუბრუნეს მათ თავიანთი სამოსახლო და ინგუშთა ადგილები დაისაკუთრეს, ხოლო დღემდე არსებული განხეთქილება ოსებსა და ინგუშებს შორის აქედან მომდინარეობს[1]. წერილში მოტანილი არაობიექტური ინფორმაცია კი ანტიქართული განწყობის ჩამოყალიბებას ემსახურება.

ეს შედარებით ვრცელი ამონარიდები აქ იმიტომ მოვიტანე, რომ ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება ყალბი ინფორმაციის ტირაჟირება მედია საშუალებებით და ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენება. ეს მეთოდები კი გულისხმობს: 1. **ობიექტური რეალობის უგულებელყოფას** (პროპაგანდა ეფუძნება შეთხზულ ამბებს, რეალური ფაქტების დამახინჯებას, ამბის ან სიახლის კონტექსტიდან ამოღებას და კრემლისთვის სასურველი კუთხით გაშუქებას); 2. **ინფორმაციის სიხშირეს, უწყვეტობას და განმეორებადობას** (პროპაგანდა იქმნება სწრაფად და უწყვეტად. ხშირ შემთხვევაში ხდება ძველი დეზინფორმაციის ხელახლა გავრცელება და ტირაჟირება, რათა სასურველი გზავნილის აქტუალობამ არ იკლოს); 3. **პროპაგანდის ობიექტის დაბნევას** (მთავარი გათვლა არა ტყუილის სიმართლედ წარმოჩენაა, არამედ ფაქტების დამახინჯებით მაყურებლის/მკითხველის დაბნევაა, რათა მან ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის მიღებით ვეღარ შეძლოს რეალური სურათის დანახვა)[2].

ანტიქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თრუსოს საკითხი

თრუსოსა და კობის საკითხის გააქტიურება ვლადიკავკაზში არსებულ რამდენიმე ანტიქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის („დარიალი", „გაერთიანებული ოსეთისთვის", „ყაზბეგი") საქმიანობასთან არის დაკავშირებული[3].

2008 წლის 21 დეკემბერს ვლადიკავკაზში დაარსდა ორგანიზაცია „დარიალი", რომლის ხელმძღვანელიც რუსეთის შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი გაირბეკ სალბიევია. იგი წარმოშობით თრუსოდან არის. ორგანიზაციაში საკმაოდ ბევრი ადამიანია გაწევრიანებული, ძირითადად 1990-იანი წლების კონფლიქტის დროს და შემდგომ ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასული პირები, არიან ქართველებიც. „დარიალის" ლიდერმა, ორგანიზაციის პირველსავე შეკრებაზე ყაზბეგი, თრუსოს და დარიალის ხეობები „აღმოსავლეთ ოსეთად" გამოაცხადა. მისი პოზიციით, არა მარტო კობი და თრუსო, არამედ

1 ნ. ჯალაბაძე, ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა, ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში, თბ, 2006, გვ. 86-87.

2 ლ. ავალიშვილი, გ.ლომთაძე და ს.ქევხიშვილი, კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ. პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, 2016, გვ. 5.

3 ქ. ლუკიანოვიჩი, დასახ. ნაშრომი, 2015, გვ. 123.

მთელი ყაზბეგის რაიონი ოსების კუთვნილი მიწებია და ეს ტერიტორიები საქართველოს მიერ არის ოკუპირებული; ოსებისთვის საზღვარს მუდამ პირობითი დატვირთვა ჰქონდა და მათ ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ყაზბეგის რაიონი ოსეთის ნაწილი იყო. 2010 წელს უცნობი ქართველი ინფორმატორის მიერ გავრცელდა ცნობები ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ აქ იგეგმებოდა საქართველოსთვის თრუსოს ხეობის და გუდაურის წაგლეჯა. ითქვა, რომ ორგანიზაციაში ჰქონდათ რუკები და პროექტები, სადაც ჩამოყალიბებული იყო, თუ როგორ უნდა შეერთებოდა თრუსოს ხეობის გავლით ცხინვალის მხარე კობსა და გუდაურს. ისიც ითქვა, რომ *„ორგანიზაციის შეხვედრაზე სომხეთის წარმომადგენლები*[1] *ოსებს ისეთი დოკუმენტების შედგენას შეჰპირდნენ, რომ თითქოს სომხეთის ისტორიულ წყაროებში აღმოაჩინეს, რომ ყაზბეგის რაიონი ალანთა ძირძველი მიწაა, საიდანაც ოსები ქართველმა მეფეებმა განდევნეს. სომხეთის წარმომადგენლებმა განუმარტეს დამსწრეებს, რომ საქართველოს ისტორია სომხური წყაროების მონაცემებზეა შექმნილი...“*[2]. ამის შემდეგ გ. სალბიევმა არაერთხელ დასვა ყაზბეგის რაიონში ოსების „დაბრუნების“ საკითხი და განიხილა რაიონის სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში შესვლის შესაძლო გზები; მისი მოთხოვნა იყო საზღვრის ლიკვიდაცია და ყაზბეგის რაიონის პასპორტიზაცია, ხოლო 2010 წლამდე (ე. ი. სანამ გაიხსნებოდა ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი), სავიზო რეჟიმის გაუქმება და საკონტროლო გამშვებ პუნქტზე თავისუფალი მიმოსვლის აღდგენა[3]. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, „დარიალის“ მოთხოვნებს დაემატა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყაზბეგის რაიონის ოსების ისტორიულ მიწებზე შეუფერხებლად დაბრუნების მოთხოვნაც. გ. სალბიევს მიაჩნია, რომ საქართველომ ყაზბეგის რაიონი „სამხრეთ ოსეთს“ უნდა გადასცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის მთავრობა ამ საკითხს საერთაშორისო დონეზე განსახილველად და მოსაგვარებლად გაიტანს. ამ საკითხის მოგვარების შემდეგ კი დაიწყება აქტიური მუშაობა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების თაობაზე[4].

ორგანიზაცია „დარიალი“ და მისი ლიდერი პერმანენტულად აწყობენ პიკეტებს ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტთან, ძირითადად რელიგიური დღესასწაულების პერიოდში, სადაც ითხოვენ წარმოშობით კობელი და თრუსოელი, აწ რუსეთის მოქალაქე, ოსი ეროვნების პირთა ყაზბეგის რაიონში შეშვებას თავიანთ ტრადიციულ რელიგიურ დღეობებზე დასასწრებად და წინაპართა საფლავების მონახულების მიზნით. საქმე იმაშია, რომ 2010 წლის შემდეგ, როდესაც ლარსის საბაჟო გაიხსნა, რუსეთის მოქალაქეები თავისუფლად გადაადგილდებიან და ოსებს თავიანთ სოფლებში დაბრუნებაში ხელს არავინ არ უშლის, მათ უპრობლემოდ შეუძლიათ საზღვრის გადაკვეთა; მაგრამ, ოფიციალურმა თბილისმა ყაზბეგის რაიონში დესტაბილიზაციის მოსურნე რამოდენიმე პოლიტიკურად ანგაჟირებული ინდივიდი (მათ შორის,ზემოხსენებული სამივე ორგანიზაციის ლიდერი) *პერსონა ნონ გრატად* გამოაცხადა და მათ საქართველოში შესვლა აუკრძალა (აღსანიშნავია, რომ ოსური მხარე ამ გადაწყვეტილების შე-

1 ანტისომხური პროპაგანდა ცალკე თემაა რუსული ჰიბრიდული ომის სამხრეთ კავკასიურ სცენარში.

2 http://expertclub.ge

3 http://www.kavkaz-uzel.ru/articles/163460/

4 http://www.frontnews.ge/ge

სახებ წინასწარ გაფრთხილებული იყო); მოწინააღმდეგე მხარე ამ ფაქტს ადამიანის გადაადგილების უფლების დარღვევად თვლის და საქართველოს ხელისუფლებისგან რეაგირებას ითხოვს. სწორედ ამ პირთა ყაზბეგის რაიონში არშეშვებას აპროტესტებს გ. სალბიევი და სისტემატურად აჟღერებს „ადამიანის უფლებების დარღვევის“ ფაქტებს.

ე. წ. „ცენტრალური ოსეთის“ ანუ ყაზბეგის რაიონის „დაბრუნება“ შედის ორგანიზაცია – „გაერთიანებული ოსეთისთვის“[1], პროგრამაშიც. ორგანიზაცია განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში გააქტიურდა მისი ლიდერის ა. ხუგაევის პოზიციით, რომელსაც თავი „ოსი ერის უფლებების დამცველად“ მიაჩნია: *„ოსებს არასდროს მოუხსნიათ თავიანთი წინაპრების მიწების დაბრუნების საკითხი. ქართველ ისტორიკოსებს, ჟურნალისტებს ისტორიული ფაქტების აღიარება არ სურთ. ქართველების აზრით და რწმენით, მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია მათ ეკუთვნოდათ და ყველა ჩრდილოეთ კავკასიელი ერი ქართულ მიწაზე სტუმრად იყო მოსული. ქართველ დიპლომატებს მთავარ არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი გადის ბუნებრივ გამყოფზე – კავკასიონის მთავარ ქედზე. ყაზბეგის რაიონი კი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე; ასეთ „არგუმენტებს“ რა უნდა მოვუხერხოთ?*

ქართველები ამ რეგიონში XIX საუკუნეში გამოჩნდნენ. ოსები ცხოვრობდნენ თრუსოს ხეობაში, კობის ქვაბულში, ღუდას ხეობაში. აქ ყველა ტოპონიმი ოსური წარმოშობისაა: მდინარეები, მთები, ხეობები. აქ არ არსებობს 120 წელზე უფრო ადრინდელი არცერთი ქართული არქეოლოგიური ძეგლი. საქართველოს ხელისუფლება მონდომებით ცდილობს აღმოფხვრას ოსური ტოპონიმიკა და ის ქართულად გადააკეთოს. ყაზბეგსაც კი სტეფანწმინდა გადაარქვეს, რადგან ცნობილ მწერალს, ალექსანდრე ყაზბეგს ინგუშური ფესვები ჰქონდა“[2].

ამ პროპაგანდისტულ ბრძოლაშია ჩართული კიდევ ერთი ორგანიზაცია – „ყაზბეგი“, რომელსაც ს. თუათი ხელმძღვანელობს. ექსპერტების შეფასებით, დღეს „ყაზბეგი“ არის ყველაზე საშიში და ყველაზე გავლენიანი სეპარატისტული სტრუქტურა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დესტაბილიზაციის მიზნით[3], თუმცა, თავისი საქმიანობით და რიტორიკით შედარებით ნაკლებად აგრესიულია. ბოლო დროს ეს ორგანიზაცია ყველაზე მეტად აქტიურობს, რათა საქართველოს მთავრობას მიაღებინოს გადაწყვეტილება ოსების ყაზბეგის რეგიონში შეშვებასთან დაკავშირებით. თუათიმ 2015 წლის იანვარში საქართველოს სახალხო დამცველს გაუგზავნა წერილი, სადაც იგი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ქართველი მესაზღვრეები აღარ უშვებენ ოსებს თავიანთ ყოფილ სახლებში და ითხოვდა რეაგირებას. თუათის, რუსეთის გარდა, ბელგიის მოქალაქეობაც აქვს; როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, დასაშვებია, რომ მან საქმიანობა გაგრძელოს ევროპაში და იქაური ოფიციალური ან არაოფიციალური მხარდაჭერით იბრძოლოს ეთნიკური ოსების ყაზბეგის რეგიონში დასაბრუნებლად[4]. საინფორმაციო საშუალებები-

1 დაარსდა 2004 წ. ვლადიკავკაზში. ლიდერი–ალიხან ხუგაევი.

2 Тарханова, Ж., «Осетины никогда не смирятся с потерей своих земель» 2015.10.02

3 ლუკიანოვიჩი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ.127.

4 ლუკიანოვიჩი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 124-128.

დან ვიგებთ თვით ამ ორგანიზაციების ლიდერებს შორის არსებული განხეთ-ქილების შესახებ; კერძოდ, სერგო თუათიმ დაგმო სალბიევის და ხუგაევის გა-მოსვლები და მას პროვოკაციული უწოდა. იგი აღნიშნავდა, რომ სალბიევს არ ჰქონდა უფლება ელაპარაკა მთელი კობელი ოსების სახელით და, რომ მისი ან-ტიქართული განცხადებები, პირველ რიგში, იმ კობელი ოსი მოსახლეობის სა-წინააღმდეგოდ მოქმედებდა, რომელთაც საქართველოს ხელისუფლებამ მშობ-ლიურ სოფელში შესვლის უფლება არ მისცა[1]. თუათი ცდილობს შეარბილოს დაძაბული ურთიერთობა და ქართველთა სასაზღვრო პოლიტიკა თავიანთ სა-სარგებლოდ გადაჭრას. იგი აცხადებს: *„ჩვენ ველოდებით საქართველოს მთავ-რობის მხარდაჭერას, რათა აღნიშნული საკითხი სამართლიანად გადაიჭრას. ჩვენი მთავარი მიზანი არის, რომ ჩვენ ადეკვატურ, ნორმალურ ადამიანებად მიგვიღონ. არანაირი საფრთხეს და არანაირ ნეგატივს ჩვენ საქართველოსთვის არ წარმოვადგენთ, ისევე როგორც ათასობით საქართველოში მცხოვრები ოსი. ჩვენ ამაზე მეტს არაფერს მოვითხოვთ*“[2].

მიუხედავად ასეთი, ერთი შეხედვით, მშვიდობიანი პოზიციისა, შესაძლოა ეს სვლა კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი სტრატეგიათაგანი იყოს. თუმცა, ერთი რამ ნათელია, რომ მსგავსი ორგანიზაციების პროპაგანდისტული საფუძ-ველი არის გაყალბებული ისტორია, ანტიქართული რიტორიკა და საზღვრების ახალი დემარკაციის სურვილი.

„კოგელეგის სია“

2019 წლის ივნისში „Кавказ.Реалии“-ში დაიბეჭდა ვადიმ თოხსიროვის წე-რილი კობელი ოსების ქართული ოცნება (Грузинская мечта кобинских осетин)[3]. სტატიაში საუბარია ჩრდილოეთ ოსეთის 200-მდე მოსახლის გასაჭირზე, რომ-ლებიც უკვე რამდენი წელია უშედეგოდ ცდილობს საქართველოს ხელისუფ-ლებისაგან მოიპოვოს მცხეთა-მთიანეთის სასაზღვრო ზოლში მდებარე მათი წინაპრების სახლებისა და სასაფლაოების მონახულების უფლება. რამდენიმე წლის წინ ისინი მოხვდნენ შავ სიაში, იმის გამო, რომ მათ სურდათ სოფელ კობში ქონების გაფორმება.

ქონების გაფორმების თემა ახალია კობელი და თრუსოელი ოსების საქარ-თველოს ტერიტორიაზე არშეშვების სცენარში. მანამდე ოსური და რუსულე-ნოვანი მედია ოსების ყოფილი სალოცავების და წინაპართა სასაფლაოების მონახულებაზე აკეთებდა აქცენტს.

როგორც ცნობილია, რუსეთის მოქალაქეები უვიზოდ შემოდიან საქარ-თველოში და მათი მიმოსვლის წესები საზღვრის გახსნის (2010 წ.) შემდგომ არ შეცვლილა. საქართველოში თავისუფალი შემოსვლის შესაძლებლობა აქვთ რუსული მოქალაქეობის მქონე ოსებსაც. მხოლოდ, რუსეთთან გართულებუ-ლი ურთიერთობის და იმ მოსალოდნელი საფრთხეების გამო, რაც ყაზბეგის ტერიტორიების ხელში ჩაგდების ინტერესებს თან ახლავს, ქართული მხარე

1 Ж. Тарханова, “Осетины никогда не смирятся с потерей своих земель”, Февраль 10, 2015, https://www.ekhokavkaza.com/a/26840770.

2 Ж.Тарханова, იქვე.

3 В. Тохсыров, Грузинская мечта кобинских осетин,2019,https://www.kavkazr.com/

საზღვარზე არ ატარებს იმ პირებს, ვინც შესაძლოა დაძაბულობის პროვოცირება მოახდინოს. ლარსის საბაჟოს გახსნასთან დაკავშირებული ზემოხსენებული საფრთხეების აცილება – თავის დაზღვევა მოსალოდნელი პროვოკაციებისაგან, მხოლოდ ამგვარი პრინციპის დაცვით არის შესაძლებელი: არ შემოუშვას ქვეყანაში ის პირები, ვინც ანტიქართული განწყობითაა ცნობილი და ამგვარ საქმიანობას ეწევა.

ყოფილი სალოცავების და წინაპართა სასაფლაოების მოსანახულებლად ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები კობელებისა და თრუსოელების არშემოშვების საკითხი დღის წესრიგში 2013 წლიდან დგას და კონფლიქტის კონტექსტში განიხილება. ამ ნიადაგზე 2013 წლიდან ლარსის გამშვებ პუნქტთან მათმა გარკვეულმა ჯგუფებმა რამდენჯერმე პიკეტი მოაწყვეს. სავარაუდოდ, ისინი პრორუსული ორგანიზაციების (*დარიალი, ყაზბეგი* და *სხვა*) მესვეურთა მიერ იყვნენ მობილიზებული; რუსმა მესაზღვრეებმა ისინი გამოატარეს, ხოლო ქართულმა მხარემ, ქართველთა და ოსთა შორის მოსალოდნელი კონფრონტაციისგან თავის დაზღვევის გამო, არ შემოუშვა. მსგავსი ვითარება დღემდე გრძელდება.

ზემოთ ითქვა, რომ ოფიციალურმა თბილისმა წინასწარ გააფრთხილა ოსური მხარე, რომ ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით გარკვეულ პირებს და ზოგიერთი ორგანიზაციის ლიდერს *პერსონა ნონ გრატად* გამოაცხადებდა. სასაზღვრო სამსახურს აქვს იმ პირთა სიები, ვინც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენს; გასაკვირი არცაა, რომ ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების ლიდერები დღეისათვის ამ ე. წ. შავ სიაში აღმოჩნდნენ (თუმცა, მათ მანამდე საზღვარი რამოდენიმეჯერ გადაკვეთეს).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცხინვალელი ჟურნალისტი ალან პარასტაევი წერს: *„საქართველოს ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე მშობლიურ სოფლებში შესვლა უკვე არაერთი წელია რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ოსებისთვის პრობლემურია. წელს ყაზბეგის რაიონის სოფელ კობის ადგილობრივ დღესასწაულზე (“Къобы дзуар”) ჩრდილოეთ ოსეთიდან მიმავალი ადამიანები უკან მოაბრუნეს და ამასთან, პასპორტებში ხუთწლიანი დეპორტაციის შტამპები ჩაურტყეს. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები „ეთნიკურ წმენდად“ შეაფასეს და 90-იანი წლებში ოსების მიმართ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან პარალელები გაავლეს“*[1].

ზემოთ ნახსენებ წერილში ს. კოზაევი ხაზს უსვამს, რომ აკრძალვის ეს ზომები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ზუსტად საზღვრისპირას მცხოვრებ ყაზბეგის რაიონის ოსების და მათი ნათესავების წინააღმდეგ არის მიმართული. საქართველოში შესვლა მათ ეკრძალებათ, რაც აშკარა დისკრიმინაციაა. იგი აღნიშნავს, რომ საკონტროლო გამშვებ პუნქტ „დარიალზე“ 80 წლის შამილ ძანტიევს, ვლადიკავკაზის მერის მამას, საქართველოში შესვლაზე უარი უთხრეს, რასაც მოჰყვა გამოხმაურება რუსეთის დიპლომატიური კორპუსის მხრიდან; რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ძალიან მკაცრი შეფასება მისცა საქართველოს მოქმედებას[2]. ეს საკითხი გახდა საქართველოსადმი ოსეთის/რუსეთის მზარდი პრეტენზიების საბაბი. სამხრეთ ოსეთის მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო *„ქართუ-*

1 ა. პარასტაევი, რატომ არ შეუშვეს კობელი ოსები საქართველოში http://netgazeti. ge/news /225479/

2 С.Козаев. დასახ. ნაშრომი.

ლი ხელისუფლების ანტიჰუმანური ქმედებებთან დაკავშირებით პროტესტს გამოხატავს და გმობს ეთნოციდის პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება წინა საუკუნის შუა პერიოდიდან ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას რესპუბლიკის მცხოვრებლების მიმართ ატარებს", ხოლო ქართული მხარის მიერ მსგავსი პრაქტიკის გაგრძელების შემთხვევაში, იგი იმუქრება, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლება, ოსი ერის განუყოფელი ერთიანობიდან, მისი ისტორიიდან, კულტურიდან და ეროვნული ტერიტორიებიდან გამომდინარე, ადეკვატური ქმედებების – საქართველოსთან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მთელ პერიმეტრზე გადაკვეთის რეჟიმის გადახედვის უფლებას იტოვებს[1].

"Кавказ.Реалии"-ს ინფორმაციით, 2018 წლისათვის ამ ე. წ. შავი სიაში შეყვანილი იყო 157 ადამიანი, რომელთა შორის „პოლიტიკური" იყო თითო-ოროლა. უმრავლესობა იქ მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მათ ადგილობრივი თვითმმართველობისგან მოითხოვეს საადგილმამულო წიგნებიდან ამონაწერები და მოინდომეს თავიანთი მიწების და სახლების დაკანონება.

რამდენად რეალურია ეს რაოდენობა და რამდენად გულწრფელია ამ სიაში შეტანილი ინდივიდების სენტიმენტები წინაპრების სალოცავების და საფლავების მონახულებასთან დაკავშირებით, კითხვის ნიშნის ქვეშაა. ხოლო, რაც შეეხება მიწებისა და სახლების დაკანონებას, ეს ინტერესი მათ არ გასჩენიათ მანამდე, სანამ კობი რეკრეაციულ ზონად არ გამოცხადდა და იქ ტურისტული ქალაქის აშენება არ დაიგეგმა[2]. ა. თუაევა ზემოხსენებულ წერილში ირწმუნება, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია (იგულისხმება ოსების არშემოშვება) უკავშირდება კობის ქვაბულში დიდი სარეკრეაციო ზონის შექმნის სურვილს, რომ აქედან უკვე გაჭიმულია გზა ცნობილი გუდაურის სათხილამურო კურორტისკენ და უფრო მეტიც, მანამდე უკვე არსებობდა კობში დიდი ლოგისტიკური ცენტრის შექმნის იდეა[3]. ამის შესახებ კი ადრე აღვნიშნავდი, რომ კობის ტურისტულ ქალაქად ქცევის პერსპექტივას და აქედან სარგებლის მიღების სურვილს, შესაძლოა, ყაზბეგიდან ჩრდილოეთში მიგრირებული ოსებისთვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმისკენ ებიძგა,[4] რაც გაცხადდა კიდეც; წინაპრების სალოცავების და საფლავების მონახულების თემას მიწების და სახლების დაკანონების მოთხოვნა დაემატა.

ჟენევის მოლაპარაკებები

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები 2008 წლიდან საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დიალოგის ერთადერთი მოქმედი ფორმატია. საქართველოსა და რუსეთის გარდა, დისკუსიაში მონაწილეობას იღებენ აშშ-ს წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს მხრიდან. დისკუსიებში ასევე ჩართულნი არიან ცხინვალის და სოხუმის

1 ნ. კახიშვილი, ცხინვალი ქართულ მხარეს ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს http://netgazeti.ge/news/217301/

2 ნ. ჯალაბაძე, დასახ ნაშრომი. გვ.101.

3 В. Тохсыров, იქვე.

4 ნ. ჯალაბაძე, იქვე, გვ.104.

წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. თუმცა სამწუხაროდ, ჟენევის დისკუსიები ხშირად უშედეგოდ მთავრდება ხოლმე, ან იშლება, ისე, როგორც ეს მოხდა ბოლო, 2020 წლის 6-7 ოქტომბერს დაგეგმილ, 51-ე რაუნდის შემთხვევაში[1].

ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წლიდან ჟენევის მოლაპარაკებებზე ოსურმა მხარემ უკვე დაიწყო თრუსოს თემით მანიპულირება; 2016 წლის დისკუსიების დროს ცხინვალის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე დააყენეს „აღმოსავლეთ ოსეთში“ ოსური კულტურის ძეგლების დაცვის საკითხი[2]. მაგალითად, ჟენევის მოლაპარაკებების 35-ე რაუნდზე (22-23 მარტი), მათ წამოსწიეს საქართველოს კონტროლქვეშ მყოფ „აღმოსავლეთ ოსეთში” არსებული ოსური ისტორიულ-კულტურული ძეგლების შენარჩუნების პრობლემა; **გაჟღერდა, რომ იქ არ უშვებენ ამ რეგიონიდან გაძევებულ ოს მოსახლეობას.** ოსეთის წარმომადგენლებმა ტირსიგომის//თრუსოს ოსური ისტორიული-არქიტექტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად და შესაფასებლად ექსპერტების დაშვება მოითხოვეს[3]. შევნიშნავთ, რომ **ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან ეთნიკური ოსების გაძევება სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, თრუსოსა და მნის ხეობა-კობის ქვაბულში მცხოვრები ოსები ერთდროულად აიყარნენ, მიატოვეს საცხოვრებლები და ჩრდილოეთ ოსეთში დასახლდნენ. ამავე დროს, მათ თან გაიყოლეს საქართველოს სახელმწიფო ქონება – საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი საქონელი და ცხვარი.**

ამის შემდეგ ოსების მიერ ჟენევის დისკუსიებზე მუდმივად ხდება თრუსოს თემატიკასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემების წამოწევა, როგორიცაა, ყაზბეგის ოსების მიერ მშობლიური სოფლებისა და სალოცავების თავისუფლად მონახულება, ოსური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პატრონობა, თრუსოში (კობში, ღუდაში) ოსების მუდმივად საცხოვრებლად დაბრუნება.

2017 წელს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო PEC-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია ჟენევის საერთაშორისო შეხვედრების 42-ე რაუნდის შესახებ, რომელზედაც ცხინვალის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დასვეს „აღმოსავლეთ ოსეთის“ საკითხი. ამის თაობაზე თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა: *„ერთ დროს ხალხმრავალი სოფლები ნანგრევებადაა ქცეული, ოსური მოსახლეობა მთლიანად გამოდევნილია ამ ადგილებიდან. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რაზედაც ოცნებობდა საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, რომელიც „ტრიალ მინდვრად“ უნდოდათ ექციათ*“[4].

2018 წელს თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა ჟურნალ „ნეტგაზეთის“ კორეპონდენტს შეკითხვაზე „განიხილებოდა თუ არა ჟენევის დისკუსიების ბოლო რაუნდზე სამხრეთ ოსეთის

1 ჩაიშალა რუსეთის წარმომადგენლობის მცდელობით.

2 შ. უტიაშვილი, 2016 წელი ცხინვალის რეგიონისთვის და სამომავლო პერსპექტივები ჰტტპ://რეგიონალ-დიალოგუე.ცომ/ფორეცასტ-2016/№–ფტნ5

3 http://www.mfa-rso.su/node/1659

4 Представители РЮО подняли тему Восточной Осетии на Женевских дискуссиях http://cominf.org/node/1166514062

პრეტენზიები თრუსოსა და კობის ხეობაზე?" – ასე უპასუხა:*„ოსეთი განუყოფელია, ისევე როგორც მისი ეროვნული სივრცე. დღეს ვის ხელშიც არ უნდა იყოს მისი ნაწილები – ეს ყველაფერი გარდამავალია... ჟენევაში ოსეთის დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევებზე, იმ მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფაზე, რომელთაც წინაპრების საფლავებზე გასვლის უფლება არ მისცეს. ყოველივე ეს ძმობასა და კეთილ ზრახვებზე ფუჭი საუბრების ფონზე ხდება*"[1].

ამავე ინტერვიუში იგი პროვოკაციულ განხცადებებს აკეთებს იმის თაობაზე, თუ როგორ აწყობდა ეთნიკური ოსების ეროვნულ წმენდას მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 21-ე საუკუნის დასაწყისამდე საქართველოს, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური ხელისუფლება, პერმანენტულად ძალადობრივად ასახლებდა მათ, მასობრივად კლავდა და დევნიდა ძირძველი ტერიტორიებიდან. თუმცა, ქართველმა კომუნისტებმა ამას უკვე „რბილი ძალის" გამოყენებით – ასიმილაციისა და კულტურული გენოდიციის პოლიტიკით მიაღწიეს. თანამედროვე პერიოდში მიმდინარე მოვლენებს ის ნეოფაშიზმს უწოდებს. *„ადრეც მითქვამს, არაფერი დაგვივიწყებია და მომავალშიც ასევე ხისტი რეაქცია გვექნება ყველა იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენს ერთიან ეროვნულ ორგანიზმს შეეხება. ეს საკითხი მუდმივად იდგა და ყოველთვის იქნება ჟენევის დღის წესრიგიშიც"*[2].

ამ საკითხზე ისაუბრა დიმიტრი მედოევმა გერმანულ გაზეთთან Neues Deutschland-თან და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელობას, რესპუბლიკის პრეზიდენტს და მთლიანად ოს ხალხს აქვს ნათელი პოზიცია და ის მდგომარეობს იმაში, რომ ადრე თუ გვიან ეს მიწები ოსეთს დაუბრუნდება და იქ ოსები იცხოვრებენ. საერთაშორისო შეხვედრებზე სამხრეთ ოსეთის დიპლომატებს არაერთხელ წამოუწევიათ იმ ხალხის პრობლემები, რომლებიც წარმოშობით ყაზბეგის რაიონიდან არიან და ეს საკითხი ჟენევის მოლაპარაკებებზეც დააყენეს.[3]

შემდგომ რაუნდებზედაც ოსეთის დელეგაცია მუდმივად აპელირებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევებზე, იმ მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფაზე, რომელთაც წინაპრების საფლავებზე გასვლის უფლება არ მისცეს, რასაც თავისუფალი გადაადგილების და სიცოცხლის აღიარებული უფლების დარღვევად აფასებს.[4] ამ ბოლო დროს, ჟენევის მოლაპარაკებებზე სამხრეთ ოსური მხარე უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას „აღმოსავლეთ ოსეთში" ოსური ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცულობის საკითხზე, რასაც სავარაუდოდ, რეგიონში შესაღწევად უფრო შესაძლო გზად თვლის.

როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ვიგებთ, ყაზბეგის რაიონის ოსებმა მიმართეს გაეროს, ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებს, რათა დაეხმარონ მათ საკუთარი უფლებების შენარჩუნებაში, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე გადაადგილების, ქონებისა და მიწის მართვის

1 ნ. კახიშვილი, ცხინვლის პოზიცია თრუსოს ხეობის საკითხზე და თბილისის პასუხი, 26.07.2018 https://netgazeti.ge/news/295087/

2 ნ. კახიშვილი, იქვე.

3 ადრე თუ გვიან ოსი ხალხი დაიბრუნებს თრუსოს, კობს და გუდოს ხეობას – მედოევი, 30.01.2019 https://mtisambebi.ge

4 ს. კოზაევი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

უფლებების მოპოვებაში, თუმცა უშედეგოდ. ჟენევის მოლაპარაკებებზე ოსებს თრუსოს (ასევე კობი და ღუდა) საკითხში რუსული მხარის იმედი აქვთ, რომელთა ინტერესებშიც სადავო პრობლემის ოსების სასარგებლოდ გადაწყვეტა შედის; ოსების მიერ გაცხადებულ პრეტენზიებს ყოველთვის მოჰყვება რუსეთის მხარდამჭერი განცხადებები, რომელიც რუსულ და ოსურ პრესაში ქვეყნდება.

ასე რომ, ჟენევის მოლაპარაკებებზე საქართველოს წარმომადგენლობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის მოგვარების გარდა, „აღმოსავლეთ ოსეთის" და მასთან მიბმული აბსურდულ პრეტენზიების მოგერიება უწევს. საგანგაშო არის ის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მკვიდრდება გამოგონილი „აღმოსავლეთ ოსეთის" ცნება და ოსებზე მოძალადე ქართველების სტერეოტიპი, რომელთაც ოსებს ისტორიული ტერიტორიები წაართვეს.

დასკვნა

2008 წელს ცხინვალისა და ახალგორის რეგიონების ოკუპაციის შემდგომ რუსული ჰიბრიდული ომის სამხრეთ კავკასიურ სცენარში თრუსოს ხეობამ (კობის ქვაბულსა და ღუდასთან ერთად) განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეს მონაკვეთი, სადაც წინათ ოსები ცხოვრობდნენ, რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებში მოექცა და თანდათან გაიზარდა ცხინვალის/კრემლის პრეტენზიები ამ ისტორიულ ქართულ მიწებზე. გაყალბებული ისტორიის მოშველიებით, „აღმოსავლეთ ოსეთის" შესახებ მითების შექმნით, კრემლი იღწვის ეს ტერიტორია ოსების უძველეს სამშობლოდ წარმოადგინოს, მიუერთოს ოსეთს და ამგვარად, კონტროლი მოიპოვოს მისთვის ძალზე მნიშვნელოვან არეალზე.

ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობა და მათი ტერიტორიები, საინფორმაციო ომისა და პროპაგანდის აქტუალური თემაა. კრემლი თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას ფაქტობრივად უკვე თავის სუბიექტად თვლის და მუდმივად ეწევა მისი ჩრილოეთ ოსეთთან (ზემოხსენებული ოსური სივრცეების ჩათვლით) მიერთების იდეის ტირაჟირებას; პროპაგანდისტული ბერკეტების მეშვეობით ამკვიდრებს აზრს რომ ეს ე.წ. „აღმოსავლეთ ოსეთი" ისტორიულად ოსების კუთვნილება და ძირძველი ოსური ტერიტორიაა, რომელიც ბოლშევიკებმა ოსი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ მოგლიჯეს ოსეთს და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას მიუერთეს.

ამ პრობლემის გააქტიურება უშუალო კავშირშია ვლადიკავკაზში არსებულ რამოდენიმე ანტიქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის („დარიალი", „გაერთიანებული ოსეთისთვის", „ყაზბეგი") საქმიანობასთან, რომელთა პროპაგანდისტული საფუძველიც გაყალბებული ისტორია, გამოგონილი ფაქტები, ანტიქართული რიტორიკა და საზღვრების ახალი დემარკაციის სურვილია.

ოსური (ფაქტობრივად რუსული იმპერიული) კამპანია, რომლის მიზანსაც ყაზბეგის რაიონის მიწების ოსეთისათვის მიკუთვნება წარმოადგენს, ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტულ მეთოდებს ემყარება,რაც საბოლოო ჯამში ემსახურება პოლიტიკური დისკურსის კრემლის ინტერესების სასარგებლოდ წარმართვას.

დასკვნა

წარმოდგენილი ინტერდისციპლინური ნაშრომი განხორციელდა ისტორიული, ეთნოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და არქეოლოგიური კვლევის ბაზაზე. წიგნში ახლებურად არის წარმოჩენილი თრუსო კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რაკურსით.

ამ ბოლო ხანებში მომრავლდა რუსულენოვანი პუბლიკაციები თრუსოს (ასევე კობის) და საერთოდ თერგის ხეობის ზემო წელის (საქართველოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) თემატიკაზე. ეს ტერიტორია საქართველოს სამხედრო გზასთან მდებარე ოსების განსახლების არეალია, რომელიც, როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვის, სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. რუსეთში/ოსეთში გამოცემული წიგნები, საგაზეთო წერილები, სატელევიზიო გადაცემები თუ ფილმები, რომელიც ამ რეგიონს, მათებურად „აღმოსავლეთ ოსეთს“, ეხება, ძირითადად ტენდენციურად წარმოადგენს რეგიონის ისტორიას და სრულიად უგულებელყოფს წერილობით და სხვა სახის წყაროებს. ამგვარი პროდუქციის შექმნას საფუძვლად კონკრეტული ტერიტორიების მითვისების ინტერესი უდევს და სანქცირებულია მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ. თრუსოს ხეობის ხელში ჩაგდება კრემლს საქართველოს სამხედრო გზის იმ მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას მისცემს, რომელიც სომხეთსა და ირანისკენ რუსეთის დამაკავშირებელი ყველაზე მოკლე მაგისტრალია. გაყალბებული ისტორიის მოშველიებით, მითების შექმნით, კრემლი ცდილობს ეს ტერიტორია ოსების უძველეს სამშობლოდ წარმოადგინოს, მიუერთოს ოსეთს და ამგვარად, კონტროლი მოიპოვოს მისთვის ძალზე მნიშვნელოვან არეალზე.

ყალბი ისტორიის შემქნელი ოსი/რუსი ავტორები შეგნებულად უვლიან გვერდს ქართულ საისტორიო წყაროებს და არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას; ხშირად ამ წყაროებს საკუთარი ინტერპრეტაციით აწვდიან მკითხველს და არაადეკვატური თარგმანი შემოაქვთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს ფაქტობრივად პროპაგანდის ნაწილია, რომლითაც არწმუნებენ ჩრდილოეთ ოსეთის და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომ მათ მომავალში აუცილებლად უნდა დაიბრუნონ დაკარგული ისტორიული ტერიტორიები. ყოველივე ეს კი ემსახურება პოლიტიკური დისკურსის კრემლის ინტერესების სასარგებლოდ წარმართვას.

წინამდებრე ნაშრომში გაანალიზებული ქართული წერილობითი ძეგლები, ტოპონიმები, საარქივო და ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ თერგის ხეობის ზემო წელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაა და ის ქართველთა უძველესი განსახლების არეალი იყო.

თერგის ხეობის ზემო წელი ორი გეოგრაფიული ერთეულის – ხევისა და თრუსოს – ერთობლიობას წარმოადგენდა და წარმოადგენს. თავდაპირველად აქ ქართველ მთიელთა– *წანართა* ეთნოგრაფიული ჯგუფი ცხოვრობდა და ამიტომაც წანარებით დასახლებულ ქვეყანას წანარეთის ხევიც ეწოდებოდა. მთე-

ლი რიგი ფაქტორების გამო (პოლიტიკური, დემოგრაფიული და სხვ.), წანარეების დიდი ნაწილი ბარში – კახეთში – გადასახლდა და X საუკუნიდან რეგიონში ახალი პროცესები განვითარდა. წანარეთში ანუ თერგის ხეობის სათავეში ადგილზე დარჩენილმა ქართველმა მთიელებმა თავი ძირითადად მოიყარეს თანამედროვე ხევში ანუ როგორც „გერგეტის მატიანეს“ (1439 წელი) ავტორი თავისი ლაკონური განმარტებით იტყოდა, კობიდან გველეთამდე: „შევიყარენით ჴევი ჴეობით – კობით და გუელეთამდი“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართველი მთიელები უფრო ზემოთაც – მნის „ქვეყანაშიც“ ცხორობდნენ, რომელიც მოიცავდა თერგის ხეობას კობიდამ უვიწროეს ადგილ „კასარამდე“ და მნის ხეობას. კასარის ანუ კასრის კარის ზემოთ კი მოსახლეობის ცვლილება მოხდა. ქართული წყაროებში და საბუთებში ამ ტერიტორიას ყოველთვის თრუსო ეწოდებოდა. სახელწოდება – **თრუსო,** ბოლომდე შემორჩა და ადგილზე მოსახლენიც თუსოელების სახელით იყვნენ ცნობილი. X-XI საუკუნეებიდან თრუსოს მოსახლეობისაგან გამეჩხერებულ და თავისუფალ ტერიტორიაზე მეზობელი დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან ქართველ მთიელთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, დვალები, გადმოდიან და სახლდებიან. ამიტომაც თრუსოში მცხოვრებთ ხევის დვალებად (***„ჴევში დვალნი“)*** მოიხსენიებდნენ**.** ეს მიგრაცია დვალებისა ზახადან თრუსოს, ანუ *ხელადურის* გადმოსასვლელით ხდება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დვალთა დვალეთიდან გადმოსახლებას თრუსოში ეთნიკური ვითარების ცვლილება არ გამოუწვევია, რადგან დვალებიც ქართველი მთიელები იყვნენ.

თრუსოს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ტერიტორიულ ერთეულებს, დემოგრაფიული თვალსაზრისით დიდი ზიანი მიაყენა XIV საუკუნის დასასრულს თემურ-ლენგის შემოსევებმა და შავი ჭირის ეპიდემიამ. XVI საუკუნეში თრუსოს მეზობელ დვალეთში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შეიცვალა – ქართველ მთიელ დვალებს თანდათან ანაცვლებენ ჩრდილოეთ კავკასიიდან – ქურთათიდან და ალაგირიდან – გადმოსახლებული ოსები. დვალთა ძირითადი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტა, ადგილზე დარჩენილნი კი თანდათან ასიმილირდნენ მოსული ოსების მიერ. თუმცა, დვალების ასიმილაცია თითქმის ბოლო დრომდე გრძელდებოდა, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ თრუსოს მეზობელი ზახას ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლომდე ორენოვანი (ქართული და ოსური) იყო. ქართულ ენას ფლობდა ჟღელეს (მამისონის) ხეობის მკვიდრთა მნიშვნელოვანი ნაწილიც და ოსურ ენაში ბევრ ქართულ სიტყვასაც ურევდა. XVII საუკუნის შუა ხანებიდან ოსური ეთნიკური ერთეული თანდათან ვრცელდება საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც უფრო ადრე დვალებს ეჭირათ, კერძოდ ესენია მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) და თრუსო (მდინარე თერგის ხეობის სათავე). თანდათან ხდება ქართული მოსახლეობის ოსურით ჩანაცვლება. მიგრირებულ ოსებს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შეერია. ეთნიკური შერევის დამადასტურებელია ვახუშტის ცნობა, რომ თრუსოში „მოსახლენი არიან ოსნი დვალნი“, ანუ, თრუსოში მკვიდრობდნენ გაოსებული დვალები. დვალთა ასიმილაცია საკუთრივ დვალეთის გარდა, ოსებმა თრუსოშიც მოახდინეს. თრუსოში, ისევე როგორც მაღრან-დვალეთში, ოსური ეთნიკური ერთობა შედარებით მცირერიცხოვნებითაც გამოირჩეოდა, რადგან მთის ეს მხარეები მოსახლეობის დიდ რაოდენობას ვერც იტევდა. დიდი ხნის

განმავლობაში ხევსა და თრუსოს შორის მოქცეული მნის „ქვეყანა“ ქართული რჩებოდა. მნის მხარის ოსური ელემენტით დასახლება და ადგილზე დარჩენილი ქართველების გაოსება მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან დაიწყო, რაც განაპირობა თრუსოდან ეთნიკური ოსების მნის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსვლამ და ქართულ მოსახლეობასთან შერევამ. მნის მხარეს ოსების მიგრაციას თავის მხრივ ხელი შეუწყო ადრინდელი ქართული მოსახლეობის ხევის სხვადასხვა სოფლებში გაფანტვამ.

ხევი და თრუსო თავდაპირველად სახასო მიწა-წყალს წარმოადგენდა. საქართველოში სათავადოების წარმოქმნის შემდეგ, რეგიონი ქსნის საერისთავოში შედიოდა (XIV ს.), გვიანი შუა საუკუნეებიდან (XVII-XVIII საუკუნეები) კი ის არაგვის ერისთავების გამგებლობაში იყო. 1743 წლიდან თრუსოსა და ხევის გამგებლობა ერეკლე II-ის შვილების დაქვემდებარებაში გადავიდა. მიუხედავად ამისა, შემდეგშიც თრუსოელები „არაგვის ოსებად“ მოიხსენიებოდნენ. ოსთა მიგრაცია საქართველოს ამ მხარეში XVII საუკუნის შუა ხანებში განხორციელდა, ოსების მიგრაცია ერთჯერადი არ ყოფილა და XVIII-XIX საუკუნეების მიჯნამდე გრძელდებოდა. ამავე დროს ხდებოდა მათი თანდათანობით წინ წამოწევა მნის ხეობასა და კობის ქვაბულში, სადაც ისინი საბოოლოდ დასახლდნენ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. ასე რომ, **XVII საუკუნის შუა ხანებამდე თრუსოელები ქართველი მთიელები იყვნენ. შემდეგ ქართველ მთიელებს აქ ოსები ჩაენაცვლნენ, რომლებიც ასევე თრუსოელებად იწოდნენ.**

მთელი ისტორიის განმავლობაში თერგის ხეობის ზემო წელი, როგორც ხევი, ისე თრუსო, საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. თრუსო რომ თავიდანვე ეთნიკურად ქართული მხარე იყო ამას წერილობით წყაროებთან ერთად ენობრივი მასალაც – ტოპონიმებიც მოწმობს, რომელიც მოსახლეობის ეთნიკური ცვლილების მიუხედავად, გადარჩა. ასეთი ტოპონიმები (როგორც ოიკონიმები, ისე მიკროტოპონიმები) თრუსოში არა ერთი და ორია.

თრუსოელ ოსებს, (ისე როგორც დვალეთში მცხორებ ოსებს) სამეურნეო ეკონომიკური კავშირები ტრადიციულად ძირითადად დანარჩენს საქართველოსთან ჰქონდათ. სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განხორციელება ჩრდილოეთ კავკასიასთან თრუსოელმა ოსებმა მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყეს, რაც დაკავშირებული იყო ვლკადიკავკაზში საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან.

თრუსოს ხეობის სოფლების შენობები და დასახლების ტიპი მდებარეობითა და ნაგებობების ესპლოატაციის ხასიათით შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ყოფას შეესაბამებოდა. დასახლებას თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთ სივრცეში ადამიანების მოზრდილ ჯგუფი, დიდ გაერთიანებებად ცხოვრობდა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილდებოდა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან შეცვლილი სოციოკულტურული მოთხოვნებისათვის ამგვარი დასახლება სრულიად გამოუსადეგარი გახდა. ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრება მოითხოვდა გამოცალკევებულ საცხოვრებელ ნაგებობს, რაც სოფლის ახლებურად განვითარებას გულისხმობდა. ხეობაში სოფლების სივრცობრივი ზრდა ლანდშაფტისა და სამეურნეო გარემოს თავისებურებების გამო მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ზვავისაგან მიუწვდომელ ადგილებში მდინარის ხეობის მოშორებით განლაგებული ძველი დასახლებები კარგად იყო დაცული ერთის მხრივ მდინარის ადიდების, მეორე მხრივ კი ზვავსაშიშროებისაგან. სოციოპოლიტიკურმა კატაკლიზმებმა

თრუსოს სამეურნეო გარემოს რადიკალური ცვლილება გამოიწვია. კოლექტივიზაციის და ხეობის გაუკაცრიელების კვალდაკვალ მიწათმოქმედების ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა, სავარგულების ხარჯზე კი იზრდებოდა საძოვრების ფართობი.

სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო გარემოს ცვლილებებს თან სდევდა ეთნოსოციალური ურთიერთობების, დასახლების ფორმების და შენობა-ნაგებობების ტრანსფორმაცია, იცვლებოდა თემის, სოფლის მკვიდრთა და ოჯახის წევრათა ურთირთდამოკიდებულების წესი, სამეურნეო რესურსებზე წვდომა და შემოსავალი, ჩნდებოდა ახალი მოთხოვნილებები ცხოვრების პირობებზე, რაც აისახებოდა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის დინამიკაზეც.

საარქივო დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის და საველე-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით დგინდება, რომ 1944 წელს დაიწყო ყაზბეგის რაიონიდან ოსების მასობრივი, ნებაყოფილებითი გადასახლება. ისინი სტალინური რეჟიმის მიერ დეპორტირებული ინგუშების სოფლებში დამკვიდრდნენ. ჩრდილოეთ ოსეთთან გაადვილებული კომუნიკაციის, ეკონომიკური სარგებლის, შედარებით ხელმისაწვდომი განათლების, ნათესაური და მეგობრული კავშირების გამო მიგრაციის ინტენსივობა მაღალი იყო შემდეგ პერიოდშიც, რის შედეგაც თერგის ზემო წელი ოსური მოსახლეობისაგან უკვე საბჭოთა პერიოდში დაიცალა. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე თროსოში დარჩენილი ეთნიკური ოსების სწრაფი გასვლა მოხდა, რომლებმაც თან გაიყოლეს დიდი რაოდენობით სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საქონელი და ცხვარი. გადასახლებისათვის მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენდა, ჩრდილო ოსეთში კომფორტულად მოწყობის შესაძლებლობა, (ელექტროფიკაცია, გაზიფიკაცია, გზები).

თრუსოს ოდითგანვე „ქართული სამყაროს“ განუყოფელ ნაწილად ყოფნას ადასტურებს აქ შემორჩენილი როგორც საერო, ისე საკულტო არქიტექტურული ძეგლები. თრუსოში X-XI საუკუნეებში აგებული საკლესიო ნაგებობები მრავალ პარალელს მხოლოდ ქართულ ხურუთმოძღვრებაში პოულობს, კერძოდ, თრუსოში ამ დროით დათარიღებული მცირე ზომის ეკლესიები ხევში, მთიულეთში, გუდამაყარში და საერთოდ შიდა ქართლის მთაში არსებული ძეგლების ანალოგიურია. მსგავსია დასახელებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში და თრუსოში დადასტურებული საერო ნაგებობებიც. ე. წ. ზურგიანი კოშკები, რომლებსაც უკანა მხარე ნალისებურად მომრგვალებული აქვს და რომელიც მასიური ქვებისაგან შენდებოდა, გვხვდება პატარა ლიახვის ზემო წელის, ქსნის, არაგვის, თერგის, ხადას ხეობებში. ოსთა უფრო ადრინდელი განსახლების არეალში – ჩრდილოეთ ოსეთში – ზურგიანი კოშკები საერთოდ უცნობი იყო. შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ ეს ძეგლები უშუალოდ ქართველებთან და ქართულ კულტურასთანაა კავშირში. თრუსოში შემორჩენილი ზურგიანი კოშკები არაპირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ეს ქვეყანა ოდითგანვე ქართველებით იყო დასახლებული. კვლევამ ცხადყო, რომ გვიან შუა საუკუნეებში, ოსური ელემენტის გამოჩენამ და მათ მიერ ქართველური ტომების ასიმილაციამ ფაქტობრივად მხოლოდ ლინგვისტურ ასპექტზე მოახდინა გავლენა, ხოლო სამშენებლო ტრადიცია ისევე გრძელდებოდა, როგორც დანარჩენ საქართველოში.

თრუსოში მნის ეკლესიის კედელზე შემორჩენილი უძველესი ქართული ასომთავრული წარწერაა (X ს.) გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ამ მხარე-

ში ოდითგანვე ქართველები სახლობდნენ, ეს მხარე ისტორიული წანარეთის ნაწილია და მნის წარწერაში მოხსენიებული ვინმე მაქარე და შვილნი მისნი ქართველთა ამ მხარის წარმომადგენლები იყვნენ. შემორჩენილი ლაპიდარული წარწერების უმეტესობა XVIII-XX საუკუნეებსაა და საფლავის ეპიტაფიებითაა წარმოდგენილი ამ დროს აქ უმეტესად ოსური მოსახლეობა ბინადრობს, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეპიტაფიების უმეტესობა რუსულია, რაც რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს, აქა იქ შემორჩენილი ქართულწარწერიანი საფლავის ქვები გვამცნობს, რომ თრუსოს ხეობის ოსური მოსახლეობის ნაწილს XIX საუკუნეშიც ჯერ კიდევ შერჩენოდა ქართულ ყოფა-ცხოვრებასა და კულტურასთან ერთიანობის განცდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მხარეში აღმოჩენილ და საბჭოთა პერიოდში საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში მალულად გატანილ რუსი/ოსი მეცნიერების მიერ 1326 წლით დათარიღებულ საფლავის სტელაზე (რომელზედაც, თითქოს სირიულ-ნესტორიანული დამწერლობით ოსური წარწერაა ამოტვიფრული), აშკარად იკითხება ხუთივე ქართული ხმოვანი და ცხრა თანხმოვანი – „გ“, „დ“, „ვ“, „თ“, „კ“, „ლ“, „მ“, „ს“, „ყ“. ძეგლი სინამდვილეში XIX საუკუნის დასაწყისისაა. ასეთი საფლავის სტელებს XIV საუკუნეში ოსები არ აგებდნენ. ისინი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნამდე მხოლოდ მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა აკლდამებში იმარხებოდნენ. ბუნებრივია, როგორც თრუსოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებში განსახლებული ოსები მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა აკლდამებს ქვის სტელებს ვერ დაადგამდნენ. გამოვლინდა არერთი ფაქტი, რომ თრუსოელი ოსები მოგვიანებით, XIX საუკუნეში, საფლავის ქვებზე წარწერებსაც ქართულ ენაზე აკეთებდნენ.

არქეოლოგიურად თრუსო არა მარტო შეუსწავლელია, არამედ დღემდე დაზვერვითი სამუშაოებიც არ ჩატარებულა.პროექტის ფარგლებში განხორციელებული დაზვერვითი ექსპედიციის დროს პრეისტორიული ხანის და შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია ნასოფლარებით და სამაროვნებით, დადასტურდა როგორც მნის ხეობაში, ასევე საკუთრივ თრუსოშიც. მართალია ჩატარებული მოკლევადიანი დაზვერვით სამუშაო თრუსოს არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე სრული წარმოდგენას ვერ შექმნის, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამომავლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებისათვის საფუძველი უკვე არსებობს.

2008 წელს ცხინვალისა და ახალგორის რეგიონების ოკუპაციის შემდგომ თრუსოს ხეობამ (კობის ქვაბულსა და ღუდასთან ერთად) განსაკუთრებული ადგილი დაიკავა რუსული ჰიბრიდული ომის სამხრეთ კავკასიურ სცენარში. ეს რეგიონი რუსეთის გეო-სტრატეგიულ ინტერესებში მოექცა და თანდათან გაიზარდა ცხინვალის/კრემლის პრეტენზიები ამ ისტორიულ ქართულ მიწებზე. გაყალბებული ისტორიის მოშველიებით, „აღმოსავლეთ ოსეთის“ შესახებ მითების შექმნით, კრემლი იღწვის ეს ტერიტორია ოსების უძველეს სამშობლოდ წარმოადგინოს, მიუერთოს ოსეთს და ამგვარად, კონტროლი მოიპოვოს მისთვის ძალზე მნიშვნელოვან არეალზე.

ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობა და მათი ტერიტორიები, საინფორმაციო ომისა და პროპაგანდის აქტუალურ თემად იქცა. კრემლი თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას ფაქტობრივად უკვე თავის სუბიექტად თვლის და მუდმივად ეწევა მისი ჩრილოეთ ოსეთთან მიერთების იდეის ტირაჟირებას; აღნიშნული თემა პერმანენტულად შუქდება ოსურ/რუსულ მედიაში.

თრუსოს საკითხთან დაკავშირებით, ცხინვალი//კრემლი მიმართავს პროპაგანდის მრავალ ფორმატს (ტექსტი, აუდიო, ვიდეო, ფოტო) და მას განსხვავებული არხებით ავრცელებს (ინტერნეტი, სოციალური მედია, რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია, საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრები და კომუნიკაცია); პროპაგანდა დაფუძნებულია შეთხზულ ამბებზე, რეალური ფაქტების დამახინჯებაზე. ოსური (ფაქტობრივად რუსული იმპერიული) კამპანია საბოლოო ჯამში ემსახურება პოლიტიკური დისკურსის კრემლის ინტერესების სასარგებლოდ წარმართვას.

საბოლოოდ, წიგნში წარმოდგენილმა ინტერდისციპლინურმა კვლევამ გამოავლინა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები თრუსოს ისტორიის, სახელმწიფოსთან მისი მიმართების, მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, ავტოქთონი და მოსული ეთნიკური ჯგუფების ვინაობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების, მატერიალური კულტურის ძეგლების რაობის (წარმომავლობის, დათარიღების, დანიშნულების და ა.შ.) შესახებ. გამოიკვეთა დღეს მიმდინარე სოციოკულტურული, დემოგრაფიული და ეკონომიკური ტრანსფორმაციების, პოლიტიკური გამოწვევების გავლენა რეგიონში არსებულ ვითარებაზე და ინფრასტრუქტურაზე. ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაო, მოხდა ძეგლების აღნუსხვა, ფოტოფიქსაცია, მნიშვნელოვანი ობიექტების აზომვა და გამოხაზვა, გამოვლინდა თრუსოს მხარის სრულიად შეუსწავლელი უძველესი ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები, მოხდა მათი შესწავლა-დათარიღება და ისტორიულ კონტექსტში გააზრება.





ISBN 978-9941-8-2986-4